# ოლიმპიური
# ენციკლოპედია

ავტორ-შემდგენელი

**ნოდარ გუგუშვილი**

სარედაქციო კოლეგია

კახი ასათიანი, ჯანსუღ ბაგრატიონი, ბიძინა ბარათაშვილი,
ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორი), ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე,
არჩილ გოგელია, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, გიორგი თოფაძე,
ვლადიმერ კანკავა, გივი კარტოზია, თამაზ კვაჭანტირაძე, გიგა ლორთქიფანიძე,
რომან რურუა, ზურაბ ფოცხვერია

თბილისი



თხუთმეტი საუკუნე და ორი წელი დასჭირდა
ოლიმპიური იდეის აღორძინებას.
მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი
ძველი ტრადიციის ხელახალი დაბადება.
თხუთმეტი საუკუნე, სულ მცირე, ოცდაათი თაობაა.
თხუთმეტი საუკუნე, ამავე დროს, კაცობრიობის მთელი
ისტორიაა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან
თანამედროვე ცივილიზაციის სათავეებამდე.

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია. 1997

---

რედაქტორი ელგუჯა ბერიშვილი
პასუხისმგებელი მდივანი დავით ქვანია
მხატვარი ვახტანგ რურუა
საგამომცემლო ჯგუფი: მაკა ახათიანი, რუსუდან აფციაური, თინათინ ბაშარული, ნინო ბეგიაშვილი, თენგიზ გიორგაძე, გიგა გურასაშვილი, თამაზ თევზაძე, ნინო ივანიშვილი, დავით კინწურაშვილი, კობა კორსანტია, სოფიკო შედრეულიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: დავით ნადირაშვილი, მაია ქლენტი

CITIUS-ALTIUS-FORTIUS

# INTERNATIONAL OLYMPIC COMMITTEE



**Message from the President**
**of the International Olympic Committee**
**Juan Antonio Samaranch**
**Marqués de Samaranch**

On behalf of Olympic Movement, I am pleased to introduce the first Olympic Encyclopaedia ever published in Georgian language.

This comprehensive work illustrates one hundred years of Olympic Games and gathers Olympic sporting results and data concerning the IOC and the National Olympic Committee of Georgia and its athletes.

There is no doubt that the Georgian sport movement will welcome this reference guide which highlights the history of Georgia sport development and its contribution to the Olympic Movement.

I am pleased to salute this contribution to disseminating Olympic history and education and to promoting the Olympic ideal.

მოხარული ვარ ოლიმპიური მოძრაობის სახელით წარმოგიდგინოთ პირველი ქართულენოვანი ოლიმპიური ენციკლოპედია.

ეს ვრცელი ნაშრომი აშუქებს ოლიმპიური თამაშების ასწლოვან ისტორიას, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობას, ქართველ სპორტსმენთა ოლიმპიურ მიღწევებს.

ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს სპორტის მოყვარულნი მოიწონებენ ამ გამოცემას, რომელიც ნათლად ასახავს საქართველოში სპორტის განვითარების ისტორიას და მის დამსახურებას ოლიმპიური მოძრაობის წინაშე.

კმაყოფილებით მივესალმები ამ შრომას, როგორც ღირსშესანიშნავ ნიმუშს ოლიმპიზმის ისტორიისა და ოლიმპიური იდეალების პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისა.

ხუან ანტონიო სამარანჩი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი

# ენციკლოპედიის აგებულება

***წიგნში შესული მასალები*** (შესავალ წერილთა და ბოლოში დართულ ზოგად სტატისტიკურ მონაცემთა გარდა) ***განლაგებულია ტრადიციული, ანბანური თანმიმდევრობით***. სტატიის დასახელება გამოყოფილია მუქი შრიფტით. საჭიროების შემთხვევაში. გამოყენებულია ინვერსია — აზრობრივად მთავარი სიტყვა თავშია გადატანილი (მაგალითად: **სოფელი ოლიმპიური, ქარტია ოლიმპიური**). ბიოგრაფიული სტატიები გვარით იწყება (მაგალითად: **კუბერტენი პიერ დე, ციმაკურიძე დავით**).

შედეგთა ცხრილებში ქვეყნები განლაგებულია მედლების რაოდენობის მიხედვით, თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ხარისხობრივ მაჩვენებელს. მედლების საერთო რაოდენობაში შესულია 1906 წლის რიგგარეშე ოლიმპიადის შედეგებიც. ცალკეა შეტანილი სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა მიერ ერთობლივად მოპოვებული მედლები. მაგალითად: პირველ ოლიმპიურ თამაშებზე ჯონ ბოლენდისა (დიდი ბრიტანეთი — ირლანდია) და ფრიდრიხ ტრაუნის (გერმანია) მიერ წყვილთა შეჯიბრებაში (ჩოგბურთი) მოპოვებული ოქროს მედალი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სპორტსმენთა მიერ 1952-1988 წლებში მოპოვებული მედლები შესულია სსრ კავშირის შედეგებში, 1992 წლისა კი — გაერთიანებული გუნდის ანგარიშში. ამ რესპუბლიკების, აგრეთვე ყოფილ იუგოსლავიასა და ჩეხოსლოვაკიაში შემავალი ქვეყნების შედეგებში ნაჩვენებია მხოლოდ დამოუკიდებლად ასპარეზობისას მოპოვებული მედლები (მაგალითად: ჯამურ ცხრილში საქართველოს ეთვლება მხოლოდ ატლანტაში მოპოვებული ორი ბრინჯაოს მედალი).

სპორტის ოლიმპიურ სახეობათა მოკლე ანოტაციას თან ერთვის ცხრილები, რომლებშიც აღნუსხულია ყველა ოლიმპიურ თამაშებზე გათამაშებული მედლები და მათი მფლობელი ქვეყნები. ეს ცხრილები (გარდა ფეხბურთისა) აერთიანებს კაცთა და ქალთა მედლებს. ენციკლოპედიაში შესულია მოკლე ცნობები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრ 197-ივე ქვეყანაზე, ამ ქვეყნების მიერ ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებულ მედლებზე. ინფორმაციას ახლავს თითოეული ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა.

ქართული სპორტის ოლიმპიურ ისტორიას და სრულ სტატისტიკურ მასალას წიგნის ბოლოში იხილავთ. იქვეა ინფორმაცია საჭადრაკო ოლიმპიადებზე, საქართველოს მოჭადრაკეებზე.

ენციკლოპედიას ერთვის ინგლისური და გერმანული ტექსტები, რომლებშიც მიმოხილულია ქართული სპორტის ისტორია, საქართველოს ოლიმპიელთა მიღწევები.

წიგნში ზოგიერთი სიტყვა და სახელი შემოკლებითაა ნახმარი: **სოკ-ი** — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, **ეოკ-ი** — ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, **აშშ** — ამერიკის შეერთებული შტატები, **სსრკ** — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, **გფრ** — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, **გდრ** — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, **კსდრ** — კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, **დ.** — დაიბადა, **წ.** — წელი, **ქვ.** — ქვეყანა, **ო.** — ოქრო, **ვ.** ვერცხლი, **ბ.** — ბრინჯაო, **ჯ.** — ჯამი.

# წინათქმა

თქვენს ხელთაა პირველი ქართული ოლიმპიური ენციკლოპედია. ოლიმპიური თემატიკა არაერთ საისტორიო, პუბლიცისტურ თუ საცნობარო კრებულშია გაშუქებული, მაგრამ მეტ-ნაკლებად სრული, აკადემიური ქართული გამოცემა პირველად განხორციელდა. აქ თავმოყრილია უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია ოლიმპიზმის რაობაზე, ოლიმპიური მოძრაობის ისტორიასა და დღევანდელობაზე, ანტიკურ და თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზე, მათი მოწყობის წესებსა და პირობებზე, საერთაშორისო ოლიმპიურ და სპორტულ ორგანიზაციებზე, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებზე. გაეცნობით გამოჩენილ სპორტულ მოღვაწეთა და ოლიმპიურ ჩემპიონთა ბიოგრაფიებს, სპორტის ოლიმპიურ სახეობებს, ოლიმპიადების მასპინძელ ქალაქებს, ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების შედეგებს და სხვა სტატისტიკურ მასალას. წიგნში განმარტებულია ძირითადი სპორტულ-ოლიმპიური ტერმინები და ოლიმპიური ქარტიის უმთავრესი დებულებები, აღნუსხულია თვალსაჩინო მოვლენები, ამბები და თარიღები.

ენციკლოპედიაში, ცხადია, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქართული სპორტის ოლიმპიურ ისტორიას, საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლებს ოლიმპიურ თამაშებში, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობას. აქ ნახავთ დეტალურ ბიოგრაფიულ და სპორტულ მონაცემებს საქართველოს ოლიმპიელებზე, ვისაც 1952-1996 წლების ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში უასპარეზია.

ქართულ სპორტულ გამოცემებს შეემატა სოლიდური ოლიმპიური წიგნი — ცნობილი სპორტული ჟურნალისტისა და მოღვაწის ნოდარ გუგუშვილის მიერ შედგენილი. სამწუხაროდ, ბატონი ნოდარი ვერ მოესწრო ენციკლოპედიის გამოცემას. ჩვენ ვეცადეთ ბოლომდე მიგვეყვანა აქამდე მოტანილი საქმე და პატივი მიგვეგო ამ ნათელი კაცის ხსოვნისთვის. ასევე ვეცადეთ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, დაგვეცვა ავტორისეული გეგმა მასალათა განლაგებისა და წიგნის გაფორმებისა.

ძირითადი ტექსტი შეივსო ატლანტის ოლიმპიური თამაშების შედეგებით, არაერთი საინტერესო ძველი თუ ახალი ინფორმაციით. სტატისტიკური და ფაქტობრივი მასალა შეჯერებულია ამ ტიპის უცხოურ გამოცემებთან. შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობას ვანიჭებდით ოფიციალურ მონაცემებს, თავმოყრილს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ან მისი ეგიდით გამოცემულ ცნობარებში: 1. "RÉPERTOIRE DU MOUVEMENT OLYMPIQUE" (1997, ლოზანა). 2. Wolf Lyberg - "FABULOUS 100 YEARS OF THE IOC. FACTS - FIGURES - AND MUCH, MUCH MORE" (1996, ლოზანა). 3.Erich Kamper, Bill Mallon - "THE GOLDEN BOOK OF THE OLYMPIC GAMES" (1992, მილანი). 4. ლაზერული ფირფიტა "OLYMPIC GOLD" - ზაფხულის ოლიმპიური თამაშების 100 წლის ისტორია (1996, აშშ). 5. RESULTS OF THE GAMES OF THE XXVI OLYMPIAD. THE CENTENNIAL GAMES(1996, ლოზანა).

ენციკლოპედიაში ათასამდე სტატია, ორასამდე ცხრილი, შვიდასზე მეტი ფოტო და ემბლემა შევიდა. ოლიმპიური თემატიკით დაინტერესებული მკითხველი თითქმის ყველა კითხვაზე იპოვის პასუხს.

ქვეყანას კარგი სპორტული წიგნები ისევე სჭირდება, როგორც — კარგი სპორტსმენები. ვიმედოვნებთ, პირველი ქართული ოლიმპიური ენციკლოპედია კარგ და საჭირო წიგნთა თაროზე დაიდებს ბინას.

ელგუჯა ბერიშვილი

# ისტორიული ექსკურსი



გამარჯვების ქალღმერთი ნიკე. ოლიმპია. არქეოლოგიის მუზეუმი

***XXII ოლიმპიური*** თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალური ბიულეტენის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა 1875 წლით დათარიღებული ოლიმპიური ოქროს მედლის ფოტოასლი. იქვე მინიშნებულია, რომ ჟამთა სიავეს მხოლოდ ორი ასეთი ეგზემპლარი გადაურჩა. ერთი ინახება ათენში, ბენაკისის მუზეუმის საცავებში, მეორე — ცნობილი ბერძენი ნუმიზმატისა და ფილატელისტის პაველოს პილარინოსის კოლექციაში.

გასაკვირი თითქოს არაფერია. ბევრ ისტორიულ რელიკვიას (გასული საუკუნის ოლიმპიური ოქროს მედალი კი სწორედ ასეთი რელიკვია გახლავთ) ხშირად უარესი ბედიც ერგებია. და მაინც, ბიულეტენში დაბეჭდილმა ფოტოდოკუმენტმა ერთგვარი გაკვირვება გამოიწვია. მართლაც რას უნდა ნიშნავდეს 1875 წლის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი, როცა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიადა 1896 წელს ჩატარდა?

ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გასაცემად მოკლე ისტორიულ ექსკურსს მივმართოთ.

ოლიმპიზმის აღორძინების იდეა, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, წარმოიშვა XVII საუკუნის მიწურულს, მაგრამ იდეის განხორციელებისთვის პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა მხოლოდ ორი საუკუნის შემდეგ (პილარინოსის მიხედვით — 1858 წელს, რუსი ავტორის პ. სობოლევის აზრით კი, რომელიც რამდენსამე უცხოურ წყაროს იმოწმებს — 1821 წელს).

მაგრამ, ასეა თუ ისე, ორივე შემთხვევაში იდეის თაოსნად ერთსა და იმავე პიროვნებას, ევანგელოს ცაპასს (პილარინოსის მიხედვით — ზაპასი) ასახელებენ — ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, საბერძნეთის განთავისუფლების ერთ-ერთ აქტიურ მებრძოლს, რუმინეთში მცხოვრებ მრეწველ-მილიონერს.

ცაპასს მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზე, რომელსაც თურქეთის მრავალსაუკუნოვანი მონობისაგან განთავისუფლებული საბერძნეთი თავისი სახელოვანი წინაპრების მსგავსად მდინარე ალფეოსის ნაპირებზე, ოლიმპიის საღმრთო ჭალაში მოაწყობდა. როგორც საქმის მოყვარულ ხალხს სჩვევია, მან ყველაფერი დეტალურად შეისწავლა, აწონ-დაწონა, გაიაზრა და პირადი წერილიც გაუგზავნა საბერძნეთის იმდროინდელ მონარქს — ოტონს. წერილში მოკლედ იყო ჩამოყალიბებული იდეის არსი, აგრეთვე ხარჯები, რომელსაც მილიონერი თავის თავზე იღებდა. ეფექტის გასაძლიერებლად და ხელისუფლების უფრო მეტად დაინტერესების მიზნით, ცაპასმა საბერძნეთის მთავრობას ავანსის სახით 600 ათასი დრაჰმა შესთავაზა, რაც იმდროინდელი მასშტაბებით საკმაოდ სოლიდური თანხა იყო.

წინადადება გამოდგა მაცდური, პერსპექტივა — ერთობ მომხიბვლელი. ვინ იცის, კიდევ როდის მიეცემოდა ყველასგან მივიწყებულ საბერძნეთს ხელახლა თავის გამოჩენის საშუალება. ცაპასის მილიონების გარეშე ამაზე ფიქრი, რა თქმა უნდა, უაზრობა იყო. ქვეყანას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული თავისუფლებისათვის ბრძოლაში მიღებული ჭრილობები და მწვავე ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. ცაპასის გარეშე ასეთი ნაბიჯის გადადგმა ავანტიურა იქნებოდა, მასთან ერთად კი... „ღირს რისკის გაწევა" — გადაწყვიტა მეფემ და თამაშების ჩატარებას დასტური მისცა.

ასე ჩაეყარა საფუძველი ანტიკური ოლიმპიადების მაგალითზე აღორძინებულ პანბერძნულ (მიაქციეთ ყურად-

ღება — პანბერძნულს და არა საერთაშორისოს) ოლიმპიურ თამაშებს, რომელიც ისტორიაში „ოლიმპიას" სახელით არის ცნობილი.

ოქროს მედლის საიდუმლოებას ნაწილობრივ ფარდა თითქოს აეხადა, მაგრამ უმნიშვნელო უზუსტობანი ამ ისტორიაში სხვაც ბევრი გვხვდება. მაგალითად, პილარინოსს მიაჩნია, რომ პირველი პანბერძნული (და არა ოლიმპიური) თამაშები მოეწყო 1865 წელს, ოქტომბერში, თანამედროვე ოლიმპიადების ერთ-ერთი აღიარებული მკვლევარი, დოქტორი ფერენც მიოზე კი უფრო ადრინდელ თარიღს ასახელებს, სახელდობრ — 1859 წელს. პილარინოსის თანახმად, ასეთი „ოლიმპია" სულ ოთხჯერ გაიმართა (1865, 1870, 1875, 1888 წწ), მიოზეს მიხედვით კი ხუთჯერ (1859, 1870, 1875, 1888 და 1889). პ. სობოლევი მხარს უჭერს მიოზეს მოსაზრებას, თუმცა მასაც სათვალავიდან ამოგდებული აქვს



შუბის ტყორცნა მოხანში. ბერძნული ამფორა. ძვ. წ. ა. VI ს.
(ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი)

ერთი „ოლიმპია" — 1888 წლისა.

ეს მხოლოდ კომენტარის სახით. საქმისთვის კი უმჯობესია მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას, რომელმაც ადრე თუ გვიან თანამედროვეობის პირველ ოლიმპიადამდე უნდა მიგვიყვანოს. საბერძნეთის მთავრობამ მეფის რეკომენდაციითა და კურთხევით მიიღო ცაპასის მიერ შეთავაზებული ძღვენი და თამაშების მოსაწყობად ფართო სამზადისი წამოიწყო. ამ სამზადისის მთავარი ნაწილი საგამოფენო დარბაზის მშენებლობა გახლდათ სამეფო ბაღის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იმ დროისათვის გრანდიოზული მშენებლობა წარმატებით დასრულდა დანიელი არქიტექტორის ტეოფილ ფონ პანსენის ზედამხედველობით.

პირველი პანბერძნული თამაშების საზეიმო გახსნას წინ უსწრებდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთაშორისო კონკურსი-გამოფენა, რომელმაც ახალაგებულ დარბაზში დიდძალი უცხოელი ტურისტი მიიზიდა. ეს დარბაზი სხვა მხრივაც გამოადგა ქალაქს. 1896 წელს სწორედ იქ დასახლდნენ პირველი საერთაშორისო ოლიმპიური თამაშების მონაწილენი (ამის გამო საგამოფენო დარბაზი ოლიმპიური სოფლის პროტოტიპადაა მიჩნეული).

იმდროინდელი გაზეთების („ეონი", „ავგი") მტკიცებით, პირველ პანბერძნულ თამაშებს აშკარად აკლდა ორგანიზაციული წესრიგი. ბევრ წერილმანს ვერ გაართვა თავი ქალაქის მუნიციპალიტეტმა. სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა მსაჯთა ბრიგადების მუშაობაში. არ იყო წესრიგი ტრიბუნებზე, საასპარეზო მოედნებზე. აზარტში შესული მაყურებელი ხშირად იქვე, ტრიბუნაზე იხდიდა ტანთ და თვითნებურად ერეოდა ბრძოლის მსვლელობაში. ყოველივე ამან თავისთავად კარგ და პერსპექტიულ წამოწყებას დაუკარგა სადღესასწაულო ელფერი და, ცხადია, უცხოელი სპეციალისტები უკმაყოფილონი დაბრუნდნენ შინ.

უკეთ იყო ორგანიზებული 1870 წლის პანბერძნული თამაშები. ხუთი წლის შემდეგ კი „ოლიმპიამ" საყოველთაო ხასიათი მიიღო: შეჯიბრებებში მონაწილეობის სურვილი ათენელთა გარდა საბერძნეთის სხვა კუთხეებიდან ჩამოსულმა სპორტსმენებმაც გამოთქვეს. დაწესდა გამარჯვებულთა დაჯილდოების ერთიანი განრიგი. პირველ ადგილზე გასული სპორტსმენი (ნებისმიერ სახეობაში) ოქროს მედალთან ერთად იღებდა ფულად პრემიას 100 დრაჰმის ოდენობით და, ძველი ტრადიციის თანახმად — ზეთისხილის რტოს.

აი, სწორედ ერთი ასეთი მედალია ექსპონირებული ბენაკისის მუზეუმში.

ორგანიზაციული თვალსაზრისით, ყველაზე სრულყოფილად მიჩნეულია ბოლო „ოლიმპია", რომელიც მაშინდელი გიმნასიარხის (ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელსაც მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის საქმე ებარა) ფოკიანოსის დიდი პირადი დამსახურებაა. სხვათა შორის, ფოკიანოსის სახელს დღემდე ატარებს ათენის ერთ-ერთი სტადიონი. ბოლო „ოლიმპია" ორ დღეს გაგრძელდა.

შეამჩნიეთ ალბათ, რომ პანბერძნულ თამაშებს აკლდა ზუსტად ის, რითაც აგრერიგადაა გამორჩეული თანამედროვე ოლიმპიადები, კერძოდ — საერთაშორისო გაქანება, წინასწარ დაგეგმილი გრაფიკი, ყველა რგოლის შეთანხმებული საქმიანობა, ორგანიზაციული სტრუქტურა, თანამიმდევრობა და, რაც მთავარია, საქმიანი კონტაქტები მსოფლიოს მოწინავე სპორტულ ქვეყნებთან. ეს ყველაფერი, ვიმეორებთ, აკლდა. სამაგიეროდ იყო იდეა, რომლის განხორციელებისთვის საჭირო გზები იმ დროს ბურუსით მოცული ჩანდა. ალბათ, ამიტომაა პანბერძნული თამაშები ასე ხელოვნურად მიტმასნილი ოლიმპიურ თამაშებს და მათზე ასეთი უზუსტო, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები გაგვაჩნია, თორემ ანტიკურ ოლიმპიადებს არც შინაგანი ლოგიკა აკლდა და არც ზუსტი მონაცვლეობის სისტემა.

სხვათა შორის, რამდენიმე ბუნდოვანი პერიოდი, სავსებით გასაგები მიზეზებით, ანტიკური ოლიმპიადების ისტორიაშიც შეინიშნება. ჯერ ერთი, არ არსებობს ოლიმპიადების წარმოშობის საყოველთაოდ დადგენილი ვერსია. ზოგი ლეგენდა მას ბერძენთა უზენაესი ღვთაების ზევსისა და მისი მამის კრონოსის ბრძოლას უკავშირებს, ზოგი ვერსიით, ოლიმპიური თამაშები გმირმა ჰერაკლემ დააწესა. არსებობს ერთი უძველესი მითი იმის შესახებ, თუ როგორ დაამარცხა ახალგაზრდა ლიდიელმა გმირმა პელოპმა პისის მეფე ენომაოსი ეტლებით რბოლაში, შეირთო მისი ქალიშვილი ჰიპოდამია და ამ გამარჯვების აღსანიშნავად ოლიმპიური თამაშების მოწყობა ბრძანა...



მშვილდის გაწყობა. ძველბერძნული მონეტა ჰერაკლეს გამოსახულებით.
(ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი)

ოლიმპიური ისტორიის პირველი ფურცლები, დიახაც რომ მითებია მხოლოდ, ლამაზი, ზოგჯერ ცხოვრებისეული, ზოგჯერ რომანტიკული, მაგრამ მაინც მითები ღმერთებზე, მეფეებზე, გმირებზე, უბრალო ადამიანებზე, მათ გამუდმებულ ომებსა თუ მშვიდობაზე. მაგრამ ერთი რამ მაინც ყურადსაღები და ანგარიშგასაწევია — მითების უმრავლესობას მშვიდობისმოყვარული საწყისი აქვს. ამიტომ ოლიმპიური ისტორიის სათავეებთან დგას არა ჰერასა და ზევსის სისხლიანი ვაჟი არესი (ომის ღმერთი), არამედ ხალხის საყვარელი გმირი ჰერაკლე.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების დევიზი სამი ლაკონური სიტყვითაა გამოხატული — "CITIUS, ALTIUS, FORTIUS", რაც ნიშნავს „სწრაფად, მაღლა, ძლიერად". ამ კონკრეტულ მონოდებაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს არა აქვს ზღვარი და რომ ყველა უმაღლესი მიღწევა სპორტში ადამიანის მიერვე უნდა იყოს დაძლეული.

დღევანდელ ოლიმპიადებს აქვს თავისი ემბლემაც — ხუთი სხვადასხვა ფერის ერთმანეთში გადაჭდობილი რგოლი — ძმობის, მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სიმბოლო ყველა ფერის, რწმენისა და შეხედულების ადამიანებისთვის.

ესე იგი, ვისაც კი სწამს ოლიმპიური დევიზის სიტყვების და ხუთი გადაჭდობილი რგოლის მნიშვნელობა, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იკრიბება არა მარტო უმაღლესი სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად, არამედ მშვიდობისთვის საბრძოლველადაც. ეს ძველთაგანვე მოდის, დაახლოებით იმ პერიოდიდან, როცა ადამიანი ზღვარს არ ავლებდა ფიზიკურ და სულიერ სრულყოფას შორის. ე. ი. ოლიმპიური თამაშები იმთავითვე გამოხატავდა ადამიანის მუდმივ ლტოლვას პროგრესისაკენ.

ამის შემდეგ ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, თუ რატომ გახდა ჩვენს დღეებში ასე პოპულარული ძველი ბერძნების ფანტაზიის დიდებული ნაყოფი — ოლიმპიადა. ოლიმპიური თამაშების ისტორიისადმი ესოდენ დიდი ინტერესი, პირველ ყოვლისა იმით არის გამოწვეული, რომ ადამიანს მუდამ ჰქონდა და აქვს სურვილი შეიცნოს საკუთარი თავი, კაცობრიობის ისტორია მის ყველაზე ლამაზ და შორეულ წარსულთან მჭიდრო კონტაქტში.

## 1894 წლის 23 ივნისს, დღის 4 საათზე

*ოლიმპიის* მუზეუმში შემონახულია ვეებერთელა ქვა წარწერით: „ბიბონმა ამწია თავს ზემოთ ცალი ხელით".

ეს ქვა 143, 5 კილოგრამს იწონის...

ერთ ძველისძველ მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი წარწერის თანახმად, ვიღაც ფაილი 16 მეტრის სიგრძეზე გადამხტარა..

თანამედროვე სპორტის სპეციალისტთა აზრით, ძველი ბერძენი ათლეტები 20 დიდი სტადიის გარბენას დაახლოებით ერთ საათს ანდომებდნენ.

ამ ისტორიულად სარწმუნო ცნობებში ბევრი რამ გაუგებარია, ბევრიც, ალბათ, მოგონილი, თორემ უნდობლობის მეტი რა შეიძლება გამოიწვიოს, ვთქვათ, ფაილის ნახტომმა, რომელიც თითქმის ორჯერ აღემატება პაუელის ფენომენალურ მსოფლიო რეკორდს. ეს ან ჟამთააღმწერლის შეცდომაა, ან ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ზუსტად, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი ბერძნებს სიგრძეზე ხტომა.

თანამედროვე სპორტის პოზიციებიდან, ბერძნულ წყაროებში მოყვანილი ბევრი ცნობა მართლაც აბსურდად გვეჩვენება, მაგრამ ისტორიას ლამაზი და ანგარიშგასაწევი გუშინდელი დღე აქვს და სწორედ უკან მოხედვის მოთხოვნილება ედო საფუძვლად ოლიმპიზმის აღორძინების იდეას, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ენთუზიასტთა კოლექტიური შრომის ნაყოფია. ამ ენთუზიასტთა შორის, რა თქმა უნდა, იყვნენ სპორტის მოღვაწენი, მაგრამ იყვნენ მეცნიერებიც, მთავრობის მეთაურნიც და ზოგჯერ... ავანტიურისტებიც კი.

ოლიმპიზმის აღორძინების იდეას დიდი და საინტერესო ისტორია აქვს:

1707 წელს, ბენედიქტელი ბერი, ფრანგი დონ ბერნარ დე მონფოკონი აქვეყნებს წიგნს სათაურით „საბერძნეთის პალეოგრაფია". ამ წიგნში პირველად ვხვდებით მოწოდებას ოლიმპიის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების შესახებ. ყურადღება მიაქციეთ ერთ საგულისხმო დეტალს: ეკლესია იყო თანამხარი ძველბერძნული ოლიმპიადების გაუქმებისა, რაც პრაქტიკულად განახორციელა იმპერატორმა თეოდოსიოს I ჩვენი წელთაღრიცხვის 394 წელს და სწორედ ეკლესიის წარმომადგენელი დაინტერესდა პირველად (1313 წლის შემდეგ) ოლიმპიზმის იდეის შესწავლით.

1763 წელს ანტიკური ისტორიისა და ხელოვნების ცნობილმა მკვლევარმა იოჰან იოაჰიმ ვინკელმანმა წამოაყენა ოლიმპიის მიდამოებში გათხრების იდეა, რაც ჰერკულანუმისა და პომპეის ექსპედიციებში მისი მონაწილეობის პირდაპირი შედეგი იყო. ვინკელმანი შეუდგა კიდეც ოლიმპიის ექსპედიციისთვის სახსრების შეგროვებას, მაგრამ არ დასცალდა — მეცნიერი ყაჩაღებმა მოკლეს, როცა საბერძნეთიდან შინ მიემგზავრებოდა.

1766 წელს ინგლისელმა რიჩარდ ჩენდლერმა დეტალურად აღწერა ზევსის ტაძარი ოლიმპიაში და ამით საფუძველი ჩაუყარა მის მეცნიერულ შესწავლას.

1793 წელს გერმანული ტანვარჯიშული (გიმნასტიკური) სკოლის ფუძემდებელმა გუტს-მუტსმა პირველად მოითხოვა ხმამაღლა ელინთა ოლიმპიადების აღდგენა, მაგრამ ამ იდეის მნიშვნელობა მაშინ ბევრმა ვერც გაიგო.

1824 წელს ინგლისელი არქეოლოგის ლორდ სტანჰოფის ხელმძღვანელობით მდინარე ალფეოსის სანაპიროზე იწყება გათხრები. სტანჰოფი, სხვათა შორის, ოლიმპიის პირველი გეგმის შემდგენელიცაა.



ზევსის ტაძარი. მაკეტი. ოლიმპია

1832 წელს ოლიმპიის ნანგრევები მოინახულა ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა, არქეოლოგმა და ფილოლოგმა, ბერლინისა და გეტინგენის უნივერსიტეტების პროფესორმა ერნსტ კურციუსმა. სიტყვები, რომლებიც აღტაცებულმა მეცნიერმა წარმოთქვა ნანგრევებზე, ისტორიაშია შესული: „ის, რაც აქ, ბნელ სიღრმეში მარხია, ჩვენი ცხოვრების ცხოვრებად უნდა იქცეს".

1852 წელს კურციუსი საჯარო ლექციას კითხულობს ბერლინში. ამ ლექციას ესწრება გერმანიის მაშინდელი კაიზერი ფრიდრიხ ვილჰელმ IV. „კურციუსი ისე დამაჯერებლად საუბრობს ჩვენთვის შორეულ თემაზე, — თქვა მან, — რომ მზად ვარ გაწვდილი ხელით მივიღო მონაწილეობა სახსრების შეგროვებაში".

1875 წელს იმავე კურციუსის ხელმძღვანელობით იწყება გათხრები მდინარე ალფეოსის სანაპიროზე. ამ გათხრების შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: აღმოაჩინეს 130-ზე მეტი ანტიკური ეპოქის ქანდაკება, 13 ათასამდე ბრინჯაოს ნივთი, 10 ათასამდე ბრინჯაოს ფილა უძველესი წარწერებით. ამ ექსპედიციაში მონაწილეობდა კიდევ ერთი გამოჩენილი არქეოლოგი ვილჰელმ დიორპფელდი, მეცნიერი, რომელმაც მანამდე წარმატებით ჩაატარა გათხრები ტროაში ჯერ შლიმანთან ერთად, მერე კი — დამოუკიდებლად.

მაშ ასე, XIX საუკუნის დამდეგს ოლიმპიური თამაშების აღორძინებისთვის ნიადაგი ძირითადად შემზადებული იყო. ახლა ვინმე ძლიერ პიროვნებას თავი უნდა მოეყარა ამ ცოდნისთვის, გამოეჩინა ხასიათის სიმტკიცე, ნებისყოფა და საქმე მკვდარი წერტილიდან დაეძრა. ასეთი კაციც გამოჩნდა: ეს იყო ფრანგი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე პიერ დე კუბერტენი.

კუბერტენი 1863 წლის 1 იანვარს დაიბადა (გარდაიცვალა 1937 წელს ჟენევაში, მუნიციპალურ პარკში სეირნობის დროს), მხატვრის ოჯახში. მშობლების განზრახვას — გაემწესებინათ ვაჟი სამხედრო სასწავლებელში, განხორციელება არ ეწერა.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ პიერი ინგლისური პედაგოგიური მოძღვრების შესწავლამ გაიტაცა, რაც მაშინდელი საფრანგეთისთვის უცხო ხილი იყო. განათლების სამინისტროს დავალებით, ახალგაზრდა

ენთუზიასტი რამდენიმეჯერ ეწვია შეერთებულ შტატებს, სადაც უფრო ღრმად შეისწავლა სკოლებში მოზარდთა ფიზიკური აღზრდის ამერიკული მეთოდი. პრესაში გამოქვეყნებულმა მასალებმა ოლიმპიის გათხრების შედეგებზე, ფიზიკური აღზრდის მაშინდელი ტენდენციების ღრმა და საფუძვლიანმა ცოდნამ, აგრეთვე სპორტის სიყვარულმა ახალგაზრდა კუბერტენი ოლიმპიური თამაშების აღორძინების აუცილებლობამდე მიიყვანა: „გერმანიამ მზის სინათლეზე გამოიტანა ის, რაც საუკუნეების მანძილზე ოლიმპიის მიწაში იყო ჩამარხული, — ამბობდა იგი, — რატომ არ უნდა ავაღორძინოთ ჩვენ, ფრანგებმა, ამ დიდებული ტრადიციის ბრწყინვალება"?

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საფრანგეთის სასკოლო აღზრდის სისტემაში ჩატარდა რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა ფიზიკური აღზრდის სრულ მილიტარიზაციას და, ცხადია, შოვინისტურ იდეებს ავითარებდა ახალგაზრდებში. კუბერტენმა მკაცრად გაილაშქრა ამ რეაქციული ტენდენციის წინააღმდეგ.

მერე კი, როცა საფრანგეთის სპორტულ საზოგადოებათა კავშირის გენერალური მდივნის პოსტი დაიკავა და ფართო სამოქმედო ასპარეზი მიიღო, კუბერტენის მოღვაწეობის სფერო გასცდა სასკოლო სპორტის ფარგლებს. აი, სწორედ მაშინ დაჰკრა სიტყვიდან საქმეზე გადასვლის ჟამმა. მით უმეტეს, რომ პრაქტიკული საქმიანობისთვის ბრწყინვალე თეორიული საფუძვლები შექმნა კუბერტენის ორმა ნაშრომმა — „აღზრდა ინგლისში" (1888) და „ინგლისური აღზრდა საფრანგეთში" (1889).

ჩანაფიქრი, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ენთუზიასტთა ვიწრო ჯგუფის მსჯელობის საგანი იყო, ნელ-ნელა გახმაურდა. საზოგადოების ერთი ნაწილი დაინტერესდა სიახლეებით, რომლებსაც კუბერტენის ჯგუფი ქადაგებდა. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ისინი, ვისაც



პიერ დე კუბერტენი

მცირედი კავშირი მაინც ჰქონდა პედაგოგიკასთან, ახალგაზრდობის აღზრდასთან, ვინც ასე თუ ისე გრძნობდა პასუხისმგებლობას მომავალი თაობის წინაშე.

და აი, კუბერტენის ჯგუფის თაოსნობით შეიქმნა „აღზრდის სისტემაში ფიზიკური ვარჯიშების დანერგვის კომიტეტი". ამ კომიტეტის შემადგენლობაში კუბერტენის დაჟინებითი მოთხოვნით შევიდნენ ლიტერატურისა და მეცნიერების წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები და პოლიტიკოსები. კუბერტენს თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად ავტორიტეტული აუდიტორია სჭირდებოდა. როგორც კი ზემოხსენებული კომიტეტი შეიქმნა, მან საჯარო ლექცია წაიკითხა ოლიმპიური იდეის ძირითად პრინციპებზე, რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება დატოვა მსმენელებზე.



ანტიკური ოლიმპიური სტადიონის შესასვლელი. ოლიმპია

კუბერტენს თითქმის ყველამ ერთხმად აღუთქვა დახმარება.

მოგვიანებით, თავის „ოლიმპიურ მემუარებში" კუბერტენი წერს: „მეტამსაც მიკრავდნენ, გულსაც მიკეთებდნენ, მილოცავდნენ, მაგრამ ხეირიანად არავის ესმოდა ჩემი".

გაუგებრობის პერიოდი, სამწუხაროდ, დიდხანს გაგრძელდა, ვინაიდან კუბერტენის იდეები საზოგადოებაში გაორებულ განწყობილებას ქმნიდა: მას ან უსიტყვოდ უჭერდნენ მხარს, ან ასევე უსიტყვოდ უარყოფდნენ.

ახალი იდეის მიმდევართა შორის ბევრი დარწმუნებული იყო, რომ ფიზიკური კულტურის გონივრული პროპაგანდა უსათუოდ შეუწყობდა ხელს პიროვნების ყოველმხრივ ჩამოყალიბებას. ამაზე შორს ისინი ვერ მიდიოდნენ, ვინაიდან ოლიმპიური იდეის აღორძინება სპორტის რეკლამის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნდათ, ოღონდ, რა თქმა უნდა, საერთაშორისო მასშტაბით. იყვნენ რომანტიკულად განწყობილნიც: მათი აზრით, ელინიზმის აღორძინებული და განახლებული სული ეპოქის ყველა სენის მკურნალი იქნებოდა. კუბერტენს არც ერთი პოზიცია ხელს არ აძლევდა.

„თუ ოლიმპიური თამაშები აღდგება თავისი პირვანდელი მნიშვნელობით, მხოლოდ იმიტომ, რომ მას მშვიდობიანი და ინტერნაციონალური ხასიათი აქვს. სპორტში ველარაფერს ვიტყვით ახალს. ბერძნებმა უკვე თქვეს ყველაფერი და დაგვიტოვეს ამოცანა, რომლის ამოუხსნელობა სირცხვილი იქნება მხოლოდ. მოდით, ყველამ ერთად შევიწუხოთ თავი, მოდით, გამალებულ შეიარაღებას დავუპირისპიროთ ნიჩბოსანთა მშვიდობიანი სწრაფვა გამარჯვებისაკენ. ოღონდ ერთეულებისა კი არა — გუნდური. სტადიონებზე ერთმანეთის პირისპირ უნდა წარდგნენ სხვადასხვა ეროვნების, რწმენისა და შეხედულების ახალგაზრდები. ეს იქნება ძნელი, უკომპრომისო ბრძოლა, მაგრამ ბრძოლა მშვიდობიანი. ამ ბრძოლის სახელი ძველმა ბერძნებმა გამოიგონეს. ჩვენ მხოლოდ უნდა ავაღორძინოთ იგი", — ასეთი იყო კუბერტენის პრინციპული პოზიცია.

ახალ იდეას, როგორც ყოველთვის, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მათ შორის იყვნენ უმეცრებიც, მაგრამ იყვნენ სერიოზული, ცნობილი და დაფასებული ადამიანებიც. ამ ხალხს გულწრფელად სძაგდა მოდა, მაგრამ ისინი რომანტიზმსაც ხაზგასმით უარყოფდნენ, როგორც სახიფათო გატაცებას. ოლიმპიზმში მათ შიშს პგვრიდა თვით იდეის დემოკრატიული არსი: ვინ შეიძლება გამოსულიყო სტარტზე, ვინ ვის უნდა დასჭიდებოდა, ვინ გაიმარჯვებდა და ვის ექნებოდა დაფასება ხალხის თვალში?

... შუაღამეს გადაცილებული იყო. პარიზს მშვიდი ძილით ეძინა. მხოლოდ უნდინოს ქუჩაზე, ერთ ფანჯარაში ენთო სინათლე, იმ ღამეს იქ თანამედროვე ოლიმპიადების ბედი უნდა გადაწყვეტილიყო.

დილით, საპარადო ფორმაში გამოწყობილმა კუბერტენმა მხნედ შეაღო მინისტრის კაბინეტის კარი. აუდიენცია ზუსტად ერთ საათს გაგრძელდა და, როცა მთხოვნელი საერთო მოსაცდელში გამოვიდა, ყველა მიხვდა, რომ

კუბერტენმა თავისი გაიტანა.
— ბატონებო, ჩვენ გავიმარჯვეთ. სულ მალე კონგრესი უნდა მოვიწვიოთ!
რამდენიმე დღეში პარიზის ქუჩებში გამოჩნდა აფიშა. „1894 წლის 23 ივნისს, დღის 4 საათზე, სორბონის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგება დამფუძნებელი კონგრესი. დღის წესრიგშია — ძველბერძნული ოლიმპიადების აღორძინება. პასუხისმგებელია ბარონი პიერ დე კუბერტენი".
კონგრესი მართლაც შედგა დანიშნულ დღესა და დროს. მუშაობა მან სულ რამდენიმე საათში დაამთავრა. ეს დელეგატების ერთსულოვნებასა და სოლიდარობაზე მეტყველებდა. მეორე დღეს პრესაში გამოქვეყნდა მოკლე ცნობა კონგრესის მუშაობაზე და მისი რეზოლუციის მთლიანი ტექსტი,

ვიკელასმა დახმარებისათვის კუბერტენს მიმართა და ისიც უმალ ჩავიდა ათენში. პრემიერთან შეხვედრის წინ მან დეტალურად შეისწავლა საქმის ვითარება. ანონ-დანონა ოპოზიციის შანსები, კონტრარგუმენტებიც მოამზადა და ის იყო სასახლეში წასვლა გადაწყვიტა, რომ თვითონ პრემიერი ეახლა სასტუმროში.

ოფიციალური ეტიკეტის დარღვევა მთავრობის ხელმძღვანელის მხრიდან ხაზს უსვამდა ამ ვიზიტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. და, ცხადია, საუბარიც მშრალი გამოდგა, ტრიკუპისმა მოკლედ მოხაზა საბერძნეთის ეკონომიკური მდგომარეობა და კატეგორიული უარი თქვა ხარჯების გაღებაზე.

— ნუთუ სულ რაღაც ორას ათას დრაჰმაზეა ლაპარაკი? —



მორბენლები. პანათენური ამფორა. ნიუ-იორკი, მეტროპოლიტენ მუზეუმი

რომელიც ასე მთავრდებოდა: „... ამით კრებამ აბსოლუტური უმრავლესობით დაადგინა — აღდგეს ოლიმპიური თამაშები!" მალე მთელმა მსოფლიომ თითქმის ყველა ქვეყანამ აიტაცა ეს სიახლე. კუბერტენი კმაყოფილი იყო — მისი ცხოვრების მიზანმა ფრთები შეისხა.

პირვანდელი ვერსიით, განახლებული ოლიმპიური თამაშები ოლიმპიაში უნდა ჩატარებულიყო, იქ, სადაც ჩაისახა და მოკვდა ეს შესანიშნავი სანახაობა. პერსპექტივა მართლაც მომხიბლავი ჩანდა, მაგრამ მისი განხორციელება უაღრესად ძნელი აღმოჩნდა. და აი, მაშინ არჩევანი ათენზე შეჩერდა.

მაგრამ წინ იყო მრავალი დაბრკოლება, რომელთა დაძლევასაც მძიმე ბრძოლა და დრო სჭირდებოდა. კუბერტენმა ალღოთი იგრძნო, რომ ოფიციალური საბერძნეთი ამ არჩევანმა არ აღაფრთოვანა. მერე კი, როცა მთავრობის ოფიციოზში რამდენიმე მტრული წერილი დაიბეჭდა ოლიმპიური თამაშების მისამართით, კუბერტენის ეჭვები საბოლოოდ გაიფანტა. ამ რთულ ვითარებაში ერთადერთ რეალურ ძალას მთელს საბერძნეთში ფლობდა კუბერტენის უახლოესი მეგობარი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი დემეტრიოს ვიკელასი. ეს პოსტი მას განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებდა, მაგრამ ვიკელასი რბილი ხასიათის კაცი იყო. მან ვერაფრით ვერ დაითანხმა პრემიერ-მინისტრი ტრიკუპისი. უფრო მეტიც, სახელმწიფო და პოლიტიკურ ინტრიგებში გამობრძმედილმა პრემიერმა მოკლე დროში საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია შეკრიბა მთავრობის წევრთა და დეპუტატთა შორის და ერთ მშვენიერ დღეს საჯაროდ დაესხა თავს ოლიმპიადას.

ცივად ჩაურთო სიტყვა კუბერტენმა.
— თქვენი ცნობები ოლიმპიადის ფინანსურ მხარეზე რეალურობას მოკლებულია.
— სრულიადაც არა, თქვენო ბრწყინვალებავ, ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც მიგახსენეთ.
— ვთქვათ, თქვენ სწორი ხართ, — არ თმობდა თავის პოზიციას პრემიერი, — მაგრამ სხვა მხრიდანაც შევხედოთ ამ პრობლემას. რას იტყვიან საზღვარგარეთ ქვეყანაზე, რომელიც ყელამდე ვალებშია ჩაფლული და მაინც არ ერიდება ასეთ უსარგებლო ხარჯებს?
— რატომ უსარგებლოს? ყველა ოლიმპიური ნაგებობა ბოლოს და ბოლოს ხომ ათენს დარჩება, მის სახელოვან ახალგაზრდობას. განა ეს ცოტაა? რომელი ოჯახის უფროსი იტყვის უარს, ხელი მოაწეროს ვალს, თუკი მისი შვილი წინაპართა კეთილი სახელის სადიდებლად თავს გამოიჩენს თამაშებში?
— ზუსტად შეისწავლეთ, ბარონო, ჩვენი რესურსები, შეადარეთ ისინი თამაშების მოწყობისთვის საჭირო ხარჯებს და მიხვდებით, რომ ჩვენ ასეთი უაზრო ნაბიჯის გადადგმა არ შეგვიძლია!
საუბარი ამით დამთავრდა.
მაგრამ კუბერტენი არ იყო ის კაცი, რომელიც ადვილად თმობდა თავის პრინციპებს, თავის პოზიციას. მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ, მან გადაწყვეტილება მიიღო სასტუმროში წაგებული ბრძოლა მეფის სასახლეში გაეგრძელებინა. ამ მიზნით კუბერტენმა საბერძნეთის მაშინდელ მონარქთან აუდიენცია ითხოვა, მაგრამ ეს უკანასკნელი პეტერბურგში აღმოჩნდა წასული და ფრანგი ბარონი ტახტის მემკვიდრემ,

პრინცმა კონსტანტინემ მიიღო.

პრინცი კარგი მოსაუბრე და, რაც მთავარია, ყურადღებიანი მსმენელი გამოდგა. კუბერტენის ლოგიკა ასეთ ხალხზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბარონმა ბევრი საინტერესო რამ თქვა საბერძნეთზე, მის ახალგაზრდებზე, ოლიმპიადების მნიშვნელობაზე და იმ პერსპექტივაზე, რასაც ძველბერძნული თამაშების აღდგენა შეუქმნიდა ამ პატარა და გმირულ ქვეყანას მთელს მსოფლიოში.

— სულ რაღაც ექვსი ათეული წლის წინ საბერძნეთის არსებობა თითქმის აღარავის ახსოვდა. ახლა კი, პოი, რა დიდებული შანსი გაჩნდა გაახსენოთ თავი მსოფლიოს, გაახსენოთ ყველას თქვენი უკვდავი მეცნიერება და კულტურა. მე მწამს და მჯერა ახალი საბერძნეთის! — ამ სიტყვებით დაამთავრა საუბარი კუბერტენმა.

— მე კი, — შესძახა პრინცმა — მჯერა ოლიმპიური თამაშების!

ამ საუბარმა გადაწყვიტა ათენის ოლიმპიადის ბედი. რამდენიმე დღის შემდეგ პრინცმა სასახლეში მიიხმო პრემიერ-მინისტრი და განუცხადა, რომ ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი ოფიციალურად აღიარა.

დრო უქმად არც კუბერტენს დაუკარგავს, სულ რაღაც ერთ კვირაში მან საქმიანი კონტაქტები დაამყარა პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეებთან, მწერლებთან, მსახიობებთან, ესტუმრა ათენის მთავარი გაზეთების რედაქციებს და საინტერესო ლექცია წაიკითხა პარნასის ლიტერატურულ სალონში თემაზე — „სპორტი თანამედროვე ყოფასა და ოლიმპიურ თამაშებში“. ამ ლექციის შემდეგ ოლიმპიადის მომხრეთა რიცხვი ათენში ერთიორად გაიზარდა.

კუბერტენის წასვლის შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთი იერიში მიიტანა ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტზე. პრინცმა კონსტანტინემ გადაახალისა კომიტეტის შემადგენლობა და თვითონ ჩაუდგა მას სათავეში, გენერალურ მდივნად კი ათენის მერი ფილემონი დანიშნა.

პრემიერ-მინისტრმა მეფეს ულტიმატუმი წაუყენა:

— თქვენო უდიდებულესობავ! ბოლოს და ბოლოს, უნდა მოხდეს არჩევანი მთავრობის ხელმძღვანელსა და პრინცს შორის.

მეფემ ტახტის მემკვიდრეს დაუჭირა მხარი და პრემიერ-მინისტრმა პოსტი დატოვა. ოლიმპიადას უკანასკნელი მტერი ჩამოეცალა გზიდან.

სულ მალე წარმატებით გადაწყდა თამაშების დაფინანსების პრობლემაც. ჯერ იყო და საორგანიზაციო კომიტეტის სალაროში დიდძალი შეწირულობა შევიდა საბერძნეთის თითქმის ყველა კუთხიდან (უცხოეთიდან დახმარების მიღებაზე ბერძნებმა კატეგორიული უარი თქვეს), მერე საფოსტო მარკების კოლექციონერთა სრულიად ბერძნული ასოციაციის თავმჯდომარის საკაროფოსის თაოსნობამ იმძლავრა. მსოფლიოში პირველი ოლიმპიური მარკების გამოშვებამ საბოლოოდ გაუმაგრა ზურგი საორგანიზაციო კომიტეტს. ეს რომ კუბერტენმა გაიგო, შვებით ამოისუნთქა:

— ახლა კი ეჭვი აღარ მეპარება წარმატებაში!

ბოლოს, ალექსანდრიაში მცხოვრებმა ბერძენმა მეცენატმა გეორგიოს ავეროფამ მილიონი დრაჰმა შესწირა საორგანიზაციო კომიტეტს მარმარილოს სტადიონის რეკონსტრუქციისათვის.

თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშების გამართვა დროის საქმე იყო მხოლოდ.

# „ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა“

*ქართული* სპორტის ისტორია ქართველი ხალხის ისტორიის ნაწილია და სათავეს, ბუნებრივია, მის წიაღშივე იღებს. ცნობილია, რომ ქართველური ტომები ჯერ კიდევ 2500 წლის წინ მონათმფლობელურ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ, სადაც სპორტი ადამიანთა სამხედრო ფიზიკური მომზადების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა. უფრო ადრე, დაახლოებით 3500 წლის წინ ჭიდაობა, როგორც სპორტი, ქართული ზეპირსიტყვიერების უძველეს ძეგლში „ამირანიანშია“ მოხსენიებული. საინტერესოა, რომ ამ ეპოსის მთავარი გმირი — ამირანი შუმერთა მეფის გილგამეშისა და ბერძნული პრომეთეს ქართულ ნაირსახეობას წარმოადგენს და, ამდენად, საკმაოდ არის გავრცელებული ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ეპოსში.

ბერძნულ ოლიმპიურ თამაშებში ქართველთა მონაწილეობა დღესდღეობით ისტორიულად დასაბუთებული არ არის, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ თავად ქართველები, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ელინთა ოლიმპიადების მსგავს სპორტულ თამაშებს მართავდნენ. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ოლიმპიზმის სული ანტიკური პერიოდის საქართველოსთვის უცხო ან მიუღებელი არ ყოფილა.

ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა ნაწერები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან საქართველოში გავრცელებულ სპორტის სახეობებზე და ამ ძირძველ წყაროებზე დაყრდნობით მტკიცდება, რომ ჩვენს მიწა-წყალზე




ჩოგანბურთი საქართველოში. დონ კრისტოფორო დე კასტელი. XVII ს.

მუდამ პოპულარული იყო ჭიდაობა და ფარიკაობა, ლელობურთი და დოლი, ჩოგანბურთი, ისინდი, ყაბახი, თარჩია, მოქნევა, ჩეხვა, მკერდაობა, მშვილდოსნობა, აგრეთვე მუშაითობა (იგივე თოკზე სიარული ანუ აკრობატიკა), ნადირობა, მთამსვლელობა, ნიჩბოსნობა,

სხვადასხვა მოძრავი თამაშობანი (მათ შორის, წმინდა ქართული ლახტაობა), ჭადრაკი, განჯაფა, ნარდი, ყომარი...

სპორტული თემატიკა სხვადასხვა პროპორციითაა წარმოდგენილი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში", მოსე



ქართველ ცხენოსანთა ჯგუფი. აშშ 1898 წ.

ხონელის „ამირანდარეჯანიანში", მეფე პოეტების არჩილ ბაგრატიონისა და თეიმურაზ მეორის პოემებში, სულხან-საბა ორბელიანის ენციკლოპედიურ ლექსიკონში... ქართული ყოფის თავისებურებაზე, სპორტთან მის მჭიდრო კავშირზე საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე, იტალიელი მისიონერები კრისტოფორო კასტელი, არქანჯელო ლამბერტი, დიონიჯიო კარლი. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს იტალიელი მხატვარ-მისიონერის დონ კრისტოფორო დე კასტელის მოღვაწეობა საქართველოში (ჩამოვიდა 1628 წელს), მის მიერ შექმნილი ნახატების ციკლი, რომელიც ორ ალბომში გაერთიანდა. ერთი ალბომი კასტელის იტალიაში დაბრუნებისას დაიკარგა, მეორე კი დაცულია პალერმოს კომუნალურ ბიბლიოთეკაში და ხუთასზე მეტ ნახატს შეიცავს. კასტელის ჩანახატები და მათზე გაკეთებული მინაწერე-[illegible]ცას ცნობებს იძლევა XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების თაობაზე. ყურადღებას იპყრობს სპორტული თემატიკისადმი მიძღვნილი ჩანახატები — „ყაბახი", „ჩოგანბურთი", „ჩოგნით მობურთალი ქალი", „ნიშანში სროლა", „ნადირობა" და სხვა.

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე სპორტისადმი ინტერესის ზრდის მკაფიო მაგალითი გახლავთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, უმთავრესად კი თბილისში ამოქმედებული რამდენიმე სტაციონალური სპორტული ბაზა. ესაა, პირველ რიგში, თბილისის ველოტრეკი (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩაზე), იპოდრომი (უფრო სწორად, საჯირითო ახლანდელი სადგურის ტერიტორიაზე), ვაკის რაიონის სივრცეები — ტანმოვარჯიშეთა და მობურთალთა შეკრების საყვარელი ადგილები.

და მაინც, გასული საუკუნის თბილისის საყვარელი სპორტი (და არა მარტო თბილისის) ჭიდაობა იყო. ქალაქიც, ბუნებრივია, მოფენილი გახლდათ საჭიდაო წრეებით (სარბიელებით), უძველესი საჭიდაო არენა მთაწმინდაზე ყოფილა მოწყობილი. აქ ცნობილი ფალავნების ჭიდაობის სანახავად ხშირად ადიოდა ქართული პოეზიის კლასიკოსი გრიგოლ ორბელიანი. საჭიდაო წრე იყო გაშლილი ცენტრალური სტადიონის წინამდებარე ტერიტორიაზე, ყოფილ „იტალიელთა ბაღში", დიდუბის ეკლესიის უკან, ნაძალადევში, მახათას მთაზე, ორთაჭალაში, ფიქრის გორაზე...

დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორია ტანმოვარჯიშეებს ჰქონდათ „დაპყრობილი". აქ ეწყობოდა მასობრივი სპორტული სანახაობანი, გიმნასტიკური გამოსვლები. თბილისის სხვადასხვა რაიონში უხვად ყოფილა საფეხბურთო მოედნები. ამ სპორტს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა არა მარტო დედაქალაქში, არამედ ზღვისპირა ქალაქებში — ფოთში, ბათუმში, სოხუმში, აგრეთვე, ქუთაისში. გასულ საუკუნეში



ჭიდაობა სამეგრელოში. წრეში მარჯვნივ — ნესტორ ესებუა. XIX ს 90-იანი წლები

ქალაქური ყოფის განუმეორებელ კოლორიტს ქმნიდნენ სხვადასხვა საეკლესიო და საერო დღესასწაულები, რომელთა გვირგვინს მუდამ, როგორც წესი, ხან მოჭიდავეთა ტურნირი წარმოადგენდა, ხან კი ხალხმრავალი შეჯიბრება მუშტი-კრივში.

კალათბურთი 20-იანი წლების მიჯნაზე ენთუზიასტ-

თა ერთმა ჯგუფმა შემოიტანა ჩვენში, მაგრამ, როგორც შემდგომში გაირკვა, სპორტის ამ სახეობას თბილისში ჯერ კიდევ 1901 წელს იცნობდნენ (შეგახსენებთ, რომ კალათბურთი ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ კოლეჯში 1891 წელს გამოიგონა ჯეიმს ნეისმიტმა).




აფიშა. 1914 წ.

1901 წელს ქალაქის მეორე გიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებელმა, წარმოშობით ჩეხმა ა. სკოტაკმა დასტამბა საკმაოდ ორიგინალური და სასარგებლო ნაშრომი „ტანვარჯიშული თამაშები", რომლის ერთ-ერთი თავი — „დიდი ბურთით თამაში" სწორედ კალათბურთის სწავლებას ეხება. სხვათა შორის, ეს წიგნი პირველი საკალათბურთო გამოცემაა რუსეთის მთელს იმპერიაში. ყოველ შემთხვევაში, მასზე უფრო ძველი წერილობითი წყარო კალათბურთზე არ არის მოკვლეული.

მთებისა და მიუვალ მწვერვალთა საიდუმლოება მუდამ აფორიაქებდა ქართველი კაცის ბუნებას, მის ინტერესებსა და ცნობისმოყვარეობას. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ საქართველო იმთავითვე ალპინიზმის კლასიკურ ქვეყნად იყო მიჩნეული. 1923 წლის 28 აგვისტოს საქართველოს მთამსვლელთა ერთმა ჯგუფმა ქართული უნივერსიტეტის პროფესორის გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოაწყო ასვლა ევროპის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალ მყინვარწვერზე. ამ პირველი ასვლის ზუსტად კვირისთავზე მყინვარწვერი ჩვენი მთამსვლელების მეორე ჯგუფმა — საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიციამ დალაშქრა პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით. ეს ორი ასვლა საფუძვლად დაედო საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას. სხვათა შორის, პირველი ალპინისტური ორგანიზაცია სსრკ-ში სწორედ საქართველოში შეიქმნა 1924 წელს, თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კაბინეტისა და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ბაზაზე.

ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და კრიტიკოსი, ღრმად განსწავლული მწერალი და საზოგადო მოღვაწე გერონტი ქიქოძე ჯერ კიდევ 1915 წელს წერდა: „არა მარტო კულტურული აღორძინებისა და ძლიერების ხანაში, არამედ შემდეგაც, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველები ფიზიკურ ვარჯიშობასა და თამაშობებს... ევროპელი ერები ერთმანეთში სესხულობენ სპორტისა და გიმნასტიკის ფორმებს. ჩვენ სესხება არ გვესაჭიროება. ჩვენ მოგვეპოვება მთელი განძი ეროვნულ ვარჯიშობათა და თამაშობათა, რომლებიც დავიწყებული არიან და აღდგენას ელიან. მათი აღდგენა ახალ ფერს შეიტანს ჩვენს ეროვნულ კულტურაში, ჩვენს სხეულს კი ადრინდელ სილამაზესა და სიჯანსაღეს დაუბრუნებს..."

სწორი აზრია, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა, მაგრამ ისიც გასაგებია, რომ უცხოეთიდან მოსულმა ახალმა სიომ ჩვენში მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ეს, სხვათა შორის, ეპოქის სულისკვეთების გამოხატვა გახლდათ. XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ერთ-ერთი ასეთი სიახლე საქართველოში გიმნასტიკა იყო (ასე ეწოდებოდა მაშინ ყველაფერს, ტანვარჯიშთან დაკავშირებულს), რომელსაც პოპულარიზაციას უწევდნენ გიმნაზიებში მოღვაწე ჩეხი ენთუზიასტები ანტონ ლუკეშისა და იულეს გრუმლეკის მეთაურობით. ეს იყო სოკოლისტური ტანვარჯიშის აღზევების პერიოდი.

„სოკოლის" ტანვარჯიშულ ორგანიზაციას რუსეთში, როგორც წესი, მეფის მოხელეები წარმართავდნენ. ისინი კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ პეტერბურგში ჩეხური „სოკოლის" გახსნისა, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ ავსტრიის საწინააღმდეგო ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები (ჩეხები და სლოვაკები კი სწორედ ასეთ ხაზს ატარებდნენ) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ პატარა ერებშიც ანალოგიურ განწყობილებას გამოიწვევდა. ამის გამო საქართველოში ჯერ კიდევ 1889 წელს დაარსებულმა საზოგადოებამ ვერ მიიღო „სოკოლის" სახელი. იგი „თბილისის ტანვარჯი-



გიორგი ნიკოლაძე რბოლაზე. არალი. 1912 წ.

შის საზოგადოებად" იწოდებოდა. ეს გახლდათ რუსეთის იმპერიაში დაარსებული ერთ-ერთი პირველი ტანვარჯიშული საზოგადოება. „სოკოლის" სახელწოდება ამ ორგანიზაციამ მხოლოდ 1907 წელს მიიღო.

1917 წელს გაიოზ ბერელაშვილი და დათა ჯავრიშვილი თბილისში ტანვარჯიშულ საზოგადოებას — „ამირანს" აფუძნებენ. ერთი წლის შემდეგ უკრაინიდან სამშობლოში ბრუნდება გიორგი ნიკოლაძე, რომელიც გაიოზ ბერელაშვილსა და დათა ჯავრიშვილს საინტერესო წინადადებით მიმართავს: „ამირანისა" და თბილისში არსებული „სოკოლის" (ვარჯიშთავი გიორგი ეგნატაშვილი) გაერთიანების საფუძველზე შექმნან

ყოველგვარი გავლენისგან თავისუფალი, აპოლიტიკური, მთავრობისგან დამოუკიდებელი ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი". ამ იდეას უმრავლესობამ მხარი დაუჭირა და 1918 წლის 25 აგვისტოს შეიქმნა ქართული „შევარდენი", რომელმაც საკმაოდ დიდი როლი შეასრულა ერის ერთიანობის (ფიზიკურ და სულიერ) განმტკიცებაში. სამწუხაროდ, 1922 წლის 3 ნოემბერს საქართველოს რევოლუციურმა მთავრობამ „შევარდენი" გაუქმებულად გამოაცხადა...

ქართული სპორტის განვითარებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა 1918-1921 წლებში, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ფიზიკური აღზრდა და სპორტი სავალდებულო სასწავლო საგანი გახდა დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, პირველ რიგში კი თბილისის უნივერსიტეტში. მაგრამ ეს პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა.

რას წარმოადგენს ქართული სპორტი და რას ეყრდნობა მისი ძლიერება?

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის სპორტული ორგანიზაციები საერთაშორისო ფედერაციებში გაერთიანდნენ ომისშემდგომ წლებში.

ქართული სპორტიც ამ პერიოდიდან გადის საერთაშორისო ასპარეზზე (1946 წელს ევროპის ერთ-ერთი პირველი ჩემპიონი გახდა მძლეოსანი ნინო დუმბაძე, 1947 წელს კი კალათბურთში კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ). მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე არაფერი ჰქონდა ხელშესახები ქართულ სპორტს.

და 88 [illegible]ტიმეტრით გადააჭარბა ამერიკელ ტომპსონის მაჩვენებელს. 1936 წლის 27 ოქტომბერს თბილისში დიმიტრი იოსელიანი ადგილიდან 3 მეტრსა და 48,5 სანტიმეტრზე გადახტა, რაც ასევე მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგი იყო. მაგრამ ორივე ზემოთ მოყვანილ



ქართული კალათბურთის ფლაგმანი — თბილისის „სინათლე". პირველ რიგში (მარცხნიდან): ბორის გერასიმოვი, გიორგი ეგნატაშვილი (ხელმძღვანელი), ალექსანდრე ჭელიძე. დგანან: გიორგი საყვარელიძე, მიხეილ ცხვედაძე, ალექსანდრე დავიდოვი. 1924 წ.

შემთხვევაში რეკორდები გაუმჯობესდა მძლეოსნობის არაკლასიკურ სახეობებში. 1938 წლის 18 სექტემბერს კი ნინო დუმბაძემ მოსკოვში გამართულ ოსტატთა საკავშირო შეჯიბრებაზე ოფიციალური მსოფლიო რეკორდი წაართვა გერმანელ გიზელა მაუერმაიერს უკვე კლასიკურ (ოლიმპიურ) სახეობაში — ბადროს ტყორცნაში და აჩვენა 49,11 მ. (მაიერმაუერის რეკორდი იყო 48,31 მ). ნინო



„შევარდენის" გუნდი ფეხბურთის დელეგატები. თბილისი, 1922 წ.

აი, რამდენიმე მოკლე ომამდელი ინფორმაცია: საბჭოთა სპორტსმენების მიერ დამყარებული პირველი მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის თბილისელ მძლეოსანს ივანე სერგეევს. 1925 წლის 19 აგვისტოს მოსკოვში მან ხელყუმბარა ტყორცნა 75 მეტრსა და 80 სანტიმეტრზე

დუმბაძემ ამის შემდეგ კიდევ ექვსი შესწორება შეიტანა მსოფლიოს რეკორდების ცხრილში. მისი ბოლო მიღწევა (57,04 მ). 1952 წლითაა დათარიღებული.

ორმოცდაათიანი წლებიდან იწყება ჩვენი სპორტის ოლიმპიური ისტორიაც...



„მშვიდობის წინამძღვარი". ბრინჯაოს ქანდაკება. ავტორი — გიორგი შხვაცაბაია
ძეგლი აღიმართა ქალ ოლიმპიაში (საბერძნეთი) 1992 წლის 5 ივნისს.



რ. აბაშიძე

# ა

**აბაშიძე როსტომ**. დ. 23. 2. 1935 ბათუმში. *ბერძნულ-რომაული (კლასიკური) ჭიდაობა*. დაამთავრა საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1959). სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1950. სსრკ სამგზის ჩემპიონი (1957, 60, 62). სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1958, 62, 63). ახალგაზრდობის III საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების (მოსკოვი, 1957) ჩემპიონი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1964 წელს ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები (უმძიმესი წონა, 97 კგ) — V ადგილი. I წრე. პეტარ სუსიჩთან (იუგოსლავია) — ფრე. II წრე. ქულებით დაამარცხა ფერენც კიში (უნგრეთი), III წრე. პერ სვენსონთან (შვეცია) — ფრე, IV წრე. ქულებით დაამარცხა პეტერ იუტცელერი (შვეიცარია). დააგროვა 6 საჯარიმო ქულა და გამოეთიშა ასპარეზობას.

**აბრამია ეკა**. დ. 25. 8. 1979 თბილისში. *მხატვრული ტანვარჯიში*. საქართველოს ჩემპიონი (1994). ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 36,833 ქულა, XXV ადგილი.

**აბრამიშვილი ლევან**. დ. 27. 7. 1970 ბაკურიანში. *სამთო-სათხილამურო სპორტი, სლალომი*. დაამთავრა საქ. ფიზკულტურის ინსტიტუტი. სპორტში მეცადინეობს 1980-დან. საქართველოს ნაკრებშია 1983-დან. საქართველოს ჩემპიონი სლალომში. 1994 ლილეჰამერის ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშების მონაწილე. სლალომის ტრასაზე დაეცა და შეჯიბრება ვერ დაამთავრა.

**აბსოლუტური პირველობა**. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული ვლინდება: 1) სპორტის ერთი სახეობის ცალკეულ დისციპლინაში ნაჩვენები შედეგების შეჯამებით (მაგ. ტანვარჯიშში, ციგურაობაში), 2) სპორტსმენთა წონითი კატეგორიების მიუხედავად (მაგ. კრივი, ჭიდაობები). ოლიმპიურ თამაშებზე აბსოლუტური პირველობისთვის იბრძვიან: ტანმოვარჯიშეები — ქალები და ვაჟები, (ე. წ. ღია პირველობა). 1924 ზამთრის I ოლიმპიადაზე აბსოლუტური პირველობა მოციგურავეებმაც გაითამაშეს. აბსოლუტური (ღია) პირველობა იმართებოდა ძიუდოისტთა შორისაც.

**ავსტრალია**. სახელმწიფო, რომელსაც უკავია მთელი ავსტრალიის მატერიკი, ტასმანია და სხვა მრავალი კუნძული. ტერიტორია — 7,7 მლნ. კვ. კმ. მოსახლეობა — 18 მლნ. უმთავრესად ინგლისელი, ირლანდიელი და შოტლანდიელი ემიგრანტებისაგან შემდგარი, რომლებმაც შექმნეს ინგლის-ავსტრალიის ერი. ცხოვრობენ ემიგრანტები ევროპის სხვა ქვეყნებიდანაც. ადგილობრივი მოსახლეობა (მეტისების ჩათვლით) არ აღემატება 250 ათასს. დედაქალაქი — კანბერა (284 ათასი). სახელმწიფო ენა — ინგლისური. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი — ქრისტიანები. პირველი ევროპელები, რომლებმაც აღმოაჩინეს და ნაწილობრივ შეისწავლეს ავსტრალია, ჰოლანდიელი ზღვაოსნები იყვნენ: ვ. იანცი (1605) და ა. ტასმანი (1642).

სპორტის საქმეებს განაგებს სპორტის საქმეთა სახელმწიფო საბჭო. ავსტრალიის ოლიმპიური ფედერაცია (კომიტეტი) შეიქმნა 1895. ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ ყველა ოლიმპიურ თამაშებში. 1908 და 1912 ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ შეადგინეს ერთი გაერთიანებული ოლიმპიური გუნდი, რომელსაც ავსტრალაზია უწოდეს. 1956 XVI ოლიმპიურ თამაშებს ამ ქვეყნის ერთ-ერთმა უდიდესმა ქალაქმა — მელბურნმა უმასპინძლა. პირველი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელია მძლეოსანი ე. ფლეკი, რომელმაც 1896 ათენში 800 და 1500 მეტრზე რბენა მოიგო.

ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1896 | 2 | - | - | 2 |
| 1900 | 2 | - | 4 | 6 |
| 1906 | - | - | 3 | 3 |
| 1908 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1912 | 1 | 2 | 2 | 5 |
| 1920 | - | 2 | 1 | 3 |
| 1924 | 3 | 1 | 2 | 6 |
| 1928 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1932 | 3 | 1 | 1 | 5 |
| 1936 | - | - | 1 | 1 |
| 1948 | 2 | 6 | 5 | 13 |
| 1952 | 6 | 2 | 3 | 11 |
| 1956 | 13 | 8 | 14 | 35 |
| 1960 | 8 | 8 | 6 | 22 |
| 1964 | 6 | 2 | 10 | 18 |
| 1968 | 5 | 7 | 5 | 17 |
| 1972 | 8 | 7 | 2 | 17 |
| 1976 | - | 1 | 4 | 5 |
| 1980 | 2 | 2 | 5 | 9 |
| 1984 | 4 | 8 | 12 | 24 |
| 1988 | 3 | 6 | 5 | 14 |
| 1992 | 7 | 9 | 11 | 27 |
| 1996 | 9 | 9 | 23 | 41 |
| სულ | 86 | 85 | 121 | 292 |

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1994 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |

**ავსტრია**. სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში. ტერიტორია — 83, 8 ათასი კვ. კმ მოსახლეობა — 8 მლნ. მათ შორის 98 პროცენტი ავსტრიელია. ცხოვრობენ ხორვატებიც, სლოვენებიც, ჩეხებიც, უნგრელებიც. დედაქალაქი — ვენა (1, 5 მლნ.). სახელმწიფო ენა — გერმანული. მორწმუნეთა 84 პროცენტი კათოლიკეა, 6 პროცენტი — პროტესტანტი. ავსტრიის რესპუბლიკა შეიქმნა 1918 ნოემბერს ავსტრია-უნგრეთის მონარქიის დაშლის შემდეგ.

სპორტის საქმეებს განაგებს ფედერალური სპორტული ორგანიზაცია. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1912. პირველი ავსტრიელი ოლიმპიური ჩემპიონი პ. ნოიმანია, რომელმაც 1896 ოქროს მედალი მოიპოვა 500 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში.

ავსტრიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1896 | 2 | 1 | 2 | 5 |
| 1900 | - | 3 | 3 | 6 |
| 1904 | 1 | 1 | 1 | 3 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1906 | 3 | 3 | 2 | 8 |
| 1908 | - | - | 1 | 1 |
| 1912 | - | 2 | 2 | 4 |
| 1924 | - | 3 | 1 | 4 |
| 1928 | 2 | - | 1 | 3 |
| 1932 | 1 | 1 | 3 | 5 |
| 1936 | 4 | 6 | 3 | 13 |
| 1948 | 1 | - | 3 | 4 |
| 1952 | - | 1 | 1 | 2 |
| 1956 | - | - | 2 | 2 |
| 1960 | 1 | 1 | - | 2 |
| 1968 | - | 2 | 2 | 4 |
| 1972 | - | 1 | 2 | 3 |
| 1976 | - | - | 1 | 1 |
| 1980 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1984 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 1988 | 1 | - | - | 1 |
| 1992 | - | 2 | - | 2 |
| 1996 | - | 1 | 2 | 3 |
| **სულ** | **18** | **31** | **34** | **83** |

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1924 | 2 | 1 | - | 3 |
| 1928 | - | 3 | 1 | 4 |
| 1932 | 1 | 1 | - | 2 |
| 1936 | 1 | 1 | 2 | 4 |
| 1948 | 1 | 3 | 4 | 8 |
| 1952 | 2 | 4 | 2 | 8 |
| 1956 | 4 | 3 | 4 | 11 |
| 1960 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 1964 | 4 | 5 | 3 | 12 |
| 1968 | 3 | 4 | 4 | 11 |
| 1972 | 1 | 2 | 2 | 5 |
| 1976 | 2 | 2 | 2 | 6 |
| 1980 | 3 | 2 | 2 | 7 |
| 1984 | - | - | 1 | 1 |
| 1988 | 3 | 5 | 2 | 10 |
| 1992 | 6 | 7 | 8 | 21 |
| 1994 | 2 | 3 | 4 | 9 |
| **სულ** | **36** | **48** | **44** | **128** |

ავსტრიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ზამთრის სპორტი. თეთრ ოლიმპიადას ორჯერ ამ ქვეყნის სამთო კურორტი ინსბრუკი მასპინძლობდა (1964, 1976). ავსტრიელ სპორტსმენებს ბევრი ჯილდო აქვთ მოპოვებული სამთო-სათხილამურო დისციპლინებში.

**ავღანეთი**. სახელმწიფო შუა აღმოსავლეთში. ტერიტორია 652, 2 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 18 მლნ. დაახლოებით 1, 5 მლნ ადამიანი მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. დედაქალაქი — ქაბული (1,4 მლნ). სახელმწიფო ენები — პუშტუ და დარი. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სუნიტური მიმდინარეობის ისლამს აღიარებს.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1935 წელს, 1936 წლიდან სოკ-ის წევრია. მონაწილეობდა ზაფხულის ხუთ ოლიმპიადაში. მედალი არ მოუპოვებია.

**აზარაშვილი მაია**. დ. 6. 4. 1964 თბილისში, *მძლეოსნობა, სპრინტი*. უმაღლესი განათლებით. ჩვენი ქვეყნის ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მორბენალი მოკლე მანძილებზე. სსრ კავშირის ჩემპიონი 200 მ რბენაში, კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი (1986, 200 მ), ორი ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1988 სეულის XXIV ოლიმპიადაზე მსოფლიოს უძლიერეს სპრინტერებთან ერთად, 200 მ რბენაში ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, საბოლოოდ კი VII ადგილი დაიკავა — 22, 33.

4 X 100 მესტაფეტაში საბჭოთა ნაკრებთან ერთად ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ფინალში არ ურბენია, მაგრამ როგორც წინასწარ გარბენებში მონაწილეს, შეჯიბრების წესების თანახმად, მედალი ეკუთვნოდა. მსაჯებმა შეცდომა მოგვიანებით გამოასწორეს და მაიას ოლიმპიური ბრინჯაო თბილისში გამოუგზავნეს.



მ.აზარაშვილი

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადაზე 200 მ წინასწარ გარბენში 23, 63 აჩვენა (ჯგუფში მეექვსე შედეგი) და მომდევნო ეტაპზე ვერ გაიდა.

**აზერბაიჯანი**. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ამჟამად — დამოუკიდებელი ქვეყანა. ტერიტორია — 86,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 7, 2 მლნ. დედაქალაქი — ბაქო. ოფიციალური ენა — აზერბაიჯანული.

1952-1988 წლების ოლიმპიურ თამაშებში (გარდა 1984 წლისა) სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში აზერბაიჯანელმა სპორტსმენებმა 9 ოქროს, 10 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს (პირადი და გუნდური შეჯიბრება), ბარსელონის XXV ოლიმპიადაში კი გაერთიანებულ გუნდს წარმოადგენდნენ და პირად შეჯიბრებაში ორი მედალი (ოქრო, ბრინჯაო) აიღეს.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1992 წელს, სოკ-მა აღიარა 1993 წელს. დამოუკიდებელი გუნდით გამოვიდა ლილეჰამერისა (მედალი არ აუღია) და ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1996 | | 1 | | 1 |
| **სულ** | | 1 | | 1 |

**აზიის თამაშების ფედერაცია** (AGF). შეიქმნა 13. 2. 1949 დელიში. დამფუძნებელი ქვეყნები: ავღანეთი, ბირმა, ინდოეთი, პაკისტანი და ფილიპინები. მიზნად ისახავს: აზიის თამაშების ორგანიზაციას, სამოყვარულო სპორტის პოპულარიზაციას რეგიონში, სხვა ქვეყნების მიმართ კეთილი ურთიერთობების დამკვიდრებას, ოლიმპიური იდეალებისადმი ერთგულებას.

ფედერაციის ოფიციალური ენა — ინგლისუ-

ავღანეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

აზერბაიჯანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

რი. შტაბ-ბინა — მორიგი კადით არჩეული პრეზიდენტის მშობლიურ ქალაქში.

**ათენი.** საბერძნეთის დედაქალაქი. ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი. მდებარეობს ატიკის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, ეგეოსის ზღვის მახლობლად. ათენის სახელწოდებას უკავშირებენ ქალაქის მფარველი ქალღმერთის ათენა პალადას სახელს.

ATHENS 2004

ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ემბლემა

პირველი დასახლებები თანამედროვე ათენის ტერიტორიაზე გაჩნდა ძველი წელთაღრიცხვის XVI-XIII საუკუნეებში. ათენი იყო ანტიკური საბერძნეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, ქალაქი-სახელმწიფო. ძველი წელთაღრიცხვის 146-დან რომის ქვეშევრდომი. IV საუკუნიდან შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში. 1204-1458 ათენი საჰერცოგოს დედაქალაქი გახდა. 1458-დან ეკუთვნოდა ოსმალეთს. საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების (1821-29) შემდეგ ქვეყნის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი, 1834-დან კი საბერძნეთის დედაქალაქია.



ათენის პირველი ოლიმპიური თამაშების მედალი

KOKSH

ალბანეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ათენში უხვადაა ანტიკური ხელოვნების ძეგლები, ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ნიმუშები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკროპოლისის ანსამბლი და მასში შემავალი ძეგლები (პროპილეონი, ნიკე, აპტეროსის ტაძარი, პართენონი), აგრეთვე, დიონისეს თეატრი, პერიკლეს ოდეონი, ზევსის ტაძარი, ჰეფესტეიონი, ჰეროდე ატიკელის თეატრი და ა. შ.



მ ალი

ათენში მოეწყო თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები (6-15 აპრილი, 1896), რომელმაც დასაბამი დაუდო XX საუკუნის ოლიმპიური მოძრაობის მთელს ისტორიას.

1997 წლის 5 სექტემბერს, ლოზანაში გამართულ სოკ-ის 106-ე სესიაზე ათენი 2004 წლის XXVIII ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად აირჩიეს.

**ათლეტი** (ბერძ. შეჯიბრების მონაწილე). თავდაპირველად ათლეტად მოიხსენიებდნენ ტანვარჯიშულ, მუსიკალურ თუ სხვა შეჯიბრებათა მონაწილეებს, მოგვიანებით — პროფესიონალ სპორტსმენებს. გამარჯვებულები საყოველთაო პატივისცემითა და განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ.

**აკბასი ჰუსეინ.** დ. 1933 ტოკატ არმუსში (თურქეთი). *თავისუფალი ჭიდაობა.* 50-60-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ათლეტი. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი (1954, 57, 59, 62) უმჩატეს და მჩატე წონებში. მელბრუნის XVI ოლიმპიადის (1956) ბრინჯაოს და ტოკიოს XVIII ოლიმპიადის (1964) ვერცხლის პრიზიორი. 1961 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მესამე იყო.

**აკერმანი როზმარი.** დ. 4. 4. 1952 ლოზაში (გდრ). პირველი *მძლეოსანი* ქალი მსოფლიოში, რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში გადალახა 2- მეტრიანი ზღვარი. ოქროს მედალი მოიპოვა 1976 მონრეალის XXI ოლიმპიურ თამაშებში (1, 93). ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის თასის მფლობელი. 1974-77 პერიოდში რამდენჯერმე გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი 1, 95-დან 2 მეტრამდე. მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი (1977).

**ალბანეთი.** სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 28,7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3,4 მლნ. 98 % — ალბანელია. დედაქალაქი — ტირანა (300 ათასი). სახელმწიფო ენა — ალბანური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1958 წელს, 1959 წლიდან სოკ-ის წევრია. მონაწილეობდა ზაფხულის სამ (1972, 1992, 1996) ოლიმპიადაში. მედალი არ აუღია.

**ალბერვილი.** სამთო კურორტი საფრანგეთის ალპებში. სპორტის ზამთრის სახეობათა ცენტრი. 1992 წლის 8-23 თებერვალს უმასპინძლა ზამთრის XVI ოლიმპიურ თამაშებს, რომელიც მრავალი მაჩვენებლით სარეკორდო ოლიმპიადად ითვლება.

**ალექსეევი ვასილ.** დ. 7. 1. 1942 რიაზანის ოლქის სოფელ პოკროვო-შიშკინოში. ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი *ძალოსანი.* პირველი ათლეტი, რომელმაც კლასიკური სამჭიდის ჯამში 600 კგ ზღვარი გადალახა. გააუმჯობესა 80 მსოფლიო რეკორდი. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მეორე მძიმე წონაში: 1972 აჩვენა 640 კგ (სამჭიდში), 1976 — 440 (ორჭიდში). მსოფლიოს ექვსგზის (1970, 71, 73, 74, 75 და 77) ჩემპიონი. რვაჯერ მოიგო ევროპის პირველობა (1970- 75, 77, 78). თვრამეტჯერ დაამყარა მსოფლიოს რეკორდი სამჭიდში.

**ალი მოჰამედ (კლეი კასიუს მარცელუს).** დ. 17. 1. 1942 ლუისვილი, კენტუკის შტატი, აშშ. ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი პროფესიონალი მოკრივე. მძიმე წონა. 1960 რომის XVII

ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ქვემძიმე წონაში პროფესიულ რინგზე 1961-დან. 1964-ში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი (მე-9 რაუნდში ნოკაუტით მოუგო სონი ლისტონს). ცხრაჯერ დაიცვა ჩემპიონის ტიტული: ს. ლისტონთან, ფ. პატერსონთან, ჯ. ჩუვალოსთან, ტ. კუპერთან, ბ. ლინდონთან, კ. მილდენბერგერთან, კ. უილიამსთან, ე. ფოლისთან და ე. ტერელთან. 1968 უარი თქვა ვიეტნამში საომრად გამგზავრებაზე, რისთვისაც ჩამოართვეს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული. 1974 დაიბრუნა იგი (მე-8 რაუნდში დაამარცხა ჯორჯ ფორმენი). 1978 იანვარში დამარცხდა ლეონ სპინქსთან და მეორედ დაკარგა ტიტული, მაგრამ იმავე წელს სექტემბერში, ასევე მეორედ დაიბრუნა (15-რაუნდიან ბრძოლაში, ქულებით დაამარცხა ლ. სპინქსი). პროფესიულ რინგზე ჩაატარა 53 შეხვედრა, მოიგო 50. მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი (1975)

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალზე ოლიმპიურ სტადიონზე მოჰამედ ალიმ აანთო ოლიმპიური ცეცხლი.

**ალჟირი**. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 2.382 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 28,3 მლნ, ძირითადად ალჟირელი არაბები (82 %), ნაწილობრივ ბერბერები. ცხოვრობენ აგრეთვე ევროპელები (80 ათასი), უპირატესად ფრანგები. დედაქალაქი — ალჟირი (გარეუბნებით — 3 მლნ). სახელმწიფო ენა — არაბული, გავრცელებულია აგრეთვე ფრანგული რელიგია — ისლამი. 1830 წლიდან 1962 წლამდე ალჟირი საფრანგეთის კოლონია იყო. 1962 წელს გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1963 წელს, 1964 წლიდან სოკ-ის წევრია. იმავე წლიდან მონაწილეობს ზაფხულის ოლიმპიადებში (გარდა 1976 წლისა), 1992 წლიდან — ზამთრის ოლიმპიადებში.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1984 | - | | 2 | 2 |
| 1992 | 1 | | 1 | 2 |
| 1996 | 2 | | 1 | 3 |
| სულ | 3 | | 4 | 7 |

**ამერიკის სამოა**. ჯგუფი კუნძულებისა სამოას არქიპელაგის აღმოსავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 195 კვ. კმ. მოსახლეობა — 87 ათასი. ადმინისტრაციული ცენტრი — პაგო-პაგო (30 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1987 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**ამერიკის შეერთებული შტატები**. სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში. ტერიტორია — 9 მილიონ 373 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 261,7მლნ. დედაქალაქი — ვაშინგტონი (623 ათასი). სახელმწიფო ენა — ინგლისური. რელიგია — პროტესტანტული და კათოლიკური.

სპორტის საქმეებს განაგებს მოყვარულ სპორტსმენთა კავშირი სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებების ეროვნულ სპორტულ ასოციაციებთან ერთად. ეს მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები, ამავე დროს, სრული ავტონომიით სარგებლობენ.

ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1895. მის შემადგენლობაში გაერთიანებულია 200-ზე მეტი სხვადასხვა ორგანიზაცია — კომიტეტის კოლექტიური წევრი. ამერიკელი პროფესორი უ. მ. სლოუნი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანია (1894).

აშშ-ს სპორტსმენები მონაწილეობდნენ ზაფხულისა (გარდა 1980 წლისა) და ზამთრის ყველა ოლიმპიადაში. თვით ამერიკის ტერიტორიაზე მოეწყო ზაფხულის ოთხი (სენტ-ლუისში, ორჯერ ლოს-ანჯელესში, ატლანტაში) და ზამთრის სამი (ორჯერ — ლეიკ-პლესიდში. ერთხელ-სკვოველში) თამაშები. ზაფხულის თამაშებში ამერიკელებს გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები აქვთ — არაერთხელ მოიგეს არაოფიციალური გუნდური პირველობა.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1896 | 11 | 7 | 1 | 19 |
| 1900 | 18 | 14 | 15 | 47 |
| 1904 | 78 | 84 | 82 | 244 |
| 1906 | 12 | 6 | 6 | 24 |
| 1908 | 23 | 12 | 12 | 47 |
| 1912 | 25 | 18 | 20 | 63 |
| 1920 | 41 | 26 | 26 | 93 |
| 1924 | 45 | 27 | 27 | 99 |
| 1928 | 22 | 18 | 16 | 56 |
| 1932 | 41 | 32 | 30 | 103 |
| 1936 | 24 | 20 | 12 | 56 |
| 1948 | 38 | 27 | 19 | 84 |
| 1952 | 40 | 19 | 17 | 76 |
| 1956 | 32 | 25 | 17 | 74 |
| 1960 | 34 | 21 | 16 | 71 |
| 1964 | 36 | 26 | 28 | 90 |
| 1968 | 45 | 28 | 34 | 107 |
| 1972 | 33 | 31 | 30 | 94 |
| 1976 | 34 | 35 | 25 | 94 |
| 1984 | 83 | 61 | 31 | 175 |
| 1988 | 36 | 31 | 27 | 94 |
| 1992 | 37 | 34 | 37 | 108 |
| 1996 | 44 | 32 | 25 | 101 |
| სულ | 832 | 634 | 553 | 2,019 |

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1920 | - | 1 | 1 | 2 |
| 1924 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1928 | 2 | 2 | 2 | 6 |
| 1932 | 6 | 4 | 2 | 12 |
| 1936 | 1 | - | 3 | 4 |
| 1948 | 3 | 4 | 2 | 9 |
| 1952 | 4 | 6 | 1 | 11 |
| 1956 | 2 | 3 | 2 | 7 |
| 1960 | 3 | 4 | 3 | 10 |
| 1964 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 1968 | 1 | 5 | 1 | 7 |
| 1972 | 3 | 2 | 3 | 8 |
| 1976 | 3 | 3 | 4 | 10 |
| 1980 | 6 | 4 | 2 | 12 |
| 1984 | 4 | 4 | - | 8 |
| 1988 | 2 | 1 | 3 | 6 |
| 1992 | 5 | 4 | 2 | 11 |
| 1994 | 6 | 5 | 2 | 13 |
| სულ | 53 | 56 | 37 | 146 |

**ამსტერდამი**. ნიდერლანდების (ჰოლანდიის) დედაქალაქი. მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტ-

ალჟირის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ამერიკის სამოას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა




ამსტერდამის IX ოლიმპიური თამაშების პლაკატი

ანგოლის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ანდორის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

რი, დიდი საზღვაო ნავსადგური. აქვს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა მდინარე ამსტელის დელტაში, ეისელმერის ყურესთან. ჩრდილოეთის ზღვას უკავშირდება არხებით, რომელთა სიმრავლის გამო ქალაქს „ჩრდილოეთის ვენეციას" უწოდებენ.

ამსტერდამი პირველად მოხსენიებულია 1275, როგორც მეთევზეთა სოფელი. ქალაქის სტატუსი 1300 მიიღო. XVII საუკუნის პირველ ნახევარში გახდა ვაჭრობისა და კრედიტის მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრი. 1795 დაიპყრო საფრანგეთმა და ბატავიის რესპუბლიკის დედაქალაქად გამოაცხადა. 1808-დან ჰოლანდიის სამეფოს დედაქალაქია.

ამსტერდამში 50-მდე არხია და 500-მდე ხიდი. არქიტექტორულ ნაგებობათაგან აღსანიშნავია გოტიკური ეკლესიები, მეფის სასახლე, სახელმწიფო მუზეუმის და ცენტრალური ვაგზლის შენობები, რემბრანდტის სახლი, ბირჟის შენობა და სხვ.

ამსტერდამში მოეწყო IX ოლიმპიური თამაშები (1928, 17 მაისი — 12 აგვისტო). კალენდრის ხანგრძლივობით მეხუთეა „მარათონულ ოლიმპიადებს" შორის — 2 თვე და 26 დღე. აქ პირველად მიეცათ წინადადება სპორტის საერთაშორისო ფედერაციებს, რომ ოლიმპიადების წელს მსოფლიოს ჩემპიონატები არ გამართონ.

**ანგოლა.** სახელმწიფო აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 1.247 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 10,1 მლნ. დედაქალაქი — ლუანდა (1,5 მლნ). ოფიციალური ენა — პორტუგალიური. მოსახლეობის ნახევარი აღიარებს ანიმისტურ კულტებს. გავრცელებულია აგრეთვე ქრისტიანობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1979 წელს, 1980 წლიდან სოკ-ის წევრია. იმავე წლიდან მონაწილეობს ზაფხულის (1984 წლის გარდა) ოლიმპიურ თამაშებში. მედალი არ აუღია.

**ანდერბერგი ოლე.** დ. 13.3.1919 ლანდსკრუნში, შვეცია. 40-50-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო *მოჭიდავე*. გამოდიოდა როგორც



ო. ანდერბერგი



ა. ანდრიანოვი

თავისუფალ, ისე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. 1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (მსუბუქი წონა). 1948 ლონდონის XIV ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (ქვემსუბუქი წონა). იყო მსოფლიოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ (1950) და თავისუფალ (1951) ჭიდაობაში. მოგებული აქვს ევროპის ჩემპიონატებიც ბერძნულ-რომაულ (1947) და თავისუფალ (1949) ჭიდაობაში.

**ანდორა.** სახელმწიფო სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში, მდებარეობს საფრანგეთსა და ესპანეთს შორის. ტერიტორია — 467 კვ. კმ (ყველაზე დიდი — ჯუჯა სახელმწიფოებში). მოსახლეობა — 62 ათასი, აქედან ძირძველი მაცხოვრებლები — 12, 9 ათასი. დედაქალაქი — ანდორა-ლა-ველია (22 ათასი). სახელმწიფო ენა — კატალანური, თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ფრანგულით და ესპანური. მორწმუნეთა უმრავლესობა — კათოლიკეები

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1971 წელს, 1975 წლიდან სოკ-ის წევრია. 1976 წლიდან მონაწილეობდნენ ზაფხულისა და ზამთრის ყველა ოლიმპიადაში. მედალი არ აუღიათ.

**ანდრიანოვი ნიკოლაი.** დ. 14. 11. 1952 ვლადიმირში. *ტანმოვარჯიშე*. 15 ოლიმპიური მედლის მფლობელი, შვიდგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მონრეალის 1976 წლის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის მრავალ ჩემპიონატში გამარჯვებული.

**ანკეტილი ჟაკ.** დ. 8. 1. 1934 მონ-სენტ-ენიანში, საფრანგეთი. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო პროფესიონალი ველოსიპედისტი. ხუთჯერ მოიგო „ტურ დე ფრანსი" (1957, 61-64). ეროვნებათა დიდი პრიზის ცხრაგზის მფლობელი. მოგებული აქვს აგრეთვე „ჯირო დ'იტალია" და „ვუელტა დ'ესპანია". ერთსაათიან რბოლაში მსოფლიოში პირველმა გადალახა 46 კმ. ზღვარი — 46, 159 კმ. (1956). 1952 ჰელსინკის XVII ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი გუნდურ საგზატკეცილო რბოლაში.

**ანფილოგოვი ალექსანდრე.** დ. 18. 1. 1954 თბილისში. *ხელბურთი.* დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1970. მსოფლიოს 1982 ჩემპიონი. 1978 მსოფლიოს ჩემპიონატში ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მონაწილეობა აქვს მიღებული ორ ოლიმპიადაში.

1976, მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშები — I ადგილი. ითამაშა 6 მატჩში, გაიტანა 13 გოლი, მათ შორის: 5 — იაპონიასთან, 2 — კანადასთან, 1 — იუგოსლავიასთან, 3 — დანიასთან, 2 — რუმინეთთან.

1980, მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები — II ადგილი. ჩაატარა 6 შეხვედრა, გაიტანა 29 გოლი (საუკეთესო მაჩვენებელი სსრკ ნაკრებში). მათ შორის: 4 — შვეიცარიასთან, 11 — ქუვეითთან, 3 — ალჟირთან, 4 — რუმინეთთან, 2 — იუგოსლავიასთან, 5 — გდრ-თან.

**ანტვერპენი.** ქალაქი ჩრდილოეთ ბელგიაში. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური. მდებარეობს მდინარე შელდის ნაპირსა და ალბერტის არხზე. მოსახლეობის რაოდენობით ქვეყნის მეორე ქალაქი ბრიუსელის შემდეგ. ბელგიის სავაჭრო და ფინანსიური ცენტრი.

ანტვერპენი 1837 დაანგრიეს ნორმანებმა. 1008 იხსენიება, როგორც გერმანიის მარკგრაფის რეზიდენცია. 1291 მიიღო ქალაქის სტატუსი. 1460 დაარსდა ანტვერპენის ცნობილი ბირჟა. ეკონომიკურ აღმავლობას მიაღწია XVI საუკუნის დამდეგს, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდში.

ანტვერპენში ბევრია ისტორიულად მნიშვნელოვანი ძეგლი, ნაგებობა, მუზეუმი და ადმინისტრაციული შენობა. 1920 გაიმართა VII ოლიმპიური თამაშები, რომელიც 20 აპრილს გაიხსნა და 145 დღის შემდეგ, 12 სექტემბერს დაიხურა. ანტვერპენის თამაშებზე არ დაუშვეს პირველი მსოფლიო ომის გამჩაღებელი ქვეყნები გერმანიის მეთაურობით. არ იყო მიპატიჟებული არც სსრკ. ანტვერპენის თამაშებზე პირველად აღიმართა ოლიმპიური დროშა, აგრეთვე, პირველად წარმოითქვა სპორტსმენთა ფიცის სიტყვები.

**ანტიგუა და ბარბუდა.** სახელმწიფო ანტიგუას, ბარბუდას და რედონდას კუნძულებზე, რომლებიც შედიან მცირე ანტილიის კუნძულების არქიპელაგში (კარიბის ზღვაში). საერთო ტერიტორია — 441 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 83 ათასი, ძირითადად — აფრიკული წარმოშობის. დედაქალაქი — სენტ-ჯონსი (36 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური. მორწმუნეთა უმრავლესობა — პროტესტანტები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1966 წელს, 1976 წლიდან სოკ-ის წევრია. ზაფხულის ოლიმპიადებში მონაწილეობს 1976 წლიდან. მედალი არ აუღია.



ნ. ანდრიანოვი

**ანტონსონი ბერტილ.** დ. 19. 7. 1921 ტროლჰეტანში, შვეცია. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი *მოჭიდავე* (თავისუფალი, ბერძნულ-რომაული სტილი), ორი ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში (1948, 52). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ სტილში (1950, 53). 1951 მსოფლიო ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაშიც. ორჯერ იყო ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1946, 49).

**არაბეთის გაერთიანებული საამიროები.** ფეოდალური სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში, სპარსეთის და ომანის ყურეების სანაპიროზე. ტერიტორია — 78 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 2. 382 მლნ. ძირითადად არაბები. ადგილობრივი მოსახლეობა 300 ათასს არ აღემატება. დედაქალაქი — აბუდაბი (720 ათასი). სახელმწიფო ენა — არაბული. რელიგია — სუნიტური მიმდინარეობის ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1979 წელს, 1980 წლიდან სოკ-ის წევრია.

**არაოფიციალური გუნდური ჩათვლა.** შედეგთა განსაზღვრის სისტემა, რომელსაც იყენებენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები თამაშების დამთავრების შემდეგ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ სცნობს ამ სისტემას (ამიტომაცაა არაოფიციალური), ვინაიდან ოლიმპიური ქარტიის თანახმად, თამაშები არის შეჯიბრება სპორტსმენებს და არა სახელმწიფოებს შორის. სხვადასხვა სახის შემაჯამებელი ცხრილების შედგენა დაიწყეს ლონდონის IV ოლიმპიური თამაშების შემდეგ (1908). თავდაპირველად ოქროს მედლისთვის ირიცხებოდა — 3, ვერცხლისთვის — 2 და ბრინჯაოსთვის — 1 ქულა. პარიზის VIII ოლიმპიადიდან (1924) პრაქტიკაში ინერგება ექვსი პრიზიორის განსაზღვრის სისტემა, სადაც პირველი ადგილი გულისხმობს 7, მეორე — 5, მესამე — 4 და ა. შ. ქულებს. ზოგჯერ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ოქროს მედლების რაოდენობას აღრიცხავენ და გუნდური ადგილებიც ამის შესაბამისად გამოჰყავთ.

**არგენტინის რესპუბლიკა.** სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 2,8 მილიონი კვ. კმ. მოსახლეობა — 34,6 მლნ. უმთავრესად ესპანური და იტალიური წარმოშობის არგენტინელები, აგრეთვე, ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული ემიგრანტები. XVI საუკუნეში არგენტინის ტერიტორიის დაპყრობისას ინდიელთა ტომები, ფაქტობრივად განყდნენ. ამჟამად ისინი მეტისებთან ერთად ცხოვრობენ ჩრდილოეთსა და სამხრეთში (650 ათასი კაცი). დედაქალაქი — ბუენოს-აირესი (12 მლნ.). სახელმწიფო ენა — ესპანური. ძირითადი რელიგია — კათოლიკური. არგენტინამ

ანტიგუა და ბარბუდის ოლიმპიური ასოციაციის ემბლემა

არაბეთის გაერთიანებული საამიროების ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

არგენტინის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა




ანტვერპენის VII ოლიმპიური თამაშების პლაკატი

დამოუკიდებლობა 1816 9 ივლისს გამოაცხადა.

სპორტის საქმეებს განაგებს სპორტის კონფედერაცია. მართალია, არგენტინის ოლიმპიური კომიტეტი 1927 შეიქმნა, ამ ქვეყნის წარმომადგენელმა, დოქტორმა ხ. ბ. სუბიაურმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებაში (1894). პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი არგენტინელებმა პოლოში მიიღეს (1924).

არუბის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1924 | 1 | 3 | 2 | 6 |
| 1928 | 3 | 3 | 1 | 7 |
| 1932 | 3 | 1 | - | 4 |
| 1936 | 2 | 2 | 3 | 7 |
| 1948 | 3 | 3 | 1 | 7 |
| 1952 | 1 | 2 | 2 | 5 |
| 1956 | - | 1 | 1 | 2 |
| 1960 | - | 1 | 1 | 2 |
| 1964 | - | 1 | - | 1 |
| 1968 | - | - | 2 | 2 |
| 1972 | - | 1 | - | 1 |
| 1998 | - | 1 | 1 | 2 |
| 1992 | - | - | 1 | 1 |
| 1996 | - | 2 | 1 | 3 |
| **სულ** | **13** | **21** | **16** | **50** |

**არუბა.** ნიდერლანდების მფლობელობა კარიბის ზღვის სამხრეთ ნაწილში. ტერიტორია — 193 კვ. კმ. მოსახლეობა — 78 ათასი, ძირითადად ზანგები და მულატები. ადმინისტრაციული ცენტრი — ორანიესტადი (25 ათასი). ოფიციალური ენა — ნიდერლანდური, გავრცელებულია ესპანური და ინგლისური ენები, აგრეთვე ადგილობრივი კრეოლური ენა (პაპიამენტო). რელიგია — კათოლიკური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1985 წელს, 1986 წლიდან სოკ-ის წევრია. 1988 წლიდან მონაწილეობს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში. მედალი არ აუღია.



ნ. ასათიანი

**ასათიანი ნუგზარ.** 16. 7. 1937 — 4. 4. 1992. *ფარიკაობა, ხმალი.* უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1951. ოთხი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე: ერთხელ გახდა ჩემპიონი (1965, გუნდურში), ორჯერ ვერცხლისა (1961, 63) და ერთხელ ბრინჯაოს (1962) პრიზიორი. იასპარეზა ორ ოლიმპიურ თამაშებში.

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები. პირადი ჩათვლა: 1-16 ფინალში — II ადგილი, 1-8 ფინალში — IV ადგილი, 1-4 ფინალში — V ადგილი. ამ ეტაპზე გამოეთიშა ასპარეზობას. გუნდურ ჩათვლაში სსრკ ნაკრები პირველსავე ეტაპზე დამარცხდა. ასათიანმა 4 ბრძოლა მოიგო, 2 — დათმო.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები — I ადგილი გუნდურ ჩათვლაში. ფინალამდე 7 ბრძოლა მოიგო, ორჯერ დამარცხდა. ფინალში იტალიასთან (სსრკ-მ მოიგო 9.6) ასათიანმა დაამარცხა ჩეზარე სალვადორი, ჯამპაოლო კალანჩინი, პიერლუიჯი ჩიკა, წააგო — ვლადიმირო კალარეზესთან.

**ატაშე ოლიმპიური.** შუამავალი ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტსა და ეოკ-ს შორის. მუდმივი კავშირი აქვს ორივე კომიტეტთან, აგვარებს სპორტსმენთა და ოლიმპიური დელეგაციის სხვა წევრთა სატრანსპორტო, საცხოვრებელ და სხვა პრობლემებს. ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას ითვლება შესაბამისი ეოკ-ის დელეგაციის წევრად. აუცილებელი არ არის, რომ ატაშე ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის მოქალაქე იყოს.

ატლანტის XXVI ოლიმპიადაზე საქართველოს ეოკ-ის ატაშე იყო ამერიკის მოქალაქე კელვინ პილი.

**ატლანტა.** ქალაქი აშშ-ს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ჯორჯიას შტატის ადმინისტრაციული ცენტრი. მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი, განვითარებული მანქანათმშენებლობით მთავარი დარგი — საავიაციო მრეწველობა.

ქალაქი დაარსდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. 1861-65-ში, სამოქალაქო ომის დროს მთლიანად დაინგრა. ხელახლა ააშენეს XIX საუკუნის ბოლოს და XX-ის დასაწყისში.

ატლანტა XXVI ოლიმპიური თამაშების (1996) დედაქალაქად დაასახელეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 96-ე სესიაზე (ტოკიო, 18. 9. 1990). ატლანტამ ოლიმპიურ ქალაქთა კონკურსში დაამარცხა ხუთი კონკურენტი — ათენი (საბერძნეთი), ტორონტო (კანადა), ბელგრადი (იუგოსლავია), მელბურნი (ავსტრალია) და მანჩესტერი (დიდი ბრიტანეთი). გამარჯვებულის გამოვლენას დასჭირდა კენჭისყრის ხუთი ტური. ბოლო ტურში ატლანტამ მიიღო 51 ხმა, ათენმა — 35.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიურ თამაშებში (19 ივლისი — 4 აგვისტო) 197 ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველოს ოლიმპიელებმა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენლებმა, ზაფხულის ოლიმპიადების ისტორიაში პირველად სწორედ ატლანტაში იასპარეზეს. საზეიმო გახსნის ცერემონიალზე ჩვენს სპორტულ დელეგაციას საქართველოს ეროვნული დროშით წინ მიუძღოდა მოკრივე გიორგი კანდელაკი.

**აფრიკის თამაშები.** რეგიონალური შეჯიბრება. ეწყობა სოკ-ის ეგიდით. ორგანიზატორი — აფრიკის სპორტის უმაღლესი საბჭო (დაფუძნებულია 1965). აფრიკის თამაშების პროგრამაშია: კალათბურთი, კრივი, ჭიდაობები, ველოსპორტი, ფრენბურთი, ხელბურთი, ძიუდო, მძლეოსნობა, ცურვა, ფეხბურთი და სხვ. პირველი თამაშების ორგანიზატორი იყო ბრაზავილი (კონგო).

**აფროსნობა.** იხ. საიალქნო სპორტი (გვ. 117).



ვ. აფციაური

**აფციაური ვლადიმერ.** დ. 4. 2. 1962 მანგლისში. *ფარიკაობა, რაპირა.* უმაღლესი განათლებით სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1976. სსრკ ჩემპიონი (1984). მსოფლიოს ჩემპიონი (1982) და ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი (1985, 90) გუნდურ ჩათვლაში. ევროპის ჩემპიონთა თასზე III ადგილი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში.

**ალიარება ოლიმპიური.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ) ალიარებს: 1. ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს (ეოკ), რაც საჭიროა ამ ქვეყნის მონაწილეობისთვის ოლიმპიურ თამაშებში; 2. საერთაშორისო სპორტულ ფედერაციას (გაერთიანებას), რაც საჭიროა ამ სახეობის ოლიმპიურ დისციპლინად გამოცხადებისთვის; 3. სპორტის ცალკეულ სახეობას, რაც საჭიროა მათი შეტანისთვის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ალიარებს მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც იზიარებენ და ეყრდნობიან ოლიმპიური ქარტიის პრინციპებს.

**ალიარებული ორგანიზაციები.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ალიარებული საერთაშორისო ორგანიზაციები: 1. ზაფხულის ოლიმპიურ სახეობათა საერთაშორისო ფედერაციათა ასოციაცია — ASOIF (შტაბ-ბინა მდებარეობს იტალიაში, პრეზიდენტი — პრიმო ნებიოლო); 2. ზამთრის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციების ასოციაცია — AIWF (შვეიცარია, მარკ პოდლერი); 3. სოკ-ის მიერ ალიარებული საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ასოციაცია — ARISF (აშშ, რონ ეროილიხი); 4. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაცია — ANOC (საფრანგეთი, მარიო ვასკეს რანია); 5. აფრიკის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაცია — ANOCA (კამერუნი; ჟან-კლოდ განგა); 6. ევროპის ოლიმპიური კომიტეტები — EOC (იტალია, ჟაკ როგი); 7. აზიის ოლიმპიური საბჭო — OCA (ქუვეითი, აჰმად ალ-ფაჰად ალ-საბა); 8. პანამერიკის სპორტული ორგანიზაციები — ODEPA (მექსიკა, მარიო ვასკეს რანია); 9. ოკეანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები — ONOC (ფიჯი, კევინ გოსპერი); 10. საერთაშორისო სპორტული ფედერაციების გენერალური ასოციაცია — AGFIS (მონაკო, უნ იონგ კიმი); 11. მსოფლიოს ოლიმპიური ასოციაცია — WOA (ავსტრალია, პეტერ მონტგომერი); 12. საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია — FISU (ბელგია, პრიმო ნებიოლო); 13 სამხედრო სპორტის საერთაშორისო საბჭო — CISM (ბელგია, არტურ ზეხნერი); 14. საპოლიციო სპორტის საერთაშორისო კავშირი — USIP (საფრანგეთი, აბდულ პამედი); 15. მსოფლიო თამაშების საერთაშორისო ასოციაცია — IWGA (პოლანდია, რონ ფროელიბი); 16. სპორტის საერთაშორისო ორგანიზაციათა საერთაშორისო ასამბლეა — IANOS (ავსტრალია, მან ლიპ ჩოი); 17. პარაოლიმპიური საერთაშორისო კომიტეტი — IPS (ბელგია, რობერტ დ. სტიდვორდი); 18. სპეციალური საერთაშორისო ოლიმპიადა — SOI (ვაშინგტონი, ტიმოთ შრაივერი); 19. საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია — AIO (საბერძნეთი, ფერნანდის სერპიერსი); 20. პიერ დე კუბერტენის საერთაშორისო კომიტეტი — CIPC (შვეიცარია, კონრადო დურანტესი); 21. პიერ დე კუბერტენის ინსტიტუტი, (ახალი ზელანდია, ვილსონ ობე); 22. ფეარ ფლეის (Fair-Play) საერთაშორისო კომიტეტი (საფრანგეთი, იანუშ პიევცევიჩი); 23. სპორტული მედიცინის საერთაშორისო ფედერაცია — FIMS (აშშ, ედუარდო ენრიკე დე როსე); 24. ოლიმპიურ მედიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია — IAOMO (აშშ, ფრანკ იორკ ლი); 25. სპორტული ნაწარმის ინდუსტრიის მსოფლიო ფედერაცია — WFSGI (შვეიცარია, სტივენ რუბინი); 26. ფრანს პრესის სააგენტო — AFP (საფრანგეთი); 27. ასოშიეტედ პრესი — AP (აშშ); 28. როიტერი — Reuters (დიდი ბრიტანეთი); 29. სპორტული ინფორმაციის საერთაშორისო ასოციაცია — IASI (ბელგია, გილ შისონი); 30. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაცია — AIPS (უნგრეთი, თოგაი ბაიათლი); 31. სპორტული ტელევიზიისა და კინოს საერთაშორისო ფედერაცია — FICTS (იტალია, ბრუნო ბენეკი); 32. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია — FIDE (შვეიცარია, კირსან ილუმჟინოვი); 33. მსოფლიო ბრიჯის ფედერაცია — WBF (საფრანგეთი, ჟოზე დამიანი).

**ახალი ზელანდია.** სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 268,7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3,6 მლნ. უმრავლესობა — ბრიტანეთიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები, რომლებმაც შექმნეს ინგლისელ-ახალზელანდიელთა ერი. ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა (მაორიელები მეტისებთან ერთად) 300 ათასს არ აღემატება. დედაქალაქი — ველინგტონი (400 ათასი). სახელმწიფო ენა — ინგლისური, რელიგია — ქრისტიანობა.

სპორტის საკითხებს განაგებს სპორტის სამინისტრო. ოლიმპიური ასოციაცია შეიქმნა 1911. პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი ამ ქვეყნის სპორტსმენთაგან მოკრივე ე. მორგანმა მოიპოვა (1928). ახალი ზელანდიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ ლ. ა. კაფმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებაში (1894).

ახალი ზელანდიის ოლიმპიური და თანამეგობრობის თამაშების ასოციაციის ემბლემა

ატლანტის XXVI ოლიმპიური თამაშების ემბლემა



ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშების ემბლემა

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1908 | - | - | 1 | 1 |
| 1912 | - | - | 1 | 1 |
| 1920 | - | - | 1 | 1 |
| 1924 | - | - | 1 | 1 |
| 1928 | 1 | - | - | 1 |
| 1932 | - | 1 | - | 1 |
| 1936 | 1 | - | - | 1 |
| 1952 | 1 | - | 2 | 3 |
| 1956 | 2 | - | - | 2 |
| 1960 | 2 | - | 1 | 3 |
| 1964 | 3 | - | 2 | 5 |
| 1968 | 1 | - | 2 | 3 |
| 1972 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 1976 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1984 | 8 | 1 | 2 | 11 |
| 1988 | 3 | 2 | 8 | 13 |
| 1992 | 1 | 4 | 5 | 10 |
| 1996 | 3 | 2 | 1 | 6 |
| სულ | 29 | 12 | 29 | 70 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1992 | | 1 | | 1 |
| სულ | | 1 | | 1 |

# ბ

**ბადმინტონი.** პირველად ოლიმპიადაზე გამოჩნდა 1972 წელს მიუნხენში, როგორც საჩვენებელი სახეობა. 1992 წლიდან შეტანილია ოლიმპიურ თამაშებში.

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| ინდონეზია | 3 | 3 | 3 | 9 |
| ჩინეთი | 1 | 2 | 6 | 9 |
| კორეა | 4 | 3 | 1 | 8 |
| მალაიზია | - | 1 | 2 | 3 |
| დანია | 1 | - | 1 | 2 |
| სულ | 9 | 9 | 13 | 31 |



ა. ბაიე-ლატური

**ბაიე-ლატური ანრი დე.** 1. 3. 1876 — 6. 1. 1942. ბელგიელი გრაფი. საერთაშორისო სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი. დაამთავრა ლიოვენის უნივერსიტეტი. გატაცებული იყო სპორტით. 20-იანი წლების დასაწყისიდან ბელგიის დიპლომატიური წარმომადგენელი ნიდერლანდებში.

1903 გახდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი. 1906 იყო ბელგიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1920 ანტვერპენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი.

პიერ დე კუბერტენის გადადგომის შემდეგ აირჩიეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად (1925). ამ პოსტზე დაპყო სიკვდილამდე ბერლინში XI ოლიმპიური თამაშების ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მაგრამ წინადადება ვერ გაიტანა. ბელგიის ანექსიის შემდეგ ფაშისტებმა მოუკლეს შვილი. ამ უბედურებამ უდიდესი სულიერი ტრავმა მიაყენა, ლოგინად ჩააგდო და ბოლოს გარდაიცვალა.

ანრი დე ბაიე-ლატური სოკ-ის პრეზიდენტი იყო 17 წლის მანძილზე (1925-42).

**ბალავაძე ვახტანგ.** დ. 20. 11. 1926 სამტრედიის რ-ნის სოფ. ლანირში. *თავისუფალი ჭიდაობა.* დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1951) და თბილისის სახელმწიფო უნივერ-



ვ. ბალავაძე

სიტეტი (1956). სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1944. სსრკ ხუთგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1952-55, 57) და სამბოში (1952). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1954, 57) და ვერცხლის პრიზიორი (1959). ახალგაზრდობის I საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ჩემპიონი (ბუქარესტი, 1953). ორი ოლიმპიური თამაშების მონაწილე. სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1960-70).

1956 მელბურნის XVI ოლიმპიადა (ქვესაშუალო წონა, 73 კგ) — III ადგილი. ქულებით მოუგო ტონო რანტანენს (ფინეთი), წმინდად (2,50) ალფრედ ტიშენდორფს (გფრ), ქულებით დამარცხდა ბაცუო იკედასთან (იაპონია), წმინდად (11, 45) მოუგო პერ ბერლინს, წმინდად (8, 03) დამარცხდა იბრაჰიმ ზენგინთან (თურქეთი).

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები (ქვესაშუალო წონა, 73 კგ) — XI ადგილი. ჩაატარა სამი შეხვედრა. ისმაილ ოგანთან (თურქეთი) დამარცხდა ქულებით, განდ უდეის (ინდოეთი) მოუგო ქულებით, მარტინ პაინცესთან (გდრ) — ფრე.

1996 დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

**ბალაში იოლანდა.** დ. 12. 12. 1936 ტიმიშოარაში (რუმინეთი). 50-60-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო *მძლეოსანი* (სიმაღლეზე მხტომელი) მსოფლიოში. ორჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი: 1960 რომში (1, 85 მ) და 1964 ტოკიოში (1, 90 მ). ევროპის ორგზის ჩემპიონი (1958, 62). თოთხმეტჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 1, 75-დან (1956) — 1, 91-მდე (1961).

**ბალახის ჰოკეი.** გუნდური თამაში, რომლის უძველეს წინაპარს ეგვიპტეში, სპარსეთში, საბერძნეთში, სამხრეთ ამერიკასა და იაპონიაში იცნობდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ევროპაში ბალახის ჰოკეისტთა კლუბები შეიქმნა XIX საუკუნეში (ერთ-ერთი პირველი — დიდ ბრიტანეთში).

ბალახის ჰოკეი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად 1908 შეიტანეს. ჩემპიონი მაშინ დიდი ბრიტანეთის გუნდი გახდა. ევროპის ჩემპიონატები ტარდება 1970-დან, მსოფლიოს — 1971-დან საქართველოს სპორტსმენებს ბალახის ჰოკეისტთა ოლიმპიურ ტურნირებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| ინდოეთი | 8 | 1 | 2 | 11 |
| ნიდერლანდები | 2 | 2 | 5 | 9 |
| პაკისტანი | 3 | 3 | 2 | 8 |
| დიდი ბრიტანეთი | 3 | 1 | 3 | 7 |
| ავსტრალია | 2 | 3 | 2 | 7 |
| გფრ | 1 | 3 | 1 | 5 |
| გერმანია | 1 | 2 | 1 | 4 |
| ესპანეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| კორეა | - | 2 | - | 2 |
| ახალი ზელანდია | 1 | - | - | 1 |
| ზიმბაბვე | 1 | - | - | 1 |
| დანია | - | 1 | - | 1 |
| დიდი ბრიტ.-ირლ. | - | 1 | - | 1 |
| იაპონია | - | 1 | - | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | - | 1 | - | 1 |
| ბელგია | - | - | 1 | 1 |
| საბჭოთა კავშირი | - | - | 1 | 1 |
| აშშ | - | - | 1 | 1 |
| შოტლანდია | - | - | 1 | 1 |
| უელსი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 23 | 23 | 24 | 70 |

**ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია** (FIH) შეიქმნა 1924 პარიზში. დამფუძნებლები: ავსტრია, ბელგია, უნგრეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია. ოფიციალური ენები — ინგლისური, ფრანგული, შტაბ-ბინა — პარიზში.

ფიჰ-ის შემადგენლობაში გაერთიანებული არიან: აზიის (შტაბ-ბინა ბენგალურუში, ინდოეთი), პანამერიკის (მანიტობაში, კანადა) და ევროპის (ბრიუსელში, ბელგია) საკონტინენტო ჯგუფები. უმაღლესი ორგანოა — კონგრესი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება. შექმნილია რამდენიმე მუდმივმოქმედი კომიტეტი: ქალთა, ტექნიკური, კოორდინაცია-პროპაგანდის, დარბაზებში თამაშის.

**ბალცო ანდრაშ.** დ. 16. 8. 1938 უნგრეთში. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი *ხუთჭიდელი*, ერთადერთი სპორტსმენი, რომელიც 3 ოლიმპიური ოქროს მფლობელია თანამედროვე ხუთჭიდში. 1960, რომი — გუნდური I, 1968, მეხიკო — გუნდური I, პირადი — II, 1972, მიუნხენი — პირადი I, გუნდური — II.

**ბანგლადეში.** სახელმწიფო სამხრეთ აზიური სუბკონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთში. ტერიტორია — 143,9 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 120 მლნ. 98 % — ბენგალები. დედაქალაქი — დაკა (3,6 მლნ). სახელმწიფო ენა — ბენგალი, გამოიყენება აგრეთვე ინგლისური. სახელმწიფო რელიგია — ისლამი (მორწმუნეთა 87 %).

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა

1979 წელს, 1980 წლიდან სოკ-ის წევრია. ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს 1984 წლიდან. მედალი არ აუღია.

**ბარბადოსი.** სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულზე მცირე ანტილიის კუნძულების არქიპელაგში, ატლანტის ოკეანეში. ტერიტორია — 430 კვ. კმ. მოსახლეობა — 300 ათასი. 91 % — ზანგები და მულატები, 5 % — თეთრკანიანები. დედაქალაქი — ბრიჯთაუნი (გარეუბნებით — 120 ათასი). მსხვილი საზღვაო პორტი. სახელმწიფო ენა — ინგლისური. მორწმუნეთა უმრავლესობა — პროტესტანტები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1955 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1960 | | | 2 | 2 |
| სულ | | | 2 | 2 |

**ბარკერის თასი.** გარდამავალი თასი, რომელსაც კრივის საერთაშორისო ფედერაცია გადასცემს ოლიმპიურ ტურნირში ტექნიკითა და ტაქტიკით გამორჩეულ სპორტსმენს. დააფუძნეს 1934 ინგლისის კრივის ასოციაციის ჩემპიონის (1891) ველ ბარკერის პატივსაცემად. ბარკერი 1917-29-ში ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი იყო, 1928-38-ში კი სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციის საპატიო მდივანი და პრეზიდენტი. პირველი თასი 1936 ბერლინის XVI ოლიმპიურ თამაშებზე გადაეცა უმჩატეს წონაში მესამე ადგილზე გასულ ლ. ლაურის (აშშ).

**ბარსელონა.** ქალაქი და ნავსადგური ჩრდილო-აღმოსავლეთ ესპანეთში, ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე, კატალონიის რეგიონის დედაქალაქი, სიდიდით და მნიშვნელობით მეორე ქალაქი ესპანეთში. მოსახლეობა — 2 მილიონი (გარეუბნების ჩათვლით — 4 მილიონი).

ამბობენ, ქალაქი კართაგენელებმა დააარსეს



ჰოკეისტები. ბარელიეფი. VI ს. ძვ. წ. ა. ათენი, ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი

ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში. შემდეგ ბარსელონა გადაეიდა რომაელების ხელში. VIII საუკუნის დასაწყისში ქალაქს დიდი ზარალი მიაყენეს არაბებმა, 801 დაიპყრეს ფრანკებმა. საშუალო საუკუნეებში ხმელთაშუაზღვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ქალაქი იყო. XVII საუკუნეში ესპანელთა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კატალონიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრს

ბანგლადეშის ოლიმპიური ასოციაციის ემბლემა

ბარბადოსის ოლიმპიური ასოციაციის ემბლემა

ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

ბაჰამის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ბაჰრეინის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

წარმოადგენდა. 1937-დან 1939 26 იანვრამდე ესპანეთის რესპუბლიკის დედაქალაქად ითვლებოდა.

ბარსელონა ესპანეთის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრია, საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო და საავტომობილო მიმოსვლის კვანძი. ნავსადგური ტვირთბრუნვით ერთ-ერთი უდიდესია ხმელთაშუაზღვისპირეთში.

ქალაქს დიდი კულტურული და არქიტექტურული ისტორია აქვს. საქვეყნოდ ცნობილია სანპაბლო დელ კამპოს, სანტა-მარია დელ მარის ეკლესიები, გოთიკური ტაძარი, სასამართლო პალატა „აუდიენსია", აგრეთვე, თანამედროვე ნაგებობანი, რომელთაგან პირველ რიგში გამოჰყოფენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შენობას და ფეხბურთის სტადიონს „ნოუ კამპს", რომელიც აშენდა 1959 არქიტექტორ ლ. გ. ბარბონის პროექტით და რომელიც 1992-თვის XXV ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ მთავარ სპორტულ არენად გადაკეთდა.



თ. ბახი

XXV ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად ბარსელონა აირჩიეს 1986 წლის 17 ოქტომბერს, ლოზანაში გამართულ სოკ-ის 91-ე კონგრესზე. ფარული კენჭისყრა სამ ტურად გაიმართა. ბარსელონამ აჯობა დანარჩენ ხუთ კანდიდატს (ამსტერდამი, ბელგრადი, ბირმინჰემი, ბრისბენი, პარიზი) და ეს მოსალოდნელიც იყო რამდენიმე მიზეზის გამო: აქამდე ესპანეთს ოლიმპიადისთვის არ უმასპინძლია; საყოველთაოდ ცნობილია ბარსელონას სპორტული ტრადიციები (პიერ დე კუბერტენმა 1925 წელს თქვა: „ჯერ კიდევ ბარსელონაში ჩასვლამდე ვიცოდი, რომ ეს სპორტული ქალაქია"). სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ბარსელონაშია დაბადებული.

XXV ოლიმპიადაზე საქართველოს სპორტსმენებმა ე. წ. გაერთიანებული გუნდის შემადგენლობაში იასპარეზეს. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში საქართველოს დროშა (ყოფილი სსრ კავშირის 12 რესპუბლიკის დროშებთან ერთად) პირველად გამოჩნდა ოლიმპიურ სტადიონზე. მედროშე — დავით ხახალეიშვილი. ორი დღის შემდეგ „ბლაუგრანას" სპორტულ კომპლექსში, მძიმე წონის ძიუდოისტთა ტურნირში იმავე ხახალეიშვილის გამარჯვების აღსანიშნავად, ისტორიაში პირველად აჟღერდა საქართველოს ჰიმნი და აღიმართა ეროვნული დროშა.



ბ. ბაუმგარტნერი

**ბატონი რიჩარდ**. დ. 18.7.1929 ენგლეუდში (კოლორადოს შტატი, აშშ). 40-50-იანი წლების მსოფლიოს საუკეთესო *ფიგურისტი*. პირველმა შეასრულა სამმაგი ბრუნი. 1948 და 52 ოლიმპიური ჩემპიონი ერთეულთა შორის. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1948-52). 1947 ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა. სპორტიდან წასვლის შემდეგ მუშაობდა ტელეკომენტატორად.

**ბაუმგარტნერი ბრუს**. დ. 2.11.1960 აშშ-ში. ერთ-ერთი უძლიერესი *თავისუფალი სტილის მოჭიდავე*. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი. მსოფლიო თასის მფლობელი. ოლიმპიური თამაშების ორგზის (1984, 1992) ჩემპიონი. ოლიმპიადის ვერცხლის (1988) და ბრინჯაოს (1996) მედლების მფლობელი.

**ბაშანოვსკი ვალდემარ**. დ. 15.8.1935 გრუძენძში (პოლონეთი). 60-იანი წლების საუკეთესო *ძალოსანი*. ორი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1964, 68). მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1961, 65, 69) სამჭიდში. ევროპის ოთხგზის ჩემპიონი. სხვადასხვა დროს გააუმჯობესა 27 მსოფლიო რეკორდი, მათ შორის ხუთი — სამჭიდში. ფიზკულტურის მაგისტრი, მეცნიერთანამშრომელი.

**ბახი თომას**. დ. 29.12.1953 გერმანიაში. 70-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი *რაპირისტი*, მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ ტურნირში. (1976-77). ორგზის მსოფლიო ჩემპიონი პირად შეჯიბრებაში (1977-78). 1976 მონრეალის XXI ოლიმპიურ თამაშებზე გფრ-ს ნაკრებთან ერთად ოქროს მედალი მოიპოვა. მოგვიანებით ცნობილი სპორტული მოღვაწე გახდა. 1991 წლიდან სოკ-ის წევრია, 1996 წელს აირჩიეს სოკ-ის აღმასკომის წევრად. 1997 წლის 21-23 ივნისს ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა თბილისში.

**ბაჰამი**. სახელმწიფო ბაჰამის კუნძულების არქიპელაგზე, ატლანტის ოკეანეში. საერთო ტერიტორია — 13,9 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 300 ათასი. 85 % — ზანგები და მულატები, 15 % — თეთრკანიანები, დედაქალაქი — ნასაუ (171,5 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური. მორწმუნეთა უმრავლესობა — ბაპტისტები, კათოლიკები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1952 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია და გამოდის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1956 | - | - | 1 | 1 |
| 1964 | 1 | - | - | 1 |
| 1992 | - | - | 1 | 1 |
| 1996 | - | 1 | - | 1 |
| სულ | 1 | 1 | 2 | 4 |

**ბაჰრეინი**. სახელმწიფო ამავე სახელწოდების არქიპელაგზე სპარსეთის ყურეში. განლაგებულია 33 კუნძულზე, საერთო ფართობით 695,2 კვ.კმ. მოსახლეობა — 600 ათასი. 80 % — არაბები. დედაქალაქი — მანამა (137 ათასი). სახელმწიფო ენა — არაბული. რელიგია — ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა

1978 წელს, 1979 წლიდან სოკ-ის წევრია. ზაფხულის ოლიმპიადებში გამოდის 1984 წლიდან. მედალი არ აუღია.

**ბერუტო ჟუზეპე.** დ. 8. 10. 1939 ტომბოლო-დიპალუიაში, იტალია. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო *ველოსიპედისტი-სპრინტერი*. ოლიმპიური ჩემპიონი (1960) ტანდემებით რბოლაში (სერჯო ბიანკეტოსთან ერთად).

1961-62 ვერცხლის მედლები მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატებში. შემდეგ გადავიდა პროფესიონალებში. სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი სპრინტში (1965, 66, 68). დამყარებული ჰქონდა მსოფლიოს რეკორდი გიტში 1000 მ (ადგილიდან) — 1. 08, 40 (1959).

**ბეილი დონოვან.** დ. 16. 12. 1967 კანადაში. თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი *მძლეოსანი-სპრინტერი*. ატლანტის XXVI ოლიმპიურ თამაშებზე გაიმარჯვა 100 მ. რბენასა (9,84 — მსოფლიო რეკორდი) და 4X100 მ. ესტაფეტაში. მსოფლიოს 1995 წლის ჩემპიონი იმავე დისციპლინებში.

**ბეისბოლი** ამერიკული თამაში. როგორც სადემონსტრაციო სახეობა, წარმოდგენილი იყო 1936, 1956, 1964 და 1988 წლების ოლიმპიურ თამაშებზე. მედლები თამაშდება 1992 წლიდან.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| კუბა | 2 | - | - | 2 |
| იაპონია | - | 1 | 1 | 2 |
| ჩინეთის ტაიპეი | - | 1 | - | 1 |
| აშშ | - | - | 1 | 1 |
| სულ | 2 | 2 | 2 | 6 |



დ.ბეილი

**ბელგია.** სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე. ტერიტორია — 30, 5 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 10,1 მლნ. სახელმწიფო ენა — ფრანგული და ნიდერლანდური, დედაქალაქი — ბრიუსელი (950 ათასი). მორწმუნეთა უმრავლესობა კათოლიკეა. დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა 1830, როცა სახალხო აჯანყების შემდეგ თავი დააღწია ჰოლანდიელთა ბატონობას.

ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1906, არადა, ბელგია თამაშებში 1900-დან მონაწილეობს. ამავე დროს, ბელგიელი გრაფი მ. დე ბუზი მონაწილეობდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებაში (1894). ოლიმპიური ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი მოიპოვეს ცხენოსნებმა (1900) კ. ვან ლანგენდონკმა (სიგრძეზე ხტომა) და ე. ჰეგემანმა (დაბრკოლებათა გადალახვა). ბელგიის ქალაქ ანტვერპენმა ერთხელ ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა (1920).

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1900 | 6 | 5 | 5 | 16 |
| 1906 | 2 | 1 | 3 | 6 |
| 1908 | 1 | 5 | 2 | 8 |
| 1912 | 2 | 1 | 3 | 6 |
| 1920 | 13 | 11 | 11 | 35 |
| 1924 | 3 | 7 | 3 | 13 |
| 1928 | - | 1 | 2 | 3 |
| 1936 | - | - | 2 | 2 |
| 1948 | 2 | 2 | 3 | 7 |
| 1952 | 2 | 2 | - | 4 |
| 1956 | - | 2 | - | 2 |
| 1960 | - | 2 | 2 | 4 |
| 1964 | 2 | - | 1 | 3 |
| 1968 | - | 1 | 1 | 2 |
| 1972 | - | 2 | - | 2 |
| 1976 | - | 3 | 3 | 6 |
| 1980 | 1 | - | - | 1 |
| 1984 | 1 | 1 | 2 | 4 |
| 1988 | - | - | 2 | 2 |
| 1992 | - | 1 | 2 | 3 |
| 1996 | 2 | 2 | 2 | 6 |
| სულ | 37 | 49 | 49 | 135 |

ბელგიის ინტერფედერალური ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1924 | - | - | 1 | 1 |
| 1928 | - | - | 1 | 1 |
| 1948 | 1 | 1 | - | 2 |
| სულ | 1 | 1 | 2 | 4 |

**ბელიზი.** სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში, ნახევარკუნძულ იუკატანის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ტერიტორია — 23 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 200 ათასი. ზანგები და მულატები, მეტისები, ინდიელები, ჩინელები, ევროპელები. დედაქალაქი — ბელმოპანი (3,7 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური. გავრცელებულია აგრეთვე ესპანური ენა. მორწმუნეთა 60 % — კათოლიკები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1967 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია. 1968-76 წლებში გამოდიოდა ბრიტანეთის ჰონდურასის სახით, მომდევნო ოლიმპიადებში — ქვეყნის დღევანდელი სახელწოდებით.

ბელიზის ოლიმპიური და თანამეგობრობის თამაშების ასოციაციის ემბლემა

**ბელორუსი.** ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა. ტერიტორია 207, 6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა 10,2 მლნ. დედაქალაქი მინსკი — 1,5 მლნ. ოფიციალური ენები — ბელორუსული, რუსული.

სსრკ გუნდების შემადგენლობაში ბელორუსი სპორტსმენები გამოდიოდნენ 1952-1988 წლების ოლიმპიურ თამაშებში (გარდა 1984 წლისა) და მოიპოვეს 60 ოქროს, 29 ვერცხლისა და 28 ბრინჯაოს მედალი. 1992 ბარსელონის XXV ოლიმპიადაზე გამოვიდნენ გაერთიანებული გუნდის შე-

ბელორუსის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ბენინის ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კომიტეტის ემბლემა

მადგენლობაში (9 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი, პირად შეჯიბრებაში).

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ (1991) გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ მოგვიანებით კვლავ დაიწყო ინტეგრაცია რუსეთთან.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1991 წელს, სოკ-მა აღიარა 1993 წელს. დამოუკიდებელი გუნდით გამოვიდა ლილეჰამერისა (1994) და ატლანტის (1996) ოლიმპიურ თამაშებში.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1996 | 1 | 6 | 8 | 15 |
| სულ | 1 | 6 | 8 | 15 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1994 | | 2 | | 2 |
| სულ | | 2 | | 2 |



ზ. ბერიაშვილი

**ბენვენუტი ჯოვანი.** დ. 26. 4. 1938 ფაენცეში, იტალია. 1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მეორე ქვესაშუალო წონაში. როგორც ტურნირის ყველაზე ტექნიკურ *მოკრივეს*, მიენიჭა ველ ბარკერის თასი. ორჯერ ევროპის ჩემპიონი იყო პირველ საშუალო წონაში (1957, 59). 1965 გახდა ევროპის ჩემპიონი პროფესიონალებში: მეექვსე რაუნდში, ნოკაუტით აჯობა ლუის ფოლედოს (ესპანეთი). ჩემპიონის ტიტული 1968 დაკარგა.

**ბენინი.** სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 112,6 ათასი კვ. კმ მოსახლეობა — 5,4 მლნ. დედაქალაქი — პორტონოვო (230 ათასი). პრეზიდენტის, მთავრობისა და უცხოური წარმომადგენლობების რეზიდენცია — კოტონუ (400 ათასი). სახელმწიფო ენა — ფრანგული. მოსახლეობის 70 % ემხრობა ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს, 15 % — ქრისტიანები, 13 % — მუსულმანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1962 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**ბერგერი ისააკ.** დ. 16. 11. 1936 თელ-ავივში (ისრაელი). ამერიკელი *ძალოსანი*, 1956 ოლიმპიური ჩემპიონი ქვემსუბუქ წონაში. 1960 და 64 ოლიმპიადებზე რომსა და ტოკიოში მეორე იყო. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1958, 61). დამყარებული ჰქონდა 8 მსოფლიოს რეკორდი, მათ შორის 3 — სამჭიდში.

**ბერიაშვილი ზარბეგ.** დ. 10. 9. 1939 თბილისში. თავისუფალი ჭიდაობა. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1957. სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1962-66, 69). სამჯერ იყო ევროპის ჩემპიონი (1966, 67, 70). 1969 მსოფლიო ჩემპიონი გახდა. გარდა ამისა, მსოფლიო ჩემპიონატებში სამჯერ ვერცხლის მედალი აქვს მილებული (1963, 65, 67). ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიურ თამაშებში (მსუბუქი წონა, 70 კგ) — VI ადგილი. I წრე. მაჰმუდ ათალაისთან (თურქეთი) — დამარცხდა, II წრე. მოუგო მუჰამედ ბაშირს (პაკისტანი), III წრე. აჯობა უდეი ჩანდს (ინდოეთი), IV წრე. ქულებით დამარცხდა ენიუ ვილჩევთან (ბულგარეთი).

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები (მსუბუქი წონა, 70 კგ) — V ადგილი. I წრე. უეინ უელსთან (აშშ) — ფრე, II წრე. ენიუ ვილჩევთან (ბულგარეთი) — ფრე, III წრე. იონ ენაკეს (რუმინეთი) აჯობა წმინდად (2,10), IV წრე. ქულებით დაამარცხა ივაო ხარიუჩი (იაპონია), V წრე. ქულებით მოუგო დანჯანდარია სრეტერს (მონღოლეთი).

**ბერკი თომას.** 15.1.1875 — 14.2.1929. ამერიკელი *მძლეოსანი-სპრინტერი*, რომელმაც 1896 ათენში ორი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა 100 (12, 0) და 400 (54, 2) მეტრზე რბენაში. ბერკი ოლიმპიური სპორტის ისტორიაში მარტო ამ ორი გამარჯვებისთვის არ არის შესული. იგი ხოკატორი სპრინტერი იყო, რომელმაც პირველმა გამოიყენა სპეციალური სპორტული ფეხსაცმელი რბენისთვის. აგრეთვე, მან პირველმა მიმართა დაბალ სტარტს ხელების მიწაზე დაყრდნობით და გარკვეულ უპირატესობასაც მიაღწია ჩეტოქეებთან ბრძოლაში, რომლებიც რბენას, ტრადიციულად, მაღალი სტარტით, წელში გამართულნი იწყებდნენ.

**ბერლინი.** გერმანიის დედაქალაქი (1871-1945), გდრ-ს დედაქალაქი (1949-1990). გაშენდა XIII საუკუნის პირველ ნახევარში ორი დასახლების ადგილზე, რომლებიც 1307 ერთ ქალაქად გაერთიანდა, 1486 გახდა ჯერ ბრანდენბურგის, შემდეგ პრუსიის დედაქალაქი. დღემდე შენარჩუნებული აქვს შუა საუკუნეების რადიალურ-წრიული დაგეგმარება. შუა საუკუნეების ნაგებობათაგან შემორჩა გოტიკური ეკლესია მარიენკირხეზე და კიდევ რამდენიმე შენობა. XVIII-XIX საუკუნეებში აშენდა ბაროკოს სტილის ნაგებობანი. XX საუკუნეში ბერლინი უზარმაზარ ქალაქად გადაიქცა.

ბერლინში უნდა გამართულიყო VI ოლიმპიური თამაშები (1916), მაგრამ გერმანიამ თავის მოკავშირეებთან ერთად მსოფლიო ომი წამოიწყო. ბერლინმა მაინც მიიღო ოლიმპიადის ჩატარების უფლება. ეს მოხდა 1936 1-16 აგვისტოს (XI ოლიმპიადა), ფაშისტური რეჟიმის პერიოდში.

**ბერმუდა.** დიდი ბრიტანეთის მფლობელობა ატლანტის ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. უკავია 150 კუნძული (დასახლებულია 20). საერთო ტერიტორია — 53 კვ. კმ. მოსახლეობა — 59,5 ათასი, 60 % — აფრიკული წარმოშობის ხალხები, დანარჩენები — ევროპელთა და ჩრდილოამერიკელთა შთამომავლები. ადმინისტრაციული ცენტრი და პორტი — ჰამილტონი (3,8 ათასი) ოფიციალური ენა — ინგლისური. მორწმუნეთა უმრავლესობა — პროტესტანტები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1935 წელს, 1936 წლიდან სოკ-ის წევრია და მონაწილეობს ოლიმპიურ თამაშებში (გარდა 1980 წლისა). ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში პირველად 1992 წელს გამოვიდა.

ბერმუდის ოლიმპიური ასოციაციის ემბლემა

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1976 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ადრე ფრანგულს, შემდგომში დიდხანს კლასიკურ ჭიდაობას უწოდებდნენ. ჩაისახა საფრანგეთში. წესები 1880 წელს დაიწერა. ბერძნულ-რომაული სტი-

ლით ჭიდაობა ყველა ოლიმპიადის პროგრამაში იყო (1900 და 1904 თამაშების გარდა). მსოფლიოს ჩემპიონატები 1950-დან ტარდება. ევროპის — 1928-დან.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონია გერმანელი კარლ შუმანი — ეს ტიტული მან ათენში (1896) მოიპოვა. დამფუძნებელი ტურნირი ორ ეტაპად მოეწყო. თავდაპირველად გამოვლინდნენ უძლიერესნი ცალკეულ წონებში, რომლებმაც გათამაშების მეორე ეტაპზე შეადგინეს ფინალური ჯგუფი. ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი აქ გამარჯვებულ მოჭიდავეს გადაეცა. ეს იყო კარლ შუმანი.

საქართველოს ოლიმპიელებს მიღებული აქვთ 9 სხვადასხვა ღირსების მედალი, მათ შორის 4 — ოქროსი, 1 — ვერცხლისა და 4 — ბრინჯაოსი. ოლიმპიური ჩემპიონები: გივი კარტოზია (1956, XVI ოლიმპიადა), ავთანდილ ქორიძე (1960, XVII), რომან რურუა (1968, XIX), ვახტანგ ბლაგიძე (1980, XXII). ვერცხლის მედალი მიღებული აქვს რომან რურუას (1964, XVIII), ბრინჯაოსი — გივი კარტოზიას (1960, XVII), რომან ძნელაძეს (1956, XVI), დავით გვანცელაძეს (1964, XVIII) და გიორგი კოღუაშვილს (1992, XXV).

ამ მოჭიდავეთა გარდა, ოლიმპიური თამაშების მონაწილენი სხვადასხვა დროს იყვნენ: როსტომ აბაშიძე (1964, XVIII) — V, ჯემალ მეგრელიშვილი (1972, XX) — V, გურამ გედეხაური (1988, XXIV) — VII, კობა გულიაშვილი (1996, XXVI) — IV, გელა პაპაშვილი (1996, XXVI) — VI, ტარიელ მელელაშვილი (1996, XXVI) — XX, ბაკურ გოგიტიძე (1996, XXVI) — XIV.



ბერლინის XI ოლიმპიური თამაშების პლაკატი



ჭიდაობა. ძველბერძნული ლარნაკი. სანკტ-პეტერბურგი ერმიტაჟი

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ* |
|---|---|---|---|---|
| სსრკ | 34 | 16 | 10 | 60 |
| ფინეთი | 19 | 21 | 18 | 58 |
| შვეცია | 19 | 15 | 19 | 53 |
| უნგრეთი | 15 | 9 | 11 | 35 |
| ბულგარეთი | 8 | 14 | 7 | 29 |
| რუმინეთი | 6 | 8 | 13 | 27 |
| პოლონეთი | 5 | 8 | 6 | 19 |
| იტალია | 5 | 4 | 9 | 18 |
| გერმანია | 4 | 9 | 5 | 18 |
| თურქეთი | 10 | 4 | 3 | 17 |
| იუგოსლავია | 3 | 5 | 4 | 12 |
| დანია | 2 | 3 | 7 | 12 |
| აშშ | 2 | 5 | 4 | 11 |
| ჩეხოსლოვაკია | 1 | 6 | 4 | 11 |
| იაპონია | 4 | 4 | 2 | 10 |
| კორეა | 4 | 1 | 5 | 10 |
| გფრ | 1 | 6 | 3 | 10 |
| გაერთ. გუნდი | 3 | 3 | 3 | 9 |
| საბერძნეთი | 1 | 3 | 4 | 8 |
| ესტონეთი | 3 | - | 4 | 7 |
| გდრ | 2 | 2 | 2 | 6 |
| კუბა | 2 | 1 | 2 | 5 |
| რუსეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| საფრანგეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| ნორვეგია | 2 | 1 | 1 | 4 |
| ავსტრია | 1 | 2 | 1 | 4 |
| ეგვიპტე | 1 | 1 | 2 | 4 |
| ბელორუსი | - | 2 | 1 | 3 |
| ლიბანი | - | 1 | 2 | 3 |
| უკრაინა | 1 | - | 1 | 2 |
| ირანი | - | 1 | 1 | 2 |
| ჩინეთი | - | - | 2 | 2 |
| სომხეთი | 1 | - | - | 1 |
| ყაზახეთი | 1 | - | - | 1 |
| ლატვია | - | 1 | - | 1 |
| მექსიკა | - | 1 | - | 1 |
| რუსეთი-ესტონეთი | - | 1 | - | 1 |
| შვეიცარია | - | 1 | - | 1 |
| არაბთა გაერთ. ს. | - | 1 | - | 1 |
| ბელგია | - | - | 1 | 1 |
| მოლდოვა | - | - | 1 | 1 |
| სულ | **162** | **164** | **162** | **488** |

**ბიანკეტო სერჯიო.** დ. 16. 2. 1939 ტორეში, იტალია. 60-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო *ველოსიპედისტი-სპრინტერი.* 1960 და 64 ოლიმპიურ თამაშებში შესაბამისად ჯუზეპე ბეგეტოსთან და ანჯელო დამიანისთან ერთად მოიგო ტანდემებით რბოლა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სპრინტში (1961, 62). 1964 ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი სპრინტში.


ზ. ბიბანიშვილი

**ბიათლონი**. კომპლექსური შეჯიბრება. შედგება სათხილამურო რბოლისა და შაშხანით სროლისაგან. საერთაშორისო კლასიფიკაციით სპორტის დამოუკიდებელი სახეობაა. შეიქმნა 20-იან წლებში სკანდინავიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთსა და ავსტრიაში, როგორც სამხედრო პატრულების სათხილამურო რბოლა. სპორტის ამ სახეობის განვითარებას ხელმძღვანელობს თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირი. მსოფლიო ჩემპიონატები ტარდება 1958-დან. ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1960-დან. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია კლას ლესტანდერი (შვეცია).

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| საბჭოთა კავშირი | 9 | 5 | 5 | 19 |
| გერმანია | 4 | 7 | 2 | 13 |
| გ დ რ | 3 | 4 | 4 | 11 |
| ნორვეგია | 3 | 2 | 2 | 7 |
| გაერთ. გუნდი | 2 | 2 | 2 | 6 |
| რუსეთი | 3 | 1 | 1 | 5 |
| გ ფ რ | 1 | 2 | 2 | 5 |
| შვეცია | 1 | - | 4 | 5 |
| ფინეთი | - | 4 | 1 | 5 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| კანადა | 2 | - | 1 | 3 |
| იტალია | - | - | 2 | 2 |
| ბელორუსი | - | 1 | - | 1 |
| უკრაინა | - | - | 1 | 1 |
| **სულ** | **29** | **29** | **29** | **87** |

**ბიბანიშვილი ზურაბ**. დ. 19. 5. 1950 თბილისში. *აფროსნობა*, „ვარსკვლავის" კლასი. უმაღლესი განათლებით. პირველ წარმატებას სპორტში მიაღწია 1977. სსრკ-ის ორგზის ჩემპიონი (1982, 84) და თასის მფლობელი (1983, 86). ევროპის ჩემპიონი (1984) და სხვადასხვა საერთაშორისო რეგატაში გამარჯვებული. ორი ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1992 ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები, „ვარსკვლავის" კლასი — XIII ადგილი. I რბოლა — 30 საჯარიმო ქულა (24-ე ადგილი), II რბოლა — 25 (19), III რბოლა — 33 (ვერ დაამთავრა), IV რბოლა 21 (15), V რბოლა — 8 (4), VI რბოლა — 10 (5), VII რბოლა — 11, 70 (6). წესისამებრ, გაუქმდა უარესი შედეგი (III რბოლისა). საბოლოო ჯამში დააგროვა 105, 70 საჯარიმო ქულა, რაც XIII ადგილს შეეფარდებოდა.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიური თამაშები — XVI ადგილი (ვლადიმერ გრუზდევთან ერთად) I რბოლა — მე-13 ადგილი, II — მე-10, III — 22-ე, IV — მე-14, V — 23-ე, VI — 24-ე, VII — 21-ე, VIII — მე-9, IX — მე-5.


ა.ბიკილა



რ. ბიმონი

**ბიკილა აბებე**. 7. 8. 1932 — 25. 10. 1973. ეთიოპიელი *მძლეოსანი*, მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო სტაიერი, პირველი მარათონელი მსოფლიოში, რომელმაც ზედიზედ ორჯერ (1960, 64) მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი. დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში.

**ბიმონი რობერტ (ბობი)**. დ. 29. 8. 1946 ნიუ-იორკში. ამერიკელი *მძლეოსანი*, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო სიგრძეზე მხტომელი, რომელმაც 1968 მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედალი მოიპოვა ფენომენალური მსოფლიო რეკორდით — 890 სმ. (ამ რეკორდმა 23 წელი გაძლო. 1991 წლის 3 აგვისტოს გააუმჯობესა ამერიკელმა მაიკლ პაუელმა — 895 სმ). 1968 მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი.

**ბიონდი მეტ**. დ. 8. 10. 1965 აშშ-ში. გამოჩენილი *მოცურავე*, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, 11 ოლიმპიური მედლის (მათ შორის — 8 ოქრო) მფლობელი. 1984, ლოს-ანჯელესი — 4X100 მ, I ადგილი; 1988 სეული — 50 მ (თავისუფალი სტილი) — I, 100 მ, თავისუფალი სტილი — I, 4 X100 ესტაფეტა — I, 4 X 100, კომპლექსური — I, 4 X 200, კომბინირებული — I, 100 მ, ბატერფლაი — II, 200 მ თავისუფალი სტილი — III, 1992 ბარსელონა — 4 X 100 მ, კომბინირებული — I, 4 X 100 მ, თავისუფალი სტილი — I, 50 მ, თავისუფალი სტილი — II.



ვ. ბლაგიძე

**ბლაგიძე ვახტანგ.** დ. 23. 7. 1954 ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ჩოჩხათში. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა* უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1968. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1978, 81), ორჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონატი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები (მჩატე წონა, 52 კგ) — I ადგილი. I წრე. ტაისტო პალონენი (ფინეთი) — დაამარცხა წმინდად (5, 21), II წრე. კარლამბოს პოლიდისი (საბერძნეთი) — დაამარცხა წმინდად (2, 43), III წრე. მლადენ მლადენოვი (ბულგარეთი) — მოუგო ქულებით, IV წრე. ანტონინ ელინეკი (ჩეხოსლოვაკია) — დაამარცხა წმინდად (3, 57), V წრე. ლაიოშ რაცი (უნგრეთი) — დაამარცხა წმინდად (9, 0).

**ბლანკერს-კუნი ფრანსისა** (შემოკლებით ფანი). დ. 26. 4. 1918. ნიდერლანდელი *მძლეოსანი*, 40-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი, მხტომელი და ხუთჭიდელი. ცნობილი მწვრთნელისა და სპეციალისტის რ. კუნის მეუღლე. ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი. 1948 ლონდონის XIV ოლიმპიურ თამაშებში ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა 100 (11,9) და 200 (24,4) მეტრზე, ესტაფეტაში 4X100 და 80 მ თარჯრბენში (11,2). ფლობდა მსოფლიო რეკორდებს: 100 იარდზე (11,8 და 10,8), 100 მ (11,5), 220 იარდზე (24, 2), 80 მ თარჯრბენში (11,3 და 11,0), სიმაღლეზე (1, 71) და სიგრძეზე (6,25) ხტომაში, აგრეთვე ხუთჭიდში (4692 ქ.). პირველი რეკორდი (100 იარდზე) დაამყარა 1938, უკანასკნელი (ხუთჭიდში) — 1951. 1948 მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი.




ფ. ბლანკერს-კუნი

**ბობსლეი.** მთიდან ყინულოვან ტრასებზე დაშვება მართვადი ციგებით. შეჯიბრებები ეწყობა ორ და ოთხადგილიანი „ბობებით". ბობსლეის სამშობლო შვეიცარიაა (XIX საუკუნის მიწურული). თავდაპირველად ასპარეზობებში ქალებიც მონაწილეობდნენ, 20-იანიდან მხოლოდ ვაჟები. ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1924-დან. პირველი ჩემპიონები იყვნენ შვეიცარიელები (ე. შერერი, ა. ნეეიე, ა. და პ. შლიოპები). ბობსლეისა და ტობოგანის (კანადის ინდიელთა ციგები) საერთაშორისო ფედერაცია 1924 შეიქმნა.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 9 | 8 | 8 | 25 |
| აშშ | 5 | 4 | 5 | 14 |
| გ დ რ | 5 | 5 | 3 | 13 |
| იტალია | 3 | 4 | 3 | 10 |
| გ ფრ | 3 | 3 | 2 | 8 |
| გერმანია | 1 | 2 | 4 | 7 |
| ავსტრია | 1 | 2 | - | 3 |
| დიდი ბრიტანეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| საბჭოთა კავშირი | 1 | - | 2 | 3 |
| ბელგია | - | 1 | 1 | 2 |
| კანადა | 1 | - | - | 1 |
| რუმინეთი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 30 | 30 | 30 | 90 |




ბოლივიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ბოლივია.** სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ცენტრალურ ნაწილში. ტერიტორია — 1.098,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 7,4 მლნ. 63 % — კეჩუასა და აიმარას ტომის ინდიელები, ქვეყნის ტროპიკულ ნაწილში ცხოვრობენ ეგრეთწოდებული „ტყის ინდიელები", დანარჩენი მოსახლეობა —



მ. პიონდი

თეთრკანიანები, მეტისები. დედაქალაქი (ოფიც.) — სუკრე (80 ათასი), ფაქტობრივად (მთავრობის ადგილსამყოფელი) — ლა-პასი (1 მლნ). სახელმწიფო ენა — ესპანური. რელიგია — კათოლიკური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1932 წელს, 1936 წლიდან სოკ-ის წევრია. 1936 წლის ოლიმპიადაზე ერთადერთი სპორტსმენით (მოცურავე) მონაწილეობდა, 1964 წლიდან განაახლა გამოსვლა. მედალი არ აუღია.

**ბორზოვი ვალერი.** დ. 20. 10. 1949 ლვოვის ოლქის ქალაქ სომბორში. *მძლეოსნობა.* 1972 მიუნხე-

ბოსნია-ჰერცეგოვინის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ბოტსვანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ბრაზილიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა


ე. ბრენდეჯი

ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ნის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 100 (10, 14) და 200 (20, 00) მ რბენაში.

პირველი ევროპელი, ვინც ოლიმპიურ თამაშებში აჯობა ამერიკელ მძლეოსნებს ორთავე სპრინტერულ დისტანციაზე. მიუნხენის თამაშებზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ესტაფეტაში (4X100). 1976 მონრეალის XXI ოლიმპიურ თამაშებში ორი ბრინჯაოს მედალი მიიღო (100 მ და ესტაფეტა 4X100).

ვალერი ბორზოვი უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და სოკ-ის წევრია.

**ბოსნია-ჰერცეგოვინა.** მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში. ტერიტორია — 51 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3, 5 მლნ. 43,6 % — სლავი მუსულმანები, 34,4 % — სერბები, 17,3 % — ხორვატები. დედაქალაქი — სარაევო (200 ათასი). ოფიციალური ენები — ბოსნიური, სერბიული, ხორვატული. შედიოდა იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში.


რ. ბოსტონი

როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა გაერომ ცნო 1992 წლის 22 მაისს.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1992 წელს. 1993 წლიდან სოკ-ის წევრია. დამოუკიდებელი გუნდით გამოვიდა ბარსელონის (1992) და ატლანტის (1996) ოლიმპიურ თამაშებზე.

**ბოსტონი რალფ.** დ. 9. 5. 1939 ჯონს-კაუნტიში, მისისიპის შტატი, აშშ. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო *სიგრძეზე მხტომელი*. 12. 8. 1960 გადახტა 8, 21 მ და გააუმჯობესა ჯესი ოუენსის მსოფლიო რეკორდი (8, 13), რომელიც ურყევად იდგა 25 წლის მანძილზე. ამის შემდეგ მსოფლიო რეკორდი კიდევ ხუთჯერ გააუმჯობესა და ბოლოს 8, 35 მ აიყვანა (1965). 1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. 1964 ოლიმპიადაზე ტოკიოში მეორე იყო, 1968 მეხიკოში კი — მესამე.

**ბოტსვანა.** სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში. ტერიტორია — 600,4 ათასი კვ. კმ (80 % — კალაჰარის უდაბნო), მოსახლეობა — 1,5 მლნ. აქედან რამდენიმე ათასი — ევროპელები და მეტისები, დანარჩენი — აფრიკელები. დედაქალაქი — გაბორონე (102,7 ათასი). სახელმწიფო ენები — ინგლისური და ტსვანა. რელიგია — ქრისტიანობა. მოსახლეობის დაახლოებით 40 % ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1978 წელს, 1980 წლიდან სოკ-ის წევრია და მონაწილეობს ოლიმპიადებში. მედალი არ აუღია.

**ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა.** ყველაზე დიდი სახელმწიფო სამხრ. ამერიკაში. მდებარეობს კონტინენტის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში. ტერიტორია — 8, 5 მლნ. კვ. კმ. მოსახლეობა — 146,8 მლნ. დედაქალაქი — ბრაზილია (1, 7 მილიონი), სახელმწიფო ენა — პორტუგალიური, რელიგია — კათოლიკური. ბრაზილია აღმოაჩინეს პორტუგალიელებმა (1500). იყო ამ ქვეყნის კოლონია. 1822 გამოცხადდა დამოუკიდებელ იმპერიად, 1889 — რესპუბლიკად.

სპორტის საქმეებს სპორტის ეროვნულ საბჭოსთან ერთად განაგებს სპორტული კონფედერაცია. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1935, თამაშებში კი 1920-დან მონაწილეობს. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია მსროლელი გ. პარაინსი (1920).

ბრაზილიელ სპორტსმენთა ჯილდოები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1920 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 1948 | - | - | 1 | 1 |
| 1952 | 1 | - | 2 | 3 |
| 1956 | 1 | - | - | 1 |
| 1960 | - | - | 2 | 2 |
| 1964 | - | - | 1 | 1 |
| 1968 | - | 1 | 2 | 3 |
| 1972 | - | - | 2 | 2 |
| 1976 | - | - | 2 | 2 |
| 1980 | 2 | - | 2 | 4 |
| 1984 | 1 | 5 | 2 | 8 |
| 1988 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 1992 | 2 | 1 | - | 3 |
| 1996 | 3 | 3 | 9 | 15 |
| სულ | 12 | 13 | 29 | 54 |

**ბრენდეჯი ეივერი.** 28. 9. 1887 დეტროიტი, აშშ — 7. 5. 1975 გარმიშ-პარტენკირჰენი, გფრ. ამერიკისა და საერთაშორისო სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. დაამთავრა ილინოისის უნივერსიტეტი (1909). თამაშობდა კალათბურთს. სამჯერ იყო აშშ-ს ჩემპიონი მძლეოსნურ მრავალჭიდში. სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებში V ადგილი დაიკავა.

აშშ-ს სამოყვარულო ათლეტთა კავშირის პრეზიდენტი (1928), ამ პოსტზე დაჰყო 1934-მდე. იყო აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი (1928-52) და მძლეოსანთა სამოყვარულო საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1930-52). 1936-დან სოკ-ის, 1937-დან ამ ორგანიზაციის აღმასკომის წევრი. 1946 გახდა სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, 1952-დან კი პრეზიდენტი. ამ პოსტზე შეედი ზიგფრიდ ედსტრიომი შეცვალა.

განათლებით — ინჟინერ-მშენებელი. პროფესია გამოადგა ჩიკაგოს ცნობილი ხანძრის შემდეგ ქალაქის აღდგენაში. დიდ წარმატებას მიაღწია ბიზნესშიც, გახდა მილიონერი. სახელი გაითქვა, როგორც კოლექციონერმა (განსაკუთრებით, აღმოსავლური ხელოვნების დარგში). 50 მილიონი დოლარი დაუტოვა საჩუქრად სან-ფრანცისკოს მუზეუმს. ჰქონდა უმდიდრესი ოლიმპიური ბიბლიოთეკა, რომელიც დაიწვა ხანძრის დროს.

ეივერი ბრენდეჯი სოკ-ის პრეზიდენტი იყო 1952-1972 წლებში.

**ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები.** დიდი ბრიტანეთის მფლობელობა კარიბის ზღვაში. საერთო ტერიტორია — 153 კვ. კმ. მოსახლეობა

— 12,1 ათასი, ძირითადად აფრიკული წარმოშობის. ადმინისტრაციული ცენტრი — როდთაუნი (4 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური. რელიგია — პროტესტანტული.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1980 წელს, 1982 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ბრუმელი ვალერი.** დ. 14.5.1942 ჩიტის ოლქში. 1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი *სიმაღლეზე ხტომაში* (2,18). 1960 რომის XVII ოლიმპიადაზე მეორე იყო (2,16) რობერტ შავლაყაძის შემდეგ. მიღებული აქვს ორი საერთაშორისო ჯილდო: „ჰელმსის პრიზი" და „კოლუმბის ოქროს კარაველა". ექვსჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 2,23-დან (1961) 2,28-მდე (1963) სამჯერ აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად (1961, 62, 63).

**ბრუნეი-დარუსალამი.** სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კუნძულ კალიმანტანის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე. ტერიტორია — 5,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 300 ათასი. მალაები — 65 %. ჩინელები — 20 %, აგრეთვე აბორიგენები, ინდოელები, ინგლისელები და სხვ. დედაქალაქი — ბანდარ-სერი-ბეგავანი (50 ათასი). ოფიციალური ენები — მალაური და ინგლისური. რელიგია — ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1984 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრი. მეთვალყურის სახით, თითო ოფიციალური წარმომადგენელი ჰყავდა სეულში (1988) და ბარსელონაში (1992), ატლანტაში (1996) შედგა ოლიმპიური დებიუტი. მედალი არ აუღია

ბრუნეი-დარუსალამის ეროვნული ოლიმპიური საბჭოს ემბლემა

**ბულგარეთი.** სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ტერიტორია — 110,9 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 8,97 მილიონი. დედაქალაქი — სოფია (1,3 მლნ.). სა-



ვ. ბრუმელი

ხელმწიფო ენა — ბულგარული.

ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1923. ერთი წლის შემდეგ იგი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სცნო. თუმცა, ბულგარელი სპორტსმენები ოლიმპიადებში 1896-დან მონაწილეობენ. პირველი ბულგარელი, რომელიც ოქროს მედლით დაჯილდოვდა, თავისუფალი სტილის მოჭიდავე ნ. სტანჩევია (1956).

ბულგარელ სპორტსმენთა ჯილდოები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1952 | - | - | 1 | 1 |
| 1956 | 1 | 3 | 1 | 5 |
| 1960 | 1 | 3 | 3 | 7 |
| 1964 | 3 | 5 | 2 | 10 |
| 1968 | 2 | 4 | 3 | 9 |
| 1972 | 6 | 10 | 5 | 21 |
| 1976 | 6 | 9 | 7 | 22 |
| 1980 | 8 | 16 | 17 | 41 |
| 1988 | 10 | 12 | 13 | 35 |
| 1992 | 3 | 7 | 6 | 16 |
| 1996 | 3 | 7 | 5 | 15 |
| სულ | 43 | 76 | 63 | 182 |

ბულგარეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1980 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |

**ბურკინა-ფასო.** სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში (1984 წლის აგვისტომდე — ზემო ვოლტას რესპუბლიკა). ტერიტორია — 274,2 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 10,3 მლნ. დედაქალაქი — უაგადუგუ (350 ათასი). სახელმწიფო ენა — ფრანგული. ჭარბობენ ადგილობრივი ტრადიციული კულტები (60 %), მუსულმანები — 25 %, კათოლიკები — 10 %.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1965 წელს, 1972 წლიდან სოკ-ის წევრია. მიუნხენის (1972) ოლიმპიადაზე მიავლინა ერთადერთი სპორტსმენი.

ბურკინა-ფასოს ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კომიტეტის ემბლემა

**ბურუნდი.** სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. ტერიტორია — 27,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 6,4 მლნ (96 % ცხოვრობს სოფლად), ძირითადად — რუნდი და რუანდა. დედაქალაქი — ბუჟუმბურა (250 ათასი). სახელმწიფო ენები — კირუნდი და ფრანგული. მოსახლეობის 65 % — კათოლიკეები, 30 % ემხრობა ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს, არიან მუსულმანებიც.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1990 წელს, 1993 წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1996 | 1 | | | 1 |
| სულ | 1 | | | 1 |

ბურუნდის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ბჰუტანი.** სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, აღმოსავლეთ ჰიმალაებში. ტერიტორია — 46,5 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 1,7 მლნ. დედაქალაქი — თხიმპხუ (30 ათასი). სახელმწიფო ენა — ძონგ-კე. რელიგია — ლამაისტური მიმდინარეობის ბუდიზმი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1983 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

ბჰუტანის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

გაბონის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

გაიანის ოლიმპიური ასოციაციის ემბლემა

# გ

**გაბონი**. სახელმწიფო ეკვატორულ აფრიკაში. ტერიტორია 267,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 1,3 მლნ. მოსახლეობის 65 % — ქრისტიანები, დაახლოებით 30 % აღიარებს ტრადიციულ (ანიმისტურ) სარწმუნოებებს, მცირე ნაწილი — ისლამს. დედაქალაქი — ლიბრევილი (300 ათასი). სახელმწიფო ენა — ფრანგული. XIX საუკუნის დასასრულს საფრანგეთმა დაიპყრო გაბონი და 1903 წელს გამოაცხადა თავის კოლონიად. 1960 წელს გაბონმა დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1965 წელს, 1968 წლიდან სოკ-ის წევრია.

**გაერთიანებული გუნდი**. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991) ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა (რამდენიმეს გამოკლებით) თხოვნით მიმართეს სოკ-ს 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებელი გუნდებით მონაწილეობის თაობაზე, მაგრამ სოკ-მა ორგანიზაციულ-ტექნიკური პრობლემები მოიმიზეზა და ახალაღიარებულ ქვეყნებს გაერთიანებული გუნდით გამოსვლა შესთავაზა. გაერთიანებულ გუნდში შევიდნენ 12 ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის (ბალტიის ქვეყნები ცალკე გამოვიდნენ), მათ შორის საქართველოს სპორტსმენები. ოლიმპიელთა რაოდენობა რესპუბლიკების მიხედვით (ფრჩხილებში მითითებულია პირად და გუნდურ შეჯიბრებათა ჯამში მოპოვებულ მედალთა რაოდენობა): რუსეთი— 274 (131), უკრაინა — 80 (38), ბელორუსი — 54 (29), ყაზახეთი— 19 (5), უზბეკეთი — 17 (6), საქართველო — 12 (8), მოლდოვა — 10 (5), აზერბაიჯანი — 5 (3), სომხეთი — 4 (3), ტაჯიკეთი— 3 (1), ყირგიზეთი — 3 (0), თურქმენეთი — 1 (0). პირად შეჯიბრებებში მოპოვებული მედლების მიხედვით რესპუბლიკები ასე განაწილდნენ:



გარმიშ-პარტენკირხენი. ზამთრის IV ოლიმპიადა. ტრამპლინზე [illegible], [illegible] და [illegible]

| ძმ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 17 | 16 | 12 | 45 |
| ბელორუსი | 9 | 4 | 2 | 15 |
| უკრაინა | 4 | 11 | 4 | 19 |
| საქართველო | 3 | - | 3 | 6 |
| სომხეთი | 3 | - | - | 3 |
| აზერბაიჯანი | 1 | - | 1 | 2 |
| მოლდოვა | 1 | - | 1 | 2 |
| ტაჯიკეთი | 1 | - | - | 1 |
| უზბეკეთი | - | 2 | - | 2 |
| ყაზახეთი | - | - | 2 | 2 |
| თურქმენეთი | - | - | - | - |
| ყირგიზეთი | - | - | - | - |
| სულ | 39 | 33 | 25 | 97 |

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1992 | 45 | 38 | 29 | 112 |
| სულ | 45 | 38 | 29 | 112 |

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1992 | 9 | 6 | 8 | 23 |
| სულ | 9 | 6 | 8 | 23 |

**გაიანა**. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ტერიტორია — 215 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 800 ათასი. დაახლოებით 54 % — ინდური, 36 % — აფრიკული წარმოშობის. დედაქალაქი — ჯორჯთაუნი (200 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური. მორწმუნეთა შორის — პროტესტანტები, კათოლიკეები, ინდუისტები, მუსულმანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1935 წელს, 1948 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1980 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |

**გაიარდონი სანტე**. დ. 29. 6. 1939 ვილაფრანკეში. იტალია. 1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი *საველოსიპედო სპრინტსა და გიტში* 1000 მ. ადგილიდან. 1960 მსოფლიოს ჩემპიონი სპრინტში მოყვარულთა შორის. გადავიდა პროფესიონალებში (1963). ფლობდა მსოფლიოს რეკორდებს გიტში 200 მ. ხელით (11,00, 1960) და ადგილიდან გიტში 1000 მ (1. 07, 50, 1960).

**გამბია**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 11, 3 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 1, 1 მილიონი, მალინკე (42 %), ფულბე, ვოლოფი, დიოლა და სხვ. დედაქალაქი — ბანჟული (135 ათასი). სახელმწიფო ენა — ინგლისური. მოსახლეობის 85 % — მუსულმანები, 4 % — ქრისტიანები, დანარჩენები ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობიან.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1972 წელს, 1976 წლიდან სოკ-ის წევრია.

გამბიის ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კომიტეტის ემბლემა

**განა**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 238,5 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 17,5 მლნ. ძირითადად — აკანის ხალხები, აგრეთვე გა, ევე, მოსი და სხვ. დედაქალაქი — აკრა (1,2 მლნ). სახელმწიფო ენა — ინგლისური. მოსახლეობის ნახევარზე მეტი ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობა, დანარჩენები — ქრისტიანები და მუსულმანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1952 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1960 | | 1 | - | 1 |
| 1964 | | - | 1 | 1 |
| 1972 | | - | 1 | 1 |
| 1992 | | - | 1 | 1 |
| სულ | | 1 | 3 | 4 |

**გარმიშ-პარტენკირხენი**. სამთო კურორტი გერმანიის სამხრეთით, ბავარიის ალპებში, 700-მდე მ. ზღვის დონიდან. მოსახლეობა — 30 ათასი. სატრანსპორტო კვანძი. ტურიზმისა და სპორტის ზამთრის სახეობათა ცენტრი. ცნობილია მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოებით და ამერგებირგეს ნაკრძალით.

1936 6-16 თებერვალს გაიმართა ზამთრის IV ოლიმპიური თამაშები.

**გარჯევი პროდან**. დ. 8. 4. 1936 როსენოვოში, ბულგარეთი. 60-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოჭიდავე (თავისუფალი სტილის) საშუალო წონაში. 1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. ოლიმპიურ თამაშებზე 1968 (მეხიკო, XIX) ბრინჯაოს მედალი მიიღო. ორჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1963, 66), და ერთხელ ბრინჯაოს პრიზიორი (1965). ევროპის ორი ჩემპიონატის ვერცხლისა (1968) და ბრინჯაოს (1967) მედალოსანი.

**გაფრინდაშვილი ნონა** დ. 3. 5. 1941 ზუგდიდში. გამოჩენილი ქართველი *მოჭადრაკე* და სპორტული მოღვაწე. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1962-1978), საჭადრაკო ოლიმპიადების



ნ. გაფრინდაშვილი

11 ოქროს და 1 ვერცხლის მედლის მფლობელი (1963-1992), ორჯერ გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონთა თასის პირად გათამაშებაში, ერთხელ — ევროპის საკლუბო თასის გათამაშებაში, ხუთჯერ — სსრკ ჩემპიონატში. 1976 წელს მიენიჭა ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება, 1978 წელს ვაჟთა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიიღო, რაც პირველი შემთხვევა იყო ჭადრაკის ისტორიაში. 1982 წელს გადაეცა პირველი „ჭადრაკის ოსკარი". საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი.

1989 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ პრეზიდენტად. ამ პოსტზე მუშაობის 7 წლის მანძილზე განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სოკ-ის საქმიანობაში, მის საერთაშორისო აღიარებაში. ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის 1996 წელს მიენიჭა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების სამი უმაღლესი ჯილდო: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის საპატიო ორდენი და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ორდენი.



გ. გედეხაური

**გახარია გოჩა**. დ. 23. 10. 1973 თბილისში. *წყალში ხტომა*. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 10-მეტრიანი კოშკი. 256,68 ქულა, 34-ე ადგილი.

**გედეხაური გურამ**. დ. 24. 10. 1963 სართიჭალაში. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1977. მსოფლიოს (1987) და სსრკ (1989) ჩემპიონი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები (ქვემძიმე წონა, 100 კგ) — VII ადგილი. I წრე. ქულებით დამარცხდა ვასილე ანდრეისთან (რუმინეთი), II წრე. წმინდად (3, 18) მოუგო ანჯეი ერონსკის (პოლონეთი). III წრე ქულებით აჯობა დენის კოზლოვსკის (აშშ), IV წრე. ქულებით დამარცხდა იოზეფ ტერტეისთან (იუგოსლავია).

1993-94 წლებში იყო საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი



ი. გერასიმოვა

**გერასიმოვა ირინა**. დ. 9. 2. 1964 ქუთაისში. სსრკ მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალი სტილით (100, 200 მ) და კომპლექსურ *ცურვაში*. სსრკ თასის მფლობელი. მსოფლიოს უნივერსიადის (1983) ორგზის ჩემპიონი და პრიზიორი. 1982 მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი (კომბინირებული ესტაფეტა 4X100). იქვე 100 და 200 მ თავისუფალი სტილით მეხუთე იყო. 1980 მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების მონაწილე. სსრკ ნაკრები (4X100 თავისუფალი სტილით) წესების დარღვევისთვის მოხსნეს წინასწარი გაცურვის შემდეგ.

**გერევიჩი ალადარ**. 16. 3. 1910 — 14.5.1991. იასბერენში, უნგრეთი. ექვსი ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1932-დან 1960-მდე). 1948 ლონდონის XIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი *ხმლით ფარიკაობაში*. უნგრეთის გუნდის შემადგენლობაში ჩემპიონი 1932, 36, 48, 52, 56, 60 ოლიმპიადებში. მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში.

**გერეტი რობერტ**. 24. 6. 1875 — 25. 4. 1961. ამერიკელი *მძლეოსანი*, რომელმაც თანამედროვეობის პირველ ოლიმპიურ თამაშებში (1896, ათენი) ორი ოქროს მედალი მოიპოვა ბირთვის კვრასა (11, 22) და ბადროს ტყორცნაში (29, 15), აგრეთვე, ვერცხლის მედლები დაისაკუთრა სიგრძეზე (6, 18) და სიმაღლეზე (1, 65) ხტომებში. ამ უკანასკნელ სახეობაში ჯილდო გაიყო კონოლისთან (აშშ), რომელსაც ისეთივე შედეგი ჰქონდა. გერეტი თანამედროვე ოლიმპიური თამაშების მეორე ჩემპიონია. ოქროს მედალი ბადროს ტყორცნაში მან მოიპოვა ჯეიმს კონოლის (იხ. გვ. 70) გამარჯვებიდან 2 საათის შემდეგ.

ოლიმპიური სპორტის ისტორიკოსები გერეტთან დაკავშირებით ერთ კურიოზულ შემთხვევას იხსენებენ. ამერიკელ მძლეოსანს ბადრო ცხოვრებაში პირველად ათენში, ოლიმპიადის დღეებში უნახავს. მოსწონებია ტყორცნის პრო-

განის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



გვატემალის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ცესი, იქვე უსწავლია წესები და პირველ ადგილზეც გასულა. ამერიკელის გამარჯვება ამ „წმინდა ბერძნულ დისციპლინაში" მასპინძლებმა აღიქვეს,



დ ვანსელაძე

როგორც დიდი ტრაგედია, ვინაიდან ფავორიტებად თავის მტყორცნელებს მიიჩნევდნენ.

ოთხი წლის შემდეგ პარიზის II ოლიმპიურ თამაშებში (1900) გერეტმა სამი მედალი მოიპოვა: ვერცხლის — ბაგირის გადაჭიმვაში, ბრინჯაოსი — ადგილიდან სამხტომსა (9,50) და ბირთვის კვრაში (12, 37).

**გერმანია**. სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, რომელიც არსებობდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე. ტერიტორია — 357 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 81 მლნ. დედაქალაქი — ბერლინი (3,5 მლნ).

გერმანია აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებაში (დოქტორი ვ. გებჰარდტი) და ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტიც, ბუნებრივია, ადრევე შეიქმნა (1895). გერმანიამ მეორე მსოფლიო ომამდე უმასპინძლა ზაფხულის (1936, ბერლინი) და ზამთრის (1936, გარმიშ-პარტენკირხენი) ოლიმპიადებს.

გერმანიის სპორტსმენთა ჯილდოები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1896 | 6 | 5 | 2 | 13 |
| 1900 | 3 | 2 | 2 | 7 |
| 1904 | 4 | 4 | 4 | 12 |
| 1906 | 4 | 6 | 5 | 15 |
| 1908 | 2 | 4 | 5 | 11 |
| 1912 | 5 | 13 | 7 | 25 |
| 1928 | 10 | 7 | 14 | 31 |
| 1932 | 3 | 12 | 5 | 20 |
| 1936 | 33 | 26 | 30 | 89 |
| 1956 | - | - | 1 | 1 |
| 1960 | 1 | - | 2 | 3 |
| 1964 | - | 3 | 2 | 5 |
| 1992 | 33 | 21 | 28 | 82 |
| 1996 | 20 | 18 | 27 | 65 |
| **სულ** | **124** | **121** | **134** | **379** |

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1908 | 1 | 1 | - | 2 |
| 1928 | - | - | 1 | 1 |
| 1932 | - | - | 2 | 2 |
| 1936 | 3 | 3 | - | 6 |
| 1992 | 10 | 10 | 6 | 26 |
| 1994 | 9 | 7 | 8 | 24 |
| **სულ** | **23** | **21** | **17** | **61** |

გერმანიას, როგორც პირველი მსოფლიო ომის გამჩაღებელს, მონაწილეობა არ მიუღია 1920 და 1924 წლების თამაშებში. გფრ-სა და გდრ-ს გაერთიანების (1990) შემდეგ ოლიმპიურ თამაშებში კვლავ გერმანიის სახელით გამოდის.

**გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა**. ყოფილი სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, რომელიც შეიქმნა ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ (1949, 7 ოქტომბერს). ტერიტორია — 108,3 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 16, 6 მლნ. დედაქალაქი — ბერლინი (1,2 მლნ.), სახელმწიფო ენა — გერმანული.

ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1955 იმ პირობით, რომ ამ ქვეყნის გუნდი საჭიროების შემთხვევაში გაერთიანდებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდთან ერთ ოლიმპიურ დელეგაციად. 1956 მელბურნის XVI თამაშებში სწორედ ასეთი გაერთიანებული გუნდი გამოვიდა, რომელშიც გდრ-ს 64 სპორტსმენი იყო შეყვანილი. 1968-დან გდრ დამოუკიდებლად ასპარეზობდა ოლიმპიადებში. 1990 წლის 3 ოქტომბერს, გფრ-თან გაერთიანების შემდეგ, გდრ-მ, როგორც სახელმწიფომ, შეწყვიტა არსებობა.

გდრ-ის სპორტსმენთა დამოუკიდებლად მიღებული ჯილდოები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1956 | 1 | 4 | 1 | 6 |
| 1960 | 2 | 9 | 5 | 16 |
| 1964 | 3 | 8 | 3 | 14 |
| 1968 | 9 | 9 | 7 | 25 |
| 1972 | 20 | 23 | 23 | 66 |
| 1976 | 40 | 25 | 25 | 90 |
| 1980 | 47 | 37 | 42 | 126 |
| 1988 | 37 | 35 | 30 | 102 |
| **სულ** | **159** | **150** | **136** | **445** |

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1956 | - | - | 1 | 1 |
| 1960 | 2 | 1 | - | 3 |
| 1964 | 2 | 2 | - | 4 |
| 1968 | 1 | 2 | 2 | 5 |
| 1972 | 4 | 3 | 7 | 14 |
| 1976 | 7 | 5 | 7 | 19 |
| 1980 | 9 | 7 | 7 | 23 |
| 1984 | 9 | 9 | 6 | 24 |
| 1988 | 9 | 10 | 6 | 25 |
| **სულ** | **43** | **39** | **36** | **118** |

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა**. ყოფილი სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში. ტერიტორია — 248 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა — 59, 2 მლნ. დედაქალაქი — ბონი (286, 8 ათასი). სახელმწიფო ენა — გერმანული, რელიგია — პროტესტანტული და კათოლიკური (თანაბრად). გფრ შეიქმნა 1949 აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საოკუპაციო ზონების საზღვრებში.

სპორტის საქმეებს განაგებდა შინაგან საქმე-

თა სამინისტრო. გფრ-ს ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1949 (სოკ-მა სცნო 1950). 1956-64 ოლიმპიურ თამაშებში (ზაფხულის, ზამთრის) ორივე გერმანია გაერთიანებული გუნდით იყო წარმოდგენილი. 1992 წლიდან, გფრ-სა და გდრ-ს გაერთიანების შემდეგ, კვლავ ერთიანი გუნდით გამოდის.

გფრ-ის სპორტსმენთა ჯილდოები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1952 | - | 7 | 17 | 24 |
| 1956 | 5 | 9 | 5 | 19 |
| 1960 | 9 | 10 | 4 | 23 |
| 1964 | 7 | 11 | 13 | 31 |
| 1968 | 5 | 11 | 10 | 26 |
| 1972 | 13 | 11 | 16 | 40 |
| 1976 | 10 | 12 | 17 | 39 |
| 1984 | 17 | 19 | 23 | 59 |
| 1988 | 11 | 14 | 15 | 40 |
| სულ | 77 | 104 | 120 | 301 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1952 | 3 | 2 | 2 | 7 |
| 1956 | 1 | - | - | 1 |
| 1960 | 2 | 2 | 1 | 5 |
| 1964 | 1 | 1 | 3 | 5 |
| 1968 | 2 | 2 | 3 | 7 |
| 1972 | 3 | 1 | 1 | 5 |
| 1976 | 2 | 5 | 3 | 10 |
| 1980 | - | 2 | 3 | 5 |
| 1984 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1988 | 2 | 4 | 2 | 8 |
| სულ | 18 | 20 | 19 | 57 |

**გვანცელაძე დავით**. 28. 3. 1937 — 1. 5. 1984. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1952. სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1960, 62, 64-66). მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. ოლიმპიადის მონაწილე.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები (მსუბუქი წონა, 70 კგ) — III ადგილი. I წრე. დაამარცხა ფრანც შმიდი (გფრ), II წრე. დამარცხდა ქაზიმ აივაზთან (თურქეთი), III წრე. მოუგო სტეფან ხორვატს (იუგოსლავია), IV წრე. მოუგო ერო ტაპიოს (ფინეთი), V წრე. დამარცხდა ვალერიუ ბულარკასთან (რუმინეთი), VI წრე. ქულებით აჯობა ტოკუაკი ფუჯიტას (იაპონია).

**გვატემალა**. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ტერიტორია 109 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 10, 6 მლნ. 53 % — ინდიელები, 46 % — მეტისები, 1 % — თეთრკანიანები. დედაქალაქი — გვატემალა (2 მლნ). ოფიციალური ენა — ესპანური. მორწმუნეთა უმრავლესობა — კათოლიკები. 1523 წლიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (1821) გვატემალა ესპანეთის კოლონია იყო.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1947 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**გვახარია ნოდარ**. 3. 2. 1932 — 14.9.1996. *წყალბურთი*. უმაღლესი განათლებით. სსრკ ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ჩემპიონი (1953, ბუქარესტი) და ორგზის ვერცხლის პრიზიორი (1955, ვარშავა და 1957, მოსკოვი). II ადგილი სტუდენტთა XII საერთაშორისო თამაშებში (1954, ბუდაპეშტი). ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. ოლიმპიადის მონაწილე.

1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშები — III ადგილი. ჩაატარა ოთხი მატჩი, გაიტანა ოთხი გოლი: 1 — აშშ-თან, 3— გფრ-თან უკეთესი შედეგი ოლიმპიურ ტურნირში ჰქონდა მხოლოდ პ. მშვენიერაძეს (7 მატჩი, 11 გოლი).



ნ. გვახარია

**გვინეა**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 246 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 7 მლნ. ფულბე, მალინკე, სუსუ და სხვ. დედაქალაქი — კონაკრი (800 ათასი). სახელმწიფო ენებად აღიარებულია ფრანგული და გვინეაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნული ენები. მოსახლეობის 70 % — ისლამისტები, 25 % — ანიმისტები, 5 % — ქრისტიანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1964 წელს, 1965 წლიდან სოკ-ის წევრია.

**გვინეა-ბისაუ**. სახელმწიფო აფრიკის დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 36,1 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 1 მლნ. ბალანტეს, ფულბეს, მანდიაკის, პაპელის ხალხები. დედაქალაქი — ბისაუ (160 ათასი). ოფიციალური ენა — პორტუგალიური, ფართოდაა გავრცელებული კრეოლური. მოსახლეობის 60 % აღიარებს ანიმისტურ კულტებს, 35 % — ისლამს, არიან ქრისტიანებიც.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1992 წელს, 1995 წლიდან სოკ-ის წევრია.

გვინეის ეროვნული ოლიმპიური და სპორტის საბჭოს ემბლემა

**გიორგაძე ილია**. დ. 12. 1. 1978 ქუთაისში. *ტანვარჯიში*. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. დსთ-ს ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებული (1995), ამერიკის ლია პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი მრავალჭიდში (1996). ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. თავისუფალი ვარჯიში — 9.525; ტაიჭი — 9.512; რგოლები— 9.325; ხტომები— 9.375; ორძელი — 9.450; ძელძი — 9.612. ქულათა ჯამი — 56.799. საბოლოო შედეგი — 25-ე ადგილი მრავალჭიდში.



მ. გიორგაძე

**გიორგაძე მიხეილ**. დ. 14. 3. 1961 ქუთაისში. *წყალბურთი*. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1972. ევროპის სამგზის ჩემპიონი (1983, 85, 87).

გვინეა-ბისაუს ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

1982 მსოფლიო ჩემპიონი. ოლიმპიადის მონაწილე.

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები (მეკარე) — III ადგილი.

**გობეჯიშვილი დავით.** დ. 3. 1. 1963 ონის რაიონის სოფ. ხურუთში. *თავისუფალი ჭიდაობა.* დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1980. სსრკ სამგზის ჩემპიონი (1985, 86, 88). ორჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1985, 90) და ერთხელ ვერცხლის პრიზიორი (1986). ევროპის ჩემპიონი (1985). 1986 მოიგო კეთილი ნების თამაშები. მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი (1986-88). ორი ოლიმპიადის მონაწილე.



დ. გობეჯიშვილი

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები (მძიმე წონა, 130 კგ) — I ადგილი. I წრე. აშკარა უპირატესობით აჯობა დენის ატიეხს (სირია). II წრე. წმინდად (2,43) მოუგო ხიროიუკი ობატას (იაპონია), III წრე. აშკარა უპირატესობით აჯობა რალფ ბრებერს (გფრ), IV წრე. ქულებით დაამარცხა ათანას ათანასოვი (ბულგარეთი), V წრე. ქულებით მოუგო ლასლო კლაუზს (უნგრეთი), VI წრე. ქულებით აჯობა ბრუს ბაუმგარტნერს (აშშ).



გრიგნიდის ოლიმპიური ასოციაციის ემბლემა

1992 ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები (მძიმე წონა, 130 კგ) — III ადგილი. I წრე. მოუგო იურაი შტეპს (ჩეხოსლოვაკია), II წრე მოუგო კირილ ბარბუტოვს (ბულგარეთი), III წრე. დამარცხდა ბრუს ბაუმგარტნერთან (აშშ), IV წრე. აჯობა ანდრეას შრიოდერს (გერმანია), V წრე. მოუგო მაჰმუდ დემირს (თურქეთი).

დავით გობეჯიშვილი 1994 წლიდან საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტია.

**გობია მუხრან.** დ. 15. 8. 1971 ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში. დაამთავრა საქართველოს სპორტის აკადემია. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი *ძალოსნობაში*, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების პირველობაში გამარჯვებული (1990), ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1994). 1996 ატლანტის XXVI ოლიმპიურ თამაშებზე შედიოდა საქართველოს ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში (108 კგ), მაგრამ ტრავმის გამო შეჯიბრებაში ვერ გამოვიდა.



გ. გოგოლაური

**გობიტიძე ბაკურ.** დ. 10. 9. 1973 თბილისში. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.* უმაღლესი განათლებით. მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებული (1993) და ვერცხლის პრიზიორი (1994). ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 100 კგ. პირველ წრეში ქულებით დამარცხდა ჯუზეპე ჯუნტასთან (იტალია), მეორეში 3:0 მოუგო კანადელ ქოლბი ბელს, შემდეგ კი წააგო ბულგარელ ტოდორ მანოვთან (0:3) და გამოეთიშა შეჯიბრებას. საბოლოო შედეგი — XIV ადგილი.

**გოგოლაური გურამ.** დ. 28. 4. 1944 საგარეჯოს რ-ნის სოფ. მანავში. *სამბო, ძიუდო.* უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1960. სსრ კავშირის ჩემპიონატების ვერცხლისა (1974) და ბრინჯაოს (1973) პრიზიორი. სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატის (1968) მესამე პრიზიორი. ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატებში მიღებული აქვს ვერცხლის (1971, 72) და ბრინჯაოს (1973) მედლები. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები (საშუალო წონა, 80 კგ) — V ადგილი. I წრე. წმინდად დაამარცხა (5, 55) ჯონ გისე (სენეგალი), II წრე. წმინდად მოუგო (3, 25) ირვინ კოენს (აშშ), III წრე. დაამარცხა სლავკო ობადოვი (იუგოსლავია), IV წრე (მეოთხედფინალი). დამარცხდა ბრაიან ჯეკსთან (დიდი ბრიტანეთი).

**გოგოლაძე ვლადიმერ.** დ. 18. 8. 1966 *ტანვარჯიშში* უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1978. სსრკ ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. ევროპის ჩემპიონატის (1985) ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი მრავალჭიდსა და ორძელზე. ოლიმპიადის მონაწილე.

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები — I ადგილი გუნდურ ჩათვლაში. მონაწილეობდა მხტომელთა ფინალურ ტურნირში. აჩვენა 9, 45 და 9, 85. ვერ მოხვდა პრიზიორებში.

**გოგოლაძე კობა.** დ. 7. 1. 1973 ფოთში. *მოკრივე.* სტოკჰოლმის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი (1991), დსთ პირველობის ვერცხლის პრიზიორი (1993), ოლიმპიური თამაშების მონაწილე (60 კგ).

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. პირველ წრეში ქულებით (17:9) აჯობა კორეელ ჩოლ რის, შემდეგ მოუგო კუბელ ხულიო გონსალესს (14:9), მესამე შეხვედრა კი დათმო (8:17) რუმინელ ლეონარდ დოროფტეისთან და გამოეთიშა შეჯიბრებას.



გრაფ გონაკოსას თასი

**გოგოლაძე ლერი.** დ. 1. 4. 1938 თბილისში. *წყალბურთი.* დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, პროფესორი, იყო თბილისის სახ. უნივერსიტეტის პრორექტორი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1954. სსრკ ჩემპიონი (1968) და მრავალგზის პრიზიორი. ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი (1962). ოლიმპიადის მონაწილე.



ლ გოგოლაძე

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები (მეკარე) - II ადგილი. მონაწილეობა მიიღო სამ მატჩში — არგენტინასთან, უნგრეთსა და იუგოსლავიასთან.

**გოგოლიშვილი ავთანდილ**. დ. 27.7.1964 ლანჩხუთში. *თავისუფალი ჭიდაობა*. უმაღლესი განათლებით. კანადის თასის მფლობელი (1989), სსრკ ჩემპიონი (1991), ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 82 კგ. პირველ წრეში დამარცხდა (0:3) ირანელ ამირ რეზა ჰადემთან, შემდეგ მოუგო სენეგალელ ალიუნე დოუფს (6:2) და ბულგარელ პლამენ პენევს (4:1), მეოთხე წრეში კი მაგომედ იბრაგიმოვთან (აზერბაიჯანი) წააგო 4:6 და გამოეთიშა შეჯიბრებას. საბოლოო შედეგი — X ადგილი.

**გოქიელი ელენე**. 25.8.1918 — 26.12.1993. *მძლეოსნობა*. დაამთავრა ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა (1939) და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტები (1956). სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1933. სსრკ ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში (1944) და მრავალგზის პრიზიორი 80 მ. თარჯრბენში. ამ სახეობაში სამი წლის მანძილზე (1949-52) სსრკ რეკორდსმენი იყო (11,3). სსრკ თანარეკორდსმენი იყო ესტაფეტაშიც 4X100 მ. ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები (თარჯრბენი 80 მ.) — ნახევარფინალის შემდეგ გამოეთიშა ასპარეზობას. გარბენი — I ადგილი (11,5), ნახევარფინალი — IV ადგილი (11,1).

**გოლფი**. სპორტული თამაში ბურთით და სპეციალური ჩოგნით. ჩაისახა შუასაუკუნეების დანიაში. პოპულარული სპორტია დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით აშშ-ში, ინგლისში, კანადაში, აგრეთვე, იაპონიასა და ავსტრალიაში. ორჯერ იყო ოლიმპიურ პროგრამაში (1900 და 1904). პირველი ოლიმპიური ჩემპიონები: ვაჟებში — ჩ. სენდსი (აშშ), ქალებში — მ. ებოტი (აშშ).

**გორბაჩოვი ნიკოლაი**. დ. 15. 5. 1948 გომელსკის ოლქის ქ. როგაჩოვში. მიუნხენის 1972 XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი *ბაიდარებით ნიჩბოსნობაში* ფოთელ ვიქტორ კრატასიუკთან ერთად (1000 მ). მსოფლიოს ჩემპიონი (1974) ოთხადგილიანებით რბოლაში. აგრეთვე მსოფლიოს ორი ჩემპიონატის (1971, 75) ბრინჯაოს პრიზიორი. სსრკ მრავალგზის ჩემპიონი.

**გოულდი შეინ**. 23. 11. 1956 სიდნეიში, ავსტრალია. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო *მოცურა-ვე* ქალი. 1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 200 (2, 03, 56) და 400 (4.19,04) თავისუფალი სტილით, აგრეთვე, 200მ. კომპლექსურ (2.23,07) ცურვაში. იქვე ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გაუმჯობესებული აქვს ათამდე მსოფლიო რეკორდი თავისუფალი სტილით ცურვაში (ყველა დისტანციაზე). ორჯერ იყო აღიარებული მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად (1971,72).



ქ. გოგოლაძე

**გრაფ ბონაკოსას პრიზი**. 1954 დააფუძნა იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი თანამემამულის, სოკ-ის წევრის, გრაფ ბონაკოსას (1925-53) პატივსაცემად. დაჯილდოებულთა შორის იყვნენ ავსტრიის, ირანის, ესპანეთის, კენიის, მექსიკის, გფრ-ის, იაპონიის და სხვა ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები. 1974 სოკ-ის 75-ე სესიის გადაწყვეტილებით შეჩერდა თასის ყოველწლიური გადაცემა.

**გრენადა**. სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულზე და გრენადინის კუნძულების სამხრეთ ნაწილში, მცირე ანტილიის კუნძულების არქიპელაგში. საერთო ტერიტორია — 344,5 კვ.კმ. მოსახლეობა — 110 ათასი. 50 % — ზანგები, 40 % — მულატები, ცხოვრობენ აგრეთვე ინდიელები და თეთრკანიანები. დედაქალაქი — სენტ-ჯორჯესი



ვ. გოგოლაძე (მარცხნიდან მეორე)

(35 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური. მორწმუნეთა უმრავლესობა — კათოლიკები. კუნძული აღმოაჩინა კოლუმბმა (1498). გრენადის დამოუკიდებლობა 1974 წელს გამოცხადდა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1984 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**გრენობლი**. იზერის (საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი) დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი, სადაც მოეწყო 1968 ზამთრის X ოლიმპიური თამაშები. მდებარეობს მდინარე იზერის ჭალაში იმ ადგილას, სადაც იგი ერთვის მდინარე დრაკს. ზღვის დონიდან 214მ. მოსახლეობა 200 ათასამდე. გრენობლში გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 66-ე სესია (1968).



ე. გოქიელი

**გრიონბერგი აქსელ**. 9.5.1918 — 23.4.1988. შვეცია. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. 40-50-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი. ორჯერ იყო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1948, 52). 1950 მსოფლიო ჩემპიონი გახდა, 1953 კი ვერ-

ცხლის მედალი დაისაკუთრა (ნეაპოლში) გიეი კარტოზიას შემდეგ.

**გრიფით-ჯოინერი ფლორენს.** დ. 21. 12. 1959 აშშ-ში. ოთხმოციანი წლების უძლიერესი *სპრინტერი* მძლეოსან ქალთა შორის, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, ორი ოლიმპიადის მონაწილე: 1984, ლოს-ანჯელესი — 200 მ, II ადგილი; 1988 სეული — 100 მ — I; 200 მ — I; 4X100მ — I; 4X400 მ — II.



ფ. გრიფით-ჯოინერი

**გრუზდევი ვლადიმერ.** დ. 2. 7. 1952 ჟდანოვში (უკრაინა). *აფროსანი*. მსოფლიო თასის გათამაშების ორგზის ვერცხლის პრიზიორი (1982, 1993), 1990 წლიდან გამოდის გურამ ბიგანიშვილთან ერთად. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა — XVI ადგილი (გურამ ბიგანიშვილთან ერთად).

**გუამი.** კუნძული წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, მარიანის კუნძულების ჯგუფში. ტერიტორია — 549 კვ. კმ. მოსახლეობა — 143 ათასი. ადგილობრივი მაცხოვრებლები — ჩამორო. ადმინისტრაციული ცენტრი — აგანია (2200). ოფიციალური ენა — ინგლისური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1976 წელს, 1986 წლიდან სოკ-ის წევრია.

გუამის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

დასავლეთ სამოას სამოყვარულო სპორტის ფედერაციისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**გუდაშვილი გურამ.** დ. 1941 თბილისში. უმაღლესი განათლებით. ერთ-ერთი უძლიერესი *ბადროს მტყორცნელი* სსრკ-ში. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1959. სსრკ ჩემპიონატების ვერცხლის (1969) და ბრინჯაოს (1966,68) პრიზიორი. ოლიმპიადის მონაწილე

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები (ბადროს ტყორცნა) — საკვალიფიკაციო ნორმატივი (58,00მ) ვერ შეასრულა და ვერ მოხვდა ფინალში. I ცდა - 57,48, II ცდა - 55,84, III ცდა - გააფუჭა.



გ. გუდაშვილი

**გულიაშვილი კობა.** დ. 13. 4. 1968 გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. უმაღლესი განათლებით. მსოფლიოს თასის მფლობელი (1991), ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 62 კგ. ქულებით დაამარცხა არუთიკ რუმპენიანი (საბერძნეთი) — 4:1 და ბაჰადირ ყურბანოვი (უზბეკეთი) — 10:3, მესამე წრეში ქულებით წააგო ვლოდიმეჟ ზავადსკისთან (პოლონეთი), შემდეგ 7:2 მოუგო სერგეი მარტინოვს (რუსეთი), 3:1 — ივან ივანოვს (ბულგარეთი), მესამე ადგილისთვის კი დამარცხდა თურქ მეჰმედ ფირიმთან. საბოლოო შედეგი — IV ადგილი.



კ. გულიაშვილი

**გუნბა საიდა.** დ. 30. 8. 1959 სოხუმში. *მძლეოსნობა*. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1976. სსრკ ორგზის ჩემპიონი შუბის ტყორცნაში (1978,79). ოლიმპიადის მონაწილე.

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიადა (შუბის ტყორცნა) — II ადგილი. საკვალიფიკაციო შედეგი — 63,98. I ცდა - 65,08, II ცდა - 67,76, III ცდა - გააფუჭა, IV ცდა - 63,78, V ცდა - გააფუჭა, VI ცდა - 65,06.



ს. გუნბა

# დ

**დადუნაშვილი ოთარ.** 21. 3. 1928 — 28. 8. 1992. *ველოსპორტი (სპრინტი)*. უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1936. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. სსრკ ხუთგზის რეკორდსმენი გიტში 200 მ. სვლით, 500მ ადგილიდან და სვლით. სსრკ ჩემპიონი სპრინტში (1952). ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები (სპრინტი) — უადგილოდ. 1/16 ფინალი — IIIადგი-

ლი, „ნუგეშის სერია" — II ადგილი. გამოეთიშა ასპარეზობას.

**დანიის სამეფო**. სახელმწიფო ევროპის ჩრდილო-დასავლეთში. უკავია იუტლანდიის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი და ახლომდებარე კუნძულების ჯგუფი, აგრეთვე, ბორნჰოლმის კუნძული ბალტიის ზღვაში. დანიას ეკუთვნის ფარერის კუნძულებიც და მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული — გრენლანდია (სარგებლობენ შინაგანი ავტონომიით). ტერიტორია — 43 ათასი კვ. კმ მოსახლეობა — 6 მილიონამდე, დედაქალაქი — კოპენჰაგენი (1,7 მლნ.), სახელმწიფო ენა — დანიური, რელიგია — ლუთერანული. დანია როგორც სახელმწიფო IX-X შეიქმნა. 1849-დან კონსტიტუციური მონარქია.

სპორტის საქმეებს განაგებს მოყვარულთა სპორტული ფედერაციების გაერთიანება. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1905. პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მიიღო ძალოსანმა ვ. ენსენმა (1896).

დანიის სპორტსმენთა ჯილდოები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1896 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 1900 | 1 | 3 | 2 | 6 |
| 1906 | 3 | 2 | 1 | 6 |
| 1908 | - | 2 | 3 | 5 |
| 1912 | 1 | 6 | 5 | 12 |
| 1920 | 3 | 9 | 1 | 13 |
| 1924 | 2 | 5 | 2 | 9 |
| 1928 | 3 | 1 | 2 | 6 |
| 1932 | - | 3 | 3 | 6 |
| 1936 | - | 2 | 3 | 5 |
| 1948 | 5 | 7 | 8 | 20 |
| 1952 | 2 | 1 | 3 | 6 |
| 1956 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1960 | 2 | 3 | 1 | 6 |
| 1964 | 2 | 1 | 3 | 6 |
| 1968 | 1 | 4 | 3 | 8 |
| 1972 | 1 | - | - | 1 |
| 1976 | 1 | - | 2 | 3 |
| 1980 | 2 | 1 | 2 | 5 |
| 1984 | - | 3 | 3 | 6 |
| 1988 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1992 | 1 | 1 | 4 | 6 |
| 1996 | 4 | 1 | 1 | 6 |
| სულ | 38 | 60 | 57 | 155 |

**დასავლეთ სამოა**. სახელმწიფო სამოას არქიპელაგის დასავლეთ ნაწილში, მდებარეობს წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთით. საერთო ტერიტორია — 2,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 166 ათასი, ძირითადად — პოლინეზიელ-სამოელები. დედაქალაქი — აპია (35 ათასი). ოფიციალური ენები — სამოური და ინგლისური. მორწმუნეთა 70 % — პროტესტანტები, დანარჩენები — კათოლიკები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1983 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**დალისტანლი მუსტაფა**. დ. 1931 სამსუნში, თურქეთი. *თავისუფალი ჭიდაობა*. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოჭიდავე (მჩატე, ქვემსუბუქი წონა). 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების (ქვემსუბუქი) და 1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშების (მსუბუქი) ჩემპიონი. სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი ქვემსუბუქ (1954) და მსუბუქ (1957, 59) წონებში.

**ძებუაძე ვლადიმერ**. დ. 2. 10. 1970 სოხუმში. *ძიუდოისტი*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სტუდენტი. მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1989), მსოფლიო ჩემპიონატების (1991,1992) ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი (1993), კეთილი ნების თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი (1990). ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 71 კგ. იჭიდავა ოთხი წრე. პირველი შეხვედრა იპონით მოუგო ენდრიუ პეინს (ბარბადოსი), მეორეში აჯობა პორტუგალიელ გილერმო ბენტეშს (პანტეი), შემდეგ დამარცხდა მონღოლ ხალიუნ ბოლდ ბატართან (შიდო), დამამშვიდებელ ჯგუფში კი ხელი მოეცარა ამერიკელ ჯიმ პედროსთან (იუკო). საბოლოო შედეგი — X ადგილი.

**დევიზი ოლიმპიური**. „citius altius fortius" (სწრაფად, მაღლა, ძლიერად). დევიზის ავტორია პიერ დე კუბერტენის თანამებრძოლი და მეგობარი პენრი დიდონი. დევიზი დაამტკიცა სოკ-მა 1913. 1920-დან იგი ოლიმპიური ემბლემის ნაწილს წარმოადგენს. ოლიმპიური დევიზის ფუნქცია აკისრია მის პოპულარულ გამოთქმასაც: „სპორტი — მშვიდობაა!"


ო. დადუნაშვილი


დანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის კონფედერაციის ემბლემა


პ. დიდონი


ვ. ძებუაძე

**დევისი გლენ**. დ. 12. 9. 1934 უელსბურგში, ვირჯინიას შტატში, აშშ. *მძლეოსანი*. 1956 მელბურნის XVI და 1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 400 მ. თარჯრბენში (50,1 და 49,3). 1960 ოქროს მედალი მიიღო ასევე ესტაფეტაში 4X400 მ. დაამყარა მსოფლიო რეკორდები 400 მ და 440 იარდზე რბენაში.

**დევისი ჯონ**. 12. 1. 1921 — 13.7.1984. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ამერიკელი *ძალოსანი* (40-50-იანი). 1948 ლონდონის XIV (452,5 კგ სამჭიდში) და 1952 ჰელსინკის XV (460 კგ) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს 1938 ჩემპიონი საშუალო (387, 5) და 1946 (435), 1947 (455), 1949 (442,5),1950 (462,5), 1951 (432,5) ჩემპიონი მძიმე წონაში. დაამყარა 22 მსოფლიო რეკორდი. მათ შორის ხუთი მრავალჭიდში. 1951 მოიგო პანამე-


ჯ. დევისი



ი. დელა-როსა

რიკული თამაშები (477,5). ეს შედეგი იყო მისი ბოლო მსოფლიო რეკორდი.

**დელა-როსა იგორ**. დ. 25. 4. 1939 თბილისში. *მძლეოსნობა*. უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1962. სსრკ ჩემპიონატების ვერცხლის (1967, 68) და ბრინჯაოს (1971) პრიზიორი სპორტულ სიარულში 50 კმ. ოლიმპიადის მონაწილე.

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები (სიარული 50 კმ) — დისტანცია ვერ დაამთავრა უჟანგბადობის პირობებში, რაც მეხიკოს მაღალი მდებარეობით იყო გამოწვეული. ბრძოლა ადრევე შეწყვიტა. 10 კილომეტრი გაიარა 52. 38, 8.

**დერიუგინი ნიკოლოზ**. დ. 30. 4. 1959 ქუთაისში.



ნ. დერიუგინი



ი. დიაჩკოვი

*კალათბურთი*. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ევროპის ჩემპიონი (1981), II ადგილი მსოფლიოს უნივერსიადაზე (1981), საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1979). მსოფლიოს ჩემპიონი (1982). ოლიმპიადის მონაწილე.

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები — III ადგილი. მონაწილეობა მიიღო რვა შეხვედრაში. სსრკ ნაკრებს 67 ქულა შესძინა: ინდოეთთან — 17, ბრაზილიასთან — 14, ჩეხოსლოვაკიასთან — 4, ესპანეთთან — 4, იტალიასთან — 6, იუგოსლავიასთან — 13, კუბასთან — 9, ესპანეთთან — 0.



მორბენლები. ძველბერძნული ლარნაკი. 632 წ. ძვ. წ. ა.

**დიაულოსი**. ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებში რბენა ორ სტადიაზე (ერთი სტადია — 192, 27 მ). პროგრამაში შეიტანეს XIV ოლიმპიურ თამაშებზე (724 ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ერთი სტადია უნდა გაერბინათ წინ და უკან.

**დიაჩკოვი იური**. დ. 13. 7. 1940 თბილისში. *მძლეოსნობა*. უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1956. სამოციანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ათჭიდელი. სსრკ ორგზის ჩემპიონი (1965, 66) და ვერცხლის პრიზიორი (1962). ოლიმპიადის მონაწილე.

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები — ათჭიდელთა ასპარეზობას გამოეთიშა ტრავმის გამო. 8 სახეობის შემდეგ ჰქონდა 5803 ქულა. ვერ გამოვიდა შუბის ტყორცნასა და რბენაში 1500 მ.



კ. დიბიასი

**დიბიასი კლაუს**. დ. 6. 10. 1947 ზოლბად-პაულში (ავსტრია). იტალიისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო *წყალში მხტომელი*. სამი ოლიმპიური თამაშების (1968, 1972, 1976) ჩემპიონი კოშკიდან ხტომაში. 1964 წლის ოლიმპიადაზე იმავე სახეობაში II ადგილი დაიკავა. მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი როგორც კოშკიდან, ისე ტრამპლინიდან ხტომაში, მსოფლიო თასის არაერთგზის მფლობელი ორივე სახეობაში.

**დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფო**. სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში, რომელიც განლაგებულია ბრიტანეთის კუნძულებზე. ტერიტორია — 244,1 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 58 მლნ. დედაქალაქი — ლონდონი (6, 8 მლნ). სახელმწიფო ენა — ინგლისური. გაბატონებული ეკლესია — ანგლიკანური. გაერცელებულია, აგრეთვე, კათოლიკური და პროტესტანტული რწმენა.

სპორტის საკითხებს განაგებს სპორტის საქმეთა საბჭო. ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაცია შეიქმნა 1905. ერთადერთი ქვეყანა, რომლის სპორტსმენები ყველა ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ. პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: ძალოსანი ლ. ელიოტი და ჩოგბურთელი ჯ. ბოლენდი, რომელმაც ოქროს მედალი მოიგო როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელთა შორის (1894) არის ორი ინგლისე-

ლი მოლეანე — ლორდი ამპტჰილი და ჩ. ჰერბერტი. ინგლისის დედაქალაქმა ორჯერ უმასპინძლა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს — 1908 (IV ოლიმპიადა) და 1948 (XIV ოლიმპიადა).

ბრიტანეთის სპორტსმენთა ჯილდოები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1896 | 1 | 3 | 2 | 6 |
| 1900 | 16 | 6 | 8 | 30 |
| 1906 | 6 | 8 | 5 | 19 |
| 1908 | 53 | 44 | 35 | 132 |
| 1912 | 10 | 15 | 16 | 41 |
| 1920 | 14 | 15 | 12 | 41 |
| 1924 | 9 | 13 | 12 | 34 |
| 1928 | 3 | 10 | 7 | 20 |
| 1932 | 4 | 7 | 5 | 16 |
| 1936 | 4 | 7 | 3 | 14 |
| 1948 | 3 | 14 | 6 | 23 |
| 1952 | 1 | 2 | 8 | 11 |
| 1956 | 6 | 7 | 11 | 24 |
| 1960 | 2 | 6 | 12 | 20 |
| 1964 | 4 | 12 | 2 | 18 |
| 1968 | 5 | 5 | 3 | 13 |
| 1972 | 4 | 5 | 9 | 18 |
| 1976 | 3 | 5 | 5 | 13 |
| 1980 | 5 | 7 | 9 | 21 |
| 1984 | 5 | 11 | 21 | 37 |
| 1988 | 5 | 10 | 9 | 24 |
| 1992 | 5 | 3 | 12 | 20 |
| 1996 | 1 | 8 | 6 | 15 |
| სულ | 169 | 223 | 218 | 610 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1908 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 1920 | - | - | 1 | 1 |
| 1924 | - | 1 | 2 | 3 |
| 1928 | - | - | 1 | 1 |
| 1936 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 1948 | - | - | 2 | 2 |
| 1952 | 1 | - | - | 1 |
| 1964 | 1 | - | - | 1 |
| 1976 | 1 | - | - | 1 |
| 1980 | 1 | - | - | 1 |
| 1984 | 1 | - | - | 1 |
| 1994 | - | - | 2 | 2 |
| სულ | 7 | 4 | 12 | 23 |

**დილარდი ჰარისონ.** დ. 8. 7. 1923 კლივლენდში, ოჰაიოს შტატი, აშშ. *მძლეოსნობა.* ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი. 1948 ლონდონის XIV ოლიმპიურ თამაშებში მოიგო რბენა 100 მ და ესტაფეტა 4X100 მ. 1952 ჰელსინკის XV თამაშებში პირველი იყო 110 მ. თარჯრბენსა და ესტაფეტაში 4X100 მ. ფლობდა მსოფლიოს რეკორდებს თარჯრბენსა და 200 მ რბენაში.

**დიპლომი (სიგელი) ოლიმპიური.** დიპლომით აჯილდოებენ პრიზიორებსა და იმ სპორტსმენებს, რომლებიც პირად ან გუნდურ შეჯიბრებაში IV-VIII ადგილებს იკავებენ. დიპლომები გადაეცემათ საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების იმ წევრებს, რომელთაც მედალი არ ერგოთ. სამახსოვრო დიპლომსა და მედალს იღებს ოლიმ-


ჰ. დილარდი

პიადის ყველა მონაწილე ოფიციალური პირი, დელეგაციის წევრი, სამსაჯო აპარატის თანამშრომელი.

დიპლომი არ გადაეცემა დელეგაციის იმ წევრებს, რომლებიც წესების დარღვევისთვის დაითხოვეს ოლიმპიური თამაშებიდან. სპორტსმენის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში დიპლომი უბრუნდება სოკ-ს.

**დიუმასი ჩარლზ.** დ. 12. 2. 1937 ტალაში, ოკლაჰომას შტატი, აშშ. *მძლეოსნობა.* 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში (2, 12 მ). პანამერიკულ თამაშებში გამარჯვებული (1959). 1956 დაამყარა მსოფლიოს რეკორდი — 2, 15 მ.

**დობრევი დიმიტრი.** დ. 14. 4. 1931 ეზერეცში, ბულგარეთი. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.* 1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი საშუალო წონაში. ოთხი წლით ადრე მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებზე მეორე იყო.

**დოლიხოდრომი** (ბერძ. dolichos — გრძელი, ხანგრძლივი, drumos — სირბილი) ანტიკური ოლიმპიური თამაშების პროგრამის ერთ-ერთი სახეობა — რბენა გამძლეობაზე. მანძილი სხვადასხვა თამაშებზე მერყეობდა შვიდიდან ოცდაოთხ სტადიამდე. შეჯიბრება მიმდინარეობდა ეტაპობრივად მანამ, სანამ დარჩებოდა ოთხი მონაწილე. ბოლო ეტაპი იყო ამ ოთხეულის ფინალური ასპარეზობა. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს XV ოლიმპიადაზე (720 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

**დომინიკა.** სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულზე, მცირე ანტილიის კუნძულების არქიპელაგში (კარიბის ზღვა). ტერიტორია — 790 კვ. კმ. მოსახლეობა — 81 ათასი, ძირითადად — აფრიკული წარმოშობის ხალხები. დედაქალაქი — როზო (20 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური, გავრცელებულია აგრეთვე ადგილობრივი კრეოლური ენა. მოსახლეობის უმრავლესობა — კათოლიკები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1987 წელს, 1993 წლიდან სოკ-ის წევრია.

**დომინიკელთა რესპუბლიკა.** სახელმწიფო კარიბის ზღვაში, უკავია კუნძულ ჰაიტის აღმოსავლეთი ნაწილი და მცირე კუნძულები. ტერიტორია — 48, 7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 7, 8 მლნ.

დიდი ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის ემბლემა

დომინიკის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

დომინიკელთა რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



1988 წ. სეულის ოლიმპიადა. კანადელი სპრინტერი ბენ ჯონსონი დოპინგის მიღებაში ამხილეს

დედაქალაქი სანტო-დომინგო (გარეუბნებით — 1 მლნ). სახელმწიფო ენა — ესპანური. მოსახლეობის უმრავლესობა — კათოლიკები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1946 წელს, 1962 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1984 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |

**დოპინგი** (ინგ. doping. dope — ნარკოტიკის მიცემა): ფარმაკოლოგიური საშუალება, რომლის შეყვანა ორგანიზმში იწვევს ფიზიკურ და ნერვულ აქტიურობას. დოპინგსაშუალებების მიღება კატეგორიულად არის აკრძალული და მკაცრად ისჯება. სოკ-ის სამედიცინო კოდექსით დადგენილია აკრძალული მედიკამენტებისა და პროცედურების სია.

აკრძალული დოპინგური საშუალებების ძირითადი ჯგუფებია: ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორები, ნარკოტიკული ანალგეტიკები, ანაბოლური სტერეოიდები, ბეტა-ბლოკატორი, დიურეტიკები, პეპტიდური ჰორმონები, სისხლის დოპინგი (აუტოჰემოტრანსფუზია). (იხ. სამედიცინო კოდექსი, გვ. 118).



კ. დ'ორიოლა

**დ'ორიოლა კრისტიან**. დ. 3. 10. 1928 პერპინიანში, საფრანგეთი, *ფარიკაობა რაპირით*. 1952 ჰელსინკის XV და 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი პირად ჩათვლაში. 1948 ლონდონის XIV და 1952 ჰელსინკის XV თამაშების ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში. მსოფლიოს ოთხგზის პირადი (1947, 49, 53, 54) და სამგზის გუნდური (1947, 51, 53) ჩემპიონი. 1948 ოლიმპიადაზე ლონდონში ვერცხლის მედალი მოიპოვა. მიღებული აქვს ოლიმპიური ორდენი (ბრინჯაოს ნიშანი).

**დოჰერტი რიჯინალდ**. 14. 10. 1872 — 29.12.1910, დიდი ბრიტანეთი. მეოცე საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი უძლიერესი *ჩოგბურთელი*. 1900 პარიზის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მიიღო წყვილთა და შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში, ბრინჯაოსი — ერთეულთა თანრიგში. 1908 წელს გაიმარჯვა წყვილთა შეჯიბრებაში.





ოლიმპიური დროშა

**დროშა (ალამი) ოლიმპიური**. თეთრი ფერის ტილო, რომლის ცენტრში გამოსახულია ოლიმპიური სიმბოლო — ხუთი გადაჯაჭვული რგოლი ლურჯ, ყვითელ, შავ, მწვანე და წითელ ფერებში. ოფიციალურ ნიმუშად ითვლება დროშა, რომელიც პიერ დე კუბერტენმა წარმოადგინა სოკ-ის პარიზის კონგრესზე (1914). ამ თავყრილობაზე, რომელიც თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის 20 წლისთავს ეძღვნებოდა, პირველად აფრიალდა ოლიმპიური დროშა. 1920 შემდეგ დროშის აღმართვა ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალის ერთ-ერთ ნაწილად ითვლება. დროშა ოლიმპიური ჰიმნის თანხლებით სტადიონზე შემოაქვთ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და აღმართავენ ანძაზე. დახურვის ცერემონიალზე მასპინძელი ქალაქის მერი დროშას უბრუნებს სოკ-ის პრეზიდენტს, რომელიც თავის მხრივ გადასცემს მომდევნო ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს. ეს დროშა ოთხი წლის განმავლობაში გამოიფინება ქალაქის ძირითად მუნიციპალურ შენობაზე.

ოფიციალური ოლიმპიური დროშა ატლასისაგან არის დამზადებული და მოვარაყებულია ოქროს ჩუქურთმით. სოკ-ს იგი ბელგიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა აჩუქა (1920). ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამოაქვთ ნორ-

ვეგიის ოლიმპიური კომიტეტის მიერ სოკ-ისთვის 1952 წელს ნაჩუქარი დროშა.

**დუმბაძე ნინო**. 23.5.1919 ოდესაში — 14.4.1983. *მძლეოსნობა*. პირველი ქართველი ქალი — მსოფლიოს რეკორდსმენი. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1955). სსრკ რვაგზის ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში (1939, 43, 44, 46-50). ორჯერ იყო სსრკ ჩემპიონი ხელყუმბარის ტყორცნაში. ევროპის ორგზის ჩემპიონი (1946,



ნ. დუმბაძე

50). 1948-60 იყო მსოფლიო რეკორდსმენი. მსოფლიო რეკორდები დამყარებული ჰქონდა 1948 (53, 25 მ), 1951 (53, 37), 1952 (57, 04). ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები (ბადროს ტყორცნა) — III ადგილი. I ცდა — 45,85; II ცდა — 40,24; III ცდა — 44,10; IV ცდა — 46,29; V ცდა — 45,10; VI ცდა — 46,05. საბოლოო შედეგი — 46,29 მ.



ოლიმპიური დღე. თბილისი. 1997 წ. ივნისი.

**დღე ოლიმპიური**. სპორტული, კულტურული ან სხვა სახის დღესასწაული, რომელსაც აწყობენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები ოლიმპიური იდეების პროპაგანდისა და სამოყვარულო სპორტის განვითარების მიზნით. იდეა ამ დღის მოწყობისა ეკუთვნის სოკ-ის წევრს ჩეხოსლოვაკიელ ი. გრუსს (1947). სოკ-ის 41-ე სესიამ (1948) წინადადება მოიწონა.

სოკ-ის 79-ე სესიაზე (1977) მიიღეს სპეციალური დადგენილება ოლიმპიური დღის შესახებ. ამ დადგენილებით ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს წინადადება ეძლეოდათ შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველწლიურად აღენიშნათ ეს დღე. ოლიმპიური დღის მოწყობა რეკომენდებულია 17-24 ივნისის პერიოდში. პარიზის საერთაშორისო კონგრესზე (1894 ივნისი) გადაწყდა ძველბერძნული ოლიმპიადების აღდგენა და ოლიმპიურ დღეს სწორედ ამ მოვლენას უკავშირებენ. ოლიმპიური დღე პირველად აღინიშნა ავსტრიაში, კანადაში, პორტუგალიაში, ურუგვაისა და შვეიცარიაში (1948). ზოგი ეოკ-ი სოკ-ის მიერ რეკომენდებულ პერიოდში ოლიმპიური დღის ნაცვლად ოლიმპიურ კვირეულს აწყობს, რაც არ ეწინააღმდეგება ოლიმპიურ ქარტიას.

# ე

**ეგვიპტე**. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში და სინას ნახევარკუნძულზე (აზია). ტერიტორია — 1.002 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 60 მლნ. ძირითადად არაბები. დედაქალაქი — კაირო (გარეუბნებით — 13 მლნ). სახელმწიფო ენა — არაბული. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა — მუსულმანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1910 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

EGYPTE

ეგვიპტის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1928 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1936 | 2 | 1 | 2 | 5 |
| 1948 | 2 | 2 | 1 | 5 |
| 1952 | - | - | 1 | 1 |
| 1984 | - | 1 | - | 1 |
| სულ | 6 | 5 | 5 | 16 |

**ეგოროვა ლუბოვ**. დ. 5.5.1966 რუსეთში. 90-იანი წლების უძლიერესი *მოთხილამურე*. ალბერვილისა (1992) და ლილეჰამერის (1994) ოლიმპიურ თამაშებში სხვადასხვა დისტანციებზე მოიპოვა 6 ოქროს და 3 ვერცხლის მედალი.




ლ. ეგოროვა

**ედერლე გერტრუდა**. დ. 23.10.1906 აშშ-ში. *მოცურავე*. პირველი ქალი, რომელმაც გადაცურა ლამანშის სრუტე (6.8.1926). 1924 პარიზის VIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (ესტაფეტა 4X100 მ. თავისუფალი სტილით). ამავე ოლიმპიადაზე მოიპოვა ბრინჯაოს მედლები 100 და 400 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში. იყო მსოფლიოს რეკორდსმენი თავისუფალი სტილით ცურვაში სხვადასხვა დისტანციაზე: 100 მ. — 1.12,8 (1923), 200 მ. — 2.45,2 (1923), 400 მ. — 5.53,2 (1922), 500 მ. — 7.22,2(1922).



ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



ი. ზ. ედსტრიომი

**ედსტრიომი იუჰანეს ზიგფრიდ**. 21.11.1870 გიოტებორგი — 18.3.1964 სტოკჰოლმი. შვეციისა და საერთაშორისო სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. სწავლობდა აშშ-ში, შვეიცარიაში, შვეციაში. განათლებით — ინჟინერ-ენერგეტიკოსი. ახალგაზრდობაში გატაცებული იყო სპორტით. აქვს დამყარებული შვეციის რეკორდი 100მ. რბენაში (11,0).

მუშაობდა ტექნოლოგად ციურიხში. აქ დაუკავშირდა საერთაშორისო სპორტულ მოძრაობას, დაუახლოვდა ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს, გახდა სპორტის ფუნქციონერი. აქტიურად იბრძოდა 1912 ოლიმპიადის სტოკჰოლმში მოწყობისათვის. ედსტრიომი მოყვარულ მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანია და მისი პირველი პრეზიდენტი (1912-1946).

1920-დან სოკ-ის, 1921-დან მისი აღმასკომის წევრი. 1931-დან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, 1946 კი ანრი დე ბაიე-ლატური შეცვალა პრეზიდენტის პოსტზე.

იუჰანეს ზიგფრიდ ედსტრიომი სოკ-ის პრეზიდენტი იყო 6 წლის განმავლობაში (1946-1952).



ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ემბლემა

**ევანსი ლი**. დ. 25. 2. 1947 მადერში, კალიფორნიის შტატი, აშშ. *მძლეოსნობა*. 1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 400 მ რბენაში (43, 8 — მსოფლიო რეკორდი) და ესტაფეტაში 4X400 მ (აქაც მსოფლიო რეკორდის თანაავტორი იყო — 2.56,1). მოგებული აქვს 1967 პანამერიკული თამაშები (400 მ — 44, 9).

**ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები**. 12-18 წლის სპორტსმენთა კონტინენტური შეჯიბრება. იმართება სოკ-ის ეგიდით, ორ წელიწადში ერთხელ; ზაფხულის დღეები — 1991 წლიდან, ზამთრის დღეები — 1993 წლიდან.

ზაფხულის ოლიმპიური დღეების პროგრამაშია სპორტის 10 სახეობა (6 ინდივიდუალური, 4 სათამაშო). ყოველი მასპინძელი ქვეყანა შეხედულებისამებრ ირჩევს თითო ინდივიდუალურ და სათამაშო სახეობას, დანარჩენს კი განსაზღვრავს ევროპის ეოკ-ის სპეციალური კომისია.



ევროპის ქვეყნების არასამთავრობო სპორტული ორგანიზაციის ემბლემა

I ოლიმპიური დღეები ბრიუსელში მოეწყო და 33 ქვეყნის 1491 სპორტსმენი მონაწილეობდა. მომდევნო შეჯიბრებას ვალკენსვაარდმა (ჰოლანდია, უმასპინძლა — 43 ქვეყანა, 1865 სპორტსმენი). აქ თანატოლთა ტურნირში პირველად ჩაებნენ საქართველოს წარმომადგენლები (სულ — 51 სპორტსმენი), რომლებმაც სპორტის 7 სახეობაში იასპარეზეს და ორი მედალი მოიპოვეს; იეგორი ჯიქურაული (ძიუდო) — II ადგილი, ლევან ციგრიაშვილი (ძიუდო) — III ადგილი.

1995 წელს ბათში (ინგლისი) გამართულ III ოლიმპიურ დღეებში ჩვენი ქვეყნის 15 სპორტსმენი გამოვიდა და ხუთმა მედალი მოიპოვა: დავით ჯავახიშვილი — I ადგილი, ფირუზ ტყემელაშვილი — II, გიორგი გუგავა — III, ლევან სულხანიშვილი — III, ირაკლი სირაძე — III (ყველა — ძიუდო).

მომდევნო ოლიმპიურ დღეებს პორტუგალიის დედაქალაქი ლისაბონი მასპინძლობდა.

ფეხბურთელთა ტურნირში გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა: ზურაბ ბათიაშვილი, ვალერი აბრამიძე, გიორგი დეკანოსიძე, ედუარდ საჯაია, იოსებ დევიძე, ოლეგ გველესიანი, დავით დიღმელაშვილი, არჩილ რომანაძე, ლევან კორღალიძე, ლაშა ჯაკობია, ვალერი გაგუა, ჟიული ჯოლოხავა, ლადო კაკაშვილი, ჯაბა სიამაშვილი, შალვა აფხაზავა, ცეზარ ხუროძე, უფროსი მწვრთნელი — ვახტანგ კოპალეიშვილი. ვერცხლის მედალი მოიპოვა ივანე ნადირაშვილმა (71 კგ.), ბრინჯაოსი — გელა ბარათაშვილმა (55კგ.) და გრიგოლ მამრიკიშვილმა (65კგ.). ყველა — ძიუდო.

ზამთრის ოლიმპიური დღეები 7 სახეობას მოიცავს. პირველი შეჯიბრებები 1993 წელს, იტალიის ქალაქ აოსტაში მოეწყო (23 ქვეყანა, 270 მონაწილე), მეორე — ანდორაში (40 ქვეყანა, 447 მონაწილე). აქ შედგა საქართველოს გუნდის (5 სპორტსმენი) დებიუტი.

III ოლიმპიურ დღეებზე (სუნდსვოლი, შვეცია) 41 ქვეყნის 652 წარმომადგენელი შეიკრიბა, მათ შორის საქართველოს 5 სპორტსმენი. ფიგურულ სრიალში ვერცხლის მედალს დაეუფლა ვახტანგ მურვანიძე.

**ევროპის ოლიმპიური კომიტეტები** (EOC). საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებული კონტინენტური ორგანიზაცია. აერთიანებს ევროპის ქვეყნების ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს. შტაბ-ბინა მდებარეობს რომში, პრეზიდენტია ჟაკ როგი (ბელგია). საქართველოს ეოკ-ი EOC-ის წევრია 1993 წლიდან.

**ევროპის ქვეყნების არასამთავრობო სპორტული ორგანიზაცია** (ENGSO). დაარსდა 1968 წლის 2-3 აპრილს, ჰოლანდიის ქალაქ შვენინგემში. პირველი თავყრილობა მოეწყო ჰოლანდიის სპორტის კონფედერაციის ინიციატივით და გერმანიის სპორტის კონფედერაციის მხარდაჭერით.

აერთიანებს ევროპის 36 ქვეყნის არასამთავრობო სპორტულ ორგანიზაციებს — სპორტულ ფედერაციებს, კონფედერაციებს, კავშირებს, ასოციაციებს, ორგანიზაციებს, საბჭოებს, დეპარტამენტებს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს.

ევროპის ქვეყნების არასამთავრობო სპორტულ ორგანიზაციაში საქართველოს წარმოადგენს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც წევრად მიიღეს 1996 წელს კოპენჰაგენში გამართულ გენერალურ ასამბლეაზე.



ვ. ბლაგიძე

**ბლაგიძე ვახტანგ.** დ. 23. 7. 1954 ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ჩოჩხათში. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა* უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1968. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1978, 81), ორჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონატი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები (მჩატე წონა, 52 კგ) — I ადგილი. I წრე. ტაისტო პალონენი (ფინეთი) — დაამარცხა წმინდად (5, 21), II წრე. კარლამბოს პოლიდისი (საბერძნეთი) — დაამარცხა წმინდად (2, 43), III წრე. მლადენ მლადენოვი (ბულგარეთი) — მოუგო ქულებით, IV წრე. ანტონინ ელინეკი (ჩეხოსლოვაკია) — დაამარცხა წმინდად (3, 57), V წრე. ლაიოშ რაცი (უნგრეთი) — დაამარცხა წმინდად (9, 0).

**ბლანკერს-კუნი ფრანსისა** (შემოკლებით ფანი) დ. 26. 4. 1918. ნიდერლანდელი *მძლეოსანი*, 40-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი, მხტომელი და ხუთჭიდელი. ცნობილი მწვრთნელისა და სპეციალისტის რ. კუნის მეუღლე. ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი. 1948 ლონდონის XIV ოლიმპიურ თამაშებში ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა 100 (11,9) და 200 (24,4) მეტრზე, ესტაფეტაში 4X100 და 80 მ თარჯრბენში (11,2). ფლობდა მსოფლიო რეკორდებს: 100 იარდზე (11,8 და 10,8), 100 მ (11,5), 220 იარდზე (24, 2), 80 მ თარჯრბენში (11,3 და 11,0), სიმაღლეზე (1, 71) და სიგრძეზე (6,25) ხტომაში, აგრეთვე ხუთჭიდში (4692 ქ.). პირველი რეკორდი (100 იარდზე) დაამყარა 1938, უკანასკნელი (ხუთჭიდში) — 1951. 1948 მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი.



ფ. ბლანკერს-კუნი

**ბობსლეი.** მთიდან ყინულოვან ტრასებზე დაშვება მართვადი ციგებით. შეჯიბრებები ეწყობა ორ და ოთხადგილიანი „ბობებით". ბობსლეის სამშობლო შვეიცარიაა (XIX საუკუნის მიწურული). თავდაპირველად ასპარეზობებში ქალებიც მონაწილეობდნენ, 20-იანიდან მხოლოდ ვაჟები. ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1924-დან. პირველი ჩემპიონები იყვნენ შვეიცარიელები (ე. შერერი, ა. ნევიე, ა. და პ. შლიოპები). ბობსლეისა და ტობოგანის (კანადის ინდიელთა ციგები) საერთაშორისო ფედერაცია 1924 შეიქმნა.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 9 | 8 | 8 | 25 |
| აშშ | 5 | 4 | 5 | 14 |
| გ დ რ | 5 | 5 | 3 | 13 |
| იტალია | 3 | 4 | 3 | 10 |
| გ ფ რ | 3 | 3 | 2 | 8 |
| გერმანია | 1 | 2 | 4 | 7 |
| ავსტრია | 1 | 2 | - | 3 |
| დიდი ბრიტანეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| საბჭოთა კავშირი | 1 | - | 2 | 3 |
| ბელგია | - | 1 | 1 | 2 |
| კანადა | 1 | - | - | 1 |
| რუმინეთი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 30 | 30 | 30 | 90 |



ბოლივიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ბოლივია.** სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ცენტრალურ ნაწილში. ტერიტორია — 1.098,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 7,4 მლნ. 63 % — კეჩუასა და აიმარას ტომის ინდიელები, ქვეყნის ტროპიკულ ნაწილში ცხოვრობენ ეგრეთწოდებული „ტყის ინდიელები", დანარჩენი მოსახლეობა —



მ. ბიონდი

თეთრკანიანები, მეტისები. დედაქალაქი (ოფიც.) — სუკრე (80 ათასი), ფაქტობრივად (მთავრობის ადგილსამყოფელი) — ლა-პასი (1 მლნ). სახელმწიფო ენა — ესპანური. რელიგია — კათოლიკური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1932 წელს, 1936 წლიდან სოკ-ის წევრია. 1936 წლის ოლიმპიადაზე ერთადერთი სპორტსმენით (მოცურავე) მონაწილეობდა, 1964 წლიდან განაახლა გამოსვლა. მედალი არ აუღია.

**ბორზოვი ვალერი.** დ. 20. 10. 1949 ლვოვის ოლქის ქალაქ სომბორში. *მძლეოსნობა*. 1972 მიუნხე-

ბოსნია-ჰერცეგოვინის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ბოტსვანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ბრაზილიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



ვ. ბორზოვი

ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ნის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 100 (10, 14) და 200 (20, 00) მ ვ რბენაში.

პირველი ევროპელი, ვინც ოლიმპიურ თამაშებში აჯობა ამერიკელ მძლეოსნებს ორთავე სპრინტერულ დისტანციაზე. მიუნხენის თამაშებზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ესტაფეტაში (4X100). 1976 მონრეალის XXI ოლიმპიურ თამაშებში ორი ბრინჯაოს მედალი მიიღო (100 მ და ესტაფეტა 4X100).

ვალერი ბორზოვი უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და სოკ-ის წევრია.

**ბოსნია-ჰერცეგოვინა**. მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში. ტერიტორია — 51 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3,5 მლნ. 43,6 % — სლავი მუსულმანები, 34,4 % — სერბები, 17,3 % — ხორვატები. დედაქალაქი — სარაევო (200 ათასი). ოფიციალური ენები — ბოსნიური, სერბიული, ხორვატული. შედიოდა იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში.



რ. ბოსტონი

როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა გაერომ ცნო 1992 წლის 22 მაისს.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1992 წელს. 1993 წლიდან სოკ-ის წევრია. დამოუკიდებელი გუნდით გამოვიდა ბარსელონის (1992) და ატლანტის (1996) ოლიმპიურ თამაშებზე.

**ბოსტონი რალფ**. დ. 9. 5. 1939 ჯონს-კაუნტიში, მისისიპის შტატი, აშშ. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო *სიგრძეზე მხტომელი*. 12. 8. 1960 გადახტა 8, 21 მ და გააუმჯობესა ჯესი ოუენსის მსოფლიო რეკორდი (8, 13), რომელიც ურყევად იდგა 25 წლის მანძილზე. ამის შემდეგ მსოფლიო რეკორდი კიდევ ხუთჯერ გააუმჯობესა და ბოლოს 8, 35 მ აიყვანა (1965). 1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. 1964 ოლიმპიადაზე ტოკიოში მეორე იყო, 1968 მეხიკოში კი — მესამე.

**ბოტსვანა**. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში. ტერიტორია — 600,4 ათასი კვ. კმ. (80 % — კალაჰარის უდაბნო), მოსახლეობა — 1,5 მლნ. აქედან რამდენიმე ათასი — ევროპელები და მეტისები, დანარჩენი — აფრიკელები. დედაქალაქი — გაბორონე (102,7 ათასი). სახელმწიფო ენები — ინგლისური და ტსვანა. რელიგია — ქრისტიანობა. მოსახლეობის დაახლოებით 40 % ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1978 წელს, 1980 წლიდან სოკ-ის წევრია და მონაწილეობს ოლიმპიადებში. მედალი არ აუღია.

**ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა**. ყველაზე დიდი სახელმწიფო სამხრ. ამერიკაში. მდებარეობს კონტინენტის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში. ტერიტორია — 8, 5 მლნ. კვ. კმ. მოსახლეობა — 146,8 მლნ. დედაქალაქი — ბრაზილია (1, 7 მილიონი), სახელმწიფო ენა — პორტუგალიური, რელიგია — კათოლიკური. ბრაზილია აღმოაჩინეს პორტუგალიელებმა (1500). იყო ამ ქვეყნის კოლონია. 1822 გამოცხადდა დამოუკიდებელ იმპერიად, 1889 — რესპუბლიკად.

სპორტის საქმეებს სპორტის ეროვნულ საბჭოსთან ერთად განაგებს სპორტული კონფედერაცია. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1935, თამაშებში კი 1920-დან მონაწილეობს. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია მსროლელი გ. პარაინსი (1920).

ბრაზილიელ სპორტსმენთა ჯილდოები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1920 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 1948 | - | - | 1 | 1 |
| 1952 | 1 | - | 2 | 3 |
| 1956 | 1 | - | - | 1 |
| 1960 | - | - | 2 | 2 |
| 1964 | - | - | 1 | 1 |
| 1968 | - | 1 | 2 | 3 |
| 1972 | - | - | 2 | 2 |
| 1976 | - | - | 2 | 2 |
| 1980 | 2 | - | 2 | 4 |
| 1984 | 1 | 5 | 2 | 8 |
| 1988 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 1992 | 2 | 1 | - | 3 |
| 1996 | 3 | 3 | 9 | 15 |
| სულ | 12 | 13 | 29 | 54 |

**ბრენდეჯი ეივერი**. 28. 9. 1887 დეტროიტი, აშშ — 7. 5. 1975 გარმიშ-პარტენკირხენი, გფრ. ამერიკისა და საერთაშორისო სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. დაამთავრა ილინოისის უნივერსიტეტი (1909). თამაშობდა კალათბურთს. სამჯერ იყო აშშ-ს ჩემპიონი მძლეოსნურ მრავალჭიდში. სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებში V ადგილი დაიკავა.

აშშ-ს სამოყვარულო ათლეტთა კავშირის პრეზიდენტი (1928), ამ პოსტზე დაჰყო 1934-მდე. იყო აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი (1928-52) და მძლეოსანთა სამოყვარულო საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1930-52). 1936-დან სოკ-ის, 1937-დან ამ ორგანიზაციის აღმასკომის წევრი. 1946 გახდა სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, 1952-დან კი პრეზიდენტი. ამ პოსტზე შეედი ზიგფრიდ ედსტრიომი შეცვალა.

განათლებით — ინჟინერ-მშენებელი. პროფესია გამოადგა ჩიკაგოს ცნობილი ხანძრის შემდეგ ქალაქის აღდგენაში. დიდ წარმატებას მიაღწია ბიზნესშიც, გახდა მილიონერი. სახელი გაითქვა, როგორც კოლექციონერმა (განსაკუთრებით, აღმოსავლური ხელოვნების დარგში). 50 მილიონი დოლარი დაუტოვა საჩუქრად სან-ფრანცისკოს მუზეუმს. ჰქონდა უმდიდრესი ოლიმპიური ბიბლიოთეკა, რომელიც დაიწვა ხანძრის დროს.

ეივერი ბრენდეჯი სოკ-ის პრეზიდენტი იყო 1952-1972 წლებში.

**ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები**. დიდი ბრიტანეთის მფლობელობა კარიბის ზღვაში. საერთო ტერიტორია — 153 კვ. კმ. მოსახლეობა

— 12,1 ათასი, ძირითადად აფრიკული წარმოშობის. ადმინისტრაციული ცენტრი — როდთაუნი (4 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური. რელიგია — პროტესტანტული.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1980 წელს, 1982 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ბრუმელი ვალერი**. დ. 14. 5. 1942 ჩიტის ოლქში. 1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი *სიმაღლეზე ხტომაში* (2, 18). 1960 რომის XVII ოლიმპიადაზე მეორე იყო (2, 16) რობერტ შავლაყაძის შემდეგ. მიღებული აქვს ორი საერთაშორისო ჯილდო: „ჰელმსის პრიზი" და „კოლუმბის ოქროს კარაველა". ექვსჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 2, 23-დან (1961) 2, 28-მდე (1963). სამჯერ აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად (1961, 62, 63).

ბრუნეი-დარუსალამის ეროვნული ოლიმპიური საბჭოს ემბლემა

**ბრუნეი-დარუსალამი**. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კუნძულ კალიმანტანის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე. ტერიტორია — 5,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 300 ათასი. მალაები — 65 %, ჩინელები — 20 %, აგრეთვე აბორიგენები, ინდოელები, ინგლისელები და სხვ. დედაქალაქი — ბანდარ-სერი-ბეგავანი (50 ათასი). ოფიციალური ენები — მალაური და ინგლისური. რელიგია — ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1984 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრი. მეთვალყურის სახით, თითო ოფიციალური წარმომადგენელი ჰყავდა სეულში (1988) და ბარსელონაში (1992), ატლანტაში (1996) შედგა ოლიმპიური დებიუტი. მედალი არ აუღია.

**ბულგარეთი**. სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ტერიტორია — 110,9 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 8, 97 მილიონი. დედაქალაქი — სოფია (1, 3 მლნ.). სახელმწიფო ენა — ბულგარული.


ვ. ბრუმელი

ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1923. ერთი წლის შემდეგ იგი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სცნო. თუმცა, ბულგარელი სპორტსმენები ოლიმპიადებში 1896-დან მონაწილეობენ. პირველი ბულგარელი, რომელიც ოქროს მედლით დაჯილდოვდა, თავისუფალი სტილის მოჭიდავე ნ. სტანჩევაა (1956).

ბულგარელ სპორტსმენთა ჯილდოები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1952 | - | - | 1 | 1 |
| 1956 | 1 | 3 | 1 | 5 |
| 1960 | 1 | 3 | 3 | 7 |
| 1964 | 3 | 5 | 2 | 10 |
| 1968 | 2 | 4 | 3 | 9 |
| 1972 | 6 | 10 | 5 | 21 |
| 1976 | 6 | 9 | 7 | 22 |
| 1980 | 8 | 16 | 17 | 41 |
| 1988 | 10 | 12 | 13 | 35 |
| 1992 | 3 | 7 | 6 | 16 |
| 1996 | 3 | 7 | 5 | 15 |
| სულ | 43 | 76 | 63 | 182 |

ბულგარეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1980 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |

**ბურკინა-ფასო**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში (1984 წლის აგვისტომდე — ზემო ვოლტას რესპუბლიკა). ტერიტორია — 274,2 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 10, 3 მლნ. დედაქალაქი — უაგადუგუ (350 ათასი). სახელმწიფო ენა — ფრანგული. ჭარბობენ ადგილობრივი ტრადიციული კულტები (60 %), მუსულმანები — 25 %, კათოლიკები — 10 %.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1965 წელს, 1972 წლიდან სოკ-ის წევრია. მიუნხენის (1972) ოლიმპიადაზე მიავლინა ერთადერთი სპორტსმენი.

ბურკინა-ფასოს ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კომიტეტის ემბლემა

**ბურუნდი**. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. ტერიტორია — 27,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 6,4 მლნ (96 % ცხოვრობს სოფლად), ძირითადად — რუნდი და რუანდა. დედაქალაქი — ბუჟუმბურა (250 ათასი). სახელმწიფო ენები — კირუნდი და ფრანგული. მოსახლეობის 65 % — კათოლიკეები, 30 % ემხრობა ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს, არიან მუსულმანებიც.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1990 წელს, 1993 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1996 | 1 | | | 1 |
| სულ | 1 | | | 1 |

ბურუნდის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ბჰუტანი**. სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, აღმოსავლეთ ჰიმალაებში. ტერიტორია — 46,5 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 1,7 მლნ. დედაქალაქი — თხიმპხუ (30 ათასი). სახელმწიფო ენა — ძონგ-კე. რელიგია — ლამაისტური მიმდინარეობის ბუდიზმი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1983 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

ბჰუტანის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

გაბონის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

გაიანის ოლიმპიური ასოციაციის ემბლემა

# გ

**გაბონი**. სახელმწიფო ეკვატორულ აფრიკაში. ტერიტორია 267,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 1,3 მლნ. მოსახლეობის 65 % — ქრისტიანები, დაახლოებით 30 % აღიარებს ტრადიციულ (ანიმისტურ) სარწმუნოებებს, მცირე ნაწილი — ისლამს. დედაქალაქი — ლიბრევილი (300 ათასი). სახელმწიფო ენა — ფრანგული. XIX საუკუნის დასასრულს საფრანგეთმა დაიპყრო გაბონი და 1903 წელს გამოაცხადა თავის კოლონიად. 1960 წელს გაბონმა დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1965 წელს, 1968 წლიდან სოკ-ის წევრია.

**გაერთიანებული გუნდი**. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991) ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა (რამდენიმეს გამოკლებით) თხოვნით მიმართეს სოკ-ს 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებელი გუნდებით მონაწილეობის თაობაზე, მაგრამ სოკ-მა ორგანიზაციულ-ტექნიკური პრობლემები მოი-



გარმიშ-პარტენკირხენი, ზამთრის IV ოლიმპიადა ტრიბუნაზე ჰიტლერი, გერინგი და გებელსი

მიზეზა და ახალაღიარებულ ქვეყნებს გაერთიანებული გუნდით გამოსვლა შესთავაზა. გაერთიანებულ გუნდში შევიდნენ 12 ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის (ბალტიის ქვეყნები ცალკე გამოვიდნენ), მათ შორის საქართველოს სპორტსმენები. ოლიმპიელთა რაოდენობა რესპუბლიკების მიხედვით (ფრჩხილებში მითითებულია პირად და გუნდურ შეჯიბრებათა ჯამში მოპოვებულ მედალთა რაოდენობა): რუსეთი — 274 (131), უკრაინა — 80 (38), ბელორუსი — 54 (29), ყაზახეთი — 19 (5), უზბეკეთი — 17 (6), საქართველო — 12 (8), მოლდოვა — 10 (5), აზერბაიჯანი — 5 (3), სომხეთი — 4 (3), ტაჯიკეთი — 3 (1), ყირგიზეთი — 3 (0), თურქმენეთი — 1 (0). პირად შეჯიბრებებში მოპოვებული მედლების მიხედვით რესპუბლიკები ასე განაწილდნენ:

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 17 | 16 | 12 | 45 |
| ბელორუსი | 9 | 4 | 2 | 15 |
| უკრაინა | 4 | 11 | 4 | 19 |
| საქართველო | 3 | - | 3 | 6 |
| სომხეთი | 3 | - | - | 3 |
| აზერბაიჯანი | 1 | - | 1 | 2 |
| მოლდოვა | 1 | - | 1 | 2 |
| ტაჯიკეთი | 1 | - | - | 1 |
| უზბეკეთი | - | 2 | - | 2 |
| ყაზახეთი | - | - | 2 | 2 |
| თურქმენეთი | - | - | - | - |
| ყირგიზეთი | - | - | - | - |
| **სულ** | **39** | **33** | **25** | **97** |

გამბიის ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კომიტეტის ემბლემა

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1992 | 45 | 38 | 29 | 112 |
| სულ | 45 | 38 | 29 | 112 |

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1992 | 9 | 6 | 8 | 23 |
| სულ | 9 | 6 | 8 | 23 |

**გაიანა**. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ტერიტორია — 215 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 800 ათასი. დაახლოებით 54 % — ინდური, 36 % — აფრიკული წარმოშობის. დედაქალაქი — ჯორჯთაუნი (200 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური. მორწმუნეთა შორის — პროტესტანტები, კათოლიკეები, ინდუისტები, მუსულმანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1935 წელს, 1948 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1980 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |

**გაიარდონი სანტე**. დ. 29. 6. 1939 ვილაფრანკეში. იტალია. 1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი *საგზატკეცილო სპრინტსა და გიტში* 1000 მ. ადგილიდან. 1960 მსოფლიოს ჩემპიონი სპრინტში მოყვარულთა შორის. გადავიდა პროფესიონალებში (1963). ფლობდა მსოფლიოს რეკორდებს გიტში 200 მ. ხელით (11,00, 1960) და ადგილიდან გიტში 1000 მ (1. 07, 50, 1960).

**გამბია**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 11, 3 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 1, 1 მილიონი, მალინკე (42 %), ფულბე, ვოლოფი, დიოლა და სხვ. დედაქალაქი — ბანჯული (135 ათასი). სახელმწიფო ენა — ინგლისური. მოსახლეობის 85 % — მუსულმანები, 4 % — ქრისტიანები, დანარჩენები ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობიან.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1972 წელს, 1976 წლიდან სოკ-ის წევრია.

**განა**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 238,5 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 17,5 მლნ. ძირითადად — აკანის ხალხები, აგრეთვე გა, ევე, მოსი და სხვ. დედაქალაქი — აკრა (1,2 მლნ). სახელმწიფო ენა — ინგლისური. მოსახლეობის ნახევარზე მეტი ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობა, დანარჩენები — ქრისტიანები და მუსულმანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1952 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1960 | | 1 | - | 1 |
| 1964 | | - | 1 | 1 |
| 1972 | | - | 1 | 1 |
| 1992 | | - | 1 | 1 |
| სულ | | 1 | 3 | 4 |

**გარმიშ-პარტენკირხენი**. სამთო კურორტი გერმანიის სამხრეთით, ბავარიის ალპებში, 700-მდე მ. ზღვის დონიდან. მოსახლეობა — 30 ათასი. სატრანსპორტო კვანძი. ტურიზმისა და სპორტის ზამთრის სახეობათა ცენტრი. ცნობილია მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოებით და ამერგებირგეს ნაკრძალით.

1936 6-16 თებერვალს გაიმართა ზამთრის IV ოლიმპიური თამაშები.

**გარჯევი პროდან**. დ. 8. 4. 1936 როსენოვოში, ბულგარეთი. 60-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოჭიდავე (თავისუფალი სტილის) საშუალო წონაში. 1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. ოლიმპიურ თამაშებზე 1968 (მეხიკო, XIX) ბრინჯაოს მედალი მიიღო. ორჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1963, 66), და ერთხელ ბრინჯაოს პრიზიორი (1965). ევროპის ორი ჩემპიონატის ვერცხლისა (1968) და ბრინჯაოს (1967) მედალოსანი.

**გაფრინდაშვილი ნონა**. დ. 3. 5. 1941 ზუგდიდში. გამოჩენილი ქართველი *მოჭადრაკე* და სპორტული მოღვაწე. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1962-1978), საჭადრაკო ოლიმპიადების



ნ. გაფრინდაშვილი

11 ოქროს და 1 ვერცხლის მედლის მფლობელი (1963-1992), ორჯერ გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონთა თასის პირად გათამაშებაში, ერთხელ — ევროპის საკლუბო თასის გათამაშებაში, ხუთჯერ — სსრკ ჩემპიონატში. 1976 წელს მიენიჭა ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება, 1978 წელს ვაჟთა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიიღო, რაც პირველი შემთხვევა იყო ჭადრაკის ისტორიაში. 1982 წელს გადაეცა პირველი „ჭადრაკის ოსკარი". საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი.

1989 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ პრეზიდენტად. ამ პოსტზე მუშაობის 7 წლის მანძილზე განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სეოკ-ის საქმიანობაში, მის საერთაშორისო აღიარებაში. ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის 1996 წელს მიენიჭა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების სამი უმაღლესი ჯილდო: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის საპატიო ორდენი და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ორდენი.

**გახარია გოჩა**. დ. 23. 10. 1973 თბილისში. *წყალში ხტომა*. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 10-მეტრიანი კოშკი. 256,68 ქულა, 34-ე ადგილი.



გ. გედეხაური

**გედეხაური გურამ**. დ. 24. 10. 1963 სართიჭალაში. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1977. მსოფლიოს (1987) და სსრკ (1989) ჩემპიონი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები (ქვემძიმე წონა, 100 კგ) — VII ადგილი. I წრე. ქულებით დამარცხდა ვასილე ანდრეისთან (რუმინეთი), II წრე. წმინდად (3, 18) მოუგო ანჯეი ერონსკის (პოლონეთი). III წრე ქულებით აჯობა დენის კოზლოვსკის (აშშ), IV წრე. ქულებით დამარცხდა იოზეფ ტერტეისთან (იუგოსლავია).

1993-94 წლებში იყო საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი.

**გერასიმოვა ირინა**. დ. 9. 2. 1964 ქუთაისში. სსრკ მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალი სტილით (100, 200 მ) და კომპლექსურ *ცურვაში*. სსრკ თასის მფლობელი. მსოფლიოს უნივერსიადის (1983) ორგზის ჩემპიონი და პრიზიორი. 1982 მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი (კომბინირებული ესტაფეტა 4X100). იქვე 100 და 200 მ თავისუფალი სტილით მეხუთე იყო. 1980 მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების მონაწილე. სსრკ ნაკრები (4X100 თავისუფალი სტილით) წესების დარღვევისთვის მოხსნეს წინასწარი გაცურვის შემდეგ.



ი. გერასიმოვა

**გერევიჩი ალადარ**. 16. 3. 1910 — 14. 5. 1991. იასბერენში, უნგრეთი. ექვსი ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1932-დან 1960-მდე). 1948 ლონდონის XIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი *ხმლით ფარიკაობაში*. უნგრეთის გუნდის შემადგენლობაში ჩემპიონი 1932, 36, 48, 52, 56, 60 ოლიმპიადებში. მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში.

**გერეტი რობერტ**. 24. 6. 1875 — 25. 4. 1961. ამერიკელი *მძლეოსანი*, რომელმაც თანამედროვეობის პირველ ოლიმპიურ თამაშებში (1896, ათენი) ორი ოქროს მედალი მოიპოვა ბირთვის კვრასა (11, 22) და ბადროს ტყორცნაში (29, 15), აგრეთვე, ვერცხლის მედლები დაისაკუთრა სიგრძეზე (6, 18) და სიმაღლეზე (1, 65) ხტომებში. ამ უკანასკნელ სახეობაში ჯილდო გაიყო კონოლისთან (აშშ), რომელსაც ისეთივე შედეგი ჰქონდა. გერეტი თანამედროვე ოლიმპიური თამაშების მეორე ჩემპიონია. ოქროს მედალი ბადროს ტყორცნაში მან მოიპოვა ჯეიმს კონოლის (იხ. გვ. 70) გამარჯვებიდან 2 საათის შემდეგ.

ოლიმპიური სპორტის ისტორიკოსები გერეტთან დაკავშირებით ერთ კურიოზულ შემთხვევას იხსენებენ. ამერიკელ მძლეოსანს ბადრო ცხოვრებაში პირველად ათენში, ოლიმპიადის დღეებში უნახავს. მოსწონებია ტყორცნის პრო-



განის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

[illegible] ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ცესი, იქვე უსწავლია წესები და პირველ ადგილ-ზეც გასულა. ამერიკელის გამარჯვება ამ „წმინდა ბერძნულ დისციპლინაში" მასპინძლებმა აღიქვეს,



დ გვანცელაძე

როგორც დიდი ტრაგედია, ვინაიდან ფავორიტე-ბად თავის მტყორცნელებს მიიჩნევდნენ.

ოთხი წლის შემდეგ პარიზის II ოლიმპიურ თა-მაშებში (1900) გერეტმა სამი მედალი მოიპოვა: ვერცხლის — ბაგირის გადაჭიმვაში, ბრინჯაოსი — ადგილიდან სამხტომსა (9,50) და ბირთვის კერაში (12, 37).

**გერმანია**. სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, რომელიც არსებობდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე. ტერიტორია — 357 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 81 მლნ. დედაქალაქი — ბერ-ლინი (3,5 მლნ).

გერმანია აქტიურად მონაწილეობდა საერთა-შორისო ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებაში (დოქტორი ვ. გებჰარდტი) და ამ ქვეყნის ოლიმპი-ური კომიტეტიც, ბუნებრივია, ადრევე შეიქმნა (1895). გერმანიამ მეორე მსოფლიო ომამდე უმას-პინძლა ზაფხულის (1936, ბერლინი) და ზამთრის (1936, გარმიშ-პარტენკირხენი) ოლიმპიადებს.

გერმანიის სპორტსმენთა ჯილდოები ზაფხუ-ლის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1896 | 6 | 5 | 2 | 13 |
| 1900 | 3 | 2 | 2 | 7 |
| 1904 | 4 | 4 | 4 | 12 |
| 1906 | 4 | 6 | 5 | 15 |
| 1908 | 2 | 4 | 5 | 11 |
| 1912 | 5 | 13 | 7 | 25 |
| 1928 | 10 | 7 | 14 | 31 |
| 1932 | 3 | 12 | 5 | 20 |
| 1936 | 33 | 26 | 30 | 89 |
| 1956 | - | - | 1 | 1 |
| 1960 | 1 | - | 2 | 3 |
| 1964 | - | 3 | 2 | 5 |
| 1992 | 33 | 21 | 28 | 82 |
| 1996 | 20 | 18 | 27 | 65 |
| სულ | 124 | 121 | 134 | 379 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1908 | 1 | 1 | - | 2 |
| 1928 | - | - | 1 | 1 |
| 1932 | - | - | 2 | 2 |
| 1936 | 3 | 3 | - | 6 |
| 1992 | 10 | 10 | 6 | 26 |
| 1994 | 9 | 7 | 8 | 24 |
| სულ | 23 | 21 | 17 | 61 |

გერმანიას, როგორც პირველი მსოფლიო ომის გამჩაღებელს, მონაწილეობა არ მიუღია 1920 და 1924 წლების თამაშებში. გფრ-სა და გდრ-ს გაერთიანების (1990) შემდეგ ოლიმპიურ თამაშებში კვლავ გერმანიის სახელით გამოდის.

**გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა**. ყოფილი სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, რომელიც შეიქმნა ფაშისტური გერმანიის და-მარცხების შემდეგ (1949, 7 ოქტომბერს). ტერი-ტორია — 108,3 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 16, 6 მლნ. დედაქალაქი — ბერლინი (1,2 მლნ.), სახელ-მწიფო ენა — გერმანული.

ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1955 იმ პირო-ბით, რომ ამ ქვეყნის გუნდი საჭიროების შემთხ-ვევაში გაერთიანდებოდა გერმანიის ფედერაცი-ული რესპუბლიკის გუნდთან ერთ ოლიმპიურ დელეგაციად. 1956 მელბურნის XVI თამაშებში სწორედ ასეთი გაერთიანებული გუნდი გამოვი-და, რომელშიც გდრ-ს 64 სპორტსმენი იყო შეყვა-ნილი. 1968-დან გდრ დამოუკიდებლად ასპარე-ზობდა ოლიმპიადებში. 1990 წლის 3 ოქტომბერს, გფრ-თან გაერთიანების შემდეგ, გდრ-მ, რო-გორც სახელმწიფომ, შეწყვიტა არსებობა.

გდრ-ის სპორტსმენთა დამოუკიდებლად მი-ღებული ჯილდოები ზაფხულის ოლიმპიურ თა-მაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1956 | 1 | 4 | 1 | 6 |
| 1960 | 2 | 9 | 5 | 16 |
| 1964 | 3 | 8 | 3 | 14 |
| 1968 | 9 | 9 | 7 | 25 |
| 1972 | 20 | 23 | 23 | 66 |
| 1976 | 40 | 25 | 25 | 90 |
| 1980 | 47 | 37 | 42 | 126 |
| 1988 | 37 | 35 | 30 | 102 |
| სულ | 159 | 150 | 136 | 445 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1956 | - | - | 1 | 1 |
| 1960 | 2 | 1 | - | 3 |
| 1964 | 2 | 2 | - | 4 |
| 1968 | 1 | 2 | 2 | 5 |
| 1972 | 4 | 3 | 7 | 14 |
| 1976 | 7 | 5 | 7 | 19 |
| 1980 | 9 | 7 | 7 | 23 |
| 1984 | 9 | 9 | 6 | 24 |
| 1988 | 9 | 10 | 6 | 25 |
| სულ | 43 | 39 | 36 | 118 |

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა**. ყოფილი სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში. ტერიტორია — 248 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა — 59, 2 მლნ. დედაქალაქი — ბონი (286, 8 ათასი). სა-ხელმწიფო ენა — გერმანული, რელიგია — პრო-ტესტანტული და კათოლიკური (თანაბრად). გფრ შეიქმნა 1949 აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საფ-რანგეთის საოკუპაციო ზონების საზღვრებში.

სპორტის საქმეებს განაგებდა შინაგან საქმე-

თა სამინისტრო. გფრ-ს ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1949 (სოკ-მა სცნო 1950). 1956-64 ოლიმპიურ თამაშებში (ზაფხულის, ზამთრის) ორივე გერმანია გაერთიანებული გუნდით იყო წარმოდგენილი. 1992 წლიდან, გფრ-სა და გდრ-ს გაერთიანების შემდეგ, კვლავ ერთიანი გუნდით გამოდის.

გფრ-ის სპორტსმენთა ჯილდოები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1952 | - | 7 | 17 | 24 |
| 1956 | 5 | 9 | 5 | 19 |
| 1960 | 9 | 10 | 4 | 23 |
| 1964 | 7 | 11 | 13 | 31 |
| 1968 | 5 | 11 | 10 | 26 |
| 1972 | 13 | 11 | 16 | 40 |
| 1976 | 10 | 12 | 17 | 39 |
| 1984 | 17 | 19 | 23 | 59 |
| 1988 | 11 | 14 | 15 | 40 |
| სულ | 77 | 104 | 120 | 301 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1952 | 3 | 2 | 2 | 7 |
| 1956 | 1 | - | - | 1 |
| 1960 | 2 | 2 | 1 | 5 |
| 1964 | 1 | 1 | 3 | 5 |
| 1968 | 2 | 2 | 3 | 7 |
| 1972 | 3 | 1 | 1 | 5 |
| 1976 | 2 | 5 | 3 | 10 |
| 1980 | - | 2 | 3 | 5 |
| 1984 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1988 | 2 | 4 | 2 | 8 |
| სულ | 18 | 20 | 19 | 57 |

**გვანცელაძე დავით.** 28. 3. 1937 — 1. 5. 1984. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.* უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1952. სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1960, 62, 64-66). მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. ოლიმპიადის მონაწილე.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები (მსუბუქი წონა, 70 კგ) — III ადგილი. I წრე. დაამარცხა ფრანც შმიდი (გფრ), II წრე. დამარცხდა ქაზიმ აივაზთან (თურქეთი), III წრე. მოუგო სტეფან ხორვატს (იუგოსლავია), IV წრე. მოუგო ერო ტაპიოს (ფინეთი), V წრე. დამარცხდა ვალერიუ ბულარკასთან (რუმინეთი), VI წრე. ქულებით აჯობა ტოკუაკი ფუიტას (იაპონია).

**გვატემალა.** სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ტერიტორია 109 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 10, 6 მლნ. 53 % — ინდიელები, 46 % — მეტისები, 1 % — თეთრკანიანები. დედაქალაქი — გვატემალა (2 მლნ). ოფიციალური ენა — ესპანური. მორწმუნეთა უმრავლესობა — კათოლიკეები. 1523 წლიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (1821) გვატემალა ესპანეთის კოლონია იყო.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1947 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**გვახარია ნოდარ.** 3. 2. 1932 — 14.9.1996. *წყალბურთი.* უმაღლესი განათლებით. სსრკ ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ჩემპიონი (1953, ბუქარესტი) და ორგზის ვერცხლის პრიზიორი (1955, ვარშავა და 1957, მოსკოვი). II ადგილი სტუდენტთა XII საერთაშორისო თამაშებში (1954, ბუდაპეშტი). ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. ოლიმპიადის მონაწილე.

1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშები — III ადგილი. ჩაატარა ოთხი მატჩი, გაიტანა ოთხი გოლი: 1 — აშშ-თან, 3 — გფრ-თან. უკეთესი შედეგი ოლიმპიურ ტურნირში ჰქონდა მხოლოდ პ. მშვენიერაძეს (7 მატჩი, 11 გოლი).



ნ. გვახარია

**გვინეა.** სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 246 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 7 მლნ. ფულბე, მალინკე, სუსუ და სხვ. დედაქალაქი — კონაკრი (800 ათასი). სახელმწიფო ენებად აღიარებულია ფრანგული და გვინეაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნული ენები. მოსახლეობის 70 % — ისლამისტები, 25 % — ანიმისტები, 5 % — ქრისტიანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1964 წელს, 1965 წლიდან სოკ-ის წევრია.

**გვინეა-ბისაუ.** სახელმწიფო აფრიკის დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 36,1 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 1 მლნ. ბალანტეს, ფულბეს, მანდიაკის, პაპელის ხალხები. დედაქალაქი — ბისაუ (160 ათასი). ოფიციალური ენა — პორტუგალიური, ფართოდაა გავრცელებული კრეოლური. მოსახლეობის 60 % აღიარებს ანიმისტურ კულტებს, 35 % — ისლამს, არიან ქრისტიანებიც.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1992 წელს, 1995 წლიდან სოკ-ის წევრია.

**გიორგაძე ილია.** დ. 12. 1. 1978 ქუთაისში. *ტანვარჯიში,* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. დსთ-ს ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებული (1995), ამერიკის ღია პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი მრავალჭიდში (1996). ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. თავისუფალი ვარჯიში — 9.525; ტაიჭი — 9.512; რგოლები — 9.325; ხტომები — 9.375; ორძელი — 9.450; ძელი — 9.612. ქულათა ჯამი — 56.799. საბოლოო შედეგი — 25-ე ადგილი მრავალჭიდში.

გვინეის ეროვნული ოლიმპიური და სპორტის საბჭოს ემბლემა



ი. გიორგაძე

**გიორგაძე მიხეილ.** დ. 14. 3. 1961 ქუთაისში. *წყალბურთი.* დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1972. ევროპის სამგზის ჩემპიონი (1983, 85, 87).

გვინეა-ბისაუს ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

1982 მსოფლიო ჩემპიონი. ოლიმპიადის მონაწილე.

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები (მეკარე) — III ადგილი.

**გობეჯიშვილი დავით**. დ. 3. 1. 1963 ონის რაიონის სოფ. ხურუთში. *თავისუფალი ჭიდაობა*. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1980. სსრკ სამგზის ჩემპიონი (1985, 86, 88). ორჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1985, 90) და ერთხელ ვერცხლის პრიზიორი (1986). ევროპის ჩემპიონი (1985). 1986 მოიგო კეთილი ნების თამაშები. მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი (1986-88). ორი ოლიმპიადის მონაწილე.



დ. გობეჯიშვილი

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები (მძიმე წონა, 130 კგ) — I ადგილი. I წრე. აშკარა უპირატესობით აჯობა დენის ატიეხს (სირია). II წრე. წმინდად (2,43) მოუგო ხიროიუკი ობატას (იაპონია), III წრე. აშკარა უპირატესობით აჯობა რალფ ბრებერს (გფრ), IV წრე. ქულებით დაამარცხა ათანას ათანასოვი (ბულგარეთი), V წრე. ქულებით მოუგო ლასლო კლაუზს (უნგრეთი), VI წრე. ქულებით აჯობა ბრუს ბაუმგარტნერს (აშშ).



გრენადის ოლიმპიური აკადემიის ემბლემა

1992 ბარსელონას XXV ოლიმპიური თამაშები (მძიმე წონა, 130 კგ) — III ადგილი. I წრე. მოუგო იურაი შტეპს (ჩეხოსლოვაკია), II წრე. მოუგო კირილ ბარბუტოვს (ბულგარეთი), III წრე. დამარცხდა ბრუს ბაუმგარტნერთან (აშშ), IV წრე. აჯობა ანდრეას შრიოდერს (გერმანია), V წრე. მოუგო მაჰმუდ დემირს (თურქეთი).

დავით გობეჯიშვილი 1994 წლიდან საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტია.

**გოგია მუხრან**. დ. 15. 8. 1971 ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში. დაამთავრა საქართველოს სპორტის აკადემია. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი *ძალოსნობაში*, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების პირველობაში გამარჯვებული (1990), ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1994). 1996 ატლანტის XXVI ოლიმპიურ თამაშებზე შედიოდა საქართველოს ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში (108 კგ), მაგრამ ტრავმის გამო შეჯიბრებაში ვერ გამოვიდა.



ზ. გოგოლაური

**გოგიტიძე ბაკურ**. დ. 10. 9. 1973 თბილისში. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. უმაღლესი განათლებით. მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებული (1993) და ვერცხლის პრიზიორი (1994). ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 100 კგ. პირველ წრეში ქულებით დამარცხდა ჯუზეპე ჯუნტასთან (იტალია), მეორეში 3:0 მოუგო კანადელ ქოლბი ბელს, შემდეგ კი წააგო ბულგარელ ტოდორ მანოვთან (0:3) და გამოეთიშა შეჯიბრებას. საბოლოო შედეგი — XIV ადგილი.

**გოგოლაური ზურაბ**. დ. 28. 4. 1944 საგარეჯოს რ-ნის სოფ. მანავში. *სამბო, ძიუდო*. უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1960. სსრ კავშირის ჩემპიონატების ვერცხლისა (1974) და ბრინჯაოს (1973) პრიზიორი. სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატის (1968) მესამე პრიზიორი. ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატებში მიღებული აქვს ვერცხლის (1971, 72) და ბრინჯაოს (1973) მედლები. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები (საშუალო წონა, 80 კგ) — V ადგილი. I წრე. წმინდად დაამარცხა (5, 55) ჯონ გისე (სენეგალი), II წრე. წმინდად მოუგო (3, 25) ირვინ კოენს (აშშ), III წრე. დაამარცხა სლავკო ობადოვი (იუგოსლავია), IV წრე (მეოთხედფინალი). დამარცხდა ბრაიან ჯეკსთან (დიდი ბრიტანეთი).

**გოგოლაძე ვლადიმერ**. დ. 18. 8. 1966. *ტანვარჯიშში*. უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1978. სსრკ ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. ევროპის ჩემპიონატის (1985) ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი მრავალჭიდსა და ორძელზე. ოლიმპიადის მონაწილე.

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები — I ადგილი გუნდურ ჩათვლაში. მონაწილეობდა მხტომელთა ფინალურ ტურნირში. აჩვენა 9, 45 და 9, 85. ვერ მოხვდა პრიზიორებში.

**გოგოლაძე კობა**. დ. 7. 1. 1973 ფოთში. *მოკრივე*. სტოკჰოლმის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი (1991), დსთ პირველობის ვერცხლის პრიზიორი (1993), ოლიმპიური თამაშების მონაწილე (60 კგ).

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. პირველ წრეში ქულებით (17:9) აჯობა კორეელ ჩოლ რის, შემდეგ მოუგო კუბელ ხულიო გონსალესს (14.9), მესამე შეხვედრა კი დათმო (8:17) რუმინელ ლეონარდ დოროფტეისთან და გამოეთიშა შეჯიბრებას.



გრაფ გონაკოსას თასი

**გოგოლაძე ლერი**. დ. 1. 4. 1938 თბილისში. *წყალბურთი*. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, პროფესორი, იყო თბილისის სახ. უნივერსიტეტის პრორექტორი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1954. სსრკ ჩემპიონი (1968) და მრავალგზის პრიზიორი. ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი (1962). ოლიმპიადის მონაწილე.



ლ.გოგოლაძე

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები (მეკარე) - II ადგილი. მონაწილეობა მიიღო სამ მატჩში — არგენტინასთან, უნგრეთსა და იუგოსლავიასთან.

**გოგოლიშვილი ავთანდილ.** დ. 27.7.1964 ლანჩხუთში. *თავისუფალი ჭიდაობა.* უმაღლესი განათლებით. კანადის თასის მფლობელი (1989), სსრკ ჩემპიონი (1991), ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 82 კგ. პირველ წრეში დამარცხდა (0:3) ირანელ ამირ რეზა ჰადემთან, შემდეგ მოუგო სენეგალელ ალიუნე დოუფს (6:2) და ბულგარელ პლამენ პენევს (4:1), მეოთხე წრეში კი მაგომედ იბრაგიმოვთან (აზერბაიჯანი) წააგო 4:6 და გამოეთიშა შეჯიბრებას. საბოლოო შედეგი — X ადგილი.

**გოკიელი ელენე.** 25.8.1918 — 26.12.1993. *მძლეოსნობა.* დაამთავრა ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა (1939) და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტები (1956). სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1933. სსრკ ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში (1944) და მრავალგზის პრიზიორი 80 მ. თარჯრბენში. ამ სახეობაში სამი წლის მანძილზე (1949-52) სსრკ რეკორდსმენი იყო (11,3). სსრკ თანარეკორდსმენი იყო ესტაფეტაშიც 4X100 მ. ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები (თარჯრბენი 80 მ.) — ნახევარფინალის შემდეგ გამოეთიშა ასპარეზობას. გარბენი — I ადგილი (11,5), ნახევარფინალი — IV ადგილი (11,1).

**გოლფი.** სპორტული თამაში ბურთით და სპეციალური ჩოგნით. ჩაისახა შუასაუკუნეების დანიაში. პოპულარული სპორტია დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით აშშ-ში, ინგლისში, კანადაში, აგრეთვე, იაპონიასა და ავსტრალიაში. ორჯერ იყო ოლიმპიურ პროგრამაში (1900 და 1904). პირველი ოლიმპიური ჩემპიონები: ვაჟებში — ჩ. სენდსი (აშშ), ქალებში — მ. ებოტი (აშშ).

**გორბაჩოვი ნიკოლაი.** დ. 15. 5. 1948 გომელსკის ოლქის ქ. როგაჩოვში. მიუნხენის 1972 XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი *ბაიდარებით ნიჩბოსნობაში* ფოთელ ვიქტორ კრატასიუკთან ერთად (1000 მ). მსოფლიოს ჩემპიონი (1974) ოთხადგილიანებით რბოლაში. აგრეთვე მსოფლიოს ორი ჩემპიონატის (1971, 75) ბრინჯაოს პრიზიორი. სსრკ მრავალგზის ჩემპიონი.

**გოულდი შეინ.** 23. 11. 1956 სიდნეიში, ავსტრალია. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო *მოცურავე* ქალი. 1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 200 (2, 03, 56) და 400 (4.19,04) თავისუფალი სტილით, აგრეთვე, 200მ. კომპლექსურ (2.23,07) ცურვაში. იქვე ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გაუმჯობესებული აქვს ათამდე მსოფლიო რეკორდი თავისუფალი სტილით ცურვაში (ყველა დისტანციაზე). ორჯერ იყო აღიარებული მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად (1971,72).



კ.გოგოლაძე

**გრაფ ბონაკოსას პრიზი.** 1954 დააფუძნა იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი თანამემამულის, სოკ-ის წევრის, გრაფ ბონაკოსას (1925-53) პატივსაცემად. დაჯილდოებულთა შორის იყვნენ ავსტრიის, ირანის, ესპანეთის, კენიის, მექსიკის, გფრ-ის, იაპონიის და სხვა ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები. 1974 სოკ-ის 75-ე სესიის გადაწყვეტილებით შეჩერდა თასის ყოველწლიური გადაცემა.

**გრენადა.** სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულზე და გრენადინის კუნძულების სამხრეთ ნაწილში, მცირე ანტილიის კუნძულების არქიპელაგში. საერთო ტერიტორია — 344,5 კვ.კმ. მოსახლეობა — 110 ათასი. 50 % — ზანგები, 40 % — მულატები, ცხოვრობენ აგრეთვე ინდიელები და თეთრკანიანები. დედაქალაქი — სენტ-ჯორჯესი



ე. გოგოლაძე (მარცხნიდან მეორე)

(35 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური. მორწმუნეთა უმრავლესობა — კათოლიკები. კუნძული აღმოაჩინა კოლუმბმა (1498). გრენადის დამოუკიდებლობა 1974 წელს გამოცხადდა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1984 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**გრენობლი.** იზერის (საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი) დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი, სადაც მოეწყო 1968 ზამთრის X ოლიმპიური თამაშები. მდებარეობს მდინარე იზერის ჭალაში იმ ადგილას, სადაც იგი ერთვის მდინარე დრაკს. ზღვის დონიდან 214მ. მოსახლეობა 200 ათასამდე. გრენობლში გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 66-ე სესია (1968).

**გრიონბერგი აქსელ.** 9.5.1918 — 23.4.1988. შვეცია. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.* 40-50-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი. ორჯერ იყო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1948, 52). 1950 მსოფლიო ჩემპიონი გახდა, 1953 კი ვერ-



ე.გოკიელი

გუამის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა


კ.გულიაშვილი

დასავლეთ სამოას სამოყვარულო სპორტის ფედერაცია და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა


გ.გუდაშვილი

ცხლის მედალი დაისაკუთრა (ნეაპოლში) გივი კარტოზიას შემდეგ.

**გრიფიტ-ჯოინერი ფლორენს.** დ. 21. 12. 1959 აშშ-ში. ოთხმოციანი წლების უძლიერესი *სპრინტერი* მძლეოსან ქალთა შორის, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, ორი ოლიმპიადის მონაწილე: 1984, ლოს-ანჯელესი — 200 მ, II ადგილი; 1988 სეული — 100 მ — I; 200 მ — I; 4X100მ — I; 4X400 მ — II.


ფ.გრიფიტ-ჯოინერი

**გრუზდევი ვლადიმერ.** დ. 2. 7. 1952 ჟდანოვში (უკრაინა). *აფროსანი*. მსოფლიო თასის გათამაშების ორგზის ვერცხლის პრიზიორი (1982, 1993), 1990 წლიდან გამოდის გურამ ბიგვანიშვილთან ერთად. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა — XVI ადგილი (გურამ ბიგვანიშვილთან ერთად).

**გუამი.** კუნძული წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, მარიანის კუნძულების ჯგუფში. ტერიტორია — 549 კვ. კმ. მოსახლეობა — 143 ათასი. ადგილობრივი მაცხოვრებლები — ჩამორო. ადმინისტრაციული ცენტრი — აგანია (2200). ოფიციალური ენა — ინგლისური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1976 წელს, 1986 წლიდან სოკ-ის წევრია.

**გუდაშვილი გურამ.** დ. 1941 თბილისში. უმაღლესი განათლებით. ერთ-ერთი უძლიერესი *ბადროს მტყორცნელი* სსრკ-ში. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1959. სსრკ ჩემპიონატების ვერცხლის (1969) და ბრინჯაოს (1966,68) პრიზიორი. ოლიმპიადის მონაწილე.

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები (ბადროს ტყორცნა)— საკვალიფიკაციო ნორმატივი (58,00მ) ვერ შეასრულა და ვერ მოხვდა ფინალში. I ცდა - 57,48, II ცდა - 55,84, III ცდა - გააფუჭა.

**გულიაშვილი კობა.** დ. 13. 4. 1968 გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. უმაღლესი განათლებით. მსოფლიოს თასის მფლობელი (1991), ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 62 კგ. ქულებით დაამარცხა არუთიკ რუმპენიანი (საბერძნეთი) — 4:1 და ბაჰადირ ყურბანოვი (უზბეკეთი) — 10:3, მესამე წრეში ქულებით წააგო ვლოდიმეჟ ზავადსკისთან (პოლონეთი), შემდეგ 7:2 მოუგო სერგეი მარტინოვს (რუსეთი), 3:1 — ივან ივანოვს (ბულგარეთი), მესამე ადგილისთვის კი დამარცხდა თურქ მეჰმედ ფირიმთან. საბოლოო შედეგი — IV ადგილი.

**გუნბა საიდა.** დ. 30. 8. 1959 სოხუმში. *მძლეოსნობა*. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1976. სსრკ ორგზის ჩემპიონი შუბის ტყორცნაში (1978,79). ოლიმპიადის მონაწილე.


ს.გუნბა

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიადა (შუბის ტყორცნა)— II ადგილი. საკვალიფიკაციო შედეგი —63,98. I ცდა - 65,08, II ცდა -67,76, III ცდა - გააფუჭა, IV ცდა -63,78, V ცდა - გააფუჭა, VI ცდა - 65,06.

# დ

**დადუნაშვილი ოთარ.** 21. 3. 1928 — 28. 8. 1992. *ველოსპორტი (სპრინტი)*. უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1936. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. სსრკ ხუთგზის რეკორდსმენი გიტში 200 მ. სვლით, 500მ ადგილიდან და სვლით. სსრკ ჩემპიონი სპრინტში (1952). ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები (სპრინტი) — უადგილოდ. 1/16 ფინალი — III ადგი-

ლი, „ნუგეშის სერია " — II ადგილი. გამოეთიშა ასპარეზობას.

**დანიის სამეფო**. სახელმწიფო ევროპის ჩრდილო-დასავლეთში. უკავია იუტლანდიის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი და ახლომდებარე კუნძულების ჯგუფი, აგრეთვე, ბორნჰოლმის კუნძული ბალტიის ზღვაში. დანიას ეკუთვნის ფარერის კუნძულებიც და მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული — გრენლანდია (სარგებლობენ შინაგანი ავტონომიით). ტერიტორია — 43 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 6 მილიონამდე, დედაქალაქი — კოპენჰაგენი (1,7 მლნ.), სახელმწიფო ენა — დანიური, რელიგია — ლუთერანული. დანია როგორც სახელმწიფო IX-X შეიქმნა. 1849-დან კონსტიტუციური მონარქია.

სპორტის საქმეებს განაგებს მოყვარულთა სპორტული ფედერაციების გაერთიანება. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1905. პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მიიღო ძალოსანმა ვ. ენსენმა (1896).

დანიის სპორტსმენთა ჯილდოები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1896 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 1900 | 1 | 3 | 2 | 6 |
| 1906 | 3 | 2 | 1 | 6 |
| 1908 | - | 2 | 3 | 5 |
| 1912 | 1 | 6 | 5 | 12 |
| 1920 | 3 | 9 | 1 | 13 |
| 1924 | 2 | 5 | 2 | 9 |
| 1928 | 3 | 1 | 2 | 6 |
| 1932 | - | 3 | 3 | 6 |
| 1936 | - | 2 | 3 | 5 |
| 1948 | 5 | 7 | 8 | 20 |
| 1952 | 2 | 1 | 3 | 6 |
| 1956 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1960 | 2 | 3 | 1 | 6 |
| 1964 | 2 | 1 | 3 | 6 |
| 1968 | 1 | 4 | 3 | 8 |
| 1972 | 1 | - | - | 1 |
| 1976 | 1 | - | 2 | 3 |
| 1980 | 2 | 1 | 2 | 5 |
| 1984 | - | 3 | 3 | 6 |
| 1988 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1992 | 1 | 1 | 4 | 6 |
| 1996 | 4 | 1 | 1 | 6 |
| **სულ** | **38** | **60** | **57** | **155** |

**დასავლეთ სამოა**. სახელმწიფო სამოას არქიპელაგის დასავლეთ ნაწილში, მდებარეობს წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთით. საერთო ტერიტორია — 2,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 166 ათასი, ძირითადად — პოლინეზიელ-სამოელები. დედაქალაქი — აპია (35 ათასი). ოფიციალური ენები — სამოური და ინგლისური. მორწმუნეთა 70 % — პროტესტანტები, დანარჩენები — კათოლიკები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1983 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**დალისტანლი მუსტაფა**. დ. 1931 სამსუნში, თურქეთი. *თავისუფალი ჭიდაობა*. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოჭიდავე (მჩატე, ქვემსუბუქი წონა). 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების (ქვემსუბუქი) და 1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშების (მსუბუქი) ჩემპიონი. სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი ქვემსუბუქ (1954) და მსუბუქ (1957, 59) წონებში.

**დზიბუაძე ვლადიმერ**. დ. 2. 10. 1970 სოხუმში. *ძიუდოისტი*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სტუდენტი. მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1989), მსოფლიო ჩემპიონატების (1991,1992) ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი (1993), კეთილი ნების თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი (1990). ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 71 კგ. იჭიდავა ოთხი წრე. პირველი შეხვედრა იპონით მოუგო ენდრიუ პეინს (ბარბადოსი), მეორეში აჯობა პორტუგალიელ გილერმო ბენტეშს (პანტეი), შემდეგ დამარცხდა მონღოლ ხალიუნ ბოლდ ბატართან (შიდო), დამამშვიდებელ ჯგუფში კი ხელი მოეცარა ამერიკელ ჯიმ პედროსთან (იუკო). საბოლოო შედეგი — X ადგილი.



ო. დალისტანლი

**დევიზი ოლიმპიური**. „citius altius fortius" (სწრაფად, მაღლა, ძლიერად). დევიზის ავტორია პიერ დე კუბერტენის თანამებრძოლი და მეგობარი პენრი დიდონი. დევიზი დაამტკიცა სოკ-მა 1913. 1920-დან იგი ოლიმპიური ემბლემის ნაწილს წარმოადგენს. ოლიმპიური დევიზის ფუნქცია აკისრია მის პოპულარულ გამოთქმასაც: „სპორტი — მშვიდობაა!"



დანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის კონფედერაციის ემბლემა



პ. დიდონი



ვ. დზიბუაძე

**დევისი გლენ**. დ. 12. 9. 1934 უელსბურგში, ვირჯინიას შტატში, აშშ. *მძლეოსანი*. 1956 მელბურნის XVI და 1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 400 მ. თარჯრბენში (50,1 და 49,3). 1960 ოქროს მედალი მიიღო ასევე ესტაფეტაში 4X400 მ. დაამყარა მსოფლიო რეკორდები 400 მ და 440 იარდზე რბენაში.

**დევისი ჯონ**. 12. 1. 1921 — 13.7.1984. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ამერიკელი *ძალოსანი* (40-50-იანი). 1948 ლონდონის XIV (452,5 კგ სამჭიდში) და 1952 ჰელსინკის XV (460 კგ) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს 1938 ჩემპიონი საშუალო (387, 5) და 1946 (435), 1947 (455), 1949 (442,5),1950 (462,5), 1951 (432,5) ჩემპიონი მძიმე წონაში. დაამყარა 22 მსოფლიო რეკორდი. მათ შორის ხუთი მრავალჭიდში. 1951 მოიგო პანამე-



ჯ. დევისი

რიკული თამაშები (477,5). ეს შედეგი იყო მისი ბოლო მსოფლიო რეკორდი.


ი. დელა-როსა

**დელა-როსა იგორ**. დ. 25. 4. 1939 თბილისში. *მძლეოსნობა*. უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1962. სსრკ ჩემპიონატების ვერცხლის (1967, 68) და ბრინჯაოს (1971) პრიზიორი სპორტულ სიარულში 50 კმ. ოლიმპიადის მონაწილე.

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები (სიარული 50 კმ) — დისტანცია ვერ დაამთავრა უჟანგბადობის პირობებში, რაც მეხიკოს მაღალი მდებარეობით იყო გამოწვეული. ბრძოლა ადრევე შეწყვიტა. 10 კილომეტრი გაიარა 52. 38, 8.

**დერიუგინი ნიკოლოზ**. დ. 30. 4. 1959 ქუთაისში.


ნ. დერიუგინი

*კალათბურთი*. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ევროპის ჩემპიონი (1981), II ადგილი მსოფლიოს უნივერსიადაზე (1981), საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1979). მსოფლიოს ჩემპიონი (1982). ოლიმპიადის მონაწილე.

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები — III ადგილი. მონაწილეობა მიიღო რვა შეხვედრაში. სსრკ ნაკრებს 67 ქულა შესძინა: ინდოეთთან — 17, ბრაზილიასთან — 14, ჩეხოსლოვაკიასთან — 4, ესპანეთთან — 4, იტალიასთან — 6, იუგოსლავიასთან — 13, კუბასთან — 9, ესპანეთთან — 0.


მორბენლები. ძველბერძნული ლარნაკი. 632 წ. ძვ. წ. ა.

**დიაულოსი**. ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებში რბენა ორ სტადიაზე (ერთი სტადია — 192, 27 მ). პროგრამაში შეიტანეს XIV ოლიმპიურ თამაშებზე (724 ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ერთი სტადია უნდა გაერბინათ წინ და უკან.


ი. დიარჩკოვი

**დიარჩკოვი იური**. დ. 13. 7. 1940 თბილისში. *მძლეოსნობა*. უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1956. სამოციანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ათჭიდელი. სსრკ ორგზის ჩემპიონი (1965, 66) და ვერცხლის პრიზიორი (1962). ოლიმპიადის მონაწილე.

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები — ათჭიდელთა ასპარეზობას გამოეთიშა ტრავმის გამო. 8 სახეობის შემდეგ ჰქონდა 5803 ქულა. ვერ გამოვიდა შუბის ტყორცნასა და რბენაში 1500 მ.


კ. დიბიასი

**დიბიასი კლაუს**. დ. 6. 10. 1947 ზოლბად-პაულში (ავსტრია). იტალიისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო *წყალში მხტომელი*. სამი ოლიმპიური თამაშების (1968, 1972, 1976) ჩემპიონი კოშკიდან ხტომაში. 1964 წლის ოლიმპიადაზე იმავე სახეობაში II ადგილი დაიკავა. მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი როგორც კოშკიდან, ისე ტრამპლინიდან ხტომაში, მსოფლიო თასის არაერთგზის მფლობელი ორივე სახეობაში.

**დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფო**. სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში, რომელიც განლაგებულია ბრიტანეთის კუნძულებზე. ტერიტორია — 244,1 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 58 მლნ. დედაქალაქი — ლონდონი (6, 8 მლნ). სახელმწიფო ენა — ინგლისური. გაბატონებული ეკლესია — ანგლიკანური. გავრცელებულია, აგრეთვე, კათოლიკური და პროტესტანტული რწმენა.

სპორტის საკითხებს განაგებს სპორტის საქმეთა საბჭო. ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაცია შეიქმნა 1905. ერთადერთი ქვეყანა, რომლის სპორტსმენები ყველა ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ. პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: ძალოსანი ლ. ელიოტი და ჩოგბურთელი ჯ. ბოლენდი, რომელმაც ოქროს მედალი მოიგო როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელთა შორის (1894) არის ორი ინგლისე-

ლი მოლვაწე — ლორდი ამპტჰილი და ჩ. ჰერბერტი. ინგლისის დედაქალაქმა ორჯერ უმასპინძლა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს — 1908 (IV ოლიმპიადა) და 1948 (XIV ოლიმპიადა).

ბრიტანეთის სპორტსმენთა ჯილდოები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1896 | 1 | 3 | 2 | 6 |
| 1900 | 16 | 6 | 8 | 30 |
| 1906 | 6 | 8 | 5 | 19 |
| 1908 | 53 | 44 | 35 | 132 |
| 1912 | 10 | 15 | 16 | 41 |
| 1920 | 14 | 15 | 12 | 41 |
| 1924 | 9 | 13 | 12 | 34 |
| 1928 | 3 | 10 | 7 | 20 |
| 1932 | 4 | 7 | 5 | 16 |
| 1936 | 4 | 7 | 3 | 14 |
| 1948 | 3 | 14 | 6 | 23 |
| 1952 | 1 | 2 | 8 | 11 |
| 1956 | 6 | 7 | 11 | 24 |
| 1960 | 2 | 6 | 12 | 20 |
| 1964 | 4 | 12 | 2 | 18 |
| 1968 | 5 | 5 | 3 | 13 |
| 1972 | 4 | 5 | 9 | 18 |
| 1976 | 3 | 5 | 5 | 13 |
| 1980 | 5 | 7 | 9 | 21 |
| 1984 | 5 | 11 | 21 | 37 |
| 1988 | 5 | 10 | 9 | 24 |
| 1992 | 5 | 3 | 12 | 20 |
| 1996 | 1 | 8 | 6 | 15 |
| სულ | 169 | 223 | 218 | 610 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1908 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 1920 | - | - | 1 | 1 |
| 1924 | - | 1 | 2 | 3 |
| 1928 | - | - | 1 | 1 |
| 1936 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 1948 | - | - | 2 | 2 |
| 1952 | 1 | - | - | 1 |
| 1964 | 1 | - | - | 1 |
| 1976 | 1 | - | - | 1 |
| 1980 | 1 | - | - | 1 |
| 1984 | 1 | - | - | 1 |
| 1994 | - | - | 2 | 2 |
| სულ | 7 | 4 | 12 | 23 |

**დილარდი ჰარისონ**. დ. 8. 7. 1923 კლივლენდში, ოჰაიოს შტატი, აშშ. *ძძლეოსნობა*. ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი. 1948 ლონდონის XIV ოლიმპიურ თამაშებში მოიგო რბენა 100 მ და ესტაფეტა 4X100 მ. 1952 ჰელსინკის XV თამაშებში პირველი იყო 110 მ. თარჯრბენსა და ესტაფეტაში 4X100 მ. ფლობდა მსოფლიოს რეკორდებს თარჯრბენსა და 200 მ რბენაში.

**დიპლომი (სიგელი) ოლიმპიური**. დიპლომით აჯილდოებენ პრიზიორებსა და იმ სპორტსმენებს, რომლებიც პირად ან გუნდურ შეჯიბრებაში IV-VIII ადგილებს იკავებენ. დიპლომები გადაეცემათ საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების იმ წევრებს, რომელთაც მედალი არ ერგოთ. სამახსოვრო დიპლომსა და მედალს იღებს ოლიმპიადის ყველა მონაწილე ოფიციალური პირი, დელეგაციის წევრი, სამსაჯო აპარატის თანამშრომელი.

დიპლომი არ გადაეცემა დელეგაციის იმ წევრებს, რომლებიც წესების დარღვევისთვის დაითხოვეს ოლიმპიური თამაშებიდან. სპორტსმენის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში დიპლომი უბრუნდება სოკ-ს.



ჰ. დილარდი

**დიუმასი ჩარლზ**. დ. 12. 2. 1937 ტალაში, ოკლაჰომას შტატი, აშშ. *ძძლეოსნობა*. 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში (2, 12 მ). პანამერიკულ თამაშებში გამარჯვებული (1959). 1956 დაამყარა მსოფლიოს რეკორდი — 2, 15 მ.

**დობრევი დიმიტრი**. დ. 14. 4. 1931 ეზერეცში, ბულგარეთი. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. 1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი საშუალო წონაში. ოთხი წლით ადრე მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებზე მეორე იყო.

**დოლიხოდრომი** (ბერძ. dolichos — გრძელი, ხანგრძლივი, dromos — სირბილი) ანტიკური ოლიმპიური თამაშების პროგრამის ერთ-ერთი სახეობა — რბენა გამძლეობაზე. მანძილი სხვადასხვა თამაშებზე მერყეობდა შვიდიდან ოცდაოთხ სტადიამდე. შეჯიბრება მიმდინარეობდა ეტაპობრივად მანამ, სანამ დარჩებოდა ოთხი მონაწილე. ბოლო ეტაპი იყო ამ ოთხეულის ფინალური ასპარეზობა. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს XV ოლიმპიადაზე (720 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

**დომინიკა**. სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულზე, მცირე ანტილიის კუნძულების არქიპელაგში (კარიბის ზღვა). ტერიტორია — 790 კვ. კმ. მოსახლეობა — 81 ათასი, ძირითადად — აფრიკული წარმოშობის ხალხები. დედაქალაქი — როზო (20 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური, გავრცელებულია აგრეთვე ადგილობრივი კრეოლური ენა. მოსახლეობის უმრავლესობა — კათოლიკები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1987 წელს, 1993 წლიდან სოკ-ის წევრია.

**დომინიკელთა რესპუბლიკა**. სახელმწიფო კარიბის ზღვაში, უკავია კუნძულ ჰაიტის აღმოსავლეთი ნაწილი და მცირე კუნძულები. ტერიტორია — 48, 7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 7, 8 მლნ.



1998 წ. სეულის ოლიმპიადა. კანადელი სპრინტერი ბენ ჯონსონი დოპინგის მიღებაში ამხილეს

დედაქალაქი სანტო-დომინგო (გარეუბნებით — 1 მლნ). სახელმწიფო ენა — ესპანური. მოსახლეობის უმრავლესობა — კათოლიკები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1946 წელს, 1962 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1984 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |

**დოპინგი** (ინგ. doping. dope — ნარკოტიკის მიცემა): ფარმაკოლოგიური საშუალება, რომლის შეყვანა ორგანიზმში იწვევს ფიზიკურ და ნერვულ აქტიურობას. დოპინგსაშუალებების მიღება კატეგორიულად არის აკრძალული და მკაცრად ისჯება. სოკ-ის სამედიცინო კოდექსით დადგენილია აკრძალული მედიკამენტებისა და პროცედურების სია.

აკრძალული დოპინგური საშუალებების ძირითადი ჯგუფებია: ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორები, ნარკოტიკული ანალგეტიკები, ანაბოლური სტერეოიდები, ბეტა-ბლოკატორი, დიურეტიკები, პეპდიდური ჰორმონები, სისხლის დოპინგი (აუტოჰემოტრანსფუზია). (იხ. სამედიცინო კოდექსი, გვ. 118).



კ. დ'ორიოლა

**დ'ორიოლა კრისტიან.** დ. 3. 10. 1928 პერპინიანში, საფრანგეთი, *ფარიკაობა რაპირით.* 1952 ჰელსინკის XV და 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი პირად ჩათვლაში. 1948 ლონდონის XIV და 1952 ჰელსინკის XV თამაშების ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში. მსოფლიოს ოთხგზის პირადი (1947, 49, 53, 54) და სამგზის გუნდური (1947, 51, 53) ჩემპიონი. 1948 ოლიმპიადაზე ლონდონში ვერცხლის მედალი მოიპოვა. მიღებული აქვს ოლიმპიური ორდენი (ბრინჯაოს ნიშანი).

**დოჰერტი რეჯინალდ.** 14. 10. 1872 — 29 12.1910, დიდი ბრიტანეთი. მეოცე საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი უძლიერესი *ჩოგბურთელი.* 1900 პარიზის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მიიღო წყვილთა და შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში, ბრინჯაოსი — ერთეულთა თანრიგში. 1908 წელს გაიმარჯვა წყვილთა შეჯიბრებაში.




ოლიმპიური დროშა

**დროშა (ალამი) ოლიმპიური.** თეთრი ფერის ტილო, რომლის ცენტრში გამოსახულია ოლიმპიური სიმბოლო — ხუთი გადაჯაჭვული რგოლი ლურჯ, ყვითელ, შავ, მწვანე და წითელ ფერებში. ოფიციალურ ნიმუშად ითვლება დროშა, რომელიც პიერ დე კუბერტენმა წარმოადგინა სოკ-ის პარიზის კონგრესზე (1914). ამ თავყრილობაზე, რომელიც თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის 20 წლისთავს ეძღვნებოდა, პირველად აფრიალდა ოლიმპიური დროშა. 1920 შემდეგ დროშის აღმართვა ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალის ერთ-ერთ ნაწილად ითვლება. დროშა ოლიმპიური ჰიმნის თანხლებით სტადიონზე შემოაქვთ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და აღმართავენ ანძაზე. დახურვის ცერემონიალზე მასპინძელი ქალაქის მერი დროშას უბრუნებს სოკ-ის პრეზიდენტს, რომელიც თავის მხრივ გადასცემს მომდევნო ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს. ეს დროშა ოთხი წლის განმავლობაში გამოიფინება ქალაქის ძირითად მუნიციპალურ შენობაზე.

ოფიციალური ოლიმპიური დროშა ატლასისაგან არის დამზადებული და მოვარაყებულია ოქროს ჩუქურთმით. სოკ-ს იგი ბელგიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა აჩუქა (1920). ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამოაქვთ ნორ-

ვეგიის ოლიმპიური კომიტეტის მიერ სოკ-ისთვის 1952 წელს ნაჩუქარი დროშა.

**დუმბაძე ნინო.** 23. 5. 1919 ოდესაში — 14. 4. 1983. *მძლეოსნობა*. პირველი ქართველი ქალი — მსოფლიოს რეკორდსმენი. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1955). სსრკ რვაგზის ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში (1939, 43, 44, 46-50). ორჯერ იყო სსრკ ჩემპიონი ხელყუმბარის ტყორცნაში. ევროპის ორგზის ჩემპიონი (1946,



ნ. დუმბაძე

50). 1948-60 იყო მსოფლიო რეკორდსმენი. მსოფლიო რეკორდები დამყარებული ჰქონდა 1948 (53, 25 მ), 1951 (53, 37 ), 1952 (57, 04). ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები (ბადროს ტყორცნა ) — III ადგილი. I ცდა — 45,85; II ცდა — 40,24; III ცდა — 44,10; IV ცდა — 46,29; V ცდა — 45,10; VI ცდა — 46,05. საბოლოო შედეგი — 46,29 მ.



ოლიმპიური დღე. თბილისი. 1997 წ. ივნისი.

**დღე ოლიმპიური.** სპორტული, კულტურული ან სხვა სახის დღესასწაული, რომელსაც აწყობენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები ოლიმპიური იდეების პროპაგანდისა და სამოყვარულო სპორტის განვითარების მიზნით. იდეა ამ დღის მოწყობისა ეკუთვნის სოკ-ის წევრს ჩეხოსლოვაკიელ ი. გრუსს (1947). სოკ-ის 41-ე სესიამ (1948) წინადადება მოიწონა.

სოკ-ის 79-ე სესიაზე (1977) მიიღეს სპეციალური დადგენილება ოლიმპიური დღის შესახებ. ამ დადგენილებით ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს წინადადება ეძლეოდათ შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველწლიურად აღენიშნათ ეს დღე. ოლიმპიური დღის მოწყობა რეკომენდებულია 17-24 ივნისის პერიოდში. პარიზის საერთაშორისო კონგრესზე (1894 ივნისი) გადაწყდა ძველბერძნული ოლიმპიადების აღდგენა და ოლიმპიურ დღეს სწორედ ამ მოვლენას უკავშირებენ. ოლიმპიური დღე პირველად აღინიშნა ავსტრიაში, კანადაში, პორტუგალიაში, ურუგვაისა და შვეიცარიაში (1948). ზოგი ეოკ-ი სოკ-ის მიერ რეკომენდებულ პერიოდში ოლიმპიური დღის ნაცვლად ოლიმპიურ კვირეულს აწყობს, რაც არ ეწინააღმდეგება ოლიმპიურ ქარტიას.

# Э

**ეგვიპტე.** სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში და სინას ნახევარკუნძულზე (აზია). ტერიტორია — 1.002 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 60 მლნ. ძირითადად არაბები. დედაქალაქი — ქაირო (გარეუბნებით — 13 მლნ). სახელმწიფო ენა — არაბული. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა — მუსულმანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1910 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

ეგვიპტის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1928 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1936 | 2 | 1 | 2 | 5 |
| 1948 | 2 | 2 | 1 | 5 |
| 1952 | - | - | 1 | 1 |
| 1984 | - | 1 | - | 1 |
| სულ | 6 | 5 | 5 | 16 |

**ეგოროვა ლუბოვ.** დ. 5. 5. 1966 რუსეთში. 90-იანი წლების უძლიერესი *მოთხილამურე*. ალბერვილისა (1992) და ლილეჰამერის (1994) ოლიმპიურ თამაშებში სხვადასხვა დისტანციებზე მოიპოვა 6 ოქროს და 3 ვერცხლის მედალი.



ლ. ეგოროვა

**ედერლე გერტრუდა.** დ. 23.10.1906 აშშ-ში. *მოცურავე*. პირველი ქალი, რომელმაც გადაცურა ლამანშის სრუტე (6.8.1926). 1924 პარიზის VIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (ესტაფეტა 4X100 მ. თავისუფალი სტილით). ამავე ოლიმპიადაზე მოიპოვა ბრინჯაოს მედლები 100 და 400 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში. იყო მსოფლიოს რეკორდსმენი თავისუფალი სტილით ცურვაში სხვადასხვა დისტანციაზე: 100 მ. — 1.12,8 (1923), 200 მ. — 2.45,2 (1923), 400 მ. — 5.53,2 (1922), 500 მ. — 7.22,2(1922).

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ემბლემა



ი. ზ. ედსტრიომი

**ედსტრიომი იუჰანეს ზიგფრიდ**. 21.11.1870 გიოტებორგი — 18.3.1964 სტოკჰოლმი. შვეციისა და საერთაშორისო სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. სწავლობდა აშშ-ში, შვეიცარიაში, შვეციაში. განათლებით — ინჟინერ-ენერგეტიკოსი. ახალგაზრდობაში გატაცებული იყო სპორტით. აქვს დამყარებული შვეციის რეკორდი 100მ. რბენაში (11,0).

მუშაობდა ტექნოლოგად ციურიხში. აქ დაუკავშირდა საერთაშორისო სპორტულ მოძრაობას, დაუახლოვდა ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს, გახდა სპორტის ფუნქციონერი. აქტიურად იბრძოდა 1912 ოლიმპიადის სტოკჰოლმში მოწყობისათვის. ედსტრიომი მოყვარულ მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანია და მისი პირველი პრეზიდენტი (1912-1946).

1920-დან სოკ-ის, 1921-დან მისი აღმასკომის წევრი. 1931-დან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, 1946 კი ანრი დე ბაიე-ლატური შეცვალა პრეზიდენტის პოსტზე.

იუჰანეს ზიგფრიდ ედსტრიომი სოკ-ის პრეზიდენტი იყო 6 წლის განმავლობაში (1946-1952).

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ემბლემა

**ევანსი ლი. დ.** 25. 2. 1947 მადერში, კალიფორნიის შტატი, აშშ. *მძლეოსნობა*. 1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 400 მ რბენაში (43, 8 — მსოფლიოს რეკორდი) და ესტაფეტაში 4X400 მ (აქაც მსოფლიო რეკორდის თანაავტორი იყო — 2.56,1). მოგებული აქვს 1967 პანამერიკული თამაშები (400 მ — 44, 9).

**ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები**. 12-18 წლის სპორტსმენთა კონტინენტური შეჯიბრება. იმართება სოკ-ის ეგიდით, ორ წელიწადში ერთხელ; ზაფხულის დღეები — 1991 წლიდან, ზამთრის დღეები — 1993 წლიდან.

ზაფხულის ოლიმპიური დღეების პროგრამაშია სპორტის 10 სახეობა (6 ინდივიდუალური, 4 სათამაშო). ყოველი მასპინძელი ქვეყანა შეხედულებისამებრ ირჩევს თითო ინდივიდუალურ და სათამაშო სახეობას, დანარჩენს კი განსაზღვრავს ევროპის ეოკ-ის სპეციალური კომისია.

ევროპის ქვეყნების არასამთავრობო სპორტული ორგანიზაციის ემბლემა

I ოლიმპიური დღეები ბრიუსელში მოეწყო და 33 ქვეყნის 1491 სპორტსმენი მონაწილეობდა. მომდევნო შეჯიბრებას ვალკენსვაარდმა (ჰოლანდია, უმასპინძლა — 43 ქვეყანა, 1865 სპორტსმენი). აქ თანატოლთა ტურნირში პირველად ჩაებნენ საქართველოს წარმომადგენლები (სულ — 51 სპორტსმენი), რომლებმაც სპორტის 7 სახეობაში იასპარეზეს და ორი მედალი მოიპოვეს; ივერი ჯიქურაული (ძიუდო) — II ადგილი, ლევან ციგრიაშვილი (ძიუდო) — III ადგილი.

1995 წელს ბათში (ინგლისი) გამართულ III ოლიმპიურ დღეებში ჩვენი ქვეყნის 15 სპორტსმენი გამოვიდა და ხუთმა მედალი მოიპოვა: დავით ჯავახიშვილი — I ადგილი, ფირუზ ტყეშელაშვილი — II, გიორგი გუგავა — III, ლევან სულხანიშვილი — III, ირაკლი სირაძე — III (ყველა — ძიუდო).

მომდევნო ოლიმპიურ დღეებს პორტუგალიის დედაქალაქი ლისაბონი მასპინძლობდა.

ფეხბურთელთა ტურნირში გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა: ზურაბ ბათიაშვილი, ვალერი აბრამიძე, გიორგი დეკანოსიძე, ედუარდ საჯაია, იოსებ დევიძე, ოლეგ გველესიანი, დავით დიღმელაშვილი, არჩილ რომანაძე, ლევან კორღალიძე, ლაშა ჯაკობია, ვალერი გაგუა, ჟიული ჯოლოხავა, ლადო კაკაშვილი, ჯაბა სიამაშვილი, შალვა აფხაზავა, ცეზარ ხუროძე, უფროსი მწვრთნელი — ვახტანგ კოპალეიშვილი. ვერცხლის მედალი მოიპოვა ივანე ნადირაშვილმა (71 კგ.), ბრინჯაოსი — გელა ბარათაშვილმა (55კგ.) და გრიგოლ მამრიკიშვილმა (65კგ.). ყველა — ძიუდო.

ზამთრის ოლიმპიური დღეები 7 სახეობას მოიცავს. პირველი შეჯიბრებები 1993 წელს, იტალიის ქალაქ აოსტაში მოეწყო (23 ქვეყანა, 270 მონაწილე), მეორე — ანდორაში (40 ქვეყანა, 447 მონაწილე). აქ შედგა საქართველოს გუნდის (5 სპორტსმენი) დებიუტი.

III ოლიმპიურ დღეებზე (სუნდსვოლი, შვეცია) 41 ქვეყნის 652 წარმომადგენელი შეიკრიბა, მათ შორის საქართველოს 5 სპორტსმენი. ფიგურულ სრიალში ვერცხლის მედალს დაეუფლა ვახტანგ მურვანიძე.

**ევროპის ოლიმპიური კომიტეტები** (EOC). საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებული კონტინენტური ორგანიზაცია. აერთიანებს ევროპის ქვეყნების ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს. შტაბ-ბინა მდებარეობს რომში, პრეზიდენტია ჟაკ როგი (ბელგია). საქართველოს ეოკ-ი EOC-ის წევრია 1993 წლიდან.

**ევროპის ქვეყნების არასამთავრობო სპორტული ორგანიზაცია** (ENGSO). დაარსდა 1968 წლის 2-3 აპრილს, პოლანდიის ქალაქ შვენინგემში. პირველი თავყრილობა მოეწყო ჰოლანდიის სპორტის კონფედერაციის ინიციატივით და გერმანიის სპორტის კონფედერაციის მხარდაჭერით.

აერთიანებს ევროპის 36 ქვეყნის არასამთავრობო სპორტულ ორგანიზაციებს — სპორტულ ფედერაციებს, კონფედერაციებს, კავშირებს, ასოციაციებს, ორგანიზაციებს, საბჭოებს, დეპარტამენტებს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს.

ევროპის ქვეყნების არასამთავრობო სპორტულ ორგანიზაციაში საქართველოს წარმოადგენს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც წევრად მიიღეს 1996 წელს კოპენჰაგენში გამართულ გენერალურ ასამბლეაზე.

არგენტინა, საბერძნეთი, იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, შვეიცარია, ჩეხოსლოვაკია. ოფიციალური ენები — ინგლისური, ფრანგული, ესპანური, გერმანული, რუსული. შტაბ-ბინა — მიუნხენში. უმაღლესი ორგანო — კონგრესი. ეწყობა ოთხ წელიწადში ერთხელ ოლიმპიური თამაშების დროს. საჭიროების შემთხვევაში საგანგებო სესიას იწვევენ, თუ ამის სურვილს გამოთქვამს ფედერაციის წევრთა ერთი მეხუთედი.

ფიბა-ს აღმასრულებელი ორგანოა ცენტრალური ბიურო. იგი სარგებლობს კონგრესის ყველა უფლებით. ბიუროს წევრთა უფლებამოსილება განისაზღვრება 4 წლით. ცენტრალურ ბიუროში შედიან: პრეზიდენტი, 6 ვიცე-პრეზიდენტი, გენერალური მდივანი, მისი ერთი ან რამდენიმე მოადგილე, ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლები.

ფიბა-ში შექმნილია კომისიები: ტექნიკური, ქალთა, ფინანსების, საერთაშორისო-ორგანიზაციული, იუნიორთა, ტექნიკური დახმარების, იურიდიული, მინი-კალათბურთის.

**კალგარი**. ქალაქი კანადაში, ალბერტის პროვინციაში. სპორტის ზამთრის სახეობათა ცენტრი. ცნობილია ნავთობის გადასამუშავებელი წარმოებით, მანქანათმშენებლობითა და კვების მრეწველობით. 1988 13-28 თებერვალს უმასპინძლა ზამთრის XV ოლიმპიურ თამაშებს.

**კამბოჯა**. სახელმწიფო ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 181 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 10,4 მლნ. დედაქალაქი — პნომპენი (1 მლნ). სახელმწიფო ენა — კხმერული. რელიგია — ბუდიზმი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1983 წელს, 1994 წლიდან სოკ-ის წევრია.

**კამერუნი**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 475,4 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 12,5 მლნ. ძირითადად — ფანგი, ბამილეკე, დუალა, ბასა, ფულბე და სხვ. დედაქალაქი — იაუნდე (800 ათასი). სახელმწიფო ენები — ფრანგული და ინგლისური. მოსახლეობის 50 % ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს აღიარებს, 35 % — ქრისტიანობას, 15 % — ისლამს.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1963 წელს. ამავე წლიდან სოკ-ის წევრია. ოლიმპიური დებიუტი შედგა 1964 წელს და მას შემდეგ ყველა თამაშებში გამოვიდა.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1968 | | 1 | - | 1 |
| 1984 | | - | 1 | 1 |
| სულ | | 1 | 1 | 2 |

**კანადა**. სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში. ტერიტორია — 10მლნ. კვ. კმ. მოსახლეობა — 29,5 მლნ. დედაქალაქი — ოტავა (1 მლნ.). სახელმწიფო ენა — ინგლისური, ფრანგული. რელიგია — კათოლიკური, ანგლიკანური. ევროპელები კანადაში გამოჩნდნენ 1497. კოლონიზაცია, რომელსაც ადგილობრივი ტომების შევიწროება მოჰყვა, დაიწყო XVII საუკუნეში. პირველი დასახლება ინგლისელებმა შექმნეს 1605, ფრანგებმა 1623.

სპორტის საქმეებს განაგებს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური აღზრდისა და დასვენების ორგანიზაციის სამინისტრო. ოლიმპიური ასოციაცია შეიქმნა 1907. კანადაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ზამთრის სპორტის სახეობები, პირველ რიგში ჰოკეი, თუმცა ურიგო შედეგები არც ზაფხულის სპორტის წარმომადგენლებს აქვთ.

კანადამ ერთხელ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს (1976, მონრეალი), ერთხელ კი ზამთრის ოლიმპიადას (1988, კალგარი) უმასპინძლა. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია ჯ. ორტონი (1900, რბენა დაბრკოლებებით 2500 მ.).

ქვეყნის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1900 | 1 | - | 1 | 2 |
| 1904 | 4 | 1 | 1 | 6 |
| 1906 | 1 | 1 | - | 2 |
| 1908 | 3 | 3 | 10 | 16 |
| 1912 | 3 | 2 | 2 | 7 |
| 1920 | 2 | 3 | 3 | 8 |
| 1924 | - | 3 | 1 | 4 |
| 1928 | 4 | 4 | 7 | 15 |
| 1932 | 2 | 5 | 8 | 15 |
| 1936 | 1 | 3 | 5 | 9 |
| 1948 | - | 1 | 2 | 3 |
| 1952 | 1 | 2 | - | 3 |
| 1956 | 2 | 1 | 3 | 6 |
| 1960 | - | 1 | - | 1 |
| 1964 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1968 | 1 | 3 | 1 | 5 |
| 1972 | - | 2 | 3 | 5 |
| 1976 | - | 5 | 6 | 11 |
| 1984 | 10 | 18 | 16 | 44 |
| 1988 | 3 | 2 | 5 | 10 |
| 1992 | 6 | 5 | 7 | 18 |
| 1996 | 3 | 11 | 8 | 22 |
| სულ | 48 | 78 | 90 | 216 |

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1920 | 1 | - | - | 1 |
| 1924 | 1 | - | - | 1 |
| 1928 | 1 | - | - | 1 |
| 1932 | 1 | 1 | 5 | 7 |
| 1936 | - | 1 | - | 1 |
| 1948 | 2 | - | 1 | 3 |
| 1952 | 1 | - | 1 | 2 |
| 1956 | - | 1 | 2 | 3 |
| 1960 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1964 | 1 | - | 2 | 3 |
| 1968 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 1972 | - | 1 | - | 1 |
| 1976 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 1980 | - | 1 | 1 | 2 |
| 1984 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1988 | - | 2 | 3 | 5 |
| 1992 | 2 | 3 | 2 | 7 |
| 1994 | 3 | 6 | 4 | 13 |
| სულ | 19 | 20 | 25 | 64 |

**კანდელაკი გიორგი**. დ. 10. 4. 1974 გორის რაიონის სოფელ ვარიანში. *მოკრივე*. უმაღლესი განათლებით. მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1992), მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1993), ევროპის ჩემპიონი (1993), მსოფლიოს თასის ბრინჯაოს პრიზიორი (1994), ოლიმპიური თამაშების მონაწილე. საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მედროშე.

კამბოჯის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

კამერუნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

კანადის ოლიმპიური ასოციაციის ემბლემა



გ. კანდელაკი

კატარის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 91 კგ. პირველი შეხვედრა აშკარა უპირატესობით მოუგო ეკვადორელ თომსონ გარსიას, მეორე წრეში აჯობა პოლონელ ეოიცეხ ბარტნიკს (6:1), მაგრამ შემდეგ დამარცხდა კუბელ ფელიქს საეონთან (4:20) და გამოეთიშა შეჯიბრებას.

**კარელინი ალექსანდრე**. დ. 19. 9. 1967. ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი *ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში*, სამი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი მძიმე წონაში. უძლიერესი იყო 1988, 1992 და 1996 წლების ოლიმპიურ თამაშებზე.



ა. კარელინი

**კარტოზია გივი**. დ. 29. 3. 1929 ბათუმში. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1957) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1963). სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1945. სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1952-55). სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1953, 55, 58), მსოფლიოს თასის მფლობელი (1956). პირველი ადგილები სტუდენტთა XI მსოფლიოს თამაშებსა (ბერლინი, 1951) და ახალგაზრდობის I საერთაშორისო მეგობრულ სპორტულ თამაშებზე (ბუქარესტი, 1953). პირველი ქართველი სპორტსმენი (და არა მხოლოდ მოჭიდავე), რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ორი ოლიმპიადის მონაწილე.



გ. კარტოზია

1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშები (საშუალო წონა, 79 კგ.) — I ადგილი. I წრე — ქულებით დამარცხდა რუნე იანსონთან (შვეცია), II წრე — წმინდად მოუგო უილიამ პატერსონს (ავსტრალია), III — ქულებით დაამარცხა დიერდ გურიჩი (უნგრეთი), IV წრე — ქულებით აჯობა დიმიტრ დობრევს (ბულგარეთი).

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები (ქვემძიმე წონა, 87 კგ.) — III ადგილი. I წრე — ქულებით მოუგო პოუარდ ჯორჯს (აშშ), II წრე — ქულებით აჯობა ანტერო ვანპონენს (ფინეთი), III წრე — ქულებით დაამარცხა პერბერტ ალბრეხტი (გდრ), IV წრე — ქულებით მოუგო გეორგ პოპოვიჩს (რუმინეთი), V წრე — ქულებით აჯობა პეტერ პიტის (უნგრეთი), ქულებით წააგო ტოეფიკ კიშთან (თურქეთი).

**კატარი**. მდებარეობს ამავე სახელწოდების ნახევარკუნძულზე, სპარსეთის ყურეში. ტერიტორია — 11,4 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 600 ათასი. დედაქალაქი — დოხა (220 ათასი). ოფიციალური ენა — არაბული. რელიგია — ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1979 წელს, 1980 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1992 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |

**კატბერტი ელიზაბეტ**. დ. 20. 4. 1938 მერილენდსში, ავსტრალია. *მძლეოსნობა*. 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი. მოიგო რბენა 100 მ. (11,5), 200 მ. (23,4, ოლიმპიური რეკორდი) და ესტაფეტა 4X100 (ავსტრალიის გუნდმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი — 44,5). 1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიურ თამაშებში პირველი იყო 400 მ. რბენაში (52,0, ოლიმპიური რეკორდი).

**კატო სავაო**. დ. 11. 10. 1946 იაპონიაში. ერთ-ერთი გამოჩენილი *ტანმოვარჯიშე*. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1970, 1974). 12 ოლიმპიური მედლის მფლობელი. 1968 — 3 ოქრო, 1 ბრინჯაო. 1972 — 3 ოქრო, 2 ვერცხლი. 1976 — 2 ოქრო, 1 ვერცხლი.

**კაჭარავა ვაჟა**. დ. 2. 1. 1937 თბილისში. *ფრენბურთი*. უმაღლესი განათლებით. დაამთავრა ნ. ბაუმანის სახ. მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (1972). სსრკ ჩემპიონატის (1965) ბრინჯაოს, სსრკ ხალხთა სპარტაკიადების ვერცხლის (1967, 71) და ბრინჯაოს (1963) პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი (1967), მსოფლიოსა (1966) და ევროპის (1963) ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი. მსოფლიოს უნივერსიადების ჩემპიონი (1963, 65). მსოფლიოს თასის მფლობელი (1965). ოლიმპიადის მონაწილე.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები — I ადგილი.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა შვიდი მატჩი (ცხრიდან) — რუმინეთის, პოლანდიის, სამხრეთ კორეის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიის, ბულგარეთისა და ბრაზილიის გუნდებთან.

**კახიაშვილი კახი**. დ. 13. 7. 1969 ცხინვალში. *ძალოსნობა*. სსრკ-ს და დსთ-ს ჩემპიონი. ჭაბუკთა


ვ. კაჭარავა

მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებული (1989). ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი. ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1992 ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები (90 კგ) — I ადგილი (412,5 კგ. ოლიმპიური რეკორდის გამეორება. ასეთივე შედეგი ჰქონდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გუნდის წევრს სერგეი სირცოვს, მაგრამ ჩემპიონი კახიაშვილი გახდა, ვინაიდან მეტოქეზე მსუბუქი იყო 200 გრამით). ატაცი: I ცდა — 170 კგ, II ცდა — 175 კგ, III ცდა — 177,5 კგ; აკვრა: I ცდა — 220 კგ, II ცდა — 225 კგ, III ცდა — 235 კგ (მსოფლიო რეკორდის გამეორება).

1994 წლიდან საბერძნეთის მოქალაქეა და ამ ქვეყნის სახელით გამოდის.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიური თამაშები


კ. კახიაშვილი

(99 კგ) — I ადგილი (420 კგ, მსოფლიო რეკორდი). ატაცი; I ცდა — 180 კგ, II ცდა — 185 კგ, III ცდა — 187, 5 კგ (ვერ დაძლია); აკვრა: I — 220 კგ, II ცდა — 225 კგ, III ცდა — 235 კგ (მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი).

**კენიის რესპუბლიკა.** სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 582,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 21, 2 მლნ. დედაქალაქი — ნაირობი (1,5 მლნ.). სახელმწიფო ენა — ინგლისური და სუახილი. რელიგია — ადგილობრივი, არიან პროტესტანტებიც, კათოლიკებიც, მუსულმანებიც.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1955 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1964 | - | - | 1 | 1 |
| 1968 | 3 | 4 | 2 | 9 |
| 1972 | 2 | 3 | 4 | 9 |
| 1984 | 1 | - | 2 | 3 |
| 1988 | 5 | 2 | 2 | 9 |
| 1992 | 2 | 4 | 2 | 8 |
| 1996 | 1 | 4 | 3 | 8 |
| სულ | 14 | 17 | 16 | 47 |

**კეტაშვილი გელა.** დ. 27. 9. 1965 თბილისში. *ფეხბურთი.* დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. თამაში დაიწყო „ნორჩ დინამოელში" (1976). გამოდიოდა ქუთაისის „ტორპედოში" (1981-83), თბილისის „დინამოში" (1984-90), ლანჩხუთის „გურიაში" (1991). მოგებული აქვს ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი. ოლიმპიადის მონაწილე.

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები — I ადგილი.


გ. კეტაშვილი

**კვაჭაძე დავით.** დ. 25. 12. 1951 თბილისში. *კრივი.* უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1967. სსრკ სამგზის ჩემპიონი (1976, 77, 79) ქვემძიმე წონაში. ევროპის ჩემპიონი (1977) იმავე წონაში. ოლიმპიადის მონაწილე.

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები (ქვემძიმე წონა, 81 კგ) — ტურნირს გამოეთიშა მეოთხედფინალიდან. I წრე — მეორე რაუნდში აშკარა უპირატესობით აჯობა სტრონ მაკ-დონალდს (დიდი ბრიტანეთი), მეოთხედფინალი — ქულებით დამარცხდა სლობოდან კაჩართან (იუგოსლავია), რომელიც ბოლოს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

**კვიპროსი.** სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულზე, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 9251 კვ. კმ. მოსახლეობა — 700 ათასი. 78 % — კვიპროსელი ბერძნები, 18 % — კვიპროსელი თურქები, ცხოვრობენ აგრეთვე არაბები, ინგლისელები, სომხები და სხვ. დედაქალაქი — ნიქოზია (200 ათასი). ოფიციალური ენები — ბერძნული და თურქული. ოფიციალური რელიგიები — მართლმადიდებლობა და ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1974 წელს, 1978 წლიდან სოკ-ის წევრია.

კენიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

კვიპროსის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა


დ. კვაჭაძე

**კიკნაძე ანზორ**. 26.3.1934 — 5.9.1976. *ძიუდო*, უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1950. სსრკ ხუთგზის ჩემპიონი სამბოში (1961-65). ოთხჯერ იყო ევროპის პირადი ჩემპიონი ძიუდოში (1962, 64, 65, 66) და ორჯერ — ვერცხლის პრიზიორი (1967, 68), ევროპის მრავალგზის გუნდური ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატების ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1965, 67). ოლიმპიადის მონაწილე.


ა. კიკნაძე

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები (მძიმე წონა, 80 კგ) — III ადგილი. ჯგუფური ტურნირი: დაამარცხა ჰერბერტ ნიმანი (გდრ) და იოჰანეს გუველეეი (ნიდერლანდები). ნახევარფინალი — დამარცხდა ისაო ინოკუმასთან (იაპონია), რომელიც საბოლოოდ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

**კილანინი მაიკლ მორისი**. დ. 30.7.1914 ლონდონში. ირლანდიელი ლორდი, საერთაშორისო სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი — დაამთავრა იტონის კოლეჯი, სორბონისა და კემბრიჯის უნივერსიტეტები. ახალგაზრდობაში გატაცებული იყო კრივითა და ნიჩბოსნობით. ჟურნალისტი, მუშაობდა სამხედრო კორესპონდენტად „დეილი ექსპრესში" (1935-38), „დეილი მეილსა" და „სანდი დისპატჩში" პოლიტიკურ მიმომხილველად. 1938-45-ში ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ოფიცერი იყო, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. თანამშრომლობდა დოკუმენტურ კინემატოგრაფში, სხვადასხვა სამრეწველო ფირმაში ადმინისტრაციული თანამდებობები ეკავა (1940-50).


მ მ.კილანინი

1950-დან ირლანდიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია, 1952-დან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, 1967-დან კი სოკ-ის აღმასკომის წევრი. 1968 აირჩიეს სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტად, 1972-ში კი პრეზიდენტად. ამ პოსტზე ეივერი ბრენდეჯი (აშშ) შეცვალა. ირლანდიის სამეფო აკადემიის წევრი (1952).

მაიკლ მორის კილანინი სოკ-ის პრეზიდენტი იყო 8 წლის მანძილზე (1972-80).

**კილი ჟან-კლოდ**. დ. 30.8.1943 საფრანგეთში. ერთ-ერთი უძლიერესი *სამთო-მოთხილამურე*. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1966, 1968) ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული აქვს სამი ოქროს მედალი. 1968, გრენობლი — სწრაფდაშვება, გიგანტური სლალომი, სლალომი.


ჟ.კ.კილი

**კიმ სონ-ნუნგი**. დ. 5.4.1971 სამხრეთ კორეაში. ოლიმპიადების ისტორიაში უძლიერესი *მშვილდოსანი* ქალი — 4 ოლიმპიური მედლის მფლობელი. 1988, სეული — 2 ოქროს მედალი, 1992, ბარსელონა — 1 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი.

**კლარკი რონალდ უილიამ**. დ. 21.2.1937 მელბურნში. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი *მორბენალი-სტაიერი*. 1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი 10.000 მ. რბენაში (28.25,8). მსოფლიოს რეკორდსმენი 2, 3, 6 და 10 მილზე, აგრეთვე, 5000, 10.000, 20.000 მ და 1 საათიან რბენაში. 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების მთავარი მეჩირაღდნე. 1965 აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად.

**კლიმკე რაინერ**. დ. 14.1.1936 გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ყველა დროის უძლიერესი *ცხენოსანი*. 24 წლის მანძილზე (1964-1988) გამოდიოდა ოლიმპიურ შეჯიბრებებზე და მოიპოვა 6 ოქროს, 1 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი (სარეკორდო შედეგი ამ სახეობაში). ოლიმპიადების მიხედვით ეს ჯილდოები ასე ნაწილდება: 1964 — ოქრო, 1968 — ოქრო და ვერცხლი, 1976 — ოქრო და ბრინჯაო, 1984 — ორი ოქრო, 1988 — ოქრო.



რ. უ. კლარკი

**კოვალენკო სერგეი.** დ. 11. 8. 1947 პორტ-არტურში. *კალათბურთი.* დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ოლიმპიადის მონაწილე.

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები — III ადგილი.

1969-მდე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში თამაშობდა, მერე გადავიდა კიევის „სტროიტელში". 1972 წელს მიუნხენში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

**კოლუმბია.** სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. კოლუმბიას ეკუთვნის რიგი კუნძულებისა კარიბის ზღვასა და წყნარ ოკეანეში. ტერიტორია — 1.141,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 35,1 მლნ. 57 % — მეტისები, 20 % — თეთრები, 14 % — მულატები. დედაქალაქი — ბოგოტა (5 მლნ). სახელმწიფო ენა — ესპანური. რელიგია — კათოლიკური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1936 წელს, 1939 წლიდან სოკ-ის წევრია. ოლიმპიადებში მონაწილეობს 1932 წლიდან (გარდა 1952 წლისა). ზამთრის ოლიმპიადებში არ გამოსულა.

კოლუმბიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1972 | | 1 | 2 | 3 |
| 1984 | | 1 | - | 1 |
| 1988 | | - | 1 | 1 |
| 1992 | | - | 1 | 1 |
| სულ | | 2 | 4 | 6 |

**კომანეჩი ნადია.** დ. 13. 11. 1961. *ტანვარჯიში.* 1976 მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონი, აგრეთვე, ოქროს მედლები მოიპოვა ორძელსა და დეირზე. ორჯერ იყო ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1975, 77). ევროპის ჩემპიონი ორძელზე (1975, 77), ხტომებში (1975) და დეირზე (1975).



ნ. კომანეჩი

ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს.

**კომორი.** სახელმწიფო მოზამბიკის უბეში. საერთო ტერიტორია — 2,2 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 600 ათასი, უმრავლესობა — ანტალაუტრა. დედაქალაქი — მორონი (23 ათასი). სახელმწიფო ენები — ფრანგული და არაბული. განსაკუთრებით გავრცელებული რელიგია — ისლამი. XIX ს-დან კომორი საფრანგეთის კოლონია იყო. 1975 მოიპოვა დამოუკიდებლობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1979 წელს, 1993 წლიდან სოკ-ის წევრია.



ს. კოვალენკო

**კონგო.** სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. ტერიტორია — 324 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 2,6 მლნ. ბანტუს ხალხები: კონგო, ტეკე, მბოში და სხვ. დედაქალაქი — ბრაზავილი (650 ათასი). სახელმწიფო ენა — ფრანგული. მოსახლეობის 50 % ადგილობრივ კულტებს აღიარებს, 31 % — კათოლიკები, 15 % — პროტესტანტები, 0,5 % — მუსულმანები. XIX საუკუნის დასასრულიდან კონგო საფრანგეთის კოლონიაა. 1960 მოიპოვა დამოუკიდებლობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1964 წელს. ამავე წლიდან სოკ-ის წევრია. 1964

კორეის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

წლიდან 6 ოლიმპიადაში გამოდიოდა. საუკეთესო შედეგად ითვლება ხელბურთელ ქალთა VI ადგილი (1980).

**კონგრესი ოლიმპიური.** ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზაციული ფორმა. 1894-1930 პერიოდში მოეწყო 9 კონგრესი, რომელთაგან რვის ორგანიზატორი პიერ დე კუბერტენი იყო. შემდგომში მთელი 43 წლის განმავლობაში ოლიმპიური კონგრესი არ გამართულა. განახლდა 1973 ვარნაში.

განახლებული ოლიმპიური ქარტიის თანახმად, სოკ-ის გადაწყვეტილებით და პრეზიდენტის თაოსნობით, ოლიმპიური კონგრესი, ფაქტობრივად, რვა წელიწადში ერთხელ მოიწვევა და საკონსულტაციო ხასიათს ატარებს. კონგრესი შედგება სოკ-ის წევრებისა და საპატიო წევრებისაგან, საერთაშორისო სპორტული ფედერაციების, ეოკ-ების და სოკ-ის მიერ აღიარებული სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან, მოწვეული სპორტსმენებისა და სხვა პირებისაგან. კონგრესის დღის წესრიგს, საერთაშორისო ფედერაციებისა და ეოკ-ების სურვილების გათვალისწინებით, ამტკიცებს სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო.

ასწლიანი ოლიმპიური კონგრესი, ერთიანობის კონგრესი — ასე მოიხსენიებენ 1994 წლის სექტემბერში პარიზში გამართულ კონგრესს, რომელიც სოკ-ის დაარსების 100 წლისთავს მიეძღვნა და ოლიმპიური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები განიხილა. კონგრესის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ სოკ-ის, სპორტული ფედერაციების, ეოკ-ების და მათთან დაკავშირებული ყველა ადამიანის უმთავრესი მიზანია ოლიმპიური მოძრაობის ერთიანობა, იმ პრინციპების ერთგულება, რომლებიც პიერ დე კუბერტენმა და მისმა თანამებრძოლებმა დაამკვიდრეს.

გთავაზობთ ინფორმაციას თორმეტივე ოლიმპიურ კონგრესზე — როდის და სად გაიმართა, რა საკითხები განიხილა.

**1894, პარიზი** — ოლიმპიური თამაშების აღდგენა;

**1897, ჰავრი** — სპორტული ჰიგიენა და პედაგოგიკა;

**1905, ბრიუსელი** — სპორტი და ფიზიკური აღზრდა;

**1906, პარიზი** — ლიტერატურა, ხელოვნება და სპორტი;

**1913, ლოზანა** — სპორტული ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია;

**1914, პარიზი** — ოლიმპიური მოძრაობის და თამაშების ორგანიზაცია;

**1921, ლოზანა** — ოლიმპიური მოძრაობის და თამაშების ორგანიზაცია;

**1925, პრაღა** — სპორტული პედაგოგიკა, ოლიმპიური მოძრაობის და თამაშების ორგანიზაცია;

**1930, ბერლინი** — ოლიმპიური მოძრაობის და თამაშების ორგანიზაცია;

**1973, ვარნა** — სპორტი მშვიდობის სამსახურში; ოლიმპიზმის განვითარება და მისი მომავალი;

**1981, ბადენ-ბადენი** — სპორტით და სპორტისთვის გაერთიანებულნი, საერთაშორისო თანამშრომლობა; ოლიმპიზმის მომავალი;

**1994, პარიზი** — თანამედროვე სამყარო და ოლიმპიური მოძრაობა, თანამედროვე ათლეტი; სპორტის სოციალური ასპექტები; სპორტი და მასმედია.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო კონგრესის (პარიზი, 1994 წ.) ემბლემა

**კონოლი ჯეიმს.** 1868-1957. თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონი, ამერიკელი *მძლეოსანი*. ოქროს მედალი მოიპოვა სამხტომში (6.4.1896) — 13,71 მ. კონოლიმ ათენში, პირველ ოლიმპიადაზე კიდევ ორი ჯილდო დაიმსახურა: ვერცხლის მედალი სიმაღლეზე ხტომაში (1,65 მ) და ბრინჯაოსი — სიგრძეზე ხტომაში (6,11 მ).


ჯ. კონოლი

ჯეიმს კონოლი სწავლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში (აშშ). იყო ამ სასწავლებლის ჩემპიონი. ათენში გაემგზავრა პროფესურის ნებართვის გარეშე, მაგრამ შინ ტრიუმფით დაბრუნებულს დანაშაული აპატიეს. შემდგომში კონოლის ჰარვარდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. საბოლოოდ კონოლი ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი გახდა.

1900 პარიზის II ოლიმპიურ თამაშებზე კონოლიმ ვერცხლის მედალი მიიღო სამხტომში (13,97 მ).

**კორეის რესპუბლიკა** (სამხრეთ კორეა). მდებარეობს 38-ე პარალელის სამხრეთით. ტერიტორია — 99,2 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 45 მლნ. ოფიციალური ენა — კორეული. ძირითადი რელიგიები — ბუდიზმი, კონფუციანობა და ქრისტიანობა. დედაქალაქი — სეული (10 მლნ).

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1946 წელს, 1947 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1948 | - | - | 2 | 2 |
| 1952 | - | - | 2 | 2 |
| 1956 | - | 1 | 1 | 2 |
| 1964 | - | 2 | 1 | 3 |
| 1968 | - | 1 | 1 | 2 |
| 1972 | - | 1 | - | 1 |
| 1976 | 1 | 1 | 4 | 6 |
| 1984 | 6 | 6 | 7 | 19 |
| 1988 | 12 | 10 | 11 | 33 |
| 1992 | 12 | 5 | 12 | 29 |
| 1996 | 7 | 15 | 5 | 27 |
| სულ | 38 | 42 | 46 | 126 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1992 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1994 | 4 | 1 | 1 | 6 |
| სულ | 6 | 2 | 2 | 10 |

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.** სახელმწიფო კორეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. ტერიტორია — 122,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 24 მლნ. ძირითადად — კორეელები, მათ გარდა რამდენიმე ათასი ჩინელია. დედაქალაქი — ფხენიანი (2,3 მლნ). სახელმწიფო ენა — კორეული.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1953 წელს, 1957 წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1972 | 1 | 1 | 3 | 5 |
| 1976 | 1 | 1 | - | 2 |
| 1980 | | 3 | 2 | 5 |
| 1992 | 4 | - | 5 | 9 |
| 1996 | 2 | 1 | 2 | 5 |
| სულ | 8 | 6 | 12 | 26 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1964 | | 1 | | 1 |
| 1992 | | - | 1 | 1 |
| სულ | | 1 | 1 | 2 |

**კორტინა დ'ამპეცო.** ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში (ვენეციის ოლქში). ზამთრის კურორტი. უმასპინძლა 1956 VII ოლიმპიურ თამაშებს. კორტინა დ'ამპეცო არჩეული იყო V ოლიმპიადის (1944) ქალაქად, მაგრამ თამაშები მეორე მსოფლიო ომის გამო არ გაიმართა.

**კოსი იოჰან-ოლაფ.** დ. 29.10.1968 ლერენსკოგში, ნორვეგია. ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი *მოციგურე*. მსოფლიოს ჩემპიონი კლასიკურ მრავალჭიდში (1990, 91). მსოფლიოს თასის



ი.ო. კოსი

ორგზის მფლობელი (1990, 91).

1992 ალბერვილის ზამთრის XVI ოლიმპიურ თამაშებზე ორი მედალი მოიპოვა: ოქროსი 1500 მ. დისტანციაზე (1.54, 81) და ვერცხლის — 10 000 მ (14.14,58).

1994 ლილეჰამერის ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშების გმირი. მოიპოვა სამი ოქროს მედალი და სამჯერვე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა: 1500 მ. — 1.51,29; 5000 მ. — 6. 34,96; 10.000 მ. — 13.30,55.

**კოსტავა გურამ.** დ. 18. 7. 1937 თბილისში. *ფარიკაობა, დაშნა*. უმაღლესი განათლებით. სსრკ ჩემპიონი პირად (1961) და გუნდურ (მრავალგზის) ჩათვლაში. მსოფლიოს ორგზის (1961, 63) გუნდური ჩემპიონი. ორჯერ იყო ვერცხლის და ორჯერ ბრინჯაოს პრიზიორი. ორი ოლიმპიადის მონაწილე.



გ. კოსტავა

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები (გუნდური, დაშნა) — III ადგილი. ჩაატარა 17 ბრძოლა, 13 — მოიგო, 4 — წააგო. პირადი შეჯიბრება: 1.16 ფინალი — II ადგილი, 1.8 ფინალი — IV ადგილი, 1.4 ფინალი — II ადგილი, 1.2 ფინალი — IV ადგილი. ვერ გავიდა ფინალში.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები (პირადი, დაშნა) — III ადგილი. 1.32 ფინალი — III ადგილი, 1.16 ფინალი — III ადგილი, 1.8 ფინალი — III ადგილი, 1.4 ფინალი — II ადგილი, 1.2 ფინალი — დაამარცხა ორვარ ლინდვალი 10:3. ფინალში: ჯანლუიჯი საკაროსთან (იტალია) 4:5, ჰენრი ჰოსკინსთან (დიდი ბრიტანეთი) 3:5, გრიგორი კრისთან (სსრკ) 5:2. მესამე ადგილისთვის ბრძოლა ჯანლუიჯი საკაროსთან 5:0. გუნდური შეჯიბრება — VI ადგილი (კოსტავამ 5 ბრძოლა მოიგო, 4 — დათმო).

**კოსტა-რიკა.** სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ტერიტორია — 50,7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3,4 მლნ. დედაქალაქი — სან-ხოსე (1 მლნ). სახელმწიფო ენა — ესპანური. რელიგია — კათოლიკური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1953 წელს, 1954 წლიდან სოკ-ის წევრია. 1936

D.P.R.K.

კსდრ-ის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

COSTA RICA

კოსტა-რიკის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



კოტ-დ'ივუარის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

წლიდან 8 ოლიმპიადაში გამოდიოდა. ზამთრის ოლიმპიადებში მონაწილეობს 1980 წლიდან.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1988 | - | 1 | | 1 |
| 1996 | 1 | - | | 1 |
| სულ | 1 | 1 | | 2 |

**კოტ-დ'ივუარი**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 322,5 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 13,4 მლნ. დედაქალაქი — იამასუკრო (120 ათასი). სახელმწიფო ენა ფრანგული. მოსახლეობის უმრავლესობა — ანიმისტები (ტრადიციული აფრიკული კულტები), 24 % — მუსულმანები, 12 % — ქრისტიანები. XIX საუკუნის დასასრულს, მრავალწლიანი ომის შემდეგ ქვეყანა დაიპყრო საფრანგეთმა და გახდა მისი კოლონია. 1960 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1962 წელს. 1963 წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1984 | | 1 | | 1 |
| სულ | | 1 | | 1 |

**კოლუაშვილი გიორგი**. დ. 26. 4. 1969 ქუთაისში. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. სპორტში მე-



გ. კოლუაშვილი

ცადინეობა დაიწყო 1983. ევროპის ჩემპიონი იუნიორებში (1987). მსოფლიოსა და ევროპის ახალგაზრდული პირველობების ბრინჯაოს პრიზიორი. მსოფლიო თასის მფლობელი (1991). ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1992 ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები (90 კგ) — III ადგილი. I წრე — დამარცხდა პაკი ბასართან (თურქეთი) — 1:2, II წრე — დაამარცხა პარი კოსკელა (ფინეთი) — 2:1, III წრე — დაამარცხა ტიბორ კომარომი (უნგრეთი) — 3:2, IV წრე — მოუგო მიშელ ფოის (აშშ) — 10:6, V წრე — დაამარცხა მიქაელ ლუნგბერგი (შვეცია) — 2:0.



ვ. კრატასიუკი (უკანა ხედზე)

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიურ თამაშებში რუსეთის სახელით გამოდიოდა და XIII ადგილი დაიკავა.

**კრატასიუკი ვიქტორ**. დ. 30. 1. 1949 ფოთში. *საბაიდარო ნიჩბოსნობა*. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი. პირველ წარმატებას სპორტში 1967 მიაღწია. სსრკ ორგზის ჩემპიონი (1971, 72) და ბრინჯაოს პრიზიორი (1971). მსოფლიოს ჩემპიონატში IV ადგილი (1973) ნიკოლოზ გორბაჩოვთან (ბელორუსია) წყვილში. ოლიმპიადის მონაწილე.

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები (ორადგილიანი ბაიდარა 1000 მ. ნიკოლოზ გორბაჩოვთან ერთად) — I ადგილი. წინასწარ სერიაში — I ადგილი (3.42,18). 1.2 ფინალში — I ადგილი (3.30,69), ფინალში — I ადგილი (3.31,23).

**კრენცლეინი ალვინ**. 12. 12. 1876 — 6. 1. 1928. *მძლეოსანი*, აშშ. პირველი სპორტსმენი, რომელმაც ერთ ოლიმპიადაზე ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა (კარლ შუმანს 1896 თამაშებში ორი პირადი და ორი გუნდური ოქროს მედალი ხვდა). 1900 პარიზის II ოლიმპიურ თამაშებში კრენცლეინმა პირველი ადგილები დაიკავა: 60 მ. რბენაში (7,0), 110 მ. თარჯრბენში (15,4), 200 მ თარჯრბენში (25,4) და სიგრძეზე ხტომაში (7,18 მ). დაამყარა რამდენიმე მსოფლიოს რეკორდი: 120 იარდზე თარჯრბენში — 15, 2 (1898), 220 იარდზე თარჯრბენში — 23,6 (1898), სიგრძეზე ხტომაში — 7,40 (1898), 7,43 (1899).

**კრივი**. მუშტი-კრივი პოპულარული სპორტი იყო ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში და ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების პროგრამაში წამყვან დისციპლინას წარმოადგენდა. თანამედროვე ოლიმპიადების პროგრამაში შეიტანეს 1904 (სენტ-ლუისი, III თამაშები) და ამოღებულ იქნა მხოლოდ ერთხელ, სტოკჰოლმში (1912, V ოლიმპიადა). ევროპის ჩემპიონატები ეწყობა 1924-დან, მსოფლიოსი — 1974-დან.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონებია: უმჩატესში — ჯორჯ ფინეგინი, მჩატესა და ქვემსუბუქში — ოლივერ კერკი (ადრე ერთ მოკრივეს ორ წონაში შეეძლო გამოსვლა), მსუბუქში — პარი სპენჯერი, ქვესაშუალოში — ალბერ იანგი, საშუალოში — ჩარლზ მაიერი, მძიმეში — სამუელ ბერგერი (ყველა — აშშ).

საქართველოს მოკრივეთაგან ოლიმპიადებში მონაწილეობდნენ დავით კეაჭაძე (1980), რამაზ



კრივი ძველბერძნული ლარნაკი. ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი

ფალიანი (1992), კობა გოგოლაძე, ბესიკ ვარძელაშვილი, თენგიზ მესხაძე, აკაკი კაკაურიძე და გიორგი კანდელაკი (1996). ატლანტის ოლიმპიადაზე ფალიანი რუსეთის გუნდში გამოდიოდა.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 47 | 21 | 34 | 102 |
| სსრკ | 14 | 19 | 18 | 51 |
| დიდი ბრიტანეთი | 12 | 10 | 23 | 45 |
| პოლონეთი | 8 | 9 | 26 | 43 |
| კუბა | 23 | 13 | 5 | 41 |
| იტალია | 14 | 12 | 13 | 39 |
| არგენტინა | 7 | 7 | 9 | 23 |
| რუმინეთი | 1 | 8 | 13 | 22 |
| უნგრეთი | 10 | 2 | 7 | 19 |
| სამხრეთ აფრიკა | 6 | 4 | 9 | 19 |
| გერმანია | 4 | 8 | 5 | 17 |
| კანადა | 3 | 7 | 7 | 17 |
| გდრ | 6 | 2 | 8 | 16 |
| ბულგარეთი | 4 | 5 | 7 | 16 |
| კორეა | 3 | 6 | 7 | 16 |
| ფინეთი | 2 | 1 | 11 | 14 |
| საფრანგეთი | 3 | 4 | 6 | 13 |
| დანია | 1 | 5 | 6 | 12 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 6 | 11 |
| მექსიკა | 2 | 3 | 6 | 11 |
| გფრ | 1 | 4 | 6 | 11 |
| შვეცია | - | 5 | 6 | 11 |
| ირლანდია | 1 | 3 | 5 | 9 |
| კენია | 1 | 1 | 5 | 7 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 1 | 2 | 6 |
| კსდრ | 2 | 2 | 2 | 6 |
| ნიდერლანდები | 1 | 1 | 4 | 6 |
| ტაილანდი | 1 | 1 | 4 | 6 |
| ნიგერია | - | 3 | 3 | 6 |
| პუერტო-რიკო | - | 1 | 5 | 6 |
| ნორვეგია | 1 | 2 | 2 | 5 |
| ვენესუელა | 1 | 2 | 2 | 5 |
| ალჟირი | 1 | - | 4 | 5 |
| ავსტრალია | - | 2 | 3 | 5 |
| ფილიპინები | - | 2 | 3 | 5 |
| ბელგია | 1 | 1 | 2 | 4 |
| ყაზახეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| რუსეთი | 1 | - | 3 | 4 |
| უგანდა | - | 3 | 1 | 4 |
| ახალი ზელანდია | 1 | 1 | 1 | 3 |
| იაპონია | 1 | - | 2 | 3 |
| განა | - | 1 | 2 | 3 |
| ესპანეთი | - | 1 | 2 | 3 |
| თურქეთი | - | 1 | 2 | 3 |
| ჩილე | - | 1 | 2 | 3 |
| კოლუმბია | - | - | 3 | 3 |
| უკრაინა | 1 | - | 1 | 2 |
| გაერთ. გუნდი | - | 1 | 1 | 2 |
| კამერუნი | - | 1 | 1 | 2 |
| მაროკო | - | - | 2 | 2 |
| მონღოლეთი | - | - | 2 | 2 |
| ტუნისი | - | - | 2 | 2 |
| ესტონეთი | - | 1 | - | 1 |
| კორეა | - | 1 | - | 1 |
| ტონგა | - | 1 | - | 1 |
| არგენტინა | - | - | 1 | 1 |
| არაბ. გაერთ. რესპ. | - | - | 1 | 1 |
| ბერმუდა | - | - | 1 | 1 |
| ბრაზილია | - | - | 1 | 1 |
| დომინიკ. რესპ. | - | - | 1 | 1 |
| გაიანა | - | - | 1 | 1 |
| ზამბია | - | - | 1 | 1 |
| ნიგერი | - | - | 1 | 1 |
| პაკისტანი | - | - | 1 | 1 |
| ურუგვაი | - | - | 1 | 1 |
| უზბეკეთი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 192 | 192 | 324 | 708 |

**კრივის სამოყვარულო საერთაშორისო ასოციაცია** (AIBA). შეიქმნა ლონდონში (1946). ოფიციალური ენები — ინგლისური, ესპანური, გერმანული, ფრანგული და რუსული. შტაბ-ბინა ბერლინში მდებარეობს. საერთაშორისო ასოციაციას აქვს რამდენიმე რეგიონალური ბიურო.

უმაღლესი ორგანო — კონგრესი, რომელსაც ოთხ წელიწადში ერთხელ იწვევენ. ხელმძღვანელი ორგანო ალმასკომია, რომელშიც შედიან პრეზიდენტი, ექვსი ვიცე-პრეზიდენტი და 13 წევრი. 1970 ივნისში მოსკოვში დამფუძნებელ კონგრესზე შეიქმნა სამოყვარულო კრივის ევროპის ასოციაცია — EABA.

კრივის სამოყვარულო საერთაშორისო ასოციაციის ემბლემა

**კრიკეტი**. გუნდური თამაში ბურთით. მონაწილეობს ყოველი მხრიდან 11-11 კაცი. კრიკეტის სამშობლო ინგლისია. ოფიციალური შეჯიბრებები იმართება XVIII საუკუნიდან იმ წესებით, რომლებიც ძალაშია დღემდე. გავრცელებულია: ავსტრალიაში, კანადაში, ახალ ზელანდიაში, აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში. არსებობს კრიკეტის საერთაშორისო ფედერაცია (1909). ოლიმპიადის პროგრამაში იყო მხოლოდ ერთხელ (პარიზი, 1900, II თამაშები). ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა საფრანგეთის გუნდმა.



კრიკეტი

**კროკეტი**. სპორტული თამაში, რომელიც განსაკუთრებით გავრცელებული იყო საფრანგეთში XVII საუკუნის მიწურულიდან. შემდგომში პოპულარული გახდა ამ თამაშის ნაირსახეობა — როკი. კროკეტი 1900 ოლიმპიადის პროგრამაში იყო. ოლიმპიური ჩემპიონები: ერთეულთა თანრიგში — ემუა, ვაიდელიკი, წყვილთა თანრიგში — ჟოენი და ემუა (ყველა საფრანგეთი).

**კუბერტენი პიერ დე**. 1. 1. 1863 პარიზი — 2. 9. 1937 ჟენევა. ფრანგი ბარონი, საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, ლიტერატორი, სოციოლოგი. ძველი ნორმანდიული გვარის წარმომადგენელი.

წინაპრები მეფის კარზე მსახურობდნენ. მამა თავისუფალი მხატვარი იყო. მშობლებს სურდათ ვაჟიშვილი სამხედრო გამოსულიყო, მაგრამ ახალგაზრდა პიერმა სორბონის უნივერსიტეტში ფილოსოფიის შესწავლა ამჯობინა, თუმცა ერთხანს სენ-სირის სამხედრო სკოლაშიც სწავლობდა. დამთავრებული ჰქონდა, აგრეთვე, იურიდიული კოლეჯი და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა.



სოკ-ის 50 წლისთავის აღსანიშნავი მედალი. ავტორი ტ. სტინდბერგი. შვეცია

სორბონაში სწავლის დროს დაინტერესდა ისტორიითა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობით. მერე გაიტაცა განათლებისა და ფიზიკური აღზრდის პრობლემებმა. ამ დარგში თავი გამოიჩინა, როგორც ჭეშმარიტმა რეფორმატორმა.

ოლიმპიური თამაშების აღორძინების იდეა, ოფიციალურად 1893 წამოაყენა. საამისოდ საზოგადოებრივ აზრს ამზადებდა საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში. პარიზში მისი ინიციატივით გაიმართა (1894) სპორტის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც გადაწყდა ოლიმპიური თამაშების აღორძინება. იქვე შეიქმნა ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ) და შემუშავდა ოლიმპიური ქარტია — სოკ-ის ძირითად კანონთა და წინადადებათა კრებული.

1894 პიერ დე კუბერტენი აირჩიეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივნად, 1896-1925 პერიოდში კი ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი იყო (1916-19-ში პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა შვეიცარიელი გ. დე ბლონიე). იგი ავტორია ოლიმპიური რიტუალის, ემბლემის, მონაწილეთა ფიცის სიტყვებისა. 1912 სტოკჰოლმის V ოლიმპიადაზე გაიმარჯვა ლიტერატურულ კონკურსში. მისი ნაწარმოები „ოდა სპორტს" ფარულ კონკურსში ორი ფსევდონიმით (ჟორჟ პოროდი და მარტინ ეშბახი) მონაწილეობდა, რათა ჟიურის გადაწყვეტილება სამართლიანი და ობიექტური ყოფილიყო. ამ გამარჯვებისთვის კუბერტენს ოქროს მედალი გადაეცა. პოსტიდან გადადგა სოკ-ის პრაღის კონგრესზე (1925) ჯანმრთელობის გაუარესების გამო. პრაღაშივე აირჩიეს საპატიო პრეზიდენტად, მაგრამ იქვე გადაწყდა, რომ ეს ტიტული სხვა პრეზიდენტებისთვის არ მიენიჭებიათ (შემდგომში ეს გადაწყვეტილებაც შეიცვალა რამდენიმეჯერ).

პიერ დე კუბერტენი გარდაიცვალა ჟენევის მუნიციპალურ პარკში სეირნობის დროს (2. 9. 1937). დაკრძალულია ლოზანაში. განსვენებულის გული მისივე ანდერძის თანახმად სამუდამოდ დაასვენეს ოლიმპიის წმინდა ხეივნის შესასვლელთან, მარმარილოს აკლდამაში.



პიერ დე კუბერტენის ობელისკი. ოლიმპია

**კუბის რესპუბლიკა**. სახელმწიფო დიდი ანტილიის კუნძულების არქიპელაგზე. ტერიტორია — 110,9 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 11 მლნ. დედაქალაქი — ჰავანა (2 მლნ.). სახელმწიფო ენა — ესპანური. კუბა აღმოაჩინა კოლუმბმა (1492). დაახლოებით 400 წელი ესპანეთის კოლონია იყო. 1902 წელს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა.

სპორტის საქმეებს განაგებს სპორტის, ფიზაღზრდისა და აქტიური დასვენების ეროვნული ინსტიტუტი. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1954. კუბელი სპორტსმენები თამაშებში საუკუნის დასაწყისიდან (1900) მონაწილეობენ. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია მოფარიკავე (დაშნა) რამონ ფონსტი (1900).

კუბის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1900 | 1 | 1 | - | 2 |
| 1904 | 3 | - | - | 3 |
| 1948 | - | 1 | - | 1 |
| 1964 | - | 1 | - | 1 |
| 1968 | - | 4 | - | 4 |
| 1972 | 3 | 1 | 4 | 8 |
| 1976 | 6 | 4 | 3 | 13 |
| 1980 | 8 | 7 | 5 | 20 |
| 1992 | 14 | 6 | 11 | 31 |
| 1996 | 9 | 8 | 8 | 25 |
| **სულ** | **44** | **33** | **31** | **108** |

პოლიტიკური მოტივებით კუბელი სპორტსმენები არ გამოსულან ლოს-ანჯელესისა (1984) და სეულის (1988) ოლიმპიადებზე.

**კუკის კუნძულები**. მდებარეობს წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში. საერთო ტერიტორია — 237 კვ. კმ. მოსახლეობა — 20 ათასი (ძირითადად — პოლინეზიელები). ადმინისტრაციული ცენტრი — ავარუა (1,5 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1986 წელს. ამავე წლიდან სოკ-ის წევრია. ოლიმპიური დებიუტი — 1988. მონაწილეობდა ბარსელონისა და ატლანტის ოლიმპიადებშიც. მედალი არ აუღია.

**კუზნეცოვი ვასილ**. დ. 7. 2. 1932 რიაზანის ოლქში. *მძლეოსნობა*, ათჭიდი. ევროპის სამგზის ჩემპიონი (1954, 58, 62). მელბურნის 1956 XVI და რომის 1960 XVII ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი. მსოფლიოს ორგზის რეკორდსმენი ათჭიდში — 8014 ქულა (1958) და 8357 ქულა (1959). აღიარებული იყო მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად (1959).

**კუპერი შარლოტა (შირლი)**. 22. 9. 1870 — 10. 10. 1966. ინგლისელი *ჩოგბურთელი*, პირველი სპორტსმენი (და არა მხოლოდ ჩოგბურთელი) ქალი, რომელმაც მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი (პარიზი, 1900, II თამაშები). ტურნირში მონაწილეობდა სულ ექვსი ქალი (დიდი ბრიტანეთიდან, აშშ-დან, საფრანგეთიდან, ბოჰემიიდან). კუპერმა ფინალში ფრანგი ე. პრევო დაამარცხა.

**კურტანიძე ელდარი**. დ. 16. 4. 1972 სოხუმში, *თავისუფალი ჭიდაობა*. უმაღლესი განათლებით.

ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებული (1992), მსოფლიო ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი (1993, 1997). ევროპის ჩემპიონატები: 1993 — II ადგილი, 1995 — II, 1996 — I, 1997 — I. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 90 კგ. სტარტზე წმინდად დაამარცხა ბულგარელი კოლოიან ბაევი, მეორე წრეში 2:3 წააგო კორეელ იკ-პი-



ე. კურტანიძე

კიმთან, მომდევნო შეხვედრები მოუგო მონღოლ ბეინმუნქ განტოგტოხს (6:1), ლიტველ რიჩარდას პაული უკონისს (5:1), ამერიკელ მელვინ დუგლასს (1:0), უკრაინელ ჯამბულათ თედეევს (10:4), ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში კი 5:0 აჯობა სლოვაკ იოზეფ ლოპინას. საბოლოო შედეგი — III ადგილი.

**კურციუსი ერნსტ.** 1814 — 1896. გერმანელი მეცნიერი, ანტიკური ისტორიის თვალსაჩინო სპეციალისტი, არქეოლოგი. 1875-1881 აწარმოებდა და ხელმძღვანელობდა გათხრებს ოლიმპიაში. მისი მთავარი ნაშრომები ეხება ძველი საბერძნეთის ისტორიას, ტოპოგრაფიასა და არქეოლოგიას და ამდენად, ანტიკური ოლიმპიადების შესწავლისთვის მდიდარ მასალას იძლევა. 1852 კურციუსს უკვე შემუშავებული ჰქონდა მწყობრი კონცეფცია და ბერლინში საეტაპო ლექცია წაიკითხა ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების აღორძინების აუცილებლობაზე.

**კუსოჩინსკი იანუშ.** 15. 1. 1907 — 21. 6. 1940. პოლონელი *მძლეოსანი-სტაიერი.* 1932 ლოს-ანჯელესის X ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 10.000 მ. რბენაში (30.11,4). მსოფლიოს რეკორდსმენი 3000 მ — 8.18,8 (1932) და 4 მილზე — 19.02,6 (1932) რბენაში. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა, როგორც ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა ჰიტლერული ოკუპაციის პერიოდში. იგი პოლონეთში პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო. 1940 ფაშისტებმა დახვრიტეს. მისი ხსოვნის პატივსაცემად ყოველწლიურად ეწყობა მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო ტურნირი — კუსოჩინსკის მემორიალი.

**კუშაელიძე იგორ.** დ. 10. 8. 1959 თბილისში. *ცურვა.* უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1970. ოლიმპიადის მონაწილე.

1976 მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშები (1500 მ. თავისუფალი სტილით) — X ადგილი (წინასწარ გაცურვაში მესამე შედეგი ჰქონდა — 15.43,88).

**კუცი ვლადიმერ.** 7. 2. 1927 — 16. 8. 1975. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო *მძლეოსანი-სტაიერი.* ევროპის ჩემპიონი 5000 მ. რბენაში (13.56,6). 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 5000 მ (13.39,6) და 10.000 მ (28.45,6) დისტანციებზე. მსოფლიოს რეკორდსმენი: 3 მილზე რბენაში — 13.27,4; 13.27,0; 13.26,4 (1954), 5000 მ — 13.56,6; 13.51,2 (1954),



ვ. კუცი

13.46,8 (1955), 13.35,0 (1957), 10.000 მ. — 28.30,4 (1956). ორჯერ იყო აღიარებული მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად (1956, 57).

კუბის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



ი. კუშაელიძე

# ლ

**ლავრინენკო ვლადიმერ.** დ. 13. 1. 1932 სოხუმში. *ცურვა.* უმაღლესი განათლებით. სსრკ სამგზის (1951, 54, 55) ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი 1500 მ თავისუფალი სტილით ცურვაში. ევროპის ჩემპიონატისა (1954) და ახალგაზრდობის II საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების (1955, ვარშავა) ბრინჯაოს პრიზიორი. ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები (1500 მ. თავისუფალი სტილით) — XXV ადგილი (წინასწარ გაცურვაში აჩვენა მეხუთე შედეგი — 20.07,8).

კუბის კუნძულების სპორტის და ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ლაოსის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



ლ. ლატინინა



თ. ლეკვეიშვილი

**ლაკროსი**. თამაში ბურთით. განსაკუთრებით გავრცელებული იყო კანადაში, სადაც ეროვნულ სახეობად ითვლებოდა. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ორჯერ მოხვდა (1904, 08). პირველი ოლიმპიური ჩემპიონი — კანადა. ლაკროსი კიდევ სამჯერ „მონაწილეობდა" თამაშებში (1928, 32, 48), ოღონდ როგორც საჩვენებელი დისციპლინა.

**ლაოსი**. სახელმწიფო ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში. ტერიტორია — 236,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 4,9 მლნ. 70 % — ლაო. დედაქალაქი — ვენტიანი (434 ათასი). ოფიციალური ენა — ლაოსური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1975 წელს, 1979 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ლატვია**. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა. მდებარეობს ბალტიის ზღვის სანაპიროზე, ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში. ტერიტორია — 64589 კვ. კმ. მოსახლეობა — 2,65 მლნ. ლატვიელები — 53,4 %, რუსები — 32,8, ბელორუსები — 4,5, უკრაინელები — 2,7, პოლონელები — 2,5, ლიტველები — 1,5. დედაქალაქი — რიგა — 860 ათასი. ოფიციალური ენა — ლატვიური.

1940 წლის ანექსიამდე დამოუკიდებელი გუნდით მონაწილეობდა 1924, 1928, 1932 და 1936 წლების ოლიმპიურ თამაშებში, 1952 წლიდან 1988 წლამდე სსრკ დელეგაციის შემადგენლობაში, პირად და გუნდურ შეჯიბრებაში ლატვიელებმა მოიპოვეს 19 ოქროს, 26 ვერცხლისა და 10 ბრინჯაოს მედალი.

1990 წლის 4 მაისს ლატვიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, გაერომ აღიარა 1991 წლის 17 ოქტომბერს.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1922 წელს, სოკ-ში ხელმეორედ გაწევრიანდა 1991. 1992 წლიდან კვლავ დამოუკიდებლად მონაწილეობს ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადებში.

ლატვიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1932 | | 1 | - | 1 |
| 1936 | | 1 | 1 | 2 |
| 1992 | | 2 | 1 | 3 |
| 1996 | | 1 | - | 1 |
| სულ | | 5 | 2 | 7 |

**ლატინინა ლარისა**. დ. 27.12.1934 კიევში. *ტანმოვარჯიშე*, სპორტის დამსახურებული ოსტატი, თანამედროვე ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე მეტი — 18 ოლიმპიური მედლის მფლობელი. 1956, 1960 და 1964 ოლიმპიურ თამაშებში პირად და გუნდურ შეჯიბრებებში მოიპოვა 9 ოქროს, 5 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი. ორჯერ (1956, 1960) იყო ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი. მსოფლიოს (1958, 1962) და ევროპის (1957, 1961) აბსოლუტური ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი (1954, 1958, 1962) გუნდურ ტურნირში.

**ლეიკ-პლესიდი**. საკურორტო ქალაქი აშშ-ში, ნიუ-იორკის შტატის ჩრდილოეთში. ზამთრის სპორტის პოპულარული ცენტრი. სამჯერ იყო თეთრი ოლიმპიადის მონყობის მსურველთა რიცხვში (1952, 68, 76), ორჯერ უმასპინძლა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს: პირველად 1932 (III ოლიმპიადა), მეორედ — 1980 (XIII თამაშები).

**ლეკვეიშვილი თინა**. დ. 2. 2. 1954 თბილისში. *მოცურავე*. უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1965. სსრკ მრავალგზის (1968, 70, 71, 72), ევროპის ჩემპიონი და მეორე პრიზიორი (1970) გულაღმა ცურვაში. ევროპის თასის მრავალგზის პრიზიორი. ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები (კომბინირებული ესტაფეტა 4X100მ.) — IV ადგილი (4.39,5). ცალკეულ დისტანციებზე: თ. ლეკვეიშვილი — 1.10,9; ა. გრებენიკოვა — 1.17,2; ტ. ლევიატოვა — 1.07,0; ლ. გრებეცი — 1.01,9. XV ადგილი გულაღმა 100 მ. ცურვაში — 1.11,0; XXV ადგილი გულაღმა 200 მ. ცურვაში — 2.40,5.

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები (კომბინირებული ესტაფეტა 4X100მ) — IV ადგილი (4.27,81). პირველი ადგილი წინასწარ გაცურვაში — 4.30,35. გუნდის შემადგენლობა: თ. ლეკვეიშვილი, გ. სტეპანოვა, ი. უსტიმენკო, ტ. ზოლოტნიცკაია. X ადგილი გულაღმა ცურვაში 100 მ. — 1. 07, 61; XX ადგილი გულაღმა 200 მ. ცურვაში — 2.28,22.

**ლესოტო**. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში. ტერიტორია — 30,34 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 1,8 მლნ. აქედან 99,5 % — აფრიკელები — ბანტუ, ძირითადად სუტო (ბასუტო). დედაქალაქი — მასერუ (63 ათასი). სახელმწიფო ენები — ინგლისური და სესუტო. მოსახლეობის 70 % — ქრისტიანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1971 წელს, 1972 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ლიბანი**. სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ტერიტორია — 10,45 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3,5 მლნ. დაახლოებით 90 % — არაბები (ლიბანელები), დანარჩენები — სომხები, ქურთები, ასირიელები და სხვ. დედაქალაქი — ბეირუთი (გარეუბნებით — 1,5 მლნ). სახელმწიფო ენა — არაბული. რელიგია — ისლამი და ქრისტიანობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1947 წელს, 1948 წლიდან სოკ-ის წევრია.

ლიბანის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1952 | | 1 | 1 | 2 |
| 1972 | | 1 | - | 1 |
| 1980 | | - | 1 | 1 |
| სულ | | 2 | 2 | 4 |



ს.ლიპარტელიანი

**ლიბერია**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია 111,4 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 2,6 მლნ. დედაქალაქი — მონროვია (1 მლნ). სახელმწიფო ენა — ინგლისური. მოსახლეობის უმრავლესობა ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობა, 14 % — ქრისტიანები, 16 % — მუსულმანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1954 წელს, 1955 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ლიბიის არაბული ჯამაჰირია**. სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში. ტერიტორია — 1760 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 5,5 მლნ. უმრავლესობა — არაბები (ლიბიელები). დედაქალაქი — ტრიპოლი (1 მლნ). მორწმუნეთა უმეტესობა — მუსულმანები, უპირატესად — სუნიტები. სახელმწიფო ენა — არაბული.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1962 წელს, 1963 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ლილეჰამერი**. ქალაქი ნორვეგიის სამხრეთ ნაწილში, მდინარე ლოგენზე. ადმინისტრაციული ცენტრი. არის კვების მრეწველობისა და ხისდამმუშავებელი საწარმოები. ზამთრის სპორტის ერთ-ერთი ცენტრი ნორვეგიაში. უმასპინძლა 1994 ზამთრის XVII ოლიმპიურ თამაშებს, სადაც დამოუკიდებელი გუნდით პირველად გამოვიდა საქართველოს დელეგაცია.

**ლიპარტელიანი სოსო**. დ. 3. 2. 1971 ლენტეხის რაიონის სოფელ ხოფურში. *ძიუდოისტი*. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1993), ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 78 კგ. გამართა ექვსი შეხვედრა. პირველ წრეში იპონით მოუგო კანადელ კოლინ მორგანს, მეორეში იპონით დამარცხდა კორეელ ჩო ინ ჩულთან. დამამშვიდებელ ჯგუფში ზედიზედ სამი წმინდა გამარჯვება მოიპოვა — მოლდოველ ოლეგ კრეტულთან, ვლადიმერ შმაკოვთან (უზბეკეთი), ფლავიო კანტოსთან (ბრაზილია), ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა კი 18 წამში იპონით მოუგო გერმანელ შტეფან დოტს. საბოლოო შედეგი — III ადგილი.

**ლიტერატურა ოლიმპიური**. დასაბამს იღებს ერნსტ კურციუსის ცნობილი წიგნიდან „ოლიმპიის სამსხვერპლოში" (1882). ოლიმპიურ ლიტერატურაში რამდენიმე ნაწილს გამოჰყოფენ: 1. ოლიმპიური მოძრაობის საერთო საკითხები, 2. ოლიმპიური თამაშების ისტორია, 3. ცალკეული ოლიმპიური თამაშების შედეგები, 4. სპორტის სახეობათა ოლიმპიური ისტორია, 5. ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა მოგონებები, მემუარები, 6. საცნობარო და ენციკლოპედიური მონაცემები. ოლიმპიურ ლიტერატურას განეკუთვნება სოკ-ის ყოველთვიური ჟურნალი „რევიუ ოლიმპიკი", რომელიც 1967-დან გამოდის.

**ლიტვა**. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა. მდებარეობს ბალტიის ზღვის სანაპიროზე, ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში. ტერიტორია — 62,2 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3,7 მლნ. ლიტველები — 80 %, რუსები — 8,9, პოლონელები — 7,3, ბელორუსები — 1,7. დედაქალაქი — ვილნიუსი (590 ათასი).

1940 წლის ანექსიამდე, ლიტველებმა დამოუკიდებელი გუნდით იასპარეზეს 1924 და 1928 წლების ოლიმპიადებში.

1952-1988 წლებში ლიტველმა სპორტსმენებმა სსრკ ნაკრები გუნდების შემადგენლობაში პირად და გუნდურ შეჯიბრებებში მოიპოვეს 18 ოქროს, 17 ვერცხლისა და 14 ბრინჯაოს მედალი.

1992 წლიდან, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ცალკე დელეგაციით მონაწილეობს ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადებში.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1924 წელს, სოკ-მა ხელმეორედ აღიარა 1991 წელს.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1992 | 1 | | 1 | 2 |
| 1996 | - | | 1 | 1 |
| სულ | 1 | | 2 | 3 |

**ლიხტენშტეინი**. სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, მდებარეობს შვეიცარიასა და ავსტრიას შორის. ტერიტორია — 160 კვ. კმ. მოსახლეობა — 31 ათასი, ძირითადად — ავსტრიელები და გერმანელ-შვეიცარიელები. დედაქალაქი — ვადუცი (6 ათასი). სახელმწიფო ენა — გერმანული. მორწმუნეთა უმრავლესობა — კათოლიკები (87 %). სამთავრო დაარსებულია 1719. ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოა — 1866. ფაქტობრივად — 1871. 1868 წელს ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1935. ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1976 | - | - | 2 | 2 |
| 1980 | 2 | 2 | - | 4 |
| 1984 | - | - | 2 | 2 |
| 1988 | - | - | 1 | 1 |
| სულ | 2 | 2 | 5 | 9 |

ლიბერიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ლიბიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

LIETUVA

ლიტვის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ლიხტენშტეინის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ლობჟანიძე მევლუდ.** დ. 2. 11. 1968 თბილისში. *ძიუდოისტი*. უმაღლესი განათლებით. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 95 კგ. პირველ წრეში იპონით მოუგო ამერიკელ რენე კაპოს, მეორე შეხვედრა წმინდად წააგო იაპონელ იოშიო ნაკამურასთან და გამოეთიშა შეჯიბრებას. საბოლოო შედეგი — XVI ადგილი.

**ლომიძე შოთა.** 20. 1. 1936 სოფ. საყულია — 23. 10. 1993 თბილისი. *თავისუფალი ჭიდაობა*. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1964). სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1954. სსრკ ხუთგზის (1964-67, 71), ევროპის ორგზის (1966, 69), მსოფლიოს ორგზის (1969, 71) ჩემპიონი. ერთხელ მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა (1967). ორი ოლიმპიადის მონაწილე.



შ. ლომიძე

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები (საშუალო წონა, 87 კგ) — IX ადგილი. I წრე — პროდან გარჯევთან (ბულგარეთი) — ფრე, II წრე — ქულებით მოუგო რუდოლფ კობელტს (შვეიცარია); III წრე — ქულებით დამარცხდა ჰასან გუნგორთან (თურქეთი).

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები (ქვემძიმე წონა, 97 კგ) — II ადგილი. I წრე — აშკარა უპირატესობით აჯობა პაინტ კილს (გფრ); II წრე — ქულებით მოუგო მოსლემ ესკანდერს (ირანი); III წრე — ქულებით დაამარცხა იოჟეფ ჩატარი (უნგრეთი); IV წრე — ფრე საიდ მუსტაფოვთან (ბულგარეთი), V წრე — ფრე ახმედ აიკთან (თურქეთი).




ლონდონის 1908 წლის ოლიმპიური თამაშების პლაკატი

**ლონდონი.** დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი, განლაგებულია მდინარე ტემზის ორთავე ნაპირზე. რომაელების მიერ ბრიტანეთის დაპყრობამდე (ახალი წელთაღრიცხვის 40-60) თანამედროვე ლონდონის ტერიტორიაზე არსებობდა კულტურული დასახლება. რომაელთა ბატონობის დროს სამხედრო ბანაკი და ნავსადგური იყო. ლონდონი დაიპყრა ანგლო-საქსების მიერ ბრიტანეთის დაპყრობისას, მაგრამ VII საუკუნის დამდეგს მნიშვნელოვან სავაჭრო და პოლიტიკურ ცენტრად იქცა. XII საუკუნიდან ინგლისის ოფიციალური დედაქალაქია.

ლონდონის ისტორიული ცენტრებია: უესტმინსტერი (აქ მდებარეობს ამ სახელწოდების სააბატო, ბაკინგემისა და სენტ-ჯეიმზის სასახლეები) და სიტი. სიტის ეკვრის ინგლისის მეფეთა ყოფილი რეზიდენცია — ტაუერი.

მეორე მსოფლიო ომის გამო ლონდონში არ ჩატარდა VIII ოლიმპიადა (1944). ამის მიუხედავად, იგი ორჯერ იყო ოლიმპიადის მასპინძელი ერთხელ 1908 (IV თამაშები 6 თვესა და 3 დღეს გრძელდებოდა), მეორედ — 1948 (XIV თამაშები ომის შემდგომი პირველი ოლიმპიადა იყო). IV ოლიმპიური თამაშები აღსანიშნავია რამდენიმე მიზეზით: ლონდონში სპეციალურად თამაშებისთვის პირველად აშენდა ოლიმპიური სტადიონი (70 ათასი მაყურებლისთვის) და 100 მ საცურაო აუზი. აქ პირველად ჩართეს თამაშების პროგრამაში ზამთრის სპორტის სახეობა — ფიგურული ციგურაობა, პირველად დაიწყო ქულებით აღრიცხვა არაოფიციალური გუნდური ჩათვლისთვის. 1948 წლის ოლიმპიადა აღსანიშნავია იმითაც, რომ იქ საასპარეზოდ არ დაუშვეს გერმანია და იაპონია, როგორც მსოფლიო ომის გამჩაღებლები.

**ლორთქიფანიძე არჩილ.** დ. 7. 5. 1970 თბილისში. *ხმლით მოფარიკავე*. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. პირველივე შეხვედრა წააგო (13:15) კანადელ ჟან-პოლ ბანოსთან და გამოეთიშა შეჯიბრებას.

**ლოსაბერიძე ქეთევან** დ. 1 8. 1949 ტყიბულში. *მშვილდოსნობა*. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი (1973). სსრკ აბსოლუტური ჩემპიონი (1973) და თასის მფლობელი (1972, 78). ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1972). ევროპისა (1972, 78) და მსოფლიოს (1973) ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში. ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები (ფიტას 2 წრე) — IV ადგილი. 70 მ — I ადგილი (580 ქულა), 60 მ — VIII ადგილი (606), 50 მ — V ადგილი (564), 30 მ — X ადგილი (652). ჯამში — 2402 ქულა.



ქ. ლოსაბერიძე

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები

(ფიტას 2 წრე) — I ადგილი. 70 მ — I ადგილი (581), 60 მ — I ადგილი (621), 50 მ — II ადგილი (599), 30 მ — I ადგილი (690, ოლიმპიური რეკორდი). ჯამში — 2432 ქულა.

**ლოს-ანჯელესი**. აშშ-ს ქალაქი წყნარი ოკეანის სანაპიროზე, კალიფორნიის შტატში. ზღვისპირა კურორტი. ქალაქი დააფუძნეს ესპანელებმა მექსიკის ტერიტორიაზე (1781), რომელიც შედიოდა ახალი ესპანეთის ყოფილ სამეფოში. მექსიკის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1821) მექსიკის საკუთრება გახდა. ამერიკა-მექსიკის



გ. ლუგანისი

ომმა (1846-48) აშშ-ს ტერიტორიად აქცია.

ლოს-ანჯელესი აშშ-ს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრია. წყნარი ოკეანის სანაპიროზე სიდიდით მეორე ნავსადგური. ქალაქი წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძს საერთაშორისო აეროპორტით. ფართოდაა ცნობილი, როგორც მსოფლიოს კინომრეწველობის (ჰოლივუდი) და ტელევიზიის ცენტრი.

ლოს-ანჯელესმა ორჯერ უმასპინძლა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს (1932 — X, 1984 — XXIII). X ოლიმპიადა აღსანიშნავი იყო იმით, რომ ქალაქიდან 20 კილომეტრის დაშორებით, სპეციალურად თამაშებისთვის, ოლიმპიური სოფელი აშენდა. საინტერესოა ისიც, რომ ამ ოლიმპიადაზე მძლეოსანმა ქალებმა პროგრამის ყველა სახეობაში მსოფლიო რეკორდები გააუმჯობესეს. XXIII ოლიმპიადას კი ბოიკოტი გამოუცხადეს ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა და ამით, ერთგვარად დასცეს მისი სპორტული მნიშვნელობა.

**ლუგანისი გრეგ**. დ. 29. 1. 1960 აშშ-ში. ერთ-ერთი უძლიერესი *წყალში მხტომელი*. გამოირჩეოდა ხტომის ფილიგრანული ტექნიკით და სტაბილურობით. პირველი ოლიმპიური მედალი მოიპოვა 1976 წელს მონრეალში — II ადგილი კოშკიდან ხტომაში. ლოს-ანჯელესის (1984) და სეულის (1988) ოლიმპიურ თამაშებზე გაიმარჯვა ორივე დისციპლინაში (ტრამპლინი, კოშკი) და 4 ოქროს მედალს დაეუფლა.

**ლუისი კარლ**. დ. 1. 7. 1961 აშშ-ში. თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი *მძლეოსანი-სპრინტერი* და *სიგრძეზე მხტომელი*, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, პანამერიკული თამაშების არაერთგზის ჩემპიონი. პირველ დიდ წარმატებას მიაღწია 22 წლის ასაკში — ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატზე (1983), მოიპოვა 3 ოქროს მედალი: 100 მ — 10,07; 4X100 მ ესტაფეტაში — 37,86; სიგრძეზე ხტომაში — 8,55 მ. ოთხი წლის შემდეგ რომის მსოფლიო ჩემპიონატზე მოიგო ესტაფეტა 4X100 მ — 37,90 და სიგრძეზე ხტომა — 8,67 მ, 100 მ რბენაში კი მეორე იყო — 9, 93.

წარმატებით იასპარეზა ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატშიც, სადაც ორი ოქროს მედალი დაისაკუთრა: 100 მ — 9,86 (მსოფლიოს რეკორდი), ესტაფეტაში 4X100 მ — 37,50 (მსოფლიოს რეკორდი). ლუისი ოთხი ოლიმპიადის მონაწილეა და ცხრა ოქროს მედლის მფლობელი.

1984 ლოს-ანჯელესის XXIII ოლიმპიური თამაშები: 100 მ — 9,99; 200 მ — 19,80, სიგრძეზე ხტომა — 8,54 მ. ესტაფეტა 4X100 მ — 37,83 (ს. გრედლი, რ. ბრაუნი, კ. სმითი, კ. ლუისი).

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები: 100 მ — 9,92; სიგრძეზე ხტომა — 8,72. ამ ოლიმპიადაზე მას ერთი ვერცხლის მედალიც ხვდა — 200 მ რბენაში (19,79).

1992 ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები: სიგრძეზე ხტომა — 8, 67 მ. ესტაფეტა 4X100 მ — 37,40 (მსოფლიოს რეკორდი: მ. მარში, ლ. ბარელი, დ. მიჩელი, კ. ლუისი).

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიური თამაშები: სიგრძეზე ხტომა — 8,50 მ.

კ. ლუისს ბევრჯერ აქვს გაუმჯობესებული მსოფლიოს რეკორდები.



ს. ლუისი.
ბრინჯაოს ქანდაკება

**ლუისი სპირიდონ**. 12.1.1873 — 26.3. 1940. ბერძენი ფოსტალიონი (ზოგი ვერსიით — ფოსტის მოხელე) სოფელ მარიუზიდან, რომელმაც მოიგო *მარათონული რბენა* თანამედროვეობის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე (1896, ათენი) და თავის ქვეყანაში ეროვნული გმირი გახდა.

ოლიმპიადაში გამარჯვებული ბერძენი მარათონელისთვის ორგანიზატორებს დაწესებული ჰქონდათ 9 პრიზი: 1. მილიონერ გეორგიოს ავეროფას ქალიშვილი ცოლად და მზითევი მილიონი დრაჰმას ოდენობით; 2. მიშელ ბრეალის ოქ-



კ. ლუისი

როს თასი; 3. ერთი კასრი ღვინო; 4. ერთი წლის განმავლობაში უფასო სადილი ათენის რესტორანში; 5. უფასო ტანსაცმელი; 6. მთელი ცხოვრების მანძილზე სადალაქოში უფასო მომსახურება; 7. ათი ცენტნერი შოკოლადი; 8. ათი ძროხა; 9.

30 ცხვარი (ლ. კუნი. ფიზიკური კულტურისა და სპორტის მსოფლიო ისტორია). სამწუხაროდ, უცნობია რომელი ამ პირობათაგანი შესრულდა და რომელი არა.

**ლუქსემბურგი.** სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. ტერიტორია — 2,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 400 ათასი, აქედან 24 % — უცხოელი მოქალაქეები. დედაქალაქი — ლუქსემბურგი (76,6 ათასი). სახელმწიფო ენები — ფრანგული და გერმანული. 1984 წლიდან ეროვნული ენის რანგში აყვანილია ლუქსემბურგული დიალექტი. მოსახლეობის უმრავლესობა — კათოლიკები (95 %).

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1912 წელს. ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

ლუქსემბურგის ოლიმპიური და სპორტის კომიტეტის ემბლემა

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1920 | - | 1 | - | 1 |
| 1952 | 1 | - | - | 1 |
| **სულ** | 1 | 1 | - | 2 |

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1992 | | 2 | | 2 |
| **სულ** | | 2 | | 2 |

# მ

**მაგიდის ჩოგბურთი.** სპორტული თამაში ჩოგნითა და პლასტმასის ბურთით. წარმოიშვა ინგლისში XIX საუკუნის მიწურულს. თამაშობენ ჩოგბურთის მსგავსად ერთეულები, წყვილები, შერეული წყვილები. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 79-ე სესიამ (1977, პრაღა) მაგიდის ჩოგბურთი ოლიმპიური ოჯახის სრულუფლებიან წევრად სცნო. ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1988-დან (XXIV ოლიმპიადა, სეული). პირველი ჩემპიონები: ვაჟებში — იუ ნამ კი (სამხრეთ კორეა), ქალებში — ჩენ ჩჟინი (ჩინეთი).

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 9 | 7 | 3 | 19 |
| კორეა | 2 | 1 | 8 | 11 |
| შვეცია | 1 | - | 1 | 2 |
| გერმანია | - | 1 | 1 | 2 |
| იუგოსლავია | - | 1 | 1 | 2 |
| კსდრ | - | - | 2 | 2 |
| საფრანგეთი | - | 1 | - | 1 |
| ჩინეთის ტაიპეი | - | 1 | - | 1 |
| **სულ** | 12 | 12 | 16 | 40 |

**მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია** (ITTF). შეიქმნა 1926 ბერლინში. აერთიანებს 177 ქვეყანას. აღიარებს მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის კავშირს, აზიის რეგიონალურ ფედერაციას, სამხრეთ ამერიკის კონფედერაციას. უმაღლესი ორგანოა კონგრესი. კონგრესებს შორის პერიოდში მიმდინარე საკითხებს განიხილავს ფედერაციის საბჭო და მუდმივმოქმედი კომიტეტები (საკლასიფიკაციო, წევრობის, წესების, მსოფლიო ჩემპიონატების ორგანიზაციის, საპროცედურო, ჭაბუკთა და რეკლამა-პროპაგანდის).

მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

**მადაგასკარი.** სახელმწიფო კუნძულ მადაგასკარზე და პატარა კუნძულებზე ინდოეთის ოკეანეში, აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. ტერიტორია — 596 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 12,5 მლნ. 99 % — მალაგასიელები, მათ გარდა ცხოვრობენ ფრანგები, ინდოელები, ჩინელები, არაბები. დედაქალაქი — ანტანანარივუ (1,05მლნ). სახელმწიფო ენები — მალაგასიური და ფრანგული. მოსახლეობის 57 % ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს აღიარებს, 37 % — ქრისტიანები, 5 % — მუსულმანები.

1960 წელს გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1963 წელს, 1964 წლიდან სოკ-ის წევრია.

მადაგასკარის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**მავრიკი.** განლაგებულია მავრიკის კუნძულებზე (როდრიგესი, აგალეგა და კარგადოს - კარაჰოსი), ინდოეთის ოკეანის დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 2,04 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 1,2მლნ. 69 % — ინდური და პაკისტანური წარმოშობის ხალხები, 27 % — ევროპელები და კრეოლები, 3 % — ჩინელები. დედაქალაქი — პორტ-ლუი (250 ათასი). სახელმწიფო ენები — ინგლისური და ფრანგული, კრეოლური. მოსახლეობის უმრავლესობა — ინდუისტები ( 52 %), არიან აგრეთვე ქრისტიანები და ისლამისტები. კუნძული მავრიკი აღმოაჩინეს პორტუგალიელებმა ( 1511). 1598 წელს დაიპყრო ჰოლანდიამ. 1715 წლიდან 1810 წლამდე საფრანგეთის, შემდეგ ინგლისის კოლონია.



რ. მათიასი

1968 წლიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1971 წელს, 1972 წლიდან სოკ-ის წევრია.

მავრიკის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**მავრიტანია.** სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-დასავლეთში. ტერიტორია — 1.030,7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 2,3 მლნ. 70 % — არაბები და მავ-

მავრიტანიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

რები. დედაქალაქი — ნუაკშოტი (500 ათასი). სახელმწიფო ენები — არაბული და ფრანგული. რელიგია — ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1962 წელს, 1979 წლიდან სოკ-ის წევრია.

**მათიასი რობერტ.** დ. 17.12.1930 ტულარეში, კალიფორნიის შტატი, აშშ. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი *მძლეოსანი-ათჭიდელი*. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი. 1948 ლონდონის XIV ოლიმპიადაზე აჩვენა 7139 ქულა (მაშინდელი ცხრილის მიხედვით) და გახდა ამ სახეობაში ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონი. 1952 ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა შედეგით — 7887 ქულა. აქვს დამყარებული რამდენიმე მსოფლიო რეკორდი ძველი ცხრილით. აღიარებული იყო მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად (1950). აირჩიეს აშშ-ს კონგრესის წევრად (80-იან წლებში).

**მაიერმაუერი გიზელა.** დ. 24.11.1913. გერმანელი *ბადროს მტყორცნელი*, 1936 ბერლინის XI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. 1938 მოიპოვა ევროპის ჩემპიონი ოქროს მედალი ბადროს ტყორცნასა და ვერცხლის ჯილდო ბირთვის კვრაში. ფლობდა მსოფლიოს რეკორდებს ბირთვის კვრაში — 14,38 მ (1934), ბადროს ტყორცნაში — 44,34; 44,76; 45,53; 46,10; 47,12 (1935), 47,99; 48,31 მმ (1936), ხუთჭიდში (100-ბალიანი სისტემით) — 357, 377 (1934), 418 (1938). 1936 დრეზდენში დამყარებული ბოლო მსოფლიოს რეკორდი ბადროს ტყორცნაში (48, 31) ჩამოართვა ჩვენმა თანამემამულემ ნინო დუმბაძემ მოსკოვში — 53, 25 მ (8. 8. 1948).

**მაკედონია.** მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში. ტერიტორია — 25713 კვ. კმ. მოსახლეობა — 2,2 მლნ. მაკედონელები — 66,5 %, ალბანელები — 22,9, თურქები — 4, ბოშები — 2,3, სერბები — 2, მუსულმანი სლავები — 2,1. დედაქალაქი სკოპლე — 440 ათასი. ოფიციალური ენა — მაკედონიური. შედიოდა იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში. 1993 წლის 7 აპრილს გაერომ ცნო დამოუკიდებელ ქვეყნად.

მაკედონიელ სპორტსმენებს მოიხსენიებენ ანტიკური ოლიმპიადების მეისტორიეები. ცნობილია, რომ მათ მოიპოვეს არაერთი გამარჯვება, ყველაზე გამოჩენილ ჩემპიონად კი აღიარებულია მაკედონიის მეფე — ფილიპ II, რომელმაც სამი ოლიმპიური ჯილდო მოიპოვა ანტიკურ თამაშებში.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1992 წელს, სოკ-მა აღიარა 1993 წელს. დამოუკიდებელი გუნდით პირველად გამოვიდა ატლანტის (1996) ოლიმპიურ თამაშებში, მედალი არ აუღია.

**მალავი.** სახელმწიფო აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ტერიტორია — 118,5 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 11,1 მლნ. ძირითადად — აღმოსავლეთ ბანტუს ხალხები. დედაქალაქი — ლილონგვე (150 ათასი). ოფიციალური ენები — ინგლისური, ჩიჩევა. მოსახლეობის 44 % — ქრისტიანები, დაახლოებით 20 % — ისლამისტები და ინდუისტები, დანარჩენები ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობიან.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1968 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**მალაიზია.** სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ტერიტორია 333 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 20,2 მლნ. დედაქალაქი — კუალა-ლუმპური (1,2) მლნ. სახელმწიფო ენა — მალაური. რელიგია — ისლამი, არიან აგრეთვე ბუდისტები, ინდუისტები, ქრისტიანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1953 წელს, 1954 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1992 | | - | 1 | 1 |
| 1996 | | 1 | 1 | 2 |
| სულ | | 1 | 2 | 3 |

**მალდივი.** სახელმწიფო ამავე სახელწოდების არქიპელაგზე ინდოეთის ოკეანეში. ტერიტორია — 298 კვ. კმ. მოსახლეობა — 300 ათასი. დედაქალაქი — მალე (60 ათასი). სახელმწიფო ენა — დივეხი. რელიგია — ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1985 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**მალი.** სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 1,240 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 10,9 მლნ. დედაქალაქი — ბამაკო (700 ათასი). სახელმწიფო ენა — ფრანგული. მოსახლეობის 70 % აღიარებს ისლამს, 5 % — ქრისტიანია, დანარჩენები ადგილობრივ სარწმუნოებებს ემხრობიან. XIX საუკუნის დასასრულიდან მალი საფრანგეთის კოლონია იყო, 1960 წელს გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1962 წელს, 1963 წლიდან სოკ-ის წევრია.

**მალტა.** უკავია კუნძულთა ჯგუფი ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში. საერთო ტერიტორია — 316 კვ. კმ. მოსახლეობა — 400 ათასი, ძირითადად — მალტელები. დედაქალაქი — ვალეტა (9 ათასი). სახელმწიფო ენები — მალტიური და ინგლისური. მოსახლეობის უმრავლესობა — კათოლიკები.


ე. მანჯაროტი

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1928 წელს, 1936 წლიდან სოკ-ის წევრია.

**მანჯიაროტი ედოარდო.** დ. 7. 4. 1919 მილანში, იტალია. ითვლება ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო *მოფარიკავედ*. წარმატებით ასპარეზობდა როგორც რაპირით, ისე დაშნით. ექვსჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი (1936, 52, 56, 60) პირად და გუნდურ ჩათვლაში. 1937-58 პერიოდში 13-ჯერ

მაკედონიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

მალავის ოლიმპიური და თანამეგობრობის თამაშების ასოციაციის ემბლემა

მალაიზიის ოლიმპიური საბჭოს ემბლემა

მალდივის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

მალის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

მალტის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

მაროკოს ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



ჯ. მეგრელიშვილი

აქვს მოგებული მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი რაპირასა და დაშნაში. ოთხჯერ იყო ოლიმპიური თამაშების ვერცხლის და ორჯერ ბრინჯაოს პრიზიორი.

**მარათონის ბრძოლა.** 490 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე საბერძნეთს, მისი დამონებისა და სრული განადგურების მიზნით, შეესია სპარსეთის ლაშქარი. ქვეყანა განსაცდელის პირას აღმოჩნდა. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ სპარტა დანაპირებ დახმარებას აგვიანებდა. დრო არ ითმენდა და ალყაში მოქცეულმა ბერძნებმა თავისი მთავარსარდლის მილტიადის მეთაურობით ბრძოლის ველად აირჩიეს სოფელ მარათონის ვიწროები, რომელსაც ერთგვარად მაინც უნდა გაეთანაბრებინა ძალები.

ბრძოლა იყო სასტიკი და დაუნდობელი, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. სამშობლოს დაცვის სურვილით ანთებულმა ბერძნებმა, როგორც იქნა, გასტეხეს სპარსთა ძლიერება და მათ სასტიკი დამარცხება აგემეს. მტრის მცირერიცხოვანმა რაზმმა თავს ბრძოლის ველიდან გაქცევით უშველა. მილტიადმა სასიხარულო ცნობით ათენს ჯარისკაცი აფრინა. ბრძოლით მოღლილმა მეომარმა სულმოუთქმელად გაირბინა 42 კილომეტრი და 195 მეტრი, ზუსტი მანძილი მარათონიდან ათენამდე, წარმოთქვა ერთადერთი სიტყვა „ნენიკამენ" („ჩვენ გავიმარჯვეთ") და დალია სული.



მორბენლები. ძველბერძნული ლარნაკი

**მარათონული რბენა.** მარათონელი ჯარისკაცის გმირული სახე, რომელმაც სპარსელთა დამარცხების ამბავი აუწყა ათენელებს (490 ჩვენს წელთაღრიცხვამდე), საუკუნეების მანძილზე არ ასვენებდა ანტიკური ისტორიისა და ძველი ოლიმპიადების მკვლევართ. ამ რომანტიკულმა ამბავმა საბაბი მისცა ფრანგ ფილოლოგს, აკადემიკოს მიშელ ბრეალს წერილით მიემართა თავისი მეგობრისთვის კუბერტენისთვის: „თუ ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი აღადგენს მარათონელი ჯარისკაცის ლეგენდარული რბენის მარშრუტს და ჩართავს მას თამაშების პროგრამაში, სიამოვნებით დავაწესებ სპეციალურ ჯილდოს გამარჯვებული სპორტსმენისათვის".

კუბერტენმა ბრეალის წინადადება გააცნო ბერძნებს, რომლებმაც სიხარულით დაუჭირეს მას მხარი. ასე, 2386 წლის შემდეგ აღორძინდა გმირული რომანტიკის ერთი შესანიშნავი ფურცელი. პირველი მარათონული რბენა და ბრეალის მიერ დაწესებული ოქროს თასი მოიგო ბერძენმა სპირიდონ ლუისმა.

**მაროკო.** სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-დასავლეთში. ტერიტორია — 446,5 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 26 მლნ. არაბები და ბერბერები (ერთად — 97 %), ფრანგები, ესპანელები და სხვ. დედაქალაქი — რაბათი (გარეუბნებით — 900 ათასი). სახელმწიფო ენა — არაბული. რელიგია — ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1959 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1960 | - | 1 | - | 1 |
| 1984 | 2 | - | - | 2 |
| 1988 | 1 | - | 2 | 3 |
| 1992 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 1996 | - | - | 2 | 2 |
| სულ | 4 | 2 | 5 | 11 |

**მასონი პოლ.** 1874 — 1945. ფრანგი *ველოსიპედისტი*, თანამედროვე ოლიმპიადების პირველი ჩემპიონი, რომელმაც სამი ოქროს მედალი მოიპოვა. 1896 ათენში მასონმა მოიგო ადგილიდან გიტი 333,3 მ — 24,0; სპრინტერთა რბოლა 2000 მ — 4.56,0 და 10.000 მ დისტანცია — 17.54,2.

**მასპინი ანტონიო.** დ. 14. 1. 1932 მილანში, იტალია. *ველოსპორტი*. აღიარებულია მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო სპრინტერად. 1952 ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა ტანდემებით რბოლაში (ჩეზარე პინარელოსთან ერთად). შემდეგ გადავიდა პროფესიონალებში და შვიდჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი სპრინტში (1955, 56, 59-62, 64).

**მეგრელიშვილი ჯემალ.** დ. 28. 2. 1950. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1965. სსრკ ჩემპიონი მსუბუქ წონაში (1972). ოლიმპიადის მონაწილე.

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები (მსუბუქი წონა, 62 კგ) — V ადგილი. I წრე — წმინდად დაამარცხა (4,52) ხიზირ ილიას ალაკოჩი (თურქეთი); II წრე — წმინდად დაამარცხა



(1,48) ელისეო სალგუტა (ფილიპინები); III წრე — ქულებით მოუგო ლასლო რეცს (უნგრეთი); IV წრე — ქულებით დამარცხდა სტილიანოს მიგიაკისთან (საბერძნეთი); V წრე — ქულებით მოუგო მარტი ლააკსოს (ფინეთი); VI წრე — დამარცხდა ჰაინც-ჰელმუტ ველინგთან (გდრ).

**მედალი ოლიმპიური**. ჯილდო, რომელსაც გადასცემს სოკ-ი ოლიმპიადებში პირველ სამ ადგილზე გასულ სპორტსმენებს. არსებობს სამი ხარისხის — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. თუ საპრიზო ადგილს იკავებს რამდენიმე სპორტსმენი ერთდროულად, ყველას შესაბამისი მედალი გადაეცემა (თუ პირველ ადგილს იყოფს ორი სპორტსმენი, ორივეს ოქროს მედლით აჯილდოებენ, მომდევნო ადგილზე გასულს კი ბრინჯაოს მედალი გადაეცემა). მოკრივეთა ტურნირის ნახევარფინალში დამარცხებულთ ავტომატურად ანიჭებენ მესამე ადგილებსა და ბრინჯაოს მედლებს. ძიუდოში ბრინჯაოს მედლით თითოეულ წონით კატეგორიაში ორ მოჭიდავეს აჯილდოებენ.

1896 ათენის ოლიმპიადაში გამარჯვებულთ გადასცემდნენ ვერცხლის მედალს, მეორე პრიზიორს კი ბრინჯაოს ჯილდოს. 1900 პარიზის ოლიმპიადის პრიზიორთათვის მედლები საერთოდ არ გადაუციათ. ამის მიუხედავად, შედეგთა შეჯამების გამარტივების მიზნით, ამ ოლიმპიადების სამი საუკეთესო შედეგი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს შეუფარდეს.

პირველი და მეორე ადგილებისთვის განკუთვნილი მედლები დამზადებულია 925-1000 სინჯის ვერცხლისაგან. ჩემპიონისთვის განკუთვნილი მედალი, ამავე დროს, 6 გრამ წმინდა ოქროს შეიცავს. მედლებს ამზადებს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი სოკ-ის მიერ მოწონებული ნიმუშის შესაბამისად. მედლებზე აღნიშნულია სპორტის სახეობა და შეჯიბრება. დიამეტრი არ უნდა აღემატებოდეს 60 მმ, სისქე — 3 მმ. პრიზიორებს მედლებით აჯილდოებს სოკ-ის პრეზიდენტი ან სოკ-ის წევრი შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ან მისი წარმომადგენლის თანხლებით. ოლიმპიური ქარტიის თანახმად, ოქროს მედლით დაჯილდოებულ სპორტსმენთა გვარები მუდმივად უნდა გამოიფინოს ოლიმპიურ სტადიონზე. ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი დარჩენილი მედლების ნიმუშებს გადასცემს სოკ-ს.

**მედვედი ალექსანდრე**. დ. 16. 9. 1937 ბელაია ცერკოვში, უკრაინა. *თავისუფალი ჭიდაობა*. სამი ოლიმპიადის ჩემპიონი. 1964 ტოკიოში (XVIII ოლიმპიადა) ჩემპიონი გახდა ქვემძიმე წონაში, 1968 მეხიკოში (XIX) და 1972 მიუნხენში (XX) — მძიმე წონაში. ევროპის სამგზის (1966, 68, 72) და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ქვემძიმე (1962, 63, 66) და მძიმე (1967, 1969-71) წონებში.



ა. მედვედი



ა. მეკოკიშვილი

**მეიფარიანი აკაკი**. 28. 2. 1918 — 2. 1. 1996. თავდაპირველად ტანვარჯიშს მისდევდა, მერე — *ფარიკაობას*. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1941). საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი რაპირით და დაშნით ფარიკაობაში. 1950-დან სსრკ ნაკრების წევრი. ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები (დაშნა) — მონაწილეობა მიიღო იტალიელებთან შეხვედრაში. დამარცხდა რობერტო ბატალიასთან და გუნდთან ერთად გამოეთიშა ასპარეზობას.



ა. მეიფარიანი

**მეკოკიშვილი არსენ**. 12. 4. 1912 — 9. 3. 1972. *თავისუფალი ჭიდაობა*. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მძიმე წონოსანი. ცხრაჯერ იყო სსრკ ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1945, 46, 48-53, 56) და შვიდჯერ სამბოში (1940, 47-52). წარმატებით გამოდიოდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაშიც, 1954 გახდა მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები (მძიმე წონა) — I ადგილი. I წრე — წმინდად (6,05) დაამარცხა იოჟეფ კოვაჩი (უნგრეთი); II წრე — ქულებით მოუგო ვილი ვალტნერს (გფრ); III წრე — ქულებით აჯობა კენეტ რიჩმონდს (დიდი ბრიტანეთი), IV წრე — წმინდად (4,10) დაამარცხა ნატალე ვეკი (იტალია), V წრე — ქულებით მოუგო ბერტილ ანტონსონს (შვეცია).



მელბურნის ოლიმპიური თამაშების პლაკატი

**მელბურნი**. ქალაქი ავსტრალიაში, ვიქტორიას შტატის ადმინისტრაციული ცენტრი, მდინარე იარის შესართავთან. დაარსდა XIX საუკუნის 30-იან წლებში. სახელი ეწოდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ლორდ მელბორნის პატივსაცემად. მელბურნი სარკინიგზო და საჰაერო მიმოსვლის მნიშვნელოვანი კვანძია და ქვეყნის უდიდესი ნავსადგური, აგრეთვე, კულტურის ცენტრი. ქალაქის ტერიტორიის დიდი ნაწილი მწვანე მასივს უკავია.

მელბურნში გაიმართა ზაფხულის XVI ოლიმპიური თამაშები (1956). იმის გამო, რომ ავსტრალიაში მტკიცედ იცავენ ცხოველთა კარანტინის კანონს, ცხენოსანთა ოლიმპიური ტურნირი მელბურნიდან სტოკჰოლმში გადაიტანეს. მელბურნის ოლიმპიადაზე პირველად ცეცხლის ტრანსპორტირება მოხდა თვითმფრინავით — ჩირაღდანმა 20 ათასი კილომეტრი იფრინა ათენიდან ავსტრალიის კონტინენტამდე.

**მელელაშვილი ტარიელ**. დ. 28. 3. 1976 გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. საქართველოს სპორტის აკადემიის სტუდენტი. ევროპის (1993) და მსოფლიო (1992) ჭაბუკთა პირველობაში გამარჯვებული, ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონი (1995) და ვერცხლის (1994) პრიზიორი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.



ლ. მესხი

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 68 კგ. ქულებით (2:4) დამარცხდა კუბელ ლუბელ ორისთან, თანაც მარცხენა ხელი იტკინა. მეორე შეხვედრა წმინდად წააგო ვალერი ნიკიტინთან (ესტონეთი) და შეჯიბრებას გამოეთიშა. საბოლოო შედეგი — XX ადგილი.

**მესხაძე თენგიზ**. დ. 8. 2. 1969 ქუთაისში. *მოკრივე*. საქართველოს სპორტის აკადემიის სტუდენტი. დსთ-ს თასის მფლობელი, თურქეთის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 67 კგ. პირველივე წრეში დამარცხდა ამერიკელ ფერნანდო ვარგასთან (4:10) და გამოეთიშა შეჯიბრებას.

**მესხი ლეილა**. დ. 5. 1. 1968 თბილისში. *ჩოგბურთი*. უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობს 1975-დან. პირველი პროფესიონალი ჩოგბურთელი საქართველოში 1990-91 მსოფლიოს უძლიერესთა ოცეულში შედიოდა. იყო მსოფლიოსა (1986) და ევროპის (1985) ჩემპიონი გოგონებში. მოგებული აქვს სსრკ ზაფხულისა და ზამთრის ჩემპიონატები, სტუდენტთა მსოფლიო თამაშები (1987) ერთეულთა და წყვილთა თანრიგში, „ვირჯინია სლიმზის" სამი ტურნირი. ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1988 სეულის XXIV ოლიმპიადა. ერთეულთა თანრიგი — I წრეში დაამარცხა რ. რაიხლოვა (ჩეხოსლოვაკია) 7:5, 7:5; II წრეში დამარცხდა შტეფი გრაფთან (გფრ) 5:7, 1:6.

1992 ბარსელონის XXV ოლიმპიადა. ერთეულთა თანრიგი. — I წრეში დამარცხდა მარი პირსთან (საფრანგეთი) — 6:7, 5:7. წყვილთა თანრიგი (ნატალია ზვერევასთან ერთად) — III ადგილი. I წრე — კატარინა და მაგდალენა მალეევები (ბულგარეთი) — არ გამოცხადდნენ II წრე — პეტრა რიტერი, იუდით ვიზნერი (ავსტრია) — 6:1, 6:1; III წრე — მერსედეს პასი, პატრიცია ტარაბინი (არგენტინა) — 6:2, 6:3; IV წრე (ნახევარფინალი) — მერი ჯო და ჯიჯი ფერნანდესები (აშშ) — 4:6, 5:7.

**მექსიკის შეერთებული შტატები**. სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილში. მექსიკას ეკუთვნის რამდენიმე კუნძული წყნარ ოკეანესა და კალიფორნიის ყურეში. ტერიტორია — 1 მლნ 958,2 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 91 მლნ. დედაქალაქი — მეხიკო (15 მლნ.), სახელმწიფო ენა — ესპანური. რელიგია — კათოლიკური. მექსიკაში ძველთაგანვე ცხოვრობდნენ ინდიელთა ტომები (აცტეკები, მაია, ტოლტეკები). 1522-დან სამი საუკუნის მანძილზე ესპანეთის კოლონია იყო. 1821 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა.

სპორტის საკითხებს განაგებს სპორტის ეროვნული ინსტიტუტი. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1923. თამაშებში მექსიკელი სპორტსმენები მონაწილეობენ 1924-დან. პირველი მექსიკელი ოლიმპიური ჩემპიონია ცხენოსანი (დაბრკოლებათა გადალახვა) უ. მარიელეს-კორტესი (1948). მექსიკის დედაქალაქმა მეხიკომ XIX ოლიმპიადას (1968) უმასპინძლა.




მექსიკის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

მექსიკის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1932 | - | 2 | - | 2 |
| 1936 | - | - | 3 | 3 |
| 1948 | 2 | 1 | 2 | 5 |
| 1952 | - | 1 | - | 1 |
| 1956 | 1 | - | 1 | 2 |
| 1960 | - | - | 1 | 1 |
| 1964 | - | - | 1 | 1 |
| 1968 | 3 | 3 | 3 | 9 |
| 1972 | - | 1 | - | 1 |
| 1976 | 1 | - | 1 | 2 |
| 1980 | - | 1 | 3 | 4 |
| 1984 | 2 | 3 | 1 | 6 |
| 1988 | - | - | 2 | 2 |
| 1992 | - | 1 | - | 1 |
| 1996 | - | - | 1 | 1 |
| სულ | 9 | 13 | 19 | 41 |

**მეხიკო**. მექსიკის დედაქალაქი, ფედერალური ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს მექსიკის მთიანეთის სამხრეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 2240 მ სიმაღლეზე. საფუძველი ჩაეყარა ესპანელების მიერ დანგრეული (1521) აც-

ტეკების ქალაქ ტენოჩტიტლანის (დაარსდა 1325) ადგილას. იყო კოლონია, ახალი ესპანეთის დედაქალაქი. 1821-დან (23 სექტემბერი) დამოუკიდებელი მექსიკის დედაქალაქია.

აცტეკთა ნაკვალევზე გაშენებული ძველი ქალაქის ძეგლთაგან ბევრი უნიკალურია და მხატვრულად ღირებული. ამიტომ მექსიკას უამრავი ტურისტი ეტანება. ქალაქის ღირსშესანიშნაობათა შორის ერთ-ერთი უმთავრესია „აცტეკას" სტადიონი, რომელიც აშენდა 1968 XIX ოლიმპიადისთვის არქიტექტორ პედრო რამირეს ვასკესის (იგი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო) პროექტით. მეხიკოს ოლიმპიადას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ზღვის დონიდან ქალაქის უჩვეულო სიმაღლის გამო.

**„მთავარი ოლიმპიადაში გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა"**. ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარის მარი ტერეზ ეკემის აზრით, ამ გამოთქმას, შეცდომით, პიერ დე კუბერტენს მიაწერენ. სინამდვილეში კი...

ლონდონის IV ოლიმპიადაზე (1908) იტალიელმა მარათონელმა დორანდო პიეტრიმ ფინიშის ხაზი მსაჯების დახმარებით გადაკვეთა (არის ამ მომენტის ამსახველი საკმაოდ პოპულარული ფოტო), რის გამოც, ბუნებრივია, შეჯიბრებიდან მოიხსნა. მაგრამ, ხასიათის სიმტკიცის და ნებისყოფის გამო, ოლიმპიური ლონდონის ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად გამოცხადდა. გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალზე დედოფალმა ალექსანდრამ იტალიელს სპეციალური ოქროს თასი აჩუქა — მეორე დღეს პენსილვანიის ეპისკოპოსმა წმინდა პეტრეს ტაძრის კათედრიდან წარმოთქმულ სიტყვაში ხოტბა შეასხა იტალიელი მარათონელის ვაჟკაცურ საქციელს და თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „მთავარი ოლიმპიადაში გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა". აქედან გახდა იგი ფრთიანი გამოთქმა.

**მიაკე იოსინობუ**. დ 24. 11. 1939 მიაგიში, იაპონია. ქვემსუბუქი წონის *ძალოსანი*. ორი ოლიმპიადის ჩემპიონი. 1964 ტოკიოს XVIII თამაშებზე აჩვენა 397,5 კგ, 1968 მეხიკოს ოლიმპიადაზე — 392,5 კგ. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი (1962, 63, 65, 66). გაუმჯობესებული აქვს მსოფლიოს 23 რეკორდი, მათ შორის 8 — სამჭიდში.

**მინაშვილი ზურაბ**. დ. 25. 11. 1936 თბილისში. *კალათბურთი*. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1962). სსრკ ჩემპიონატების პრიზიორი, ევროპის სამგზის ჩემპიონი (1957, 59, 63). 1957 ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ვერცხლის მედალოსანი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962). მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე. 1963 წელს ბრინჯაოს პრიზიორი იყო, 1959 მეექვსე ადგილი დაიკავა (სსრკ ნაკრები, ფაქტობრივად, პირველი იყო, მაგრამ ვინაიდან უარი თქვა ტაივანთან თამაშზე, მეექვსე ადგილი მიეკუთვნა). ოლიმპიადის მონაწილე.

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები — 11 ადგილი. მონაწილეობდა 8 მატჩში, დააგროვა 20 ქულა. მექსიკასთან — 2, ბრაზილიასთან — 0, პუერტო-რიკოსთან — 6, ურუგვაისთან — 4, იუგოსლავიასთან — 1, აშშ-სთან — 0, ბრაზილიასთან (ფინალურ ეტაპზე) — 3, იტალიასთან — 5.

**მიუნხენი**. ქალაქი გფრ-ის სამხრეთ ნაწილში, მდინარე იზარის ნაპირზე, ბავარიის მხარის ადმინისტრაციული ცენტრი. მიუნხენის ადგილზე



ზ. მინაშვილი

Munich1972

მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ემბლემა

დასახლება ძველთაგანვე ყოფილა (VIII საუკუნე). 1158 ბავარიის ჰერცოგმა ჰაინრიხ ლომმა მიუნხენს ქალაქის უფლებები უბოძა. XIII საუკუნიდან 1871-მდე ბავარიის დედაქალაქი იყო.

1923 8-9 ნოემბერს აქ მოეწყო ე. წ. ლუდის პუტჩი. 1933-მდე მიუნხენში განლაგებული იყო ნაცისტური პარტიის შტაბ-ბინა. გერმანიაში ფაშისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ (1933) რეაქციის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი გახდა.

1972 მიუნხენში მოეწყო ზაფხულის XX ოლიმპიური თამაშები. ამ ოლიმპიადაზე პირველად მძლეოსანთა და მოცურავეთა შედეგებს 0,01-ის სიზუსტით აღნუსხავდნენ. ასევე პირველად ოლიმპიადების ისტორიაში ერთმა სპორტსმენმა 7 ოქროს მედალი დაიმსახურა. ეს იყო ამერიკელი



დ. პიეტრი მარათონის ფინიშთან. ლონდონი. 1908 წ.

მოცურავე მარკ სპიცი. ოლიმპიადის მსვლელობაში მოხდა ტერორისტული თავდასხმა ისრაელის დელეგაციის წევრებზე, რომელმაც რამდე-



ბ. მიქიაშვილი

ნიმე პირის სიცოცხლე იმსხვერპლა. ამის გამო მცირე ხნით შენყდა სპორტული შეჯიბრებები.

**მიქიაშვილი ბიძინა**. დ. 28. 5. 1968 ამბროლაურის რაიონის სოფელ საკეცში. დაამთავრა საქართველოს სპორტის აკადემია. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი *ძალოსნობაში*, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1996). ოლიმპიური თამაშების მონანილე (83 კგ).

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიური თამაშები. ატაცი — 160 კგ, აკვრა — 200 კგ, ორჭიდი — 360 კგ, საბოლოო შედეგი — IX ადგილი.

**მოვახედი აბდულა**. დ. 10. 3. 1940 ბაბოლსერში, ირანი. *თავისუფალი ჭიდაობა*. 60-იანი წლების მეორე ნახევრის ერთ-ერთი საუკეთესო მოჭიდავე (პირველ ქვესაშუალო წონაში). 1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1965, 66, 67, 69, 70).

**მოზამბიკი**. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ტერიტორია — 783 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 16 მლნ. 98 % — ბანტუს ხალხები (მაკუა, ტსონგა, მალავი, მაკონდე და სხვ.) დედაქალაქი — მაპუტუ (1,2 მლნ). ოფიციალური ენა — პორტუგალიური. აფრიკული მოსახლეობის ძირითადი ნანილი — ანიმისტები, ქრისტიანები (ძირითადად კათოლიკები) — 1 მლნ. მუსულმანები — 900 ათასი. პორტუგალიელები მოზამბიკის ტერიტორიაზე 1498 ნელს გადმოსხდნენ. 1609 ნელს დაპყრობილი მინები კოლონიად გამოცხადდა. 1975 ნლიდან დამოუკიდებელი ქვეყანაა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1979 ნელს, ამავე ნლიდან სოკ-ის ნევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1996 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |

მოზამბიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**მოლდოვა**. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ამჟამად დამოუკიდებელი ქვეყანა. ტერიტორია 33,7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 4,4 მლნ. დედაქალაქი კიშინიოვი. ოფიციალური ენა — მოლდოვური.

1960-1988 ნლებში (გარდა 1964 და 1984 ნლებისა) საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში 13-მა მოლდოველმა ოლიმპიელმა იასპარეზა — 4 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი. 1992 ნლის ბარსელონის ოლიმპიადაზე გაერთიანებულ გუნდში 10 მოლდოველი სპორტსმენი გამოდიოდა, რომლებმაც 5 მედალი აიღეს, მათ შორის პირად შეჯიბრებაში — 1 ოქრო და 1 ბრინჯაო.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1991 ნელს, სოკ-მა აღიარა 1993 ნელს. დამოუკიდებელი გუნდით გამოვიდა ლილეჰამერისა (მედალი არ აუღია) და ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1996 | | 1 | 1 | 2 |
| სულ | | 1 | 1 | 2 |

MOLDOVA

მოლდოვის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**მონაკო**. სახელმნიფო ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ტერიტორია — 1,95 კვ. კმ. მოსახლეობა — 29 ათასი. აქედან 4,5 ათასი — მონეგასკები (მონაკოს ქვეშევრდომები). დანარჩენები — ფრანგები, იტალიელები და სხვ. დედაქალაქი — მონაკო (4 ათასი) სახელმნიფო ენა — ფრანგული. მოსახლეობის დიდი ნანილი — კათოლიკები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1907 ნელს, 1953 ნლიდან სოკ-ის ნევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1924 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |

**მონეტა ოლიმპიური**. ფულის სამახსოვრო ნიშანი, რომელსაც ბეჭდავს ოლიმპიადის ჩამტარებელი ქვეყანა თამაშების პოპულარიზაციის, დამატებითი სახსრების მიღების, ოლიმპიური მოძრაობის შემდგომი განვითარების მიზნით. ოლიმ-




ოლიმპიური მონეტა

პიური მონეტების გამოშვება შეუძლიათ სხვა ქვეყნებსაც (აუცილებელი პირობაა თამაშებში მონანილეობა). ოლიმპიური მონეტა მზადდება ლითონისაგან (ოქრო, ვერცხლი, პლატინა, სპილენძისა და ნიკელის შენაერთი). ოლიმპიურ მონეტაზე უსათუოდ უნდა იყოს აღბეჭდილი ოლიმპიური სიმბოლიკა.

ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული პირველი მონეტა გამოუშვეს 480 ჩვენს ნელთაღრიცხვამდე (ტეტრადრაჰმა — სიცილიის ოლქის მმართველის ანაქსილოქსის ეტლების რბოლაში გამარჯვების აღსანიშნავად). არსებობს დოკუმენტური ჩანანერები ფილიპე II მაკედონელის ოლიმპიურ მონეტებზე, რომლებიც მიძღვნილი ყოფილა 105-ე თამაშებში მისი გამარჯვებისადმი (356 ნელი ჩვენს ნელთაღრიცხვამდე), არსებობს სპორტული (შესაძლოა ოლიმპიური) თემატიკის ამსახველი ძველბერძნული ოლიმპიური მონეტებიც.

თანამედროვე მონეტები პირველად ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით გამოუშვეს (1952).

ოლიმპიური თამაშების აღორძინების 100 ნლის იუბილეს მიეძღვნა საბერძნეთის ეროვნული ბანკისა და ზარაფხანას მიერ 1996 ნელს გამოშვებული ოლიმპიური მონეტების კოლექცია, რომელზედაც გამოსახულია ანტიკური პერიოდის შუბმტყორცნელი, მოჭიდავე, მორბენლები, მოვარჯიშე ათლეტები, სტადიონი.



დ. მორელონი

ოლიმპიური მონეტების მნიშვნელოვანი კოლექციები გამოვიდა კანადაში (1992), ავსტრალიაში (1993), ავსტრიაში (1995).

**მონრეალი**. ქალაქი აღმოსავლეთ კანადაში (კვებეკის პროვინცია), მდინარე წმინდა ლავრენტის ნაპირზე. მონრეალი დააარსეს კანადაში გადასახლებულმა ფრანგებმა (1642) და მას ვილ-მარი-დე-მონრეალი უწოდეს. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მსხვილი სავაჭრო ცენტრი გახდა. მერე ხელში ჩაიგდეს ინგლისელებმა (1760). იყო ინგლისის კოლონიის (პროვინციის) — კანადის დედაქალაქი (1844-49). XX საუკუნის 60-იან წლებში ააგეს ქალაქი-თანამგზავრი გრენბი. მსოფლიო გამოფენასთან დაკავშირებით (1967) მოხდა ქალაქის რეკონსტრუქცია.

მონრეალში მოეწყო XXI ოლიმპიური თამაშები (1976). აქ პირველად მოხდა ოლიმპიური ცეცხლის გადაცემა ლაზერის სხივის საშუალებით (საშუალედო ეტაპს წარმოადგენდა კავშირი კოსმოსურ თანამგზავრთან).

**მონღოლეთი**. სახელმწიფო ცენტრალურ აზიაში. ტერიტორია — 1.566,5 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 2,4 მლნ. 90 % — მონღოლები, აგრეთვე ყაზახები, ტუვინები და სხვ. დედაქალაქი — ულან-ბატორი (775 ათასი). სახელმწიფო ენა — მონღოლური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1961 წელს, 1962 წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1968 | | 1 | 3 | 4 |
| 1972 | | 1 | - | 1 |
| 1976 | | 1 | - | 1 |
| 1980 | | 2 | 2 | 4 |
| 1988 | | - | 1 | 1 |
| 1992 | - | - | 2 | 2 |
| 1996 | - | - | 1 | 1 |
| სულ | - | 5 | 9 | 14 |

**მორელონი დანიელ**. დ. 24. 7. 1944 ბურგ-ანბრესში, საფრანგეთი. ერთ-ერთი უძლიერესი *სპრინტერი*. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი ველოსპორტში, ოთხი ოლიმპიადის მონაწილე: 1964, ტოკიო — III ადგილი, 1968, მეხიკო — 2 ოქროს მედალი, 1972, მიუნხენი — 1 ოქროს მედალი, 1976, მონრეალი — III ადგილი.

**მოროუ რობერტ (ბობ)**. დ. 15.10.1935 ჰარლინგენში, ტეხასის შტატი, აშშ. *მძლეოსანი*. 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 100 მ (10,5), 200მ (20,6) რბენასა და ესტაფეტაში 4 X 100 მ (39,5 მსოფლიოს რეკორდი). გარდა ამისა, მსოფლიოს რეკორდებს ფლობდა 100 იარდზე — 9,3 (1957), 100 მ — 10,2 (1956) და 200 მ — 20,6 (1956) რბენაში.

**მოსეშვილი ლევან**. დ. 30.5.1940 თბილისში. *კალათბურთი*. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სსრკ ჩემპიონი (1968) და მრავალგზის პრიზიორი. სსრკ თასის მფლობელი (1969). ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962). ოლიმპიადის მონაწილე.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები —



ლ. მოსეშვილი

II ადგილი. მონაწილეობა მიიღო სამ შეხვედრაში (კანადასთან, იტალიასთან, აშშ-თან). გუნდს შესძინა 10 ქულა.

**მოსკოვი**. ყოფილი სსრკ-ის, რსფსრ-ის, ამჟამად რუსეთის დედაქალაქი. მდებარეობს ქვეყნის ევროპულ ნაწილში, ოკა-მოსკოვის შუამდინარეთში, მდინარე მოსკოვის ნაპირებზე.

XI საუკუნეში წარმოადგენდა მდინარე ნეგლინაიას შესართავთან გაშენებულ პატარა ქალაქს. მატიანეში მოსკოვი პირველად 1147 წელსაა მოხსენიებული, როგორც სუზდალის მთავრის იური დოლგორუკის სამფლობელო. დაანგრიეს მონღოლებმა (1237-38), მაგრამ ქალაქი მალე აღდგა და XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დამოუკიდე-

მონაკოს ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

მონღოლეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ბელი სამთავროს ცენტრი გახდა. მოსკოვმა სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქის სტატუსი 1918 წლის 12 მარტს მიიღო.

1980 მოსკოვში მოეწყო XXII ოლიმპიური თამაშები, რომელსაც ავღანეთში წამოწყებული აგრესიული ავანტიურის გამო დასავლეთის სამყარომ ბოიკოტი გამოუცხადა.

მოციგურეთა საერთაშორისო კავშირის ემბლემა

**მოციგურეთა საერთაშორისო კავშირი** (ISU). ერთ-ერთი ყველაზე ძველი სპორტული გაერთიანება, რომელიც შეიქმნა ჰოლანდიაში (1892). ოფიციალური ენები: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული.

უმაღლესი ორგანო — კონგრესი, რომელსაც ორ წელიწადში ერთხელ იწვევენ. კონგრესებს შორის პერიოდში ისუ-ს საქმიანობას ხელმძღვანელობს საბჭო, რომელშიც შედიან: პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და წევრები.

**მოძრაობა ოლიმპიური**. აერთიანებს იმ ორგანიზაციებს, სპორტსმენებს და სხვა პირებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ოლიმპიური ქარტიით და ოლიმპიზმის პრინციპებით. ოლიმპიური მოძრაობა სათავეს იღებს თანამედროვე ოლიმპიზმიდან და წარმართავს სოკ-ი. მიზნებია: ახალგაზრდობის სპორტთან ზიარების მეშვეობით მშვიდობიანი და ცივილიზებული სამყაროს შექმნის ხელშეწყობა; მეგობრობის, სოლიდარობის, კაცთმოყვარეობის და ჯანსაღი შეჯიბრების პრინციპებზე დაფუძნებული, ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან თავისუფალი ოლიმპიური სულისკვეთების განვითარება.

ოლიმპიური მოძრაობა მუდმივი და უნივერსალურია. იგი თავის მწვერვალს მაშინ აღწევს, როცა მთელი მსოფლიოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე იკრიბებიან.



მოკრივე
რომ. ეროვნული მუზეუმი

**მოჰამედ ტაპერას პრიზი**. დააფუძნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა, ეგვიპტელმა მ. ტაპერამ (1950) ასაჩუქრებდნენ განსაკუთრებით გამორჩეულ მოყვარულ სპორტსმენებს, მათ შორის იმათაც, ვისაც არ უასპარეზია ოლიმპიადებში. მ. ტაპერას (1934-1968) პრიზით დაჯილდოებულთა შორის იყვნენ: ი. ბალაში, ფ. ბლანკერს-კუნი, ს. ერნბერგი, გ. ფრედრიკსონი და სხვ. სოკ-ის 75-ე სესიის გადაწყვეტილებით (1974) შეჩერებულია პრიზის ყოველწლიური გადაცემა.



მოჰამედ ტაპერას პრიზი

**მიანმარი (ბირმა)**. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. ტერიტორია — 678,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 40 მლნ. უმრავლესობა ბირმელები. დედაქალაქი — იანგონი (3 მლნ). სახელმწიფო ენა — ბირმული (მიანმა). რელიგია — ბუდიზმი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1947 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

მიანმარის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**მუზეუმი ოლიმპიური**. 1915 წელს, როცა ლოზანასთან გაფორმდა ხელშეკრულება სოკ-ის შტაბ-ბინის ამ ქალაქში დაფუძნების თაობაზე, პიერ დე კუბერტენმა ისაუბრა ოლიმპიური მუზეუმის შექმნის მნიშვნელობაზე. მოგვიანებით, ასევე კუბერტენის ინიციატივით, გაიხსნა სპეციალური ანგარიში, დაწესდა ყოველწლიური გადასახადი სოკ-ის აღმასკომის წევრებისათვის. 1926 წლის 7 მარტს, პარიზში კუბერტენმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მუზეუმის მშენებლობაზე სრულ პასუხისმგებლობას თვითონ კისრულობს. ის მთელი ათი წლის მანძილზე აგროვებდა სახსრებს, სამუზეუმო ექსპონატებს, საარქივო მასალებს. 1981 წელს სოკ-მა ლოზანასთან დადო ახალი ხელშეკრულება შტაბ-ბინისა და მუზეუმისთვის უფრო ხელსაყრელი ადგილის შესარჩევად და გამოსაყოფად. სოკ-ის წევრის, არქიტექტორ პედრო-ამირეს ვასკესისა (მექსიკა) და მისი შვეიცარიელი კოლეგის ჟან პიერ კაჰენის პროექტით ტბის სანაპიროზე აიგო მუზეუმის თანამედროვე, ხუთსართულიანი შენობა (ფართობი — 11 ათასი კვ. მ.), რომელიც 96 679 000 შვეიცარული ფრანკი დაჯდა. ახალი მუზეუმის გახსნის ცერემონიალი მოეწყო 1993 წლის 23 ივნისს.



ოლიმპიური მუზეუმი. ლოზანა

**მუშტი-კრივი**. ანტიკური ოლიმპიადების პროგრამის ერთ-ერთი სახეობა. დებიუტი შედგა XXIII ოლიმპიადაზე (688 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე). მოასპარეზეებს მუშტებზე შემოხვეული ჰქონდათ ღვედები. ბრძოლა წყდებოდა მაშინ, როცა ერთ-ერთი მხარე თავს დამარცხებულად ჩათვლიდა (ან დაეცემოდა მიწაზე).

**მშვენიერაძე პეტრე**. დ. 24. 3. 1929 თბილისში. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი *წყალბურთელი*, გამოირჩეოდა მაღალი შედეგიანობით. ყოფილი სსრკ ნაკრების წევრი და კაპიტანი (1950-60). 1956 მელბურნის XVI ოლიმპიადის ბრინჯაოს და 1960 რომის XVII ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი. მიღებული ჰქონდა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისა (1962) და ბრინჯაოს (1958) მედ-

ლები. სსრკ ათგზის ჩემპიონი (1952, 55-63) მოსკოვის „დინამოს" შემადგენლობაში.



ა. მშვენიერაძე

**მშვილდოსნობა**. ჯერ კიდევ XV საუკუნეში, შვეიცარიაში სპორტის სახეობად მიაჩნდათ. თანამედროვე წესები XIX საუკუნეში შემუშავდა. პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი მოეწყო 1931, ევროპისა — 1968, ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო 1900, 04, 08 და 20 წლებში. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია (1900, პარიზი, II თამაშები) ფრანგი ა. ერუენი, რომელმაც მოიგო „კორდონ დორე" 50 მეტრზე.

საქართველოს მშვილდოსანთაგან ოლიმპიურ ტურნირებში მონაწილეობა აქვთ მიღებული ქეთევან ლოსაბერიძესა და ხათუნა ქერივიშვილს. ლოსაბერიძე 1972 მიუნხენის XX ოლიმპიადაზე მეოთხე იყო, 1980 მოსკოვის ოლიმპიადაზე კი ჩემპიონი. ხათუნა ქერივიშვილმა ბარსელონაში (1992, XXV ოლიმპიადა) მესამე გუნდური ადგილი დაისაკუთრა, ატლანტაში (1996, XXVI ოლიმპიადა) კი შეჯიბრებას გამოეთიშა ოცდამეთორმეტედ ფინალში.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 13 | 7 | 7 | 27 |
| საფრანგეთი | 6 | 10 | 6 | 22 |
| ბელგია | 10 | 6 | 3 | 19 |
| კორეა | 8 | 5 | 3 | 16 |
| დიდი ბრიტანეთი | 2 | 2 | 4 | 8 |
| სსრკ | 1 | 3 | 3 | 7 |
| ფინეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| ჩინეთი | - | 3 | - | 3 |
| იტალია | - | - | 3 | 3 |
| შვეცია | - | 2 | - | 2 |
| იაპონია | - | 1 | 1 | 2 |
| პოლონეთი | - | 1 | 1 | 2 |
| გაერთ. გუნდი | - | - | 2 | 2 |
| ესპანეთი | 1 | - | - | 1 |
| ნიდერლანდები | 1 | - | - | 1 |
| გერმანია | - | 1 | - | 1 |
| ინდონეზია | - | 1 | - | 1 |
| უკრაინა | - | - | 1 | 1 |
| სულ | 43 | 43 | 36 | 122 |

**მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაცია** (FITA). შეიქმნა 1931. აერთიანებს 108 ქვეყანას. ოფიციალური ენები — ინგლისური და ფრანგული. შტაბ-ბინა მდებარეობს ლოზანაში.

მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის უმაღლესი ორგანოა კონგრესი, რომელიც, ჩვეულებრივ, მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიური ტურნირების დროს ტარდება. ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოა ადმინისტრაციული საბჭო და მისი აღმასკომი. ფიტა-ს ბიუჯეტი დგება საწევრო ანარიცხებისაგან, აგრეთვე, ტელეკომპანიების გადასახადებით.

მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

**მძლეოსნობა**. ერთ-ერთი ნამყვანი ოლიმპიური დისციპლინა. თამაშების პროგრამაშია პირველი ოლიმპიადიდან (1896). მძლეოსნობის ცალკეული დისციპლინები (რბენა, ხტომა, ტყორცნა) ანტიკური ოლიმპიადების პროგრამის მთავარ სახეობებს წარმოადგენდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ძველბერძნული ოლიმპიადების პირველი ჩემპიონი (კორები) მორბენალი იყო. მსოფლიოს ჩემპიონატი მძლეოსნობაში არც ისე დიდი ხანია ტარდება (1983-დან), ევროპის ჩემპიონატი — 1934-დან, ევროპის თასი — 1965-დან.

საქართველოს სპორტსმენებს ოლიმპიურ თამაშებში მიღებული აქვთ 11 სხვადასხვა ღირსების მედალი, მათ შორის 4 — ოქროსი, 3 — ვერცხლისა და 4 — ბრინჯაოსი. ოლიმპიური ჩემპიონებია: რობერტ შაველაყაძე (1960, XVII ოლიმპიადა), ვიქტორ სანეევი (1968, XIX; 1972, XX; 1976, XXI), ვერცხლის მედლები მიღებული აქვთ ლევან სანაძეს (1952, XV), ვიქტორ სანეევს (1980, XXII), საიდა გუნბას (1980, XXII), ბრინჯაოსი — ნინო დუმბაძეს (1952, XV), ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილს (1952, XV; 1956, XVI), მაია აზარაშვილს (1988, XXIV).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სპორტსმენებისა, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა აქვთ მიღებული: ე. გოკიელს (1952, XV), ა. შჩერბინას (1960, XVII), რ. ქვაჩაკიძეს (1960, XVII), ი. დიაჩკოვს



ჰერაკლე. ათენის ტაძარი. VI-V ს.ძვ.წ.ა.



ბადრის მტყორცნელი. ძველბერძნული ლარნაკი



მძლეოსნობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის ემბლემა

(1960, XVII), რ. შაველაყაძეს (1964, XVIII), ლ. იეველევას (1968, XIX), გ. გუდაშვილს (1968, XIX), ი. დელაროსას (1968, XIX), ო. სტრიჟაკოვს (1992, XXV), ე. ურუსოვას (1996, XXVI).

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 299 | 217 | 178 | 694 |
| სსრკ | 64 | 55 | 74 | 193 |
| დიდი ბრიტანეთი | 43 | 72 | 57 | 172 |
| გდრ | 39 | 47 | 38 | 124 |
| ფინეთი | 48 | 35 | 30 | 113 |
| შვეცია | 17 | 25 | 45 | 87 |
| გფრ | 15 | 24 | 27 | 66 |
| ავსტრალია | 17 | 19 | 24 | 60 |
| საფრანგეთი | 13 | 21 | 22 | 56 |
| გერმანია | 13 | 15 | 27 | 55 |
| იტალია | 16 | 13 | 23 | 52 |
| კანადა | 14 | 15 | 23 | 52 |
| პოლონეთი | 16 | 16 | 12 | 44 |
| უნგრეთი | 10 | 14 | 18 | 42 |
| კენია | 13 | 16 | 11 | 40 |
| იამაიკა | 5 | 16 | 8 | 29 |
| საბერძნეთი | 4 | 9 | 14 | 27 |
| რუმინეთი | 9 | 10 | 7 | 26 |
| ჩეხოსლოვაკია | 11 | 8 | 5 | 24 |
| გაერთ. გუნდი | 7 | 11 | 3 | 21 |
| კუბა | 5 | 8 | 8 | 21 |
| ახალი ზელანდია | 8 | 1 | 9 | 18 |
| სამხრეთ აფრიკა | 6 | 7 | 4 | 17 |
| ბულგარეთი | 4 | 7 | 6 | 17 |
| ეთიოპია | 8 | 1 | 7 | 16 |
| იაპონია | 3 | 7 | 6 | 16 |
| ნიდერლანდები | 6 | 3 | 6 | 15 |
| ნორვეგია | 3 | 4 | 8 | 15 |
| დიდი ბრიტ.-ირლ. | 4 | 7 | 1 | 12 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 6 | 11 |
| რუსეთი | 3 | 6 | 1 | 10 |
| ბელგია | 2 | 6 | 2 | 10 |
| ჩინეთი | 2 | 3 | 5 | 10 |
| მაროკო | 4 | 2 | 3 | 9 |
| ესპანეთი | 2 | 3 | 3 | 8 |
| შვეიცარია | - | 6 | 2 | 8 |
| მექსიკა | 3 | 3 | 1 | 7 |
| ნიგერია | 1 | 2 | 4 | 7 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 2 | 6 |
| ავსტრია | 1 | 1 | 4 | 6 |
| ტრინიდ. და ტობაგ. | 1 | 1 | 4 | 6 |
| ირლანდია | 4 | 1 | - | 5 |
| არგენტინა | 2 | 3 | - | 5 |
| ტუნისი | 1 | 2 | 1 | 4 |
| უკრაინა | 1 | - | 3 | 4 |
| ნამიბია | - | 4 | - | 4 |
| ბელორუსი | - | 2 | 2 | 4 |
| ჩეხეთი | 1 | - | 2 | 3 |
| დანია | - | 1 | 2 | 3 |
| ალჟირი | 2 | - | - | 2 |
| ლუქსემბურგი | 2 | - | - | 2 |
| კორეა | 1 | 1 | - | 2 |
| იაპონია-კორეა | 1 | - | 1 | 2 |
| უგანდა | 1 | - | 1 | 2 |
| ინდოეთი | - | 2 | - | 2 |
| იუგოსლავია | - | 2 | - | 2 |
| ტანზანია | - | 2 | - | 2 |
| ჩილე | - | 2 | - | 2 |
| ბაჰამი | - | 1 | 1 | 2 |
| ესტონეთი | - | 1 | 1 | 2 |
| ლატვია | - | 1 | 1 | 2 |
| ჩინეთის ტაიპეი | - | 1 | 1 | 2 |
| ანტილია | - | - | 2 | 2 |
| პანამა | - | - | 2 | 2 |
| ფილიპინები | - | - | 2 | 2 |
| აშშ-ირლანდია | 1 | - | - | 1 |
| ბურუნდი | 1 | - | - | 1 |
| ეკვადორი | 1 | - | - | 1 |
| ლიტვა | 1 | - | - | 1 |
| სირია | 1 | - | - | 1 |
| ბოჰემია | - | 1 | - | 1 |
| ზამბია | - | 1 | - | 1 |
| ისლანდია | - | 1 | - | 1 |
| კოტ-დ'იუარი | - | 1 | - | 1 |
| სლოვენია | - | 1 | - | 1 |
| სენეგალი | - | 1 | - | 1 |
| ცეილონი | - | 1 | - | 1 |
| ჰაიტი | - | 1 | - | 1 |
| ვენესუელა | - | - | 1 | 1 |
| თურქეთი | - | - | 1 | 1 |
| კატარი | - | - | 1 | 1 |
| კოლუმბია | - | - | 1 | 1 |
| მოზამბიკი | - | - | 1 | 1 |
| ჯიბუტი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 766 | 773 | 766 | 2305 |



IAAF-ის პრეზიდენტი პ. ნებიოლო

**მძლეოსნობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია** (IAAF). შეიქმნა 1912 სტოკჰოლმში. ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სპორტული ორგანიზაცია. აერთიანებს 207 ქვეყანას. ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. შტაბ-ბინა მდებარეობს მონტე-კარლოში. 1970 იააფ-ის ფარგლებში შეიქმნა მძლეოსანთა ევროპის ასოციაცია EAA, რომელსაც ჰყავს თავისი პრეზიდენტი, აქვს შტაბ-ბინა და ხელმძღვანელი ორგანოები.

უმაღლესი ორგანოა კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ: პრეზიდენტი, გენერალური მდივანი, საბჭოს წევრები და არაუმეტეს 3-3 დელეგატისა თითო ქვეყნიდან. იააფთან დაკავშირებული ორგანიზაციებია: მძლეოსნობის სტატისტიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია, მძლეოსნობის მწვრთნელთა საერთაშორისო ასოციაცია და მძლეოსნობის მწვრთნელთა ევროპის ფედერაცია.




ნაგანოს ოლიმპიური თამაშების ემბლემა

**მწვრთნელები**. აქ ჩამოთვლილმა მწვრთნელებმა მოამზადეს საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები: პეტრე იორდანიშვილი, მიხეილ თიკანაძე, შალვა ნოზაძე, ვასილ ილურიძე, ლევ კაპიტონოვი, ილია ჩხარტიშვილი, ლეონიდ ძეკონსკი, ნერსეს აკოფოვი, გიორგი როსტიაშვილი, ვახტანგ ბალავაძე, აკაკი მიმინოშვილი, შურა მაისურაძე, აკაკი თავართქილაძე, გურამ სალარაძე, ივანე ნიკოლაძე, მურად დოხტურიშვილი, ვლადიმერ მესტვირიშვილი, ჯემალ მეგრელიშვილი, ვიტალი ალავიძე, ჯემალ კოსტავა, შოთა კიკაბიძე, გიორგი გალდავა, ქრისტეფორე ნინიაშვილი, ბიძინა მაზიაშვილი, გურამ პაპიტაშვილი, გივი ზაუტაშვილი, ანზორ ქიბროწაშვილი, ომარ მერაბიშვილი, სოლომონ ჩიტაშვილი, ოთარ ნათელაშვილი, ზურაბ კორახაშვილი, შოთა ხაბარელი, ბერდია გუგავა, გურამ გუგავა, აკოფ კერსელიანი, ბორის დიაჩკოვი, ბორის ტახტაროვი, ილია გიგაური, ევგენი გაგუა, გიორგი გოზალიშვილი, შალვა დიასამიძე, მიხეილ კეკელიძე, სულიკო თორთლაძე, ალექსი მესხი, გივი კილაძე, ოთარ ქორქია, ლევან ინწკირველი, ლევან მოსეშვილი, შალვა ბოსიტაშვილი, გრიგოლ მამარდაშვილი, ივანე ოგანოვი, არნოლდ კვეტენაძე, ტრიფონ მესხი, მალხაზ გაბუნია, ანდრო ყორდანია, ივანე შუდრა, ვლადიმერ ელოშვილი, კარლო ხურციძე, ნოდარ ახალკაცი, ვალერიან ჩხარტიშვილი, სერგო აპრესიანი, ბუხუტი სირაძე, შოთა



ნამიბიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

მარგიშვილი, არამაის თეოსიანი, იური კლემიოვი, გიორგი შარაშიძე, ჯანსულ (ჯანო) ბაგრატიონი, პავლე გუმაშიანი, ბონდო კუჭუხიძე, შოთა წერეთელი, ივანე გრიქუროვი, ვახტანგ სალუქვაძე, პარმენ ლეკიშვილი, თენგიზ ხერხეულიძე, გიორგი ბექთაშვილი, კარლო შენგელია, გურამ ჯოხაძე, ავთანდილ გუნია, ალექსანდრე მეჟევიძე, შალვა ჯიშიაშვილი, გურამ ზუმბიაშვილი, ალიოშა ჯაფარიძე, დავით ქავთარაძე, ზურაბ გუნია, გიორგი მაკეევი, ვლადიმერ სამარინი, ლუკა იოაკიმიდი, ნოდარ გვახარია, როსტომ ჩაჩავა, ვიტალი უშაკოვი, ვასილ სანაძე, ირაკლი ჩხიკვაძე, იური გუტიაკულოვი, ივანე ლუცენკო, თეიმურაზ კაკულია, ნიკო ელერდაშვილი.

# ნ

**ნაგანო**. ზამთრის სპორტის ერთ-ერთი ცენტრი იაპონიაში. 1998 წლის ზამთრის XVIII ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად აირჩიეს ბირმინჰემში გამართულ სოკ-ის 97-ე სესიაზე კენჭისყრაში 89 კაცი მონაწილეობდა. მეოთხე ფინალურ ტურში ნაგანომ 46 ხმა მიიღო და 4 ხმით აჯობა სოლტ-ლეიკ-სიტის (აშშ).

**ნამიბია**. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 824,3 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 1,5 მლნ. ძირითადად — ოვამბო, კავანგო, ჰერერო, დამარა, ნამა. ქვეყანაში ევროპული წარმოშობის 100 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს. დედაქალაქი — ვინდჰუკი (115 ათასი). მოსახლეობის უმრავლესობა — ქრისტიანები, დანარჩენები — ანიმისტები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1991 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1992 | | 2 | | 2 |
| 1996 | | 2 | | 2 |
| სულ | | 4 | | 4 |

**ნასყიდაშვილი მურამ**. 16. 8. 1947 — 18. 4. 1983. *საბაიდარო სლალომი*. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1972 მიუნხენის XX ოლიმპიადა. 15 ქვეყნის 37 მონაწილეს შორის დაიკავა 31-ე ადგილი — 6.44,36.

**ნაურუ**. სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულზე წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 22 კვ. კმ. მოსახლეობა — 10 ათასი. ოფიციალური დედაქალაქი არა აქვს. ოფიციალური ენები — ნაურული და ინგლისური. მორწმუნეთა 70 % — პროტესტანტები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1991 წელს, 1994 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ნეპალი**. სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, ჰიმალაებში. ტერიტორია — 147,2 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 21,2 მლნ. დედაქალაქი — კატმანდუ (400 ათასი). სახელმწიფო ენა — ნეპალური. რელიგია — ინდუიზმი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1962 წელს, 1963 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ნიგერი**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 1.267 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 9,2 მლნ. ძირითადად — სონგაი, ჯერმა, ფულბე, ტუარეგი, ჰაუსა და სხვ. დედაქალაქი — ნიამეი (420 ათასი). სახელმწიფო ენა — ფრანგული. მოსახლეობის უმრავლესობა — მუსულმანები. XIX საუკუნის დასასრულს ნიგერი დაიპყრო საფრანგეთმა და შეუერთა საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის კოლონიურ ფედერაციას. 1960 წელს გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1964 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1972 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |



ნაგანოს ზამთრის სასახლე

**ნიგერია**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 923,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 100 მლნ. დედაქალაქი — ლაგოსი (6 მლნ). სახელმწიფო ენა — ინგლისური. მოსახლეობის 40-45 % — მუსულმანები, 35 % — ქრისტიანები. დანარჩენები ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობიან.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1951 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1964 | - | - | 1 | 1 |
| 1972 | - | - | 1 | 1 |
| 1984 | - | 1 | 1 | 2 |
| 1992 | - | 3 | 1 | 4 |
| 1996 | 2 | 1 | 3 | 6 |
| სულ | 2 | 5 | 7 | 14 |

**ნიდერლანდების ანტილია**. ნიდერლანდების მფლობელობა კარიბის ზღვაში. საერთო ტერიტორია — 0,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 191 ათასი, ძირითადად ზანგები და მულატები. ადმინისტრაციული ცენტრი — ვილემსტადი (გარეუბნებით — 140 ათასი). ოფიციალური ენა — ნიდერლანდური. გავრცელებულია ინგლისური და ესპანური ენები, აგრეთვე ადგილობრივი კრეო-

ნაურუს ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ნეპალის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ნიგერის ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კომიტეტის ემბლემა

ნიგერიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

NOC * NSF

ნიდერლანდების ანტილიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ნიდერლანდების ოლიმპიური კომიტეტის, ნიდერლანდების სპორტის ფედერაციის ემბლემა

ნიკარაგუის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ლური ენა — პაპიამენტო. მოსახლეობის დიდი ნაწილი — კათოლიკები (70 %), 15 % — პროტესტანტები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1931 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1989 | | 1 | | 1 |
| სულ | | 1 | | 1 |

**ნიდერლანდების სამეფო.** სახელმწიფო დასავლეთ ევროპის ჩრდილოეთ სანაპიროზე. ტერიტორია — 33,9 ათასი კვ. კმ. 40 პროცენტზე მეტი ტერიტორიისა ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს და დაცულია დამბებისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების სისტემებით. მათი საერთო სიგრძე 3 ათას კილომეტრს შეადგენს. მოსახლეობა — 15,5 მლნ. დედაქალაქი — ამსტერდამი (720 ათასი) სახელმწიფო ენა — ნიდერლანდური. რელიგია — კათოლიკური და პროტესტანტული.

ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1912. პირველი ოქროს მედალი ნიდერლანდელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს აკადემიურ ნიჩბოსნობაში (1900). 1928 ამსტერდამმა ზაფხულის IX ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა.

ნიდერლანდების სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1900 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 1906 | - | 1 | 2 | 3 |
| 1908 | - | - | 2 | 2 |
| 1912 | - | - | 3 | 3 |
| 1920 | 4 | 2 | 5 | 11 |
| 1924 | 4 | 1 | 5 | 10 |
| 1928 | 6 | 9 | 4 | 19 |
| 1932 | 2 | 5 | - | 7 |
| 1936 | 6 | 4 | 7 | 17 |
| 1948 | 5 | 2 | 9 | 16 |
| 1952 | - | 5 | - | 5 |
| 1960 | - | 1 | 2 | 3 |
| 1964 | 2 | 4 | 4 | 10 |
| 1968 | 3 | 3 | 1 | 7 |
| 1972 | 3 | 1 | 1 | 5 |
| 1976 | - | 2 | 3 | 5 |
| 1980 | - | 1 | 2 | 3 |
| 1984 | 5 | 2 | 6 | 13 |
| 1988 | 2 | 2 | 5 | 9 |
| 1992 | 2 | 6 | 7 | 15 |
| 1996 | 4 | 5 | 10 | 19 |
| სულ | 49 | 58 | 81 | 188 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1952 | - | 3 | - | 3 |
| 1960 | - | 1 | 1 | 2 |
| 1964 | 1 | 1 | - | 2 |
| 1968 | 3 | 3 | 3 | 9 |
| 1972 | 4 | 3 | 2 | 9 |
| 1976 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 1980 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1988 | 3 | 2 | 2 | 7 |
| 1992 | 1 | 1 | 2 | 4 |
| 1994 | - | 1 | 3 | 4 |
| სულ | 14 | 19 | 17 | 50 |

**ნიკარაგუა.** სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ტერიტორია — 120,3 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 4,5 მლნ. 70 % — მეტისები. დედაქალაქი — მანაგუა (1 მლნ). სახელმწიფო ენა — ესპანური. რელიგია — კათოლიკური. თანამედროვე ნიკარაგუას სანაპირო აღმოაჩინა კოლუმბმა 1502 წელს. იყო ესპანეთის დაქვემდებარებაში. 1821 წელს ნიკარაგუამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1959 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**ნიკიტინი ბორის.** 5. 3. 1938 — 20. 10. 1984. *ცურვა.* დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1952. სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1956-60). ევროპის ჩემპიონი (1958) ესტაფეტაში 4X100 მ და ვერცხლის პრიზიორი 400 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში. ახალგაზრდობის მეგობრული სპორტული თამაშების (1957) ორგზის ჩემპიონი. ორი ოლიმპიადის მონაწილე.



ბ.ნიკიტინი

1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშები. თავისუფალი სტილით ესტაფეტა 4X200 მ — III ადგილი (ვ. სოროკინი — 2. 07,5, ვ. სტრუჟანოვი — 2. 11,5, გ. ნიკოლაევი — 2.09,0, ბ. ნიკიტინი — 2.06,7) — 8.34,7. 400 მ თავისუფალი სტილით — XVI ადგილი (4.42,8).

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები. თავისუფალი სტილით ესტაფეტა 4X200მ — VIII ადგილი (ი. ლუჟკოვსკი — 2. 10,3, გ. ნიკოლაევი — 2.08,0, ვ. სოროკინი — 2.07,0, ბ. ნიკიტინი — 2.06,9) — 8.32,2.

**ნიჩბოსნობა აკადემიური.** სანიჩბოსნო სპორ-

ტის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რბოლა აკადემიური ნავებით. ჩაისახა დიდ ბრიტანეთში XIX საუკუნის შუა წლებში. ევროპის ჩემპიონატები ენყობა 1893-დან. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს 1900. შეჯიბრებები ტარდება რამდენიმე სახეობაში (ერთადგილიანი, ორადგილიანი, ოთხადგილიანი, რვაადგილიანი ნავებით). პირველ ოლიმპიურ რეგატებში უპირატესობას აღწევდნენ დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, აშშ-ს, საფრანგეთის ნიჩბოსნები.

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 29 | 28 | 19 | 76 |
| გდრ | 33 | 9 | 8 | 50 |
| საბჭოთა კავშირი | 12 | 20 | 10 | 42 |
| დიდი ბრიტანეთი | 19 | 15 | 7 | 41 |
| გერმანია | 15 | 7 | 10 | 32 |
| იტალია | 13 | 11 | 9 | 33 |
| კანადა | 8 | 12 | 12 | 32 |
| რუმინეთი | 12 | 10 | 7 | 29 |
| საფრანგეთი | 4 | 14 | 12 | 30 |
| გფრ | 8 | 7 | 7 | 22 |
| შვეიცარია | 6 | 7 | 9 | 22 |
| ავსტრალია | 7 | 5 | 8 | 20 |
| ნიდერლანდები | 5 | 6 | 8 | 19 |
| დანია | 4 | 3 | 8 | 15 |
| ნორვეგია | 1 | 5 | 6 | 12 |
| ახალი ზელანდია | 3 | 2 | 6 | 11 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 2 | 7 | 11 |
| პოლონეთი | - | 2 | 9 | 11 |
| ბულგარეთი | 2 | 3 | 5 | 10 |
| ბელგია | - | 6 | 2 | 8 |
| ფინეთი | 3 | - | 3 | 6 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 3 | 5 |
| ავსტრია | - | 3 | 2 | 5 |
| საბერძნეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| არგენტინა | 1 | 1 | 2 | 4 |
| ჩინეთი | - | 2 | 2 | 4 |
| ურუგვაი | - | 1 | 3 | 4 |
| უნგრეთი | - | 1 | 2 | 3 |
| ბელორუსი | 1 | - | 1 | 2 |
| შვეცია | - | 2 | - | 2 |
| სლოვენია | - | - | 2 | 2 |
| ესპანეთი | - | 1 | - | 1 |
| საბერძ.-ბელგია | - | 1 | - | 1 |
| უკრაინა | - | 1 | - | 1 |
| გაერთ. გუნდი | - | - | 1 | 1 |
| რუსეთი-ესტონეთი | - | - | 1 | 1 |
| რუსეთი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 190 | 190 | 193 | 573 |

**ნიჩბოსნობა საბაიდარო და კანოე.** სპორტის ამ სახეობის განვითარება განაპირობა ევროპის ქვეყნებში სანიჩბოსნო კლუბების დაარსებამ. ეს მოხდა გასული საუკუნის 60-იან წლებში პირველი სანიჩბოსნო კლუბი შეიქმნა შოტლანდიაში. რამდენიმე წლის შემდეგ გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები ბაიდარებით რბოლაში.

1924 პარიზის VIII ოლიმპიადაზე მოეწყო კანოისტთა საჩვენებელი გამოსვლა, 1936 ბერლინში კი (XI თამაშები) ნიჩბოსნობა ოფიციალური ოლიმპიური დისციპლინა გახდა, 1938-დან ეწყობა მსოფლიოს, 1957-დან ევროპის ჩემპიონატები.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონია (1936, ბერლინი) ერთადგილიანი ბაიდარების 1000 მ. მოასპარეზე გრეგორ პრადეცკი (ავსტრია) — 4. 22,9. საქართველოს სპორტსმენთაგან ოლიმპიურ ტურნირში თავი გამოიჩინა ფოთელმა ვიქტორ კრატასიუკმა, რომელმაც 1972 მიუნხენის XX თამაშებში ბელორუს ნიკოლოზ გორბაჩოვთან ერთად ოქროს მედალი მოიპოვა ორადგილიანით 1000 მ. რბოლაში, იმავე ოლიმპიადაზე სანიჩბოსნო სლალომში იასპარეზა ჩვენმა თანამემამულემ გურამ ნასყიდაშვილმა და XXXI ადგილი დაიკავა.



ნიჩბოსნები.
ძველბერძნული ბარელიეფი.

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 10 | 23 | 21 | 54 |
| სსრკ | 29 | 13 | 9 | 51 |
| გდრ | 15 | 7 | 9 | 31 |
| რუმინეთი | 9 | 10 | 12 | 31 |
| გერმანია | 15 | 7 | 6 | 28 |
| შვეცია | 14 | 10 | 4 | 28 |
| გფრ | 4 | 11 | 8 | 23 |
| საფრანგეთი | 2 | 6 | 15 | 23 |
| აშშ | 5 | 4 | 6 | 15 |
| ბულგარეთი | 4 | 3 | 8 | 15 |
| კანადა | 3 | 7 | 4 | 14 |
| ავსტრია | 3 | 5 | 5 | 13 |
| ჩეხოსლოვაკია | 7 | 4 | 1 | 12 |
| დანია | 3 | 4 | 5 | 12 |
| ავსტრალია | 1 | 3 | 7 | 11 |
| პოლონეთი | - | 3 | 8 | 11 |
| ფინეთი | 5 | 2 | 3 | 10 |
| იტალია | 3 | 3 | 2 | 8 |
| ნორვეგია | 2 | 3 | 3 | 8 |
| ნიდერლანდები | - | 3 | 5 | 8 |
| ახალი ზელანდია | 5 | 1 | 1 | 7 |
| ჩეხეთი | 3 | 2 | - | 5 |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 1 | 5 |
| ესპანეთი | - | 2 | 2 | 4 |
| გაერთ. გუნდი | 1 | 1 | - | 2 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | - | 2 |
| ლატვია | - | 2 | - | 2 |
| დიდი ბრიტანეთი | - | 1 | - | 1 |
| მოლდოვა | - | 1 | - | 1 |
| სლოვენია | - | 1 | - | 1 |
| შვეიცარია | - | 1 | - | 1 |
| რუსეთი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 146 | 146 | 146 | 438 |

FISA

ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

**ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაცია** (FISA). ერთ-ერთი უძველესი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა

NORWAY

ნორვეგიის ოლიმპიური კომიტეტის და სპორტის კონფედერაციის ემბლემა

ტურინში (1892) ოთხი ქვეყნის — ბელგიის, იტალიის, საფრანგეთის, შვეიცარიის ინიციატივით. ფისა-ს უმაღლესი ორგანო კონგრესია, რომელიც ეწყობა ყოველწლიურად ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების დღეებში. კონგრესებს შორის პერიოდში ფედერაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციული საბჭო პრეზიდენტის, გენერალური მდივნის და სამი ვიცე-პრეზიდენტის შემადგენლობით.

**ნორვეგიის სამეფო.** სახელმწიფო ჩრდილოეთ ევროპაში, რომელსაც სკანდინავიის ნახევარკუნძულის დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილი უკავია. ტერიტორია — 324 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 4, 3 მლნ. დედაქალაქი — ოსლო (480 ათასი), რელიგია-ლუთერანული.

სპორტის საქმეებს განაგებს ნორვეგიის ცენტრალური სპორტული კავშირი. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1900. პირველი ოლიმპიური „ოქრო" მოიპოვა მსროლელმა ა. პელგერუდმა (1908). ნორვეგიაში განსაკუთრებით განვითარებულია ზამთრის სპორტის სახეობები. ამ ქვეყანამ ორჯერ უმასპინძლა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, 1952 ოსლოში (VII) და 1994 ლილეჰამერში (XVII).

ნორვეგიის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1900 | - | 2 | 3 | 5 |
| 1906 | 4 | 2 | 1 | 7 |
| 1908 | 2 | 3 | 3 | 8 |
| 1912 | 3 | 2 | 5 | 10 |
| 1920 | 13 | 7 | 8 | 28 |
| 1924 | 5 | 2 | 3 | 10 |
| 1928 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1936 | 1 | 3 | 2 | 6 |
| 1948 | 1 | 3 | 3 | 7 |
| 1952 | 3 | 2 | - | 5 |
| 1956 | 1 | - | 2 | 3 |
| 1960 | 1 | - | - | 1 |
| 1968 | 1 | 1 | - | 2 |
| 1972 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1976 | 1 | 1 | - | 2 |
| 1984 | - | 1 | 2 | 3 |
| 1988 | 2 | 3 | - | 5 |
| 1992 | 2 | 4 | 1 | 7 |
| 1996 | 2 | 2 | 3 | 7 |
| სულ | 46 | 41 | 38 | 124 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1920 | - | 2 | 1 | 3 |
| 1924 | 4 | 7 | 6 | 17 |
| 1928 | 6 | 4 | 5 | 15 |
| 1932 | 3 | 4 | 3 | 10 |
| 1936 | 7 | 5 | 3 | 15 |
| 1948 | 4 | 3 | 3 | 10 |
| 1952 | 7 | 3 | 6 | 16 |
| 1956 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1960 | 3 | 3 | - | 6 |
| 1964 | 3 | 6 | 6 | 15 |
| 1968 | 6 | 6 | 2 | 14 |
| 1972 | 2 | 5 | 5 | 12 |
| 1976 | 3 | 3 | 1 | 7 |
| 1980 | 1 | 3 | 6 | 10 |
| 1984 | 3 | 2 | 4 | 9 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1988 | - | 3 | 2 | 5 |
| 1992 | 9 | 6 | 5 | 20 |
| 1994 | 10 | 11 | 5 | 26 |
| სულ | 73 | 77 | 64 | 214 |

**ნურმი პაავო.** 13. 6. 1897 — 2. 10. 1973. სახელგანთქმული ფინელი *მძლეოსანი*, მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი სტაიერი. 3 ოლიმპიადის მონაწილე. 1920 ანტვერპენის VII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 10 000 მ რბენაში (31.45,8) და 8000 მ. კროსში (პირადი, გუნდური), 1924 პარიზის VIII ოლიმპიადაზე ხუთი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა: 1500 მ. (3.53,6), 5000 მ (14.31,2) დისტანციებზე, 3000 მ. გუნდურ რბენასა და 10 000 მ კროსში (გუნდური, პირადი), 1928 ამსტერდამის IX ოლიმპიადის ჩემპიონი 10 000 მ რბენაში (30.18,8). გარდა ამისა, სამჯერ იყო ოლიმპიადების ვერცხლის პრიზიორი. სხვადასხვა დროს დამყარებული აქვს 22 მსოფლიოს რეკორდი.



ა.ნურმი

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიადის მთავარი მეჩირაღდნე.

# ო

**ო'ბრაიენი პერი.** დ. 28. 1. 1932 სანტა-მონიკაში, კალიფორნიის შტატი, აშშ. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო *ბირთვის მკვრელი*. ორჯერ იყო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი: 1952 (17,41 მ) და 1956 (18, 57 მ). 1960 რომის XVII თამაშებში ვერცხლის პრიზიორი გახდა (19,11 მ). დამყარებული აქვს მსოფლიოს 10 რეკორდი, პირველი — 1953-ში (18,00), ბოლო — 1959-ში (19,30). პანამერიკული თამაშების ორგზის ჩემპიონი (1955 — 17,59 და 1959 — 19,04).

**ოდა სპორტს**. ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც პირველი ადგილი და ოქროს მედალი მიეკუთვნა სტოკჰოლმის ოლიმპიადის (1912) ხელოვნების კონკურსზე. ნაწარმოების ანონიმური ავტორების გვარი იყო ჟორჟ ჰოროდი და მარტინ ეშბახი. სინამდვილეში ორივე გვარი პიერ დე კუბერტენის ფსევდონიმი იყო.

**ოლიმპი**. მთის მასივი საბერძნეთში, ეგეოსის ზღვის თერმეკოსის (სალონიკის) ყურის ნაპირთან. სიმაღლე ზღვის დონიდან 2911 მ. ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთების ადგილსამყოფელად იყო მიჩნეული. ოლიმპს ღმერთების საკრებულოსაც უწოდებდნენ, ხოლო იქაურ ღმერთს — ოლიმპიელს. ძველ ქართულ მწერლობაში ამ მთის მასივს (უფრო სწორად, მთას) ულუმბო ერქვა (ოლიმპი უნდა განვასხვაოთ ოლიმპიისგან, სადაც ძველბერძნული სპორტული თამაშები იმართებოდა).

**ოლიმპია**. ძველი ბერძნული ქალაქი ელიდაში. მდებარეობდა პელოპონესის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთში. ანტიკური სამყაროს კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი. ქალაქი, სადაც ოლიმპიური თამაშები იმართებოდა (776 ჩვენს წელთაღრიცხვამდე — 394 ჩვენი წელთაღრიცხვით). ადგილი, სადაც თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანს ანთებენ, საიდანაც იწყება ე. წ. ცეცხლოვანი ესტაფეტა. ოლიმპიის არქიტექტურული ანსამბლი შეიქმნა VII-IV საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. დაიწვა და განადგურდა 426 (ჩვენი წელთაღრიცხვით) იმპერატორ თეოდოსიოს II ბრძანებით. შემორჩენილია ძველი ნაგებობების ნანგრევები, მათ შორის ჰერასა და ზევსის ტაძრების, სამარხების, სტადიონის. გათხრების შემდეგ აღმოჩენილია 130 სკულპტურა, 13 ათასამდე ბრინჯაოს ნივთი, 10 ათასამდე წარწერა. დღეს ოლიმპიაში ფუნქციონირებს საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია.

**ოლიმპიადა**. 1. ასე უწოდებდნენ ძველი ბერძნები ორ, ერთმანეთის მომდევნო ოლიმპიურ თამაშებს შორის ოთხწლიან პერიოდს. ანტიკური თამაშები სათვალავს იღებს 776-დან (ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ამ პერიოდიდან იწყება შეჯიბრებებში გამარჯვებულ ათლეტთა გვარების აღნუსხვა-დაფიქსირება. დროის აღრიცხვა ოლიმპიური თამაშების მიხედვით შემოულია ბერძენ ისტორიკოსს ტიმეოს ტავრომენიოსელს. ოლიმპიურ თამაშებს ამ მიზნით იყენებდნენ სხვა ბერძენი ისტორიკოსებიც, კერძოდ პოლობიოსი, დიოდორე სიცილიელი, დიონისე ჰალიკარნასელი და სხვ. ასე იყო მანამ, სანამ ჩვენი წელთაღრიცხვის 394-ში რომის იმპერატორმა თეოდოსიოს ფლავიუს I (346-395) არ აკრძალა თამაშები, როგორც წარმართული დღესასწაული. სხვათა შორის, თეოდოსიოს I კაცობრიობის წინაშე სხვა მძიმე დანაშაულებიც მიუძღვის: მისი განკარგულებით დაიწვა ალექსანდრიის სახელგანთქმული ბიბლიოთეკა და ბევრი წარმართული ტაძარი.



ა.ო-ბრაიენი



ოლიმპია

2. თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობაშიც ოლიმპიადას თამაშებს შორის ოთხწლიან პერიოდს უწოდებენ. ამ პერიოდების აღრიცხვა (რიგითი ნომრების მონაცვლეობა) ხდება იმისდა მიხედვით, მოეწყო თუ არა ოთხწლიან პერიოდში ოლიმპიური თამაშები. მაგალითად 1916 პირველი მსოფლიო ომის მიზეზით არ გამართულა ოლიმპიური თამაშები, მაგრამ მისი რიგითი ნომერი — მეექვსე შენარჩუნებულ იქნა, იგივე ითქმის იმ თამაშებზე, რომლებიც 1940 (XII) და 1944 (XIII) უნდა ჩატარებულიყო.

3. ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებაში „ოლიმპიადას" „ოლიმპიური თამაშების" მნიშვნელობით ხმარობენ, რაც არ არის გამართლებული, მაგრამ არც დიდ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს.

**ოლიმპიადა საქართველოში**. (იხ. გვ. 207-209).

**„ოლიმპიელი"**. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გაზეთი. გამოდის 1993 წლის დეკემბრიდან. აშუქებს საქართველოს და საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობას, უმნიშვნელოვანეს სპორტულ მოვლენებს.

**ოლიმპიზმი**. ცხოვრების ფილოსოფია, რომელიც განადიდებს სხეულის, სულისა და გონების



დორიფორი
მიუნხენის მუზეუმი

ჰარმონიას. ოლიმპიზმის მიზანია პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბება, ადამიანთა უფლებებისა და ღირსებების პატივისცემა და დაცვა, ეთიკის უნივერსალური პრინციპების პატივისცემა, კულტურასთან და განათლებასთან შერწყმის გზით სპორტის ჩაყენება კაცობრიობის სამსახურში; თანამედროვე ოლიმპიზმის ფუძემდებელია პიერ დე კუბერტენი.

**ოლიმპიზმის აღორძინება.** იდეას დიდი და საინტერესო ისტორია აქვს. ცნება ოლიმპიური თამაშების საზოგადოებრივ აზროვნებაში დამკვიდრდა აღორძინების ხანის ცნობილი იტალიელი სახელმწიფო მოღვაწის მათეო პალმიერის (1405-1475) წყალობით. ოლიმპიური თამაშების იდეა მან საყოველთაო მშვიდობასთან დააკავშირა.

ანტიკურ ოლიმპიადებზე დაწვრილებით საუბრობს ფრანგი სწავლული პეტრეს ფაბერი თავის „აგონისტიკაში" (1592, პარიზი). მისი მიზანია დაამკვიდროს გიმნასტიკა, როგორც შეძლებულთა ესთეტიკური აღზრდის უმთავრესი საშუალება.

ოლიმპიზმის იდეის მომხრეთა რიცხვს ეკუთვნის იურისტი იოჰანეს აქვილი, რომელმაც ბადენში „საჩვენებელი ოლიმპიური გამოსვლები" მოაწყო (1516).

1604. ბარტინში (ინგლისი) სამეფო პროკურორი რობერტ დოვერი მეფე იაკობ I მხარდაჭერით აწყობს სპორტულ შეჯიბრებათა სერიას, რომელსაც „ოლიმპიური თამაშები" უწოდა.

მომდევნო პერიოდში მოვლენები უფრო სწრაფად ვითარდება და უფრო კონკრეტულ სახესაც იღებს:

1707. ბენედიქტელი ბერი, ფრანგი დონ ბერნარ დე მონფოკონი აქვეყნებს წიგნს სათაურით „საბერძნეთის პალეოგრაფია", რომელშიც პირველადაა გამოთქმული მოსაზრება ოლიმპიის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების წარმოების აუცილებლობის შესახებ.

1763. ანტიკური ისტორიისა და ხელოვნების ცნობილმა მკვლევარმა იოჰან იოაჰიმ ვინკელმანმა წარმოადგინა ოლიმპიის მიდამოებში გათხრების გეგმა. იგი შეუდგა კიდეც სახსრების შეგროვებას ამ საქმისთვის, მაგრამ არ დასცალდა: მეცნიერი მოკლეს ყაჩაღებმა, როცა საბერძნეთიდან შინ ბრუნდებოდა.



ოლიმპია. სასტუმრო სახლის ნანგრევები.
აქ ცხოვრობდნენ ოლიმპიური თამაშების ოფიციალური სტუმრები.
IV ს. ძ. წ. ა.

1766. ინგლისელმა რიჩარდ ჩენდლერმა დეტალურად აღწერა ზევსის ტაძარი ოლიმპიაში და ამით საფუძველი ჩაუყარა ოლიმპიზმის მეცნიერულ შესწავლას.

1793. გერმანული ტანვარჯიშული სკოლის ფუძემდებელი იოჰან კრისტოფორ გუტს-მუტსი მოითხოვს ანტიკური თამაშების აღდგენას. იდეის მნიშვნელობა მაშინ ბევრმა ვერც გაიგო.

1824. ინგლისელი არქეოლოგის, ლორდ სტანჰოფის ხელმძღვანელობით მდინარე ალფეოსის სანაპიროზე იწყება გათხრები. სტანჰოფი, ამავე დროს, ოლიმპიის პირველი გეგმის შემდგენელია.

1832. ოლიმპიის ნანგრევები მოინახულა ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა, არქეოლოგმა და ფილოლოგმა, ბერლინისა და გეტინგენის უნივერსიტეტების პროფესორმა ერნსტ კურციუსმა.

1852. იგი საჯარო ლექციას კითხულობს ოლიმპიის შესახებ და მოითხოვს გათხრების დაწყებას. გერმანიის მაშინდელი კაიზერი ფრიდრიხ ვილჰელმ IV, რომელიც ესწრებოდა კურციუსის ლექციას, აცხადებს: „იგი ისე დამაჯერებლად საუბრობს ჩვენთვის შორეულ თემებზე, რომ მზად ვარ გაწვდილი ხელით მონაწილეობა მივიღო სახსრების შეგროვებაში".

1875 კურციუსის ხელმძღვანელობით დაიწყო გათხრები ალფეოსის სანაპიროზე. შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აღმოაჩინეს 130-ზე მეტი ანტიკური ეპოქის ქანდაკება, 13 ათასამდე ბრინჯაოს ნივთი, 10 ათასამდე ფილა უძველესი წარწერებით.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, XIX საუკუნის დამდეგს ნიადაგი ოლიმპიური იდეის ასაღორძინებლად ყოველმხრივ შემზადებული იყო.

**ოლიმპიის აღსასრული.** მას შემდეგ, რაც რომის იმპერატორმა თეოდოსიოს I აკრძალა ოლიმპიური თამაშები, როგორც წარმართული დღესასწაული (394), ოლიმპიას სხვა მრავალი უბედურებაც დაატყდა თავს. ერთი წლის შემდეგ (395) მდინარე ალფეოსის ნაპირთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეებნენ ერთმანეთს ბიზანტიელები და გოთები. დაინგრა ოლიმპია. 426 იმპერატორ თეოდოსიოს II ბრძანებით საბოლოოდ განადგურდა ოლიმპიის წარმართულ ტაძართა ნანგრევები, მათ შორის ზევსის ტაძრის ნარჩენები. ფიდიასის უკვდავი ქმნილება (ზევსის ქანდაკება) კი, რომელიც სამყაროს ერთ-ერთ საოცრებადაა მიჩნეული, კონსტანტინეპოლში გადაიტანეს. ოლიმპიის საბოლოო განადგურებას წერტილი დაუსვა ორმა დამანგრეველმა მიწისძვრამ და წყალდიდობამ.

**ოლიმპიონიკი.** ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული სპორტსმენი (ნიკე ბერძნულად გამარჯვების სიმბოლოა). მის პატივსაცემად ქუჩებსა და მოედნებზე იდგმებოდა ძეგლები, თხზავდნენ ლექსებს, ქმნიდნენ სიმღერებს, ჰიმნებს, მონეტებზე აღბეჭდავდნენ გამოსახულებას.

შემორჩენილია პირველი გამარჯვებულის გვარი. ესაა ელიდელი მზარეული კორები, რომელმაც 776-ში მოიგო რბენა სტადიონის ერთ სიგრძეზე (სტადიოდრომი). ანტიკური ოლიმპიადების გმირები არიან: როდოსელი ლეონიდასი (თორმეტი გამარჯვება 164-152 პერიოდში), ქსანფელი გერმოგენი (რვაგზის ჩემპიონი, 81-89 პერიოდი), ლაკონიელი ხიონისი (664-656) და კრიტონელი მილონი (540-516) — ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონები.

ანტიკურ ოლიმპიადებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა თურმე დიაგორების გვარი. უფროს დიაგორს რამდენიმეჯერ ჰქონდა მოგებული მოკრივეთა ტურნირი. სხვადასხვა დროს ოლიმპიური ჩემპიონები ყოფილან

მისი ძმა — აკუსილაი, სამი ვაჟიშვილი (დორიეი, დამანტი, სოსიი), ორი შვილიშვილი (ევკლი და პეისედორი). სწორედ ამ უკანასკნელს ამზადებდა შეჯიბრებისთვის დედამისი ფერენიკა (კალიპატერე), რომელიც მალულად შეიპარა სტადიონზე, რათა ენახა შვილის ტრიუმფი. ფერენიკას ამისთვის სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა, მაგრამ მსაჯულებმა აპატიეს დანაშაული, როგორც დიდი სპორტული ოჯახის წარმომადგენელს.

**ოლიმპიური თამაშები**. ოლიმპიური ქარტიის განმარტებით, ოლიმპიური თამაშები არის შეჯიბრებები სპორტსმენებსა და არა ქვეყნებს შორის, სპორტის ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებში. ტერმინი „ოლიმპიური თამაშები" გულისხმობს ზაფხულის და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. ოლიმპიურ შეჯიბრებებში მონაწილეობენ ამ მიზნით ეოკ-ების მიერ შერჩეული და განაცხადით წარდგენილი სპორტსმენები. მასპინძელ ქალაქს არჩევს და ამტკიცებს სოკ-ის სესია. ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშები, გახსნის ცერემონიალის ჩათვლით, გრძელდება არა უმეტეს 16 დღე. თუ კვირაობით ან სახალხო დღესასწაულებზე შეჯიბრებები არ იმართება, სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს დასტურით, თამაშების ხანგრძლივობა შესაბამისად გაიზრდება.

ოლიმპიური თამაშები ოლიმპიური მოძრაობის გვირგვინია და პლანეტის უმნიშვნელოვანეს სპორტულ შეჯიბრებად ითვლება.

**ოლიმპიური თამაშები ანტიკური**. პირველ ოლიმპიურ თამაშებზე კონკრეტული ცნობები არ მოიპოვება. ყველაზე ადრეული და ისტორიულად სარწმუნო ცნობა 776-ითაა დათარიღებული (ჩვენს წელთაღრიცხვამდე), როცა დაიწყეს გამარჯვებულთა გვარების ჩაწერა და თამაშების დანომვრა.

ანტიკური ოლიმპიური თამაშები ჭეშმარიტად სახალხო ზეიმი იყო, რომელიც შედგებოდა საკულტო ცერემონიალისა და სპორტული შეჯიბრებებისაგან. ოლიმპიური თამაშები იმართებოდა „წმინდა თვეს", მას შემდეგ, რაც საბერძნეთის მთელს ტერიტორიაზე მშვიდობა ცხადდებოდა.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ თავისუფალ ბერძნებს. მონები და ბარბაროსები (უცხოელები) ამ საპატიო უფლებას მოკლებული იყვნენ, თუმცა თამაშებში ვერც ყველა თავისუფალი ბერძენი გამოდიოდა. ოლიმპიადაში მონაწილეობის ერთი აუცილებელი პირობა იყო 10 თვის განმავლობაში სისტემატური ვარჯიში ელანოდიკების მეთვალყურეობით. წვრილ მიწათმოქმედებსა და ხელოსნებს ასეთი დიდი ხნით მოწყვეტა ძირითადი საქმისაგან, ცხადია, არ შეეძლოთ.

ანტიკური სამყაროს ოლიმპიურ თამაშებს პირობითად ხუთ პერიოდად ჰყოფენ:

I პერიოდი. მოიცავს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776-720, როცა ზეიმს მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა: მასში მონაწილეობდნენ დასავლეთ პელოპონესის წარმომადგენლები.

II პერიოდი. თარიღდება 720-576 (მე-15-50-ე ოლიმპიადები). მას სხვაგვარად სპარტანულ პერიოდს უწოდებენ.

III პერიოდი. ოლიმპიური თამაშები საერთობერძნულ მნიშვნელობას იძენს. სხვაგვარად მას პანელინისტურ თამაშებსაც უწოდებენ. ამ პერიოდში ოლიმპიადები აღმავლობას განიცდიან და, ფაქტობრივად, განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევენ. ეს პერიოდი მონათმფლობელური დემოკრატიისა და ბერძნული პატრიოტიზმის ზენიტს ემთხვევა.

IV პერიოდი. ატარებს მაკედონურ ხასიათს. იწყება ქერონის ბრძოლის წელს (338 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და ოლიმპიადების ისტორიაში დაცემის პერიოდად იხსენიება. გარკვეულ პოპულარობას იძენს პროფესიონალი სპორტსმენის სახე.

V პერიოდი. დაკავშირებულია საბერძნეთის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვასთან (146 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და აღსანიშნავია იმით, რომ ზეიმი მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობისაა. ძველი დიდებისა და ბრწყინვალებისგან რჩება მხოლოდ გარეგნული ფორმა და მოგონებები.

**ოლიმპიური თამაშები თანამედროვე, ზამთრის**. კომპლექსური შეჯიბრება ზამთრის სახეობებში. იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ,



აპოლონი. ოლიმპია, არქეოლოგიური მუზეუმი



ათენი. 1896 წლის 6 აპრილი — თანამედროვეობის I ოლიმპიური თამაშების გახსნის დღე

მაგრამ იყო გამონაკლისი შემთხვევაც. იმის გამო, რომ 1924 წლიდან მოყოლებული, ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშები ერთ წელიწადს ენყობოდა და ორგანიზაციული თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები იქმნებოდა, სოკ-ის გადაწყვეტილებით შეიცვალა ზამთრის ოლიმპიური თამაშების ციკლი. ამ მიზეზით, ალბერვილისა (1992) და ლილეჰამერის (1994) ოლიმპიურ თამაშებს შორის შუალედი მხოლოდ ორი წელი იყო.

თავდაპირველად ზამთრის სპორტის ზოგიერთი სახეობა (ფიგურული სრიალი, შაიბიანი ჰოკეი) ზაფხულის ოლიმპიადების პროგრამაში (1908 და 1920) შედიოდა. ზამთრის თამაშების დამოუკიდებლად გამართვა მნიშვნელოვან წილად



ერთ-ერთი უძველესი წარწერა სპორტის თემაზე. ეძღვნება ფეიდონის შვილის არისტის გამარჯვებას ნემეას თამაშებში. ნემეა, მუზეუმი

განაპირობა სპორტის ზამთრის სახეობებში 1924 წელს შამონში (საფრანგეთი) წარმატებით მოწყობილმა მსოფლიო შეჯიბრებამ. მოგვიანებით (1925) სოკ-მა პრაღაში გამართულ სესიაზე გადაწყვიტა ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარება და ისტორიაში I თამაშების სტატუსი სწორედ შამონში გამართულ ასპარეზობას მიანიჭა.



ზევსი.
ძველბერძნული მონეტა

საქართველოს სპორტსმენთაგან ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში პირველად გამოვიდა ტრამპლინიდან მხტომელი კობა წაქაძე (1956, კორტინა დ'ამპეცო, VII). კობა კიდევ სამი (1960, 1964, 1972) ოლიმპიური თამაშების მონაწილეა.

საქართველოს გუნდი დამოუკიდებლად პირველად მონაწილეობდა 1994 ლილეჰამერის XVII ოლიმპიურ თამაშებში. საზეიმო გახსნის ცერემონიალზე ჩვენს დელეგაციას საქართველოს დროშით მიუძღოდა მოციგავე კახა ვახტანგიშვილი. მასთან ერთად ლილეჰამერში იასპარეზეს ზურაბ ჯიჯიშვილმა (სწრაფდაშვება), ლევან აბრამიშვილმა (სლალომი), ლევან თიბილოვმა (საციგაო სპორტი) და კახა წაქაძემ (ტრამპლინიდან ხტომა). იხ. გვ. 202.

**ოლიმპიური თამაშები თანამედროვე, ზაფხულის.** კომპლექსური შეჯიბრება ზაფხულის ოლიმპიურ სახეობებში. იმართება 1896 წლიდან ოთხ წელიწადში ერთხელ. დღემდე მოეწყო 23 ოლიმპიური თამაშები (1916, 1940 და 1944 წლებში თამაშები არ გამართულა). პირველ ოლიმპიადაში 14 ქვეყანა მონაწილეობდა, ბოლოში — 197. საქართველოს სპორტსმენები საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად ოლიმპიურ თამაშებში პირველად გამოვიდნენ 1952 წელს, დამოუკიდებელი გუნდით კი 1996 წლის ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზეს. (იხ. გვ. 201)

**ოლიმპიური მითები.** ოლიმპიური თამაშების წარმოშობაზე არსებობს რამდენიმე ლეგენდა. ერთი ასეთი ლეგენდა დაკავშირებულია ლიდიელი გმირის პელოპის, ელიდის მეფის ენომაოსისა და მისი ქალიშვილის ჰიპოდამიას სახელებთან.

ენომაოსს ქალიშვილის გათხოვებასთან დაკავშირებით დიდი უბედურება უწინასწარმეტყველეს. უბედურებისაგან თავი რომ დაეღწია, ენომაოსმა გამოაცხადა: ჰიპოდამიას გავატან იმას, ვინც ეტლების შეჯიბრებაში მაჯობებსო. მეფეს იმედი ჰქონდა არესისაგან ნაჩუქარი ცხენებისა. რბოლაში დამარცხებულ მეტოქეს ენომაოსი, როგორც წესი სიცოცხლეს ასალმებდა. მაგრამ ჰიპოდამიას ხელის მეთოთხმეტე მაძიებელი — პელოპი ეშმაკი გამოდგა. მან მოისყიდა მეფის მეჯინიბე, რომელმაც შეჯიბრების წინ ცუდად მოარგო ეტლის ერთი თვალი. პელოპი გამარჯვების შემთხვევაში მეჯინიბეს ნახევარ სახელმწიფოს დაპირდა. პელოპმა მართლაც მოიგო რბოლა, ენომაოსი კი ეტლიდან გადავარდა და დაიღუპა. მეორე ვარიანტის თანახმად, პელოპმა ენომაოსი დაჩაგრა პატიოსან რბოლაში პოსეიდონის ნაჩუქარი ცხენებით და ელინთა მეფემ ამ დამარცხების გამო თავი მოიკლა. ასე იყო თუ ისე, პელოპმა ხელთ იგდო ტახტი, ჰიპოდამია და ღრმა მოხუცებულობამდე იმეფა.

ბერძენი ისტორიკოსის პავსანიას ცნობით, ოლიმპიური თამაშები დააფუძნა ჰერაკლემ, უფრო ზუსტად აალორძინა პელოპის მიერ შემოღებული თამაშები და მას სრულიად ბერძნული ხასიათი მისცა. ეს მოხდა ჰერაკლეს მეშვიდე გმირობის შემდეგ, როცა ერთ დღეში გაასუფთავა ავგიას თავლები. ჰერაკლემ თავად აირჩია ადგილი, სადაც ამ გმირობის აღსანიშნავი ზეიმი უნდა გამართულიყო. მან მოაწყო შეჯიბრება თავის ოთხ ძმას შორის რბენაში და გამარჯვებული ზეთისხილის რტოს გვირგვინით დააჯილდოვა, თანაც თვითონ განსაზღვრა სარბენი ბილიკის სიგრძე ფეხის 600 ტერფი. ეს იყო სტატია-სტადიონის ერთი სიგრძე, ანუ 192,27 მეტრი.

არის ლეგენდა, რომელიც ოლიმპიური თამაშების წარმოშობას ზევსის სახელს უკავშირებს: ბერძნების უზენაეს ღვთაებას თამაშები დაუწესებია კრონოსზე გამარჯვების აღსანიშნავად.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX საუკუნეში ბერძნული სახელმწიფოები ხანგრძლივმა ომებმა განადგურების პირამდე მიიყვანეს. ელიდის მეფე იფიტი, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფებოდა ოლიმპია, რჩევის მისაღებად დელფოს სამისნოს ეწვია. ღვთაებრივმა ხმამ იფიტსა და მის ამალას ღმერთების საკადრისი თამაშების მოწყობა უბრძანეს. ამის თაობაზე ელიდის მეფე მოელაპარაკა სპარტის მბრძანებელს ლიკურგს და ... „დამკვიდრდა ათლეტური თამაშები, რომლებიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა". გადმოცემის თანახმად, ეს მოხდა 884 ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

**ოლიმპიური რელიგია.** ასე უწოდებდნენ ბერძნული პოლისების (ქალაქ-სახელმწიფოების) ოფიციალურ რელიგიას მათი აყვავების პერიოდში. ღმერთები ოლიმპის მთაზე ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ, თუმცა კი თითოეულს თავისი საკუთარი სასახლეც ჰქონდა. ოლიმპიელთა უზენაესი ღვთაება იყო ზევსი — ღმერთთა და კაცთა მამა, კრონოსისა და რეას ვაჟი, ჰერას ძმა

და მეუღლე, ყველა ციური მოვლენის, განსაკუთრებით კი ელვისა და ჭექა-ქუხილის წარმმართველი.

ზევსის შემდეგ ძალაუფლების მხრივ გამორჩეულნი იყვნენ:

პოსეიდონი — წყლის სტიქიის მბრძანებელი, ზევსის ძმა;

ჰადესი — ქვესკნელის სამეფოს მპყრობელი, ისიც ზევსის ძმა.

ჰერა — ზევსის მეშვიდე ცოლი, ღმერთთა დედოფალი, მეუღლესთან ერთად ელვის ჭექა-ქუხილის და ღრუბლების მბრძანებელი, რომელიც ადამიანებს წვიმასა და მოსავალს უგზავნიდა.

დემეტრა — მიწათმოქმედების ქალღმერთი, ზევსის და.

ყველაზე სრულყოფილი ოლიმპიური ფილატელისტური კოლექციის მფლობელი ხუან ანტონიო სამარანჩი. ფიპო-ს შტაბ-ბინა ლოზანაშია, ხოლო მისი გენერალური სამდივნო — რომში, სადაც იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ამისათვის სპეციალური შენობა გამოყო. წლების განმავლობაში ფიპო-ს წევრთა რაოდენობა განუხრელად იზრდებოდა. 1994 წლის 9 ოქტომბერს ლოზანაში გამართულ ფიპო-ს გენერალურ ასამბლეაზე ეს ორგანიზაცია ინდივიდუალურ წევრთა გაერთიანებიდან ეროვნულ ასოციაციათა გაერთიანებად გარდაიქმნა. დღეს ფიპო წარმოადგენს ათასობით ფილატელისტისა და მათ მხარდამჭერთა დიდ ოჯახს, რომელიც 30-ზე მეტი ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ ფილატელისტურ ორგანიზაციას აერთიანებს. ფიპო-ს მიზნებია: ხელი შეუწყოს მსოფლიოში ოლიმპიური ფილატელიის განვითარებას, ახალი ეროვნული გაერთიანებების ჩამოყალიბებას და მათ შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარებას; გამოსცეს ფილატელისტური ლიტერატურა — ჟურნალები, წიგნები, კატალოგები; მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვა ფილატელისტურ ორგანიზაციებთან და მსოფლიო საფოსტო კავშირთან. ფიპო აწყობს ოლიმპიური საფოსტო მარკების ყოველწლიურ კონკურსებს. გამარჯვებულ დიზაინერებსა და საფოსტო ადმინისტრაციებს გადაეცემათ ფიპო-სა და სოკ-ის ერთობლივი პრიზი „ოლიმპია". მნიშვნელოვან მოვლენებად იქცა ფიპო-ს მონაწილეობით ორგანიზებული ორი დიდი ფილატელისტური გამოფენა 1996 წელს — პირველი ოლიმპიადის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ათენში და XXVI თამაშებისადმი მიძღვნილი ატლანტაში. 1995 წელს ფიპო-მ ტურინის გამომცემლობა „ბოლაფისთან" ერთად ექვს ალბომად გამოსცა ოლიმპიური მოძრაობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფილატელისტური კოლექცია — სხვადასხვა ქვეყნის მარკები და პირველი დღის კონვერტები. თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ამ მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი საქართველოს საფოსტო მარკები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო დაგვიანებით დაიბეჭდა, ფიპო — „ბოლაფის" კოლექციებში ვერ მოხვდა. ფიპო-ს მონათესავე ორგანიზაციებია ნუმიზმატთა საერთაშორისო ფედერაცია (ფინო) და ოლიმპიური მემორაბილიის (სამკერდე ნიშნები, ოლიმპიური მედლები, ცნობილ ოლიმპიელთა სპორტული ტანსაცმელი და იარა-

FEDERATION INTERNATIONALE
DE PHILATELIE OLYMPIQUE

ოლიმპიური ფილატელიის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა



ოლიმპია

ჰესტია — ოჯახის კერის მფარველი ღვთაება, ზევსის და.

ათენა პალადა — მეცნიერებათა, ხელოვნებათა და ხელოსნობათა ქალღმერთი, ზევსის შვილი.

აფროდიტე — სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი, ზევსის შვილი.

არტემიდა — ნადირობის ქალღმერთი, ზევსის შვილი.

აპოლონი — სინათლის, პოეზიისა და მკურნალობის ღვთაება, ზევსის შვილი.

ჰეფესტოსი — სამჭედლო ხელოვნების ღმერთი.

არესი — ომის ღმერთი.

ოლიმპიელთა ჯგუფში არიან გაერთიანებული, აგრეთვე:

ჰერმესი — მჭევრმეტყველების, გიმნასტიკურ შეჯიბრებათა და ვაჭრობის ღვთაება.

ირიდა — ღმერთების მაცნე ქალი.

თემიდა — წესრიგისა და მართლმსაჯულების ღვთაება.

ჰებე — სიჭაბუკის ქალღმერთი.

დიონისე — ღვინისა და ბუნების მწარმოებლურ ძალთა ღვთაება.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ყველა ეს სახელი, არტემიდასა და დიონისეს გარდა, დავიწყებას მიეცა. რაც შეეხება დაბალი რანგის ღმერთებს, მათ განაგრძეს არსებობა, ოლონდ ქრისტიანობამ ისინი ჭინკებად და ეშმაკებად შერაცხა.

**ოლიმპიური ფილატელიის საერთაშორისო ფედერაცია (FIPO).** დაფუძნდა 1982 წელს. პრეზიდენტად აირჩიეს მსოფლიოში ერთ-ერთი



შეჯიბრების ღვთაება
ძველბერძნული მონეტა



გამარჯვების ღვთაება
ძველბერძნული მონეტა



ი. ოსიპოვი



ი. ომელჩენკო



ომანის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ლი, აფიშები, ბილეთები, სუვენირები და სხვა) საერთაშორისო ასოციაცია (აკომ-ი). სამივე ეს ფედერაცია გაერთიანებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიურ კოლექციონერთა კომისიაში, რომლის პრეზიდენტია ხუან ანტონიო სამარანჩი.

**ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი.** შეიქმნა 1990 წელს. მიზნად ისახავს ოლიმპიურ ჩემპიონთა თავმოყრას, ოლიმპიზმის პრინციპებისა და იდეალების პოპულარიზაციას, საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის განვითარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. დაარსების დღიდან კლუბის პრეზიდენტია პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე.

**ომანი.** სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 300 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 2,2 მლნ. 90 % — არაბები. დედაქალაქი — მასკატი (პორტ მატრახთან ერთად — 500 ათასი). სახელმწიფო ენა — არაბული. რელიგია — ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1982 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**ომელჩენკო იგორ.** დ. 12. 11. 1960 ბათუმში. *ცურვა.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1971. უმაღლესი განათლებით. სსრკ ჩემპიონი გულაღმა ცურვაში 100 მ (1975). ევროპის თასის მფლობელი და მესამე პრიზიორი (1976). ოლიმპიადის მონაწილე.

1976 მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშები. კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მ — V ადგილი (ი. ომელჩენკო — 59,10, ა. იოზაიტისი — 2.03,51, ე. სერედინი — 2.59,70, ა. კრილოვი — 3.49,90); 100 მ გულაღმა — XIII ადგილი (58,77); 200 მ გულაღმა — XIII ადგილი (2.07,95).

**ონაშვილი გივი.** დ. 27. 7. 1947 სოფ. პატარძეულში, საგარეჯოს რ-ნი. *ძიუდო.* უმაღლესი განათლებით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1963. სსრკ ჩემპიონი (1973) და ვერცხლის პრიზიორი (1975). ევროპის ორგზის ჩემპიონი (1974, 75). სამჯერ იყო მეორე (1969, 72, 76) და ერთხელ მესამე (1971) პრიზიორი. 1969 მსოფლიო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.



გ. ონაშვილი

1972 მიუნხენის XX ოლიმპიადა. (მძიმე წონა, +93 კგ) — III ადგილი. I წრე წმინდად (0,22) მოუგო ბანიკ მბოჯს (სენეგალი), II წრე — ქულებით აჯობა მოტოკი ნისიმურას (იაპონია), III წრე — წმინდად დაამარცხა ჟან-კლოდ ბრონდანი (საფრანგეთი). ნახევარფინალში წმინდად დამარცხდა (2,32) კლაუს გლანთან (გფრ).

**ონო ტაკაში.** დ. 26. 7. 1931 აკიტაში, იაპონია. პირველი იაპონელი *ტანვარჯიშე*, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. 1956 მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებში მოიგო ღერძზე ვარჯიში. 1960 რომის XVII ოლიმპიადაზე გაიმარჯვა



ოლიმპიური ორდენი

ხტომებში და ღერძზე. 1962 მსოფლიოს ჩემპიონი ღერძზე. ოლიმპიური თამაშების ორგზის (1960, 64) და მსოფლიოს (1962) გუნდური ჩემპიონი. ვერცხლის მედლები აქვს მოპოვებული 1956 ოლიმპიადაზე პირად და გუნდურ მრავალჭიდში, აგრეთვე, ტაიჭზე. ოლიმპიური თამაშების მრავალგზის პრიზიორი ცალკეულ იარაღებზე.

**ორდენი ოლიმპიური.** დაარსდა სოკ-ის გადაწყვეტილებით (1974). არის სამი ხარისხის — ოქროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოსი. ჯილდოები გადაეცემათ მხოლოდ ცალკეულ პიროვნებებს ოლიმპიური ორდენის საბჭოს წარდგინებით (საბჭოს მუდმივად სოკ-ის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს). ოლიმპიური ორდენით არ შეიძლება დაჯილდოვდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები. საქართველოდან ოლიმპიური ორდენი მიენიჭა სერგო შალიბაშვილს (სიკვდილის შემდეგ), ვიქტორ სანეევს და ნონა გაფრინდაშვილს.

**ორტერი ალფრედ.** დ. 19. 9. 1936 ასტორიაში, ნიუ-იორკის შტატი, აშშ. მსოფლიოს უძლიერესი *ბადროს მტყორცნელი.* აქვს უნიკალური შედეგი — ზედიზედ ოთხი ოლიმპიადა მოიგო: 1956 მელბურნში (56, 36 მ), 1960 რომში (59, 18 მ), 1964

ტოკიოში (61, 00 მ), 1968 მეხიკოში (64,78 მ). პანამერიკული თამაშების ჩემპიონი (1959, 58, 13 მ). იყო მსოფლიოს ოთხგზის რეკორდსმენი. დაჯილდოებულია ოლიმპიური ორდენით.

**ოსბორნი კარლ.** 5. 5. 1884 — 28. 12. 1966. აშშ *სროლა,* სამხედრო შაშხანა. ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1912 და 1920 — პირად და გუნდურ შეჯიბრებაში), გარდა ამისა, 1912-24 მოიპოვა 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი.

**ოსიპოვი იური.** დ. 16. 3. 1937 სტალინგრადში (იმავე წელს ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში). *ფარიკაობა,* რაპირა. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1963). სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1951. 1955-დან



ა. ორტერი

სსრკ ნაკრების წევრი. სსრკ ოთხგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათელაში. 1957 მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (გუნდურ ჩათელაში). ოლიმპიადის მონაწილე.

1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშები (რაპირა). პირადი: II ადგილი მეოთხედფინალში (5 მოგება, 2 წაგება), VII ადგილი ნახევარფინალში (1 მოგება, 6 წაგება). გუნდური: ბელგიასთან — 2:3, საფრანგეთთან — 2:2, ნახევარფინალში: უნგრეთთან — 2:2, საფრანგეთთან — 1:3. სულ 7 შეხვედრა მოიგო, 10 — წააგო.

**ოსლო.** ქალაქი ნორვეგიაში მდინარე ლუს ნაპირზე. პირველი დასახლება ოსლოს ტერიტორიაზე დათარიღებულია XI საუკუნით. 1624 გაშენდა ახალი ქალაქი, 1924-მდე ერქვა ქრისტიანია. 1814-დან ნორვეგიის დედაქალაქია, მსხვილი საზღვაო პორტი, ქვეყნის სავაჭრო და კულტურული ცენტრი. 1952 უმასპინძლა ზამთრის VI ოლიმპიურ თამაშებს. ოსლოში ჩატარდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რამდენიმე სესია. დაჯილდოებულია ოლიმპიური თასით (1952).

**ოსტერმაიერი მიშლინ.** დ. 23. 12. 1922 ლილში, საფრანგეთი. *მძლეოსნობა.* 1948 ლონდონის XIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბირთვის კვრა-



მ. ოსტერმაიერი

სა (13,75 მ) და ბადროს ტყორცნაში (41, 92 მ). იმავე თამაშებზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა სიმაღლეზე ხტომაში (1, 61 მ). ევროპის ჩემპიონატის მრავალგზის პრიზიორი, სპორტიდან წასვლის შემდეგ სახელი მოიხვეჭა, როგორც პიანისტმა, იყო პარიზის კონსერვატორიის სახელობის პრემიის ლაურეატი.




ოსლოს ოლიმპიური თამაშების პლაკატი

**ოტი მერლინ ჯოის.** დ. 10. 5. 1960 იამაიკაში. ერთ-ერთი უძლიერესი *მძლეოსანი-სპრინტერი.* მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი. 7 ოლიმპიური მედლის მფლობელი. 1980, მოსკოვი — 200 მ (III); 1984, ლოს-ანჯელესი — 100 მ (III), 200 მ (III); 1992, ბარსელონა — 200 მ (III); 1996, ატლანტა — 100 მ (II), 200 მ (II), 4X100 (III).

**ოტო კრისტინ.** დ. 7. 2. 1966 გდრ-ში. ოთხმოციანი წლების უძლიერესი *მოცურავე,* მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, ერთადერთი მოცურავე ქალი — 6 ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი. ექვსივე გამარჯვება მოიპოვა სეულში, 1988 წლის ოლიმპიადაზე: 50 და 100 მ თავისუფალი სტილი, 100 მ ბატერფლაი, 100 მ ბრასი, 4 X 100 მ თავისუფალი სტილი, 4 X 100 მ კომბინირებული.



კ. ოტო



მ. ჯ. ოტი

**ოუენსი ჯესი.** 12. 9. 1913 — 31. 3. 1980 დანვილში, ალაბამის შტატი, აშშ. ყველა დროის საუკეთესო *მძლეოსანი.* ბავშვობაში გატაცებული იყო ბეისბოლითა და ამერიკული ფეხბურთით. კოლეჯში სწავლის დროს კაპიტნობდა კალათბურთელთა ნაკრებს. მძლეოსნობას ხელი მოჰკიდა უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. მისი მწვრთნელი იყო ლარი სნაიდერსი — მძლეოსნობის თვალსაჩინო სპეციალისტი და კარგი პედაგოგი.



ჯ. ოუენსი

1935 მიჩიგანის შტატის ქალაქ ან-არბორში სტუდენტთა ასპარეზობის დროს ექვსი ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა: 100 იარდზე — 9,4, 200 მ და 220 იარდზე — 20,3, თარჯრბენში 200 მ და 220 იარდზე — 22,6, სიგრძეზე ხტომაში — 8,13 მ. ოუენსი პირველი სპორტსმენია მსოფლიოში, რომელმაც სიგრძეზე ხტომაში 8 მეტრის ზღვარი გადალახა.

1936 ბერლინის XI ოლიმპიურ თამაშებზე ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა: 100 მ (10,3), 200 მ (20,7) რბენაში, სიგრძეზე ხტომასა (8,06 მ) და ესტაფეტაში 4X100 მ (39,8 — ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდი იყო). დაჯილდოებულია ოლიმპიური ორდენით.

# პ

**პაკისტანი**. სახელმწიფო სამხრეთ აზიური სუბკონტინენტის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 803,9 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 140,5 მლნ. დედაქალაქი — ისლამაბადი (300 ათასი). სახელმწიფო ენა — ურდუ (ოფიციალური ენა — ინგლისური). რელიგია — ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1946 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

პაკისტანის ოლიმპიური ასოციაციის ემბლემა

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1956 | - | 1 | - | 1 |
| 1960 | 1 | - | 1 | 2 |
| 1964 | - | 1 | - | 1 |
| 1968 | 1 | - | - | 1 |
| 1972 | - | 1 | - | 1 |
| 1976 | - | - | 1 | 1 |
| 1984 | 1 | - | - | 1 |
| 1988 | - | - | 1 | 1 |
| 1992 | - | - | 1 | 1 |
| სულ | 3 | 3 | 4 | 10 |



პანკრატიონი მარმარილოს ქანდაკება ფლორენცია, უფიცის გალერეა

**პალესტინა**. მდებარეობს ახლო აღმოსავლეთ აზიის დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 5879 კვ. კმ. (მდინარე იორდანიის სანაპირო) და 378 კვ. კმ. (ღაზას სექტორი). მოსახლეობა — 7 მილიონი. ოფიციალური ენა — არაბული. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1988 წლის 15 ნოემბერს.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სოკ-ის წევრი ჯერ არ არის, თუმცა პალესტინა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე (1996) დამოუკიდებლად მონაწილეობდა. მედალი არ მიუღია.

**პანამა**. სახელმწიფო პანამის ყელზე, ცენტრალურ ამერიკაში. ტერიტორია — 77,1 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 2,6 მლნ. პანამელები — ძირითადად ესპანელ-ინდიელი მეტისები. დედაქალაქი — პანამა (600 ათასი). სახელმწიფო ენა — ესპანური. რელიგია — კათოლიკური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1934 წელს, 1947 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1948 | | | 2 | 2 |
| სულ | | | 2 | 2 |

**პანამერიკული სპორტული ორგანიზაცია** (PASO). შეიქმნა 1951, ამერიკის კონტინენტის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების გაერთიანების მიზნით. დღესდღეობით პასო-ს შემადგენლობაშია სოკ-ის მიერ აღიარებული 42 ოლიმპიური კომიტეტი. ორგანიზაცია ატარებს პანამერიკულ თამაშებს, ამყარებს კავშირს კონტინენტის სხვა რეგიონალურ გაერთიანებებთან (მაგ. ბოლივარიულ თამაშებთან, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის სპორტულ ორგანიზაციასთან და ა. შ.).

**პანბერძნული ოლიმპიური თამაშები**. მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრება, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო საბერძნეთის განთავისუფლებისთვის აქტიური მებრძოლი, ყოფილი სამხედრო მოსამსახურე (მაიორი), შემდგომში მსხვილი მრეწველი, მილიონერი ევანგელის ცაპასი.

პირველ პანბერძნულ ოლიმპიურ თამაშებს (1865) წინ უსწრებდა „მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთაშორისო კონკურსი", რომელიც ახლადაგებულ საგამოფენო დარბაზში მოეწყო (1896-ში აქ ცხოვრობდნენ ოლიმპიური თამაშების მონაწილენი).

პანბერძნული თამაშების თარიღების შესახებ რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება არსებობს. ცნობილი ბერძენი ნუმიზმატისა და ფილატელისტის პაველოს პილარინოსის (იგი, ამავე დროს, პანბერძნული თამაშების დიდ სპეციალისტად ითვლება) მტკიცებით, სულ ოთხი ასეთი თამაშები ჩატარდა (1865, 1870, 1875 და 1888), უნგრელი მკვლევარის ფერენც მიოზეს მიხედვით კი ხუთი (1859, 1870, 1875, 1888 და 1889). პანბერძნულ თამაშებს დიდი სპორტული მნიშვნელობა და ღირებულება არ ჰქონია.

**პანკრატიონი**. ანტიკური ოლიმპიური თამაშების პროგრამის ერთ-ერთი სახეობა. ჭიდაობისა და მუშტი-კრივის თავისებური სინთეზი. შემოიღეს 33-ე ოლიმპიადაზე (648 ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ოლიმპიური პროგრამის ყველაზე ძალისმიერი დისციპლინა, რომელიც მეტწილად მოასპარეზეთა ტრავმებსა და ფიზიკურ დასახიჩ-

რებას იწვევდა. ბერძენი პოეტის პინდარეს თქმით „პანკრატიონში გამარჯვებისთვის საჭირო იყო ლომის ძალა და მელას ეშმაკობა".

**პაპავა მარლენ**. დ. 23. 4. 1941 სოხუმში. *ტყვიის სროლა*. უმაღლესი განათლებით. სსრკ ჩემპიონი (1970, 74) და მრავალგზის პრიზიორი პისტოლეტით სროლაში. ევროპის ჩემპიონი (1976). ოლიმპიადის მონაწილე.

1976 მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშები (მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლა 50 მ. 60 გასროლა) — XXVI ადგილი.

**პაპაშვილი გელა**. დ. 14. 4. 1969 თბილისში. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. ევროპისა (1993) და მსოფლიო (1994) ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 48 კგ. ქულებით მოუგო იტალიელ ფრანჩესკო კოსტანტინოს (8:5) და ბულგარელ ბრატან ცენოვს (7:4), მესამე წრეში დამარცხდა კორეელ სიმ კვონ ჰოსთან (4:11), მეოთხეში — ჯაფარ გულიევთან (რუსეთი, 0:6), V ადგილისათვის კი - კუბელ ვილბერ სანჩესთან საბოლოო შედეგი — VI ადგილი.



გ. პაპაშვილი

**პაპი ლასლო**. დ. 25. 3. 1926 ბუდაპეშტში, უნგრეთი. 40-იანის დასასრულისა და 50-იანის დასაწყისის ერთ-ერთი უძლიერესი მოყვარული *მოკრივე* მსოფლიოში. მოგებული აქვს სამი ოლიმპიური თამაშები: ლონდონში (1948, XIV, მეორე საშუალო წონა), ჰელსინკში (1952, XV, პირველი საშუალო) და მელბურნში (1956, XVI, პირველი საშუალო). ევროპის ორგზის ჩემპიონი (1949, 51). 60-იანში გახდა პროფესიონალი, მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული (1962). მე-7 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა დანიელი ქ. ქრისტენსენი (ვენაში). ტიტულს ფლობდა 1966-მდე.



ლ. პაპი

**პაპუა — ახალი გვინეა**. სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. უკავია კუნძულ ახალი გვინეის აღმოსავლეთი ნაწილი, ბისმარკის არქიპელაგი და სხვ. საერთო ტერიტორია — 462,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 4,3 მლნ. დედაქალაქი — პორტ-მორსბი (150 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1973 წელს, 1974 წლიდან სოკ-ის წევრია.

**პარაგვაი**. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ცენტრალურ ნაწილში. ტერიტორია — 406, 8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 5 მლნ. 95 % — ესპანელ-ინდიელი მეტისები. დედაქალაქი — ასუნსიონი (900 ათასი). ოფიციალური ენა — ესპანური. რელიგია — კათოლიკური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1970 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**პარაოლიმპიური თამაშები**. 1948 წლის 29 ივლისს, ლონდონის XIV ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს, ლონდონის მახლობლად, სთოქ-მანდევილის ჰოსპიტალში, პროფესორ გუთმანის თაოსნობით მოეწყო ინვალიდთა შეჯიბრება. მოგვიანებით, 1951 წელს, გუთმანმა და მისმა თანამზრახველებმა დააფუძნეს ინვალიდ სპორტსმენთა საერთაშორისო თამაშები, რომელიც წარმატებული გამოდგა და ყოველწლიურად იმართებოდა.

1960 წლიდან ეს შეჯიბრებები ოლიმპიური მოძრაობის განუყოფელი ნაწილი გახდა და პარაოლიმპიური თამაშების სახელწოდებით ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში ან ქვეყანაში (მოხდა ორი გამონაკლისი: 1968 წელს, მეხიკოს არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, თამაშები გაიმართა თელ-ავივში, 1980 წელს, რაკი მოსკოვმა ვერ უზრუნველყო პარაოლიმპიური თამაშების ორგანიზაცია, შეჯიბრებები ჰოლანდიის ქალაქ აარნემში მოეწყო).

სოკ-ის მხარდაჭერითა და საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის (IPC) ძალისხმევით 1960 წლიდან დღემდე ათი პარაოლიმპიური თამაშები გაიმართა:

| № | წელი | ქალაქი | ქვეყ. | მონაწ. |
|---|---|---|---|---|
| I | 1960 | რომი | 10 | 300 |
| II | 1964 | ტოკიო | 22 | 400 |
| III | 1968 | თელ-ავივი | 20 | 750 |
| IV | 1972 | ჰაიდელბერგი | 43 | 1000 |
| V | 1976 | ტორონტო | 45 | 1500 |
| VI | 1980 | აარნემი | 45 | 1800 |
| VII | 1984 | ნიუ-იორკი | 50 | 2000 |
| VIII | 1988 | სეული | 67 | 4000 |
| IX | 1992 | ბარსელონა | 89 | 4500 |
| X | 1996 | ატლანტა | 121 | 4800 |

საერთაშორისო პარაოლიმპიურ კომიტეტში შედიან: ცერებრალური დამბლით დაავადებულთა საერთაშორისო სპორტული და გამაჯანსაღებელი ასოციაცია (CP — ISRA), უსინათლოთა საერთაშორისო სპორტული ასოციაცია (IBSA), გონებრივად შეზღუდულ პირთა საერთაშორისო სპორტული ფედერაცია (INAS — FIMN), სთოქ მანდევილის პარალიზებულთა საერთაშორისო სპორტული ფედერაცია (ISMWSF), ინვალიდთა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია (ISOD), საერთაშორისო სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი (SOI).

**პარიზი**. საფრანგეთის დედაქალაქი. გაშენებულია მდინარე სენის ნაპირებზე. ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად პარიზს უკავია, გალთა უძველესი ტომის — პარიზების დასახლება ლუტეცია იყო. ამ ფაქტს სხვებთან ერთად იხსენებს იული-

პალესტინის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

პანამის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

პაპუა-ახალი გვინეის ოლიმპიური კომიტეტის და თანამეგობრობის თამაშების ასოციაციის ემბლემა

პარაგვაის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



პარიზის ოლიმპიური თამაშების პლაკატი

ეს კეისარი. 497 ფრანკთა მეფემ ხლოდვიგმა დაიპყრო ქალაქი და თავისი ქვეყნის დედაქალაქად აქცია (508). საფრანგეთის სამეფოს დედაქალაქად პარიზი 987 გამოცხადდა.

პარიზის ქუჩები, სახლები, სასახლეები, მუზეუმები მსოფლიოს კულტურის ისტორიის განუყოფელი ნაწილია, მისი დიდება და სიამაყე. პარიზს მუდამ შეჰქონდა წვლილი ცივილიზაციის განვითარების საქმეში. სხვათა შორის, პარიზი თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის აკვანიცაა და ამ მოძრაობის ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენის მშობლიური ქალაქი.

პარიზმა ორჯერ უმასპინძლა ოლიმპიურ თამაშებს, პირველად 1900 (II ოლიმპიადა), მეორედ — 1924 (VIII თამაშები). ორივე საოცრად გაიჭიმა დროში. 1900 ოლიმპიადა მიმდინარეობდა 145 დღეს, 1924 კი — 64 დღეს.

II ოლიმპიური თამაშები მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ მასში პირველად მიიღეს მონაწილეობა ქალებმა, ამავე დროს, ერთმა სპორტსმენმა პირველად მოიპოვა ოთხი ოქროს მედალი (ალვინ კრენცლეინი).

VIII ოლიმპიადისთვის ქალაქის გარეუბან კოლომბში სპეციალური სტადიონი აშენდა, რომელიც მიეძღვნა ოლიმპიური მოძრაობის 30 წლისთავს. ამ ოლიმპიადაზე პირველად დაიწყეს ექვსი საუკეთესო შედეგის რეგისტრაცია.

**პატერსონი ფლოიდ**. დ. 4. 1. 1935 ნიუ-იორკში, აშშ. *კრივი*, 1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი საშუალო წონაში. ერთი წლის შემდეგ პროფესიონალებში გადავიდა. 1956 გახდა მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში — მეხუთე რაუნდში ნოკაუტით აჯობა თანამემამულეს, არჩი მურს, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაკარგა შვედ ინგემარ იუჰანსონთან ბრძოლაში (1959), მაგრამ ერთი წლის შემდეგ რევანში აიღო იმავე იუჰანსონთან და დაიბრუნა ჩემპიონობა. 1962 პატერსონმა წააგო ბრძოლა ჩემპიონის ტიტულისთვის სონი ლისტონთან (აშშ).



ჩ. პედოკი

**პაუელი მაიკ**. დ. 10. 11. 1963 ფილადელფიაში, აშშ. *მძლეოსანი* (სიგრძეზე მხტომელი). სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1981. მსოფლიოს უნივერსიადის ჩემპიონი (1987). 1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, აშშ-ს ჩემპიონი (1990).



მ. პაუელი

ტოკიოს მსოფლიოს ჩემპიონატზე (1991) აჩვენა ფანტასტიკური შედეგი — 8, 95 მ. და 5 სანტიმეტრით გააუმჯობესა მეორე ამერიკელი მძლეოსნის ბობ ბიმონის ასევე ფანტასტიკური რეკორდი — 8, 90 მ, რომელიც 1968 მეხიკოს XIX ოლიმპიადაზე იყო დამყარებული და რომელმაც 23 წელი იარსება. 1990-ში ჰქონდა მსოფლიოს საუკეთესო შედეგი — 8,66 მ. 1992 ბარსელონის XXV ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ვერცხლის მედალი (8,64 მ) — სულ 3 სმ წააგო ჩემპიონთან — კარლ ლუისთან (ისიც — აშშ).

1996 ატლანტის ოლიმპიადაზე მეხუთე ადგილი დაიკავა — 8, 17 მ.

**პედოკი ჩარლზ**. 11. 8. 1900 — 21. 7. 1943. ამერიკელი *მძლეოსანი*, 1920 ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 100 მ (10,8) და ესტაფეტაში 4X100 მ (42, 2 — მსოფლიოს რეკორდი). 1920 და 1924 ოლიმპიადებში ვერცხლის მედალი მოიპოვა 200 მ. დისტანციაზე (22,1 და 21,7). იყო მსოფლიოს რეკორდსმენი 100 იარდზე — 9,6 (1921), 100 მ — 10,4 (1921), 200 მ (მოსახვევის გარეშე) — 20,8 (1921), 300 მ — 33,2 (1921).

**პენტატლონი**. ანტიკური ოლიმპიური თამაშების პროგრამის ერთ-ერთი სახეობა — შეჯიბრება ხუთჭიდში, რომელიც XVIII ოლიმპიადიდან შემოიღეს (708 ჩვენს წელთაღრიცხვამდე), პენტატლონი მოიცავს: სტადიოდრომს, სიგრძეზე ხტომას, შუბისა და ბადროს ტყორცნას, ჭიდაობას. ჭიდაობაში გამარჯვების მოსაპოვებლად საჭირო იყო მეტოქის სამჯერ დაგდება მიწაზე. სიგრძეზე მხტომელს ხელში უნდა სჭეროდა სიმძიმე, შუბისა და ბადროს მტყორცნელები კი მოძრაობას შემაღლებულ ადგილზე ასრულებდნენ, თანაც ბადრო რაც შეიძლება შორს უნდა გადაეგდოთ, შუბი კი მიზანში მოერტყათ. პენტატლონში გამარჯვებულს ხუთიდან სამი სახეობა მაინც უნდა მოეგო, თუ ასეთ შედეგს ვერც ერთი სპორტსმენი ვერ მიაღწევდა, უპირატესობას ანიჭებდნენ იმას, ვინც უძლიერესი აღმოჩნდებოდა ბოლო სახეობაში — ჭიდაობაში.

**პერეკი მარი-ჟოზე**. დ. 9. 5. 1968 საფრანგეთში. 90-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი *მძლეოსანი*. მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი. სამი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი. 1992, ბარსელონა — 400მ (I), 1996, ატლანტა — 200მ (I), 400მ (I).

**პერუ**. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 1285, 2 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 23,8 მლნ. დედაქალაქი — ლიმა (6,3 მლნ). სახელმწიფო ენები — ესპანური და კეჩუა. რელიგია — კათოლიკური. 1532-36 წლებში პერუს ტერიტორია ესპანელებმა დაიპყრეს. ქვეყნის დამოუკიდებლობა 1821 წელს გამოცხადდა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1924 წელს, 1936 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1948 | 1 | - | | 1 |
| 1984 | - | 1 | | 1 |
| 1988 | - | 1 | | 1 |
| 1992 | - | 1 | | 1 |
| სულ | 1 | 3 | | 4 |

**პირგოსი ლეონ**. პირველი ბერძენი, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ათე-

ნის თამაშებში (1896). იგი *მოფარიკავე* იყო და გამოდიოდა რაპირისტ მაესტროთა (ნასწავლებლებას) შეჯიბრებაში. პირგოსი ფინალში ფრანგ მ. პერონეს შეხვდა და დაამარცხა — 3:1. ეს მოხდა 1896, 7 აპრილს.

**პიტერსონი ბენჯამენ (ბენ)**. დ. 27. 6. 1950 კამბერლენდში, ვისკონსინის შტატი, აშშ. *თავისუფალი ჭიდაობა*. 1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მეორე საშუალო წონაში, 1976 მონრეალის XXI ოლიმპიადის ვერცხლის და 1973 მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. პანამერიკული თამაშების ჩემპიონი (1975).

**პიტერსონი ჯონ**. დ. 22. 10. 1948 კემბერლენდში, ვისკონსინის შტატი, აშშ. *თავისუფალი ჭიდაობა*. 1976 მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი პირველ საშუალო წონაში და 1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი.



მ. ჟ. პერეკი



პენტატლონი. ძველბერძნული ამფორა. ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი

**პიხლაიამიაკი კუსტაა**. 7. 4. 1902 — 10. 2. 1944. ფინეთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო *მოჭიდავე (თავისუფალი სტილი)*. ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი ქვემსუბუქ (1924) და მსუბუქ (1936) წონებში. ევროპის სამგზის ჩემპიონი (1931, 34, 35). 1928 ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა მსუბუქ წონაში. ევროპის 1937 პირველობაზე II ადგილი დაიკავა.

**პლაკატი ოლიმპიური**. ოლიმპიური თამაშების საეალდებულო ატრიბუტი. პოპულარიზაციას უწევს საერთოდ ოლიმპიურ მოძრაობას და კერძოდ ამა თუ იმ თამაშებს. პირველი პლაკატი გამოუშვეს 1896 ათენის ოლიმპიადასთან დაკავშირებით.

**პლაჟის ფრენბურთი**. ფრენბურთის ნაირსახეობა. გუნდში ორი მოთამაშეა (კაცები, ქალები). ოლიმპიური დებიუტი შედგა ატლანტის XXVI ოლიმპიურ თამაშებზე.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 1 | 1 | | 2 |
| ბრაზილია | 1 | 1 | - | 2 |
| ავსტრალია | - | - | 1 | 1 |
| კანადა | - | - | 1 | 1 |
| სულ | 2 | 2 | 2 | 6 |

**პოლო**. გუნდური თამაში, რომელიც გავრცელებული იყო ამერიკისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში (გუნდის შემადგენლობაშია ოთხი ცხენოსანი), პოლო ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ხუთჯერ იყო შეტანილი (1900, 08, 20, 24, 36). პირველი ოლიმპიური ჩემპიონია დიდი ბრიტანეთის ნაკრები.

პერუს ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**პოლონეთი**. სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში. ტერიტორია — 312, 7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 37, 8 მლნ. დედაქალაქი — ვარშავა (1,7 მლნ.). სახელმწიფო ენა — პოლონური. რელიგია — კათოლიკური.

სპორტის საქმეებს განაგებს ფიზიკური კულ-




პირველი ოლიმპიური თამაშების პლაკატი

პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ტურისა და სპორტის მთავარი კომიტეტი სპორტულ ფედერაციებთან ერთად. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1919.

პოლონეთის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:



ა პოპოვი

| *ნ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1924 | - | 1 | 1 | 2 |
| 1928 | 1 | 1 | 3 | 5 |
| 1932 | 2 | 1 | 4 | 7 |
| 1936 | - | 3 | 3 | 6 |
| 1948 | - | - | 1 | 1 |
| 1952 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1956 | 1 | 4 | 4 | 9 |
| 1960 | 4 | 6 | 11 | 21 |
| 1964 | 7 | 6 | 10 | 23 |
| 1968 | 5 | 2 | 11 | 18 |
| 1972 | 7 | 5 | 9 | 21 |
| 1976 | 7 | 6 | 13 | 26 |
| 1980 | 3 | 14 | 15 | 32 |
| 1988 | 2 | 5 | 9 | 16 |
| 1992 | 3 | 6 | 10 | 19 |
| 1996 | 7 | 5 | 5 | 17 |
| სულ | 50 | 67 | 110 | 227 |



ბ პოლულიახი

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| *ნ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1956 | - | - | 1 | 1 |
| 1960 | - | 1 | 1 | 2 |
| 1972 | 1 | - | - | 1 |
| სულ | 1 | 1 | 2 | 4 |

**პოლულიახი ბორის**. დ. 7. 1. 1938 თბილისში. ტრამპლინიდან *წყალში ხტომა*. დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1953. სსრკ ხუთგზის ჩემპიონი ტრამპლინიდან ხტომაში (1961, 64, 65, 67, 68). ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1962) და ევროპის თასის მფლობელი (1963). ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები — VI ადგილი (სავალდებულო ხტომები — 58,28 ქულა, ნებისმიერი — 80, 36, ჯამში —138,64). 1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები — XX ადგილი (სავალდებულო ხტომები — 58, 56, ნებისმიერი — ორი ნახტომის შემდეგ შეწყვიტა ასპარეზობა. ჯამში — 84, 32).

პორტუგალიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**პოპოვი ალექსანდრე**. დ. 16. 11. 1971 რუსეთში. ერთ-ერთი უძლიერესი *მოცურავე*. მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი. ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა 8 მედალი. 1992, ბარსელონა — 50 მ — I, 100 მ — I, 4 X 100 მ ესტაფეტა — II, 4X200 მ ესტაფეტა — II. 1996, ატლანტა — 50 მ — I, 100 მ — I, 4 X 100 მ, თავისუფალი სტილი — II, 4 X 100 მ კომბინირებული — II.

**პორტუგალიის რესპუბლიკა**. სახელმწიფო ევროპის სამხრეთ დასავლეთში, უკავია პირინეის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილი. ტერიტორია — 92, 1 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 10 მლნ. დედაქალაქი — ლისაბონი (2 მლნ.). სახელმწიფო ენა — პორტუგალიური. რელიგია — კათოლიკური.

სპორტის საქმეებს განაგებს ახალგაზრდობისა და სპორტის სახელმწიფო სამდივნო. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1909. თამაშებში მონაწილეობს 1912-დან. პირველი ოლიმპიური ჯილდო მოიპოვეს ცხენოსნებმა — გუნდური III ადგილი დაბრკოლებათა გადალახვაში (1924).

პორტუგალიის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| *ნ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1924 | - | - | 1 | 1 |
| 1928 | - | - | 1 | 1 |
| 1936 | - | - | 1 | 1 |
| 1948 | - | 1 | 1 | 2 |
| 1952 | - | - | 1 | 1 |
| 1960 | - | 1 | - | 1 |
| 1976 | - | 2 | - | 2 |
| 1984 | 1 | - | 2 | 3 |
| 1988 | 1 | - | - | 1 |
| 1996 | 1 | - | 1 | 2 |
| სულ | 3 | 4 | 8 | 15 |

**პროგრამა ანტიკური ოლიმპიური თამაშების**. თავდაპირველად თამაშებს ერთი დღე ეთმობოდა. მაგრამ 77-ე ოლიმპიადაზე (472 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ცხენოსანთა და ხუთჭიდელთა ასპარეზობა ზომაზე მეტად გაიჭიმა და მომდევნო სახეობა — პანკრატიონი გვიან ღამე დაიწყო. ამ შემთხვევამ განაპირობა თამაშების ხანგრძლივობის გაზრდა სამ დღემდე (საზეიმო ცერემონიალების ჩათვლით — ხუთ დღემდე).

პირველი დღე. მსხვერპლშეწირვა ზევსის სახელზე. მონაწილეთა ფიცი. მორბენალთა კენჭისყრა. მოჭიდავეთა და პანკრატიონისტთა წყვილების შედგენა.

მეორე დღე. დიქტორებისა და მედაფდაფეების შეჯიბრება. ჭაბუკთა შეხვედრები.

მესამე დღე. შეჯიბრება რბენაში ასეთი თანამიმდევრობით: გრძელი მანძილი, სტადიონის ერთი სიგრძე, ორმაგი რბენა, რბენა იარაღით. ერთ სტადიაზე ფინალურ რბენას წინ უსწრებდა გარბენები. სხვა სახეობებში წინასწარი შეხვედრები არ ტარდებოდა.

მეოთხე დღე. ცხენოსანთა შეჯიბრებები იპოდრომზე. პენტატლონი ასეთი თანამიმდევრობით: რბენა, ბადროს ტყორცნა, სიგრძეზე ხტომა, შუბის ტყორცნა, ჭიდაობა. ბოლოს იმართებოდა ორმაგი რბენა იარაღით.

მეხუთე დღე. ოლიმპიადის საზეიმო დახურვა და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

**პროგრამა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების.** სპორტულ სახეობათა და ცალკეულ




ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშების ოფიციალური პროგრამის გარეკანი

სპორტულ დისციპლინათა კომპლექსი, რომლებშიც იმართება ოლიმპიური შეჯიბრებები. პროგრამა, რომელსაც აყალიბებს და ამტკიცებს სოკ-ი, მხოლოდ სპორტის ოლიმპიურ სახეობებს მოიცავს. ოლიმპიური ქარტიის თანახმად, ოლიმპიური თამაშების პროგრამა, სულ მცირე, თხუთმეტ სახეობას აერთიანებს. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ამგვარი მინიმუმი დანესებული არ არის. პროგრამაში სპორტის სახეობათა შეტანა ნყდება ოლიმპიური თამაშების დანყებამდე არანაკლებ შვიდი ნლით ადრე, ცალკეული დისციპლინებისა და შეჯიბრებებისა — ოთხი ნლით ადრე.

**პროგრამა კულტურული.** ოლიმპიური თამაშების პერიოდში, გარდა სპორტული შეჯიბრებებისა, მასპინძელ ქალაქსა და ქვეყანაში, როგორც ნესი იმართება მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებები. პროგრამას ადგენს ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი და ამტკიცებს სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო. კულტურული პროგრამა ემსახურება ოლიმპიურ თამაშებში მონანილეთა შორის ერთსულოვნების, ურთიერთგაგების და მეგობრობის განმტკიცებას, კაცობრიობის კულტურულ მონაპოვართა ნარმოჩენას.

**პუერტო-რიკო.** ქვეყანა დიდი ანტილიის კუნძულების არქიპელაგის აღმოსავლეთ ნანილში. ტერიტორია — 8,9 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3,6 მლნ. 73 % — ესპანური ნარმოშობის. დაახლოებით 2 მლნ. პუერტო-რიკელი აშშ-ში ცხოვრობს. ადმინისტრაციული ცენტრი — სან-ხუანი (1 მლნ). ოფიციალური ენები — ესპანური და ინგლისური. მორნმუნეთა უმრავლესობა — კათოლიკეები (85 %).

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1958 ნელს, ამავე ნლიდან სოკ-ის ნევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1948 | | - | 1 | 1 |
| 1976 | | - | 1 | 1 |
| 1984 | | 1 | 1 | 2 |
| 1992 | | - | 1 | 1 |
| 1996 | | - | 1 | 1 |
| სულ | | 1 | 5 | 6 |



პუერტო-რიკოს ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

# ჟ

**ჟაბოტინსკი ლეონიდ.** დ. 28. 1. 1938 რუსეთში. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო *ძალოსანი*. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მძიმე ნონაში (1964 — სამჭიდში 572,5 კგ — ოლიმპიური რეკორდი; 1968 — სამჭიდში 572,5 კგ — ოლიმპიური რეკორდის გამეორება). მსოფლიოსა (1964-66, 68) და ევროპის (1966, 68) არაერთგზის ჩემპიონი. მსოფლიოს რეკორდსმენი (1963-70). სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის მედროშე 1968 ნლის ოლიმპიურ თამაშებზე.



ლ. ჟაბოტინსკი

**ჟაზი მიშელ.** დ. 13. 6. 1936 უანიეში, საფრანგეთი, *მძლეოსნობა*. ევროპის 1962 ჩემპიონი 1500 მ (3. 40,9) და 1966 ჩემპიონი 5000 მ (13. 42, 8). 1960 რომის XVII ოლიმპიადაზე მოიპოვა ვერცხლის მედალი 1500 მ (3. 38, 4). ფლობდა მსოფლიოს რეკორდებს: 1 მილზე — 3. 53,6 (1965); 2000 მ — 5.01,6 (1962), 4.56,2 (1966); 3000 მ — 7.49,2 (1962), 7.49,0 (1965); 2 მილზე — 8.29,6 (1963) და 8.22,6 (1965).

**ჟანი ალექს.** დ. 5. 1. 1929 ტულუზაში, საფრანგეთი. *ცურვა*. ევროპის ჩემპიონი (1947, 50) 100 და 400 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში. 1948 ლონდონის XIX და 1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი იმავე დის-



ალბერვილის XVI ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალი


გ. რევაზიშვილი

ტანციებზე. მსოფლიოს რეკორდსმენი: 100 მ — 55,9 (1947), 200 მ — 2.05,4 (1946), 300 მ — 3.21,0 (1947), 400 მ — 4.35,2 (1947). დასახელებული იყო მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად (1947).

**ჟე-დე-პომი**. უძველესი თამაში ბურთით, ჩოგბურთის წინაპარი. გავრცელებული იყო საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში (XIII-XIV საუკუნეებში). ჩოგბურთის განვითარების შემდეგ დაკარგა პოპულარობა. შეტანილი იყო ოლიმპიური თამაშების პროგრამაში (1908). პირველი ჩემპიონი — ჯ. გოულდი (აშშ).

# რ

**რაგბი**. გუნდური თამაში ოვალური ბურთით. ჩაისახა ინგლისში. ატარებს იმ ქალაქის სახელს, სადაც შედგა პირველი ოფიციალური მატჩი


რაგბი

(1823). საერთაშორისო შეხვედრები ტარდება 1888-დან. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო (1900, 1908, 1920 და 1924). პირველი ოლიმპიური გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთის ნაკრებმა.



აშშ-ს კალათბურთელთა ნაკრები — XVI ოლიმპიური ჩემპიონი. უკანა რიგში, მარცხნიდან მეექვსე ბ. რასელი

**რაიანი ჯიმ**. დ. 29. 4. 1947 უიჩიტოში, კანზასის შტატი, აშშ. 1968 მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში ვერცხლის მედალი მოიპოვა 1500 მ. *რბენაში* (3.37,8). მსოფლიოს რეკორდსმენი: 880 იარდზე — 1.44,9 (1966), 1500 მ — 3.33,1 (1967), 1 მილზე — 3.51,3 (1966) და 3.51,1 (1967). ორჯერ იყო აღიარებული მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად (1966 და 1967).

**რასელი უილიამ-ბილ**. დ. 12. 2. 1934 პიტსბურგში, პენსილვანიის შტატი, აშშ. 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი *კალათბურთში*. აღიარეს ამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ. 1960-65-ში ითვლებოდა საუკეთესო პროფესიონალ კალათბურთელად. ნბა-ს არაერთგზის ჩემპიონი „ბოსტონ სელტიქსის" შემადგენლობაში.

**რეგიონური თამაშები**. კომპლექსური შეჯიბრება ამა თუ იმ გეოგრაფიული რაიონის (რეგიონის) სპორტსმენთა მონაწილეობით. ეწყობა სოკ-ის ეგიდით და ხელს უწყობს ოლიმპიური იდეების პროპაგანდას. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ცნობს შემდეგ რეგიონურ შეჯიბრებებს.

დასავლეთ აზიის თამაშები (სულ ორი თამაში გაიმართა 1934 და 1938), აღმოსავლური ოლიმპიური თამაშები (1913-1921 წლებში გაიმართა 5 თამაში), აზიის თამაშები (იმართება 1951 წლიდან. დღემდე მოეწყო 12 თამაში), აზიის ზამთრის თამაშები (1986 წლიდან), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ნახევარკუნძულის თამაშები (1959 წლიდან), ევროპის ჯუჯა სახელმწიფოთა თამაშები (1985 წლიდან), თანამეგობრობის თამაშები (1930 წლიდან), სამხრეთ ოკეანეთის თამაშები (1963 წლიდან), სამხრეთ ოკეანეთის მინი თამაშები (1981 წლიდან), ოკეანეთის თამაშები (გაიმართა ორი თამაში 1969-1973), ინდოეთის ოკეანის კუნძულების თამაშები (1979 წლიდან), უნივერსიადები (1924 წლიდან), მსოფლიო სტუდენტთა უნივერსიადებს მართავს საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია — FISU, 1924-51 წლებში კი უნივერსიადების ორგანიზატორი იყო სტუდენტთა საერთაშორისო კონფედერაცია — UIF, ცენტრალური ამერიკის თამაშები (1926 წლიდან), პანამერიკული თამაშები (1951 წლიდან), ბოლივარის თამაშები (1938-1977), ხმელთაშუაზღვის თამაშები (1951 წლიდან), აფრიკის თამაშები (1965 წლიდან). ბალკანეთის ოლიმპიური დღეები (1997 წლიდან.).

**რევაზიშვილი გიორგი**. დ. 16. 11. 1974 საგარეჯოში. *ძიუდოისტი*. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი.

მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1994), ევროპის ჩემპიონატები: 1993 — III ადგილი, 1994 — III, 1996 — I, 1997 — II. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 65 კგ. პირველ წრეში ვაზარით მოუგო ფრანცისკო მორალესს (არგენტინა), მეორეში იპონით დამარცხდა ფილიპ ლაატსთან (ბელგია). შემდეგ იპონით აჯობა ორლანდო ფუენტესს (აშშ) და იაროსლავ ლევაკს (პოლონეთი), მეხუთე შეხვედრა კი იპონით დათმო კუბელ ისრაელ ფერნანდესთან. საბოლოო შედეგი — VII ადგილი.

**რეკეტსი**. ჩოგბურთის ნაირსახეობა. ჩაისახა ინგლისში, XVIII საუკუნის მიწურულს. შედიოდა 1908 ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. ჩემპიონები: ერთეულებში — ი. ნოელი, წყვილებში—

ვ. პენელი და ჯ. ასტორი (ყველა — დიდი ბრიტანეთიდან).

**რეკორდი ოლიმპიური.** სპორტსმენის ან გუნდის მიერ თამაშების დროს ნაჩვენები უმაღლესი შედეგი. ოლიმპიური რეკორდების რეგისტრაციას აწარმოებენ საერთაშორისო სპორტული ფედერაციები დამტკიცებული წესით. ოლიმპიურ რეკორდებს აღრიცხავენ: მძლეოსნობაში, ძალოსნობაში (მათ შორის ატაცსა და აკვრაში, თუმცა დამოუკიდებელ დისციპლინებად არ თვლიან), ცურვაში, ციგურაობაში, ტყვიისა და სასტენდო სროლაში, ველოტრეკზე, შორტ-ტრეკში. ოლიმპიური რეკორდების რეგისტრაცია ხდება შეჯიბრების ნებისმიერ ეტაპზე — წინასწარ, საკვალიფიკაციო ან ფინალურ შეხვედრებში. 1896-მდე რეკორდების რეგისტრაცია სპორტში არ ხდებოდა, ამიტომ პირველი ოლიმპიური რეკორდები, ფაქტობრივად, მსოფლიო რეკორდებსაც წარმოადგენდა. (იხ. გვ. 197-200).

**რიგგარეშე ოლიმპიური თამაშები.** გაიმართა 1906 წელს (22 აპრილი — 2 მაისი) ათენში. მონაწილეობდა 20 ქვეყნის 844 სპორტსმენი.



რომი — XVII ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი

სოკ-ი და ოლიმპიური თამაშების ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ამ თამაშებს არ მიიჩნევს ოფიციალურ შეჯიბრებად, თუმცა სწორედ სოკ-მა მისცა ბერძნებს უფლება ოლიმპიადებს შორის პერიოდში გაემართა ამგვარი შეჯიბრება. რიგგარეშე ოლიმპიადა პირველი თამაშების 10 წლისთავს მიეძღვნა და ჩინებულად იყო ორგანიზებული. 1906 წლის თამაშების შედეგები შეტანილია ენციკლოპედიაში მოცემულ ცხრილებში.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 15 | 9 | 16 | 40 |
| საბერძნეთი | 8 | 13 | 12 | 33 |
| აშშ | 12 | 6 | 6 | 24 |
| დიდი ბრიტანეთი | 6 | 8 | 5 | 19 |
| იტალია | 7 | 6 | 3 | 16 |
| შვეიცარია | 5 | 6 | 4 | 15 |
| გერმანია | 4 | 6 | 5 | 15 |
| შვეცია | 2 | 5 | 7 | 14 |
| უნგრეთი | 2 | 5 | 3 | 10 |
| ავსტრია | 3 | 3 | 2 | 8 |

**რიუსკა ვილემ.** დ. 29.8.1940 ამსტერდამში, ნიდერლანდები. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო *ძიუდოისტი*. 1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მძიმე წონასა და აბსოლუტურ კატეგორიაში. მსოფლიოს ჩემპიონი (1967) ექვსჯერ იყო ევროპის ჩემპიონი (1967, 69, 71, 72).

**რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირი** (USIC). შეიქმნა 3.10.1946 ზალცბურგში (ავსტრია). მიზანი — საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებების მოწყობა, რკინიგზელთა შორის სოლიდარობის განმტკიცება.

**როკი.** კროკეტის ფართოდ გავრცელებული ნაირსახეობა. ცნობილი იყო ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. თამაშის წესები, რომელიც დღემდე ძალაშია, შემუშავდა 1899. როკი შეტანილი იყო 1904 ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. ოლიმპიური ჩემპიონი — ჩ. ჯეკობსი (აშშ).

**რომი.** იტალიის დედაქალაქი. დაარსდა ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში. შემდგომში დაიმორჩილა მთელი აპენინის ნახევარკუნძული. ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან მძლავრი სახელმწიფო გახდა.

პირვანდელი დასახლებები რომის ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის X საუკუნითაა დათარიღებული. არქეოლოგიურად დადასტურებულია, რომ იქ ცხოვრობდნენ ლათინთა და საბინთა ტომები.

რომი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი, ისტორიული და კულტურული ძეგლებით მდიდარი




რომის ოლიმპიური თამაშების პლაკატი

რუანდის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ქალაქია, რომელსაც სავსებით სამართლიანად შეარქვეს „მარადიული ქალაქი". რომის ფარგლებში მოქცეულია პაპის სახელმწიფო-ქალაქი ვატიკანი.

სახელწოდება რომი წარმოდგება მითიური გმირის რომულუსის სახელიდან, რომელიც გადმოცემის თანახმად ქალაქის დამაარსებელი იყო. ანტიკური ისტორია რომის დაარსების თარიღად მიიჩნევს ძველი წელთაღრიცხვის 754-753, თუმცა არქეოლოგიური მონაცემები მის ადრინდელ წარმოშობას ადასტურებს.

1960 რომში გაიმართა XVII ოლიმპიური თამაშები.

**როუზი მიურეი**. დ. 6. 1. 1939 ბირმინჰემში, ინგლისი. ავსტრალიის ერთ-ერთი საუკეთესო *მოცურავე*. ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი.



მ. როუზი

1956 მელბურნში (XVI ოლიმპიადა) მოიგო 400 მ (4.27,3), 1500 მ (17.58,9) და ესტაფეტა 4X200 მ. თავისუფალი სტილით, 1960 რომში კი (XVII ოლიმპიადა) 400 მ. დისტანცია (4.18,3). იყო მსოფლიოს რეკორდსმენი 400 მ — 4.27,0 (1956), 4.13,4 (1962), 800 მ — 8.51,5 (1962), 1500 მ — 17.59,5 (1956), 17.01,8 (1964).

რუმინეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**რუანდა**. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. ტერიტორია — 26,4 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 8 მლნ. ძირითადად — ნიარუანდა. დედაქალაქი — კიგალი (400 ათასი). სახელმწიფო ენები — კინიარუანდა და ფრანგული. მოსახლეობის 70 % — კათოლიკები, დანარჩენები ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობიან.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1984 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**რუბაშვილი ვლადიმერ**. 2. 12. 1940 თბილისი — 2. 02. 1964 თბილისი. *თავისუფალი ჭიდაობა*. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1955. იყო სსრკ სამგზის ჩემპიონი (1961-63). 1961 მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ოლიმპიადის მონაწილე.

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები (ქვემსუბუქი წონა — 62 კგ) — III ადგილი. I წრე — წმინდად (5,52) დაამარცხა ასხად მოჰამედ ქადემი (ირანი), II წრე — წმინდად (0,59) დაამარცხა მაინრად ერნსტი (შვეიცარია), III წრე — წმინდად (3,12) მოუგო ერკი პენტილას (ფინეთი), IV წრე — ქულებით დამარცხდა მუჰამედ ახტართან (პაკისტანი), V წრე — ქულებით აჯობა ტამიძი სატოს (იაპონია), VI წრე — ქულებით დამარცხდა სტანჩო კოლევთან (ბულგარეთი).

**რუდოლფი ვილმა**. დ. 23. 6. 1940 კლარკსვილში, ტენესის შტატი, აშშ. *მძლეოსნობა, სპრინტი*. ორი ოლიმპიადის მონაწილე. 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ესტაფეტაში 4X100 მ. 1960 რომის XVII ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი. ოქროს მედლები მოიპოვა: 100 მ რბენაში (11,0), 200 მ. დისტანციაზე (24,0) და ესტაფეტაში 4X100 მ. პანამერიკული თამაშების ჩემპიონი (1959) მსოფლიოს რეკორდები ჰქონდა 100 მ (11,3 — 1960, 11,2 — 1961) და 200 მ. რბენაში (22,9 — 1960). აღიარებული იყო მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად (1960).

**რუმინეთი**. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ტერიტორია 237,5 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 23 მლნ. დედაქალაქი — ბუქარესტი (2,3 მლნ.). სახელმწიფო ენა — რუმინული.

სპორტის საქმეებს განაგებს სპორტის ეროვნული საბჭო. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1914. თამაშებში მონაწილეობს 1924-დან. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი — მცირეკალიბრიანი შაშხანით მსროლელი [illegible] აირბუ (1952)

რუმინეთის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1924 | - | - | 1 | 1 |
| 1936 | - | 1 | - | 1 |
| 1952 | 1 | 1 | 2 | 4 |
| 1956 | 5 | 3 | 5 | 13 |
| 1960 | 3 | 1 | 6 | 10 |
| 1964 | 2 | 4 | 6 | 12 |
| 1968 | 4 | 6 | 5 | 15 |
| 1972 | 3 | 6 | 7 | 16 |
| 1976 | 4 | 9 | 14 | 27 |
| 1980 | 6 | 6 | 13 | 25 |
| 1984 | 20 | 16 | 17 | 53 |
| 1988 | 7 | 11 | 6 | 24 |
| 1992 | 4 | 6 | 8 | 18 |
| 1996 | 4 | 7 | 9 | 20 |
| სულ | 63 | 77 | 99 | 239 |



ვ. რუბაშვილი



ვ. რუდოლფი

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1968 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |

**რურუა რომან**. დ. 25. 11. 1942 სოფ. მუხურჩაში, მარტვილის რაიონი. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1973). სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1958. სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1963-65,67,70,71). ოთხჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1966, 67, 69, 70). ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები (ქვემსუბუქი წონა, 63 კგ) — II ადგილი. I წრე — ქულებით დაამარცხა კაზიმეჟ მაცეხი (პოლონეთი), II წრე — წმინდად (4,26) მოუგო მუზახირ სილეს (თურქეთი), III წრე — ქულებით დაამარცხა სვენ-პეტერ სკრიდ-სტრუპი (დანია), IV წრე — ქულებით მოუგო ჟოზეფ მეეისს (ბელგია), V წრე — ქულებით აჯობა კოძი საკურამას (იაპონია), VI წრე — ფრე იმრე პოიაკთან (უნგრეთი).

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები (ქვემსუბუქი წონა, 63 კგ) — I ადგილი. I წრე — წმინდად (5,28) დაამარცხა ისმაილ ალ კარაგული (ერაყი), II წრე — წმინდად (6,23) მოუგო ჯეიმს პანსვეინკელს (აშშ), III წრე — წმინდად (4,37) დაამარცხა სრეტენ დამიანოვიჩი (იუგოსლავია), IV წრე — წმინდად (8,56) დაამარცხა ლოთარ შნაიდერი (გდრ), V წრე — ქულებით აჯობა პაძირ ალაკოჩს (თურქეთი), VI წრე — ქულებით მოუგო დიმიტრ გალინჩევს (ბულგარეთი), VII წრე — ფრე ხიდეო ფუძიმოტოსთან (იაპონია).

**რუსეთი**. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ამჟამად — დამოუკიდებელი ქვეყანა. ტერიტორია — 17 მლნ. კვ. კმ. მოსახლეობა — 148 მლნ. დედაქალაქი მოსკოვი — 10 მლნ. ოფიციალური ენა — რუსული.

ბოლშევიკურ რევოლუციამდე რუსეთი მონაწილეობდა 1900, 1908 და 1912 წლების ოლიმპიადებში. პირველ ორ თამაშებზე შესაბამისად 3 და 5 სპორტსმენი მიავლინა, 1912 წელს კი 169 მონაწილე ჰყავდა. აღნიშნულ თამაშებში რუსებმა 1 ოქროს, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პირველი მედალი 1908 წელს აიღო ალექსანდრე პეტროვმა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), პირველი რუსი ჩემპიონი კი ნიკოლაი პანინი (კოლომენკინი) იყო, რომელმაც 1908 წელს ფიგურული სრიალი მოიგო.

მერე იყო ხანგრძლივი პაუზა და 36-წლიანი საბჭოურ-ოლიმპიური პერიოდი. 1952-1988 წლებში საბჭოთა ნაკრების გუნდების ძირითად ბირთვს რუსეთის სპორტსმენები შეადგენდნენ. მათ 1140 მედალი მიიღეს, მათ შორის — 450 ოქრო, 361 ვერცხლი და 329 ბრინჯაო.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1989 წელს, სოკ-მა აღიარა 1993 წელს. 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადაში გაერთიანებული გუნდის შემადგენლობაში რუსეთის 274 სპორტსმენი გამოვიდა, რომლებმაც პირად შეჯიბრებაში 17 ოქროს, 16 ვერცხლისა და 12 ბრინჯაოს მედალი აიღეს, პირად და გუნდურ შეჯიბრებათა ჯამში — 131 მედალი.

რუსეთი დამოუკიდებელი გუნდით მონაწილეობდა ლილეჰამერისა (1994) და ატლანტის (1996) თამაშებში.

რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1908 | - | 2 | - | 2 |
| 1912 | - | 1 | 2 | 3 |
| 1996 | 26 | 21 | 16 | 63 |
| სულ | 26 | 24 | 18 | 68 |



რ. რურუა

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1908 | 1 | | | 1 |

საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის ემბლემა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1994 | 11 | 8 | 4 | 23 |
| სულ | 12 | 8 | 4 | 24 |

**რუსო მიშელ.** დ. 5. 2. 1936 პარიზში, საფრანგეთი. 50-იანის მსოფლიოს საუკეთესო *ველოსიპედისტი-სპრინტერი*. 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. ორჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი მოყვარულთა შორის (1956, 57) და ერთხელ პროფესიონალებში (1958).

**რუუდი ბირგერ იოჰანეს.** დ. 23. 8. 1911 ნორვეგიაში. 30-40-იანი წლების უძლიერესი *ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელი*.



ბ. რუუდი (მარჯვნივ)

70-მეტრიანი ტრამპლინი: 1932, ლეიკ-პლესიდი — I ადგილი; 1936, გარმიშ-პარტენკირპენი — I ადგილი; 1948, სანკტ-მორიცი — II ადგილი.

# ს

**საბერძნეთის რესპუბლიკა.** სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. უკავია ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილი, აგრეთვე იონიის, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვების კუნძულები. ტერიტორია — 131,99 კვ. კმ. მოსახლეობა — 10,5 მლნ. დედაქალაქი — ათენი (პირეის პორტის ჩათვლით — 3,5 მლნ.). სახელმწიფო ენა — ბერძნული. რელიგია — მართლმადიდებლური ქრისტიანობა. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1830-ში თურქეთის წინააღმდეგ ცხრაწლიანი (1821-29) განმათავისუფლებელი ომის შემდეგ.

სპორტის საკითხებს განაგებს გენერალური სამდივნო. საბერძნეთი ოლიმპიური თამაშების სამშობლოა. ათენმა უმასპინძლა თანამედროვეობის პირველ ოლიმპიურ თამაშებს (1896). ყოველ ოლიმპიადაზე მონაწილეთა საზეიმო სვლას გახსნის ცერემონიალზე საბერძნეთის დელეგაცია იწყებს. 1961 ოლიმპიაში დაარსდა საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია.

ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1894. სოკ-ის პირველი პრეზიდენტი იყო ბერძენი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დ. ვიკელასი.

საბერძნეთის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1896 | 10 | 18 | 22 | 50 |
| 1904 | 1 | - | 1 | 2 |
| 1906 | 8 | 13 | 12 | 33 |
| 1908 | - | 3 | 1 | 4 |
| 1912 | 1 | - | 1 | 2 |
| 1920 | - | 1 | - | 1 |
| 1956 | - | - | 1 | 1 |
| 1960 | 1 | - | - | 1 |
| 1968 | - | - | 1 | 1 |
| 1972 | - | 2 | - | 2 |
| 1980 | 1 | - | 2 | 3 |
| 1984 | - | 1 | 1 | 2 |
| 1988 | - | - | 1 | 1 |
| 1992 | 2 | - | - | 2 |
| 1996 | 4 | 4 | - | 8 |
| სულ | 28 | 42 | 43 | 113 |

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.** ყოფილი სახელმწიფო ევროპის აღმოსავლეთ, აზიის ჩრდილოეთ და შუა ნაწილში. ტერიტორია — 22, 4 მლნ. კვ. კმ. მოსახლეობა — 284, 5 მლნ. დედაქალაქი — მოსკოვი (10 მლნ.).

სპორტის საქმეებს განაგებდა სახელმწიფო ორგანიზაცია — სპეციალური კომიტეტი, რომელიც წლების განმავლობაში იცვლიდა სახელს. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 23.4. 1951. თამაშებში მონაწილეობს 1952-დან. პირველი ჩემპიონია ბადროსმტყორცნელი ნინა პონომარიოვა.



ნ. პონომარიოვა

სსრკ-ის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1952 | 22 | 30 | 19 | 71 |
| 1956 | 37 | 29 | 32 | 98 |
| 1960 | 43 | 29 | 31 | 103 |
| 1964 | 30 | 31 | 35 | 96 |
| 1968 | 29 | 32 | 30 | 91 |
| 1972 | 50 | 27 | 22 | 99 |
| 1976 | 49 | 41 | 35 | 125 |
| 1980 | 80 | 69 | 46 | 195 |
| 1988 | 55 | 31 | 46 | 132 |
| **სულ** | **396** | **319** | **296** | **1010** |

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1956 | 7 | 3 | 6 | 16 |
| 1960 | 7 | 5 | 9 | 21 |
| 1964 | 11 | 8 | 6 | 25 |
| 1968 | 5 | 5 | 3 | 13 |
| 1972 | 8 | 5 | 3 | 16 |
| 1976 | 13 | 6 | 8 | 27 |
| 1980 | 10 | 6 | 6 | 22 |
| 1984 | 6 | 10 | 9 | 25 |
| 1988 | 11 | 9 | 9 | 29 |
| **სულ** | **78** | **57** | **69** | **194** |

**საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია** (AIO) შეიქმნა 1961. წარმოადგენს ბერძნულ ეროვნულ ორგანიზაციას, რომელსაც დაარსების დღიდან მხარს უჭერს სოკ-ი. აკადემიის მიზანია „სპორტის პედაგოგიკური და სოციალური პრინციპების შესწავლა, პრაქტიკული განხორციელება და ოლიმპიური იდეოლოგიის განმტკიცება". აკადემიის თემატიკა განსაზღვრულია შემდეგნაირად: ოლიმპიური თამაშებისა და საერთოდ სპორტის ფილოსოფია და იდეოლოგია, ანტიკური ოლიმპიური თამაშების ისტორია, თანამედროვე ოლიმპიური თამაშებისა და საერთოდ სპორტის ევოლუცია, სპორტის გავლენა ხელოვნებაზე და სოციალურ მეცნიერებებზე, სპორტის მორალური პრინციპები და ამ პრინციპების საფუძველზე სულიერ ფასეულობათა შექმნა.

აკადემია აწყობს ორკვირიან საზაფხულო სესიებს ოლიმპიაში. აკადემიის სესიებს, როგორც წესი, ესწრება სოკ-ის რომელიმე ხელმძღვანელი, წევრები კი მოხსენებებით გამოდიან. აკადემიის საპატიო წევრებად ირჩევენ სოკ-ის პრეზიდენტს, საბერძნეთის საზოგადო მოღვაწეებს, წითელი ჯვრის პრეზიდენტს, თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიის მუზეუმის დირექტორს და სხვ.

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი** (IOC). თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის უმაღლესი ორგანო. შეიქმნა 23. 6. 1894 პიერ დე კუბერტენის ინიციატივით გამართულ პარიზის საერთაშორისო კონგრესზე. სოკ-ის პირველ შემადგენლობაში შევიდნენ: არგენტინის, ბელგიის, ბოჰემიის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, საბერძნეთის, იტალიის, ახალი ზელანდიის, რუსეთის, აშშ-ს, საფრანგეთისა და შვეიცის წარმომადგენლები. პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ბერძენი მწერალი და ფილოლოგი დემეტრიოს ვიკელასი, პირველ გენერალურ მდივნად ფრანგი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე პიერ დე კუბერტენი (საფრანგეთი). სოკ-ის დამფუძნებელ წევრებად ითვლებიან: ბარონი პიერ დე კუბერტენი (საფრანგეთი), პროფესორი უ. მ. სლოუნი (აშშ), ლორდი ამპტჰილი (დიდი ბრიტანეთი), თავადი დ'ანდრია კარაფა (იტალია), გრაფი მ. დე ბუზი (ბელგია), ი. გუტ-იარკოვსკი (ბოჰემია), დ. ვიკელასი (საბერძნეთი), გენერალი ა. დ. ბუტოვსკი (რუსეთი), გენერალი ვ. ბლეკი (შვეცია), დოქტორი ჰ. ბ. სუბიაური (არგენტინა), ლ. ა. კაფი (ახ. ზელანდია), ფ. კემენი (უნგრეთი), ე. კალო (საფრანგეთი), ჩ. ჰერბერტი (დიდი ბრიტანეთი), გრაფი ლუკეზი პალი (იტალია), ვ. გებჰარდტი (გერმანია).

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

სოკ-ი, როგორც საერთაშორისო, არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, შექმნილია განუსაზღვრელი ვადით და მისი იურიდიული სტატუსი აღიარებულია შვეიცარიის ფედერალური საბჭოს 1981 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით. შტაბ-ბინის მუდმივი ადგილსამყოფელი — ქალაქი ლოზანა.

სოკ-ის სანესდებო დოკუმენტია ოლიმპიური ქარტია, რომელიც ერთხანს (1972-78) „ოლიმპიურ წესებად" იწოდებოდა. ქარტიის თანახმად, სოკ-ი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ოლიმპიური მოძრაობის განვითარებას და პოპულარიზაციას, ოლიმპიზმის იდეებისა და პრინციპების გავრცელებას, ახალგაზრდობის აღზრდას ურთიერთ პატივისცემისა და მეგობრობის სულისკვეთებით, ხალხთა შორის ურთიერთგაგების, კეთილი ნების, სოლიდარობის განმტკიცებას.

სოკ-ი, როგორც უმაღლესი ოლიმპიური ინსტანცია, იღებს გადაწყვეტილებებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების (ეოკ) და სპორტის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციების (სსფ) აღიარების (ცნობის) შესახებ, განსაზღვრავს ზაფხულისა და ზამთრის თამაშების პროგრამებს, ირჩევს თამაშების ჩამტარებელ ქალაქს, აწესებს და ანიჭებს ოლიმპიურ ჯილდოებს.



საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია

სოკ-ი გადამწყვეტ და საბოლოო სიტყვას ამბობს ოლიმპიური თამაშების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

სოკ-ი თავის წევრებს ირჩევს კვალიფიციურ და ავტორიტეტულ პიროვნებათა რიგებიდან. ერთი ქვეყნიდან ირჩევენ ერთ წევრს, მაგრამ სოკ-ს შეუძლია გამონაკლისი დაუშვას ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქვეყნებისათვის. სოკ-ის წევრები შეადგენენ სოკ-ის სესიას, ამავე



სოკ-ის საიუბილეო მედალი

დროს ისინი სოკ-ს წარმოადგენენ თავიანთ ქვეყნებში. ახალმიღებული წევრები სპეციალურ ცერემონიალზე დებენ ფიცს და იღებენ ვალდებულებას, რომ პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ ოლიმპიური ქარტიისა და სოკ-ის დებულებათა შესრულებას, თავისუფალი იქნებიან ნებისმიერი პოლიტიკური თუ კომერციული გავლენისაგან, რასობრივი და რელიგიური შეხედულებებისაგან და იმოქმედებენ ოლიმპიური მოძრაობის ინტერესების შესაბამისად. სოკ-ის წევრები, გარდა სესიებისა, მონაწილეობენ კომისიათა მუშაობაში, თავიანთ ქვეყნებში ხელს უწყობენ სოკ-ის პროგრამების შესრულებას, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მოხსენებით წარსდგებიან სოკ-ის პრეზიდენტის წინაშე. შემოღებულია სოკ-ის საპატიო წევრის სტატუსი.

ნებისმიერ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია შეიჩეროს უფლებამოსილება და გადადგომის თაობაზე წერილობით აცნობოს პრეზიდენტს. წევრის უფლებამოსილება ავტომატურად ეხსნება იმას, ვინც შეიცვლის ეროვნებას ან ადგილსამყოფელს. სესიის გადაწყვეტილებით, ქარტიით გათვალისწინებულ შემთხვევებში, წევრი ან საპატიო წევრი შეიძლება გაირიცხოს.

**სესია.** სოკ-ის უმაღლესი ორგანო ღებულობს ოლიმპიურ მოძრაობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, საჭიროების შემთხვევაში შესწორება შეაქვს ოლიმპიურ ქარტიაში, განსაზღვრავს ოლიმპიური მოძრაობის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ირჩევს ოლიმპიური თამაშების დედაქალაქს, ამტკიცებს თამაშების პროგრამას, ირჩევს სოკ-ის წევრებს, პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, აღ-



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პირველი შემადგენლობის წევრები. სხედან (მარცხნიდან): პიერ დე კუბერტენი (საფრანგეთი), დემეტრიოს ვიკელასი (საბერძნეთი), გენერალი ალექსეი ბუტოვსკი (რუსეთი); დგანან: ვილიამ გებჰარდტი (გერმანია), ირჟი გუტ-იარკოვსკი (ბოჰემია), ფერენც კემენი (უნგრეთი), გენერალი ვიქტორ ბლეკი (შვედია)

მასრულებელი საბჭოს წევრებს. სესია იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. პრეზიდენტების ინიციატივით, ან სოკ-ის წევრთა 1/3-ის წერილობითი თხოვნით ინიშნება საგანგებო სესია. მორიგი სესიის გამართვის ადგილს განსაზღვრავს სოკ-ი, საგანგებო სესიისა — სოკ-ის პრეზიდენტი.

სესია უფლებამოსილია, თუ მას სოკ-ის წევრთა ნახევარი პლიუს ერთი ადამიანი ესწრება.

| *წელი* | *მასპ. ქალაქი* | *№* | *წევრთა რაოდ.* |
|---|---|---|---|
| 1894 | პარიზი | 1 | 6 |
| 1896 | ათენი | 2 | 7 |
| 1897 | ჰავრი | 3 | 9 |
| 1901 | პარიზი | 4 | 11 |
| 1902 | პარიზი | 5 | 8 |
| 1903 | პარიზი | 6 | ? |
| 1904 | ლონდონი | 7 | 11 |
| 1905 | ბრიუსელი | 8 | 15 |
| 1906 | ათენი | 9 | 8 |
| 1907 | ჰააგა | 10 | 14 |
| 1908 | ლონდონი | 11 | 16 |
| 1909 | ბერლინი | 12 | 22 |
| 1910 | ლუქსემბურგი | 13 | 16 |
| 1911 | ბუდაპეშტი | 14 | 20 |
| 1912 | სტოკჰოლმი | 15 | 31 |
| 1913 | ლოზანა | 16 | 23 |
| 1914 | პარიზი | 17 | 41 |
| 1919 | ლოზანა | 18 | 37 |
| 1920 | ანტვერპენი | 19 | 30 |
| 1921 | ლოზანა | 20 | 24 |
| 1922 | პარიზი | 21 | 27 |
| 1923 | რომი | 22 | 29 |
| 1924 | პარიზი | 23 | 39 |
| 1925 | პრაღა | 24 | 30 |
| 1926 | ლისაბონი | 25 | 24 |
| 1927 | მონაკო | 26 | 36 |
| 1928 | ამსტერდამი | 27 | 39 |
| 1929 | ლოზანა | 28 | 24 |
| 1930 | ბერლინი | 29 | 32 |
| 1931 | ბარსელონა | 30 | 19 |
| 1932 | ლოს-ანჯელესი | 31 | 18 |
| 1933 | ვენა | 32 | 29 |
| 1934 | ათენი | 33 | 22 |
| 1935 | ოსლო | 34 | 23 |
| 1936 | გარმიშ-პარტენ. | 35 | 15 |
| 1936 | ბერლინი | 36 | 50 |
| 1937 | ვარშავა | 37 | 26 |
| 1938 | ქაირო | 38 | 26 |
| 1939 | ლონდონი | 39 | 35 |
| 1946 | ლოზანა | 40 | 26 |
| 1947 | სტოკჰოლმი | 41 | 28 |
| 1948 | სანკტ-მორიცი | 42 | 26 |
| 1948 | ლონდონი | 43 | 44 |
| 1949 | რომი | 44 | 41 |
| 1950 | კოპენჰაგენი | 45 | 32 |
| 1951 | ვენა | 46 | 38 |
| 1952 | ოსლო | 47 | 34 |
| 1952 | ჰელსინკი | 48 | 57 |
| 1953 | მეხიკო | 49 | 35 |
| 1954 | ათენი | 50 | 48 |
| 1955 | პარიზი | 51 | 62 |
| 1956 | კორტ. დ'ამპეცო | 52 | 43 |
| 1956 | მელბურნი | 53 | 38 |
| 1957 | სოფია | 54 | 36 |
| 1958 | ტოკიო | 55 | 31 |
| 1959 | მიუნხენი | 56 | 60 |
| 1960 | სან-ფრანცისკო | 57 | 25 |
| 1960 | რომი | 58 | 63 |



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოფისი. ლოზანა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1961 | ათენი | 59 | 46 |
| 1962 | მოსკოვი | 60 | 44 |
| 1963 | ბადენ-ბადენი | 61 | 62 |
| 1964 | ინსბრუკი | 62 | 52 |
| 1964 | ტოკიო | 63 | 59 |
| 1965 | მადრიდი | 64 | 63 |
| 1966 | რომი | 65 | 64 |
| 1967 | თეირანი | 66 | 57 |
| 1968 | გრენობლი | 67 | 50 |
| 1968 | მეხიკო | 68 | 58 |
| 1969 | ვარშავა | 69 | 57 |
| 1970 | ამსტერდამი | 70 | 62 |
| 1971 | ლუქსემბურგი | 71 | 62 |
| 1972 | საპორო | 72 | 42 |
| 1972 | მიუნხენი | 73 | 73 |
| 1973 | ვარნა | 74 | 61 |
| 1974 | ვენა | 75 | 64 |
| 1975 | ლოზანა | 76 | 70 |
| 1976 | ინსბრუკი | 77 | 56 |
| 1976 | მონრეალი | 78 | 65 |
| 1977 | პრაღა | 79 | 69 |
| 1978 | ათენი | 80 | 79 |
| 1979 | მონტევიდეო | 81 | 74 |
| 1980 | ლეიკ-პლესიდი | 82 | 73 |
| 1980 | მოსკოვი | 83 | 77 |
| 1981 | ბადენ-ბადენი | 84 | 81 |
| 1982 | რომი | 85 | 78 |
| 1983 | ნიუ დელფი | 86 | 78 |
| 1984 | სარაევო | 87 | 74 |
| 1984 | ლოს-ანჯელესი | 88 | 85 |
| 1984 | ლოზანა | 89 | 79 |
| 1985 | ბერლინი | 90 | 80 |
| 1986 | ლოზანა | 91 | 85 |
| 1987 | სტამბული | 92 | 84 |
| 1988 | კალგარი | 93 | 77 |
| 1988 | სეული | 94 | 87 |
| 1989 | პუერტო-რიკო | 95 | 84 |
| 1990 | ტოკიო | 96 | 87 |
| 1991 | ბირმინჰემი | 97 | 89 |
| 1992 | ალბერვილი | 98 | 86 |
| 1992 | ბარსელონა | 99 | 91 |
| 1993 | ლოზანა | 100 | 86 |
| 1993 | მონაკო | 101 | 86 |
| 1994 | ლილეჰამერი | 102 | 73 |
| 1994 | პარიზი | 103 | 85 |
| 1995 | ბუდაპეშტი | 104 | 93 |
| 1996 | ატლანტა | 105 | 102 |
| 1997 | ლოზანა | 106 | 107 |
| 1998 | ნაგანო | 107 | ? |
| 1999 | სეული | 108 | ? |
| 2000 | სიდნეი | 109 | ? |

**ალმასრულებელი საბჭო.** შედგება პრეზიდენტის, ოთხი ვიცე-პრეზიდენტის და ექვსი დამატებითი წევრისაგან. საბჭოს წევრებს ირჩევენ სოკ-ის სესიაზე, ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის (გარდა პრეზიდენტისა) ვადით. საბჭოს უფლებამოსილებანი ფართოა და მნიშვნელოვანი: ხელმძღვანელობს სოკ-ის ყოველდღიურ საქმიანობას, ყურადღებას აქცევს ოლიმპიური ქარტიის დაცვას, პასუხს აგებს სოკ-ის ადმინისტრაციის საქმიანობაზე, ფინანსების ხარჯვაზე; ამზადებს ყოველწლიურ მოხსენებას, სესიას წარუდგენს სოკ-ის წევრობის კანდიდატებს, ნიშნავს გენერალურ დირექტორს და გენერალურ მდივანს, შეიმუშავებს და ლებულობს ოლიმპიური ქარტიის განხორციელებისთვის აუცილებელ წესებს და დებულებებს.



სოკ-ის 101-ე სესიის სამკერდე ნიშანი

**პრეზიდენტი.** საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელი. ირჩევენ სოკ-ის წევრთაგან რვა წლით მომდევნო ოთხი წლით ხელახალი არჩევის უფლებით. პრეზიდენტი წარმართავს სოკ-ის საქმიანობას და მისი უცვლელი წარმომადგენელია. ქმნის საგანგებო ან მუდმივ კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს, თავმჯდომარეობს სესიებს, ალმასრულებელი საბჭოს სხდომებს.

სოკ-ის პრეზიდენტები იყვნენ: დემეტრიოს ვიკელასი (1894-96, საბერძნეთი), პიერ დე კუბერტენი (1896-1916 და 1919-1925, საფრანგეთი), 1916-1919 წლებში პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა გოდფრუა დე ბლონიე (შვეიცარია), ანრი დე ბაიე-ლატური (1925-1942, ბელგია), იოჰანეს ზიგფრიდ ედსტრიომი (1942-1952, შვეცია), ეივერ ბრენდეჯი (1952-1972, აშშ), მაიკლ მორის კილანინი (1972-1980, ირლანდია), ხუან ანტონიო სამარანჩი (1980-დან, ესპანეთი).



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 105-ე სესია. ატლანტა, 1996 წ.

**კომისიები.** გარკვეული უფლებამოსილებით აღჭურვილი მმართველობითი დანაყოფები, რომლებიც უძღვებიან სოკ-ის საქმიანობას ცალკეულ უბნებზე. მათ შემადგენლობაში, გარდა სოკ-ის წევრებისა, შედიან სპორტის და სხვა დარგების მოღვაწეები, ვეტერანი სპორტსმენე-



FIS-ის პრეზიდენტი მ. ჰოდლერი

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

ბი. ძირითადი კომისიებია: იურიდიული, საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის და ოლიმპიური განათლების; საარჩევნო; ათლეტთა; კულტურის; სამედიცინო; ფინანსების; სპორტისა და კანონების; ოლიმპიური სოლიდარობის; ოლიმპიური თამაშების კოორდინაციის; პრესის; რადიოსა და ტელევიზიის.

ადმინისტრაცია. სოკ-ის შტაბ-ბინის აპარატი, რომლის მეშვეობითაც პრეზიდენტი და აღმასრულებელი საბჭო წარმართავენ ყოველდღიურ საქმიანობას. ადმინისტრაციაში შედიან პრეზიდენტის, აღმასრულებელი გენერალური დირექტორის, სამედიცინო კომისიის, გენერალური მდივნის და პერსონალური ოფისები; მთარგმნელობითი, რეგისტრაციისა და რეკორდების, სპეციალური საგამომცემლო სექციები; სარეკლამო ბიურო; სპორტისა და ეოკ-ებთან ურთიერთობის, ფინანსების, მარკეტინგის, კომპიუტერული მომსახურების, კონტროლისა და კოორდინაციის დეპარტამენტები.



ფ. სავონი

ენები. სოკ-ის ოფიციალური ენებია ფრანგული და ინგლისური. სოკ-ის ყველა სხდომა სინქრონულად ითარგმნება გერმანულ, ესპანურ, რუსულ და არაბულ ენებზე. ოლიმპიური ქარტიის, სხვადასხვა წესებისა და დოკუმენტების ფრანგულ და ინგლისურ ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ფრანგულ ტექსტს ენიჭება.

სახსრები. სოკ-ი უფლებამოსილია მიიღოს საჩუქრები და ნაანდერძევი ქონება, აგრეთვე ეძიოს ის საშუალებები, რაც აუცილებელია მისი ამოცანების განსახორციელებლად. სოკ-ი შემოსავლებს ღებულობს უფლებათა გამოყენების (სატელევიზიო უფლებების ჩათვლით) და ოლიმპიური თამაშების მოწყობის ფონდებიდან. სოკ-ის სატელევიზიო უფლებების ფონდიდან შემოსავლის ნაწილს გადასცემს საერთაშორისო ფედერაციებს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტებს.

**საერთაშორისო სპორტული ფედერაციების გენერალური ასოციაცია** (AGFIS). შეიქმნა 1967 აპრილს, ლოზანაში (შვეიცარია). ქიდაობის მაშინდელი საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის როჟე კულონის (საფრანგეთი) წინადადებით. დამფუძნებელ სხდომას (21-23 აპრილი) ესწრებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. გენერალური ასოციაციის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო ფედერაციების ავტორიტეტის ზრდას და დამოუკიდებლობის განმტკიცებას, აგრეთვე, ფედერაციებს შორის კონტაქტების გაღრმავებას.

ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. შტაბ-ბინა მდებარეობს მონტე-კარლოში.

**სავონი ფელიქს.** დ. 22. 9. 1967 კუბაში. 90-იანი წლების უძლიერესი *მოკრივე* (91 კგ). მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, 1992 ბარსელონისა და 1996 ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. უმეტეს შეხვედრას ვადაზე ადრე იგებს (ატლანტის ოლიმპიადაზე მესამე წრეში დაამარცხა გიორგი კანდელაკი).

**სათხილამურო სპორტი.** ჩაისახა სკანდინავიის ქვეყნებში (XVIII საუკუნე). ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1924 წლიდან (ზამთრის პირველი თამაშები, შამონი). დღეისათვის სათხილამურო რბოლებში კაცთა შორის მედლების 5 კომპლექტი თამაშდება (10 კმ, 15 კმ, 30 კმ, 50 კმ, 4X10 კმ), ქალებიც 5 დისციპლინაში გამოდიან (5 კმ, 10 კმ, 15 კმ, 30 კმ, 4X5 კმ)

ცხრილში შესულია ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელთა მედლებიც (იხ. ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. გვ. 152)

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 37 | 41 | 28 | 106 |
| ფინეთი | 28 | 31 | 31 | 90 |
| საბჭოთა კავშირი | 26 | 23 | 23 | 72 |
| შვეცია | 21 | 16 | 16 | 53 |
| გდრ | 8 | 4 | 8 | 20 |
| იტალია | 5 | 7 | 7 | 19 |
| ავსტრია | 3 | 7 | 9 | 19 |
| ჩეხოსლოვაკია | 1 | 3 | 8 | 12 |
| გაერთ. გუნდი | 3 | 2 | 4 | 9 |
| შვეიცარია | 1 | 3 | 3 | 7 |
| იაპონია | 2 | 3 | 1 | 6 |
| გფრ | 3 | 1 | 1 | 5 |
| რუსეთი | 3 | 1 | 1 | 5 |
| ყაზახეთი | 1 | 2 | - | 3 |
| გერმანია | 2 | - | 1 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | - | 2 |
| პოლონეთი | 1 | - | 1 | 2 |
| აშშ | - | 1 | 1 | 2 |
| იუგოსლავია | - | 1 | 1 | 2 |
| ბულგარეთი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 146 | 147 | 145 | 438 |

**სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია** (FIS). შეიქმნა 1924. ოფიციალური ენები: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული. უმაღლესი ორგანო — კონგრესი. იწვევენ 2 წელიწადში ერთხელ. ფედერაციის საქმიანობას წარმართავენ: საბჭო, აღმასკომი და პრეზიდენტი.

საბჭოს შემადგენლობაში შედიან პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები, გენერალური მდივანი და წევრები. ფედერაციას აქვს რამდენიმე კომიტეტი — ტექნიკური, სწავლების, იურიდიული, სამოყვარულო, საგამომცემლო.

**საიალქნო სპორტი (აფროსნობა).** იალქნიანი ნავებით შეჯიბრებას საფუძველი ჩაეყარა ინგლისში (XVIII საუკუნე). შეჯიბრების წესები შემუშავდა 1862. აფროსანთა რეგატა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს 1900. რბოლა მეტწილად იმართება შემდეგ კლასებში: „ფინი", „მფრინავი ჰოლანდიელი", „ვარსკვლავის", „470", „სოლინგი", „ტორნადო".

პირველი ოლიმპიური რეგატის ჩემპიონები იყვნენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და აშშ-ს აფროსნები. საქართველოს სპორტსმენთაგან ორ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა გურამ ბიგანიშვილი (1992, ბარსელონა და 1996, ატლანტა), ერთში (1996, ატლანტა) — ვლადიმერ გრუზდევი.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 16 | 19 | 16 | 51 |
| დიდი ბრიტანეთი | 14 | 12 | 9 | 35 |
| შვეცია | 9 | 12 | 9 | 30 |
| ნორვეგია | 16 | 11 | 2 | 29 |
| საფრანგეთი | 12 | 6 | 9 | 27 |
| დანია | 10 | 8 | 4 | 22 |
| ნიდერლანდები | 4 | 5 | 6 | 15 |
| ახალი ზელანდია | 6 | 4 | 3 | 13 |
| ესპანეთი | 9 | 2 | 1 | 12 |
| სსრკ | 4 | 5 | 3 | 12 |
| ავსტრალია | 3 | 2 | 7 | 12 |
| ბრაზილია | 4 | 1 | 5 | 10 |
| გფრ | 3 | 2 | 5 | 10 |
| იტალია | 2 | 1 | 6 | 9 |
| ბელგია | 2 | 4 | 2 | 8 |
| ფინეთი | 1 | 1 | 6 | 8 |
| კანადა | - | 2 | 6 | 8 |
| გდრ | 2 | 3 | 2 | 7 |
| გერმანია | 2 | 2 | 1 | 5 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| პორტუგალია | - | 2 | 2 | 4 |
| შვეიცარია | 1 | 1 | 1 | 3 |
| ავსტრია | - | 3 | - | 3 |
| არგენტინა | - | 3 | - | 3 |
| ბაჰამი | 1 | - | 1 | 2 |
| უკრაინა | 1 | - | 1 | 2 |
| რუსეთი | - | 1 | 1 | 2 |
| პოლონეთი | 1 | - | - | 1 |
| ჰონგკონგი | 1 | - | - | 1 |
| კუბა | - | 1 | - | 1 |
| ირლანდია | - | 1 | - | 1 |
| იაპონია | - | 1 | - | 1 |
| ვირჯ. კუნძულები | - | 1 | - | 1 |
| ნიდერ. ანტილია | - | 1 | - | 1 |
| ჩინეთი | - | 1 | - | 1 |
| ისრაელი | - | - | 1 | 1 |
| უნგრეთი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 126 | 119 | 113 | 358 |

**საიალქნო სპორტის (აფროსნობის) საერთაშორისო კავშირი (IYRU).** შეიქმნა 1907 პარიზში. ზოგი აფროსანი კავშირის პერსონალურ წევრად ითვლება. ოფიციალური ენა — ინგლისური, შტაბ-ბინა ლონდონში. ოფიციალური წესდება მიიღეს 1955. წესდებაში შენიშვნების შეტანა მხოლოდ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით შეიძლება.

უმაღლესი ორგანო — გენერალური ასამბლეა. იგი ირჩევს კავშირის პრეზიდენტს 3 წლით. სესიებს შორის პერიოდში კავშირის საქმიანობას ხელმძღვანელობს მუდმივი კომიტეტი. კავშირის წევრები გაერთიანებული არიან თორმეტ ჯგუფში, ძირითადად ტერიტორიული პრინციპით.



საიალქნო სპორტის საერთაშორისო კავშირის ემბლემა

**საკანდელიძე ზურაბ.** დ. 9. 8. 1945 ქუთაისში. *კალათბურთი.* დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1969). ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1965, 67, 69, 71). 1967 ჩემპიონატზე საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. 1973 ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. მსოფლიოს უნივერსიადაზე II (1965) და III (1973) ადგილები. მსოფლიოს ჩემპიონი (1967) და ბრინჯაოს პრიზიორი (1970). ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები — III ადგილი. მონაწილეობდა 9 მატჩში. გუნდს 54 ქულა შესძინა (პოლონეთთან — 9, მაროკოსთან — 8, სამხრეთ კორეასთან — 2, ბულგარეთთან



ზ. საკანდელიძე

— 0, კუბასთან — 9, მექსიკასთან — 15, ბრაზილიასთან— 5, იუგოსლავიასთან — 2, ბრაზილიასთან — 4).

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები — I ადგილი. მონაწილეობდა 9 მატჩში. გუნდს 38 ქულა შესძინა (სენეგალთან — 8, გფრ-თან — 6, იტალიასთან — 4, პოლონეთთან — 0, პუერტორიკოსთან — 2, ფილიპინებთან — 10, იუგოსლავიასთან — 0, კუბასთან — 0, აშშ-თან — 8).

**სალუქვაძე ნინო.** დ. 1. 2. 1969 თბილისში. *ტყვიის სროლა.* დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1990), ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა. სპორტში ვარჯიშობს 1982 წლიდან მამის — ვახტანგ სალუქვაძის ხელმძღვანელობით. 1986-97 წლებში, სპორტული და პნევმატური პისტოლეტებით, პირად და გუნდურ ჩათვლაში 6-ჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი, 14-ჯერ — ევროპის, 5-ჯერ ფლობდა მსოფლიო სუპერთასს, დაამყარა 20-მდე მსოფლიო რეკორდი. სამი ოლიმპიადის მონაწილე.



ნ. სალუკვაძე

1988 სეულის XXIV ოლიმპიადის ჩემპიონი სპორტული პისტოლეტით სროლაში: წინასწარი სერიები — 591 ქ (ოლიმპიური რეკორდი), ფინალი — 99, ჯამი —690 (ოლიმპიური რეკორდი). ვერცხლის მედალი პნევმატური პისტოლეტით სროლაში: წინასწარი სერიები — 390, ფინალში — 97,9, ჯამი — 487, 9.

1992 ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები. სპორტული პისტოლეტი — V ადგილი (წინასწარი სერიები — 583 ქ, ფინალი— 93, ჯამი — 676). პნევმატური პისტოლეტი — X ადგილი, წინასწარი სერიები — 380 ( ფინალში ვერ მოხვდა).

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიური თამაშები. სპორტული პისტოლეტი — VII ადგილი (წინასწარი სერიები — 586, მეორე შედეგი, ფინალი — 91,6, ჯამი — 677,6); პნევმატური პისტოლეტი — V ადგილი (წინასწარი სერიები — 385, ფინალი — 99, ჯამი — 484).

**სამარანჩი ხუან ანტონიო.** დ. 17. 7 1920 ბარსელონაში, ესპანეთი. ჟურნალისტი, მრეწველი, დიპლომატი, განათლებით ეკონომისტი. იყო ესპანეთის ელჩი სსრკ-ში (1977-80). დიპლომატიური მოღვაწეობის პარალელურად აქტიურად თანამშრომლობდა სპორტშიც, გახდა ოლიმპიური მოძრაობის თვალსაჩინო ხელმძღვანელი, მიიღო მარკიზობა.

ახალგაზრდობაში გატაცებული იყო ჰოკეით, თხილამურებით, აფროსნობით, კრივით. ერთხანს ხელმძღვანელობდა გორგოლაჭებიანი ციგურებით სრიალის ეროვნულ ფედერაციას, აქტიურად თანამშრომლობდა პრესაშიც, იყო რამდენიმე გავლენიანი ესპანური გაზეთის მიმომხილველი. სამარანჩი 1954 წლიდან სათავეში ედგა ესპანეთის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, 1966 კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრად აირჩიეს, 1980-დან სოკ-ის პრეზიდენტია.

სამარანჩს საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის თავკაცობა საკმაოდ რთულ პერიოდში მოუწია, როცა პოლიტიკურ ნიადაგზე ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდა ორი სპორტული ძალა. პრეზიდენტმა კონსტრუქციული აზროვნება, სიმტკიცე და ტაქტი გამოიჩინა და განმუხტა საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობისათვის დამღუპველი კონფრონტაცია. სამარანჩის ძალისხმევით საქმიანი, პარტნიორული და კოლეგიალური ურთიერთობა ჩამოყალიბდა სოკ-სა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებს შორის, მნიშვნელოვნად გაიზარდა სოკ-ის დახმარება ეოკ-ებისადმი ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამით. პრეზიდენტობის პერიოდში სამარანჩმა მოინახულა სოკ-ის წევრი 197-ვე ქვეყანა, მათ შორის — საქართველო. თბილისში 24-საათიანი ვიზიტისას (1994 წლის 20-21 აპრილი) სამარანჩი შეხვდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს, ალმასკომის წევრებს, სპორტულ საზოგადოებრიობას, ჟურნალისტებს. სამარანჩი მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

სამარანჩს ჰყავს მეუღლე, ორი ვაჟიშვილი, შვილიშვილები. საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის და თავისი ქვეყნის წინაშე დამსახურებისთვის ესპანეთის მეფემ მარკიზის ტიტული უბოძა. დაჯილდოებულია ბარსელონისა და კატალონიის ოქროს მედლებით, მიღებული აქვს ესპანეთის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო — კარლოს III დიდი ჯვარი.



ხ. ა. სამარანჩი

SOUTH AFRICA

სამხრეთ აფრიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**სამედიცინო კოდექსი.** ოლიმპიური ქარტიის 48-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო კოდექსს შეიმუშავებს სოკ-ის სამედიცინო კომისია და ამტკიცებს სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო. ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია და განმარტებულია ოლიმპიურ თამაშებზე, სოკ-ის ეგიდით გამართულ სხვა შეჯიბრებებზე, თვით შეჯიბრებებისათვის მოსამზადებელ პერიოდში აკრძალული სამედიცინო საშუალებები და პროცედურები, სპორტსმენთა შემოწმებისა და ტესტირების წესები, სანქციები და სასჯელები აკრძალულ პრეპარატთა გამოყენების შემთხვევაში. სამედიცინო კოდექსი ემსახურება სპორტსმენთა ჯანმრთელობის დაცვას, ერთიანი ეთიკური კონცეფციის შემუშავებას და პატიოსანი თამაშების პრინციპების უზრუნველყოფას.

**სამთო ველოსპორტი.** ამ სახეობის ოლიმპიური დებიუტი შედგა 1996 წელს ატლანტაში. გათამაშდა მედლების ორი კომპლექტი (კაცები, ქალები). პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ნიდერლანდელი იან ბარტ ბრენტიენსი და იტალიელი პაოლა პეცო.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| იტალია | 1 | - | - | 1 |
| ნიდერლანდები | 1 | - | - | 1 |
| კანადა | - | 1 | - | 1 |
| შვეიცარია | - | 1 | - | 1 |
| აშშ | - | - | 1 | 1 |
| საფრანგეთი | - | - | 1 | 1 |
| **სულ** | **2** | **2** | **2** | **6** |

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** მთიდან დაშვება სპეციალურ ტრასებზე. სათხილამურო სპორტის ნაწილი. აერთიანებს რამდენიმე დისციპლინას, მათ შორის სლალომს, გიგანტურ სლალომს, სპეციალურ (სუპერ) სლალომს, სწრაფდაშვებას, კომბინაციას.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 21 | 23 | 23 | 67 |
| შვეიცარია | 16 | 17 | 14 | 47 |
| საფრანგეთი | 12 | 12 | 13 | 37 |
| აშშ | 10 | 13 | 5 | 28 |
| იტალია | 10 | 6 | 6 | 22 |
| გფრ | 5 | 8 | 5 | 18 |
| ნორვეგია | 4 | 3 | 7 | 14 |
| კანადა | 4 | 1 | 5 | 10 |
| გერმანია | 5 | 3 | 1 | 9 |
| ლიხტენშტეინი | 2 | 2 | 5 | 9 |
| შვეცია | 4 | - | 3 | 7 |
| სლოვენია | - | - | 3 | 3 |
| ესპანეთი | 1 | - | 1 | 2 |
| ლუქსემბურგი | - | 2 | - | 2 |
| იუგოსლავია | - | 2 | - | 2 |
| ახალი ზელანდია | - | 1 | - | 1 |
| გაერთ. გუნდი | - | 1 | - | 1 |
| იაპონია | - | 1 | - | 1 |
| რუსეთი | - | 1 | - | 1 |
| საბჭოთა კავშირი | - | - | 1 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | - | - | 1 | 1 |
| **სულ** | **94** | **96** | **93** | **283** |

**სამოყვარულო სპორტი.** მოყვარულ სპორტსმენად მიიჩნევენ იმათ, ვინც სპორტს მისდევს თავისი სურვილის თანახმად, ნებაყოფლობით, გართობის, ფიზიკური განვითარების მიზნით და ამისთვის არ იღებს არავითარ მატერიალურ ანაზღაურებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ არის პროფესიონალი. სხვათა შორის, სამოყვარულო სპორტისადმი დამოკიდებულება სპორტის ზოგიერთი სახეობის საერთაშორისო ფედერაციის სახელწოდებაშია მითითებული. მაგ. მძლეოსნობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია, სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაცია, კალათბურთის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია, ველოსპორტის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია და სხვ.

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.** სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში. ტერიტორია — 1.221 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 41 მლნ. აქედან 29 მლნ. — აფრიკელები (ზულუ, კოსა, ბასუტო, ვენდა, ნდებელე და სხვ.). დედაქალაქი — პრეტორია (800 ათასი). სახელმწიფო ენები — აფრიკაანსი და ინგლისური. აფრიკელების 50 % ადგილობრივ სარწმუნოებებს ემხრობა, 15 % — ქრისტიანულ-აფრიკული ეკლესიებისა და სექტების წევრია, დანარჩენი აფრიკელები და თეთრკანიანი მოსახლეობის უმრავლესობა — ქრისტიანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1991 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1908 | 1 | 1 | - | 2 |
| 1912 | 4 | 2 | - | 6 |
| 1920 | 3 | 4 | 3 | 10 |
| 1924 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 1928 | 1 | - | 2 | 3 |
| 1932 | 2 | - | 3 | 5 |
| 1936 | - | 1 | - | 1 |



სლალომი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1948 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1952 | 2 | 4 | 4 | 10 |
| 1956 | - | - | 4 | 4 |
| 1960 | - | 1 | 2 | 3 |
| 1992 | - | 2 | - | 2 |
| 1996 | 3 | 1 | 1 | 5 |
| **სულ** | **19** | **18** | **21** | **58** |

**სანაძე ლევან.** დ. 16. 8. 1928 თბილისში. *მძლეოსნობა.* დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სსრკ ორგზის ჩემპიონი ესტაფეტაში 4X100 მ (1948, 52). სტუდენტთა XI საზაფხულო სპორტული თამაშების (1951, ბერლინი) ჩემპიონი ესტაფეტაში და მეორე პრიზიორი 100 მ (10,7). ახალგაზრდობის I საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების (1953, ბუქარესტი) ბრინჯაოს პრიზიორი ესტაფეტაში 4X100 მ. სტუდენტთა XII მსოფლიო თამაშების (1954, ბუდაპეშტი) ჩემპიონი ესტაფეტაში და ვერცხლის პრიზიორი 100 მ (10,7). ახალგაზრდობის II საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების (1955,


ლ. სანაძე (მარჯვნიდან მეორე)

სან-მარინოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ვარშავა) მეორე პრიზიორი ესტაფეტაში 4X100 მ. ევროპის ჩემპიონი (1950) და ბრინჯაოს (1954) პრიზიორი ესტაფეტაში 4X100 მ. ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები. ესტაფეტა 4X100 მ — II ადგილი (40,3). გუნდის შემადგენლობა: ბ. ტოკარევი, ლ. კალიაევი, ლ. სანაძე, ვ. სუხარევი; 100 მ. წინასწარ გარბენში III ადგილი — 10,8 (ფინალში ვერ მოხვდა); 200 მ. გარბენში II ადგილი — 22,1, მეოთხედფინალში IV ადგილი — 22,1 (ფინალში ვერ მოხვდა).

**სანეევი ვიქტორ.** დ. 3. 10. 1945 სოხუმში. *მძლეოსნობა, სამხტომი.* დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობისა (1969) და ფიზკულტურის (1973) ინსტიტუტები. სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1968-71, 73, 75), ევროპის ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატების რვაგზის გამარჯვებული (1969-72, 74-77). ოთხი ოლიმპიადის მონაწილე, სამი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედლის მფლობელი.



ვ სანეევი

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები (სამხტომი) — I ადგილი. საკვალიფიკაციო ნახტომი — 16,22 მ. I ცდა — 16,49 მ. II ცდა — 16,84 მ, III ცდა — 17,23 მ, IV ცდა — 17, 02 მ, V ცდა — 16,39 მ, VI ცდა — 17,39 მ. საბოლოო შედეგი — 17,39 მ. (მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების რეკორდი).

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები (სამხტომი) — I ადგილი. საკვალიფიკაციო ნახტომი — 16,85; I ცდა — 17,35 მ, II ცდა — 16,71 მ, III ცდა — 17,19 მ, IV ცდა — გააფუჭა, V ცდა — 16,98 მ, VI ცდა — გააფუჭა. საბოლოო შედეგი — 17,35 მ.

1976 მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშები (სამხტომი) — I ადგილი. საკვალიფიკაციო ნახტომი — 16,77 მ. I ცდა — გააფუჭა, II ცდა — 16,71 მ, III ცდა — 17,06 მ, IV ცდა — გააფუჭა, V ცდა — 17,29 მ, VI ცდა — გააფუჭა. საბოლოო შედეგი — 17,29 მ.

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები (სამხტომი) — II ადგილი. საკვალიფიკაციო ნახტომი— 16,35 მ. I ცდა — 16,35მ, II ცდა — 16,53 მ, III ცდა — 17,04 მ. IV ცდა — გააფუჭა, V ცდა — 17,07 მ, VI ცდა — 17,24 მ. საბოლოო შედეგი — 17,24 მ.

ოლიმპიური ორდენის კავალერი.

სან-ტომე და პრინსიპის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**სანქტ-მორიცი.** ზამთრის პოპულარული კურორტი შვეიცარიაში, გრაუბიუნდენის კანტონში. მოსახლეობა 10 ათასამდე. ზამთრის სპორტის სახეობათა ცენტრი. ორჯერ უმასპინძლა თეთრ ოლიმპიადას, პირველად 1928 (II თამაშები), მეორედ 1948 (V ოლიმპიადა). სანქტ-მორიცში უნდა გამართულიყო 1940 ოლიმპიური თამაშები, რომელიც მეორე მსოფლიო ომის გამო არ შედგა. ეს ქალაქი პრეტენდენტი იყო აგრეთვე 1960 VIII ოლიმპიადის ორგანიზაციისა, მაგრამ კენჭისყრა წააგო ამერიკის სკვო-ველთან.

**სან-მარინო.** სახელმწიფო ევროპაში, აპენინის ნახევარკუნძულზე. ფართობი — 61 კვ. კმ. მოსახლეობა — 24,3 ათასი. დედაქალაქი — სან-მარინო (4,5 ათასი). სახელმწიფო ენა — იტალიური. რელიგია — კათოლიკური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1959 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**სან-ტომე და პრინსიპი.** სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულებზე გვინეის ყურეში, ცენტრალური აფრიკის სანაპიროსგან 300 კმ დაშორებით. ტერიტორია — დაახლოებით 1 ათასი კვ. კმ. (სან-ტომე — 836 კვ. კმ. პრინსიპი — 128 კვ. კმ.). მოსახლეობა — 112 ათასი. შედგება კოლონიზატორების მიერ XV-XVI საუკუნეებში კონტინენტიდან გადასახლებულ აფრიკელთა შთამომავლებისაგან — მულატებისაგან. დედაქალაქი და პორტი — სან-ტომე (35 ათასი). ოფიციალური ენა — პორტუგალიური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1979 წელს, 1993 წლიდან სოკ-ის წევრია.

**საორგანიზაციო კომიტეტი.** საზოგადოებრივი ორგანიზაცია — იურიდიული სტატუსის მქონე აღმასრულებელი ორგანო, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთპიროვნულად განაგებს თამაშების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას. ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის შერჩევის შემდეგ სოკ-ი თამაშების ჩატარებას ავალებს შესაბამის ეოკ-ს, რომელსაც შეუძლია თავისი ფუნქციები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს საორგანიზაციო კომიტეტს. ასეთ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი უშუალოდ უკავშირდება სოკ-ს, მისგან იღებს მითითებებს და პასუხისმგებელია თამაშების მოწყობასთან დაკავშირებული ყველა ვალდებულების შესრულებაზე.

საორგანიზაციო კომიტეტის აღმასკომის წევრები უსათუოდ უნდა იყვნენ სოკ-ის წევრები თამაშების ორგანიზატორი ქვეყნიდან. აღმასრუ-

ლებელ ორგანოში უნდა შედიოდნენ, აგრეთვე, ეოკ-ის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი, მასპინძელი ქალაქის მიერ დასახელებული, სულ მცირე, ერთი წევრი. დანარჩენ წევრთა არჩევა მთლიანად ორგანიზატორთა ნებასურვილზეა დამოკიდებული. საორგანიზაციო კომიტეტის უფლებამოსილება წყდება თამაშების დამთავრების შემდეგ.

დადგენილი წესებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, სოკ-ს შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს საორგანიზაციო კომიტეტი და სხვაგან გადაიტანოს ოლიმპიური თამაშები.

**საპატიო დიპლომი ოლიმპიური.** დაარსდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინადადებით (1905) ცალკეულ, განსაკუთრებით ღვაწლმოსილ პირთათვის. დიპლომის ყოველწლიური გაცემა შეჩერდა სოკ-ის 75-ე სესიის გადაწყვეტილებით (1974).

**საპორო.** ჰოკაიდოს (იაპონია) კუნძულის ადმინისტრაციული ცენტრი. ქალაქი-კურორტი მილიონზე მეტი მოსახლეობით. აქვს ზამთრის სტადიონი (50 ათას მაყურებელზე), სპორტის სასახლე (12 ათასი მაყურებელი). საპოროში მოეწყო ზამთრის XI თამაშები (1972), აგრეთვე, სოკ-ის 72-ე სესია (იმავე წელს). საპორო პრეტენზიას აცხადებდა 1940 და 68 ოლიმპიადების ჩატარებაზე.

**სარაევო.** 1914. 28. 6. აქ მოკლეს ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფრანც ფერდინანდი და მისი მეუღლე. ავსტრია-გერმანიის მილიტარისტულმა ბლოკმა ეს ინციდენტი პირველი მსოფლიო ომის გაჩაღების მიზეზად გამოიყენა. სარაევო ყოფილი იუგოსლავიის შემადგენლობაში ბოსნია-ჰერცოგოვინის რესპუბლიკის დედაქალაქს წარმოადგენდა. ქალაქი დაარსდა 1244-ში ვრხბოსნას სახელით (სარაევო გახდა 1507-დან). ზამთრის სპორტის სახეობათა ცენტრი. 1984-ში აქ მოეწყო XIV თეთრი ოლიმპიადა.

**სასროლო სპორტის საერთაშორისო კავშირი** (UIT). შეიქმნა 1921. მანამდე არსებობდა



ატლანტის XXVI ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი

სროლის ეროვნული ფედერაციებისა და ასოციაციების საერთაშორისო კავშირი, რომელიც დაფუძნდა 1905-ში და ათი წლის შემდეგ გაუქმდა. კავშირს აქვს რეგიონალური ორგანიზაციები: ცალკე ევროპისა და ცალკე აზიის, რომლებსაც კონფედერაციები ეწოდებათ. ოფიციალური ენებია: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და რუსული. სამუშაო ენაა ინგლისური. შტაბ-ბინა მდებარეობს მიუნხენში.

უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელიც იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ. ხელმძღვანელი ორგანო — ადმინისტრაციული საბჭო.

**საუდის არაბეთი.** სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე. ტერიტორია — დაახლოებით 2.240 მლნ კვ. კმ. (საზღვრები ზუსტად დადგენილი არ არის ქვეყნის სამხრეთში და სამხრეთ აღმოსავლეთში). მოსახლეობა — 17,9 მლნ. ძირითადად არაბები. დედაქალაქი — ერ-რიადი (1,3 მლნ). სახელმწიფო ენა — არაბული. რელიგია — ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1964 წელს, 1965 წლიდან სოკ-ის წევრია.

სარაევოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების ემბლემა

**საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია** (FISU). შეიქმნა 1949 (სექტემბერი) მერანოში, იტალია. დამფუძნებელი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, ესპანეთი, იტალია, ლიბანი, ლუქსემბურგი, მონაკო, ნიდერლანდები, შვეიცარია. ფისუ-ში გაერთიანებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის შესაბამისი ორგანიზაცია. ფედერაცია ატარებს საერთაშორისო საუნივერსიტეტო თამაშებს. პირველი ასეთი თამაში გაიმართა 1923-ში და მეორე მსოფლიო ომამდე ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ეწყობოდა.

ფედერაციის მიზანია სტუდენტთა სპორტის განვითარების სტიმულირება და ახალგაზრდობის მორალური აღზრდა. ოფიციალური ენებია: ინგლისური, ფრანგული, ესპანური, რუსული. შტაბ-ბინა მდებარეობს ბრიუსელში.

**საფრანგეთის რესპუბლიკა.** სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. ტერიტორია — 551,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 58,7 მილიონი, დედაქალაქი — პარიზი (10 მლნ-მდე). სახელმწიფო ენა —

სასროლო სპორტის საერთაშორისო კავშირის ემბლემა

საუდის არაბეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

საფრანგეთის ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კომიტეტის ემბლემა

საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ფრანგული. რელიგია — კათოლიკური.

სპორტის საკითხებს განაგებს ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა სახელმწიფო სამდივნო. საფრანგეთს ფუძემდებლური წვლილი მიუძღვის ბერძნული ოლიმპიადების აღდგენისა და ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდის კეთილშობილურ საქმეში. საფრანგეთი ინიციატორი იყო სოკ-ის დამფუძნებელი პარიზის საერთაშორისო კონგრესისა (1894). ამ ისტორიული კონგრესს თაოსნობდა ფრანგი ბარონი პიერ დე კუბერტენი და მისი თანამოაზრე, ასევე ფრანგი მოღვაწე ე. კალო. საფრანგეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიც იმ წელს შეიქმნა (1894). ოლიმპიური ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი საფრანგეთს მოფარიკავე ე. გრაველოტმა შესძინა.

საფრანგეთის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1896 | 5 | 4 | 2 | 11 |
| 1900 | 26 | 37 | 32 | 95 |
| 1904 | - | 1 | - | 1 |
| 1906 | 15 | 9 | 16 | 40 |
| 1908 | 5 | 5 | 9 | 19 |
| 1912 | 7 | 4 | 3 | 14 |
| 1920 | 9 | 19 | 13 | 41 |
| 1924 | 13 | 15 | 10 | 38 |
| 1928 | 6 | 10 | 5 | 21 |
| 1932 | 10 | 5 | 4 | 19 |
| 1936 | 7 | 6 | 6 | 19 |
| 1948 | 10 | 6 | 13 | 29 |
| 1952 | 6 | 6 | 6 | 18 |
| 1956 | 4 | 4 | 6 | 14 |
| 1960 | - | 2 | 3 | 5 |
| 1964 | 1 | 8 | 6 | 15 |
| 1968 | 7 | 3 | 5 | 15 |
| 1972 | 2 | 4 | 7 | 13 |
| 1976 | 2 | 3 | 4 | 9 |
| 1980 | 6 | 5 | 3 | 14 |
| 1984 | 5 | 7 | 16 | 28 |
| 1988 | 6 | 4 | 6 | 16 |
| 1992 | 8 | 5 | 16 | 29 |
| 1996 | 15 | 7 | 15 | 37 |
| სულ | 175 | 179 | 206 | 560 |



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატები. 1989 წლის 6 ოქტომბერი. თბილისი

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1924 | - | - | 1 | 1 |
| 1928 | 1 | - | - | 1 |
| 1932 | 1 | - | - | 1 |
| 1936 | - | - | 1 | 1 |
| 1948 | 2 | 1 | 2 | 5 |
| 1952 | - | - | 1 | 1 |
| 1960 | 1 | - | 2 | 3 |
| 1964 | 3 | 4 | - | 7 |
| 1968 | 4 | 3 | 2 | 9 |
| 1972 | - | 1 | 2 | 3 |
| 1976 | - | - | 1 | 1 |
| 1980 | - | - | 1 | 1 |
| 1984 | - | 1 | 2 | 3 |
| 1988 | 1 | - | 1 | 2 |
| 1992 | 3 | 5 | 1 | 9 |
| 1994 | - | 1 | 4 | 5 |
| სულ | 16 | 16 | 21 | 53 |

**საქართველო**. იხ. გვ. 203-206.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ-ი)**. შეიქმნა 1989 წლის 6 ოქტომბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელ კონფერენციაზე, რომელსაც ესწრებოდა 377 დელეგატი. კონფერენციამ ერთხმად მიიღო დადგენილება სეოკ-ის დაფუძნების შესახებ. პირველ პრეზიდენტად აირჩიეს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში, საერთაშორისო დიდოსტატი ნონა გაფრინდაშვილი, ვიცე-პრეზიდენტებად — ვიქტორ სანეევი, თენგიზ გაჩეჩილაძე და პაატა ნაცვლიშვილი, გენერალურ მდივნად — დავით კინწურაშვილი. მათ გარდა სეოკ-ის აღმასკომის პირველ შემადგენლობაში შევიდნენ: ნოდარ გუგუშვილი, ვაჟა კაჭარავა, დავით კუპრეიშვილი, დავით სულაქველიძე, ივანე ყიფიანი, ავთანდილ ციბაძე, ნიკოლოზ ცხაკაია და ზურაბ წერეთელი.

დამფუძნებელ კონფერენციაზე აირჩიეს სეოკ-ის წევრები (171 კაცი), კომისიათა ხელმძღვანელები (სპორტულ ფედერაციებთან მუშაობის — ივანე ყიფიანი, საგამომცემლო-სარედაქციო — ნოდარ გუგუშვილი, ოლიმპიური მოძრაობის ისტორიის და პროპაგანდის — ავთანდილ ციბაძე, საერთაშორისო ურთიერთობის — დავით კაკაბაძე), მიიღეს დეკლარაცია და სეოკ-ის წესდება.

წესდების მიხედვით, სეოკ-ი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით და მოწოდებულია ხელი შეუწყოს ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის განვითარებას საქართველოში. სეოკ-ს აქვს განსაკუთრებული უფლება საქართველო წარადგინოს ოლიმპიურ თამაშებზე, სოკ-ის სხვა შეჯიბრებებზე. სეოკ-ი ადგენს და ხელმძღვანელობს საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციებს, ნიშნავს თავის წარმომადგენელს სოკ-ში, მონაწილეობს ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამებში, აწყობს ოლიმპიურ დღეს და კვირეულს, სპორტში ძალადობის და დოპინგის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს. სეოკ-ი იცავს თავის ავტონომიას და არ ექცევა არავითარი პოლიტიკური, რელიგიური თუ ეკონომიკური ზეგავლენის ქვეშ, რომელთაც შეუძლიათ შეაფერხონ ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნათა შესრულება.

სპორტის შესახებ საქართველოს კანონის (მიღებულია 1996 წლის 20 სექტემბერს) მესამე თავის მე-9 მუხლის თანახმად:



ჯ. ბაგრატიონი

*1. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ-ი) არის დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც კოორდინაციას უწევს ოლიმპიურ მოძრაობას საქართველოში. სეოკ-ი იურიდიული პირია.*

*2. სეოკ-ი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ამ კანონით, ოლიმპიური ქარტიითა და საკუთარი წესდებით.*

*3. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, მის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებში, საქართველოს წარმოადგენს მხოლოდ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, როგორც საქართველოში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი.*

*4. სეოკ-ს აქვს თავისი სიმბოლიკა და მხოლოდ მას აქვს ამ სიმბოლიკის გამოყენების უფლება.*

*5. სეოკ-ი თანამშრომლობს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან და ეროვნულ ფედერაციებთან ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე.*

*6. სეოკ-ი მონაწილეობს ოლიმპიური თამაშებისათვის ნაკრები გუნდების მომზადებისა და გამოსვლის უზრუნველყოფაში.*

1992 წლის 9 მარტს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სეოკ-ი დროებით და პირობითად აღიარა, 1993 წლის 23 სექტემბერს მონაკოში გამართულ 99-ე სესიაზე კი თავის სრულუფლებიან წევრად მიიღო. იმავე წელს სეოკ-ი აღიარეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ევროპისა და მსოფლიო ასოციაციებმა. სეოკ-ი რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის (მათ შორის — თანამეგობრობის ქვეყნების ეოკ-თა ასოციაციის, ევროპის ქვეყნების არასამთავრობო სპორტული ორგანიზაციების ასოციაციის, „სამართლიანი თამაშების" საერთაშორისო ფედერაციის, გაერთიანება „ევროპის ქალები და სპორტი") წევრია, ორმხრივი ხელშეკრულებით თანამშრომლობს მრავალი ქვეყნის ეოკ-თან, სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

1991 წლიდან სეოკ-ის გენერალური მდივანია ემზარ ზენაიშვილი. 1992 წლის 25 მარტს გამართულმა სესიამ სეოკ-ის ხელმძღვანელობას ოთხი წლით (ატლანტის ოლიმპიური თამაშების დამთავრებამდე) გაუგრძელა უფლებამოსილება. 1994 წლის 25 მაისს გამართულ სესიაზე სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ჯანსუღ ბაგრატიონმა.

სეოკ-ის ფარგლებში მოქმედებს 12 სამხარეო ორგანიზაცია, საქართველოს ოლიმპიური აკადემია, ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი. 1993 წლიდან გამოდის ყოველთვიური გაზეთი „ოლიმპიელი", 1995 წელს გაიხსნა ოლიმპიური მუზეუმი.

1996 წლის 13 დეკემბერს, საანგარიშო-საარჩევნო სესიაზე აირჩიეს სეოკ-ის ახალი ხელმძღვანელობა: პრეზიდენტი — ჯანსუღ ბაგრატიონი, ვიცე-პრეზიდენტები — თამაზ იმნაიშვილი, რუსუდან სიხარულიძე და მამუკა ხაზარაძე, გენერალური მდივანი — ემზარ ზენაიშვილი, აღმასკომის წევრები — ელგუჯა ბერიშვილი, დავით გობეჯიშვილი, ომარ გოგიაშვილი, ვლადიმერ გოიაშვილი, გიორგი თოფაძე, ედიშერ მაჩაიძე, მერაბ მეტრეველი, ომარ ლონლაძე, რობერტ შაელაყაძე და ვაჟა შუბლაძე. სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს ნონა გაფრინდაშვილი.



ე. ზენაიშვილი

**ჯანსუღ (ჯანო) ბაგრატიონი.** დ. 4. 4. 1938 თბილისში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1962) და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1977). სსრ კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი ხელბურთში, სპორტის საპატიო ოსტატი, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, დოცენტი.

1973-84 წლებში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველარჩეული აღმასკომის წევრები.
პირველ რიგში (მარცხნიდან): ა. ნაცვლიშვილი (ვიცე-პრეზიდენტი), ნ. ბაღრინდაშვილი (პრეზიდენტი), ე. სანეეეი (ვიცე-პრეზიდენტი), თ. გაჩეჩილაძე (ვიცე-პრეზიდენტი);
მეორე რიგში (მარცხნიდან): დ. კუპარეიშვილი, ე. კაჭარავა, ა. ციბაძე, დ. კინწურაშვილი, ი. ყიფიანი, ნ. გუგუშვილი.

აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგედ, 1984-86 — თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, 1986 წლიდან საქართველოს სპორტკომიტეტის (ამჟამად — დეპარტამენტის) თავმჯდომარის მოადგილეა.

1996 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად.

**საქართველოს ოლიმპიური აკადემია.** შეიქმნა 1990 წელს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით. მიზნად ისახავს ოლიმპიზმის პროპაგანდას, ოლიმპიური მოძრაობის ისტორიის გაშუქებას, ოლიმპიური იდეების გავრცელებას. აწყობს სასწავლო სემინარებს, სიმპოზიუმებს, შეხვედრებს, გასვლით სესიებს, გამოსცემს ოლიმპიურ ლიტერატურას, თანამშრომლობს საერთაშორისო ოლიმპიურ აკადემიასთან, მონაწილეობს საერთაშორისო სემინარებსა და კონკურსებში.

დაარსებიდან დღემდე, აკადემიის რექტორია პროფესორი ავთანდილ ციბაძე.

საქართველოს ოლიმპიური და სპორტული ფილატელიის ასოციაციის ემბლემა

**საქართველოს ოლიმპიური და სპორტული ფილატელიის ასოციაცია (სოსფა).** შეიქმნა 1993 წლის 6 ივნისს. დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც თანამშრომლობს საქართველოს ფილატელისტთა კავშირთან, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსთან და რომელსაც საქმიანი ურთიერთობა აქვს ოლიმპიური ფილატელიის საერთაშორისო ფედერაციასთან, სხვადასხვა ქვეყნის ანალოგიურ ორგანიზაციებთან. სოსფა-ს წარმომადგენლები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო ფილატელისტურ გამოფენებსა და ფორუმებში; ხოლო მისმა ერთმა წევრმა — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ჭადრაკში, ცნობილმა თბილისელმა ფილატელისტმა გიორგი ფამილიანტმა ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა 1996 წელს ერევანში გამართულ საჭადრაკო ოლიმპიადისადმი მიძღვნილ ფილატელისტურ გამოფენა-კონკურსში. სოსფა ახალი ოლიმპიური ფილატელიის საერთაშორისო ფედერაციის დამფუძნებელი წევრია სხვა 29 ქვეყნის ანალოგიურ ორგანიზაციებთან ერთად. ასოციაციის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით 1994 წლიდან დღემდე საქართველოს საფოსტო ადმინისტრაციამ ოლიმპიური თემატიკისადმი მიძღვნილი 15 საფოსტო მარკა გამოუშვა. სოსფა-ს პრეზიდენტია პაატა ნაცვლიშვილი, გენერალური მდივანი — ნიკა ჯაფარიძე.

**საქართველოს ოლიმპიური მუზეუმი.** გაიხსნა 1995 წლის 20 სექტემბერს, სეოკ-ის შენობის პირველ სართულზე. გამოფენილია 2 ათასამდე ექსპონატი. მუზეუმის გახსნა შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის მხარდაჭერით და ფინანსური ხელშეწყობით.

საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

**საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი.** ხელმძღვანელობს და წარმართავს ინვალიდ სპორტსმენთა ოლიმპიურ მოძრაობას. დაფუძნდა 1993 წელს. პირველი პრეზიდენტი — ჯანსულ ბაგრატიონი. 1996 წლის კონფერენციაზე პრეზიდენტად აირჩიეს ვახტანგ რჩეულიშვილი, თავმჯდომარედ — თეიმურაზ მიქიაშვილი. კომიტეტის თაოსნობით ორჯერ მოეწყო საქართველოს ზაფხულის სპეციალური ოლიმპიური შეჯიბრებები, ჩვენი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ 1995 წელს აშშ-ი გამართულ XI სპეციალურ საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშებში.

1994 წლიდან სპეციალური საერთაშორისო ოლიმპიადის (SOI) წევრია.

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია (სსჟა).** სპორტულ ჟურნალისტთა პროფესიული გაერთიანება დაფუძნდა 1991 წლის 19 აპრილს (რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 1991 წლის 30 მაისს). არის მემკვიდრე 1959 წლიდან არსებული საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციისა, რომელიც დააფუძნეს მიხეილ კაკაბაძემ, ნოდარ გუგუშვილმა, როდიონ ქორქიამ, ზურაბ ჯაფარიძემ, ოთარ ნოზაძემ, გარუნ აკოფოვმა და სხვა ცნობილმა ჟურნალისტებმა.

1992 წლის 30 აპრილს ბუდაპეშტში გამართულ სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (AIPS) 55-ე კონგრესზე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია მიიღეს ამ ავტორიტეტული ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართულმა ჟურნალისტურმა ორგანიზაციამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

სეიშელის კუნძულების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

1991 წლიდან სსჟა-ს პრეზიდენტია ელგუჯა ბერიშვილი (1996 წლიდან AIPS-ის კოორდინატორი კავკასიის და შუა აზიის ქვეყნებში), ვიცე-პრეზიდენტები — ზურაბ ფოცხვერია და თამარ ბალავაძე.

**საღარაძე ზურაბ.** დ. 21. 3. 1939 თბილისში. *თავისუფალი ჭიდაობა.* დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1967). სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1956. სსრკ სამგზის ჩემპიონი (1964-66). ორჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1963,65) და ორჯერ — ვერცხლის პრიზიორი (1966,67). ოლიმპიადის მონაწილე.


ზ. საღარაძე

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები (ქვესაშუალო წონა, 78 კგ) — II ადგილი. I წრე — წმინდად (2,32) დაამარცხა ჯობ მაიო (ფილიპინები), II წრე — წმინდად (3,30) მოუგო შახარ ხან შახარს (ავღანეთი), III წრე — ქულებით აჯობა ფილიპობერლენდერს (კანადა), IV წრე — ქულებით დაამარცხა მადხო სინგხი (ინდოეთი), V წრე — ფრე ისმაილ ოგანთან (თურქეთი), VI წრე — ფრე მოჰამედ სანატკარანთან (ირანი).

**საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIL).** 1924-ში შეიქმნა ბობსლეისა და ტობოგანის (FIBT) საერთაშორისო ფედერაცია, რომელშიც ცალკე განყოფილებად შევიდა „ციგებით რბოლა". მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრიელთა მეცადინეობით საციგაო სპორტი მთელს მსოფლიოში გავრცელდა. მოეწყო მსოფლიო ჩემპიონატი, საერთაშორისო შეჯიბრება და ბოლოს დამოუკიდებელი ფედერაციაც შეიქმნა (1957).

**სახეობები ოლიმპიური.** სოკ-ის მიერ აღიარებული სახეობები, რომლებიც შეაქვთ ამა თუ იმ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. ოლიმპიური აღიარებისთვის აუცილებელია სახეობა გავრცელებული იყოს, სულ ცოტა 75 ქვეყანაში და 4 კონტინენტზე (ვაჟთა შორის) და სულ ცოტა 40 ქვეყანასა და 3 კონტინენტზე (ქალთა შორის). ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შევა მხოლოდ ის სახეობა, რომელიც გავრცელებულია სულ ცოტა 25 ქვეყანასა და 3 კონტინენტ-

ზე. ასეთივე კრიტერიუმით განისაზღვრება ოლიმპიური სახეობის ცალკეულ დისციპლინათა აღიარება.

როგორც წესი, სოკ-ი არ წყალობს სპორტის იმ სახეობებს, სადაც შემუშავებული არ არის სპორტსმენთა შეფასების ერთიანი ობიექტური სისტემა, სერიოზული საფრთხე ექმნება მონაწილის ჯანმრთელობას, შეუძლებელია ასპარეზობის ერთნაირი პირობების უზრუნველყოფა, გამოიყენება გადაადგილების მექანიკური საშუალებები.

პირველი ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული, სისტემატურად და მნიშვნელოვნად იცვლებოდა ოლიმპიურ სახეობათა რაოდენობა და აქედან გამომდინარე — ოლიმპიური პროგრამა. ზოგიერთი სახეობა მუდმივად რჩებოდა პროგრამაში, ზოგის ადგილს კი სხვა იკავებდა. თუ ათენის პირველი ოლიმპიური თამაშები სპორტის 9 სახეობას მოიცავდა, ატლანტაში, XXVI ოლიმპიადაზე ეს რიცხვი 26-მდე გაიზარდა.

**სეიშელის კუნძულები**. სახელმწიფო ინდოეთის ოკეანის დასავლეთ ნაწილში, შედგება კუნძულთა რამდენიმე ჯგუფისაგან (სეიშელის კუნძულები, ამირანტის კუნძულები, კუნძულთა ჯგუფისაგან — ალდაბრა და კოსმოლედო, პრასლინის კუნძულები, პროვიდენსი, ფარკუარი და სხვ.). საერთო ტერიტორია — 405 კვ. კმ. მოსახლეობა — 70 ათასი. კრეოლები (ფრანგ გადასახლებულთა და განთავისუფლებულ მონათა შთამომავლები), აფრიკელები, ინდოელები, ჩინელები და ევროპელები (ძირითადად — ფრანგები). ოფიციალური ენები — კრეოლური (პირველი ოფიციალური ენა), ინგლისური და ფრანგული. მოსახლეობის უმრავლესობა — ქრისტიანები. დედაქალაქი და მთავარი პორტი — ვიქტორია (26 ათასი).

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1979 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**სენეგალი**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 196,7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 8,3 მლნ. ძირითადად — ვოლოფი (1,5 მლნ), ფულბე, სერერი, ტუკულერი და სხვ. დედაქალაქი — დაკარი (1,5 მლნ). სახელმწიფო ენა — ფრანგული. მოსახლეობის უმრავლესობა (85 %) — ისლამისტები, არიან კათოლიკები და ტრადიციული სარწმუნოებების მიმდევრები. XIX საუკუნის დასასრულიდან სენეგალი საფრანგეთის კოლონიაა. ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1960 წელს, მალის ფედერაციის დაშლის შემდეგ.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1961 წელს, 1963 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1988 | | 1 | | 1 |
| სულ | | 1 | | 1 |

სენეგალის ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კომიტეტის ემბლემა

**სენტ-ვინსენტი და გრენადინები**. სახელმწიფო კუნძულ სენტ-ვინსენტზე და მცირე კუნძულებზე (გრენადინებზე), მცირე ანტილიის კუნძულების არქიპელაგში, კარიბის ზღვაში. საერთო ტერიტორია — 389 კვ. კმ. მოსახლეობა — 110 ათასი. ძირითადად — აფრიკული წარმოშობის. დედაქალაქი — კინგსტაუნი (16 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური. მორწმუნეთა უმრავლესობა — პროტესტანტები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1982 წელს, 1987 წლიდან სოკ-ის წევრია.

სენტ-ვინსენტი და გრენადინების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**სენტ-ლუისი**. ქალაქი მისურის შტატში, აშშ. განლაგებულია მდინარე მისისიპის ორთავე ნაპირზე. მოსახლეობა — 1 მლნ-მდე. გარეუბნებით 3 მლნ. სამდინარეო პორტი. სენტ-ლუისს საფუძველი ჩაეყარა 1808-ში, ქალაქის სტატუსი მიიღო 15 წლის შემდეგ (1823). ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო გადაიქცა მსხვილ სავაჭრო ცენტრად. 1904 თანამედროვეობის III ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქვეყნებისა და სპორტსმენთა სარეკორდოდ მცირე რაოდენობამ — 12 ქვეყანა, 625 სპორტსმენი.



სენტ-ლუისის ოლიმპიური თამაშების პლაკატი

**სენტ-ლუსია**. სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულზე, მცირე ანტილიის კუნძულების არქიპელაგში (კარიბის ზღვა). ტერიტორია — 616 კვ. კმ. მოსახლეობა — 158 ათასი, ძირითადად — აფრიკული წარმოშობის. დედაქალაქი — კასტრი (53,9 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური, მოსახლეობის უმრავლესობა ადგილობრივ კრეოლურ ენაზე ლაპარაკობს. მორწმუნეთა უმრავლესობა — კათოლიკები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1987 წელს, 1993 წლიდან სოკ-ის წევრია.

სენტ-ლუსიას ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**სენტ-კრისტოფერი და ნევისი**. სახელმწიფო მცირე ანტილიის კუნძულების არქიპელაგში, კარიბის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 261 კვ. კმ. მოსახლეობა — 48 ათასი, ძირითადად — აფრიკული წარმოშობის. დედაქალაქი — ბასტერი (18 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური. მორწმუნეთა უმრავლესობა — პროტესტანტები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1986 წელს, 1993 წლიდან სოკ-ის წევრია.




სვაზილენდის ოლიმპიური და თანამეგობრობის თამაშების ასოციაციის ემბლემა

**სერკიუ პატრიკ**. დ. 27.6.1944 რულერში, ბელგია. *ველოსპორტი*. 1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 1000 მ. გიტში ადგილიდან (1.09,59). მსოფლიოს ჩემპიონი სპრინტში მოყვარულთა (1963) და პროფესიონალთა (1967, 69) შორის. მსოფლიოს რეკორდსმენი გიტში 500 მ სვლით — 29,66 (1964). 1964-ში დაამყარა მსოფლიოს რეკორდი 1000 მ. გიტში ადგილიდან (1.06,76), რომელიც უმაღლესი მიღწევა იყო როგორც მოყვარულთა, ისე პროფესიონალთა შორის.

**სეული**. ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი კორეაში, კიონგიდოს პროვინციის ადმინისტრაციული



სეულის ოლიმპიური სტადიონი

ცენტრი და 1948 წლიდან სამხრეთ კორეის მთავრობის ადგილსამყოფელი. XIV საუკუნის ბოლომდე პატარა სავაჭრო ქალაქი იყო. ლის დინასტიის გამეფების შემდეგ (1392) სწრაფად განვითარდა და კორეის დედაქალაქი გახდა. ამჟამად მსხვილ სამრეწველო, სატრანსპორტო და კულტურულ ცენტრად ითვლება მთელს აზიაში. 1988-ში წარმატებით უმასპინძლა ზაფხულის XXIV ოლიმპიურ თამაშებს.




სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ემბლემა

**სვაზილენდი**. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში. ტერიტორია — 17,4 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 900 ათასი. აქედან 98 % — აფრიკელები, ძირითადად — სვაზი. დედაქალაქი — მბაბანე (38,6 ათასი). სახელმწიფო ენები — ინგლისური და სვაზი. მოსახლეობის 60 % — ქრისტიანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1971 წელს, 1972 წლიდან სოკ-ის წევრია.

**სვანი გუნდე**. დ. 12.1.1962 შვეციაში. ოთხმოციანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი *მოთხილამურე*, ორი ოლიმპიადის მონაწილე, 4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლის მფლობელი. 1984, სარაევო — რბოლა 15 კმ — I, 4X10 კმ ესტაფეტა — I, რბოლა 50 კმ — II, რბოლა 30 კმ — III. 1988, კალგარი — რბოლა 50 კმ — I, 4X10 კმ ესტაფეტა — I.




სიერა-ლეონეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



სიდნეი

**სიდნეი**. ავსტრალიის ყველაზე დიდი ქალაქი (2,9 მლნ.), ქვეყნის სავაჭრო-საფინანსო ცენტრი. ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად აირჩიეს მონტე-კარლოში 1993 წლის 23 სექტემბერს გამართულ სოკ-ის 101-ე სესიაზე. არჩევნების ბოლო ტურში მიიღო 45 ხმა.

**სიერა-ლეონე**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 72,3 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 4,5 მლნ. ორი ძირითადი ეთნიკური ჯგუფი: ატლანტის ოჯახის ხალხები (ტემნე, ბულომი, ფულბე და სხვ.) და მენდეს ენების ოჯახის ხალხები (მენდე, კონო და სხვ.). დედაქალაქი — ფრიტაუნი (515 ათასი). მოსახლეობის ნახევარზე მეტი ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობა. ქვეყნის ჩრდილოეთში ჭარბობენ მუსულმანები, სამხრეთში — ქრისტიანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1964 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**სიმბოლიკა ოლიმპიური**. ოლიმპიური მოძრაობის ატრიბუტების სისტემა. შედგება: 1. ოლიმპიური სიმბოლოს, ოლიმპიური დევიზისა (ეს ორი კომპონენტი ერთად ოლიმპიურ ემბლემას წარმოადგენს) და ოლიმპიური დროშისაგან (ალმისაგან), რომლებიც სოკ-ის საკუთრებას წარმოადგენს და არ შეიძლება გამოიყენონ სარეკლამო და კომერციული მიზნებისთვის, 2. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების, ოლიმპიური თამაშების, სესიების, კონგრესების და სხვა ოფიციალური ემბლემებისაგან, ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციასთან დაკავშირებული ტერმინ-წარწერების ვარიანტებისაგან, ოლიმპიური პიქტოგრამებისაგან. ყველა ამ სიმბოლოს ამტკიცებს სოკ-ი. ქარტიით განსაზღვრულია ოლიმპიური სიმბოლიკის გამოყენების წესები, რომელთა შესრულებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

**სიმბოლო ოლიმპიური**. ხუთი ერთმანეთში გადაჭდობილი, სხვადასხვა ფერის რგოლი. ზედა რიგში ჩამწკრივებულია (მარცხნიდან მარჯვენივ) სამი რგოლი — ლურჯი, შავი და წითელი, ქვემოთ კი ორი — ყვითელი და მწვანე. ყვითელი რგოლი გადახლართულია ლურჯთან და შავთან, მწვანე — შავთან და წითელთან. ოლიმპიური სიმბოლოს იდეა წამოაყენა პიერ დე კუბერტენმა და დაამტკიცა სოკ-მა (1913). გადაჭდობილი რგოლები მიგვანიშნებს კონტინენტების ერთიანობაზე. ოლიმპიურ დოკუმენტებში არსად არ არის განმარტებული ფერების მნიშვნელობა. თვითონ კუბერტენი ამბობდა: „ხუთი რგოლი წარმოადგენს ხუთ კონტინენტს, რომლებიც მხარს უჭერენ ოლიმპიზმის იდეებს, ექვსი ფერი კი (მხედველობაში ჰქონდა დროშის ფერიც) განსაზღვრავს ყველა ეროვნების ფერს. ეს ნამდვილი საერთაშორისო ემბლემა გახლავთ". მართლაც, ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ დროშაში გამოყენებულია ზემოთ ჩამოთვლილი ერთი რომელიმე ფერი მაინც.

**სინგაპური**. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ტერიტორია — 641,4 კვ. კმ. მოსახლეობა — 2,9 მლნ. 77 % — ჩინელები, 15 % — მალაები. დედაქალაქი — სინგაპური (1,6 მლნ). ოფიციალური ენები — მალაური, ჩინური, ინგლისური და ტამილური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1947 წელს, 1948 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1960 | | 1 | | 1 |
| სულ | | 1 | | 1 |

**სინქრონული ცურვა.** თავდაპირველად წარმოადგენდა მოცურავეთა შეჯიბრებების მხატვრულ დანამატს. საუკუნის დასაწყისში ამერიკელებმა ეს სანახაობა შემოსავლის წყაროდ აქციეს და მხოლოდ 50-იანი წლებიდან ლამაზი შოუ-ატრაქციონი სპორტის დამოუკიდებელ სახეობად გადაიქცა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სინქრონული ცურვა, ისევე როგორც წყალში ხტომა და წყალბურთი, დღესაც ცურვის ნაწილს წარმოადგენს. საერთაშორისო ფედერაციაშიც ასეა განაწილებული როლები — მას დათმობილი აქვს ცალკე კომიტეტი.


სინქრონული ცურვა

ევროპის ჩემპიონატები სინქრონულ ცურვაში 1958-დან ტარდება, მსოფლიოს ჩემპიონატები — 1973-დან. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილია 1984-დან. პირველი ჩემპიონია ტ. რუისი (აშშ). საქართველოს სეულის XXIV ოლიმპიურ თამაშებზე (1988) სინქრონულ ცურვაში ქრისტინა ფალასანიდი წარმოადგენდა — VII ადგილი.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 5 | 2 | - | 7 |
| კანადა | 2 | 5 | - | 7 |
| იაპონია | - | - | 7 | 7 |
| სულ | 7 | 7 | 7 | 21 |

**სირია.** სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. ტერიტორია — 185,2 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 14,7 მლნ. უპირატესად — არაბები (სირიელები) — 90 %, ცხოვრობენ აგრეთვე ქურთები, სომხები, ჩერქეზები, ასირიელები, ებრაელები. დედაქალაქი — დამასკო (3 მლნ). სახელმწიფო ენა — არაბული. რელიგიური შემადგენლობა: მუსულმანები — 85 %, ქრისტიანები — 15 %.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1948 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1984 | - | 1 | | 1 |
| 1996 | 1 | - | | 1 |
| სულ | 1 | 1 | | 2 |

**სკელეტონი.** ციგებით დაშვების ერთ-ერთი სახეობა. სპორტსმენი პირქვეა დაწოლილი ციგაზე და ისე მართავს მას. პირველად ეს ციგები დაამზადეს შვეიცარიის ქალაქ სანკტ-მორიცში (1887). ფართოდ იყო გავრცელებული შვეიცარიაში, ავსტრიაში, გფრ-ში. ორჯერ იყო ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, ორივეჯერ სანკტ-მორიცში (1928, II ოლიმპიადა და 1948, V ოლიმპიადა).

**სქვო-ველი.** ზამთრის კურორტი აშშ-ში. ცნობილია სამთო-სათხილამურო ბაზებით, პირველხარისხოვანი სასტუმროებითა და კემპინგებით. სპორტის სასახლე 11 ათას მაყურებელს იტევს. თოვლის სტადიონი აღჭურვილია თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობებით. 1960-ში უმასპინძლა ზამთრის VIII ოლიმპიურ თამაშებს.

**სკობლიკოვა ლიდია.** დ. 8. 3. 1939 ჩელიაბინსკში. *ციგურებით ხწრაფრბენა*. პირველი სპორტსმენი, რომელმაც ზამთრის ოლიმპიადებში 6 ოქროს მედალი მოიპოვა. 1960 — ოლიმპიური ჩემპიონი 1500 და 3000 მ დისტანციებზე. მომდევნო ოლიმპიადაზე მოიგო ოთხივე დისტანცია — 500, 1000, 1500 და 3000. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი (1963,1964). დამყარებული აქვს მსოფლიო რეკორდები 1000, 1500 და 3000 მ.


ლ. სკობლიკოვა

**სლოვაკეთი.** მდებარეობს ცენტრალურ ევროპაში. ტერიტორია — 49 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 5,4 მლნ. დედაქალაქი ბრატისლავა — 500 ათასი. შედიოდა ყოფილი ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში. 1992 წლის 17 ივლისს გამოაცხადა სუვერენიტეტი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1992 წელს, სოკ-მა აღიარა 1993 წელს. დამოუკი-

სინგაპურის ეროვნული ოლიმპიური საბჭოს ემბლემა

სირიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

სლოვაკეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

SLOVENIJA

სლოვენიის ოლიმპიური კომიტეტის და სლოვენიის სპორტის ასოციაციის ემბლემა

SALT LAKE CITY 2002

სოლტ-ლეიკ-სიტის 2002 წლის ოლიმპიური თამაშების ემბლემა

ოლიმპიური სოლიდარობის ემბლემა

დებელი ოლიმპიური დებიუტი ჰქონდა ლილეჰამერის 1994 წლის ზამთრის თამაშებზე (მედალი არ აუღია). მონაწილეობდა ატლანტის (1996) ოლიმპიადაში.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1996 | 1 | 1 | 1 | 3 |
| სულ | 1 | 1 | 1 | 3 |

**სლოვენია**. მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთით. ტერიტორია — 20251 კვ. კმ. მოსახლეობა, 1,9 მლნ. სლოვენიელი — 87,8 %, ხორვატი — 2,8, სერბი — 2,4. დედაქალაქი ლიუბლიანა — 270 ათასი. ოფიციალური ენა — სლოვენიური. შედიოდა იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1990 წლის 26 დეკემბერს.

იუგოსლავიის ოლიმპიურ გუნდში არაერთ სლოვენიელს უასპარეზია და მედალიც მოუპოვებია, სლოვენიელთა დამსახურებაა იუგოსლავიის მიერ 1984-1988 წლებში ზამთრის ოლიმპიადებში აღებული ყველა მედალი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1991 წელს, სოკ-მა აღიარა 1993 წელს. 1992 წლიდან დამოუკიდებლად გამოდის ოლიმპიურ თამაშებში.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1992 | | - | 2 | 2 |
| 1996 | | 2 | - | 2 |
| სულ | | 2 | 2 | 4 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1994 | | | 3 | 3 |
| სულ | | | 3 | 3 |

**სმეტანინა რაისა**. დ. 29. 2. 1952 რუსეთში. ერთ-ერთი გამოჩენილი *მოთხილამურე*. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი. 10 ოლიმპიური მედლის მფლობელი (4 ოქრო). 1976 — 2 ოქრო, 1 ვერცხლი.



რ. სმეტანინა

1980 — 1 ოქრო, 1 ვერცხლი. 1984 — 2 ვერცხლი. 1988 — 1 ვერცხლი, 1 ბრინჯაო. 1992 — 1 ოქრო.

**სმიტი მიშელ**. ერთ-ერთი უძლიერესი ირლანდიელი *მოცურავე*. ატლანტის XXVI ოლიმპიურ თამაშებზე 3 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედალი



მ. სმიტი

მოიპოვა. 400მ. თავისუფალი სტილი — I, 200მ. კომპლექსური — I, 400მ. კომპლექსური — I, 200მ. ბატერფლაი — III.

**სოლიდარობა ოლიმპიური**. სოკ-ის სპეციალური პროგრამა, რომლის ძირითადი დებულებები მიიღო სოკ-ის საგანგებო კომიტეტმა (1978). ოლიმპიური სოლიდარობის მიზანია დაეხმაროს სოკ-ის მიერ აღიარებულ ეოკ-ებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც ამგვარ დახმარებას ყველაზე მეტად საჭიროებს. დახმარება ხორციელდება სოკ-ისა და ეოკ-ის მიერ შედგენილი ერთობლივი პროგრამით, რომელსაც ხელმძღვანელობს სოლიდარობის კომისია და თავმჯდომარეობს სოკ-ის პრეზიდენტი.

ოლიმპიური სოლიდარობა ხელს უწყობს ოლიმპიზმის პოპულარიზაციას სტიპენდიების მეშვეობით, სპორტსმენთა და მწვრთნელთა ტექნიკური ცოდნის გაღრმავებას, სპორტის ადმინისტრაციულ მუშაკთა მომზადებას, საერთაშორისო ოლიმპიურ აკადემიასთან, ოლიმპიური განათლებისა და პროგრამების კომისიებთან, აგრეთვე მსგავს ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

**სოლომონის კუნძულები**. სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულებზე წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, ახალი გვინეის აღმოსავლეთით. ყველაზე დიდი კუნძულები — სან-კრისტობალი, გუადალკანალი, მალაიტა, სანტა-ისაბელი, ნიუ-ჯორჯია, შუაზიოლი. საერთო ტერიტორია — 27556 კვ. კმ. მოსახლეობა 400 ათასი, ძირითადად — მელანეზიელები. დედაქალაქი — ხონიარა (36 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1983 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

**სოლტ-ლეიკ-სიტი**. იუტას შტატის (აშშ) დედაქალაქი. მოსახლეობა — 1,4 მლნ. ზღვის დონიდან — 1305 მ. 2002 წლის ზამთრის XIX ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად აირჩიეს ბუდაპეშტში 1995 წლის 16 ივნისს გამართულ სოკ-ის 104-ე კონგრესზე.

**სომალი**. სახელმწიფო ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 637,7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 9,3 მლნ. აქედან 95 % — სომალელები. ცხოვრობენ აგრეთვე რამდენიმე ათასი ევროპელები, ძირითადად იტალიელები, ასევე არაბები და ინდოელები. დედაქალაქი — მოგადიშო (800 ათასი). 1972 წელს შემოიღეს სომალური ენის დამწერლობა, რომელიც აღიარებულია ოფიციალურ ენად. 1975 წლიდან მეორე სახელმწიფო ენაა — არაბული. რელიგია — ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1959 წელს, 1972 წლიდან სოკ-ის წევრია.

**სომხეთი**. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა. ამჟამად დამოუკიდებელი ქვეყანა. მდებარეობს კავკასიაში. ტერიტორია — 29,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3,3 მლნ. დედაქალაქი — ერევანი. ოფიციალური ენა — სომხური.

სომეხმა სპორტსმენებმა საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად 1952-1988 წლების ყველა ოლიმპიურ თამაშებში (გარდა 1984 წლისა) იასპარეზეს და 13 ოქროს, 10 ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ბარსელონაში (1992) სომხები გაერთიანებულ გუნდში იყვნენ და 3 ოქროს მედალი მიიღეს (პირად შეჯიბრებაში).

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1990 წელს, სოკ-მა აღიარა 1993 წელს. სომხეთი დამოუკიდებლად მონაწილეობდა ლილეჰამერისა (1994) და ატლანტის (1996) ოლიმპიურ თამაშებში.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1996 | 1 | 1 | | 2 |
| სულ | 1 | 1 | | 2 |

**სოფელი ოლიმპიური**. შენობათა კომპლექსი, რომელშიც ცხოვრობენ ოლიმპიადის მონაწილენი და მათი თანმხლები პირნი. საცხოვრებელ კორპუსთა გარდა, კომპლექსში შედის დამხმარე ნაგებობები — კულტურული, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრები, savarჯიშო მოედნები, აუზები, დარბაზები, სტადიონები და ა. შ. ოლიმპიური სოფლის უმთავრესი დანიშნულებაა ოლიმპიელთა, დელეგაციების ხელმძღვანელთა და სხვა წევრთა თავმოყრა და ერთნაირი პირობებით უზრუნველყოფა. სოფელი, როგორც წესი, ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე, სულ მცირე, ორი კვირით ადრე უნდა ამოქმედდეს და თამაშების დამთავრებიდან სამი დღის შემდეგ დაიხუროს.



პირველი ოლიმპიური სოფელი. პარიზი, 1924 წ.

დელეგაციების ხელმძღვანელთა და სხვა წევრთა რაოდენობას სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო განსაზღვრავს. მათმა საერთო რიცხვმა


სოფტბოლი

ოლიმპიური სოფლის ბინადარ სპორტსმენთა 50% არ უნდა გადააჭარბოს, დელეგაციათა ცხოვრების, კვებისა და სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი კისრულობს. სპორტის რომელიმე სახეობაში შეჯიბრების სხვა ქალაქში გადატანის შემთხვევაში, მასვე ევალება მონაწილეთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

ოლიმპიური სოფელი, შესაძლებლობის ფარგლებში, ახლოს უნდა იყოს განლაგებული მთავარ სპორტულ ნაგებობასთან — ოლიმპიურ სტადიონთან. პირველ ოლიმპიადებზე დელეგაციები დაბინავების საკითხებს თვითონვე აგვარებდნენ. 1924 პარიზში (VIII თამაშები) სპორტსმენები მოათავსეს ხის შენობებში, რომლებსაც „ოლიმპიური სოფელი" ეწოდა. 1932 ლოს-ანჯელესის თამაშების (X ოლიმპიადა) ორგანიზატორებმა სტადიონის მახლობლად სპეციალურად ააშენეს საცხოვრებელი სახლები და ოლიმპიადის ყველა მონაწილე ერთად დააბინავეს. ასე ჩაეყარა საფუძველი ოლიმპიური სოფლების მშენებლობას.

**სოფტბოლი**. სპორტის ამ სახეობის ოლიმპიური დებიუტი შედგა 1996 წელს ატლანტაში. თამაშობენ ქალები. პირველი ოლიმპიური გამარჯვება მოიპოვა აშშ-ს ნაკრებმა.


სოლომონის კუნძულების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა


სომალის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



სომხეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ISF

სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 1 | - | - | 1 |
| ჩინეთი | - | 1 | - | 1 |
| ავსტრალია | - | - | 1 | 1 |
| სულ | 1 | 1 | 1 | 3 |



მ. სპიტცი

**სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაცია** (ISF). აერთიანებს 103 ქვეყნის ეროვნულ ორგანიზაციას. 1991 წლიდან აღიარებულია სოკ-ის მიერ. შტაბ-ბინა მდებარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში (ოკლაჰომა). პრეზიდენტია დონ ე. პორტერი.

**სპინქსი ლეონ.** დ. 11. 7. 1953 სენტ-ლუისში, მისურის შტატი, აშშ. *კრივი.* 1976 მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ქვემძიმე წონაში. პანამერიკული თამაშების ვერცხლის პრიზიორი (1975). მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი მძიმე წონაში პროფესიონალთა შორის (1978 თებერვალი-სექტემბერი). 15-რაუნდიან ბრძოლაში დაამარცხა მოჰამედ ალი, რომელმაც სექტემბერში მოიგო მატჩ-რევანში და დაიბრუნა ტიტული.



სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის I კონგრესის დელეგატები. პარიზი, 1924 წ.

**სპინქსი მაიკლ.** დ. 22. 7. 1956 სენტ-ლუისში, მისურის შტატი, აშშ. *კრივი.* ლეონ სპინქსის უმცროსი ძმა. 1976 მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მეორე საშუალო წონაში.

**სპიტცი მარკ.** დ. 10. 2. 1950 მოდესტოში, კალიფორნიის შტატი, აშშ. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო *მოცურავე.* თამაშების ისტორიაში უნიკალური რეკორდის ავტორი. ერთ ოლიმპიადაზე შვიდი ოქროს მედალი მოიპოვა. სულ კი, ორი ოლიმპიადის ჯამში ცხრა უმაღლეს ჯილდოს ფლობდა.

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები. ჩემპიონი გახდა ესტაფეტებში 4X100 და 4X200 მმ თავისუფალი სტილით.

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები. ოქროს მედლები მოიპოვა თავისუფალი სტილით 100 მ (51,22) და 200 მ (1.52,78) ცურვაში, ბატერფლაით 100 მ (54,27) და 200 მ (2.00,70) დისტანციებზე, აგრეთვე, სამ ესტაფეტაში — 4X100 და 4X200 მმ თავისუფალი სტილით და 4X100 მ კომბინირებულში. 20-ჯერ აქვს გაუმჯობესებული მსოფლიოს რეკორდები (100, 200 და 400 მ. თავისუფალი სტილით, 100 და 200 მმ ბატერფლაით). პირველი რეკორდი დაამყარა 1967-ში, ბოლო 1972-ში.

**სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო** (CAS). ექვემდებარება სპორტის საერთაშორისო საარბიტრაჟო საბჭოს. ჩამოყალიბდა 1983 წელს, აერთიანებს 37 ქვეყნის 150 წარმომადგენელ-მოსამართლეს. განიხილავს და აგვარებს სპორტის სფეროში წამოჭრილ საკამათო საკითხებს, გამოაქვს საარბიტრაჟო განაჩენი. ოლიმპიური თამაშების პერიოდში ყალიბდება დამატებითი სასამართლოები, რომლებსაც განაჩენი გამოაქვთ 24 საათის განმავლობაში.

ძირითადი ოფისი ლოზანაშია (შვეიცარია), 1996 წლიდან ამოქმედდა სიდნეის (ავსტრალია) და დენვერის (აშშ) სასამართლოები. სამუშაო ენა — ფრანგული და ინგლისური.

**სპორტის უმაღლესი საბჭო აფრიკაში** (CSSA). შეიქმნა სპორტის ხელმძღვანელთა გენერალურ ასამბლეაზე ბრაზავილში (1965). წარმოადგენს სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, ვინაიდან აერთიანებს სპორტის ხელმძღვანელ (სამთავრობო) ეროვნულ ორგანოებს. თავის საქმიანობას აფრიკის 7 ზონაში ახორციელებს. ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. შტაბ-ბინა მდებარეობს ქალაქ იაუნდეში (კამერუნი). მიზანია ხელი შეუწყოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას აფრიკის ქვეყნებში.

**სპორტული მედიცინის საერთაშორისო ფედერაცია** (FIMS). შეიქმნა 1928-ში შვეიცარიის საკურორტო ქალაქ სანკტ-მორიცში. აერთიანებს სპორტული მედიცინის ეროვნულ ორგანიზაციებს. ოფიციალური ენებია: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, პოლონური და რუსული. FIMS აღიარებულია სოკ-ის მიერ. უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელსაც 4 წელიწადში ერთხელ იწვევენ ოლიმპიური თამაშების ქალაქში.

**სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაცია** (AIPS). შეიქმნა 1924 წელს პარიზში. დამფუძნებელი ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია და შვეიცარია. აერთიანებს პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტ-

თა ეროვნულ ასოციაციებს და მათს კონტინენტურ ორგანიზაციებს. აღიარებულია სოკ-ის და მრავალი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის მიერ. AIPS-ის პრეზიდენტი, როგორც წევრი, შედის სოკ-ის პრესის კომისიის შემადგენლობაში. ოფისი და სამდივნო ბუდაპეშტშია.



ანტიკური ოლიმპიური სტადიონი



AIPS-ის პრეზიდენტი თ. ბაიათლი

AIPS-ის მიზნებია პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტთა თავმოყრა, მათი ეთიკური და პროფესიული ინტერესების დაცვა, კოლეგებს შორის თანამშრომლობისა და სოლიდარობის სულისკვეთების დამკვიდრება, ჟურნალისტთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება. ხელმძღვანელი ორგანოებია კონგრესი და საგანგებო კონგრესი, აღმასკომი, ბიურო, საგნობრივი კომისიები. კონგრესი იმართება ყოველწლიურად. ოთხ წელიწადში ერთხელ კონგრესი ირჩევს AIPS-ის ხელმძღვანელებს, აღმასრულებელ ორგანოს წევრებს, საჭიროების შემთხვევაში — საპატიო წევრებს.

AIPS-ი 130 ქვეყანას და 25 ათასამდე პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტს აერთიანებს. ისინი სარგებლობენ საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე აკრედიტაციის უპირატესი უფლებით. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია AIPS-ის წევრი გახდა 1991 წელს. სსჟა-ს პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი არჩეულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კომისიის წევრად.

AIPS-ი გამოსცემს სპეციალურ ბიულეტენს („AIPS NEWS") და ილუსტრირებულ ჟურნალს („International Sport").

**სტადია**. სტადიონის სარბიელის სიგრძე ძველ საბერძნეთში. უდრის 192,27 მეტრს.

**სტადიოდრომი**. ძველბერძნულ ოლიმპიადებზე მძლეოსანთა შეჯიბრების პროგრამის ერთ-ერთი სახეობა, სახელდობრ — რბენა ერთ სტადიაზე.

**სტადიონი ანტიკური**. სარბიელი სპორტსმენებისთვის და მაყურებლებისთვის, რომელზეც ოლიმპიური თამაშები იმართებოდა. ასეთი სტადიონები იყო ოლიმპიაში, ათენში, დელფოში და სხვ. ანტიკური ოლიმპიური სტადიონი წარმოადგენდა სწორკუთხედ (ან ნალისებრ) ნაგებობას. მაყურებლებისთვის განკუთვნილ ტრიბუნებზე ზოგან 50 ათასი კაცი ეტეოდა. ოლიმპიის სტადიონი, ფაქტობრივად, ნახევრად ოვალი იყო. მისი არენა დაახლოებით 213X29 მეტრს შეადგენდა.

**სტადიონი ოლიმპიური**. უნივერსალური სპორტული ნაგებობა — ოლიმპიადის მთავარი სარბიელი. აქ იმართება ოლიმპიური თამაშების გახსნისა და დახურვის საზეიმო ცერემონიალები, მძლეოსანთა შეჯიბრებები, სხვადასხვა ღონისძიებები. 1896 ათენის I ოლიმპიური თამაშებისთვის ანტიკური სტადიონის ნანგრევებზე აშენდა ახალი ნაგებობა. თავისი დროისთვის სანიმუშო ოლიმპიური სტადიონები მოეწყო ლონდონში,



ტოკიოს ოლიმპიური სტადიონი

სტოკჰოლმში, პარიზში, ამსტერდამში, ლოს-ანჯელესში, ბერლინში, ჰელსინკში, მელბურნში, რომში და ოლიმპიადების სხვა დედაქალაქებში. თავდაპირველად იყენებდნენ სპეციალურად რეკონსტრუირებულ ნაგებობებს, ბოლო პერიოდში კი მეტწილად ახალ ოლიმპიურ სტადიონებს აშენებენ — უახლესი სამშენებლო მასალებით და ტექნოლოგიით.

სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის ემბლემა



1908 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების სამახსოვრო მედალი




მეფე გეორგი ჯილდოებს გადასცემს I ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულებს. ათენი, 1896 წ.

**სტატისტიკა ოლიმპიური**. ამ ბლოკში გაერთიანდა სამი სახის სტატისტიკური მასალა: 1. ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების შედეგთა ცხრილები; 2. ყველა ოლიმპიური თამაშების ჯამური ცხრილები; 3. ზოგადი სტატისტიკა.

აქ თაემოყრილია ზაფხულისა და ზამთრის ყველა ოლიმპიადის ძირითადი მონაცემები — გამართვის დრო და ადგილი, მონაწილე ქვეყანათა და სპორტსმენთა რაოდენობა, მედლების განაწილების საბოლოო ცხრილი (პირველი ათეული). ქვეყნები განლაგებულია მედლების საერთო რაოდენობის მიხედვით.



100 მ ფინალური რბენის სტარტი. ათენი, 1896 წ.

## ზაფხულის ოლიმპიადები

### I ოლიმპიური თამაშები
6-15 აპრილი
1896 წ. ათენი. საბერძნეთი.
მონაწილეობდა 14 ქვეყანა, 245 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 10 | 18 | 22 | 50 |
| აშშ | 11 | 7 | 1 | 19 |
| გერმანია | 6 | 5 | 2 | 13 |
| საფრანგეთი | 5 | 4 | 2 | 11 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 4 | 7 |
| დიდი ბრიტანეთი | 1 | 3 | 2 | 6 |
| დანია | 1 | 2 | 3 | 6 |
| ავსტრია | 2 | 1 | 2 | 5 |
| შვეიცარია | 1 | 2 | - | 3 |
| ავსტრალია | 2 | - | - | 2 |

### II ოლიმპიური თამაშები
14 მაისი — 28 ოქტომბერი
1900 წ. პარიზი. საფრანგეთი
მონაწილეობდა 19 ქვეყანა, 1078 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 26 | 37 | 32 | 95 |
| აშშ | 18 | 14 | 15 | 47 |
| დიდი ბრიტანეთი | 16 | 6 | 8 | 30 |
| ბელგია | 6 | 5 | 5 | 16 |
| შვეიცარია | 6 | 1 | 1 | 8 |
| გერმანია | 3 | 2 | 2 | 7 |
| ავსტრალია | 2 | - | 4 | 6 |
| დანია | 1 | 3 | 2 | 6 |
| უნგრეთი | 1 | 3 | 2 | 6 |
| ნიდერლანდები | 1 | 2 | 3 | 6 |

### III ოლიმპიური თამაშები
1 ივლისი — 23 ნოემბერი
1904 წ. სენტ-ლუისი. აშშ
მონაწილეობდა 13 ქვეყნის 689 სპორტსმენი




სენტ-ლუისის ოლიმპიური თამაშების სამახსოვრო მედალი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 78 | 84 | 82 | 244 |
| გერმანია | 4 | 4 | 4 | 12 |
| კანადა | 4 | 1 | 1 | 6 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| კუბა | 3 | - | - | 3 |
| ავსტრია | 1 | 1 | 1 | 3 |
| დიდი ბრიტ.-ირლ. | 1 | 1 | - | 2 |
| საბერძნეთი | 1 | - | 1 | 2 |
| შვეიცარია | 1 | - | 1 | 2 |
| კუბა-აშშ | 1 | - | - | 1 |

### IV ოლიმპიური თამაშები

27 აპრილი — 31 ოქტომბერი

**1908 წ. ლონდონი. დიდი ბრიტანეთი**

მონაწილეობდა 22 ქვეყნის 2035 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| დიდი ბრიტანეთი | 53 | 44 | 35 | 132 |
| აშშ | 23 | 12 | 12 | 47 |
| შვეცია | 7 | 5 | 10 | 22 |
| საფრანგეთი | 5 | 5 | 9 | 19 |
| კანადა | 3 | 3 | 10 | 16 |
| გერმანია | 2 | 4 | 5 | 11 |
| უნგრეთი | 3 | 4 | 2 | 9 |
| დიდი ბრიტ.-ირლ. | 2 | 5 | 1 | 8 |
| ნორვეგია | 2 | 3 | 3 | 8 |
| ბელგია | 1 | 5 | 2 | 8 |




სტოკჰოლმის ოლიმპიური თამაშების პლაკატი

### V ოლიმპიური თამაშები

5 მაისი — 27 ივლისი

**1912 წ. სტოკჰოლმი. შვეცია**

მონაწილეობდა 28 ქვეყნის 2437 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| შვეცია | 23 | 24 | 17 | 64 |
| აშშ | 25 | 18 | 20 | 63 |
| დიდი ბრიტანეთი | 10 | 15 | 16 | 41 |
| ფინეთი | 9 | 8 | 9 | 26 |
| გერმანია | 5 | 13 | 7 | 25 |
| საფრანგეთი | 7 | 4 | 3 | 14 |
| დანია | 1 | 6 | 5 | 12 |
| ნორვეგია | 3 | 2 | 5 | 10 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 3 | 8 |
| კანადა | 3 | 2 | 2 | 7 |

### VII ოლიმპიური თამაშები

20 აპრილი — 12 სექტემბერი

**1920 წ. ანტვერპენი. ბელგია**

მონაწილეობდა 29 ქვეყნის 2607 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 41 | 26 | 26 | 93 |
| შვეცია | 17 | 19 | 25 | 61 |
| დიდი ბრიტანეთი | 14 | 15 | 12 | 41 |
| საფრანგეთი | 9 | 19 | 13 | 41 |
| ბელგია | 13 | 11 | 11 | 35 |
| ფინეთი | 14 | 10 | 9 | 33 |
| ნორვეგია | 13 | 7 | 8 | 28 |
| იტალია | 13 | 5 | 5 | 23 |
| დანია | 3 | 9 | 1 | 13 |
| ნიდერლანდები | 4 | 2 | 5 | 11 |

### VIII ოლიმპიური თამაშები

4 მაისი — 27 ივლისი

**1924 წ. პარიზი. საფრანგეთი (აფროსანთა რეგატა — ჰავრში)**

მონაწილეობდა 44 ქვეყნის 2972 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 45 | 27 | 27 | 99 |
| საფრანგეთი | 13 | 15 | 10 | 38 |
| ფინეთი | 14 | 13 | 10 | 37 |
| დიდი ბრიტანეთი | 9 | 13 | 12 | 34 |
| შვეცია | 4 | 13 | 12 | 29 |
| შვეიცარია | 7 | 8 | 10 | 25 |
| იტალია | 8 | 3 | 5 | 16 |
| ბელგია | 3 | 7 | 3 | 13 |
| ნორვეგია | 5 | 2 | 3 | 10 |
| ნიდერლანდები | 4 | 1 | 5 | 10 |



სოკ-ის პრეზიდენტი ა. ბაიე-ლატური აჯილდოებს გამარჯვებულებს. ამსტერდამი, 1928 წ.

### IX ოლიმპიური თამაშები

17 მაისი — 12 აგვისტო

**1928 წ. ამსტერდამი. ნიდერლანდები**

მონაწილეობდა 46 ქვეყნის 2884 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 22 | 18 | 16 | 56 |
| გერმანია | 10 | 7 | 14 | 31 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 8 | 8 | 9 | 25 |
| შვეცია | 7 | 6 | 12 | 25 |
| საფრანგეთი | 6 | 10 | 5 | 21 |
| დიდი ბრიტანეთი | 3 | 10 | 7 | 20 |
| იტალია | 7 | 5 | 7 | 19 |
| ნიდერლანდები | 6 | 9 | 4 | 19 |
| შვეიცარია | 7 | 4 | 4 | 15 |
| კანადა | 4 | 4 | 7 | 15 |



სოკ-ის პრეზიდენტი ზ. ედსტრიომი მეფე გეორგ VI წარუდგენს სოკ-ის წევრებს. ლონდონი, 1948 წ.



ლოს-ანჯელესის 1932 წ. ოლიმპიური თამაშების სამახსოვრო მედალი

### X ოლიმპიური თამაშები

30 ივლისი — 14 აგვისტო
1932 წელი. ლოს-ანჯელესი. აშშ
მონაწილეობდა 37 ქვეყნის 1333 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 41 | 32 | 30 | 103 |
| იტალია | 12 | 12 | 12 | 36 |
| ფინეთი | 5 | 8 | 12 | 25 |
| შვეცია | 9 | 5 | 9 | 23 |
| გერმანია | 3 | 12 | 5 | 20 |
| საფრანგეთი | 10 | 5 | 4 | 19 |
| იაპონია | 7 | 7 | 4 | 18 |
| დიდი ბრიტანეთი | 4 | 7 | 5 | 16 |
| უნგრეთი | 6 | 4 | 5 | 15 |
| კანადა | 2 | 5 | 8 | 15 |



ბერლინის ოლიმპიური თამაშების სამახსოვრო მედალი

### XI ოლიმპიური თამაშები

1-16 აგვისტო
1936 წ. ბერლინი. გერმანია
მონაწილეობდა 49 ქვეყნის 3936 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| გერმანია | 33 | 26 | 30 | 89 |
| აშშ | 24 | 20 | 12 | 56 |
| იტალია | 8 | 9 | 5 | 22 |
| შვეცია | 6 | 5 | 9 | 20 |
| ფინეთი | 7 | 6 | 6 | 19 |
| საფრანგეთი | 7 | 6 | 6 | 19 |
| ნიდერლანდები | 6 | 4 | 7 | 17 |
| უნგრეთი | 10 | 1 | 5 | 16 |
| იაპონია | 5 | 4 | 7 | 16 |
| შვეიცარია | 1 | 9 | 5 | 15 |

### XIV ოლიმპიური თამაშები

29 ივლისი — 14 აგვისტო
1948 წელი. ლონდონი. დიდი ბრიტანეთი
მონაწილეობდა 59 ქვეყნის 4092 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 38 | 27 | 19 | 84 |
| შვეცია | 16 | 11 | 17 | 44 |
| საფრანგეთი | 10 | 6 | 13 | 29 |
| იტალია | 8 | 12 | 9 | 29 |
| უნგრეთი | 10 | 5 | 12 | 27 |
| დიდი ბრიტანეთი | 3 | 14 | 6 | 23 |
| ფინეთი | 8 | 7 | 5 | 20 |
| შვეიცარია | 5 | 10 | 5 | 20 |
| დანია | 5 | 7 | 8 | 20 |
| ნიდერლანდები | 5 | 2 | 9 | 16 |

### XV ოლიმპიური თამაშები

19 ივლისი — 3 აგვისტო
1952 წ. ჰელსინკი. ფინეთი
მონაწილეობდა 69 ქვეყნის 5429 სპორტსმენი

სსრ კავშირის დელეგაციის შემადგენლობაში 295 სპორტსმენი იყო, მათ შორის: რსფსრ-დან — 224, უკრაინიდან — 25, საქართველოდან — 14, ესტონეთიდან — 9, ბელორუსიიდან — 6, ლიტვიდან — 6, აზერბაიჯანიდან — 5, ლატვიიდან — 3, სომხეთიდან — 2, უზბეკეთიდან — 1.

აღნიშნულ სპორტსმენებში მედლები განაწილდა ასე:

| რესპ. | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რსფსრ | 19 | 31 | 14 |
| უკრაინა | 10 | 9 | 1 |
| საქართველო | 3 | 3 | 2 |
| სომხეთი | 2 | 2 | - |
| ესტონეთი | 1 | 3 | - |
| უზბეკეთი | 1 | - | - |
| ლიტვა | - | 3 | - |
| აზერბაიჯანი | - | 1 | 1 |

XV ოლიმპიადის საბოლოო შედეგები

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 40 | 19 | 17 | 76 |
| სსრ კავშირი | 22 | 30 | 19 | 71 |
| უნგრეთი | 16 | 10 | 16 | 42 |
| შვეცია | 12 | 13 | 10 | 35 |
| გფრ | - | 7 | 17 | 24 |
| ფინეთი | 6 | 3 | 13 | 22 |
| იტალია | 8 | 9 | 4 | 21 |
| საფრანგეთი | 6 | 6 | 6 | 18 |
| შვეიცარია | 2 | 6 | 6 | 14 |
| ჩეხოსლოვაკია | 7 | 3 | 3 | 13 |

## XVI ოლიმპიური თამაშები

22 ნოემბერი — 8 დეკემბერი
1956 წ. მელბურნი. ავსტრალია
მონაწილეობდა 67 ქვეყნის 3178 სპორტსმენი

ავსტრალიაში მოქმედი კარანტინის გამო, ცხენოსანთა ოლიმპიური ტურნირი მოეწყო სტოკჰოლმში (შვეცია) 10-17 ივნისს.
მონაწილეობდა 29 ქვეყნის 159 წარმომადგენელი.

სსრ კავშირის დელეგაციის შემადგენლობაში იყო 283 სპორტსმენი, მათ შორის: რუსეთის ფედერაციიდან — 212, უკრაინიდან — 34, საქართველოდან — 10, ბელორუსიიდან — 8, ლიტვიდან — 5, ლატვიიდან — 5, სომხეთიდან — 4, ესტონეთიდან— 2, აზერბაიჯანიდან — 1, ყაზახეთიდან — 1, უზბეკეთიდან — 1.

აღნიშნულ სპორტსმენებში მედლები განაწილდა ასე:

| რესპ. | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რსფსრ | 40 | 33 | 37 |
| უკრაინა | 14 | 4 | 11 |
| სომხეთი | 4 | - | - |
| საქართველო | 2 | - | 6 |
| ლატვია | 1 | 4 | - |
| ლიტვა | - | 3 | 1 |
| აზერბაიჯანი | - | 1 | - |
| ბელორუსია | - | 1 | - |
| ესტონეთი | - | - | 1 |

XVI ოლიმპიადის საბოლოო შედეგები

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 37 | 29 | 32 | 98 |
| აშშ | 32 | 25 | 17 | 74 |
| ავსტრალია | 13 | 8 | 14 | 35 |
| უნგრეთი | 9 | 10 | 7 | 26 |
| იტალია | 8 | 8 | 9 | 25 |
| დიდი ბრიტანეთი | 6 | 7 | 11 | 24 |
| შვეცია | 8 | 5 | 6 | 19 |
| გფრ | 5 | 9 | 5 | 19 |
| იაპონია | 4 | 10 | 5 | 19 |
| ფინეთი | 3 | 1 | 11 | 15 |



მელბურნის ოლიმპიური თამაშების სამახსოვრო მედალი

## XVII ოლიმპიური თამაშები

25 აგვისტო — 11 სექტემბერი
1960 წ. რომი. იტალია
მონაწილეობდა 83 ქვეყნის 5313 სპორტსმენი

სსრ კავშირის დელეგაციის შემადგენლობაში 284 სპორტსმენი იყო, მათ შორის: რუსეთის ფედერაციიდან — 192, უკრაინიდან — 35, საქართველოდან — 16, ბელორუსიიდან — 10, ლატვიიდან — 6, ესტონეთიდან — 6, სომხეთიდან — 5, ლიტვიდან — 5, აზერბაიჯანიდან — 2, მოლდავეთიდან — 2, ყაზახეთიდან — 1, ყირგიზეთიდან — 1, ტაჯიკეთიდან — 1, თურქმენეთიდან — 1, უზბეკეთიდან — 1.

აღნიშნულ სპორტსმენთა შორის მედლები განაწილდა ასე:

| რესპ. | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რსფსრ | 38 | 32 | 30 |
| უკრაინა | 16 | 11 | 6 |
| საქართველო | 2 | 5 | 3 |
| ბელორუსია | 4 | 1 | 1 |
| სომხეთი | 1 | 2 | 1 |
| ლატვია | - | 4 | 2 |
| ლიტვა | - | 2 | - |
| აზერბაიჯანი | - | 2 | - |
| ესტონეთი | - | 2 | - |
| მოლდავეთი | - | 1 | - |
| თურქმენეთი | - | 1 | - |

XVII ოლიმპიადის საბოლოო შედეგები

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 43 | 29 | 31 | 103 |
| აშშ | 34 | 21 | 16 | 71 |
| იტალია | 13 | 10 | 13 | 26 |
| გფრ | 9 | 10 | 4 | 23 |
| ავსტრალია | 8 | 8 | 6 | 22 |
| უნგრეთი | 6 | 8 | 7 | 21 |
| პოლონეთი | 4 | 6 | 11 | 21 |
| დიდი ბრიტანეთი | 2 | 6 | 12 | 20 |
| იაპონია | 4 | 7 | 7 | 18 |
| გდრ | 2 | 9 | 5 | 16 |



ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მარათონში ა. ბიკილა




ტოკიოს ოლიმპიური თამაშების სამახსოვრო მედალი

## XVIII ოლიმპიური თამაშები

10-24 ოქტომბერი
1964 წ. ტოკიო. იაპონია
მონაწილეობდა 93 ქვეყნის 5133 სპორტსმენი

სსრ კავშირის დელეგაციის შემადგენლობაში იყო 319 სპორტსმენი, მათ შორის რუსეთის ფედერაციიდან — 206, უკრაინიდან — 34, საქართველოდან — 18, ლიტვიდან — 17, ლატვიიდან — 15, ბელორუსიიდან — 10, აზერბაიჯანიდან — 6, ესტონეთიდან — 4, უზბეკეთიდან — 3, ყირგიზეთიდან — 2, სომხეთიდან — 1, ყაზახეთიდან — 1, ტაჯიკეთიდან — 1, თურქმენეთიდან — 1.

აღნიშნულ სპორტსმენთა შორის მედლები განაწილდა ასე:

| რესპ. | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რსფსრ | 38 | 35 | 30 |
| უკრაინა | 13 | 12 | 7 |
| საქართველო | 2 | 4 | 5 |
| ლატვია | 2 | 6 | 2 |
| ბელორუსია | 3 | 1 | - |
| აზერბაიჯანი | 1 | 1 | 3 |
| სომხეთი | 1 | 1 | - |
| თურქმენეთი | 1 | - | - |
| უზბეკეთი | - | 1 | 3 |
| ლიტვა | - | 1 | - |
| ესტონეთი | - | 1 | - |



მიუნხენის ოლიმპიური სტადიონი

XVIII ოლიმპიადის საბოლოო შედეგები

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 30 | 31 | 35 | 96 |
| აშშ | 36 | 26 | 28 | 90 |
| გფრ | 7 | 11 | 13 | 31 |
| იაპონია | 16 | 5 | 8 | 29 |
| იტალია | 10 | 10 | 7 | 27 |
| პოლონეთი | 7 | 6 | 10 | 23 |
| უნგრეთი | 10 | 7 | 5 | 22 |
| ავსტრალია | 6 | 2 | 10 | 18 |
| დიდი ბრიტანეთი | 4 | 12 | 2 | 18 |
| საფრანგეთი | 1 | 8 | 6 | 15 |

## XIX ოლიმპიური თამაშები

12-27 ოქტომბერი
1968 წ. მეხიკო. მექსიკა
მონაწილეობდა 112 ქვეყნის 5498 სპორტსმენი

სსრ კავშირის დელეგაციის შემადგენლობაში იყო 313 სპორტსმენი, მათ შორის რუსეთის ფედერაციიდან — 186, უკრაინიდან — 51, ბელორუსიიდან — 15, საქართველოდან — 14, ლატვიიდან — 11, ესტონეთიდან — 8, ლიტვიდან — 7, ყაზახეთიდან — 6, უზბეკეთიდან — 5, აზერბაიჯანიდან — 3, ყირგიზეთიდან — 3, მოლდავეთიდან — 2, სომხეთიდან — 1, ტაჯიკეთიდან — 1.

აღნიშნულ სპორტსმენთა შორის მედლები განაწილდა ასე:

| რესპ. | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რსფსრ | 33 | 44 | 41 |
| უკრაინა | 14 | 10 | 8 |
| ბელორუსია | 6 | 3 | 2 |
| საქართველო | 2 | 2 | 2 |
| ყაზახეთი | 3 | 1 | - |
| ლატვია | 3 | - | - |
| აზერბაიჯანი | 2 | - | - |
| ლიტვა | 1 | 1 | 2 |
| უზბეკეთი | 1 | - | - |

XIX ოლიმპიადის საბოლოო შედეგები

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 45 | 28 | 34 | 107 |
| სსრ კავშირი | 29 | 32 | 30 | 91 |
| უნგრეთი | 10 | 10 | 12 | 32 |
| გფრ | 5 | 11 | 10 | 26 |
| იაპონია | 11 | 7 | 7 | 25 |
| გდრ | 9 | 9 | 7 | 25 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 11 | 18 |
| ავსტრალია | 5 | 7 | 5 | 17 |
| იტალია | 3 | 4 | 9 | 16 |
| საფრანგეთი | 7 | 3 | 5 | 15 |

## XX ოლიმპიური თამაშები

26 აგვისტო — 11 სექტემბერი
1972 წ. მიუნხენი. გფრ
მონაწილეობდა 121 ქვეყნის 7121 სპორტსმენი

სსრ კავშირის დელეგაციის შემადგენლობაში იყო 371 სპორტსმენი, მათ შორის რუსეთის ფედერაციიდან — 219, უკრაინიდან — 71, ბელორუსიიდან — 21, საქართველოდან — 16, ყაზახეთიდან — 9, ლიტვიდან — 8, სომხეთიდან — 6, უზბეკეთიდან — 6, ესტონეთიდან — 5, ლატვიიდან — 4, აზერბაიჯანიდან — 2, მოლდავეთიდან — 2, ყირგიზეთიდან — 1, ტაჯიკეთიდან — 1.

აღნიშნულ სპორტსმენთა შორის მედლები განაწილდა ასე:

| რესპ. | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რსფსრ | 60 | 22 | 31 |
| უკრაინა | 20 | 7 | 9 |
| ბელორუსია | 10 | 6 | 2 |
| საქართველო | 6 | 1 | 3 |
| უზბეკეთი | 3 | - | - |
| ლიტვა | 2 | 1 | - |
| ყაზახეთი | 1 | 3 | 2 |
| სომხეთი | 1 | 1 | 2 |
| აზერბაიჯანი | 1 | 1 | - |
| ესტონეთი | 1 | - | 1 |
| ტაჯიკეთი | 1 | - | - |
| ლატვია | - | 2 | 1 |

XX ოლიმპიადის საბოლოო შედეგები

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 50 | 27 | 22 | 99 |
| აშშ | 33 | 31 | 30 | 94 |
| გდრ | 20 | 23 | 23 | 66 |
| გფრ | 13 | 11 | 16 | 40 |
| უნგრეთი | 6 | 13 | 16 | 35 |
| იაპონია | 13 | 8 | 8 | 29 |
| პოლონეთი | 7 | 5 | 9 | 21 |
| ბულგარეთი | 6 | 10 | 5 | 21 |
| იტალია | 5 | 3 | 10 | 18 |
| დიდი ბრიტანეთი | 4 | 5 | 9 | 18 |




მონრეალის ოლიმპიური თამაშების პლაკატი

## XXI ოლიმპიური თამაშები

17 ივლისი — 1 აგვისტო
**1976 წ. მონრეალი. კანადა**
მონაწილეობდა 92 ქვეყნის 6043 სპორტსმენი

სსრ კავშირის დელეგაციის შემადგენლობაში იყო 410 სპორტსმენი, მათ შორის რუსეთის ფედერაციიდან — 236, უკრაინიდან — 94, ბელორუსიიდან — 21, საქართველოდან — 11, ყაზახეთიდან — 11, ლატვიიდან — 9, ლიტვიდან — 8, ესტონეთიდან — 6, უზბეკეთიდან — 4, სომხეთიდან — 3, აზერბაიჯანიდან — 3, ყირგიზეთიდან — 2, მოლდავეთიდან — 1, ტაჯიკეთიდან — 1, თურქმენეთიდან — 1.

აღნიშნულ სპორტსმენთა შორის მედლები განაწილდა ასე:

| რესპ. | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რსფსრ | 60 | 56 | 40 |
| უკრაინა | 27 | 22 | 22 |
| ბელორუსია | 7 | 5 | 5 |
| ყაზახეთი | 7 | 2 | - |
| საქართველო | 3 | 1 | 2 |
| ლიტვა | 2 | 2 | 3 |
| ლატვია | 2 | 2 | 3 |
| აზერბაიჯანი | 2 | 1 | - |
| ესტონეთი | 1 | - | - |
| უზბეკეთი | - | 1 | 1 |
| მოლდავეთი | - | 1 | - |
| სომხეთი | - | - | 1 |
| ტაჯიკეთი | - | - | 1 |

XXI ოლიმპიადის საბოლოო შედეგები

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 49 | 41 | 35 | 125 |
| აშშ | 34 | 35 | 25 | 94 |
| გდრ | 40 | 25 | 25 | 90 |
| გფრ | 10 | 12 | 17 | 39 |
| რუმინეთი | 4 | 9 | 14 | 27 |
| პოლონეთი | 7 | 6 | 13 | 26 |
| იაპონია | 9 | 6 | 10 | 25 |
| ბულგარეთი | 6 | 9 | 7 | 22 |
| უნგრეთი | 4 | 5 | 13 | 22 |
| კუბა | 6 | 4 | 3 | 13 |

## XXII ოლიმპიური თამაშები

19 ივლისი — 3 აგვისტო
**1980 წ. მოსკოვი. სსრ კავშირი**
(აფროსანთა რეგატა — ტალინი)
მონაწილეობდა 80 ქვეყნის 5283 სპორტსმენი

სსრ კავშირის დელეგაციაში იყო 492 სპორტსმენი, მათ შორის რუსეთის ფედერაციიდან — 252, უკრაინიდან — 92, ბელორუსიიდან — 38, ყაზახეთიდან — 19, საქართველოდან — 16, ლიტვიდან — 15, უზბეკეთიდან — 14, ლატვიიდან — 13, სომხეთიდან — 9, ესტონეთიდან — 8, ყირგიზეთიდან — 6, აზერბაიჯანიდან — 5, მოლდავეთიდან — 3, ტაჯიკეთიდან — 2.

აღნიშნულ სპორტსმენთა შორის მედლები განაწილდა ასე:



მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების სახეიმო დახურვის ცერემონიალი




მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ემბლემა

| რესპ. | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რსფსრ | 98 | 73 | 65 |
| უკრაინა | 41 | 19 | 17 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ბელორუსია | 13 | 9 | 9 |
| ყაზახეთი | 6 | 3 | 7 |
| ლიტვა | 6 | 1 | 3 |
| ლატვია | 4 | 7 | 2 |
| ყირგიზეთი | 4 | 1 | 1 |
| უზბეკეთი | 3 | 5 | 5 |
| საქართველო | 3 | 4 | 5 |
| სომხეთი | 2 | 2 | 2 |
| ესტონეთი | 2 | 1 | 1 |
| ტაჯიკეთი | 2 | - | 1 |
| აზერბაიჯანი | 1 | 3 | 1 |
| მოლდავეთი | 1 | - | - |

XXII ოლიმპიადის საბოლოო შედეგები

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 80 | 69 | 46 | 195 |
| გდრ | 47 | 37 | 42 | 126 |
| ბულგარეთი | 8 | 16 | 17 | 41 |
| უნგრეთი | 7 | 10 | 15 | 32 |
| პოლონეთი | 3 | 14 | 15 | 32 |
| რუმინეთი | 6 | 6 | 13 | 25 |
| დიდი ბრიტანეთი | 5 | 7 | 9 | 21 |
| კუბა | 8 | 7 | 5 | 20 |
| იტალია | 8 | 3 | 4 | 15 |
| საფრანგეთი | 6 | 5 | 3 | 1 |



ათლანტის ოლიმპიური თამაშების სამახსოვრო მედალი



ოლიმპიური თამაშების ცხრაგზის ჩემპიონი კ. ლუისი

## XXIII ოლიმპიური თამაშები

28 ივლისი — 12 აგვისტო
1984 წ. ლოს-ანჯელესი. აშშ
მონაწილეობდა 140 ქვეყნის 6802 სპორტსმენი

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 83 | 61 | 31 | 175 |
| გფრ | 17 | 19 | 23 | 59 |
| რუმინეთი | 20 | 16 | 17 | 53 |
| კანადა | 10 | 18 | 16 | 44 |
| დიდი ბრიტანეთი | 5 | 11 | 21 | 37 |
| ჩინეთი | 15 | 8 | 9 | 32 |
| იტალია | 14 | 6 | 12 | 32 |
| იაპონია | 10 | 8 | 14 | 32 |
| საფრანგეთი | 5 | 7 | 16 | 28 |
| ავსტრალია | 4 | 8 | 12 | 24 |

## XXIV ოლიმპიური თამაშები

17 სექტემბერი — 2 ოქტომბერი
1988 წ. სეული. სამხრეთ კორეა
მონაწილეობდა159 ქვეყნის 8473 სპორტსმენი

სსრ კავშირის დელეგაციაში იყო 507 სპორტსმენი, მათ შორის რუსეთის ფედერაციიდან — 252, უკრაინიდან — 94, ბელორუსიიდან — 50, ყაზახეთიდან — 25, ლიტვიდან — 22, საქართველოდან — 16, ლატვიიდან — 10, უზბეკეთიდან — 9, ესტონეთიდან — 9, აზერბაიჯანიდან — 7, სომხეთიდან — 7, ყირგიზეთიდან — 3, მოლდავეთიდან — 3.

აღნიშნულ სპორტსმენთა შორის მედლები განაწილდა ასე:

| *რესპ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* |
|---|---|---|---|
| რსფსრ | 64 | 35 | 41 |
| უკრაინა | 22 | 8 | 21 |
| ბელორუსია | 17 | 3 | 9 |
| ყაზახეთი | 8 | 4 | 2 |
| ლიტვა | 7 | 3 | 1 |
| ლატვია | 7 | 1 | - |
| საქართველო | 5 | 2 | 5 |
| უზბეკეთი | 3 | 2 | - |
| მოლდავეთი | 3 | - | - |
| ესტონეთი | 2 | 2 | 1 |
| სომხეთი | 2 | 2 | 1 |
| აზერბაიჯანი | 2 | - | 1 |

XXIV ოლიმპიადის საბოლოო შედეგები

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 55 | 31 | 46 | 132 |
| გდრ | 37 | 35 | 30 | 102 |
| აშშ | 36 | 31 | 27 | 94 |
| გფრ | 11 | 14 | 15 | 40 |
| ბულგარეთი | 10 | 12 | 13 | 35 |
| კორეა | 12 | 10 | 11 | 33 |
| ჩინეთი | 5 | 11 | 12 | 28 |
| რუმინეთი | 7 | 11 | 6 | 24 |
| დიდი ბრიტანეთი | 5 | 10 | 9 | 24 |
| უნგრეთი | 11 | 6 | 6 | 23 |

## XXV ოლიმპიური თამაშები

25 ივლისი — 9 აგვისტო
1992 წ. ბარსელონა. ესპანეთი
მონაწილეობდა 169 ქვეყნის 9368 სპორტსმენი

საბჭოთა კავშირის ნაცვლად თამაშებში გამოდიოდა ე. წ. გაერთიანებული გუნდი.

გაერთიანებული გუნდის შემადგენლობაში იყო 482 სპორტსმენი, მათ შორის რუსეთიდან — 274, უკრაინიდან — 80, ბელორუსიიდან — 54, ყაზახეთიდან — 19, უზბეკეთიდან — 17, საქართველოდან — 4, ტაჯიკეთიდან — 3, ყირგიზეთიდან — 3, თურქმენეთიდან — 1.



1996 წ. ოლიმპიური ჩემპიონი კალათბურთში — აშშ-ის ეროვნული ნაკრები

ალნიშნულ სპორტსმენთა შორის მედლები განაწილდა ასე:

| რესპ. | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რუსეთი | 48 | 40 | 43 |
| უკრაინა | 17 | 12 | 9 |
| ბელორუსია | 18 | 5 | 6 |
| საქართველო | 3 | - | 5 |
| უზბეკეთი | 3 | 1 | •1 |
| ყაზახეთი | 1 | 2 | 2 |
| მოლდოვა | 1 | 2 | 2 |
| სომხეთი | 3 | - | - |
| აზერბაიჯანი | 2 | - | 1 |
| ტაჯიკეთი | 1 | - | - |
| ყირგიზეთი | 1 | - | - |

XXV ოლიმპიადის საბოლოო შედეგები

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| გაერთ. გუნდი | 45 | 38 | 29 | 112 |
| აშშ | 37 | 34 | 37 | 108 |
| გერმანია | 33 | 21 | 28 | 82 |
| ჩინეთი | 16 | 22 | 16 | 54 |
| კუბა | 14 | 6 | 11 | 31 |
| უნგრეთი | 11 | 12 | 7 | 30 |
| კორეა | 12 | 5 | 12 | 29 |
| საფრანგეთი | 8 | 5 | 16 | 29 |
| ავსტრალია | 7 | 9 | 11 | 27 |
| ესპანეთი | 13 | 7 | 2 | 22 |

### XXVI ოლიმპიური თამაშები

19 ივლისი — 4 აგვისტო
1996 წ. ატლანტა. აშშ
მონაწილეობდა 197 ქვეყნის 10332 სპორტსმენი

ეს იყო მრავალმხრივ გამორჩეული, საიუბილეო ოლიმპიური თამაშები, რომელშიც, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, პირველად წარსდგა საქართველოს დელეგაცია. ჩვენმა ოლიმპიელებმა ატლანტაში ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 44 | 32 | 25 | 101 |
| გერმანია | 20 | 18 | 27 | 65 |
| რუსეთი | 26 | 21 | 16 | 63 |
| ჩინეთი | 16 | 22 | 12 | 50 |
| ავსტრალია | 9 | 9 | 23 | 41 |
| საფრანგეთი | 15 | 7 | 15 | 37 |
| იტალია | 13 | 10 | 12 | 35 |
| კორეა | 7 | 15 | 5 | 27 |
| კუბა | 9 | 8 | 8 | 25 |
| უკრაინა | 9 | 2 | 12 | 23 |

## ზამთრის ოლიმპიადები

### I ოლიმპიური თამაშები

25 იანვარი — 5 თებერვალი .
1924 წ. შამონი. საფრანგეთი
მონაწილეობდა 16 ქვეყნის 258 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 4 | 7 | 6 | 17 |
| ფინეთი | 4 | 3 | 3 | 10 |
| აშშ | 1 | 2 | 1 | 4 |
| ავსტრია | 2 | 1 | - | 3 |
| დიდი ბრიტანეთი | - | 1 | 2 | 3 |
| შვეიცარია | 1 | - | 1 | 2 |
| კანადა | 1 | - | - | 1 |
| შვეცია | 1 | - | - | 1 |
| ბელგია | - | - | 1 | 1 |
| საფრანგეთი | - | - | 1 | 1 |



შამონის ოლიმპიური თამაშების მედალი



ზამთრის I ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალი. შამონი, 1924 წ.

### II ოლიმპიური თამაშები

11-19 თებერვალი
1928 წ. სანქტ-მორიცი. შვეიცარია
მონაწილეობდა 25 ქვეყნის 464 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 6 | 4 | 5 | 15 |
| აშშ | 2 | 2 | 2 | 6 |
| შვეცია | 2 | 2 | 1 | 5 |
| ფინეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| ავსტრია | - | 3 | 1 | 4 |
| კანადა | 1 | - | - | 1 |
| საფრანგეთი | 1 | - | - | 1 |
| ბელგია | - | - | 1 | 1 |
| გერმანია | - | - | 1 | 1 |
| დიდი ბრიტანეთი | - | - | 1 | 1 |
| შვეიცარია | - | - | 1 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | - | - | 1 | 1 |



1936 წ. ოლიმპიადაზე 50 კმ რბოლაში I-IV ადგილები შვედმა მოთხილამურეებმა დაიკავეს (მარცხნიდან): ე. ვიკლანდი (I), ა. ვიკსტრომი (II), ნ. ინგლანდი (III), კ. ბერგსტრომი (IV)



ზამთრის III ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალი. ლეიკ-პლესიდი, 1932 წ.

## III ოლიმპიური თამაშები

4-15 თებერვალი
1932 წ. ლეიკ-პლესიდი. აშშ
მონაწილეობდა 17 ქვეყნის 252 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 6 | 4 | 2 | 12 |
| ნორვეგია | 3 | 4 | 3 | 10 |
| კანადა | 1 | 1 | 5 | 7 |
| შვეცია | 1 | 2 | - | 3 |
| ფინეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| ავსტრია | 1 | 1 | - | 2 |
| გერმანია | - | - | 2 | 2 |
| საფრანგეთი | 1 | - | - | 1 |
| შვეიცარია | - | 1 | - | 1 |
| უნგრეთი | - | - | 1 | 1 |

## IV ოლიმპიური თამაშები

6-16 თებერვალი
1936 წ. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია
მონაწილეობდა 28 ქვეყნის 668 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 7 | 5 | 3 | 15 |
| შვეცია | 2 | 2 | 3 | 7 |
| გერმანია | 3 | 3 | - | 6 |
| ფინეთი | 1 | 2 | 3 | 6 |
| ავსტრია | 1 | 1 | 2 | 4 |
| აშშ | 1 | - | 3 | 4 |
| შვეიცარია | 1 | 2 | - | 3 |
| დიდი ბრიტანეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| კანადა | - | 1 | - | 1 |
| უნგრეთი | - | - | 1 | 1 |
| საფრანგეთი | - | - | 1 | 1 |

## V ოლიმპიური თამაშები

30 იანვარი — 8 თებერვალი
1948 წ. სანკტ-მორიცი. შვეიცარია
მონაწილეობდა 28 ქვეყნის 669 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| შვეცია | 4 | 3 | 3 | 10 |
| ნორვეგია | 4 | 3 | 3 | 10 |
| შვეიცარია | 3 | 4 | 3 | 10 |
| აშშ | 3 | 4 | 2 | 9 |
| ავსტრია | 1 | 3 | 4 | 8 |
| ფინეთი | 1 | 3 | 2 | 6 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 2 | 5 |
| კანადა | 2 | - | 1 | 3 |
| ბელგია | 1 | 1 | - | 2 |
| დიდი ბრიტანეთი | - | - | 2 | 2 |

## VI ოლიმპიური თამაშები

14-25 თებერვალი
1952 წ. ოსლო. ნორვეგია
მონაწილეობდა 30 ქვეყნის 694 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 7 | 3 | 6 | 16 |
| აშშ | 4 | 6 | 1 | 11 |
| ფინეთი | 3 | 4 | 2 | 9 |
| ავსტრია | 2 | 4 | 2 | 8 |
| გფრ | 3 | 2 | 2 | 7 |
| შვეცია | - | - | 4 | 4 |
| ნიდერლანდები | - | 3 | - | 3 |
| იტალია | 1 | - | 1 | 2 |
| კანადა | 1 | - | 1 | 2 |
| შვეიცარია | - | - | 2 | 2 |

## VII ოლიმპიური თამაშები

26 იანვარი — 5 თებერვალი
1956 წ. კორტინა დ'ამპეცო. იტალია
მონაწილეობდა 32 ქვეყნის 820 სპორტსმენი

ოლიმპიადაში პირველად გამოვიდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტსმენები, მათ შორის საქართველოს წარმომადგენელი კობა წაქაძე.

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 7 | 3 | 6 | 16 |
| ავსტრია | 4 | 3 | 4 | 11 |
| შვეცია | 2 | 4 | 4 | 10 |
| ფინეთი | 3 | 3 | 1 | 7 |
| აშშ | 2 | 3 | 2 | 7 |
| შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 6 |
| ნორვეგია | 2 | 1 | 1 | 4 |
| იტალია | 1 | 2 | - | 3 |
| კანადა | - | 1 | 2 | 3 |
| გფრ | 1 | - | - | 1 |

### VIII ოლიმპიური თამაშები
18-28 თებერვალი
**1960 წ. სქვო-ველი. აშშ**
მონაწილეობდა 30 ქვეყნის 665 სპორტსმენი, მათ შორის — კობა ნაქაძე

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 7 | 5 | 9 | 21 |
| აშშ | 3 | 4 | 3 | 10 |
| ფინეთი | 2 | 3 | 3 | 8 |
| შვეცია | 3 | 2 | 2 | 7 |
| ნორვეგია | 3 | 3 | - | 6 |
| ავსტრია | 1 | 2 | 3 | 6 |
| გფრ | 2 | 2 | 1 | 5 |
| კანადა | 2 | 1 | 1 | 4 |
| გდრ | 2 | 1 | - | 3 |
| საფრანგეთი | 1 | - | 2 | 3 |

### IX ოლიმპიური თამაშები
29 იანვარი — 9 თებერვალი
**1964 წ. ინსბრუკი. ავსტრია**
მონაწილეობდა 36 ქვეყნის 1091 სპორტსმენი, კ. ნაქაძემ მესამედ სცადა ძალები ოლიმპიადაში

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 11 | 8 | 6 | 25 |
| ნორვეგია | 3 | 6 | 6 | 15 |
| ავსტრია | 4 | 5 | 3 | 12 |
| ფინეთი | 3 | 4 | 3 | 10 |
| საფრანგეთი | 3 | 4 | - | 7 |
| შვეცია | 3 | 3 | 1 | 7 |
| აშშ | 1 | 2 | 3 | 6 |
| გფრ | 1 | 1 | 3 | 5 |
| გდრ | 2 | 2 | - | 4 |
| იტალია | - | 1 | 3 | 4 |

### X ოლიმპიური თამაშები
6-18 თებერვალი
**1968 წ. გრენობლი. საფრანგეთი**
მონაწილეობდა 37 ქვეყნის 1158 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 6 | 6 | 2 | 14 |
| სსრ კავშირი | 5 | 5 | 3 | 13 |
| ავსტრია | 3 | 4 | 4 | 11 |
| საფრანგეთი | 4 | 3 | 2 | 9 |
| ნიდერლანდები | 3 | 3 | 3 | 9 |
| შვეცია | 3 | 2 | 3 | 8 |
| გფრ | 2 | 2 | 3 | 7 |
| აშშ | 1 | 5 | 1 | 7 |
| შვეიცარია | - | 2 | 4 | 6 |
| ფინეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| გდრ | 1 | 2 | 2 | 5 |




ტ. გუსტაფსონი (შვეცია) — სამი ოლიმპიური მედლის მფლობელი: 5 და 10 კმ — I, ესტაფეტა — II (თხილამურებით რბოლა)

### XI ოლიმპიური თამაშები
3-13 თებერვალი
**1972 წ. საპორო. იაპონია**
მონაწილეობდა 35 ქვეყნის 1006 სპორტსმენი. კობა ნაქაძესთვის ეს იყო მეოთხე ოლიმპიადა

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 8 | 5 | 3 | 16 |
| გდრ | 4 | 3 | 7 | 14 |
| ნორვეგია | 2 | 5 | 5 | 12 |
| შვეიცარია | 4 | 3 | 3 | 10 |
| ნიდერლანდები | 4 | 3 | 2 | 9 |
| აშშ | 3 | 2 | 3 | 8 |
| გფრ | 3 | 1 | 1 | 5 |
| იტალია | 2 | 2 | 1 | 5 |
| ავსტრია | 1 | 2 | 2 | 5 |
| ფინეთი | - | 4 | 1 | 5 |




საპოროს ოლიმპიური თამაშების საფოსტო მარკა

### XII ოლიმპიური თამაშები
4-15 თებერვალი

1976 წ. ინსბრუკი. ავსტრია
მონაწილეობდა 87 ქვეყნის 1123 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 13 | 6 | 8 | 27 |
| გდრ | 7 | 5 | 7 | 19 |
| აშშ | 3 | 3 | 4 | 10 |
| გფრ | 2 | 5 | 3 | 10 |
| ნორვეგია | 3 | 3 | 1 | 7 |
| ფინეთი | 2 | 4 | 1 | 7 |
| ავსტრია | 2 | 2 | 2 | 6 |
| ნიდერლანდები | 1 | 2 | 3 | 6 |
| შვეიცარია | 1 | 3 | 1 | 5 |
| იტალია | 1 | 2 | 1 | 4 |


ლ. პახომოვა, ა. გორშკოვი (სსრკ) ოლიმპიური ჩემპიონები (1976) ფიგურულ ციგურაობაში

## XIII ოლიმპიური თამაშები
13-24 თებერვალი
1980 წ. ლეიკ-პლესიდი. აშშ
მონაწილეობდა 37 ქვეყნის 1072 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| გდრ | 9 | 7 | 7 | 23 |
| სსრ კავშირი | 10 | 6 | 6 | 22 |
| აშშ | 6 | 4 | 2 | 12 |
| ნორვეგია | 1 | 3 | 6 | 10 |
| ფინეთი | 1 | 5 | 3 | 9 |
| ავსტრია | 3 | 2 | 2 | 7 |
| შვეიცარია | 1 | 1 | 3 | 5 |
| გფრ | - | 2 | 3 | 5 |
| შვეცია | 3 | - | 1 | 4 |
| ლიხტენშტეინი | 2 | 2 | - | 4 |


ი. სტენმარკი (შვეცია), ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1980) სამთო-სათხილამურო სპორტში

## XIV ოლიმპიური თამაშები
8-19 თებერვალი
1984 წ. სარაევო. იუგოსლავია
მონაწილეობდა 49 ქვეყნის 1274 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 6 | 10 | 9 | 25 |
| გდრ | 9 | 9 | 6 | 24 |
| ფინეთი | 4 | 3 | 6 | 13 |
| ნორვეგია | 3 | 2 | 4 | 9 |
| აშშ | 4 | 4 | - | 8 |
| შვეცია | 4 | 2 | 2 | 8 |
| ჩეხოსლოვაკია | - | 2 | 4 | 6 |
| შვეიცარია | 2 | 2 | 1 | 5 |
| გფრ | 2 | 1 | 1 | 4 |
| კანადა | 2 | 1 | 1 | 4 |

## XV ოლიმპიური თამაშები
13-28 თებერვალი
1988 წ. კალგარი. კანადა
მონაწილეობდა 57 ქვეყნის 1423 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 11 | 9 | 9 | 29 |
| გდრ | 9 | 10 | 6 | 25 |
| შვეიცარია | 5 | 5 | 5 | 15 |
| ავსტრია | 3 | 5 | 2 | 10 |
| გფრ | 2 | 4 | 2 | 8 |
| ფინეთი | 4 | 1 | 2 | 7 |
| ნიდერლანდები | 3 | 2 | 2 | 7 |
| შვეცია | 4 | - | 2 | 6 |
| აშშ | 2 | 1 | 3 | 6 |
| იტალია | 2 | 1 | 2 | 5 |

## XVI ოლიმპიური თამაშები
8-23 თებერვალი
1992 წ. ალბერვილი. საფრანგეთი
მონაწილეობდა 64 ქვეყნის 1801 სპორტსმენი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| გერმანია | 10 | 10 | 6 | 26 |
| გაერთ. გუნდი | 9 | 6 | 8 | 23 |
| ავსტრია | 6 | 7 | 8 | 21 |
| ნორვეგია | 9 | 6 | 5 | 20 |
| იტალია | 4 | 6 | 4 | 14 |
| აშშ | 5 | 4 | 2 | 11 |
| საფრანგეთი | 3 | 5 | 1 | 9 |
| ფინეთი | 3 | 1 | 3 | 7 |
| კანადა | 2 | 3 | 2 | 7 |
| იაპონია | 1 | 2 | 4 | 7 |

## XVII ოლიმპიური თამაშები
12-27 თებერვალი
1994 წ. ლილეჰამერი. ნორვეგია
მონაწილეობდა 67 ქვეყნის 1739 სპორტსმენი

საქართველო პირველად გამოვიდა თამაშებში დამოუკიდებელი გუნდით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: კახა ვახტანგიშვილი და ლევან თიბილოვი (ორივე — ციგაობა), კახა წაქაძე (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა), ზურაბ ჯიჯიშვილი და ლევან აბრამიშვილი (ორივე — სამთო სათხილამურო სპორტი).

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 10 | 11 | 5 | 26 |
| გერმანია | 9 | 7 | 8 | 24 |
| რუსეთი | 11 | 8 | 4 | 23 |
| იტალია | 7 | 5 | 8 | 20 |
| აშშ | 6 | 5 | 2 | 13 |
| კანადა | 3 | 6 | 4 | 13 |
| შვეიცარია | 3 | 4 | 2 | 9 |




მ. დი ჩენტა (იტალია) — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1994) თხილამურებით რბოლაში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 2 | 3 | 4 | 9 |
| კორეა | 4 | 1 | 1 | 6 |
| ფინეთი | - | 1 | 5 | 6 |

ამ ცხრილში შეტანილია *ზაფხულის თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზე (1896-1996) გათამაშებული ყველა მედალი*. ქვეყნები განლაგებულია მედლების საერთო რაოდენობის მიხედვით. თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ხარისხობრივ მაჩვენებელს: ცხრილში შესულია 1906 წლის ოლიმპიადის შედეგებიც. რაც შეეხება სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა მიერ ერთობლივად მოპოვებულ მედლებს, ცხრილში ცალკეა შეტანილი. 1908 და 1920 წლების ოლიმპიადებზე ფიგურულ სრიალსა და ყინულის ჰოკეიში გათამაშებული მედლები ზამთრის თამაშების ცხრილში აისახა. ამ და სხვა ცხრილებში ასევე არ შეგვიტანია ხელოვნების კონკურსების მედლები, რომელთა მოძიება შეიძლება ცალკე სიაში (იხ. „ხელოვნების ოლიმპიური კონკურსი", გვ. 190).

| № | ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | აშშ | 832 | 634 | 553 | 2,019 |
| 2. | სსრკ | 395 | 319 | 296 | 1,010 |
| 3. | დიდი ბრიტანეთი | 169 | 223 | 218 | 610 |
| 4. | საფრანგეთი | 175 | 179 | 206 | 560 |
| 5. | შვეცია | 132 | 151 | 174 | 457 |
| 6. | იტალია | 166 | 135 | 144 | 445 |
| 7. | გდრ | 159 | 150 | 136 | 445 |
| 8. | უნგრეთი | 142 | 129 | 155 | 426 |
| 9. | გერმანია | 124 | 121 | 134 | 379 |
| 10. | გფრ | 77 | 104 | 120 | 301 |
| 11. | ფინეთი | 99 | 80 | 113 | 292 |
| 12. | ავსტრალია | 86 | 85 | 121 | 292 |
| 13. | იაპონია | 92 | 89 | 97 | 278 |
| 14. | რუმინეთი | 63 | 77 | 99 | 239 |
| 15. | პოლონეთი | 50 | 67 | 110 | 227 |
| 16. | კანადა | 48 | 78 | 90 | 216 |
| 17. | ნიდერლანდები | 49 | 58 | 81 | 188 |
| 18. | ბულგარეთი | 43 | 76 | 63 | 182 |
| 19. | შვეიცარია | 46 | 69 | 59 | 174 |
| 20. | ჩინეთი | 52 | 63 | 49 | 164 |
| 21. | დანია | 38 | 60 | 57 | 155 |
| 22. | ჩეხოსლოვაკია | 49 | 49 | 44 | 142 |
| 23. | ბელგია | 37 | 49 | 49 | 135 |
| 24. | კორეა | 38 | 42 | 46 | 126 |
| 25. | ნორვეგია | 45 | 41 | 38 | 124 |
| 26. | საბერძნეთი | 28 | 42 | 43 | 113 |
| 27. | გაერთ. გუნდი | 45 | 38 | 29 | 112 |
| 28. | კუბა | 44 | 33 | 31 | 108 |
| 29. | იუგოსლავია | 27 | 31 | 32 | 90 |
| 30. | ავსტრია | 18 | 31 | 34 | 83 |
| 31. | ახალი ზელანდია | 39 | 12 | 29 | 70 |
| 32. | რუსეთი | 26 | 24 | 18 | 68 |
| 33. | ესპანეთი | 22 | 25 | 17 | 64 |
| 34. | თურქეთი | 30 | 16 | 13 | 59 |
| 35. | სამხრეთ აფრიკა | 19 | 18 | 21 | 58 |
| 36. | ბრაზილია | 12 | 13 | 29 | 54 |
| 37. | არგენტინა | 13 | 21 | 16 | 50 |
| 38. | კენია | 14 | 17 | 16 | 47 |
| 39. | მექსიკა | 9 | 13 | 19 | 41 |
| 40. | ირანი | 5 | 13 | 18 | 36 |
| 41. | იამაიკა | 5 | 16 | 9 | 30 |
| 42. | კსდრ | 8 | 6 | 12 | 26 |
| 43. | უკრაინა | 9 | 2 | 12 | 23 |
| 44. | ესტონეთი | 7 | 6 | 10 | 23 |
| 45. | დიდი ბრიტ.-ირლ. | 6 | 11 | 3 | 20 |
| 46. | ირლანდია | 8 | 5 | 6 | 19 |
| 47. | ეთიოპია | 8 | 1 | 7 | 16 |
| 48. | ეგვიპტე | 6 | 5 | 5 | 16 |
| 49. | ინდოეთი | 8 | 3 | 4 | 15 |
| 50. | პორტუგალია | 3 | 4 | 8 | 15 |
| 51. | ბელორუსი | 1 | 6 | 8 | 15 |
| 52. | ნიგერია | 2 | 5 | 7 | 14 |
| 53. | მონღოლეთი | - | 5 | 9 | 14 |
| 54. | ჩეხეთი | 4 | 3 | 4 | 11 |
| 55. | მაროკო | 4 | 2 | 5 | 11 |
| 56. | ყაზახეთი | 3 | 4 | 4 | 11 |
| 57. | ინდონეზია | 3 | 4 | 3 | 10 |
| 58. | პაკისტანი | 3 | 3 | 4 | 10 |
| 59. | ურუგვაი | 2 | 1 | 6 | 9 |
| 60. | ტრინიდ. და ტობ. | 1 | 2 | 6 | 9 |
| 61. | ფილიპინები | - | 2 | 7 | 9 |
| 62. | ვენესუელა | 1 | 2 | 5 | 8 |
| 63. | ჩილე | - | 6 | 2 | 8 |
| 64. | ალჟირი | 3 | - | 4 | 7 |
| 65. | ლატვია | - | 5 | 2 | 7 |
| 66. | უგანდა | 1 | 3 | 2 | 6 |
| 67. | ტუნისი | 1 | 2 | 3 | 6 |
| 68. | ტაილანდი | 1 | 1 | 4 | 6 |
| 69. | კოლუმბია | - | 2 | 4 | 6 |
| 70. | ბოჰემია | - | 1 | 5 | 6 |
| | პუერტო-რიკო | - | 1 | 5 | 6 |
| 72. | ხორვატია | 1 | 2 | 2 | 5 |
| 73. | ჩინეთის ტაიპეი | - | 3 | 2 | 5 |
| 74. | პერუ | 1 | 3 | - | 4 |

ALBERTVILLE 92

ალბერვილის ოლიმპიური თამაშების ემბლემა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 75. | ბაჰამი | 1 | 1 | 2 | 4 |
| 76. | ნამიბია | - | 4 | - | 4 |
| 77. | ლიბანი | - | 2 | 2 | 4 |
| | სლოვენია | - | 2 | 2 | 4 |
| 79. | განა | - | 1 | 3 | 4 |
| 80. | ლუქსემბურგი | 2 | 1 | - | 3 |
| 81. | სლოვაკეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 82. | ლიტვა | 1 | - | 2 | 3 |
| 83. | ისრაელი | - | 1 | 2 | 3 |
| | მალაიზია | - | 1 | 2 | 3 |
| 85. | კოსტა-რიკა | 1 | 1 | - | 2 |
| | სირია | 1 | 1 | - | 2 |
| | სომხეთი | 1 | 1 | - | 2 |
| 88. | იაპონია-კორეა | 1 | - | 1 | 2 |
| | სურინამი | 1 | - | 1 | 2 |
| 90. | ტანზანია | - | 2 | - | 2 |
| 91. | არაბ. გაერთ. რესპ. | - | 1 | 1 | 2 |
| | დიდი ბრიტ.-აშშ | - | 1 | 1 | 2 |
| | ზამბია | - | 1 | 1 | 2 |
| | ისლანდია | - | 1 | 1 | 2 |
| | კამერუნი | - | 1 | 1 | 2 |
| | მოლდოვა | - | 1 | 1 | 2 |
| | რუსეთი-ესტონეთი | - | 1 | 1 | 2 |
| | უზბეკეთი | - | 1 | 1 | 2 |
| | ჰაიტი | - | 1 | 1 | 2 |
| 100. | საქართველო | - | - | 2 | 2 |
| | ანტილია | - | - | 2 | 2 |
| | პანამა | - | - | 2 | 2 |
| 103. | ავსტრა.-ახ. ზელ. | 1 | - | - | 1 |
| | კუბა-აშშ | 1 | - | - | 1 |
| | აშშ-ირლანდია | 1 | - | - | 1 |
| | დ. ბრ.-ირლ.-გერმ. | 1 | - | - | 1 |
| | დ. ბრ.-ირლ.-აშშ | 1 | - | - | 1 |
| | ბურუნდი | 1 | - | - | 1 |
| | ეკვადორი | 1 | - | - | 1 |
| | შვეცია-დანია | 1 | - | - | 1 |
| | ზიმბაბვე | 1 | - | - | 1 |
| | ჰონგკონგი | 1 | - | - | 1 |
| 113. | აზერბაიჯანი | - | 1 | - | 1 |
| | ნიდერ. ანტილ. | - | 1 | - | 1 |
| | შრი-ლანკა | - | 1 | - | 1 |
| | კოტ-დ'ივუარი | - | 1 | - | 1 |
| | საფრან.-აშშ | - | 1 | - | 1 |
| | საფრ.-დ. ბრ.-ირლ. | - | 1 | - | 1 |
| | საბერძ.-ბელგია | - | 1 | - | 1 |
| | ვირჯ. კუნძულები | - | 1 | - | 1 |
| | სენეგალი | - | 1 | - | 1 |
| | სინგაპური | - | 1 | - | 1 |
| | სმირნა | - | 1 | - | 1 |
| | ტონგა | - | 1 | - | 1 |
| 125. | ბოჰემია-დ. ბრ. | - | - | 1 | 1 |
| | ბერმუდა | - | - | 1 | 1 |
| | დომინიკ. რესპ. | - | - | 1 | 1 |
| | დ. ბრ.-ავსტრა. | - | - | 1 | 1 |
| | საფრან.-დ. ბრ. | - | - | 1 | 1 |
| | ჯიბუტი | - | - | 1 | 1 |
| | გაიანა | - | - | 1 | 1 |
| | ერაყი | - | - | 1 | 1 |
| | მექსიკა-ესპანეთი | - | - | 1 | 1 |
| | მოზამბიკი | - | - | 1 | 1 |
| | ნიგერი | - | - | 1 | 1 |
| | კატარი | - | - | 1 | 1 |
| | შოტლანდია | - | - | 1 | 1 |
| | უელსი | - | - | 1 | 1 |
| | თესალონიკა | - | - | 1 | 1 |
| სულ | | 3,667 | 3,642 | 3,844 | 11,153 |

საქართველოს (ისევე, როგორც სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა), ამ ცხრილში 1996 წლის ატლანტის XXVI ოლიმპიადის შედეგებითაა წარმოდგენილი. 1952-92 წლებში მოპოვებული მედლები, ოფიციალურად სსრ კავშირს და გაერთიანებულ გუნდს ეთვლება.

საქართველოს ოლიმპიელებს სულ (1952-1996) მოპოვებული აქვთ 31 ოქროს, 23 ვერცხლის და 41 ბრინჯაოს მედალი, მათ შორის პირად შეჯიბრებაში 21 ოქროს, 13 ვერცხლისა და 25 ბრინჯაოს მედალი.

## [illegible]

ცხრილში შესულია *ჩვიდმეტივე ზამთრის ოლიმპიური თამაშების* (1924-1994) მედლები, რომელთა მფლობელი ქვეყნები განლაგდნენ მედლების საერთო რაოდენობის შესაბამისად. როცა ეს მაჩვენებელი თანაბარია, უპირატესობა ენიჭება მედლების ხარისხს. ცხრილი მოიცავს 1908 და 1920 ზაფხულის ოლიმპიადებზე ფიგურულ სრიალსა და ყინულის ჰოკეიში გათამაშებულ მედლებს.

| № | ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ნორვეგია | 73 | 77 | 65 | 214 |
| 2. | სსრკ | 78 | 57 | 59 | 194 |
| 3. | აშშ | 53 | 56 | 37 | 146 |
| 4. | ავსტრია | 36 | 48 | 44 | 128 |
| 5. | ფინეთი | 36 | 45 | 42 | 123 |
| 6. | გდრ | 43 | 39 | 36 | 118 |
| 7. | შვეცია | 39 | 26 | 34 | 99 |
| 8. | შვეიცარია | 27 | 29 | 29 | 85 |
| 9. | იტალია | 25 | 21 | 21 | 67 |
| 10. | კანადა | 19 | 20 | 25 | 64 |
| 11. | გერმანია | 23 | 21 | 17 | 61 |
| 12. | გფრ | 18 | 20 | 19 | 57 |
| 13. | საფრანგეთი | 16 | 16 | 21 | 53 |
| 14. | ნიდერლანდები | 14 | 19 | 17 | 50 |
| 15. | ჩეხოსლოვაკია | 2 | 8 | 16 | 26 |
| 16. | რუსეთი | 12 | 8 | 4 | 24 |
| 17. | გაერთ. გუნდი | 9 | 6 | 8 | 23 |
| 18. | დიდი ბრიტანეთი | 7 | 4 | 12 | 23 |
| 19. | იაპონია | 3 | 8 | 8 | 19 |
| 20. | კორეა | 6 | 2 | 2 | 10 |
| 21. | ლიხტენშტეინი | 2 | 2 | 5 | 9 |
| 22. | ჩინეთი | - | 4 | 2 | 6 |
| 23. | უნგრეთი | - | 2 | 4 | 6 |
| 24. | ბელგია | 1 | 1 | 2 | 4 |
| | პოლონეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| 26. | იუგოსლავია | - | 3 | 1 | 4 |
| 27. | ყაზახეთი | 1 | 2 | - | 3 |
| 28. | სლოვენია | - | - | 3 | 3 |
| 29. | ესპანეთი | 1 | - | 1 | 2 |
| | უკრაინა | 1 | - | 1 | 2 |
| 31. | ბელორუსი | - | 2 | - | 2 |
| | ლუქსემბურგი | - | 2 | - | 2 |
| 33. | კსდრ | - | 1 | 1 | 2 |
| 34. | უზბეკეთი | 1 | - | - | 1 |
| 35. | ახალი ზელანდია | - | 1 | - | 1 |
| 36. | ავსტრალია | - | - | 1 | 1 |
| | ბულგარეთი | - | - | 1 | 1 |
| | რუმინეთი | - | - | 1 | 1 |
| სულ | | 547 | 551 | 540 | 1,638 |

## [illegible]

ეს ცხრილი აერთიანებს *ზაფხულისა და ზამთრის ყველა ოლიმპიური თამაშების მედლებს*. ქვეყნები აქაც მედლების საერთო რაოდენობის შესაბამისად განაწილდნენ. ცხრილში შე-

ტანილია სოკ-ის მიერ ოფიციალურად აღიარებული 1906 წლის ოლიმპიადის მედლებიც.

| № | ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | აშშ | 885 | 690 | 590 | 2,165 |
| 2. | სსრკ | 473 | 376 | 355 | 1,204 |
| 3. | დიდი ბრიტანეთი | 176 | 227 | 230 | 633 |
| 4. | საფრანგეთი | 191 | 195 | 227 | 613 |
| 5. | გდრ | 202 | 189 | 172 | 563 |
| 6. | შვეცია | 171 | 177 | 208 | 556 |
| 7. | იტალია | 191 | 156 | 165 | 512 |
| 8. | გერმანია | 147 | 142 | 151 | 440 |
| 9. | უნგრეთი | 142 | 131 | 159 | 432 |
| 10. | ფინეთი | 135 | 125 | 155 | 415 |
| 11. | გფრ | 95 | 124 | 139 | 358 |
| 12. | ნორვეგია | 118 | 118 | 102 | 338 |
| 13. | იაპონია | 95 | 97 | 105 | 297 |
| 14. | ავსტრალია | 86 | 85 | 122 | 293 |
| 15. | კანადა | 67 | 98 | 115 | 280 |
| 16. | შვეიცარია | 73 | 98 | 88 | 259 |
| 17. | რუმინეთი | 63 | 77 | 100 | 240 |
| 18. | ნიდერლანდები | 63 | 77 | 98 | 238 |
| 19. | პოლონეთი | 51 | 68 | 112 | 231 |
| 20. | ავსტრია | 54 | 79 | 78 | 211 |
| 21. | ბულგარეთი | 43 | 76 | 64 | 183 |
| 22. | ჩინეთი | 52 | 67 | 51 | 170 |
| 23. | ჩეხოსლოვაკია | 51 | 57 | 60 | 168 |
| 24. | დანია | 38 | 60 | 57 | 155 |
| 25. | ბელგია | 38 | 50 | 51 | 139 |
| 26. | კორეა | 44 | 44 | 48 | 136 |
| 27. | გაერთ. გუნდი | 54 | 44 | 37 | 135 |
| 28. | საბერძნეთი | 28 | 42 | 43 | 113 |
| 29. | კუბა | 44 | 33 | 31 | 108 |
| 30. | იუგოსლავია | 27 | 24 | 33 | 94 |
| 31. | რუსეთი | 38 | 32 | 22 | 92 |
| 32. | ახალი ზელანდია | 29 | 13 | 29 | 71 |
| 33. | ესპანეთი | 23 | 25 | 18 | 66 |
| 34. | თურქეთი | 30 | 16 | 13 | 59 |
| 35. | სამხრეთ აფრიკა | 19 | 18 | 21 | 58 |
| 36. | ბრაზილია | 12 | 13 | 29 | 54 |
| 37. | არგენტინა | 13 | 21 | 16 | 50 |
| 38. | კენია | 14 | 17 | 16 | 47 |
| 39. | მექსიკა | 9 | 13 | 19 | 41 |
| 40. | ირანი | 5 | 13 | 18 | 36 |
| 41. | იამაიკა | 5 | 16 | 9 | 30 |
| 42. | კსდრ | 8 | 7 | 13 | 28 |
| 43. | უკრაინა | 10 | 2 | 13 | 25 |
| 44. | ესტონეთი | 7 | 6 | 10 | 23 |
| 45. | დიდი ბრიტ.-ირლ. | 6 | 11 | 3 | 20 |
| 46. | ირლანდია | 8 | 5 | 6 | 19 |
| 47. | ბელორუსი | 1 | 8 | 8 | 17 |
| 48. | ეთიოპია | 8 | 1 | 7 | 16 |
| 49. | ეგვიპტე | 6 | 5 | 5 | 16 |
| 50. | ინდოეთი | 8 | 3 | 4 | 15 |
| 51. | პორტუგალია | 3 | 4 | 8 | 15 |
| 52. | ყაზახეთი | 4 | 4 | 6 | 14 |
| 53. | ნიგერია | 2 | 5 | 7 | 14 |
| 54. | მონღოლეთი | - | 5 | 9 | 14 |
| 55. | ჩეხეთი | 4 | 3 | 4 | 11 |
| 56. | მაროკო | 4 | 2 | 5 | 11 |
| 57. | ინდონეზია | 3 | 4 | 3 | 10 |
| 58. | პაკისტანი | 3 | 3 | 4 | 10 |
| 59. | ლიხტენშტეინი | 2 | 2 | 5 | 9 |
| 60. | ურუგვაი | 2 | 1 | 6 | 9 |
| 61. | ტრინიდ. და ტობ. | 1 | 2 | 6 | 9 |
| 62. | ფილიპინები | - | 2 | 7 | 9 |
| 63. | ვენესუელა | 1 | 2 | 5 | 8 |
| 64. | ჩილე | - | 6 | 2 | 8 |
| 65. | ალჟირი | 3 | - | 4 | 7 |
| 66. | ლატვია | - | 5 | 2 | 7 |
| 67. | სლოვენია | - | 2 | 5 | 7 |
| 68. | უგანდა | 1 | 3 | 2 | 6 |
| 69. | ტუნისი | 1 | 2 | 3 | 6 |
| 70. | ტაილანდი | 1 | 1 | 4 | 6 |
| 71. | კოლუმბია | - | 2 | 4 | 6 |
| 72. | ბოჰემია | - | 1 | 5 | 6 |
| | პუერტო-რიკო | - | 1 | 5 | 6 |
| 74. | ლუქსემბურგი | 2 | 3 | - | 5 |
| 75. | ხორვატია | 1 | 2 | 2 | 5 |
| 76. | ჩინეთის ტაიპეი | - | 3 | 2 | 5 |
| 77. | პერუ | 1 | 3 | - | 4 |
| 78. | ბაჰამი | 1 | 1 | 2 | 4 |
| 79. | ნამიბია | - | 4 | - | 4 |
| 80. | ლიბანი | - | 2 | 2 | 4 |
| 81. | განა | - | 1 | 3 | 4 |
| 82. | სლოვაკეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 83. | უზბეკეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 84. | ლიტვა | 1 | - | 2 | 3 |
| 85. | ისრაელი | - | 1 | 2 | 3 |
| | მალაიზია | - | 1 | 2 | 3 |
| 87. | კოსტა-რიკა | 1 | 1 | - | 2 |
| | სირია | 1 | 1 | - | 2 |
| | სომხეთი | 1 | 1 | - | 2 |
| 90. | იაპონია-კორეა | 1 | - | 1 | 2 |
| | სურინამი | 1 | - | 1 | 2 |
| 92. | ტანზანია | - | 2 | - | 2 |
| 93. | დიდი ბრიტ.-აშშ | - | 1 | 1 | 2 |
| | ზამბია | - | 1 | 1 | 2 |
| | ისლანდია | - | 1 | 1 | 2 |
| | მოლდოვა | - | 1 | 1 | 2 |
| | კამერუნი | - | 1 | 1 | 2 |
| | რუსეთი-ესტონეთი | - | 1 | 1 | 2 |
| | არაბ. გაერთ. რესპ. | - | 1 | 1 | 2 |
| | ჰაიტი | - | 1 | 1 | 2 |
| 101. | საქართველო | - | - | 2 | 2 |
| | ანტილია | - | - | 2 | 2 |
| | პანამა | - | - | 2 | 2 |
| 104. | ავსტრა.-ახ. ზელ. | 1 | - | - | 1 |
| | აშშ-ირლანდია | 1 | - | - | 1 |
| | ბურუნდი | 1 | - | - | 1 |
| | დ. ბრ.-ირლ.-გერმ. | 1 | - | - | 1 |
| | დ. ბრ.-ირლ.-აშშ | 1 | - | - | 1 |
| | ეკვადორი | 1 | - | - | 1 |
| | კუბა-აშშ | 1 | - | - | 1 |
| | შვეცია-დანია | 1 | - | - | 1 |
| | ზიმბაბვე | 1 | - | - | 1 |
| | ჰონგკონგი | 1 | - | - | 1 |
| 114. | აზერბაიჯანი | - | 1 | - | 1 |
| | კოტ-დ'ივუარი | - | 1 | - | 1 |
| | ნიდერ. ანტილია | - | 1 | - | 1 |
| | საფრანგეთი-აშშ | - | 1 | - | 1 |
| | საფ.-დ. ბრ.-ირლ. | - | 1 | - | 1 |
| | საბერძ.-ბელგია | - | 1 | - | 1 |
| | სენეგალი | - | 1 | - | 1 |
| | სინგაპური | - | 1 | - | 1 |
| | სმირნა | - | 1 | - | 1 |
| | ვირჯ. კუნძულები | - | 1 | - | 1 |
| | ტონგა | - | 1 | - | 1 |
| | შრი-ლანკა | - | 1 | - | 1 |
| 126. | ბოჰემია-დ. ბრ. | - | - | 1 | 1 |
| | ბერმუდა | - | - | 1 | 1 |
| | გაიანა | - | - | 1 | 1 |
| | დომინიკ. რესპ. | - | - | 1 | 1 |
| | დ. ბრ.-ავსტრა. | - | - | 1 | 1 |
| | კატარი | - | - | 1 | 1 |
| | მოზამბიკი | - | - | 1 | 1 |
| | მექსიკა-ესპანეთი | - | - | 1 | 1 |
| | ნიგერი | - | - | 1 | 1 |
| | საფრან.-დ. ბრ. | - | - | 1 | 1 |
| | ერაყი | - | - | 1 | 1 |


ჯ. ევანსი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | - | - | 1 | 1 |
| უელსი | - | - | 1 | 1 |
| ჯიბუტი | - | - | 1 | 1 |
| თესალონიკა | - | - | 1 | 1 |
| სულ | 4,214 | 4,193 | 4,384 | 12,791 |

აქ წარმოდგენილ ცნობარში თავმოყრილია *თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ყველაზე საინტერესო და ორიგინალური სტატისტიკა*, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, თან ახლავს განმარტება. ცნობარი ითვალისწინებს ყველა შედეგს ატლანტისა და ლილეჰამერის ოლიმპიური თამაშების ჩათვლით.

### ყველაზე მეტი მედალი (ქალები, კაცები)

18 — ლარისა ლატინინა ( სსრკ, ტანვარჯიში)
15 — ნიკოლაი ანდრიანოვი (სსრკ, ტანვარჯიში)
13 — ედოარდო მანჯიაროტი (იტალია, ფარიკაობა)
13 — ტაკაში ონო (იაპონია, ტანვარჯიში)
13 — ბორის შახლინი (სსრკ, ტანვარჯიში)
12 — სავაო კატო (იაპონია, ტანვარჯიში)
12 — პაავო ნურმი (ფინეთი, მძლეოსნობა)
11 — მეტ ბიონდი (აშშ, ცურვა)
11 — ვერა ჩასლავსკა (ჩეხოსლოვაკია, ტანვარჯიში)
11 — ვიქტორ ჩუკარინი (სსრკ, ტანვარჯიში)
11 — კარლ ოსბერნი (აშშ, სროლა)
11 — მარკ სპიტცი (აშშ, ცურვა)

### ყველაზე მეტი ოქროს მედალი (ქალები, კაცები)


კ. ლუდინგ-როტენბურგერი

10-8 — რეი იური (აშშ, მძლეოსნობა)
9 — ლარისა ლატინინა (სსრკ, ტანვარჯიში)
9 — პაავო ნურმი (ფინეთი, მძლეოსნობა)
9 — მარკ სპიტცი (აშშ, ცურვა)
9 — კარლ ლუისი (აშშ, მძლეოსნობა)
8 — მეტ ბიონდი (აშშ, ცურვა)
8 — სავაო კატო ( იაპონია, ტანვარჯიში)
7 — ნიკოლაი ანდრიანოვი (სსრკ, ტანვარჯიში)
7 — ვერა ჩასლავსკა (ჩეხოსლოვაკია, ტანვარჯიში)
7 — ალადარ გერევიჩი (უნგრეთი, ფარიკაობა)
7 — ვიქტორ ჩუკარინი (სსრკ, ტანვარჯიში)
7 — ბორის შახლინი (სსრკ, ტანვარჯიში)

*რეი იურის ჩათვლილი აქვს 1906 წელს მოპოვებული 2 ოქროს მედალი.*

### ყველაზე მეტი მედალი (კაცები)

15 — ნიკოლაი ანდრიანოვი (სსრკ, ტანვარჯიში)
13 — ედოარდო მანჯიაროტი (იტალია, ფარიკაობა)
13 — ტაკაში ონო (იაპონია, ტანვარჯიში)
13 — ბორის შახლინი (სსრკ, ტანვარჯიში)
12 — სავაო კატო (იაპონია, ტანვარჯიში)
12 — პაავო ნურმი (ფინეთი, მძლეოსნობა)

### ყველაზე მეტი ოქროს მედალი (კაცები)

10-8 — რეი იური (აშშ, მძლეოსნობა)
9 — პაავო ნურმი (ფინეთი, მძლეოსნობა)
9 — მარკ სპიტცი (აშშ, ცურვა)
9 — კარლ ლუისი (აშშ, მძლეოსნობა)
8 — მეტ ბიონდი (აშშ, ცურვა)
8 — სავაო კატო (იაპონია, ტანვარჯიში)

### ყველაზე მეტი მედალი (ქალები)

18 — ლარისა ლატინინა (სსრკ, ტანვარჯიში)
11 — ვერა ჩასლავსკა (ჩეხოსლოვაკია, ტანვარჯიში)
10 — პოლინა ასტახოვა (სსრკ, ტანვარჯიში)
10 — აგნეშ კელეტი (უნგრეთი, ტანვარჯიში)
10 — რაისა სმეტანინა (სსრკ, თხილამურები)
9 — ლუბოვ ეგოროვა (გაერთ. გუნდი / რუსეთი, თხილამურები)
9 — ნადია კომანეჩი (რუმინეთი, ტანვარჯიში)
9 — ლუდმილა ტურიშჩევა (სსრკ, ტანვარჯიში)

### ყველაზე მეტი ოქროს მედალი (ქალები)

9 — ლარისა ლატინინა (სსრკ, ტანვარჯიში)
7 — ვერა ჩასლავსკა (ჩეხოსლოვაკია, ტანვარჯიში)
6 — ლუბოვ ეგოროვა (გაერთ. გუნდი / რუსეთი, თხილამურები)
6 — ქრისტინ ოტო (გდრ, ცურვა)
6 — ლიდია სკობლიკოვა (სსრკ, ციგურები)
5 — პოლინა ასტახოვა (სსრკ, ტანვარჯიში)
5 — აგნეშ კელეტი (უნგრეთი, ტანვარჯიში)
5 — ნადია კომანეჩი (რუმინეთი, ტანვარჯიში)
5 — ნელი კიმი (სსრკ, ტანვარჯიში)

*ქრისტინ ოტომ ექვსივე ოქროს მედალი სეულის ოლიმპიადაზე მოიპოვა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია ქალებში.*

### ყველაზე მეტი მედალი ინდივიდუალურ შეჯიბრებაში (ქალები, კაცები)

14 — ლარისა ლატინინა (სსრკ, ტანვარჯიში)
12 — ნიკოლაი ანდრიანოვი (სსრკ, ტანვარჯიში)
10 — ტაკაში ონო (იაპონია, ტანვარჯიში)
10 — ბორის შახლინი (სსრკ, ტანვარჯიში)
10-8 — რეი იური (აშშ, მძლეოსნობა)
9 — ვიქტორ ჩუკარინი (სსრკ, ტანვარჯიში)
9 — სავაო კატო (იაპონია, ტანვარჯიში)
9 — პაავო ნურმი (ფინეთი, მძლეოსნობა)
9-4 — მარტინ შერიდანი (აშშ, მძლეოსნობა)

### ყველაზე მეტი ოქროს მედალი ინდივიდუალურ შეჯიბრებაში (ქალები, კაცები)

10-8 — რეი იური (აშშ, მძლეოსნობა)
7 — კარლ ლუისი (აშშ, მძლეოსნობა)
6 — ნიკოლაი ანდრიანოვი (სსრკ, ტანვარჯიში)
6 — ლარისა ლატინინა (სსრკ, ტანვარჯიში)
6 — პაავო ნურმი (ფინეთი, მძლეოსნობა)
6 — ბორის შახლინი (სსრკ, ტანვარჯიში)
6 — ლიდია სკობლიკოვა (სსრკ, ციგურები)

### ყველაზე ახალგაზრდა მედალოსნები

10 წლის — უცნობი ფრანგი ბიჭი (ნიჩბოსნობა, 1900)
10 — დიმიტრიოს ლაუნდრასი (საბერძნეთი, ტანვარჯიში, 1896)
11 — ლუიჯინა ჯიაოტი (იტალია, ტანვარჯიში, 1928)
12 — ინგე სიორენსენი (დანია, ცურვა, 1936)
12 — ინეს ვერცესი (იტალია, ტანვარჯიში, 1928)
12 — ნოელ ვანდერნოტი (საფრანგეთი, ნიჩბოსნობა, 1936)
12 — კლარა მარანგონი (იტალია, ტანვარჯიში, 1928)
13 — დოროთი ფოინთენი (აშშ, წყალში ხტომა, 1928)

13 — მარჯორი ჯესთრინგი (აშშ, წყალში ხტომა,1936)
13 — კლაუს ზერტა (გდრ, ნიჩბოსნობა, 1960)

**1900 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გერმანელ ნიჩბოსანთა წყვილმა ფინალურ რბოლაში მესაჭე გამოცვალა (მძიმე წონის გამო) და ეს საქმე პატარა ფრანგ ბიჭუნას მიანდო. ბავშვის გვარი მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, დღემდე ვერ დადგინდა. ფოტოს მიხედვით ის 7-10 წლისა უნდა ყოფილიყო.**

## ყველაზე ახალგაზრდა ოქროს მედალოსნები

10 — უცნობი ფრანგი ბიჭი (ნიჩბოსნობა, 1900)
13 — მარჯორი ჯესთრინგი (აშშ, წყალში ხტომა, 1936)
13 — კლაუს ზერტა (გდრ, ნიჩბოსნობა, 1960)
14 — კიოკო ივასაკი (იაპონია, ცურვა, 1992)
14 — კრისტინა ეგერსეგი (უნგრეთი, ცურვა, 1988)
14 — ბერნარდ მალივუალი (საფრანგეთი, ნიჩბოსნობა,1952)
14 — დებრა უოთსონი (აშშ, ცურვა, 1964)
14 — აილინ რიგინი (აშშ, წყალში ხტომა, 1920)

**ყველა ჩამოთვლილი ნიჩბოსანი მესაჭე იყო.**

## ყველაზე ხანდაზმული ოქროს მედალოსნები

64 — ოსკარ სვანი (შვეცია, სროლა, 1912)
64 — გელენ სფენსერი (აშშ, მშვილდოსნობა, 1904)
63 — რობერტ უილიამსი ( აშშ, მშვილდოსნობა, 1904)
59 — ევერარდ ენდი (აშშ, აფროსნობა,1952)
59 — უილიამ ნორსამი (ავსტრალია, აფროსნობა, 1964)
58 — ალენ უითი (დიდი ბრიტანეთი, სროლა, 1924)
57 — იოჰან ენკერი (ნორვეგია, აფროსნობა, 1928)
56 — პოლ სმარტი (აშშ, აფროსნობა, 1948)
56 — უილიამ ტომსონი (აშშ, მშვილდოსნობა, 1904)

**პოლ სმარტის ეკიპაჟის წევრი იყო მისი ვაჟი — პილოტი.**

## ოლიმპიადებში მონაწილეობის ხანგრძლივობა

40 — ივან ოზიე (დანია, ფარიკაობა, 1908-48)
40 — მაგნუს კონოუ (ნორვეგია, აფროსნობა, 1908-48)
40 — პოლ ელსტრომი (დანია, აფროსნობა, 1948-88)
40 — დავარდ ნოულსი (დიდი ბრიტანეთი, ბაპამი, 1948-88)
36 — ფრანსუა ლაფორტუნი უფროსი (ბელგია, სროლა, 1924-60)
36 — კრუმ ლეკარსკი (ბულგარეთი, ცხენოსნობა, 1924-60)
36 — ნელსონ პესო ფილო (ბრაზილია, ცხენოსნობა, 1956-92)

## ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადების ოქროს მედალოსანი

ედუარდ იგანი (აშშ) — 1920, კრივი; 1932, — ბობსლეი.

## ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადების მედალოსნები

ედუარდ იგანი (აშშ,) — 1920, კრივი, მძიმე წონა — I; 1932, ოთხადგილიანი ბობსლეი — I,
ჯაკობ ტულინ ტამსი (ნორვეგია) — 1924, თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა — I; 1936, აფროსნობა — II.
კრისტა ლუდინგ — როტენბურგერი (გდრ) — 1984, ციგურები, 500მ — I; 1988 — ციგურები, 500მ — II, 1000მ — I; 1988 — ველოსპორტი, სპრინტი — II.

## სამ სახეობაში მოპოვებული მედლები

კარლ შუმანი (გერმანია) — 1896, ტანვარჯიში, ძალოსნობა, ჭიდაობა.
ფრენკ კანგლერი (აშშ) — 1904, ბაგირის გადაძალვა, ჭიდაობა, ძალოსნობა.

**33 სპორტსმენს მედლები მოპოვებული აქვს 2-2 სახეობაში, მათ შორის ოთხს — ოქროს მედლები.**

მორის კირკსი (აშშ) — 1920, მძლეოსნობა, რაგბი,
დანიელ ნორლინგი (შვეცია) — 1908 -1912 ტანვარჯიში, 1920 — ცხენოსნობა
ანფისა რეზცოვა (სსრკ, გაერთიანებული გუნდი) — 1988 — სათხილამურო სპორტი, 1992 — ბიატლონი)
კარლ შუმანი (გერმანია) — 1896, ჭიდაობა, ტანვარჯიში.



ჯ. ჰემფილი

## მეჩირაღდნეები ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე (ოლიმპიურ სტადიონებზე)

1936, ბერლინი — ფრიც შილგენი
1948, ლონდონი — ჯონ მარკი
1952, ჰელსინკი — პაავო ნურმი, ჰანეს კოლემაინენი
1956, მელბურნი — რონ კლარკი, სტოკჰოლმი — ჰანს უიქნი (კარინ ლინდბერგი),ჰენრი ერიქსონი.
1960, რომი — ჯანკარლო პერისი
1964, ტოკიო — იოშინორი საკაი
1968, მეხიკო — ენრიეტა ბასილიო დე სოტელო
1972,მიუნხენი — გუნტერ ზანი
1976, მონრეალი — სტეფან პრეფონტეინი, სანტრა ჰენდერსონი
1980, მოსკოვი — სერგეი ბელოვი
1984, ლოს-ანჯელესი — რეფერ ჯონსონი, ჯინა ჰემფილი
1988, სეული — სონ კი ჩუნგი, ლიმ ჩუნ-ა, ჩუნგ სუნ მანი, კიმ ეონ-ტაკი, სონ მი-ჩუნკი.
1992, ბარსელონა — ერმინიო მენენდეს როდრიგესი, ხუან ანტონიო სან ეპიფანიო რუისი, ანტონიო რებოლო.
1996, ატლანტა — მოჰამედ ალი.



მ. ალი

**კლარკმა ოლიმპიური ცეცხლის დანთებისას მარჯვენა მკლავის ძლიერი დამწვრობა მიიღო. საკაი დაბადებულია ჰიროსიმაში, ატომური ბომბის აფეთქების დღეს. ჰემფილი ჯესი ოუენსის შვილიშვილია.**

## მეჩირაღდნეები ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე

1952, ოსლო — ეიგილ ნანსენი



სუდანის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

1956, კორტინა დ'ამპეცო — გუიდო კაროლი
1960, სკვო-ველი — კენეტ პენრი
1964, ინსბრუკი — ჯოზეფ რაიდერი
1968, გრენობლი — ალან ქალმათი
1972, საპორო — პიდეკი ტაკადა
1976, ინსბრუკი — კრისტ პაასი, ჯოზეფ ფაისმანი
1980,ლეიკ-პლესიდი — ჩარლზ მორგან კერი
1984, სარაევო — სანდრა დუბროვჩიკი
1988, კალგარი — რობინ პერი
1992, ალბერვილი — მიშელ პლატინი, ფრანსუა-სირილ გრანეი
1994, ლილეპამერი — პრინცი პაკონი

ფიგურებით მოსრიალე კაროლი მიკროფონის მავთულს წამოედო და დაეცა, თუმცა მორალდინსთვის ხელი არ გაუშვია.

**სტივენსონი თეოფილო.** დ. 29. 3. 1952 კუბაში. ერთ-ერთი უძლიერესი მძიმე წონის მოყვარული *მოკრივე*. ლასლო პაპის შემდეგ მეორე ათლეტი, რომელმაც შეძლო ოლიმპიურ თამაშებზე სამი ოქროს მედლის მოპოვება. სტივენსონი უძლიერესი იყო მიუნხენის (1972), მონრეალის (1976) და მოსკოვის (1980) ოლიმპიადებზე.



თ. სტივენსონი

**სტოკჰოლმი.** შვეციის დედაქალაქი. ადმინისტრაციული ცენტრის მოსახლეობა შეადგენს 693 ათასს, დიდი სტოკჰოლმისა — 1,6 მლნ. საერთაშორისო პორტი.

ქალაქი დაარსდა 1252-ში. XIII საუკუნის მიწურულიდან აქ იყო მეფეთა რეზიდენცია. დამოუკიდებელი შვეციის დედაქალაქი გახდა 1523-დან. სტოკჰოლმისთვის დამახასიათებელია მწვანე მასივისა და წყლის სიუხვე. ქალაქში ბევრია ისტორიული ძეგლი.

სტოკჰოლმში მოეწყო ზაფხულის V ოლიმპიური თამაშები (1912), აგრეთვე, მელბურნის XVI ოლიმპიადის (1956) ცხენოსანთა ტურნირი. ქალაქი პრეტენზიას აცხადებდა 1952 და 2004 ოლიმპიადების გამართვაზე.



ო. სტრიჟაკოვი

**სტრიჟაკოვი ოლეგ.** დ. 18. 7. 1963 თბილისში. *მძლეოსნობა*. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1976. საქართველოს ნაკრებშია 1979-დან, საკავშიროში — 1982-დან. სსრკ ხალხთა სპარტაკიადის და დსთ-ს ჩემპიონი 5 და 10 კმ-ზე რბენაში. საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. მოგებული აქვს სსრკ თასი. იყო სსრკ ჩემპიონი კროსში. ოლიმპიადის მონაწილე.

1992 ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები. 10 000 მ შესარჩევ გარბენში დაიკავა XII ადგილი (28.35,97). ვერ მოხვდა ფინალში (20 უძლიერეს მონაწილეს შორის).

**სუდანი.** სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში. ტერიტორია — 2,5 მლნ კვ. კმ. მოსახლეობა — 28 მლნ. მათ შორის ნახევარი — არაბები. დედაქალაქი — ხართუმი (ომდურმანისა და ხართუმ-ბახრის ჩათვლით — 2 მლნ). სახელმწიფო ენა — არაბული. მოსახლეობის უმრავლესობა — ისლამისტები, სამხრეთში ჭარბობენ ანიმისტები, სამხრეთელთა 10 % — ქრისტიანები. XIX საუკუნის დასასრულიდან სუდანი ფაქტობრივად ინგლისის კოლონია იყო, 1956 წელს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1956 წელს, 1959 წლიდან სოკ-ის წევრია.

**სულაძველიძე თენგიზ.** დ. 23. 8. 1956 ქუთაისში. *ფეხბურთი*. თამაში დაიწყო იქვე (1973). დაამთავრა ქუთაისის პედინსტიტუტი. თამაშობდა



ნ. სულეიმანოღლუ

ქუთაისის „ტორპედოში", 1978-დან თბილისის „დინამოში". ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981). მანამდე (1979) გაიმარჯვა სსრკ თასის გათამაშებაში. სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1981). მსოფლიოს XII ჩემპიონატის (1982) მონაწილე. ევროპის ჩემპიონატის (1988) ვერცხლის პრიზიორი. მსოფლიოს (1986) და ევროპის (1984) ჩემპიონატების შესარჩევი მატჩების მონაწილე. სსრკ-ს ნაკრებში ჩატარებული აქვს 55 მატჩი (1980-88), გაიტანა 2 გოლი. ოლიმპიადის მონაწილე.

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები — III ადგილი. მონაწილეობდა ნაკრების ყველა ექვს მატჩში.

**სულეიმანოღლუ ნაიმ.** დ. 23. 1. 1967 ბულგარეთში. გამოდის თურქეთის სახელით. ევროპისა და




თ. სულაქველიძე

მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, ერთადერთი *ძალოსანი* მსოფლიოში, რომელმაც სამ ოლიმპიადაში გაიმარჯვა — 1988, 1992 და 1996.

**სურინამი**. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში. ტერიტორია — 163,3 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 429 ათასი. კრეოლები, ინდოელები, ზანგები. დედაქალაქი — პარამარიბო (200 ათასი). ოფიციალური ენა — ჰოლანდიური. რელიგიები — ინდუიზმი, კათოლიკური, ბუდიზმი და სხვ. სურინამი 1499 წელს აღმოაჩინა კოლუმბმა. იყო ესპანეთის მფლობელობაში, XVII საუკუნის დასაწყისში მისი ათვისება ინგლისელებმა დაიწყეს. 1667 წლიდან ჰოლანდიისა და ინგლისის შეთანხმების მიხედვით, სურინამის ტერიტორია ჰოლანდიას გადაეცა. 1954 წელს სურინამმა მიაღწია ავტონომიას ჰოლანდიის სამეფოს შემადგენლობაში. ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1975 წელს.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1959 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

სურინამის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1988 | 1 | | - | 1 |
| 1992 | - | | 1 | 1 |
| 1996 | 1 | | - | 1 |
| სულ | 2 | | 1 | 3 |

**სხირტლაძე ბიორბი**. დ. 9. 11. 1932 სოფ. მთისკალთაში, ონის რ-ნი. *თავისუფალი ჭიდაობა*. უმაღლესი განათლებით. სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1954,56,57,60). მსოფლიოს ჩემპიონი (1959), მსოფლიოს ჩემპიონატის (1957) და მსოფლიოს თასის (1958) მეორე პრიზიორი. ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშები (საშუალო წონა, 79 კგ) — III ადგილი. I წრე — ქულებით დამარცხდა ნიკოლა სტანჩევთან (ბულგარეთი), II წრე — წმინდად დაამარცხა (2,15) ნიკოლას არკალსი (ფილიპინები), III წრე — წმინდად (4,10) მოუგო პერმანუს ვან ზილს (სამხრეთ აფრიკის კავშირი), IV წრე — წმინდად (7,40) აჯობა იოჰან შტერს (გფრ), V წრე — ქულებით დამარცხდა ისმეთ ათლისთან (თურქეთი), VI წრე — წმინდად (11,0) მოუგო დანიელ ხოჯს (აშშ).

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები (საშუალო წონა, 79 კგ), — II ადგილი. I წრე — წმინდად (1,23) დაამარცხა მოჰამედ აზიკ ხოკანი (ავღანეთი), II წრე — წმინდად (9,22) მოუგო გეორგ უტცს (გფრ), III წრე — ქულებით დამარცხდა ედუარდ დევიტთან (აშშ), IV წრე — ქულებით აჯობა მადხო სინგხს (ინდოეთი), V წრე — ფრე ჰანს ანტონსონთან (შვეცია).



ბ. სხირტლაძე

# ტ

**ტაილანდი**. სახელმწიფო ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და ნახევარკუნძულ მალაკის ჩრდილოეთ ნაწილში. ტერიტორია — 514 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 60 მლნ. დედაქალაქი — ბანგკოკი (ტონბურის გარეუბნით — 7 მლნ). ოფიციალური ენა — ტაიური. რელიგია — ბუდიზმი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1948 წელს, 1950 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1976 | | - | 1 | 1 |
| 1984 | | 1 | - | 1 |
| 1988 | | - | 1 | 1 |

ტაილანდის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1992 | - | - | 1 | 1 |
| 1996 | 1 | - | 1 | 2 |
| **სულ** | 1 | 1 | 4 | 6 |

**ტალინი.** ესტონეთის დედაქალაქი. მსხვილი სამრეწველო, სამეცნიერო და კულტურული ცენტრი. სატრანსპორტო კვანძი, საზღვაო პორტი. მოსახლეობა 0,5 მლნ-მდე. 1219-1917-ში ოფიციალურად რეველად იწოდებოდა. 1918-40-ში დამოუკიდებელი ესტონეთის დედაქალაქი იყო.

მდინარე პირიტას გაყოლებით განთავსებულია ოლიმპიური სანიჩბოსნო კომპლექსი, სადაც 1980 ჩატარდა XXII ოლიმპიური თამაშების რეგატა. კომპლექსი შეიცავს: ელინგს, იახტ-კლუბს, ოლიმპიურ სოფელს, ტანვარჯიშულ დარბაზს, საცურაო აუზს, კემპინგს 500 ადგილზე, აგრეთვე, ველოდრომსა და წრიულ ტრასას ავტო-მოტო შეჯიბრებებისათვის.



ტალინის ოლიმპიური რეგატა

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

**ტანვარჯიში.** სპორტის სახეობა, რომელიც მოიცავს ვარჯიშს იარაღებზე (ღერძი, ორძელი, რგოლები, ტაიჭი), აგრეთვე, თავისუფალ ვარჯიშსა და ბჯენით ხტომას. ტანვარჯიშის ელემენტები შეტანილი იყო ჯერ კიდევ ძველი ბერძნების ფიზიკური აღზრდის სისტემაში. XVIII საუკუნის ბოლოს და XIX-ის დასაწყისში ტანვარჯიშული ვარჯიშები ფიზიკური აღზრდის დასავლეთევროპული სისტემების შემადგენელი ნაწილი გახდა. დაახლოებით იმ პერიოდში დაიწყეს ტანვარჯიშული შეჯიბრებების გამართვაც. 1881-ში შეიქმნა საერთაშორისო ფედერაცია. ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატები 1903-დან ტარდება (ქალების — 1934-დან). XX საუკუნის პირველ ნახევარში ტანვარჯიში განსაკუთრებით პოპულარული სპორტი იყო შვეიცარიაში, გერმანიაში, იტალიასა და საფრანგეთში.

ტანვარჯიში ოლიმპიადების პროგრამაშია 1896-დან (ათენი, I თამაშები). ოლიმპიური თამაშების ახლანდელი პროგრამა სოკ-მა 1973-ში დაამტკიცა. იგი მოიცავს ვაჟებისთვის — პირად შეჯიბრებას მრავალჭიდში, გუნდურ ასპარეზობას, აგრეთვე შეჯიბრებას ცალკეულ იარაღებზე (ღერძი, ორძელი, რგოლები, ტაიჭი, ხტომა და თავისუფალი ვარჯიში), ქალებისთვის — პირად შეჯიბრებას მრავალჭიდში, გუნდურ ასპარეზობას, აგრეთვე შეჯიბრებას ცალკეულ იარაღებზე (ნაირსიმაღლის ორძელი, დვირი, ხტომა და თავისუფალი ვარჯიში). პირველი ოლიმპიური ჩემპიონები არიან (1896): ტაიჭზე — ლუის ზუტერი (შვეიცარია), რგოლებზე — იოანის მიტროპულოსი (საბერძნეთი), ორძელზე — ალფრედ ფლატოვი, ღერძზე — ჰერმან ვაინპერტნერი, ხტომებში — კარლ შუმანი (სამივე — გერმანიიდან). სხვათა შორის, ეს უკანასკნელი (კ. შუმანი) პირველი ოლიმპიური ჩემპიონია (1896) ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაშიც.

საქართველო ოლიმპიურ ტურნირში წარმოდგენილია სამი სპორტსმენით. გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს: მედეა (მზია) ჯუღელმა (1952, ჰელსინკი, XV თამაშები) და ვლადიმერ გოგოლაძე (1988, სეული, XXIV თამაშები), ჯუღელმა ვერცხლის მედალი მიიღო საგნით გუნდურ ვარჯიშში (1952, ჰელსინკი). პირად შეჯიბრებაში 25-ე ადგილი დაიკავა ილია გიორგაძემ (1996, ატლანტა, XXVI თამაშები). რაც შეეხება, მხატვრულ ტანვარჯიშს, ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად 1984 წელს (ლოს-ანჯელესში) შეიტანეს — აბსოლუტური პირველობა (პირადი), 1996 წლიდან მედლები გადაეცემათ საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებსაც. ამ სახეობაში ერთადერთმა ქართველმა სპორტსმენმა — ეკა აბრამიამ იასპარეზა (1996, ატლანტა) — 25-ე ადგილი.

ჩვენს ცხრილში გაერთიანებულია სპორტული და მხატვრული ტანვარჯიშის მედლები.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| სსრკ | 73 | 67 | 44 | 184 |
| იაპონია | 27 | 28 | 31 | 86 |
| აშშ | 26 | 23 | 38 | 77 |
| რუმინეთი | 16 | 15 | 20 | 51 |
| შვეიცარია | 16 | 19 | 13 | 48 |
| უნგრეთი | 13 | 12 | 14 | 39 |
| გდრ | 6 | 14 | 17 | 37 |
| ჩეხოსლოვაკია | 12 | 13 | 10 | 35 |
| იტალია | 13 | 8 | 9 | 30 |
| გერმანია | 12 | 6 | 11 | 29 |
| ჩინეთი | 9 | 12 | 6 | 27 |
| ფინეთი | 8 | 5 | 12 | 25 |
| გაერთ. გუნდი | 10 | 5 | 5 | 20 |
| საფრანგეთი | 4 | 7 | 9 | 20 |
| იუგოსლავია | 5 | 2 | 4 | 11 |
| რუსეთი | 3 | 3 | 4 | 10 |
| საბერძნეთი | 4 | 2 | 3 | 9 |
| შვეცია | 5 | 2 | 1 | 8 |
| ბულგარეთი | 2 | 3 | 3 | 8 |
| უკრაინა | 4 | 1 | 2 | 7 |
| ნორვეგია | 2 | 2 | 1 | 5 |
| დანია | 1 | 3 | 1 | 5 |

ტანზანიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გფრ | 1 | 1 | 2 | 4 |
| ბელორუსი | - | - | 4 | 4 |
| დიდი ბრიტანეთი | - | 1 | 2 | 3 |
| ავსტრია | 1 | 1 | - | 2 |
| ესპანეთი | 1 | 1 | - | 2 |
| კსდრ | 1 | 1 | - | 2 |
| ბელგია | - | 1 | 1 | 2 |
| პოლონეთი | - | 1 | 1 | 2 |
| კორეა | - | - | 2 | 2 |
| კანადა | 1 | - | - | 1 |
| ნიდერლანდები | 1 | - | - | 1 |
| სულ | 277 | 259 | 260 | 796 |

**ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია** (FIG). შეიქმნა 1881-ში. აერთიანებს 122 ქვეყანას. ოფიციალური ენებია: ფრანგული, გერმანული, ინგლისური, ესპანური და რუსული (1968-დან), ოფიციალური მიმოწერისთვის უპირატესობას ანიჭებენ ფრანგულ ენას. პირველი წესდება მიღებულ იქნა ფედერაციის დამფუძნებელ კონგრესზე (1881). მომდევნო წლებში ეს დოკუმენტი შესაბამის ცვლილებებს განიცდიდა.

ფედერაციაში გაწევრიანება ნებაყოფლობითია და შეუძლია ყველა ეროვნულ ორგანიზაციას, რომელსაც ცნობს სოკ-ი. უმაღლესი ორგანო — გენერალური ასამბლეა, ხელმძღვანელი ორგანო — კონგრესი, რომელიც იკრიბება ყოველწლიურად. ფედერაციის მიმდინარე საქმიანობას წარმართავს აღმასრულებელი კომიტეტი.

**ტანზანია.** სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში, ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე, ზანზიბარისა და პემბას კუნძულებზე. ტერიტორია — 945,1 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 30 მლნ. 98,9 % — აფრიკელები, ჭარბობენ ბანტუს ჯგუფის ხალხები. ზანზიბარზე 550 ათასი ადამიანი ცხოვრობს. დედაქალაქი — დარ-ეს-სალამი (1,3 მლნ). სახელმწიფო ენები — სუახილი და ინგლისური. მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობა. ქრისტიანები — 4 მლნ. მუსულმანები — 3,5 მლნ.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1968 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1980 | | 2 | | 2 |
| სულ | | 2 | | 2 |

**ტახტი ღულამ-რეზა.** 27. 10. 1930 — 8. 1. 1968 ირანი. *თავისუფალი ჭიდაობა.* 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ქვემძიმე წონაში. ვერცხლის მედლები 1952 ჰელსინკის XV (საშუალო წონაში) და 1960 რომის XVII (ქვემძიმე წონაში) ოლიმპიურ თამაშებში. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1959, 61) და ვერცხლის პრიზიორი (1962) ქვემძიმე წონაში.

**ტაჯიკეთი.** ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ამჟამად დამოუკიდებელი ქვეყანა. ტერიტორია — 143,1 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 5,1 მლნ. დედაქალაქი — დუშანბე. ოფიციალური ენა — ტაჯიკური.

ტაჯიკი სპორტსმენები სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიურ თამაშებში პირველად 1960 წელს გამოჩნდნენ და 1988 წლამდე ყველა თამაშებში (გარდა 1984 წლისა) გამოდიოდნენ. პირად და გუნდურ შეჯიბრებებში მოპოვებული აქვთ 3 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი. ბარსელონაში (1992) გაერთიანებულ გუნდთან ერთად 3 ტაჯიკი გამოდიოდა და ერთმა ოქროს მედალი მოიპოვა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1992 წელს, სოკ-ის წევრია 1993 წლიდან. დამოუკიდებელი გუნდით გამოდიოდა ატლანტის ოლიმპიადაში. მედალი არ აუღია.

TAJIKISTAN

ტაჯიკეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ტოგო.** სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 56,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 4,1 მლნ. ძირითადად გვინეის ენის ჯგუფის ხალხები (ევე, მინა, უატი, ფორი, აჯა). დედაქალაქი — ლომე (370 ათასი). სახელმწიფო ენა — ფრანგული. მოსახლეობის 65 % — ანიმისტები, 25 % — ქრისტიანები, 10 % — მუსულმანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1963 წელს, 1965 წლიდან სოკ-ის წევრია.

ტოგოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ტოკიო.** იაპონიის დედაქალაქი. მდებარეობს ჰონსიუს კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქალაქი მსოფლიოში (მოსახლეობა — 11,6 მლნ). ტოკიო ქვეყნის მთავარი სატრანსპორტო კვანძია, აგრეთვე საზღვაო და საჰაერო მიმოსვლის მსხვილი ცენტრი. ქალაქი, რომელსაც თავდაპირველად ედო ერქვა, დაარსებულია XV საუკუნეში. ტოკიო ეწოდა 1869-ში. მაშინ გახდა იგი იმპერატორის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და იაპონიის დედაქალაქი.



ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პლაკატი

მდიდარია ძველი და ახალი არქიტექტურული შედევრებით.

ტოკიო ორჯერ აცხადებდა პრეტენზიას ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციაზე — 1940 და 1960-ში. ერთხელ მიიღო კიდეც უფლება (1940), მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ უარი თქვა (ის ოლიმპიადა არც ჩატარებულა). უმასპინძლა 1964 XVIII ოლიმპიურ თამაშებს. 1958-ში ტოკიო-

ში გაიმართა აზიის III თამაშები. 1964-დან დაწესდა ოლიმპიური ჯილდო — „ტოკიოს პრიზი".

**ტოკიოს პრიზი.** დაარსდა იაპონიის დედაქალაქში 1964 წელს.

პრიზი გადაეცემათ იმ სპორტსმენებს, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს ამხანაგური სულისკვეთებით. სპორტულ მაჩვენებლებს ამ დროს მხედველობაში არ იღებენ.

ლაურეატებს გადაეცემათ პრიზის ასლი, დედანი კი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ინახება.

**ტომბა ალბერტო.** დ. 19. 12. 1966 იტალიაში.



ა. ტომბა

ერთ-ერთი უძლიერესი *სამთო მოთხილამურე*. მსოფლიოს თასის მრავალგზის გამარჯვებული. ოლიმპიადებზე მოპოვებული აქვს 3 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალი. 1988, კალგარი — გიგანტური სლალომი — I, სლალომი — I; 1992, ალბერვილი — გიგანტური სლალომი — I, სლალომი — II; 1994, ლილეჰამერი — სლალომი — II.

**ტომპსონი დეილი.** დ. 30. 7. 1958 დიდ ბრიტანეთში. ოთხმოციანი წლების უძლიერესი *მძლეოსანი-ათჭიდელი*. მსოფლიოს 1983 წლის ჩემპიონი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1980, 1984).



ტოკიოს პრიზი

**ტონგა.** სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, განლაგებულია პატარა კუნძულებზე, რომლებიც ქმნიან 3 ძირითად ჯგუფს — ტონგატაპუს, ხააპაის და ვავაუს. საერთო ტერიტორია — 699 კვ. კმ. მოსახლეობა — 100 ათასი. ძირითადად პოლინეზიელ-ტონგანელები. დედაქალაქი — ნუკუალოფა (გარეუბნებით 30 ათასი). ოფიციალური ენები — ტონგანური და ინგლისური. მორწმუნეთა უმრავლესობა — ქრისტიანები, ძირითადად — პროტესტანტები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1963 წელს, 1984 წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1996 | | 1 | | 1 |
| სულ | | 1 | | 1 |

**ტოტიკაშვილი ამირან.** დ. 21. 6. 1964 მარტყოფში. *ძიუდო*. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1979. სსრკ ნაკრებში შეიყვანეს 1985-ში. სსრკ ორგზის ჩემპიონი (1988, 89) და ბრინჯაოს პრიზიორი (1991). მსოფლიოს ჩემპიონი (1989). ორჯერ იყო ევროპის ჩემპიონი (1988, 89) ერთხელ ბრინჯაოს პრიზიორი (1990). ოლიმპიადის მონაწილე.



ა. ტოტიკაშვილი

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები (მსუბუქი წონა, 60 კგ) — III ადგილი. I წრე — ქულებით (კოკა) დამარცხდა კიმ ჩე იუპთან (სამხრეთ კორეა), II წრე — წმინდად (იპონი) მოუგო მოპამედშის მადხარს (სურინამი), III წრე — წმინდად (იპონი) აჯობა სერჟუ პესიას (ბრაზილია), IV წრე — ქულებით (იუკო) დაამარცხა ჰელმუტ დიტცი (გფრ), V წრე — ქულებით (იუკო) აჯობა პატრიკ რუს (საფრანგეთი).

**ტოფელტი სვენ.** 19. 5. 1904 — 1. 2. 1993 სტოკჰოლმში. შვეცია. *თანამედროვე ხუთჭიდი*. 1928 ამსტერდამის IX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. დიდხანს იყო თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი.

**ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა.** სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა. ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია



ა. ტოტიაშვილი

1924-დან (შამონი, I ოლიმპიადა). პირველი ჩემპიონია (საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში) იაკობ ტულინ-ტამსი (ნორვეგია).

საქართველო ოლიმპიურ ტურნირებში წარმოდგენილია მამა-შვილით, კობა და კახა ნაქაძეებით. კობა ნაქაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული ოთხ ოლიმპიადაში (1956, VII, კორტინა დ'ამპეცო; 1960, VIII, სკვო-ველი; 1964, IX, ინსბრუკი; 1972, XI, საპორო), კახას კი 1994 ლილეჰამერის XVII თამაშებში.

**ტრანტენი პიერ.** დ. 15. 5. 1944 კრეტეში (საფრანგეთი). *ველოსპორტი.* 1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 1000 მ. გიტში ადგილიდან (1.03,91) და ტანდემებით რბოლაში (დ. მორელონთან ერთად). ორჯერ აქვს მიღებული ბრინჯაოს ჯილდო: 1964-ში (გიტი 1000 მ) და 1968-ში (სპრინტი). იყო მსოფლიოს ჩემპიონი 1000 მ. გიტში ადგილიდან (1966), ტანდემებით რბოლაში (1966) და სპრინტში (1964). დამყარებული აქვს მსოფლიოს რეკორდები: გიტში 1000 მ. ადგილიდან (1.03,91 — 1968), 500 მ. სვლით (27,85 — 1967). საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი.

**ტრეტიაკი ვლადისლავ.** დ. 25. 4. 1943 მოსკოვში. ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი *ჰოკეისტი.* მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი. ერთადერთი ჰოკეისტი, რომელსაც ოლიმპიადებზე მოპოვებული აქვს 3 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი. 1972, საპორო — I; 1976, ინსბრუკი — I; 1980, ლეიკ-პლესიდი — II; 1984, სარაევო — I.

**ტრინიდადი და ტობაგო.** სახელმწიფო კარიბის ზღვის აუზში. განლაგებულია ორ დიდ (ტრინიდადი და ტობაგო) და ხუთ მცირე კუნძულზე. საერთო ტერიტორია — 5,1 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 1,3 მლნ. დედაქალაქი — პორტ-ოფ-სპეინი (445 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური. მოსახლეობის უმრავლესობა — ქრისტიანები (კათოლიკები, პროტესტანტები).

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1946 წელს. 1948 წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1948 | - | 1 | - | 1 |
| 1952 | - | - | 2 | 2 |
| 1964 | - | 1 | 2 | 3 |
| 1976 | 1 | - | - | 1 |
| 1996 | - | - | 2 | 2 |
| სულ | 1 | 2 | 6 | 9 |



ვ. ტრეტიაკი



ა. ტუტაკაევი

ტონგის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ტრინიდადი და ტობაგოს ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ტუნისი.** სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში. ტერიტორია — 162, 2 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 9 მლნ. ჭარბობენ არაბები (ტუნისელები). დედაქალაქი — ტუნისი (1,2 მლნ). სახელმწიფო ენა — არაბული. მორწმუნეთა უმრავლესობა — მუსულმან-სუნიტები. 1956 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1957 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1964 | - | 1 | 1 | 2 |
| 1968 | 1 | - | 1 | 2 |
| 1972 | - | 1 | - | 1 |
| 1996 | - | - | 1 | 1 |
| სულ | 1 | 2 | 3 | 6 |

ტუნისის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ტუტაკაევი ალექსანდრე.** დ. 10. 9. 43 თბილისში. *ცურვა.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1957. სსრკ-ის ნაკრებში შეიყვანეს 1964-ში. სსრკ-ის ჩემპიონი 200 მ. ბრასით ცურვაში და არაერთ-

უგანდის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

უზბეკეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

გზის პრიზიორი ინდივიდუალურ სახეობებსა და ესტაფეტებში. ევროპის ჩემპიონატის (1966) ვერცხლის პრიზიორი. ოლიმპიადის მონაწილე.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები. 200 მ. ბრასით — IV ადგილი (წინასწარ გაცურვაში III ადგილი — 2.36,9; ნახევარფინალში III ადგილი — 2.30,5; ფინალში IV ადგილი — 2.31,0). კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მ — IV ადგილი (წინასწარ გაცურვაში თავის მონაკვეთზე აჩვენა 1.09,3. ფინალში არ გამოსულა).

**ტყეშელაშვილი ზაზა.** დ. 18. 3. 1965 ვანში. ***თავისუფალი ჭიდაობა.*** ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში (1986), საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1985) და თასის მფლობელი (1988). ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI, ოლიმპიადა, 100 კგ. სტარტზე 0:2 წააგო ლერი ხაბელოვთან (რუსეთი), მერე 3:2 მოუგო დანიელ სანჩესს (პუერტორიკო), მესამე წრეში კი დამარცხდა (2:6) მონღოლ დოლგორსურენ სუმიბასართან და გამოეთიშა შეჯიბრებას. საბოლოო შედეგი — XIII ადგილი.

**ტყვიის სროლა.** სოკ-ი ტყვიის სროლას და სასტენდო სროლას ერთ სახეობად აერთიანებს. ტყვიის სროლა იმართება მოძრავ და უძრავ სამიზნეებზე. პირველი შეჯიბრება მოეწყო შვეიცარიაში (1824). მსოფლიოს ჩემპიონატები ტარ-



ტყვიის სროლა

დება 1897-დან. სასროლო სპორტის საერთაშორისო კავშირი შეიქმნა 1907. ტყვიის სროლა შეტანილი იყო პირველი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

საქართველო ოლიმპიურ თამაშებში წარმოდგენილია ხუთი სპორტსმენით. შოთა ქველიაშვილი გამოდიოდა ტოკიოსა (1964, XVII) და მეხიკოს (1968, XVIII), ნინო სალუქვაძე სეულის (1988, XXIV), ბარსელონისა (1992, XXV) და ატლანტის (1996, XXVI) თამაშებში. მონრეალის (1976, XXI) ოლიმპიადაში ასპარეზობდა მარლენ პაპავა, ატლანტაში (1996, XXVI) — ნინო უჩაძე.

სასტენდო სროლა ორ დისციპლინას აერთიანებს: სატრანშეო (სასანგრე) სროლა და მრგვალ სტენდზე სროლა. სასანგრე სროლაში პირველი ოლიმპიური შეჯიბრება 1952 წელს გაიმართა, მრგვალ სტენდზე — 1968 წელს.

მესტენდურთა ოლიმპიურ ტურნირში მხოლოდ ერთი ქართველი სპორტსმენი — თამაზ იმნაიშვილი მონაწილეობდა (1980, 1988 და 1996).

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 45 | 26 | 21 | 92 |
| შვეცია | 13 | 23 | 19 | 55 |
| სსრკ | 17 | 15 | 17 | 49 |
| დიდი ბრიტანეთი | 13 | 14 | 18 | 45 |
| საფრანგეთი | 13 | 16 | 13 | 42 |
| ნორვეგია | 16 | 9 | 11 | 36 |
| შვეიცარია | 11 | 11 | 12 | 34 |
| იტალია | 8 | 5 | 10 | 23 |
| საბერძნეთი | 5 | 7 | 7 | 19 |
| ჩინეთი | 7 | 5 | 5 | 17 |
| ფინეთი | 3 | 5 | 9 | 17 |
| დანია | 3 | 8 | 5 | 16 |
| გ დ რ | 3 | 8 | 5 | 16 |
| უნგრეთი | 6 | 3 | 6 | 15 |
| გერმანია | 5 | 6 | 2 | 13 |
| გფრ | 5 | 4 | 4 | 13 |
| რუმინეთი | 5 | 4 | 4 | 13 |
| ბულგარეთი | 1 | 6 | 5 | 12 |
| პოლონეთი | 3 | 2 | 5 | 10 |
| კანადა | 4 | 3 | 2 | 9 |
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 3 | 2 | 9 |
| გაერთ. გუნდი | 5 | 2 | 1 | 8 |
| რუსეთი | 3 | 3 | 2 | 8 |
| იუგოსლავია | 3 | 1 | 4 | 8 |
| ბელგია | 2 | 3 | 3 | 8 |
| ავსტრია | 1 | 2 | 4 | 7 |
| იაპონია | 1 | 2 | 3 | 6 |
| ავსტრალია | 2 | - | 3 | 5 |
| კორეა | 2 | 1 | - | 3 |
| პერუ | 1 | 2 | - | 3 |
| ბრაზილია | 1 | 1 | 1 | 3 |
| ყაზახეთი | - | 2 | 1 | 3 |
| კოლუმბია | - | 2 | - | 2 |
| ესპანეთი | - | 1 | 1 | 2 |
| ნიდერლანდები | - | 1 | 1 | 2 |
| კსდრ | 1 | - | - | 1 |
| არგენტინა | - | 1 | - | 1 |
| ბელორუსი | - | 1 | - | 1 |
| ლატვია | - | 1 | - | 1 |
| მექსიკა | - | 1 | - | 1 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | - | 1 | - | 1 |
| სამხრეთ აფრიკა | - | 1 | - | 1 |
| ჩილე | - | 1 | - | 1 |
| ახალი ზელანდია | - | - | 1 | 1 |
| ვენესუელა | - | - | 1 | 1 |
| კუბა | - | - | 1 | 1 |
| მონღოლეთი | - | - | 1 | 1 |
| სლოვაკეთი | - | - | 1 | 1 |
| ჩეხეთი | - | - | 1 | 1 |
| ჰაიტი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 212 | 213 | 213 | 638 |

# უ

**უგანდა.** სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში. ტერიტორია 236 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 21,3 მლნ. ძირითადად — ბაგანდა, იტესო, ბანიანკოლე, ბასოგა. დედაქალაქი — კამპალა (458 ათასი). სახელმწიფო ენა — ინგლისური. მოსახლეობის დაასლოებით ნახევარი — ქრისტიანები, 6 % — ისლამისტები, დანარჩენი ნაწილი ადგილობრივ ტრადიციულ სარწმუნოებებს ემხრობა.



ვ. უგრეხელიძე

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1950 წელს, 1956 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1968 | - | 1 | 1 | 2 |
| 1972 | 1 | 1 | - | 2 |
| 1980 | - | 1 | - | 1 |
| 1996 | - | - | 1 | 1 |
| სულ | 1 | 3 | 2 | 6 |

**უგრეხელიძე ვლადიმერ.** დ. 18. 8. 1939 თბილისში. *კალათბურთი.* დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1974). სსრკ ჩემპიონი (1968) და თასის მფლობელი (1969). ევროპის ჩემპიონი (1961) და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962). მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1963). ოლიმპიადის მონაწილე.

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები — II ადგილი. ჩაატარა ყველა რვა თამაში, გუნდს შესძინა 24 ქულა (მექსიკასთან — 2, ბრაზილიასთან — 0, პუერტო-რიკოსთან — 4, ურუგვაისთან — 16, იუგოსლავიასთან — 2, აშშ-თან — 0, ბრაზილიასთან — 0, იტალიასთან — 0).

**უესტი ჯერი.** დ. 28. 5. 1938 ვირჯინიის შტატში, აშშ. *კალათბურთი.* დაამთავრა დასავლეთ ვირჯინიის უნივერსიტეტი. 1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. გადავიდა პროფესიონალებში. თამაშობდა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში". მიუხედავად იმისა, რომ არ იყო მაღალი (188 სმ), 1970-ში ლიგის საუკეთესო სნაიპერი გახდა. შვიდჯერ შეიყვანეს ნბა-ს პირველ ნაკრებში.



ჯ. უესტი

**უზბეკეთი.** ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ამჟამად დამოუკიდებელი ქვეყანა. ტერიტორია — 44,7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 18 მლნ. დედაქალაქი — ტაშკენტი. ოფიციალური ენა — უზბეკური.

1952-1988 წლების ოლიმპიურ თამაშებში (გარდა 1984 წლისა) უზბეკეთის წარმომადგენლები გამოდიოდნენ სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და პირად-გუნდურ შეჯიბრებათა ჯამში 29 მედალი მოიპოვეს — 11 ოქრო, 9 ვერცხლი, 9 ბრინჯაო.

ბარსელონაში (1992), გაერთიანებულ გუნდში 17 უზბეკი სპორტსმენი გამოდიოდა, რომლებმაც 6 მედალი აიღეს, მათ შორის პირად შეჯიბრებაში — 2 ვერცხლის მედალი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1992 წელს, სოკ-მა აღიარა 1993 წელს. დამოუკიდებელი გუნდით მონაწილეობდა ლილეჰამერისა (1994) და ატლანტის (1996) ოლიმპიადებში.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1996 | | 1 | 1 | 2 |
| სულ | | 1 | 1 | 2 |

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1994 | 1 | | | 1 |
| სულ | 1 | | | 1 |

უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**უკრაინა.** ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ამჟამად დამოუკიდებელი სახელმწიფო. ტერიტორია — 603,7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 51,7 მლნ. დედაქალაქი — კიევი. ოფიციალური ენა — უკრაინული.

უკრაინელ სპორტსმენებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით საბჭოთა ოლიმპიური გუნდების გამარჯვებებში. სსრ კავშირის სახელით მონაწილეობდნენ 1952-1988 წლების (გარდა 1984 წლისა) ოლიმპიურ თამაშებში და მოიპოვეს 177 ოქროს, 124 ვერცხლის, 102 ბრინჯაოს მედალი. ბარსელონაში (1992), გაერთიანებულ გუნდში 80

უკრაინელი ოლიმპიელი გამოვიდა, რომლებმაც 38 მედალი მიიღეს, მათ შორის პირად შეჯიბრებაში — 19 (4 ოქრო, 11 ვერცხლი, 4 ბრინჯაო). ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მოპოვებული მედლების რაოდენობით უკრაინა მეორე ადგილზეა (რუსეთის შემდეგ).

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1990 წელს, სოკ-მა აღიარა 1993 წელს. დამოუკიდებელი გუნდით გამოდიოდა ლილეჰამერსა (1994) და ატლანტაში (1996).

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1996 | 9 | 2 | 12 | 23 |
| სულ | 9 | 2 | 12 | 23 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1994 | 1 | | 1 | 2 |
| სულ | 1 | | 1 | 2 |

**ულვანგი ვეგარდ.** დ. 10. 10. 1963 ნორვეგიაში. ***მოთხილამურე.*** ექვსი ოლიმპიური მედლის მფლობელი. 1988, კალგარი — 30 კმ (III); 1992,




ვ. ულვანგი

ალბერვილი — 10 კმ (I), 30 კმ (I), ესტაფეტა (I), 25 კმ გამოდევნებით (II); 1994, ლილეჰამერი — ესტაფეტა (II).

**უნგრეთი.** სახელმწიფო ცენტრალური ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ტერიტორია — 93 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 11 მლნ. დედაქალაქი — ბუდაპეშტი (2,1 მლნ.).

სპორტის საქმეებს განაგებს სპეციალური დეპარტამენტი. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1895-ში. სოკ-ის დამფუძნებელთა შორის იყო ამ ქვეყნის წარმომადგენელი ფ. კემენი (1894). უნგრეთის სპორტსმენები მონაწილეობდნენ ყველა თამაშებში მეშვიდის გარდა (1920, ანტვერპენი). 1896-1912 ოლიმპიურ თამაშებში გამოდიოდა დამოუკიდებელი გუნდით, თუმცა ავსტრო-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. პირველი უნგრელი სპორტსმენი, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა, შემდგომში ცნობილი არქიტექტორი ალფრედ ჰაიოშია. 1896 ათენში მან ორი დისტანცია მოიგო (თავისუფალი სტილით 100 და 200 მმ).

უნგრეთის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1896 | 2 | 1 | 4 | 7 |
| 1900 | 1 | 3 | 2 | 6 |
| 1904 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1906 | 2 | 5 | 3 | 10 |
| 1908 | 3 | 4 | 2 | 9 |
| 1912 | 3 | 2 | 3 | 8 |
| 1924 | 2 | 3 | 4 | 9 |
| 1928 | 4 | 5 | - | 9 |
| 1932 | 6 | 4 | 5 | 15 |
| 1936 | 10 | 1 | 5 | 16 |
| 1948 | 10 | 5 | 12 | 27 |
| 1952 | 16 | 10 | 16 | 42 |
| 1956 | 9 | 10 | 7 | 26 |
| 1960 | 6 | 8 | 7 | 21 |
| 1964 | 10 | 7 | 5 | 22 |
| 1968 | 10 | 10 | 12 | 32 |
| 1972 | 6 | 13 | 16 | 35 |
| 1976 | 4 | 5 | 13 | 22 |
| 1980 | 7 | 10 | 15 | 32 |
| 1988 | 11 | 6 | 6 | 23 |
| 1992 | 11 | 12 | 7 | 30 |
| 1996 | 7 | 4 | 10 | 21 |
| სულ | 142 | 129 | 155 | 426 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1932 | | - | 1 | 1 |
| 1936 | | - | 1 | 1 |
| 1948 | | 1 | - | 1 |
| 1952 | | - | 1 | 1 |
| 1956 | | - | 1 | 1 |
| 1980 | | 1 | - | 1 |
| სულ | | 2 | 4 | 6 |

**ურუგვაი.** სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 176,2 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3 მლნ. დედაქალაქი — მონტევიდეო (1,5 მლნ). სახელმწიფო ენა — ესპანური, რელიგია — კათოლიკური. დამოუკიდებლობა (ესპანეთის ბატონობისგან) მოიპოვა 25. 8. 1825-ში.

სპორტის საქმეებს განაგებს კულტურის სამინისტრო. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1923-ში. ურუგვაის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1924 | ·1 | - | - | 1 |
| 1928 | 1 | - | - | 1 |
| 1932 | - | - | 1 | 1 |
| 1948 | - | 1 | 1 | 2 |
| 1952 | - | - | 2 | 2 |

უნგრეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ურუგვაის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1956 | - | - | 1 | 1 |
| 1964 | - | - | 1 | 1 |
| სულ | 2 | 1 | 6 | 9 |

**ურუსოვა ელვირა.** დ. 24. 2. 1968 თბილისში. *ძალოსანი.* დაამთავრა საქართველოს სპორტის აკადემია. საქართველოს 1993 წლის ჩემპიონი (17,46 მ), ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. ბირთვის კვრა. საკვალიფიკაციო შეჯიბრება — 17,69 მ. ფინალში ვერ გავიდა.

**უფლებები ოლიმპიურ თამაშებზე.** ოლიმპიური თამაშები სოკ-ის ექსკლუზიური საკუთრებაა. სოკ-ი ფლობს თამაშების ორგანიზებასთან, მომზადებასთან, ტრანსლაციასთან, გადაცემასთან და ნებისმიერი სხვა სახის გაშუქებასთან დაკავშირებულ შეუზღუდავ უფლებებს. ოლიმპიური თამაშებიდან მიღებული შემოსავალი, როგორც წესი, ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის განვითარებას ხმარდება.

**უჩაძე ნინო.** დ. 10. 7. 1965 ქუთაისში. *ტყვიის მსროლელი.* დაამთავრა საქართველოს სპორტის აკადემია (1994). საქართველოს ჩემპიონი (1987), ევროპის ოთხი ჩემპიონატის (1993-96) მონაწილე — საუკეთესო შედეგი 32-ე ადგილი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. სპორტული პისტოლეტი — 572 ქულა, 27-ე ადგილი; პნევმატური პისტოლეტი — 369 ქულა, 36-ე ადგილი.

# ფ

**ფალასანიძე ქრისტინა.** დ. 31. 7. 1970 თბილისში. *სინქრონული ცურვა.* დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1983. სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ერთეულებში, დუეტებში და ჯგუფურ ვარჯიშებში. ევროპის ჩემპიონი (1989) და ვერცხლის პრიზიორი (1987). ოლიმპიადის მონაწილე.

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები — VII ადგილი (180, 650 ქულა) ერთეულებში.

**ფალიანი რამაზ.** დ. 31. 8. 1973 მესტიაში. *კრივი.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1982. ქაბუკთა და ახალგაზრდების მრავალ საერთაშორისო ჩემპიონატში გამარჯვებული. ევროპის ჩემპიონატის მეორე (1993) და მსოფლიო ჩემპიონატის მესამე (1993) პრიზიორი. ოლიმპიადის მონაწილე.


რ. ფალიანი

1992 ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები (57 კგ წონითი კატეგორია) — III ადგილი. მეთექვსმეტედფინალი — დაამარცხა ჯულიან ვილერი (აშშ) 8:4, მერვედფინალი — მოუგო რუჯერიო ბრიტუს (ბრაზილია) 19:2, მეოთხედფინალი — აჯობა დანიელ დუმიტრესკუს (რუმინეთი) 11:5, ნახევარფინალი — დამარცხდა ფაუსტო რეიესთან (ესპანეთი) 9:14.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიურ თამაშებში გამოდიოდა რუსეთის სახელით (V ადგილი).


ქ. ფალასანიძე

**ფარიკაობა.** სპორტის სახეობა, რომელიც მოიცავს რაპირით, დაშნითა და ხმლით ორთაბრძოლას. სპორტული ფარიკაობის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბდა XVII საუკუნის მიწურულს საფრანგეთში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში საბოლოოდ განისაზღვრა შეჯიბრების ძირითადი წესები, სპორტული იარაღისა და დამცავი აღჭურვილობის სტანდარტები. მოფარიკავეთა ჩემპიონატები ტარდება როგორც პირადი, ისე გუნდური ასპარეზობების სახით.

ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა 1913-ში. მსოფლიო ჩემპიონატები იმართება 1937-დან. უფრო ადრე ეწყობოდა ევროპის ჩემპიონატები (1906-36). ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1896-დან (I ოლიმპიადიდან). ათენში ოქროს მედლები მოიპოვეს: რაპირით ფარიკაობაში — ემილ გრაველოტმა (საფრანგეთი), ხმლით ფარიკაობაში — იანის გეორგიადისმა (საბერძნეთი).


ფარიკაობა

საქართველო მოფარიკავეთა ოლიმპიურ ტურნირებში შვიდი სპორტსმენითაა წარმოდგენილი, მათ შორის ნუგზარ ასათიანი და გურამ კოსტავა ორ-ორი ოლიმპიადის მონაწილენი იყვნენ. თითოჯერ გამოვიდნენ თამაშებში აკაკი მეიფარიანი, რევაზ ცირეკიძე, იური ოსიპოვი, ვლადიმერ აფციაური და არჩილ ლორთქიფანიძე. საქართველოს ოლიმპიელებს მოპოვებული აქვთ ორი ოქროს (ასათიანი, აფციაური) და ორი ბრინჯაოს (კოსტავა) მედალი.

ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 38 | 34 | 32 | 104 |
| იტალია | 37 | 35 | 24 | 96 |
| უნგრეთი | 32 | 21 | 26 | 79 |
| საბჭოთა კავშირი | 18 | 15 | 16 | 49 |
| გფრ | 8 | 9 | 3 | 20 |
| პოლონეთი | 4 | 7 | 8 | 19 |
| აშშ | 1 | 6 | 11 | 18 |
| გერმანია | 5 | 5 | 4 | 14 |
| ბელგია | 5 | 3 | 5 | 13 |
| რუმინეთი | 2 | 3 | 6 | 11 |
| დიდი ბრიტანეთი | 1 | 9 | - | 10 |
| კუბა | 4 | 3 | 2 | 9 |
| საბერძნეთი | 3 | 3 | 2 | 8 |
| ნიდერლანდები | - | 1 | 7 | 8 |
| რუსეთი | 4 | 2 | 1 | 7 |
| შვეცია | 2 | 3 | 2 | 7 |
| ავსტრია | 1 | 1 | 5 | 7 |
| დანია | 1 | 2 | 3 | 6 |
| გაერთ. გუნდი | 1 | 2 | 2 | 5 |
| შვეიცარია | - | 2 | 3 | 5 |
| ჩინეთი | 1 | 1 | - | 2 |
| ბოჰემია | - | - | 2 | 2 |
| კუბა-აშშ | 1 | - | - | 1 |
| გდრ | - | 1 | - | 1 |
| მექსიკა | - | 1 | - | 1 |
| არგენტინა | - | - | 1 | 1 |
| პორტუგალია | - | - | 1 | 1 |
| სულ | 169 | 169 | 166 | 504 |

**ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია (FIE).** შეიქმნა 1913 პარიზში. დამფუძნებელი ქვეყნები — ბელგია, ბოჰემია, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები, ნორვეგია, საფრანგეთი და შვეიცარია. ოფიციალური ენა — ფრანგული. შტაბ-ბინა მდებარეობს მოქმედი პრეზიდენტის მშობლიურ ქალაქში.

უმაღლესი ორგანო — კონგრესი, რომელიც ყოველწლიურად იკრიბება. აღმასრულებელ კომიტეტში შედიან: პრეზიდენტი, ორი ვიცე-პრეზიდენტი და რვა წევრი. ყველა თანამდებობა არჩევითია. აღმასკომის წევრებს ირჩევენ 4 წლით ფარული კენჭისყრით. მიმდინარე საკითხებს აგვარებს ბიურო, რომელიც შედგება პრეზიდენტის მიერ დანიშნული ოთხი წევრისაგან.

**ფედერაციები სპორტის ოლიმპიურ სახეობათა.** ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად, სოკ-ის მიერ აღიარებული სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებია (ქარტიისეული თანმიმდევრობით): 1) მძლეოსნობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია (IAAF); 2) ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (FISA); 3) ბადმინტონის საერთაშორისო ფედერაცია (IBF); 4) ბეისბოლის საერთაშორისო ფედერაცია (IBA); 5) კალათბურთის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია (FIBA); 6) კრივის საერთაშორისო სამოყვარულო ასოციაცია (AIBA); 7) კანოეს საერთაშორისო ფედერაცია (FIC); 8) ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი (UCI); 9) ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (FEI); 10) ფეხბურთის ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია (FIFA); 11) ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია (FIG); 12) ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IWF); 13) ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია (IHF); 14) ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია (FIH); 15) ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია (IJF); 16) ჭიდაობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია (FILA); 17) ცურვის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია (FINA); 18) თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო ფედერაცია (UIPMB); 19) სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაცია (ISF); 20) ტაიკვანდოს მსოფლიო ფედერაცია (WTF); 21) ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF); 22) მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITTF); 23) ტყვიის სროლის საერთაშორისო კავშირი (UIT); 24) მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (FITA); 25) ტრიათლონის საერთაშორისო კავშირი (ITU); 26) ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია (FIVB); 27) აფროსნობის საერთაშორისო კავშირი (IYRU).

ზამთრის ოლიმპიურ სახეობათა აღიარებული ფედერაციები: 1) ბობსლეისა და მოციგაეეთა საერთაშორისო კავშირი (FIBT); 2) ქარლინგის მსოფლიო ფედერაცია (WCFI); 3) ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია (IIHF); 4) საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIL); 5) თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირი (UIPMB); 6) მოციგურაეეთა საერთაშორისო კავშირი (ISU); 7) სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIS).

სოკ-ის მიერ აღიარებული საერთაშორისო სპორტული ფედერაციები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და ავტონომიურად მართავენ შესაბამის სახეობას, მაგრამ, ამავე დროს, აქტიურად მონაწილეობენ ოლიმპიურ მოძრაობაში, იცავენ ოლიმპიური ქარტიის დებულებებს და პრინციპებს. მათ ფუნქციას განეკუთვნება შეჯიბრებათა წესების შემუშავება, ოლიმპიურ თამაშებზე და სოკ-ის ეგიდით გამართულ სხვა შეჯიბრებებზე ტექნიკური კონტროლის განხორციელება, ოლიმპიურ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის ე. წ. ვარგისიანობის კრიტერიუმის შემუშავება, საკვალიფიკაციო ტურნირთა მოწყობა და ა. შ. ფედერაციებს უფლება აქვთ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით წინადადებით მიმართონ სოკ-ს, გააცნონ თავიანთი მოსაზრებანი ამა თუ იმ ქალაქში ოლიმპიადის გამართვის მიზანშეწონილობაზე, მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიური კონგრესების მომზადებაში, სოკ-ის კომისიათა საქმიანობაში.

**ფედერაციები სპორტული.** აქ თავმოყრილია 90-იანი წლების მონაცემები. საქართველოში დამოუკიდებელი სპორტული ფედერაციები სწორედ ამ წლებში ჩამოყალიბდა (მანამდე არსებული რესპუბლიკური ფედერაციები, ცნობილ მიზეზთა გამო, ერთიან საკავშირო ფედერაციათა შემადგენლობაში შედიოდა). ეს ორგანიზაციები აღიარებულია შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციებისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ.

***საქართველოს ბადმინტონის ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 19 ივლისს. პირველი პრეზიდენტი — პავლე ნონიკაშვილი. 1994 წელს, ფედერაციის მორიგ ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს ირაკლი კაპილაძე, 1996 წლის 14 ნოემბრის რიგგარეშე ყრილობაზე — ანატოლი დავიდოვი, ვიცე-პრეზიდენტად — ლევან ხუხაშვილი, გენერალურ მდივნად — ჟანა ხურშუდიანი.

1992 წლიდან ბადმინტონის საერთაშორისო ფედერაციისა (IBF) და ევროპის ბადმინტონის ასოციაციის (EBA) წევრია.



***საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაცია.*** დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა 1988 წლის 12 თებერვალს ქუთაისში. პრეზიდენტად აირჩიეს რევაზ რობაქიძე. 1996 წლის 12 ნოემბერს მოეწყო რიგგარეშე ყრილობა. ფედერაციის საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს დავით ფრუიძე, პრეზიდენტად — თეიმურაზ არჩაია, ვიცე-პრეზიდენტად — როლანდ ამაღლობელი, გენერალურ მდივნად — ბესიკ ჯანელიძე.

1996 წლიდან ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის (FIH) სრულუფლებიანი წევრია.



***საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 2 ივლისს. 1996 წლის 25 დეკემბერს გაიმართა ფედერაციის მორიგი ყრილობა. ფედერაციის უცვლელი პრეზიდენტია რამაზ გოგლიძე, ვიცე-პრეზიდენტი — თამაზ ესართია, გენერალური მდივანი — გელა ჩიხრაძე.

1992 წლის 18 თებერვლიდან ბეისბოლის საერთაშორისო ასოციაციის (IBA) და ევროპის ბეისბოლის კონფედერაციის (EBC) წევრია.



***საქართველოს ველოსპორტის ფედერაცია.*** დაფუძნდა 1992 წლის 13 მარტს. პირველი პრეზიდენტი — ომარ ფხაკაძე. 1994 და 1995 წლებში გაიმართა ფედერაციის რიგგარეშე ყრილობები, 1996 წელს — მორიგი ყრილობა. ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელია იოსებ გოცირიძე, ვიცე-პრეზიდენტი — ომარ ფხაკაძე, გენერალური მდივანი — რუსლან ჯაოშვილი.

1993 წლიდან ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (UCI) და ევროპის ველოსპორტის კავშირის (UEC) წევრია.



***საქართველოს კალათბურთის ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 4 ივნისს. პირველი პრეზიდენტი — ალექსანდრე ჩხეიძე, 1995 წლის 18 სექტემბერს, მორიგ ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს ავთანდილ საყვარელიძე, ვიცე-პრეზიდენტად — როლანდ ხომერიკი, გენერალურ მდივნად — აკაკი მეგრელაძე.

1992 წლის 10 ივლისიდან კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციისა (FIBA) და ევროპის კალათბურთის კონფერენციის წევრია.



***საქართველოს კრივის ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 16 ივნისს. პირველი პრეზიდენტი — დავით კვაჭაძე.

1996 წლის 5 იანვარს ფედერაციის მორიგ ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს ზურაბ ფალიანი, გენერალურ მდივნად — ზურაბ კიკნაველიძე.

1992 წლიდან ევროპის სამოყვარულო კრივის ასოციაციისა (EABA) და საერთაშორისო სამოყვარულო კრივის ასოციაციის (AIBA) წევრია.



***საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 19 ივლისს. პირველი პრეზიდენტი — იური გონაძე.

1994 წლის 20 ოქტომბერს ფედერაციის მორიგ ყრილობაზე პრეზიდენტად არჩეულ იქნა კოტე ბაირამაშვილი. 1996 წლის 2 ნოემბრის რიგგარეშე ყრილობაზე პრეზიდენტად კვლავ იური გონაძე აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტად — ტრისტან გელაშვილი, გენერალურ მდივნად — ჟანა ხურშუდიანი.

1992 წლის 15 სექტემბრიდან მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციისა (ITTF) და ევროპის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის (ETTF) წევრია.



***საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 30 აპრილს.

1992 და 1996 წლებში გაიმართა ფედერაციის რიგგარეშე ყრილობები, 1995 წელს — მორიგი ყრილობა. ფედერაციის უცვლელი პრეზიდენტია თამაზ მდინარაძე.

1996 წლის 25 ოქტომბრის რიგგარეშე ყრილობაზე საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შაველაყაძე, ვიცე-პრეზიდენტად — ყარამან საბანაშვილი, გენერალურ მდივნად — მაია აზარაშვილი.

1992 წლის 30 მაისიდან მძლეოსნობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის (IAAF) და ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის (EAA) წევრია.



***საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 27 ივლისს. პირველი პრეზიდენტი — ანზორ ჭლიკაძე. 1995 წელს გაიმართა ფედერაციის მორიგი ყრილობა, 1996 წელს — რიგგარეშე ყრილობა.

1996 წლის 29 ნოემბრის რიგგარეშე ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს ბექან ხურციძე, ვიცე-პრეზიდენტად — გივი ნიკურაძე, საპატიო ვიცე-პრეზიდენტებად — ვალერი გეგიძე და ჯონი ფირცხალაიშვილი, გენერალურ მდივნად — გენადი პატარაია.

1991 წლიდან ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (FISA) წევრია.



***საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 31 მაისს. პირვე-

ლი პრეზიდენტი — იური ჩხეიძე. 1992 წელს გაიმართა ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, 1996 წელს — მორიგი ყრილობა. პრეზიდენტად აირჩიეს გიორგი თოფაძე, ვიცე-პრეზიდენტებად — ფერბენქს ნავერიანი და ლევან ახმეტელი, გენერალურ მდივნად — გერა აბრამიშვილი.

1992 წლიდან სპორტის ზამთრის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის (FIS) წევრია.



***საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 2 აგვისტოს. პირველი პრეზიდენტი — ბაკურ გულუა. 1992, 1993 და 1996 წლებში გაიმართა ფედერაციის რიგგარეშე ყრილობები, 1995 წელს — მორიგი ყრილობა. 1996 წლის 30 ნოემბრის რიგგარეშე ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს ვლადიმერ გოიაშვილი, საპატიო პრეზიდენტად — ბაკურ გულუა, ვიცე-პრეზიდენტებად — ნოდარ კურტანიძე და თემურ ხვედელიძე, გენერალურ მდივნად — გივი ცქიტიშვილი.

1992 წლის 24 ივლისიდან ცურვის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციისა (FINA) და ევროპის საწყლოსნო ლიგის (LEN) წევრია.



***საქართველოს სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 1 ივნისს. პირველი პრეზიდენტი — თენგიზ კიტოვანი. 1995 წელს, ფედერაციის მორიგ ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს თემურ ჭყონია. 1996 წლის 29 ოქტომბრის რიგგარეშე ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს ვახტანგ ქუთათელაძე, ვიცე-პრეზიდენტად — თამაზ იმნაიშვილი, გენერალურ მდივნად — გივი ბოსტოღანაშვილი.

1992 წლის 23 სექტემბრიდან მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციისა (FITA) და სროლის საერთაშორისო კავშირის (UIT) წევრია.



***საქართველოს ტაეკვანდოს ფედერაცია.*** დამფუძნებელი კონფერენცია გაიმართა 1993 წელს. პირველი პრეზიდენტი — გიორგი ჭელიძე. 1995 წლიდან ფედერაციის პრეზიდენტია კონსტანტინე გედევანიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი — ავთანდილ მიქაძე, გენერალური მდივანი — დავით ბაბლუაძე.

1995 წლის ნოემბრიდან ტაეკვანდოს მსოფლიო ფედერაციის (WTF) და ევროპის ტაეკვანდოს კავშირის წევრია.



***საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 1 ივნისს. 1995 წელს გაიმართა ფედერაციის მორიგი ყრილობა. ფედერაციის უცვლელი პრეზიდენტია ანზორ ლონლაძე. 1995 წლის 28 ივნისს მორიგ ყრილობაზე პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს თომზა ცომაია, ვიცე-პრეზიდენტებად — რუსუდან სიხარულიძე, მედეა ჯუღელი, რუსუდან ხოფერია და თენგიზ ბოლქვაძე, გენერალურ მდივნად — ზიგფრიდ გვეტაძე.

1992 წლის 18 ივლისიდან ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციისა (FIG) და ევროპის ტანვარჯიშის კავშირის (UEG) წევრია.



***საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 27 ივნისს. 1996 წლის 16 ნოემბერს გაიმართა მორიგი ყრილობა. ფედერაციის უცვლელი პრეზიდენტია არჩილ გოგელია, ვიცე-პრეზიდენტები — ზურაბ ცქიტიშვილი, რამაზ ლომინაძე და იური ოსიპოვი, გენერალური მდივანი — მორის სახვაძე.

1992 წლის 7 ივნისიდან ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციისა (FIE) და ევროპის ფარიკაობის კავშირის (UEE) წევრია.



***საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*** დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა 1990 წლის 15 თებერვალს. რიგგარეშე ყრილობა გაიმართა 1991 წლის 15 მარტს, მორიგი საარჩევნო ყრილობა — 1994 წლის 17 სექტემბერს. ფედერაციის უცვლელი პრეზიდენტია ნოდარ ახალკაცი (1994 წლიდან ნ. ახალკაცი UEFA-ს ტექნიკური განვითარების კომიტეტის წევრია), ვიცე-პრეზიდენტები — ალექსანდრე ჩივაძე და ნოდარ ანდრიაძე, გენერალური მდივანი — დავით კვინიკაძე.

1992 წლის 25 თებერვლიდან ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციის (FIFA) დროებითი წევრია, იმავე წლის 3 ივლისიდან — მუდმივი წევრი.



***საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 28 თებერვალს. პირველი პრეზიდენტი — გიული ჯალაღანია. 1995 წლის 20 ოქტომბერს ფედერაციის მორიგ ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს ავთანდილ სილაგაძე, ვიცე-პრეზიდენტებად — გიული ჯალაღანია და გურამ ნიკოლაიშვილი, გენერალურ მდივნად — ედუარდ სანთელაძე.

1991 წლის დეკემბრიდან ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციისა (FIVB) და ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის (IVBC) წევრია.



***საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია.*** დაფუძნდა 1991 წლის 7 ივნისს. პირველი პრეზიდენტი — გურამ მირიანაშვილი. 1996 წლის 14 ოქტომბრის რიგგარეშე ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს მერაბ ადეიშვილი, პირველ ვიცე-პრეზიდენტად — ემზარ ზენაიშვილი, ვიცე-პრეზიდენტად ვლადიმერ გაბრიჩიძე, გენერალურ მდივნად — ზურაბ ქაცარავა.

1993 წლიდან ჩოგბურთის საერთაშორისო ფე-

დერაციისა (ITF) და ევროპის ჩოგბურთის ასოციაციის (ETA) წევრია.



*საქართველოს ცხენოსნობის და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია.* დაფუძნდა 1991 წლის 30 მაისს. პირველი პრეზიდენტი — დავით სალარიძე. 1995 წელს გაიმართა ფედერაციის მორიგი ყრილობა, 1996 წელს — რიგგარეშე ყრილობა. 1996 წლის 31 ოქტომბრის რიგგარეშე ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს თენგიზ აბულაძე, ვიცე-პრეზიდენტებად — რევაზ მანჯავიძე და დიმიტრი წვერავა, გენერალურ მდივნად — ალექსანდრე დგებუაძე.

1992 წლის ოქტომბრიდან თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო ფედერაციის (UIPMB) წევრია.



*საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია.* დაფუძნდა 1991 წლის 1 ივლისს. პირველი პრეზიდენტი იური ქართველიშვილი. 1996 წლის 5 ოქტომბერს მორიგ ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს რამაზ გურგენიძე, ვიცე-პრეზიდენტად დავით ხიზანდარელი, გენერალურ მდივნად — შოთა ბუაძე.

1993 წლის 1 იანვრიდან ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციისა (IWF) და ევროპის ძალოსნობის ფედერაციის (EWF) წევრია.



*საქართველოს ძიუდოს ფედერაცია.* დაფუძნდა 1991 წლის 3 ივნისს. 1996 წლის ნოემბერში გაიმართა მორიგი ყრილობა. ფედერაციის უცვლელი პრეზიდენტია დილარ ხაბულიანი, ვიცე-პრეზიდენტი — ანზორ მარტყოფლიშვილი, გენერალური მდივანი — მერაბ რატიშვილი.

1993 წლის მაისიდან ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციისა (IJF) და ევროპის ძიუდოს კავშირის (UEJ) წევრია.



*საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია.* 1991 წლის 22 მაისს დაფუძნდა ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფედერაცია (პრეზიდენტი — რომან რურუა), იმავე წლის 28 მაისს — თავისუფალი ჭიდაობის ფედერაცია (პრეზიდენტი მურმან ომანიძე). ეს ფედერაციები ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (FILA) აღიარა 1992 წლის 2 აგვისტოს და ურჩია ერთ ორგანიზაციად გაერთიანება. 1993 წლის 14 იანვარს შეიქმნა ჭიდაობის გაერთიანებული ფედერაცია, რომლის პრეზიდენტად აირჩიეს გურამ გედეხაური.

1994 წლის 9 ნოემბერს გამართულ რიგგარეშე ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს დავით გობეჯიშვილი, ვიცე-პრეზიდენტებად — ვლადიმერ იაშვილი და თემურ ყაზარაშვილი, გენერალურ მდივნად — ომზარ შოშიტაიშვილი.



*საქართველოს ხელბურთის ფედერაცია.* დაფუძნდა 1990 წლის 5 ივნისს. პირველი პრეზიდენტი — ნიკოლოზ ცხაკაია. 1996 წლის 21 ნოემბერს ფედერაციის მორიგ ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს თენგიზ გაზდელიანი, პირველ ვიცე-პრეზიდენტად — მერაბ მეტრეველი, გენერალურ მდივნად — ვლადიმერ მურადოვი.

1991 წლიდან ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციისა (IHF) და ევროპის ხელბურთის ფედერაციის (EHF) დროებითი წევრი, 1992 წლიდან — მუდმივი წევრია.



ა. ფერეირა და სილვა

**ფერეირა და სილვა ადემარი.** დ. 29. 9. 1930 ბრაზილიაში. *მძლეოსნობა.* მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სამხტომელი. 1952 ჰელსინკის XV (16,22მ) და 1956 მელბურნის XVI (16,35 მ) ოლიმპიადების ჩემპიონი. სამჯერ აქვს მოგებული პანამერიკული თამაშები: 1951 — 15,19 მ, 1955 — 16,56 მ, 1959 — 15,90 მ. მსოფლიოს ხუთგზის რეკორდსმენი. სპორტიდან წასვლის შემდეგ კინომსახიობი გახდა.

**ფერნლეის თასი.** დააარსა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ნორვეგიელმა წევრმა (1927-50) ტ. ფერნლეიმ — სპორტსმენებისთვის,



ფერნლეის თასი

კლუბებისთვის, ორგანიზაციებისთვის. დაჯილდოებულთა შორის არიან: პარიზის, ათენის, მეხიკოს, ბუენოს-აირესისა და სხვ. კლუბები.

**ფეხბურთი.** ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გუნდური თამაში მსოფლიოში. წესები შემუშავდა ინგლისში (1863). საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა 1904-ში. არის ყველაზე მრავალრიცხოვანი და მდიდარი ორგანიზაცია. მსოფლიო ჩემპიონატები ტარდება 1930-დან, ევროპი-



ფიფას პრეზიდენტი ჟ. ავალანჟი

სა — 1960-დან. პოპულარული ტურნირებია აგრეთვე ევროპის ჩემპიონთა ლიგა, თასების მფლობელთა თასი, უეფას თასი და ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1900-დან. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია დიდი ბრიტანეთი.

საქართველო ოლიმპიურ ფინალურ ტურნირებში წარმოდგენილია 8 ფეხბურთელით. მათგან ერთი ოლიმპიური ჩემპიონია (გელა კეტაშვილი) და ხუთი — ბრინჯაოს პრიზიორი (მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, რევაზ ჩელებაძე). ავთანდილ ღოღობერიძე და ავთანდილ ჭკუასე-



ფეხბურთელი. ძველბერძნული ბარელიეფი. ათენი, ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი

ლი 1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების მონაწილენი არიან (მერვედფინალი).

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 3 | 1 | 1 | 5 |
| საბჭოთა კავშირი | 2 | - | 3 | 5 |
| დანია | 1 | 3 | 1 | 5 |
| იუგოსლავია | 1 | 3 | 1 | 5 |
| გდრ | 1 | 1 | 2 | 4 |
| დიდი ბრიტანეთი | 3 | - | - | 3 |
| პოლონეთი | 1 | 2 | - | 3 |
| შვეცია | 1 | - | 2 | 3 |
| ბრაზილია | - | 2 | 1 | 3 |
| ნიდერლანდები | - | - | 3 | 3 |
| ურუგვაი | 2 | - | - | 2 |
| ესპანეთი | 1 | 1 | - | 2 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | - | 2 |
| ჩეხოსლოვაკია | 1 | 1 | - | 2 |
| ბელგია | 1 | - | 1 | 2 |
| იტალია | 1 | - | 1 | 2 |
| არგენტინა | - | 2 | - | 2 |
| ბულგარეთი | - | 1 | 1 | 2 |
| აშშ | - | 1 | 1 | 2 |
| კანადა | 1 | - | - | 1 |
| ნიგერია | 1 | - | - | 1 |
| ავსტრია | - | 1 | - | 1 |
| სმურნა | - | 1 | - | 1 |
| შვეიცარია | - | 1 | - | 1 |
| გფრ | - | - | 1 | 1 |
| განა | - | - | 1 | 1 |
| იაპონია | - | - | 1 | 1 |
| ნორვეგია | - | - | 1 | 1 |
| თესალონიკა | - | - | 1 | 1 |
| სულ | 22 | 22 | 23 | 67 |

ქალები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 1 | - | - | 1 |
| ჩინეთი | - | 1 | - | 1 |
| ნორვეგია | - | - | 1 | 1 |
| სულ | 1 | 1 | 1 | 3 |




ფეხბურთის ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

**ფეხბურთის ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია** (FIFA). შეიქმნა 1904-ში. დამფუძნებელი ქვეყნებია: ბელგია, დანია, ნიდერლანდები, შვეიცარია. ოფიციალური ენებია: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, რუსული. შტაბ-ბინა მდებარეობს ციურიხში.

ფიფა-ს შემადგენლობაში შედის ექვსი რეგიონალური ორგანიზაცია. ესენია: ფეხბურთის ასოციაციების ევროპის კავშირი (შეიქმნა 1954), აზიის ფეხბურთის კონფედერაცია (1954), აფრიკის ფეხბურთის კონფედერაცია (1956), ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ფეხბურთის კონფედერაცია (1961), სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია (1916), ავსტრალიისა და ოკეანიის ფეხბურთის კონფედერაცია (1966).

ფიფა-ს უმაღლესი ორგანო კონგრესია, რომელსაც ორ წელიწადში ერთხელ იწვევენ. მიმდინარე საქმიანობას წარმართავს აღმასკომი, რომელშიც შედიან: პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები, წევრები, აგრეთვე გენერალური მდივანი და მისი მოადგილე.

**ფიგურული ციგურაობა.** საციგურაო სპორტის ერთ-ერთი სახეობა, რომელშიც მთავარი აქცენტი კეთდება ბრუნებზე, ხტომებზე და სხვადასხვა მიმართულებითა და სისწრაფით სრიალზე. შეჯიბრებები ფიგურულ ციგურაობაში ტარდება ერთეულებსა და წყვილებს შორის. როგორც სპორტის სახეობა, ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მსოფლიო ჩემპიონატი ერთეულებში ტარდება 1896-დან, წყვილებში — 1908-დან. ევროპის ჩემპიონატები ერთეულებში უფრო ადრე დაიწყო (1891). პირველი ოლიმპიური ჩემპიონები არიან: ვაჟებში — ულხის სალხოვი (შვეცია), ქალებში — მეჯ საიერსი (დიდი ბრიტანეთი), წყვილებში — ანა ჰიუბლერი და ჰაინრიხ ბიურგერი (გერმანია). გამარჯვებები ამ ფიგურისტებმა მოიპოვეს 1908-ში (ლონდონი, ზაფხულის IV ოლიმპიადა).

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 11 | 12 | 14 | 37 |
| საბჭოთა კავშირი | 10 | 9 | 5 | 24 |
| ავსტრია | 7 | 9 | 4 | 20 |
| კანადა | 2 | 6 | 9 | 16 |
| დიდი ბრიტანეთი | 5 | 3 | 7 | 15 |
| შვეცია | 5 | 3 | 2 | 10 |
| გდრ | 3 | 3 | 4 | 10 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 5 | 9 |
| რუსეთი | 4 | 2 | - | 6 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 2 | 1 | 6 |
| გფრ | 2 | 2 | 2 | 6 |
| უნგრეთი | - | 2 | 4 | 6 |
| გაერთ. გუნდი | 3 | 1 | 1 | 5 |
| ჩეხოსლოვაკია | 1 | 1 | 3 | 5 |
| გერმანია | 2 | 2 | - | 4 |
| ნიდერლანდები | 1 | 2 | - | 3 |
| ფინეთი | 1 | 1 | - | 2 |
| ბელგია | 1 | - | 1 | 2 |
| შვეიცარია | - | 1 | 1 | 2 |
| უკრაინა | 1 | - | - | 1 |
| იაპონია | - | 1 | - | 1 |
| ჩინეთი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 60 | 60 | 60 | 180 |

**ფილატელია ოლიმპიური.** ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკების შეგროვება-კოლექციონირება. პირველი ოლიმპიური საფოსტო მარკები გამოუშვეს საბერძნეთში (1896). მიმოქცევაში შევიდა თამაშების გახსნის მეორე დღეს (7 აპრილი). სულ გამოშვებულ იქნა 12 მარკა 8 სიუჟეტით (მუშტი-კრივი,



ლილეჰამერის ოლიმპიური თამაშების საფოსტო მარკა

ბადროს ტყორცნა, ამფორა — ატიკის მთავარი დღესასწაულის სპორტული ჯილდო, ეტლების რბოლა, ათენის სტადიონი, აკროპოლი და ორი ძეგლი — პერმესისა დიონისესთან ერთად და გამარჯვების ქალღმერთ ნიკესი). აქედან იწყება არა მარტო ოლიმპიური, საერთოდ სპორტული ფილატელიის ისტორია. ოლიმპიურ საფოსტო მარკებს უშვებს არა მარტო თამაშების ჩამტარებელი ქვეყანა, არამედ ყველა, ვისაც კი ასეთი სურვილი გაუჩნდება.

საქართველოში ოლიმპიური თემატიკისადმი მიძღვნილი პირველი მარკები 1994 წელს გამოუშვეს (იხ. ოლიმპიური ფილატელიის საერთაშორისო ფედერაცია; გვ. 99. საქართველოს ოლიმპიური და სპორტული ფილატელიის ასოციაცია; გვ. 124).

**ფილიპინების რესპუბლიკა.** სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ტერიტორია — 299,7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 63 მლნ. ვისაია — 41 %, ტაგალი — 21 %, მორო — 7 %, ჩინელები — 1,2 % და სხვ. დედაქალაქი — მანილა (დიდი მანილის საზღვრებში — 10 მლნ). სახელმწიფო ენა — ფილიპინო. მორწმუნეთა 85 % — ქრისტიანები (კათოლიკები), 10 % — მუსულმანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1911 წელს, 1929 წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1928 | | | 1 | 1 |
| 1932 | - | - | 3 | 3 |
| 1936 | - | - | 1 | 1 |
| 1964 | - | 1 | - | 1 |
| 1988 | - | - | 1 | 1 |
| 1992 | - | - | 1 | 1 |
| 1996 | - | 1 | - | 1 |
| სულ | - | 2 | 7 | 9 |



ბერლინის XI ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ოლიმპიური ფილმის აფიშა

**ფილმი ოლიმპიური.** ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის სრულმეტრაჟიანი ფილმი: ანგარიში, რომელიც ასახავს თამაშების ძირითად მომენტებს (გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში. როგორც წესი, იღებენ ოლიმპიური ფილმის რამდენიმე ვარიანტს, რომლებიც ითვლება სოკ-ის საკუთრებად. მათი დემონსტრაცია შეიძლება მხოლოდ ამ ორგანიზაციის თანხმობით.

**ფინეთი.** სახელმწიფო ჩრდილოეთ ევროპაში. ტერიტორია — 337 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 5,1 მლნ. დედაქალაქი — ჰელსინკი (525 ათასი). სახელმწიფო ენები — ფინური და შვედური. ყველაზე გავრცელებული ეკლესია — ევანგელისტურ-ლიუთერანული.

სპორტის საქმეებს განაგებს სახელმწიფო საბჭო. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1919-ში. ფინეთის სპორტსმენები 1908-დან ყველა ოლიმპიადის მონაწილენი არიან. ფინეთის დედაქალაქმა ჰელსინკმა 1952-ში XV ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა. პირველი ოლიმპიური ჩემპიონნია ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე ვ. ვეკმანი (ქვემძიმე წონა). ეს ტიტული მან 1908-ში მოიპოვა (IV ოლიმპიადა, ლონდონი).

ფინეთის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1906 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1908 | 1 | 1 | 3 | 5 |


ფინეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



ფილიპინების ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა



ფიჯის სამოყვარულო სპორტის ასოციაციის და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1912 | 9 | 8 | 9 | 26 |
| 1920 | 14 | 10 | 9 | 33 |
| 1924 | 14 | 13 | 10 | 37 |
| 1928 | 8 | 8 | 9 | 25 |
| 1932 | 5 | 8 | 12 | 25 |
| 1936 | 7 | 6 | 6 | 19 |
| 1948 | 8 | 7 | 5 | 20 |
| 1952 | 6 | 3 | 13 | 22 |
| 1956 | 3 | 1 | 11 | 15 |
| 1960 | 1 | 1 | 3 | 5 |
| 1964 | 3 | - | 2 | 5 |
| 1968 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1972 | 3 | 1 | 4 | 8 |
| 1976 | 4 | 2 | - | 6 |
| 1980 | 3 | 1 | 4 | 8 |
| 1984 | 4 | 2 | 6 | 12 |
| 1988 | 1 | 1 | 2 | 4 |
| 1992 | 1 | 2 | 2 | 5 |
| 1996 | 1 | 2 | 1 | 4 |
| **სულ** | **99** | **80** | **113** | **292** |

**ზამთრის ოლიმპიური თამაშები**

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1920 | 1 | - | - | 1 |
| 1924 | 4 | 3 | 3 | 10 |
| 1928 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1932 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 1936 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 1948 | 1 | 3 | 2 | 6 |
| 1952 | 3 | 4 | 2 | 9 |
| 1956 | 3 | 3 | 1 | 7 |
| 1960 | 2 | 3 | 3 | 8 |
| 1964 | 3 | 4 | 3 | 10 |
| 1968 | 1 | 2 | 2 | 5 |
| 1972 | - | 4 | 1 | 5 |
| 1976 | 2 | 4 | 1 | 7 |
| 1980 | 1 | 5 | 3 | 9 |
| 1984 | 4 | 3 | 6 | 13 |
| 1988 | 4 | 1 | 2 | 7 |
| 1992 | 3 | 1 | 3 | 7 |
| 1994 | - | 1 | 5 | 6 |
| **სულ** | **36** | **46** | **42** | **123** |



რ. ფონსტი

**ფიცი ოლიმპიური.** ტრადიციული რიტუალი ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე. ფიცის ტექსტი შეიმუშავა პიერ დე კუბერტენმა (1913) და სოკ-ს შესთავაზა აღედგინა ფიცის დადების ძველბერძნული რიტუალი. ოლიმპიური ფიცის სიტყვები თანამედროვე თამაშებში პირველად ანტვერპენში, VII ოლიმპიადაზე (1920) წარმოითქვა. ქარტიის თანახმად, მასპინძელი ქვეყნის სპორტსმენი ადის ტრიბუნაზე, მარცხენა ხელში უჭირავს ოლიმპიური დროშა, მარჯვენა ხელს ზეაღმართავს და საზეიმოდ დებს ფიცს: *„ყველა სპორტსმენის სახელით გპირდებით, რომ ჩემი გუნდის სპორტული დიდებისა და ღირსებისათვის, ჭეშმარიტი სპორტული სულისკვეთებით ვიასპარეზებ ოლიმპიურ თამაშებში, პატივს ვცემ და დავიცავ მის კანონებს“.*

1968 წლიდან (მეხიკო, XIX თამაშები) ფიცის სიტყვებს წარმოთქვამს მსაჯიც. ტექსტს აქაც მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი კითხულობს: *„ყველა მსაჯის სახელით, ჭეშმარიტი სპორტული სულისკვეთებით, სპორტული დიდებისა და პატივისთვის, პირობას ვიძლევი მიუკერძოებლად შევასრულო მოვალეობა, პატივი მივაგო და ვუერთგულო ოლიმპიური თამაშების კანონებს“.*



ოლიმპიურ ფიცს წარმოთქვამს ვიქტორ ბოინი. ანტვერპენი, 1920 წ.

**ფიჯი.** სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულებზე, წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში. საერთო ტერიტორია — 18,4 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 800 ათასი. დედაქალაქი — სუვა (75 ათასი). ოფიციალური ენა — ინგლისური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1949 წელს, 1955 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ფლემინგი პეგი.** დ. 27. 7 1948 სან-ხოსეში, კალიფორნიის შტატი, აშშ. *ფიგურული ციგურაობა.* 1968 გრენობლის X ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ერთეულებში. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1966-68). გადაეიდა პროფესიონალებში. იყო საბალეტო რევიუს სოლისტი.

**ფონსტი რამონ.** 31 8. 1883 — 10. 9. 1959. კუბელი *მოფარიკავე.* 1900 პარიზის II თამაშების ჩემპიონი რაპირით ფარიკაობაში. 1904 სენტ-ლუის-



პ. ფლემინგი

ში (III ოლიმპიადა) მოიგო სამი ოქროს მედალი რაპირასა (პირადი, გუნდური) და დაშნაში (პირადი). ლათინური ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო და მრავალმხრივი სპორტსმენი.

ცხოვრების მანძილზე მიღებული აქვს 125 მედალი და 25 დიდი პრიზი. ითვლებოდა მაღალი კლასის მსროლელად, ველოსიპედისტად, მოკრივედ. სროლაში მას მიღებული აქვს 44 სხვადასხვა ღირსების მედალი. 8 ჯილდო აქვს კრივში, საფრანგეთში მოიგო „პარიზის დიდი პრიზი" ველოსპორტში. მიღებული აქვს დიდი ოქროს მედალი სასტენდო სროლაში.

**ფოსბერი რიჩარდ.** დ. 6. 3. 1947 პორტლენდში, ორეგონის შტატი, აშშ. 1968 მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი *სიმაღლეზე ხტომაში* (2,24 მ). მძლეოსნობის ისტორიაში შევიდა, როგორც ხტომის პროგრესიული, თანამედროვე სტილის („ფოსბერი-ფლოპი") ავტორი.



რ. ფოსბერი

**ფრეიზერი დაუნ.** დ. 4. 9. 1937 სიდნეიში, ავსტრალია. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო *მოცურავე* ქალი. სამი ოლიმპიადის ჩემპიონი: 1956-ში (მელბურნი, XVI თამაშები) მოიგო თავისუფალი სტილით 100 მ (1. 02,0) და ესტაფეტა 4X100მ, 1960-ში (რომი, XVII) თავისუფალი სტილით 100 მ აჩვენა 1.01,2, 1964-ში (ტოკიო, XVIII) კი იმავე დისტანციაზე 59, 5. გარდა ამისა, მიღებული აქვს ვერცხლისა და ბრინჯაოს ოლიმპიური მედლები. პირველი ქალი, რომელმაც 100 მ ერთ წუთზე უფრო სწრაფად გაცურა. სულ დამყარებული აქვს 16 მსოფლიო რეკორდი 8 წლის განმავლობაში (1956-64).

**ფრეიზერი ჯო.** დ. 12. 1. 1944 ბომონტში, სამხრეთ კაროლინის შტატი, აშშ. *კრივი*. 1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მძიმე წონაში. გადავიდა პროფესიონალებში (1965). 16. 2. 1970 მე-5 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ჯ. ელისი და მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის სახელი. ორჯერ დაიცვა ტიტული ბ. ფოსტერთან და მ. ალისთან. დამარცხდა ჯ. ფორმენთან ნოკაუტით მეორე რაუნდში.

**ფრენბურთი.** გუნდური თამაში ბურთით. გამოიგონა ამერიკელმა უ. გ. მორგანმა (1895). თავდაპირველად გავრცელდა იაპონიაში, ჩინეთში, ფილიპინებზე. ევროპაში შემოვიდა 1907-ში, თავდაპირველად ჩეხიაში. საერთაშორისო ფედერაცია დაარსდა 1947. ევროპის ჩემპიონატი ტარდება 1948-დან, მსოფლიოს — 1949. პირველი ჩემპიონებია: ვაჟებში — სსრკ, ქალებში — იაპონია.

საქართველო თამაშებში წარმოდგენილია ერთადერთი ფრენბურთელით. 1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების დამფუძნებელ ტურნირში სხვებთან ერთად ოქროს მედალი მოიპოვა ვაჟა კაჭარავამ.

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრკ | 7 | 4 | 1 | 12 |
| იაპონია | 3 | 3 | 2 | 8 |
| აშშ | 2 | 1 | 2 | 5 |
| კუბა | 2 | - | 1 | 3 |
| ბრაზილია | 1 | 1 | 1 | 3 |
| ჩინეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| პოლონეთი | 1 | - | 2 | 3 |
| ნიდერლანდები | 1 | 1 | - | 2 |
| გდრ | - | 2 | - | 2 |
| ბულგარეთი | - | 1 | 1 | 2 |
| იტალია | - | 1 | 1 | 2 |
| ჩეხოსლოვაკია | - | 1 | 1 | 2 |
| გაერთ. გუნდი | - | 1 | - | 1 |
| პერუ | - | 1 | - | 1 |
| არგენტინა | - | - | 1 | 1 |
| იუგოსლავია | - | - | 1 | 1 |
| კორეა | - | - | 1 | 1 |
| კსდრ | - | - | 1 | 1 |
| რუმინეთი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 18 | 18 | 18 | 54 |

**ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია** (FIVB). შეიქმნა 1947-ში პარიზში საფრანგეთის ფედერაციის ინიციატივით. მის გარდა დამფუძნებლები იყვნენ: ბელგია, ბრაზილია, იტალია, ლივანი, პოლონეთი, თურქეთი და ჩეხოსლოვაკია. ოფიციალური ენებია ფრანგული, ინგლისური, ესპანური და რუსული (1948-დან). შტაბ-ბინის ადგილსამყოფელს ადგენს კონგრესი ადმინისტრაციული საბჭოს წინადადებით.

სოკ-ის 53-ე სესიის გადაწყვეტილებით (1957), ფრენბურთი ოლიმპიურ დისციპლინად გამოცხადდა. ფრენბურთის პოპულარობის მიზნით რეგიონებში შექმნილია კონფედერაციები: ევროპის (1963), აზიის (1960), აფრიკის (1965), ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის (1966), სამხრეთ ამერიკის (1965).

უმაღლესი ორგანო — კონგრესი, რომელსაც ორ წელიწადში ერთხელ იწვევენ. ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოა ადმინისტრაციული საბჭო, რომელშიც შედიან: პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და მისი მოადგილე, გენერალური ხაზინადარი, ოთხი ვიცე-პრეზიდენტი და წევრები. ადმინისტრაციული საბჭოს გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება ევალება აღმასრულებელ კომიტეტს.

**ფრისტაილი.** ზამთრის სპორტის სახეობა. ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1994 წლიდან (ლილეჰამერი).



დ. ფრეიზერი

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| კანადა | 1 | 1 | 1 | 3 |
| ნორვეგია | 1 | - | 1 | 2 |
| რუსეთი | - | 1 | 1 | 2 |
| შვეიცარია | 1 | - | - | 1 |
| უზბეკეთი | 1 | - | - | 1 |
| აშშ | - | 1 | - | 1 |
| შვეცია | - | 1 | - | 1 |
| საფრანგეთი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 4 | 4 | 4 | 12 |

**ფხაკაძე ომარ.** 12. 8. 1944 ქუთაისი — 22. 5. 1993 თბილისი. პირველი საბჭოთა *ველოსიპედისტი* — მსოფლიოს ჩემპიონი სპრინტში (1965). სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1959. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1981).



ო ფხაკაძე

სსრკ ათგზის ჩემპიონი სპრინტში (1963-64, 66-73) და თასის ოთხგზის (1963-65, 69) მფლობელი. მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლის (1969) და ბრინჯაოს (1966) პრიზიორი. მოგებული აქვს გდრ-ს (1966), კოპენჰაგენის, ამსტერდამის (1967) და ტულის (1967-70) პრიზები. დასახელებული იყო სსრკ-ის საუკეთესო სპორტსმენად (1965). სამი ოლიმპიადის მონაწილე.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები (სპრინტი). I ადგილი მეთექვსმეტედფინალში — 12,26 (ბოლო 200 მ), II ადგილი მერვედფინალში — 12, 13; I ადგილი იმედის სერიაში — 11,70; II ადგილი მეოთხედფინალის წინა სერიაში — 11,72. გამოეთიშა ასპარეზობას.

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები (სპრინტი) — IV ადგილი. I ადგილი წინასწარ სერიაში — 11,30; I ადგილი მეთექვსმეტედფინალში — 11,26; I ადგილი მერვედფინალში — 10,94; I ადგილი მეოთხედფინალში (მესამე ცდაში დაამარცხა იტალიელი დინო ვერძინი), II ადგილი ნახევარფინალში (მესამე ცდაში დამარცხდა ფრანგ დანიელ მორელონთან). III ადგილისთვის ბრძოლა წააგო ფრანგ პიერ ტრანტენთან.

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები (სპრინტი) — III ადგილი. I ადგილი წინასწარ სერიაში — 11,64; II ადგილი მეთექვსმეტედფინალში, I ადგილი იმედის სერიაში — 11,56; I ადგილი მეოთხედფინალში (მესამე ცდაში დაამარცხა იტალიელი მასიმო მარინო), II ადგილი ნახევარფინალში (ორივე ცდა წააგო ავსტრალიელ ჯონ ნიკოლსონთან), III ადგილისთვის ბრძოლა მოუგო ნიდერლანდელ კლას ბალკას (მესამე ცდაში).

# ქ

**ქალაქი ოლიმპიური.** ოლიმპიური ქარტიის თანახმად, თამაშების გამართვის უფლება ენიჭება ქალაქს და არა ქვეყანას. მას ირჩევს სოკ-ის სესია. კონკურენცია იმდენად დიდია, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად კენჭისყრის რამდენიმე ტური ინიშნება. კანდიდატი ქალაქი, განაცხადთან ერთად, სოკ-ს წარუდგენს შესაბამისი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დასტურს (თუ კანდიდატს ქვეყნის რამდენიმე ქალაქი წამოაყენებს, ერთ-ერთი მათგანს ეოკ-ი ირჩევს), ქვეყნის მთავრობის საგარანტიო წერილს, რომ ქვეყანა დაიცავს ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნებს. თავის მხრივ, ქალაქის შესაბამისი ორგანოები წერილობით განაცხადებენ, რომ ეთანხმებიან სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ კანდიდატი ქალაქებისთვის დაკისრებულ პირობებს, პატივს სცემენ საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ოლიმპიურ ტექნიკურ ნორმებს. აუცილებელია, აგრეთვე, ფინანსური გარანტიების წარდგენა. გარანტიების მიცემა შეუძლია ქალაქს, ადგილობრივ, რეგიონალურ ან ეროვნულ სახალხო ორგანიზაციებს, სახელმწიფოს ან მესამე პირებს.

სოკ-ის პრეზიდენტი ნიშნავს შემფასებელ კომისიას (ცალ-ცალკე ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის), რომლის შემადგენლობაში შედიან სოკ-ის, საერთაშორისო სპორტული ფედერაციებისა და ეოკ-ების წარმომადგენლები. სოკ-ის სესია იხილავს კომისიის მოხსენებას და აწყობს საარჩევნო კენჭისყრას ოლიმპიური თამაშების გახსნამდე არაუგვიანეს შვიდი წლით ადრე. ქალაქის არჩევისთანავე, სოკ-ი, მასპინძელი ქალაქი და ქვეყნის ეოკ-ი დებენ ხელშეკრულებას. ოლიმპიური თამაშების პერიოდში, სოკ-ის თანხმობის გარეშე, მასპინძელ ქალაქში და შეჯიბრების სხვა ადგილებზე არ დაიშვება სხვა მნიშვნელოვანი ეროვნული თუ საერთაშორისო ხასიათის ღონისძიება. ყველა შეჯიბრება უნდა ჩატარდეს მასპინძელ ქალაქში, გარდა სოკ-ის მიერ ნებადართული შემთხვევებისა. გამონაკლის და აუცილებელ შემთხვევაში, სოკ-ის გადაწყვეტილებით, ზამთრის ოლიმპიური თამაშების ზოგიერთი შეჯიბრება შეიძლება გადატანილ იქნას მოსაზღვრე ქვეყანაში.

**ქალი ოლიმპიურ თამაშებში.** ძველბერძნულ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება ქალებს წართმეული ჰქონდათ. მათ ეკრძალებოდათ სტადიონზე მაყურებლის როლში ყოფნაც. ამ წესის დამრღვევს ემუქრებოდა სიკვდილით დასჯა. გამონაკლისი გაკეთდა მხოლოდ ქალღმერთ დემეტრას ქურუმი ქალის მიმართ. სამაგიეროდ, თამაშების დამთავრების შემდეგ ქალღმერთ ჰერას პატივსაცემად ოლიმპიაში იმართებოდა გოგონათა შეჯიბრება რბენაში, რომელიც დიდ ინტერესს იწვევდა.

როგორც ჩანს, ანტიკური ოლიმპიადების განწყობილება გადმოჰყვა თანამედროვე თამაშებს, როცა ათენის 1896 წლის ოლიმპიადაში საასპარეზოდ მხოლოდ მამაკაცები დაუშვეს. მაგრამ ეს შეცდომა ოთხი წლისთავზე გამოსწორდა. პარიზის თამაშებში (1900) მამაკაცების გვერდით ასპარეზობდნენ ჩოგბურთელი და მეგოლფე ქალები. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალია ჩოგბურთელთა ტურნირში გამარჯვებული, ინგლისელი შირლი კუპერი. ის პირველი იყო შერეულ წყვილთა ასპარეზობაშიც (თანამემამულე რ. დოპერტისთან ერთად). მეგოლფე ქალთა შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა ამერიკელმა მერი ებოტმა.

**ქარტია ოლიმპიური.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საწესდებო დოკუმენტების კრებული, რომელიც განსაზღვრავს ოლიმპიური მოძრაობის ამოცანებსა და მიზნებს, პრინციპებს, დებულებებს, ოლიმპიური თამაშების ჩატარების წესებს და ა. შ. ოლიმპიური ქარტიის საფუძვლები შეიმუშავა პიერ დე კუბერტენმა და დასამტკიცებლად წარუდგინა პარიზის სპორტის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონგრესს (1894). დროთა განმავლობაში, ოლიმპიური ქარტიის სხვადასხვა პუნქტში შეპქონდათ დამატებები, დაზუსტებები, აუცილებელი განმარტებები, ინსტრუქციები, მაგრამ კუბერტენის მიერ შემუშავებული ქარტია, ძირითადად, არ შეცვლილა. ქარტიას თან ახლავს რეგიონალური თამაშების ჩატარების წესები, ოლიმპიური თასის დებულება, ოლიმპიური ორდენის წესდება და სოკ-ის გამოცემათა ნუსხა.

სოკ-ის 104-ე სესიაზე (ბუდაპეშტი, 1995) რატიფიცირებული ოლიმპიური ქარტია 5 თავის, 4 მუხლისა და 74 წესისაგან შედგება.

პირველ თავში მოცემულია ოლიმპიური მოძრაობის ძირითად პრინციპთა განმარტება, ოლიმპიური თამაშების რაობა, აღწერილია ოლიმპიური სიმბოლიკა და მისი გამოყენების წესები. მეორე თავი მთლიანად საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ეთმობა: განსაზღვრულია სოკ-ის იურიდიული სტატუსი, ორგანიზაციული მოწყობა და სტრუქტურა, სოკ-ის წევრთა უფლება-მოვალეობანი. მესამე თავი განმარტავს საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა ფუნქციას, მათი აღიარების და ოლიმპიურ მოძრაობაში ჩართვის წესებს. ქარტიის მეოთხე თავში საუბარია ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის როლსა და მიზნებზე, უფლებებსა და მოვალეობებზე, სტატუსსა და სტრუქტურაზე, აღიარების პირობებზე. ყველაზე ვრცელია ქარტიის ბოლო, მეხუთე თავი — „ოლიმპიური თამაშები". აქ დეტალურად არის განმარტებული ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული ყველა საკითხი: ოლიმპიური თამაშების თარიღები; მასპინძელი ქალაქის არჩევნები; საორგანიზაციო კომიტეტის სტატუსი, შემადგენლობა, ეოკ-თან ურთიერთობა, ვალდებულებები; ოლიმპიური სოფელი; კულტურული პროგრამა; თამაშებში მონაწილეთა შერჩევა, მათი მოქალაქეობა, ასაკობრივი ზღვარი; სამედიცინო კოდექსი; სანქციები ოლიმპიური ქარტიის დარღვევის შემთხვევაში; ოლიმპიური თამაშების პროგრამა; ინფორმაციის მიღება; პროპაგანდა და რეკლამა; ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალები; გამარჯვებულთა დაჯილდოება; ოლიმპიური არბიტრაჟი. საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ წესს თან ახლავს ოფიციალური განმარტება.

**ქავჩაკიძე რევაზ.** დ. 1938 თბილისში. *მძლეოსნობა.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1954. სსრკ ნაკრების წევრი სიგრძეზე ხტომაში. სტუდენტთა II ზაფხულის სპორტული თამაშების ჩემპიონი (1960 — 7.79 მ). საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი. ოლიმპიადის მონაწილე.

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები (სიგრძეზე ხტომა). ვერ შეასრულა საკლასიფიკაციო ნორმატივი — 7, 40მ. I ცდა — 5, 42მ, II ცდა — 6,82 მ, III ცდა — გააფუჭა.

**ქველიაშვილი შოთა.** დ. 1. 1. 1938 თბილისში. *ტყვიის სროლა.* დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სსრკ ორგზის ჩემპიონი (1961, 68). სამჯერ აქვს გაუმჯობესებული საკავშირო რეკორდი. სამჯერ იყო ევროპის ჩემპიონი (1959 — გუნდურში, 1969 — პირადიც და გუნდურიც). ორი ოლიმპიადის მონაწილე.



შ. ქველიაშვილი

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები (ნებისმიერი შაშხანა 300 მ. 3X40 გასროლა) — II ადგილი. წოლელა დააგროვა 389 ქულა, ჩოქელა — 389, დგომელა — 366, ჯამში 1144 ქულა.

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები (ნებისმიერი შაშხანა 300 მ. 3X40 გასროლა) — IV ადგილი. წოლელა — 394, ჩოქელა — 383, დგომელა — 365, ჯამში 1142 ქულა.

1982 წლიდან არჩეულია ტყვიის სროლის საერთაშორისო კავშირის წევრად.



ხ. ქვრივიშვილი

**ქვრივიშვილი ხათუნა.** დ. 1. 1. 1974 თბილისში. *მშვილდოსნობა.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1986. სსრკ-ს, დსთ-ს და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი პირადსა და გუნდურ ჩათვლა-

ქუთაისის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ში. ევროპის ჩემპიონი გუნდურში და პრიზიორი პირადში. სსრკ თასის მფლობელი. ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1992 ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები (გუნდური ტურნირი) — III ადგილი დსთ-ს ნაკრების შემადგენლობაში ნატალია ვალეევასთან და ლიუდმილა არჟანიკოვასთან ერთად. პირად ასპარეზობაში გაიყო V-VIII ადგილები.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიური თამაშები — 148 ქულით შეჯიბრებას გამოეთიშა ოცდამეთორმეტედფინალში.

**ქორიძე ავთანდილ.** 15. 4. 1935 თბილისი — 11. 4. 1966 თბილისი. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.* დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1960). 1958-ში მოიპოვა ადრიატიკის თასი. მსოფლიოს ჩემპიონი (1961). ახალგაზრდობის III საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ჩემპიონი (1957). ოლიმპიადის მონაწილე.

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები (მსუბუქი წონა, 67 კგ) — I ადგილი. I წრე — ქულებით დაამარცხა მარიო დე სილვა (იტალია), II წრე — ქულებით მოუგო ბენ ნორტროპს (აშშ), III წრე — ფრე კიუესტი ლეპტონენთან (ფინეთი), IV წრე — წმინდად დაამარცხა ანასტასე მოისიდისი (საბერძნეთი), V წრე — ქულებით აჯობა დიმიტრ იანჩევს (ბულგარეთი), VI წრე — ქულებით მოუგო ბრანკო მარტინოვიჩს (იუგოსლავია).



მ. ქორქია

1976 მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშები — III ადგილი. ითამაშა ყველა 7 მატჩი: მექსიკასთან — 2 ქულა, ავსტრალიასთან — 10, კანადასთან — 4, იაპონიასთან — 10, კუბასთან — 14, იუგოსლავიასთან — 4, კანადასთან — 0, სულ — 44 ქულა.

**ქორქია ოთარ.** დ. 10. 5. 1923 ქუთაისში. *კალათბურთი.* თამაშობდა ქუთაისის „დინამოში" (1943-



ა. ქორიძე



ო. ქორქია

**ქორქია მიხეილ.** დ. 10. 9. 1948 ქუთაისში. *კალათბურთი.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო ქუთაისში. თბილისის „დინამოს" წევრი (1965-79). სსრკ ჩემპიონი (1968) და პრიზიორი. ევროპის ჩემპიონი (1971) და ორგზის ვერცხლის პრიზიორი (1975, 77). „უნივერსიადა 73-ის" მეორე პრიზიორი. ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები — I ადგილი. ჩაატარა 9 შეხვედრა: სენეგალთან — 8 ქულა, გფრ-თან — 2, იტალიასთან — 0, პოლონეთთან — 6, პუერტო-რიკოსთან — 8, ფინეთთან — 13, იუგოსლავიასთან — 4, კუბასთან — 0, აშშ-თან — 4, სულ — 45 ქულა.

46), შემდეგ თბილისის „დინამოში" (1947-58). დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1961). სსრკ ჩემპიონი (1950, 53, 54) და თასის მფლობელი (1949, 50). ევროპის სამგზის (1947, 51, 53), სტუდენტთა მსოფლიოს თამაშების ორგზის (1949, 51) და ახალგაზრდობის I საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების (1953) ჩემპიონი. იყო სსრკ ნაკრების კაპიტანი (1953-55). ავარჯიშებდა თბილისის „დინამოს", რომელმაც მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი (1962). რამდენიმე წელი იმუშავა მწვრთნელად კამბოჯაში. ავარჯიშებდა ვაჟთა და ქალთა ეროვნულ ნაკრებს. ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები — II ადგილი.

**ქუვეითი.** მდებარეობს სპარსეთის ყურის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, უკავია აგრეთვე ბუბიანის, ფაილაკის და ვარბას კუნძულები. ფართობი — 20,2 ათასი კვ. კმ. (ნეიტრალური ზონის ნაწილის ჩათვლით). მოსახლეობა — 1,95 მლნ. 90 % — არაბები. დედაქალაქი — ელ-ქუვეითი (გარეუბნებით 1,7 მლნ). ოფიციალური ენა — არაბული. რელიგია — ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1957 წელს, 1966 წლიდან სოკ-ის წევრია.

# ღ

**ღოღობერიძე ავთანდილ.** 30. 12. 1922 სოხუმი — 20. 11. 1980 თბილისი. *ფეხბურთი.* თბილისის „დინამოში" თამაშობდა 1943-დან. 1951-60 იყო გუნდის კაპიტანი. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1950). სსრკ ჩემპიონატების ვერცხლის (1951, 53) და ბრინჯაოს (1946, 47, 50, 59) პრიზიორი. ხალხთა პირველი სპარტაკიადის (1956) მეორე პრიზიორი. საკავშირო ჩემპიონატებში ჩაატარა 343 მატჩი, გაიტანა 127 გოლი. სსრ კავშირის ნაკრებში ითამაშა 3 მატჩი (1952, 54) და გაიტანა 1 გოლი. 1961-62 თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი იყო. ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები — მერვედფინალი. მონაწილეობა მიიღო ერთ მატჩში — ბულგარეთთან.

# ყ

**ყაზარაშვილი ნინო.** დ. 4. 12. 1979 რუსთავში. *წყალში ხტომა.* ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 3-მეტრიანი კოშკურა. 191,49 ქულა, 28-ე ადგილი.

**ყაზახეთი.** ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ამჟამად დამოუკიდებელი სახელმწიფო. ტერიტორია — 2.717 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 15,8 მლნ. დედაქალაქი — ალმა-ათა. ოფიციალური ენა — ყაზახური.

ყაზახეთის სპორტსმენები საბჭოთა ნაკრებთან ერთად გამოდიოდნენ 1956-1988 წლების ოლიმპიადებში (გარდა 1984 წლისა) და პირად-გუნდურ შეჯიბრებებში 49 მედალი მოიპოვეს — 25 ოქრო, 13 ვერცხლი, 11 ბრინჯაო. ბარსელონაში (1992), გაერთიანებულ გუნდში 19 ყაზახი ოლიმპიელი მონაწილეობდა, რომლებმაც 5 მედალი აიღეს, მათ შორის პირად შეჯიბრებაში — 2 ბრინჯაო.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1990 წელს, სოკ-მა აღიარა 1993 წელს. დამოუკიდებელი გუნდი გამოიყვანა ლილეჰამერსა (1994) და ატლანტაში (1996).

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1996 | 3 | 4 | 4 | 11 |
| სულ | 3 | 4 | 4 | 11 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1994 | 1 | 2 | | 3 |
| სულ | 1 | 2 | | 3 |

ყაზახეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ყინულის ჰოკეი** (სხვაგვარად — შაიბიანი ჰოკეი). გუნდური თამაში. ჩაისახა XIX ს. 60-იან წლებში კანადაში, როგორც ჰოკეი ბურთის (მოთამაშეთა რაოდენობა — ნაკლები, მოედნის ზომები — მცირე) ვარიანტი. 1879-ში პირველად გამოქვეყნდა თამაშის წესები. გასული საუკუნის მიწურულიდან კანადასა და აშშ-ში რეგულარულად ტარდებოდა შეჯიბრებები. 1914-ში ყინულის ჰოკეის პროფესიონალური კლუბები გაერთიანდნენ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში.

XX საუკუნის დასაწყისიდან ვრცელდება ევროპაში. საერთაშორისო ფედერაცია დაფუძნდა 1908-ში. მსოფლიოს ჩემპიონატები 1930-დან ტარდება, ევროპისა — 1910-დან. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია კანადა (1920 ანტვერპენის VII ზაფხულის თამაშები).



ა. ღოღობერიძე

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| კანადა | 6 | 4 | 2 | 12 |
| საბჭოთა კავშირი | 7 | 1 | 1 | 9 |
| აშშ | 2 | 6 | 1 | 9 |
| ჩეხოსლოვაკია | - | 4 | 4 | 8 |
| შვეცია | 1 | 2 | 4 | 7 |
| დიდი ბრიტანეთი | 1 | - | 1 | 2 |
| შვეიცარია | - | - | 2 | 2 |

ყირგიზეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გაერთ. გუნდი | 1 | - | - | 1 |
| ფინეთი | - | 1 | 1 | 2 |
| გფრ | - | - | 1 | 1 |
| გერმანია | - | - | 1 | 1 |
| **სულ** | **18** | **18** | **18** | **54** |

**ყირგიზეთი.** ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ამჟამად დამოუკიდებელი ქვეყანა. ტერიტორია — 198,5 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 4,3 მლნ. დედაქალაქი — ბიშკეკი. ოფიციალური ენა — ყირგიზული.

ყირგიზეთის სპორტსმენები სსრკ ნაკრებთან ერთად ოლიმპიურ თამაშებში ჩაებნენ 1860 წლიდან. მათთვის ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა მოსკოვის თამაშები — 4 ოქრო, 1 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. ადრეც და შემდგომშიც (გარდა ბარსელონაში გუნდურ შეჯიბრებაში მოპოვებული მედლისა) ყირგიზებს ოლიმპიური ჯილდო არ აუღიათ.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1991 წელს, სოკ-მა აღიარა 1993 წელს. დამოუკიდებლად გამოვიდნენ ლილეჰამერსა (1994) და ატლანტაში (1996), მაგრამ ამჯერადაც უმედლოდ დარჩნენ.

# შ

**შავლაყაძე რობერტ.** დ. 1. 4. 1933 თბილისში. *მძლეოსნობა.* დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1955). სსრკ ჩემპიონი (1964) და სამგზის ვერცხლის პრიზიორი (1959, 60, 62). 1962-ში ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. აშშ-სსრკ-ის ტრადიციულ მატჩში გამარჯვებული (1962). მოგებული აქვს მრავალი საერთაშორისო ტურნირი. 1977- 80-ში კონგოს (ბრაზავილი) რესპუბლიკის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა. ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები (სიმაღლეზე ხტომა) — I ადგილი. საკვალიფიკაციო ხტომები: პირველი ცდით აიღო სამივე სიმაღლე — 1,90, 1,95 და 2,00. ფინალური ხტომები: 2მ — მეორე ცდით, 2,03მ, 2,06, 2,09მ, 2,12მ, 2,14მ 2,16მ — ყველა სიმაღლე პირველი ცდით აიღო, 2,18 — სამივე ცდა გააფუჭა. საბოლოო შედეგი — 2,16მ.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები (სიმაღლეზე ხტომა) — V ადგილი. საკვალიფიკაციო ხტომები: პირველი ცდით აიღო სამივე სიმაღლე — 2,00მ, 2,03მ და 2,06მ. ფინალური ხტომები: 2,03მ, 2,06მ, 2,09მ, 2,12მ — ყველა სიმაღლე პირველი ცდით აიღო, 2,14მ — მესამე ცდით, 2,16მ — სამივე ცდა გააფუჭა. საბოლოო შედეგი — 2,14მ.



რ. შავლაყაძე (შუაში)

**შალიბაშვილი სერგო.** 22. 6. 1962 — 16. 7. 1983. კოშკიდან *წყალში მხტომელი.* იუნიორთა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1978), სსრკ ჩემპიონატების ოქროსა (1980) და ბრინჯაოს



ს. შალიბაშვილი

მედლის (1979) მფლობელი, საკავშირო თასის სამ გათამაშებაში გამარჯვებული (1978-80), მრავალი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და პრიზიორი.

ტრაგიკულად დაიღუპა კანადაში, შეჯიბრებისას მიღებული ტრავმით. 1983 წელს, სიკვდილის შემდეგ, დაჯილდოვდა ოლიმპიური ორდენით (ვერცხლის ნიშანი).

**შამონი.** ქალაქი საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სავოის ალპებში, მონბლანის მთის ძირში, 1500მ. სიმაღლეზე. ალპინიზმის, ტურიზმისა და სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი საფრანგეთში. ზამთრის I ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი (1924). ამ წელს შამონში მოეწყო „საერთაშორისო სპორტული კვირეული", რომელიც დაუკავშირეს პარიზის VIII ზაფხულის ოლიმპიადას. შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, რისთვისაც მას ერთი წლის დაგვიანებით (1925-ში) ოლიმპიური სტატუსი მიანიჭეს.

**შანიძე დიმიტრი.** დ. 8. 2. 1937 სოფ. დერჩში, წყალტუბოს რაიონი. *ძალოსნობა.* მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ათლეტი ქვემსუბუქ წონაში. სსრკ ექვსგზის (1969-74) და ევროპის ორგ-




დ. შანიძე

ზის (1972, 73) ჩემპიონი. მსოფლიოს ჩემპიონი აკვერაში და ბრინჯაოს პრიზიორი სამჭიდში (1969). 1973-ში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ორჭიდში (272,5). მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ორჭიდში (1974). დამყარებული აქვს სამი მსოფლიოს რეკორდი, ორი აკვერაში — 153,5კგ (11. 3. 1971, როსტოვი) და 156,0 კგ (15. 5. 1972, კონსტანცა), და ერთი სამჭიდში — 402,5 (12. 4. 1972, ტალინი). ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები (ქვემსუბუქი წონა, 60კგ) — II ადგილი სამჭიდში (387,5კგ). აჭიმვა — 120 კგ, ატაცი — 117,5 კგ, აკვერა — 150კგ.

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები (ქვემსუბუქი წონა, 60 კგ) — II ადგილი სამჭიდში (400 კგ). აჭიმვა — 127,5 კგ, ატაცი — 120 კგ, აკვერა — 152,5 კგ.

**შარაბიძე (მინაიჩევა) გალინა.** დ. 29. 12. 1929 მოსკოვში. *ტანვარჯიში.* დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის (1958) და თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტები (1962).



გ. შარაბიძე (მინაიჩევა)

სსრკ ჩემპიონი ძელზე ვარჯიშში (1952). მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში (1954) და ვერცხლის პრიზიორი საგნით გუნდურ ვარჯიშში (1954). ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები — I ადგილი გუნდურ ასპარეზობაში, II ადგილი საგნით გუნდურ ვარჯიშში, III ადგილი ბჯენით ხტომებში (19,16 ქულა), IV ადგილი მრავალჭიდში (75,67 ქულა), VI ადგილი თავისუფალ ვარჯიშში (18,96 ქულა).

**შახლინი ბორის.** დ. 27. 1. 1932 ტიუმენის ოლქში. *ტანმოვარჯიშე.* ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვა 7 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი. იყო 1960 რომის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი (1958) მრავალჭიდში და გუნდურ ტურნირში (1954, 1958), ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1955).



გ. შახლინი

**შევინსკაია (კირშენშტეინი) ირენა.** დ. 24. 5. 1946 ლენინგრადში. ცნობილი პოლონელი *მძლეოსანი-სპრინტერი* და *სიგრძეზე მხტომელი.* 1964 ტოკიოს XVIII და 1968 მეხიკოს XIX ოლიმპიადების ჩემპიონი შესაბამისად ესტაფეტაში 4 X 100მ და 200მ რბენაში (22,5 — მსოფლიოს რეკორდი). ევროპის (1965) ჩემპიონი 200მ რბენაში (23,1), სიგრძეზე ხტომასა (6,55მ) და ესტაფეტაში 4 X 100მ. ორი ოქროს მედალი მოიპოვა ევროპის 1974 ჩემპიონატშიც: 100მ — 11,13; 200მ — 22,51. 1964, 68 და 72 ოლიმპიადების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი. ასეთივე ღირსების მედლები აქვს მიღებული ევროპის ჩემპიონატებშიც (სხვადასხვა დისტანციაზე). მსოფლიოს რეკორდსმენი: 100 — 11,1 (1965), 200 — 22,7 (1965), 22,5 (1968), 22,21 (1974), 400 — 49,9 (1974), 49,29 (1976) მეტრზე რბენაში.




შამონის ოლიმპიური თამაშების პლაკატი

**შემანსკი ნორბერტ.** დ. 30. 5. 1924 დეტროიტში, აშშ. *ძალოსანი.* ოთხი ოლიმპიური თამაშების მონაწილე. ოლიმპიური ჩემპიონი (1952, ქვემძიმე წონა), ვერცხლისა (1948, მძიმე) და ბრინჯაოს (1960 და 64, მძიმე) პრიზიორი. მსოფლიოს ჩემპიონი ქვემძიმე (1951, 53) და მძიმე (1954) წონებში. დამყარებული ჰქონდა მსოფლიოს 18 რეკორდი, მათგან სამი სამჭიდში: ქვემძიმე წონა — 427,5 (1951), 445 (1952) და მძიმე წონა — 487,5 (1954). პანამერიკული თამაშების ჩემპიონი (1955).

**შერბო ვიტალი.** დ. 13. 1. 1972 მინსკში. 90-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი *ტანმოვარჯიშე,*



ვ. შერბო

ბარსელონის ოლიმპიური თამაშების გმირი. 1992 წლის თამაშებზე გამოდიოდა გაერთიანებული გუნდის შემადგენლობაში და მოიპოვა 6 ოქროს მედალი (მრავალჭიდი, ტაიჭი, რგოლები, ხტომები, ორძელი, გუნდური), ატლანტაში (1996) 4 ბრინჯაოს დაეუფლა (მრავალჭიდი, ორძელი, ხტომები, ძელი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1932 | - | 1 | - | 1 |
| 1936 | 1 | 9 | 5 | 15 |
| 1948 | 5 | 10 | 5 | 20 |
| 1952 | 2 | 6 | 6 | 14 |
| 1956 | - | - | 1 | 1 |
| 1960 | - | 3 | 3 | 6 |
| 1964 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1968 | - | 1 | 4 | 5 |
| 1972 | - | 3 | - | 3 |
| 1976 | 1 | 1 | 2 | 4 |
| 1980 | 2 | - | - | 2 |
| 1984 | - | 5 | 3 | 8 |
| 1988 | - | 2 | 2 | 4 |
| 1992 | 1 | - | - | 1 |
| 1996 | 4 | 3 | - | 7 |
| სულ | 46 | 69 | 59 | 174 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1924 | 1 | - | 1 | 2 |
| 1928 | - | - | 1 | 1 |
| 1932 | - | 1 | - | 1 |
| 1936 | 1 | 2 | - | 3 |
| 1948 | 3 | 4 | 3 | 10 |
| 1952 | - | - | 2 | 2 |
| 1956 | 3 | 2 | 1 | 6 |
| 1960 | 2 | - | - | 2 |
| 1968 | - | 2 | 4 | 6 |
| 1972 | 4 | 3 | 3 | 10 |
| 1976 | 1 | 3 | 1 | 5 |
| 1980 | 1 | 1 | 3 | 5 |
| 1984 | 2 | 2 | 1 | 5 |
| 1988 | 5 | 5 | 5 | 15 |
| 1992 | 1 | - | 2 | 3 |
| 1994 | 3 | 4 | 2 | 9 |
| სულ | 27 | 29 | 29 | 85 |

შვეიცარიის ოლიმპიური ასოციაციის ემბლემა

**შვეიცარია.** სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში. ტერიტორია — 41,29 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 7,2 მლნ. დედაქალაქი — ბერნი (230 ათასი). სახელმწიფო ენებია — გერმანული, ფრანგული, იტალიური. რელიგია — კათოლიკური და პროტესტანტული.

როგორც სახელმწიფო არსებობს 1. 8. 1291-დან, როცა სამი კანტონი კონფედერაციად გაერთიანდა. 1918-ში მიიღეს კონსტიტუცია, რომლის თანახმად შვეიცარია ერთიან, ფედერაციულ სახელმწიფოდ გადაიქცა. შვეიცარია კლასიკური ტიპის ნეიტრალური სახელმწიფოა, რომელმაც თავისი ნეიტრალიტეტი ორთავე მსოფლიო ომის პერიოდში შეინახა. სპორტის საქმეებს განაგებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1912. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია ტანმოვარჯიშე ლ. ზუტერი (1896), რომელმაც ოქროს მედალი ტაიჭზე ვარჯიშისთვის მოიპოვა.

შვეიცარიის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1896 | 1 | 2 | - | 3 |
| 1900 | 6 | 1 | 1 | 8 |
| 1904 | 1 | - | 1 | 2 |
| 1906 | 5 | 6 | 4 | 15 |
| 1920 | 2 | 2 | 7 | 11 |
| 1924 | 7 | 8 | 10 | 25 |
| 1928 | 7 | 4 | 4 | 15 |

შვეციის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**შვეციის სამეფო.** სახელმწიფო ჩრდილოეთ ევროპაში. უჭირავს სკანდინავიის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილი. ტერიტორია — 449,9 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 8,8 მლნ. დედაქალაქი — სტოკჰოლმი (693 ათასი). სახელმწიფო ენა — შვედური. რელიგია — ლუთერანული.

შვეციის ცენტრალიზებული სახელმწიფო წარმოიშვა X საუკუნეში. XIV-XV საუკუნეებში დანიის გავლენის სფეროში იმყოფებოდა. XVII საუკუნიდან ბალტიის ზღვის ფაქტობრივი ბატონ-პატრონი გახდა. 1814-დან აღარ მონაწილეობდა ომებში.

სპორტის საქმეებს განაგებს სპორტის კავშირი. ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1913-ში. ამ ქვეყნის წარმომადგენელი, გერმანელი ვ. ბალკი მონაწილეობდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებაში (1894). პირველი ოქროს მედალი ამ ქვეყნის სპორტსმენებმა მოიპოვეს ბაგირის გადაძალვაში (მძლეოსანთა პროგრამის ერთი სახეობა იყო).

შვეციის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1900 | - | - | 1 | 1 |
| 1906 | 2 | 5 | 7 | 14 |
| 1908 | 7 | 5 | 10 | 22 |
| 1912 | 23 | 24 | 17 | 64 |
| 1920 | 17 | 19 | 25 | 61 |
| 1924 | 4 | 13 | 12 | 29 |
| 1928 | 7 | 6 | 12 | 25 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1932 | 9 | 5 | 9 | 23 |
| 1936 | 6 | 5 | 9 | 20 |
| 1948 | 16 | 11 | 17 | 44 |
| 1952 | 12 | 13 | 10 | 35 |
| 1956 | 8 | 5 | 6 | 19 |
| 1960 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 1964 | 2 | 2 | 4 | 8 |
| 1968 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 1972 | 4 | 6 | 6 | 16 |
| 1976 | 4 | 1 | - | 5 |
| 1980 | 3 | 3 | 6 | 12 |
| 1984 | 2 | 10 | 6 | 18 |
| 1988 | - | 4 | 7 | 11 |
| 1992 | 1 | 7 | 4 | 12 |
| 1996 | 2 | 4 | 2 | 8 |
| სულ | 132 | 161 | 174 | 467 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1908 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 1920 | 2 | 1 | - | 3 |
| 1924 | 1 | - | - | 1 |
| 1928 | 2 | 2 | 1 | 5 |
| 1932 | 1 | 2 | - | 3 |
| 1936 | 2 | 2 | 3 | 7 |
| 1948 | 4 | 3 | 3 | 10 |
| 1952 | - | - | 4 | 4 |
| 1956 | 2 | 4 | 4 | 10 |
| 1960 | 3 | 2 | 2 | 7 |
| 1964 | 3 | 3 | 1 | 7 |
| 1968 | 3 | 2 | 3 | 8 |
| 1972 | 1 | 1 | 2 | 4 |
| 1976 | - | - | 2 | 2 |
| 1980 | 3 | - | 1 | 4 |
| 1984 | 4 | 2 | 2 | 8 |
| 1988 | 4 | - | 2 | 6 |
| 1992 | 1 | - | 3 | 4 |
| 1994 | 2 | 1 | - | 3 |
| სულ | 39 | 26 | 34 | 99 |

**შნაიდერი ვრენი.** დ. 26. 11. 1964 შვეიცარიაში. თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი *სამთო-მოთხილამურე,* მსოფლიოს თასის მრავალგზის მფლობელი. 1988 (კალგარი) და 1994 (ლილეჰამერი) წლების ოლიმპიურ თამაშებზე სლალომში, გიგანტურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში მოიპოვა 4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი.



ვ. შნაიდერი


დ. შოლანდერი

**შოლანდერი დონალდ.** დ. 30. 4. 1946 შარლოტში, ჩრდილოეთ კაროლინას შტატი, აშშ. *ცურვა.* 1964 ტოკიოს XVII ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი. ოქროს მედლები მიიღო თავისუფალი სტილით 100 (53,4), 400 (4.12,2) მეტრზე ცურვაში, აგრეთვე ესტაფეტებში 4X100 და 4X200 მმ. ოლიმპიური ჩემპიონი გახდა 1968 მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებზე (ესტაფეტა 4X200 მ). იყო მსოფლიოს რეკორდსმენი თავისუფალი სტილით ცურვაში: 200 მ — 1.58,8, 1.58,5, 1.58,4 (1963), 1.57,6 (1964), 1.56,2 (1966), 1.56,0, 1.55,7 (1967), 1.54,3 (1968), 400 მ — 4.12,7, 4.12,2 (1964). პანამერიკული თამაშების სამგზის ჩემპიონი (1967). აღიარებული იყო მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად (1964).

**შორტ-ტრეკი.** ციგურებით რბოლის ნაირსახეობა. ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1992 (ალბერვილი) წლიდან.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| კორეა | 6 | 1 | 2 | 9 |
| აშშ | 2 | 2 | 2 | 6 |
| კანადა | 1 | 4 | 1 | 6 |
| იტალია | 1 | 1 | - | 2 |
| ჩინეთი | - | 2 | - | 2 |
| გაერთ. გუნდი | - | - | 1 | 1 |
| ავსტრალია | - | - | 1 | 1 |
| დიდი ბრიტანეთი | - | - | 1 | 1 |
| იაპონია | - | - | 1 | 1 |
| კსდრ | - | - | 1 | 1 |
| სულ | 10 | 10 | 10 | 30 |


შორტ-ტრეკი

**შრი-ლანკა (ცეილონი).** სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულზე ინდოეთის ოკეანეში. ტერიტორია — 65,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 18,4 მლნ. დედაქალაქი — კოლომბო (800 ათასი). ოფიციალური ენები — სინგალური, ტამილური, ინგლისური. ძირითადი რელიგია — ბუდიზმი, ტამილურ რაიონებში — ინდუიზმი, მოსახლეობის ნაწილი აღიარებს ისლამს და ქრისტიანობას.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1937 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1948 | | 1 | | 1 |
| სულ | | 1 | | 1 |


ა. შჩერბინა

SRI LANKA

შრი-ლანკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

TCHAD
C O S T

ჩადის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა


დ. შულცი

**შულცი დევიდ.** 1959 — 1996. ერთ-ერთი უძლიერესი ამერიკელი თავისუფალი სტილის *მოჭიდავე*. მსოფლიოს თასის მრავალგზის მფლობელი და მსოფლიოს ჩემპიონი. 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (74 კგ).


კ. შუმანი (მარჯვნივ)

**შუმანი კარლ.** 12. 5. 1869 — 24. 3. 1946. გერმანელი *მოჭიდავე და ტანმოვარჯიშე*. 1896 ათენის I ოლიმპიურ თამაშებში ოთხი ოქროს მედალი მოიგო. ოლიმპიური ჩემპიონი გახდა კლასიკურ ჭიდაობაში, აგრეთვე ლერძზე და ორძელზე გუნდურ ვარჯიშში, პირადი ტურნირი მოიგო ბჯენით ხტომებში.

**შჩერბინა ალექსანდრე.** დ. 17.1.1931 თბილისში. *მძლეოსნობა*, სპორტული სიარული. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1947. უმაღლესი განათლებით. სსრკ ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი 20 (1961) და 50 კმ (1960) სიარულში. მოგებული აქვს ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სამატჩო შეხვედრა (1960) 20 კმ. ძმები ზნამენსკების მემორიალის მესამე პრიზიორი (1960) 20 კმ. ოლიმპიადის მონაწილე.

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები. 50 კმ სპორტული სიარული — IV ადგილი (4:31. 44,0).

# ჩ

**ჩადი.** სახელმწიფო ცენტრალური აფრიკის კონტინენტალურ ნაწილში. ტერიტორია — 1.284 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 6,4 მლნ. ეთნიკური შემადგენლობა: ტუბუ, არაბები, მასა, სარა, ხაუსი და სხვ. დედაქალაქი — ნჯამენა (600 ათასი). სახელმწიფო ენა — ფრანგული. მოსახლეობის 60% — მუსულმანები, 35 % — ანიმისტები, 5 % — ქრისტიანები. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1960 წელს.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1963 წელს, 1964 წლიდან სოკ-ის წევრია და მონაწილეობს ზაფხულის ოლიმპიადებში (გარდა 1976 და 1980 წლებისა). მედალი არ აუღია.

**ჩასლავსკა ვერა.** დ. 3. 5. 1942 პრაღაში. *ტანვარჯიში*. 1964 ტოკიოს XVIII და 1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონი. 1964-ში ოქროს მედლები მოიპოვა, აგრეთვე, ძელზე და ხტომებში, 1968-ში კი თავისუფალ ვარჯიშში, ხტომებსა და ორძელზე. მსოფლიოს (1966) და ევროპის (1965, 67) აბსოლუტური ჩემპიონი და ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშში გამარჯვებული. აღიარებული იყო მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად (1968).

**ჩელებაძე რევაზ.** დ. 2. 10. 1955 ქობულეთში. *ფეხბურთი*. თამაში დაიწყო 1973-ში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1976-87 თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდა. სსრკ ჩემპიონი (1978), ვერცხლისა (1977) და ბრინჯაოს (1976) პრიზიორი, 1976 თასის მფლობელი. სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი (1979). უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 159 შეხვედრა, გაიტანა 52 გოლი, ევროპულ ტურნირებში — 14 მატჩი და 3 გოლი. სსრკ ნაკრების წევრი (1977, 80). მონაწილეობდა 9 მატჩში (3 გოლი). ოლიმპიადის მონაწილე.

1980 XXII ოლიმპიური თამაშები — III ადგილი. მონაწილეობა მიიღო ორ მატჩში.

**ჩემპიონი ოლიმპიური.** სპორტსმენი ან გუნდი, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედალს დაიმსახურებს. ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მუდმივია და მას არ დაერთვის წინ სიტყვა ექს (ისე, როგორც, ვთქვათ მსოფლიოს ექსჩემპიონი, ან ევროპის ექსჩემპიონი).

**ჩერმაკი იოჟეფ.** დ. 14. 2. 1932 სენცში, უნგრეთი. *მძლეოსანი.* პირველი სპორტსმენი მსოფლიოში, რომელმაც ურო 60 მეტრზე შორს ტყორცნა. 1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (60,34 მ — მსოფლიოს რეკორდი). ევროპის ჩემპიონატის (1954) ბრინჯაოს პრიზიორი.

**ჩეხეთი.** მდებარეობს ცენტრალურ ევროპაში. ტერიტორია — 78864 კვ. კმ. მოსახლეობა — 10,3 მლნ. დედაქალაქი — პრაღა 1,3 მლნ. ოფიციალური ენა — ჩეხური. შედიოდა ყოფილი ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში. 1993 წლის 1 იანვრიდან დამოუკიდებელი ქვეყანაა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1899 წელს. როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი, სოკ-მა აღიარა 1993 წელს. ცალკე გუნდები გამოიყვანა ლილეჰამერისა (მედალი არ აუღია) და ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე.



ვ. ჩასლავსკა

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1996 | 4 | 3 | 4 | 11 |
| სულ | 4 | 3 | 4 | 11 |

ჩეხეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ჩეხოსლოვაკია.** ქვეყანა ცენტრალურ ევროპაში, რომელიც დაიშალა ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ — ჩეხეთად და სლოვაკეთად. ყოფილი სახელმწიფოს ტერიტორია შეადგენდა 127,9 ათას კვ. კმ. მოსახლეობა იყო 15,2 მლნ. დედაქალაქი — პრაღა.

ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნა 1920-ში. პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ტანმოვარჯიშე ბ. შუპჩიკმა (ბაგირზე ცოცვა).

ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენთა მედლები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში:

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1920 | - | - | 1 | 1 |
| 1924 | 1 | 4 | 5 | 10 |
| 1928 | 2 | 5 | 2 | 9 |
| 1932 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1936 | 3 | 5 | - | 8 |
| 1948 | 6 | 2 | 3 | 11 |
| 1952 | 7 | 3 | 3 | 13 |
| 1956 | 1 | 4 | 1 | 6 |
| 1960 | 3 | 2 | 3 | 8 |
| 1964 | 5 | 6 | 3 | 14 |
| 1968 | 7 | 2 | 4 | 13 |
| 1972 | 2 | 4 | 2 | 8 |
| 1976 | 2 | 2 | 4 | 8 |
| 1980 | 2 | 3 | 9 | 14 |
| 1988 | 3 | 3 | 2 | 8 |
| 1992 | 4 | 2 | 1 | 7 |
| სულ | 49 | 49 | 44 | 142 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1920 | - | - | 1 | 1 |
| 1928 | - | - | 1 | 1 |
| 1948 | - | 1 | - | 1 |
| 1960 | - | 1 | - | 1 |
| 1964 | - | - | 1 | 1 |
| 1968 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1972 | 1 | - | 2 | 3 |
| 1976 | - | 1 | - | 1 |
| 1980 | - | - | 1 | 1 |
| 1984 | - | 2 | 4 | 6 |
| 1988 | - | 1 | 2 | 3 |
| 1992 | - | - | 3 | 3 |
| სულ | 2 | 8 | 16 | 26 |



რ. ჩელებაძე



ი. ჩერმაკი

**ჩივაძე ალექსანდრე.** დ. 8. 4. 1955 ქლუხორში. *ფეხბურთი.* დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1980). თბილისის „დინამოს" მოთამაშე (1974-87). სსრკ ჩემპიონი (1978) და თასის

ჩილეს ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ჩინეთის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

მფლობელი (1976, 79). 1982 მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. მონაწილეობა აქვს ასევე მიღებული მსოფლიოს (1986) და ევროპის (1984, 88) ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში. ევროპის



ა. ჩივაძე

ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981). უმაღლეს ლიგაში ჩატარებული აქვს 323 მატჩი, გაიტანა 44 გოლი. ევროთასებში — 40 მატჩი, 5 გოლი. იყო სსრკ ნაკრების კაპიტანი (1980, 82-84). ნაკრებში ითამაშა 52 მატჩი (1980-87), გაიტანა 3 გოლი. საბჭოთა კავშირის №1 ფეხბურთელი (1980). ოლიმპიადის მონაწილე.

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიადა — III ადგილი. მონაწილეობა მიიღო ყველა 6 მატჩში.

1990-დან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, 1993-97 — საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი.



ფ. ჩიკვილაძე

**ჩიკვილაძე ფარნაოზ.** 14.4.1941 — 14.6.1966. *ძიუდო.* უმაღლესი განათლებით. 60-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი. სსრკ ნაკრებში გამოდიოდა 1962-66-ში. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი აბსოლუტურ (1964) და მძიმე (1966) წონებში. ოლიმპიადის მონაწილე.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები (მძიმე წონა, 80 კგ) — III ადგილი. I წრე — დაამარცხა ჯორჯ პარისონი (აშშ), II წრე — დაამარცხა ანტონ სუინი (დიდი ბრიტანეთი), III წრე — დამარცხდა ალფრედ როჯერსთან (კანადა).

**ჩილე.** სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის სამხრეთ-დასავლეთში. ქვეყნის ტერიტორია, კუნძულებისა და არქიპელაგების ჩათვლით — 756,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 14,3 მლნ. დედაქალაქი — სანტიაგო (4,4 მლნ). სახელმწიფო ენა — ესპანური. რელიგია — კათოლიკური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1934 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1928 | | 1 | - | 1 |
| 1952 | | 2 | - | 2 |
| 1956 | | 2 | 2 | 4 |
| 1988 | | 1 | - | 1 |
| სულ | | 6 | 2 | 8 |

**ჩიმიშკიანი რაფაელ.** დ. 23.3.1929 თბილისში. *ძალოსნობა.* დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. სსრკ ხუთგზის (1949, 51, 54, 55, 60), ევროპის ხუთგზის (1950, 54-57) და მსოფლიოს ორგზის (1954, 55) ჩემპიონი. ორჯერ მიიღო მსოფლიოს (1950, 53) და ერთხელ ევროპის (1953) ჩემპიონატების ვერცხლის მედალი. 11 მსოფლიო რეკორდის ავტორი. მათ შორის ხუთი რეკორდისა — სამჭიდში: 337,5 კგ (1952), 340 კგ (1953), 342,5 კგ, 345 კგ, 350 კგ (1954).

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები (ქვემსუბუქი წონა, 60 კგ) — I ადგილი. აჭიმვა — 97,5 კგ, ატაცი — 105,0 კგ, აკვრა — 135 კგ. სამჭიდის ჯამში — 337,5 კგ (მსოფლიოს რეკორდი).

ღირსების ორდენის კავალერი.

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.** სახელმწიფო ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში. ტერიტორია — 9,6 მლნ. კვ. კმ. მოსახლეობა — 1,25 მლრდ. ჩინელები შეადგენენ მოსახლეობის 92 %. დედაქალაქი — პეკინი (12 მლნ). სახელმწიფო ენა — ჩინური.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1910 წელს, 1979 წლიდან სოკ-ის წევრია, თუმცა პირველი აღიარება მოხდა 1922 წელს. სოკ-ის მიერ ტაივანის აღიარების გამო, ჩინეთმა 1958 წელს პროტესტის ნიშნად დატოვა სოკ-ი. თხოვნა აღიარებაზე კვლავ წარადგინა 1975 წელს.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| *წ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| 1984 | 15 | 8 | 9 | 32 |
| 1988 | 5 | 11 | 12 | 28 |
| 1992 | 16 | 22 | 16 | 54 |
| 1996 | 16 | 22 | 12 | 50 |
| სულ | 52 | 63 | 49 | 164 |

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1992 | | 3 | - | 3 |
| 1994 | | 1 | 2 | 3 |
| სულ | | 4 | 2 | 6 |

**ჩინეთის ტაიპეი (ტაივანი).** კუნძული ტაივანი და მასთან მიმდებარე კუნძულები აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის სამხრეთ ნაწილში — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთი პროვინცია. ტერიტორია — 35,989 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 22 მლნ. ძირითადად ჩინელები (97 %) ადმინისტრაციული ცენტრი — ტაიპეი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1960 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია. ჩინეთთან დავის გამო, ოლიმპიადებში სხვადასხვა სახელით გამოდიოდა: ტაივანი (1960-72), ჩინეთის ტაიპეი (1984-96) და ჩინეთის რესპუბლიკა (1956).

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1960 | | 1 | - | 1 |
| 1968 | | - | 1 | 1 |
| 1984 | | - | 1 | 1 |
| 1992 | | 1 | - | 1 |
| 1996 | | 1 | - | 1 |
| სულ | | 3 | 2 | 5 |



რ. ჩიმიშკიანი

**ჩიქვანაია გივი.** დ. 29.5.1939 თელავში. *წყალბურთი.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1954. უმაღლესი განათლებით. იცავდა თბილისისა (1957-67) და მოსკოვის „დინამოს" (1969-74) ღირსებას. სსრკ ჩემპიონი (1966, 69) ვერცხლისა და ბრინჯაოს არაერთგზის პრიზიორი. ევროპის ჩემპიონატზე (1962) მიღებული აქვს ვერცხლის მედალი. ორი ოლიმპიადის მონაწილე (1960-ში საქართველოს, 1968-ში — მოსკოვის ღირსებას იცავდა).

1960 რომის XVII ოლიმპიური თამაშები — II ადგილი. ჩაატარა 6 შეხვედრა: გფრ-თან — 0, არგენტინასთან — 2, რუმინეთთან — 0, იტალიასთან — 0, უნგრეთთან — 2, იუგოსლავიასთან — 3. სულ 7 გოლი გაიტანა.

1968 მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები — II ადგილი. ჩაატარა 8 შეხვედრა, არ გაუტანია არც ერთი გოლი.



გ. ჩიქვანაია



შ. ჩიხლაძე

**ჩიხლაძე შალვა.** დ. 1912. *ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე* (გამოდიოდა თავისუფალ ჭიდაობაშიც). სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1933. ომამდე თბილისის სახელით გამოდიოდა, ომის შემდეგ მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1936, 46, 49, 50) ქვემძიმე წონაში. ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1952). ქვემძიმე წონაში II ადგილი დაიკავა. ორი შეხვედრა მოიგო წმინდად, ორი — ქულებით. ფინალში დამარცხდა კალპო გრიონდალთან (ფინეთი).

ჩინეთის ტაიპეის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ჩოგბურთი.** თანამედროვე ჩოგბურთი ჩაისახა დიდ ბრიტანეთში, XIX ს. მიწურულს. ოფიციალურად მსოფლიოს ჩემპიონატები არ იმართება. არაოფიციალურ ჩემპიონატად მიაჩნიათ უიმბლდონის ტურნირი (ვაჟებსა და ქალებში) და დევისის თასი (გუნდური გათამაშება). უიმბლდონის ტურნირი იმართება 1877-დან, დევისის თასის გათამაშება კი 1900-დან. ჩოგბურთი შეტანილი იყო ოლიმპიადების პროგრამაში 1896-1924, 1988-96. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია ჯონ ბოლენდი— გაიმარჯვა ერთეულთა და წყვილთა თანრიგებში (გერმანელ ფრიც ტრაუნთან ერთად).

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| დიდი ბრიტანეთი | 14 | 11 | 11 | 36 |
| აშშ | 14 | 4 | 8 | 26 |
| საფრანგეთი | 8 | 5 | 6 | 19 |
| საბერძნეთი | 1 | 5 | 3 | 9 |
| გერმანია | 2 | 3 | 2 | 7 |
| ესპანეთი | - | 5 | 2 | 7 |
| შვეცია | - | 2 | 5 | 7 |
| სამხრეთ აფრიკა | 3 | 2 | 1 | 6 |



გ. ჩოგოვაძე

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დიდი ბრიტ.-ირლ. | 1 | 2 | 1 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 1 | 1 | 2 | 4 |
| ავსტრალია | 1 | - | 2 | 3 |
| ბოჰემია | - | - | 3 | 3 |
| გფრ | 1 | - | 1 | 2 |
| იაპონია | - | 2 | - | 2 |
| არგენტინა | - | 1 | 1 | 2 |
| ჩეხეთი | - | 1 | 1 | 2 |
| გაერთ. გუნდი | - | - | 2 | 2 |
| დ. ბრ.-ირლ.-გერმ. | 1 | - | - | 1 |
| შვეიცარია | 1 | - | - | 1 |
| ავსტრია | - | 1 | - | 1 |
| დანია | - | 1 | - | 1 |
| საფრანგეთი-აშშ | - | 1 | - | 1 |
| საფრ.-დ ბრ.-ირლ. | - | 1 | - | 1 |
| ბოჰემია-დ. ბრ. | - | - | 1 | 1 |
| ბულგარეთი | - | - | 1 | 1 |
| დ. ბრ.-ავსტრალია | - | - | 1 | 1 |
| დიდი ბრიტ.-აშშ | - | - | 1 | 1 |
| უნგრეთი | - | - | 1 | 1 |
| იტალია | - | - | 1 | 1 |
| ნიდერლანდები | - | - | 1 | 1 |
| ნორვეგია | - | - | 1 | 1 |
| ახალი ზელანდია | - | - | 1 | 1 |
| ინდოეთი | - | - | 1 | 1 |
| **სულ** | 48 | 48 | 63 | 159 |

**ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია** (ITF). შეიქმნა პარიზში (1912). 1977-მდე ინოდებოდა ლაუნ-ტენისის საერთაშორისო ფედერაციად. ოფიციალური ენები — ინგლისური და ფრანგული. შტაბ-ბინის ადგილსამყოფელს ირჩევს ფედერაციის ხელმძღვანელი კომიტეტი. პრეზიდენტის არჩევა ხდება ხელმძღვანელი კომიტეტის წევრთაგან ფედერაციის საერთო კრებაზე.

**ჩოგოვაძე გიორგი.** დ. 25. 4. 1969 თბილისში. ***წყალში ხტომა.*** სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1983. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1990). სსრკ-ს ჩემპიონი, ევროპის ორგზის ჩემპიონი (1987, 89) და თასის მფლობელი (1988). სტუდენტთა მსოფლიოს თამაშების ბრინჯაოს (1987) და მსოფლიოს თასის ვერცხლის პრიზიორი. ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები (კოშკიდან ხტომა) — IV ადგილი. სავალდებულო ნახტომების შემდეგ 184,02 ქულა (III ადგილი). ხუთი ფინალური ნახტომის შემდეგ 260,80 ქულა — I ადგილი, ექვსის შემდეგ — 334,08 — II ადგილი, შვიდის შემდეგ 396,30 — III ადგილი, რვის შემდეგ — 449,40 — IV ადგილი, ცხრის შემდეგ 514,92 — V ადგილი, ათის შემდეგ 585,96 — IV.

1992 ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები (კოშკიდან ხტომა) — ვერ მოხვდა ფინალში (12 უძლიერეს მხტომელს შორის). I სერიის შემდეგ მოაგროვა 128,550 ქულა (XIV ადგილი), II სერიის შემდეგ — 331,470 (XVI ადგილი).



კ. ჩოსიჩი

**ჩოსიჩი კრეშიმირ.** დ. 26. 11. 1948 ზაგრებში, ყოფილი იუგოსლავია. ***კალათბურთი.*** ევროპისა (1973) და მსოფლიოს (1970, 75, 78) ჩემპიონი. ორი ოლიმპიადის მონაწილე. მეხიკოში (1968, XIX ოლიმპიადა), ისევე როგორც მონრეალში (1976, XXI ოლიმპიადა), ვერცხლის მედლები დაიმსახურა. იყო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორი. რვაჯერ იცავდა ევროპის ნაკრების ღირსებას.

**ჩოჩიშვილი შოთა.** დ. 10. 7. 1950 სოფ. ღულევში, ქარელის რაიონი. პირველი ***ძიუდოისტი*** ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. დაამთავრა გორის პედინსტიტუტი (1973) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1978). ევროპის ჩემპიონატების ვერცხლისა (1973, 75) და ბრინჯაოს (1977) პრიზიორი. ორი ოლიმპიადის მონაწილე.



შ. ჩოჩიშვილი

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები (ქვემძიმე წონა, 93 კგ) — I ადგილი. I წრე — არ გამოუცხადდა ჩუო დუ იონგი (კსდრ); II წრე — წმინდად (5,10) დაამარცხა ფუმიო სასახარა (იაპონია), III წრე — ქულებით (კოკა) დამარცხდა დევიდ სტარბრუკთან (დიდი ბრიტანეთი), IV წრე — წმინდად (1,37) მოუგო პიერ ალბერტინის (საფრანგეთი), V წრე — წმინდად (2,36) აჯობა



ვ. ჩუკარინი

ჯეიმს უოლის (აშშ), VI წრე (ნახევარფინალი) — წმინდად (1,05) დაამარცხა პაულ ბარტი (გფრ). VII წრე (ფინალი) — ქულებით (იუკო) მოუგო დევიდ სტარბრუკს (დიდი ბრიტანეთი).

1976 მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშები (ღია პირველობა, აბსოლუტური კატეგორია) — III ადგილი. I წრე — ქულებით (ვაზარი) მოუგო რადომირ კოვაჩევიჩს (იუგოსლავია), II წრე — ქულებით (კოკა) აჯობა ვლადიმირ ნოვაკს (ჩეხოსლოვაკია), III წრე — უმნიშვნელო უპირატესობით (მსაჯის გადაწყვეტილებით) დამარცხდა ჰარუკი უემურასთან (იაპონია), IV წრე — ქულებით (კოკა) აჯობა ჟან-ლიუკ რუჟეს (საფრანგეთი).

**ჩუკარინი ვიქტორ.** 9.11.1921 — 25.8.1984. ერთ-ერთი უძლიერესი საბჭოთა *ტანვარჯიშე*. ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვა 7 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი. ორჯერ (1952, 1956) იყო ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი, მსოფლიოს 1954 აბსოლუტური ჩემპიონი, ამავე შეჯიბრებაზე გაიმარჯვა გუნდურ ტურნირში და ორძელზე ვარჯიშში.

# ც

**ცალქალამანიძე მირიან.** დ. 9. 3. 1927 სოფ. კონდოლში, თელავის რ-ნი. *თავისუფალი ჭიდაობა*. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1940. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი (1959) და საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი (1967). სსრკ ორგზის ჩემპიონი (1954, 56), მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლის (1957) და ბრინჯაოს (1954) პრიზიორი.



მ. ცალქალამანიძე

1956-ში მსოფლიოს თასზე მეორე ადგილი დაიკავა. სტუდენტთა XII მსოფლიო თამაშებისა (1954, ჩეპელი) და ახალგაზრდობის II საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ჩემპიონი. ოლიმპიადის მონაწილე.

1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშები (მჩატე წონა, 52 კგ) — I ადგილი. I წრე — ქულებით დაამარცხა რიჩარდ დელგადო (აშშ), II წრე — ქულებით მოუგო ტადასი ასაის (იაპონია), III წრე — წმინდად (8,50) აჯობა ბაბან დავარს (ინდოეთი), IV წრე — ქულებით წააგო ჰუსეინ აკბასთან (თურქეთი), V წრე — წმინდად (4,0) დაამარცხა მოჰამედ-ალი ხოჯასტეპური (ირანი).

**ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა.** სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. ტერიტორია — 623 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3,3 მლნ. ეთნიკური შემადგენლობა: ბანდა, ბაია, სარა და სხვ. დედაქალაქი — ბანგი (600 ათასი). სახელმწიფო ენა — ფრანგული. მოსახლეობის 71 % — ანიმისტები, 25 % — ქრისტიანები, 4 % — მუსულმანები.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1964 წელს, 1965 წლიდან სოკ-ის წევრია. ოლიმპიური დებიუტი — 1968.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კომიტეტის ემბლემა

**ცერარი მიროსლავ.** დ. 28. 10. 1939 ლიუბლიანაში (ყოფილი იუგოსლავია, ამჟამად — სლოვენია). *ტანვარჯიში*. ორი ოლიმპიადის ჩემპიონი ტაიჭზე ვარჯიშში (1964, ტოკიო და 1968, მეხიკო), სამჯერ (1962, 66, 70) იყო მსოფლიოს ჩემპიონი ამ იარაღზე და ერთხელ (1962) ორძელზე. ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორი ცალკეულ იარაღებზე, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი.

**ცერემონიალი ოლიმპიური.** ოლიმპიური ქარტია ითვალისწინებს სამ ძირითად ტრადიციულ ცერემონიალს: თამაშების გახსნა, დახურვა და გამარჯვებულთა დაჯილდოება. გახსნის ცერემონიალი იწყება, როცა ოლიმპიური სტადიონის



ხ. ა. სამარანჩი, ბ. კლინტონი და ჰ. პეინი ატლანტის XXVI ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე

ცენტრალურ ტრიბუნაზე ადგილებს დაიკავებენ მთავრობის და სახელმწიფოს მეთაურები. ცერემონიალის პროგრამას ადგენს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი და ამტკიცებს სოკ-ი. გახსნის ცერემონიალი იწყება მონაწილეთა აღლუმით, რომელსაც ტრადიციულად წინ მოუძღვის საბერძნეთის დელეგაცია. მოკლე მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი, სოკ-ის პრეზიდენტი, თამაშებს კი გახსნილად აცხადებს მასპინძელი ქვეყნის მეთაური. ოლიმპიური ჰიმნის თანხლებით შემოაქვთ ოლიმპიური დროშა და ჩირაღდანი. დროშას ათავსებენ სტადიონის ანძაზე, ჩირაღდნით კი ანთებენ ოლიმპიურ ცეცხლს. ამის შემდეგ სპორტსმენები და მსაჯები დებენ ფიცს. გახსნის ცერემონიალის მნიშვნელოვანი ნაწილია საგანგებო სანახაობრივ-გასართობი პროგრამა, რომელშიც, როგორც წესი, საუკეთესო მომღერლები, მსახიობები, ხელოვნების სხვადასხვა წარმომადგენლები მონაწილეობენ. ასევე მრავალფეროვანი და საინტერესოა ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიალი, რომელიც მოიცავს სპორტსმენთა აღლუმს, გასართობ პროგრამას, მომავალი ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქისთვის სოკ-ის დროშის გადაცემას, სოკ-ის პრეზიდენტის საბოლოო სიტყვას. ამის შემდეგ უკრავენ ოლიმპიურ ჰიმნს, აქრობენ ოლიმპიურ ცეცხლს, დაუშვებენ და არენიდან გააქვთ ოლიმპიური დროშა.



ოლიმპიური ცეცხლის დანთება

დაჯილდოების ცერემონიალი სრულდება სოკ-ის მიერ შემუშავებული ოქმის შესაბამისად. პრიზიორებს მედლებს გადასცემენ სოკ-ის პრეზიდენტი და მის მიერ დასახელებული სოკ-ის წევრები შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ან წარმომადგენლის თანხლებით. სპორტსმენთა დაჯილდოებისას აღმართავენ პრიზიორ ქვეყანათა დროშებს, ჩემპიონის პატივსაცემად კი უკრავენ მისი ქვეყნის ჰიმნს.



ცეცხლოვანი ესტაფეტა ძველბერძნული ლარნაკი პარიზი, ლუვრი

**ცეცხლი ოლიმპიური.** ოლიმპიური თამაშების ტრადიციული ატრიბუტი. ოლიმპიური ცეცხლის დანთება თამაშების ერთ-ერთი უმთავრესი რიტუალია. ოლიმპიური ცეცხლის ზევსის ტაძართან მზის სხივებით (სპეციალური ლინზების

მეშვეობით) დანთების იდეა ეკუთვნის პიერ დე კუბერტენს (1912). პირველად ოლიმპიური ცეცხლი დაანთეს ზაფხულის IX (1928, ამსტერდამი) და ზამთრის VI (1952, ოსლო) ოლიმპიადებზე. საინტერესოა, რომ ზამთრის სამი თამაშების (1952, 56, 60) ცეცხლი აინთო ნორვეგიის სოფელ მორგედალის ერთ-ერთ ქოხში აგიზგიზებული ბუხრიდან. ამ სახლში ცხოვრობდა სათხილამურო სპორტის ფუძემდებელი ს. ნორდჰეიმი (1825-97).

**ცეცხლოვანი ესტაფეტა.** ამ უძველესი რიტუალის აღდგენის იდეაც პიერ დე კუბერტენს ეკუთვნის. მარშრუტის შემუშავების შემდეგ ესტაფეტის მონაწილეებს ცეცხლი მოაქვთ დღისით და ღამით, ნებისმიერ მეტეოროლოგიურ პირობებში საჭიროების შემთხვევაში იყენებენ ტრანსპორტის ნებისმიერ საშუალებას. ცეცხლოვანი ესტაფეტის ბოლო მონაწილე, ვინც ჩირაღდანი უნდა დაანთოს სტადიონზე, როგორც წესი, სოკის მიერ შერჩეული, თამაშების ჩამტარებელი ქვეყნის რომელიმე ნამყვანი სპორტსმენია.

**ციგაობა.** ციგებით სწრაფდაშვება სპეციალურ ტრასაზე. ჩაისახა შვეიცარიაში XIX საუკუნის მიწურულს. პირველი საერთაშორისო ტურნირი მოეწყო დავოსში (1883). პირველი სპორტული ციგა შექმნეს გერმანელებმა (1889). თავდაპირველად საციგაო სპორტი მიკედლებული იყო ბობსლეისა და ტობოგანის საერთაშორისო ფედერაციას. 1957-დან კი საკუთარი ორგანიზაცია შეიქმნა მსოფლიოს ჩემპიონატები ტარდება 1955-დან, ევროპის — 1914-დან. ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს 1964-ში (ინსბრუკის IX ოლიმპიადა).

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| გდრ | 15 | 10 | 8 | 33 |
| ავსტრია | 3 | 5 | 5 | 13 |
| იტალია | 6 | 3 | 3 | 12 |
| გფრ | 1 | 4 | 6 | 11 |
| საბჭოთა კავშირი | 1 | 2 | 3 | 6 |
| გერმანია | 3 | 2 | 2 | 7 |
| აშშ | 1 | 2 | - | 3 |
| დიდი ბრიტანეთი | - | - | 2 | 2 |
| სულ | 30 | 28 | 29 | 87 |

**ციგურაობა.** როგორც სპორტის სახეობა, დაინერგა და გაერცელდა XIX ს. მეორე ნახევარში. პირველი საციგურაო საზოგადოებები შეიქმნა ნორვეგიაში (1864). 80-იანი წლების დასაწყისში ნორვეგიელებმა კ. ვერნერმა და ა. პაულსენმა შექმნეს სარბოლო ციგურები. მალე შეიქმნა მოციგურეთა საერთაშორისო კავშირი (1882). მსოფლიოს ჩემპიონატები ტარდება 1893-დან, იმავე წელს გაიმართა ევროპის პირველი ჩემპიონატიც. ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1924-დან (I თამაშები, შამონი).

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 24 | 28 | 24 | 76 |
| საბჭოთა კავშირი | 24 | 17 | 19 | 60 |
| აშშ | 23 | 16 | 9 | 48 |
| ნიდერლანდები | 13 | 17 | 17 | 47 |
| გდრ | 9 | 13 | 9 | 31 |
| ფინეთი | 7 | 8 | 9 | 24 |
| გერმანია | 6 | 5 | 6 | 17 |
| შვეცია | 7 | 4 | 5 | 16 |
| კანადა | 3 | 6 | 6 | 15 |
| იაპონია | - | 2 | 7 | 9 |
| ავსტრია | 1 | 2 | 3 | 6 |
| რუსეთი | 2 | 2 | 1 | 5 |
| კორეა | 2 | 1 | 1 | 4 |
| ჩინეთი | - | 3 | 1 | 4 |
| გფრ | 3 | - | - | 3 |
| პოლონეთი | - | 1 | 1 | 2 |
| კსდრ | - | 1 | 1 | 2 |
| ბელარუსი | - | 1 | - | 1 |
| გაერთ. გუნდი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 124 | 127 | 120 | 371 |



ციგაობა

**ციმაკურიძე დავით.** დ. 29. 3. 1925 ფოთში. *თავისუფალი ჭიდაობა.* პირველი ქართველი სპორტსმენი — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი (1958). სსრკ შეიდგზის ჩემპიონი (1945-47, 49-52). ახალგაზრდობის I საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების (1953, ბუქარესტი) მეორე პრიზიორი. წარმატებით გამოდიოდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაშიც.



დ. ციმაკურიძე

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები (საშუალო წონა, 79 კგ), — I ადგილი. I წრე — ქულებით დამარცხდა ბენტ ლინდბლადთან (შვეცია), II წრე — წმინდად (5,58) მოუგო დან პოჯს (აშშ), III


რ. ცირეკიძე

წრე — წმინდად (4,55) დაამარცხა აბდუ ჰუსეინი (ეგვიპტე). IV წრე — ქულებით აჯობა დიერდ გურიჩს (უნგრეთი), V წრე — ქულებით სძლია გულამ-რეზა ტახტის (ირანი).

**ცირეკიძე რევაზ.** დ. 28.3.1934 ქუთაისში. *ფარიკაობა.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1948. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სსრკ ჩემპიონატების პრიზიორი დაშნით ფარიკაობაში. მსოფლიოს პირველობის ფინალისტი (1957). ეროვნებათა ტურნირის II პრიზიორი. „ბურევესტნიკის" შემადგენლობაში არაერთხელ იყო სსრკ გუნდური ჩემპიონი. ოლიმპიადის მონაწილე.

1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშები (დაშნა). პირადი ტურნირი — V ადგილი მერვედფინალში, გუნდური — ნახევარფინალი.

**ცირპინსკი ვალდემარ.** დ. 3.8.1950 გდრ-ში. ოთხმოციანი წლების უძლიერესი *მძლეოსანი-მარათონელი.* ეთიოპელი აბებე ბიკილას შემდეგ მეორე სპორტსმენი, რომელმაც ზედიზედ მოიგო ორი ოლიმპიური მარათონი — 1976, მონრეალი (2:09.55,0); 1980, მოსკოვი (2:11.03,0).


ვ. ცირპინსკი

**ცოტაძე ლიანა.** დ. 6.6.1961 თბილისში. *კოშკიდან წყალში ხტომა.* დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი. სსრკ ხალ-


ლ. ცოტაძე

ხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი (1979). სსრკ ჩემპიონი (1979, 80) და თასის მფლობელი (1978, 82). მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული. ოლიმპიადის მონაწილე.

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები (კოშკიდან ხტომა) — III ადგილი. წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ მეორე ადგილი ჰქონდა — 180, 435 ქულა, ფინალურ ხტომებშიც მეორე შედეგი აჩვენა — 395, 490 ქულა. ჯამში — 575, 925 ქულა.

**ცუკახარა მიცუო.** დ. 22.12.1947 ტოკიოში. *ტანვარჯიში.* XX და XXI (მიუნხენი, 1972 და მონრეალი, 1976) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძელძე ვარჯიშში. მსოფლიოს ჩემპიონი ბჯენით ხტომებში (1970). სამჯერ იყო ოლიმპიადის (1968, 72, 76) და ორჯერ მსოფლიოს (1970, 74) გუნდური ჩემპიონი. მიღებული აქვს ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. ცუკახარას სახელს ატარებს მის მიერ პირველად შესრულებული ერთ-ერთი ტანვარჯიშული ილეთი (ბჯენით ხტომებში).

**ცურვა.** სპორტის სახეობა, რომელიც გულისხმობს გარკვეული სტილით ცურვას (თავისუფალი ანუ კროლი, ბრასი, ბატერფლაი, გულაღმა). სპორტული ცურვა ცნობილი იყო XV-XVI საუკუნეებში. პირველი შეჯიბრება გაიმართა ვენეციაში (1515), ცურვის პირველი სკოლები გაიხსნა გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში (XVIII-XIX სს). 1890-ში მოეწყო ევროპის პირველი ჩემპიონატი, 1973-ში კი მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1896-დან.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 182 | 132 | 93 | 407 |
| ავსტრალია | 39 | 37 | 47 | 123 |
| გდრ | 38 | 33 | 24 | 95 |
| დიდი ბრიტანეთი | 14 | 22 | 26 | 62 |
| უნგრეთი | 23 | 20 | 17 | 60 |
| სსრკ | 12 | 21 | 26 | 59 |
| გერმანია | 11 | 21 | 21 | 53 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იაპონია | 15 | 18 | 18 | 51 |
| კანადა | 9 | 17 | 18 | 44 |
| ნიდერლანდები | 9 | 13 | 14 | 36 |
| შვეცია | 7 | 12 | 12 | 31 |
| გფრ | 4 | 6 | 17 | 27 |
| საფრანგეთი | 2 | 6 | 12 | 20 |
| ჩინეთი | 5 | 11 | 3 | 19 |
| დანია | 2 | 5 | 4 | 11 |
| ავსტრია | 2 | 4 | 5 | 11 |
| გაერთ. გუნდი | 6 | 3 | 1 | 10 |
| რუსეთი | 4 | 2 | 2 | 8 |
| ბრაზილია | - | 3 | 5 | 8 |
| სამხრეთ აფრიკა | 3 | - | 4 | 7 |
| საბერძნეთი | 1 | 3 | 3 | 7 |
| იტალია | - | 1 | 6 | 7 |
| ახალი ზელანდია | 2 | 1 | 3 | 6 |
| ირლანდია | 3 | - | 1 | 4 |
| ბელგია | 1 | 1 | 2 | 4 |
| ფინეთი | - | 1 | 3 | 4 |
| ბულგარეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| ესპანეთი | 1 | - | 2 | 3 |
| პოლონეთი | - | 1 | 2 | 3 |
| რუმინეთი | - | 1 | 2 | 3 |
| არგენტინა | 1 | 1 | - | 2 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | - | 2 |
| კოსტა-რიკა | 1 | 1 | - | 2 |
| მექსიკა | 1 | - | 1 | 2 |
| სურინამი | 1 | - | 1 | 2 |
| კუბა | - | 1 | 1 | 2 |
| ფილიპინები | - | - | 2 | 2 |
| ავსტრალია-ახ. ზელ. | 1 | - | - | 1 |
| ვენესუელა | - | - | 1 | 1 |
| შვეიცარია | - | - | 1 | 1 |
| სულ | 402 | 400 | 401 | 1203 |

**ცურვის სამოყვარულო საერთაშორისო ფედერაცია (FINA).** შეიქმნა 1908-ში დიდი ბრიტანეთის ინიციატივით. აერთიანებს 155 ქვეყანას. ოფიციალური ენებია ინგლისური და გერმანული. შტაბ-ბინა მდებარეობს ლოზანაში.

უმაღლესი ორგანოა — კონგრესი, რომელსაც იწვევენ ოთხ წელიწადში ერთხელ. კონგრესის მუშაობას უშუალოდ ფედერაციის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. ხელმძღვანელი ორგანო — ბიურო. ფედერაციაში შექმნილია ცურვის, წყალში ხტომის, წყალბურთის და ფიგურული (სინქრონული) ცურვის კომიტეტები. 1924-დან არსებობს მოცურავეთა ევროპის ლიგა.



ცურვის სამოყვარულო საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

**ცხენოსნობა.** სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრებები ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ეწყობოდა (680 ჩვენს წელთაღრიცხვამდე). საცხენოსნო სპორტის სკოლები ევროპაში XV-XVI საუკუნეებში შეიქმნა (იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, ავსტრია). ცხენოსნობა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გართობა-სანახაობა იყო ძველ საქართველოშიც.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ეწყობა 1953-დან, ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1900-დან. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია ბელგიელი ემე პეგემანი, რომელმაც პარიზის II ოლიმპიურ თამაშებზე მოიგო შეჯიბრება დაბრკოლებების გადალახვაში.



მოცურავეები. ძველბერძნული ამფორა. პარიზი, ლუვრი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| გფრ | 16 | 11 | 15 | 42 |
| შვეცია | 17 | 8 | 14 | 39 |
| აშშ | 8 | 17 | 13 | 38 |
| საფრანგეთი | 11 | 12 | 10 | 33 |
| გერმანია | 15 | 6 | 5 | 26 |
| იტალია | 7 | 9 | 7 | 23 |
| დიდი ბრიტანეთი | 5 | 7 | 9 | 21 |
| შვეიცარია | 4 | 9 | 7 | 20 |
| ნიდერლანდები | 6 | 7 | 2 | 15 |
| სსრკ | 6 | 5 | 4 | 15 |
| ბელგია | 4 | 2 | 6 | 12 |
| ავსტრალია | 5 | 1 | 2 | 8 |
| ახალი ზელანდია | 3 | 2 | 3 | 8 |
| მექსიკა | 2 | 1 | 4 | 7 |
| პოლონეთი | 1 | 3 | 2 | 6 |
| დანია | - | 4 | 1 | 5 |
| კანადა | 1 | 1 | 2 | 4 |
| ავსტრია | 1 | 1 | 1 | 3 |
| პორტუგალია | - | - | 3 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 1 | - | 2 |
| ჩილე | - | 2 | - | 2 |
| რუმინეთი | - | 1 | 1 | 2 |
| იაპონია | 1 | - | - | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | 1 | - | - | 1 |
| არგენტინა | - | 1 | - | 1 |
| ბულგარეთი | - | 1 | - | 1 |
| ნორვეგია | - | 1 | - | 1 |
| უნგრეთი | - | - | 1 | 1 |
| ბრაზილია | - | - | 1 | 1 |
| სულ | 115 | 113 | 113 | 341 |



ჭაბუკი მხედარი. ბრინჯაოს ქანდაკება. ათენი, ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი



საროზიდენცი
ინფანტა ა და აურგონი

**ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (FEI).** შეიქმნა 1921-ში პარიზში. აერთიანებს 197 ქვეყანას. დამფუძნებელი ქვეყნები: ბელგია, დანია, იტალია, ნორვეგია, აშშ, საფრანგეთი, შვეცია, იაპონია. ოფიციალური ენები — ფრანგული და ინგლისური. შტაბ-ბინა მდებარეობს ლოზანაში. პირველი დებულება შემუშავდა და დამტკიცდა ფედერაციის დამფუძნებელ კონგრესზე (1921).

ფედერაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელიც ყოველწლიურად ენყობა. გენერალური ასამბლეა, ამავე დროს, ბოლო ინსტანციაა სადავო საკითხების განხილვაში. ასამბლეებს შორის პერიოდში ფედერაციის მუშაობას ხელმძღვანელობს ბიურო.

# ძ

**ძალოსნობა.** იყო დრო, როცა სპორტის ამ სახეობას ე. ნ. ძალისმიერ სახეობას (კრივი, ჭიდაობა, სიმძიმეების ანევა) აკუთვნებდნენ. შემდგომში ძალოსნობას მხოლოდ სიმძიმეების ანევას



ძალოსანი. ძველბერძნული ლარნაკი. ვურცბურგი, მარტინ ფონ ვაგნერის მუზეუმი

ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

უკავშირებდნენ. ასე რომ, პირველი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილ სახეობას ძალოსნობა პირობითად ჰქვია. სინამდვილეში იგი სიმძიმეების ანევა იყო. ტრადიციული სამჭიდი სამ მოძრაობას მოიცავდა (აჭიმვა, აკვრა, ატაცი), 1973-დან გაუქმდა შეჯიბრება აჭიმვაში.

ოფიციალური შეჯიბრებები სიმძიმეების ანევაში თავდაპირველად აშშ-ში ენყობოდა (XIX ს. მეორე ნახევარი). დაახლოებით ამ პერიოდში პარიზსა და ბრიუსელში ძალოსანთა სპეციალური სასნავლებლები შეიქმნა. მსოფლიოს ჩემპიონატები იმართება 1898-დან, ევროპისა — 1947-დან. პირველ ოლიმპიურ თამაშებზე სპორტსმენებს წონით კატეგორიებად არ ჰყოფდნენ. 1896-ში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: ინგლისელი ლენსესტონ ელიოტი (ერთი ხელით ანევაში) და დანიელი ვიგო ენსენი (ორი ხელით ანევაში).

საქართველოს სულ ხუთი ოლიმპიელი ჰყავდა — რაფაელ ჩიმიშკიანი, დიმიტრი შანიძე, კახი კახიაშვილი, ბიძინა მიქიაშვილი და მუხრან გოგია. ჩიმიშკიანი ჩემპიონი გახდა ჰელსინკში (1952, XV ოლიმპიადა), შანიძემ ვერცხლის მედალი მიიღო მეხიკოსა და მიუნხენში (1968, XIX და 1972, XX), კახიაშვილმა ოქროს ჯილდო დაიმსახურა ბარსელონაში (1992, XXV), მიქიაშვილმა IX ადგილი დაიკავა ატლანტაში (1996, XXVI), მუხრან გოგიამ კი ტრავმის გამო ვერ იასპარეზა.

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| სსრკ | 39 | 21 | 2 | 62 |
| აშშ | 15 | 16 | 10 | 41 |
| ბულგარეთი | 10 | 14 | 7 | 31 |
| პოლონეთი | 4 | 3 | 19 | 26 |
| გერმანია | 5 | 5 | 11 | 21 |
| ჩინეთი | 6 | 6 | 7 | 19 |
| უნგრეთი | 2 | 7 | 10 | 19 |
| საფრანგეთი | 9 | 2 | 4 | 15 |
| იტალია | 5 | 5 | 5 | 15 |
| იაპონია | 2 | 2 | 8 | 12 |
| საბერძნეთი | 5 | 3 | 3 | 11 |
| ავსტრია | 4 | 5 | 2 | 11 |
| რუმინეთი | 2 | 6 | 3 | 11 |
| გდრ | 1 | 4 | 6 | 11 |
| გაერთ. გუნდი | 5 | 4 | - | 9 |
| ეგვიპტე | 5 | 2 | 2 | 9 |
| ირანი | 1 | 3 | 5 | 9 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 2 | 3 | 8 |
| გფრ | 2 | 2 | 3 | 7 |
| ესტონეთი | 1 | 3 | 3 | 7 |
| დიდი ბრიტანეთი | 1 | 3 | 3 | 7 |
| კორეა | 1 | 1 | 4 | 6 |
| კსდრ | - | 2 | 3 | 5 |
| თურქეთი | 4 | - | - | 4 |
| კუბა | 2 | 1 | 1 | 4 |
| ბელგია | 1 | 2 | 1 | 4 |
| ავსტრალია | 1 | 1 | 2 | 4 |
| შვეიცარია | - | 2 | 2 | 4 |
| შვეცია | - | - | 4 | 4 |
| რუსეთი | 2 | 1 | - | 3 |
| დანია | 1 | 2 | - | 3 |
| ფინეთი | 1 | - | 2 | 3 |
| ტრინიდ. და ტობ. | - | 1 | 2 | 3 |
| ნიდერლანდები | - | - | 3 | 3 |
| უკრაინა | 1 | - | 1 | 2 |
| კანადა | - | 2 | - | 2 |
| არგენტინა | - | 1 | 1 | 2 |
| ნორვეგია | 1 | - | - | 1 |
| ლიბანი | - | 1 | - | 1 |
| ლუქსემბურგი | - | 1 | - | 1 |
| სინგაპური | - | 1 | - | 1 |
| ყაზახეთი | - | 1 | - | 1 |
| ერაყი | - | - | 1 | 1 |
| ჩინეთის ტაიპეი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 142 | 138 | 144 | 424 |

**ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IWF).** შეიქმნა 1905-ში საფრანგეთის ინიციატივით. აერთიანებს 160 ქვეყანას. 1968-მდე იგი სხვა სახელნოდებით იყო ცნობილი: „ძალოსნობისა და კულტურიზმის საერთაშორისო ფედერაცია“.

ოფიციალური ენები — ინგლისური, ფრანგული, ესპანური, გერმანული და რუსული. სამუშაო ენად მიღებულია ფრანგული და ინგლისური. სადაო საკითხების გარკვევისას უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ტექსტს. შტაბ-ბინა მდებარეობს ბუდაპეშტში.

უმაღლესი ორგანოა კონგრესი, რომლის სხდომებსაც იწვევენ ყოველწლიურად მსოფლიოს ჩემპიონატების ან ოლიმპიური თამაშების დროს. კონგრესებს შორის პერიოდში ფედერაციის მუშაობას ხელმძღვანელობს ალმასკომი.

**ძამპორი ჯორჯო.** 4. 1. 1887 — 7. 12. 1965. იტალიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო *ტანმოვარჯიშე*. 1920 ანტვერპენის VII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მრავალჭიდში. გარდა ამისა, სამჯერ იყო ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1912, 1920, 1924).

**ძიუდო.** იაპონური ეროვნული ჭიდაობა, შეიქმნა XIX ს. მიწურულს, როგორც ჯიუ-ჯიცუს მოდერნიზებული სახეობა. ძიუდოს ფუძემდებელია იაპონელი პროფესორი ძიგარო კანო (1860-1938). XIX ს. მიწურულს და XX-ის დასაწყისში გავრცელდა ევროპაში და საკმაო ავტორიტეტიც მოიპოვა. მსოფლიოს ჩემპიონატები იმართება 1956-დან, ევროპისა — 1951-დან. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში 1964-ში შეიტანეს (ტოკიო, XVIII თამაშები). პირველი ჩემპიონებია: მსუბუქი წონა — ტ. ნაკატანი, საშუალო წონა — ი. ოკანო, მძიმე წონა — ი. ინოკუმა (ყველა — იაპონია), ღია პირველობა — ა. პეესინკი (ნიდერლანდები).

საქართველო ოლიმპიურ თამაშებში წარმოდგენილია 19 ძიუდოისტით (შ. ჩოჩიშვილი და დ. ხახალეიშვილი — ორ-ორჯერ იყვნენ ოლიმპიელები). ჩვენს მოჭიდავეებს მოპოვებული აქვთ სამი ოქროს (შ. ჩოჩიშვილი, შ. ხაბარელი, დ. ხახალეიშვილი), ორი ვერცხლის (რ. ხარშილაძე, თ. ხუბულური) და შვიდი ბრინჯაოს (ა. კიკნაძე, ფ. ჩიკვილაძე, გ. ონაშვილი, შ. ჩოჩიშვილი, ა. ტოტიკაშვილი, გ. თენაძე, ს. ლიპარტელიანი) მედალი. გ. გოგოლაურს V ადგილი ხვდა, ო. ზურაბიანი, თ. ნამგალაური, გ. ვაზაგაშვილი, გ. რევაზიშვილი, ვ. დგებუაძე, გ. წმინდაშვილი და მ. ლობჟანიძე უმედლოდ დარჩნენ. დ. ხახალეიშვილმა ატლანტაში (1996) აწონვაზე დააგვიანა და შეჯიბრებაზე არ დაუშვეს.

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| იაპონია | 19 | 10 | 11 | 40 |
| საფრანგეთი | 8 | 3 | 15 | 26 |
| კორეა | 7 | 9 | 9 | 25 |
| სსრკ | 5 | 5 | 13 | 23 |
| კუბა | 3 | 5 | 7 | 15 |
| დიდი ბრიტანეთი | - | 6 | 9 | 15 |
| ნიდერლანდები | 3 | - | 7 | 10 |
| გფრ | 1 | 5 | 4 | 10 |
| გდრ | 1 | 2 | 6 | 9 |
| პოლონეთი | 3 | 3 | 2 | 8 |
| ბრაზილია | 2 | 1 | 5 | 8 |
| აშშ | - | 3 | 5 | 8 |
| ბელგია | 2 | 1 | 4 | 7 |
| უნგრეთი | 1 | 2 | 4 | 7 |
| გერმანია | 1 | - | 6 | 7 |
| იტალია | 1 | 3 | 2 | 6 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 2 | 5 |
| ჩინეთი | 2 | - | 3 | 5 |
| გაერთ. გუნდი | 2 | - | 2 | 4 |
| ავსტრია | 2 | - | 1 | 3 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 1 | 1 | 1 | 3 |
| კანადა | - | 1 | 2 | 3 |
| მონღოლეთი | - | 1 | 2 | 3 |
| კსდრ | 1 | - | 1 | 2 |
| ბულგარეთი | - | 1 | 1 | 2 |
| ისრაელი | - | 1 | 1 | 2 |
| რუმინეთი | - | - | 2 | 2 |
| იუგოსლავია | - | - | 2 | 2 |
| ეგვიპტე | - | 1 | - | 1 |
| უზბეკეთი | - | 1 | - | 1 |
| ავსტრალია | - | - | 1 | 1 |
| ისლანდია | - | - | 1 | 1 |
| საქართველო | - | - | 1 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | - | - | 1 | 1 |
| თურქეთი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 67 | 66 | 134 | 267 |

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

**ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია (FIJ).** შეიქმნა 1951-ში. აერთიანებს 175 ქვეყანას. ოფიციალური ენები — ფრანგული და ინგლისური, დამატებითი — გერმანული, ესპანური და იაპონური. შტაბ-ბინა მდებარეობს სეულში.

ფედერაციის უმაღლესი ორგანო კონგრესია, რომელსაც იწვევენ ორ წელიწადში ერთხელ.

**ძნელაძე რომან.** 1. 9. 1933 — 11. 4. 1966. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1949. სსრკ ნაკრების ღირსებას იცავდა 5 წლის მანძილზე (1955-59). სსრკ ჩემპიონი (1956). ოლიმპიადის მონაწილე.

1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშები



რ. ძნელაძე

(ქვემსუბუქი წონა, 62 კგ) — III ადგილი. I წრე — წმინდად (8,02) დამარცხდა მიუძახირ სილესთან (თურქეთი), II წრე — წმინდად (5, 00) მოუგო პუნარ პოკანსონს (შვეცია), III წრე — წმინდად (10,06) აჯობა უმბერტო ტრიპას (იტალია), IV წრე — ქულებით დაამარცხა რაუნო მიაკინენი (ფინეთი), V წრე — ქულებით წააგო იმრე პოიაკთან (უნგრეთი).

**ძოძუაშვილი რევაზ.** დ. 15. 4. 1945 ქუთაისში. *ფეხბურთი*. თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში" (1964, 66-67), სოხუმის „დინამოში" (1965) და თბილისის „დინამოში" (1963, 68-76). უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 301 მატჩი, გაიტანა 5 გოლი. სსრკ ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი (1969, 71, 72,

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

76), სსრკ ნაკრების მოთამაშე (49 მატჩი). ევროპის ჩემპიონატის (1972) ვერცხლის პრიზიორი. მსოფლიოს (1970) ჩემპიონატის მონაწილე. თამაშობდა, აგრეთვე, 1974 მსოფლიოს ჩემპიონატის



რ. ძოძუაშვილი

შესარჩევ მატჩებში. ოლიმპიადის მონაწილე.

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები — III ადგილი. მონაწილეობდა შვიდიდან ოთხ მატჩში (ბირმასთან, სუდანთან, მაროკოსთან, პოლონეთთან).

# წ

**წაძაძე კახა.** დ. 28. 4. 1969 ბაკურიანში. ***თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა.*** სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1980. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სსრკ ჩემპიონი (1990) და თასის მფლობელი (1989, 90). სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი. მონაწილეობდა ევროპის თასის ხუთ შეჯიბრებაში, აგრეთვე საერთაშორისო ტურნირებში. ოლიმპიადის მონაწილე.



მამა-შვილი კოზა და კახა წაძაძეები

1994 ლილეჰამერის ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშები. საშუალო ტრამპლინი (90 მ). — 50-ე ადგილი, ნახტომები — 75,5 და 71,0 მმ. 156,5 ქულა. დიდი ტრამპლინი (120 მ) — 55-ე ადგილი. ნახტომები — 75,0 და 78,0 მმ. 62,9 ქულა.

**წაძაძე კოზა.** დ. 19. 8. 1934 ბაკურიანში. ***თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა.*** სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1942. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი (1960) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონი (1953, 56, 60, 62, 69, 72), სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი (1961). სამჯერ ფლობდა სსრკ თასს (1968, 70, 72). მონაწილეობდა რვა მსოფლიოს ჩემპიონატში (ოთხჯერ ჩვეულებრივ და ოთხჯერ გიგანტურ ტრამპლინებზე). ოთხი ოლიმპიადის მონაწილე.

1956 კორტინა დ'ამპეცოს ზამთრის VII ოლიმპიური თამაშები. ტრამპლინიდან ხტომა — 30-ე ადგილი. ნახტომები 80, 5 და 82, 5 მმ. 185 ქულა.

1960 სკვო-ველის ზამთრის VIII ოლიმპიური თამაშები. ტრამპლინიდან ხტომა — IX ადგილი. ნახტომები 89,0 და 79,5 მმ. 211,1 ქულა.

1964 ინსბრუკის ზამთრის IX ოლიმპიური თამაშები. 90 მ. ტრამპლინიდან ხტომა — 27-ე ადგილი. ნახტომები 87,0 და 80,5 მმ. 195, 60 ქულა.

1972 საპოროს ზამთრის XI ოლიმპიური თამაშები. 70 მ. ტრამპლინიდან ხტომა — IX ადგილი. ნახტომები 77,5 და 77,5 მმ. 219, 9 ქულა.

90 მ. ტრამპლინიდან ხტომა — 35-ე ადგილი. ნახტომები 93,0 და 90,0 მმ. 165,2 ქულა.

**წესები ოლიმპიური.** ასე ერქვა ოლიმპიურ ქარტიას 1972-78-ში (იხ. ქარტია ოლიმპიური, გვ.167).

**წმინდაშვილი გიორგი.** დ. 17. 5. 1976 ყვარელში. ***ძიუდოისტი.*** თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიადა. 86 კგ. პირველივე შეხვედრა წააგო (იუკო) ბრაზილიელ ედელმარ ზანოლთან და გამოეთიშა შეჯიბრებას. საბოლოო შედეგი — 32-ე ადგილი.

**წყალბურთი.** სხვაგვარად — ვატერპოლო. გუნდური თამაში ბურთით (წყალში), რომლის პირველი წესები შეიმუშავა შოტლანდიელმა ვ. უილსონმა (1876). XIX ს. მიწურულს და XX ს. დასაწყისში ფართოდ გავრცელდა ევროპის ქვეყნებში. 1926-ში ცურვის საერთაშორისო ფედერაციასთან შეიქმნა წყალბურთის კომიტეტი. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში წყალბურთი პირველად 1900-ში შეიტანეს. ევროპის ჩემპიონატები ტარდება 1921-დან, მსოფლიოსი — 1973-დან. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია დიდი ბრიტანეთის გუნდი.

ქართული სპორტი წყალბურთელთა ოლიმპიურ ტურნირებში ხუთი მონაწილით არის წარმოდგენილი. მათგან ორს — ლერი გოგოლაძესა და გივი ჩიქვანაიას მოპოვებული აქვს ვერცხლის მედლები (რომი, XVII თამაშები, 1960), ორს — ნოდარ გვახარიასა (1956, მელბურნი, XVI თამაშები) და მიხეილ გიორგაძეს (1988, სეული, XXIV თამაშები) ბრინჯაოს ჯილდოები. ვლადიმერ ისელი-

ძეს 1976-ში (მონრეალი, XXI ოლიმპიადა) VIII ად-გილი ხვდა.

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 6 | 3 | 3 | 12 |
| აშშ | 1 | 4 | 3 | 8 |
| იუგოსლავია | 3 | 4 | - | 7 |
| სსრკ | 2 | 2 | 3 | 7 |
| იტალია | 3 | 1 | 2 | 6 |
| ბელგია | - | 4 | 2 | 6 |
| დიდი ბრიტანეთი | 4 | - | - | 4 |
| საფრანგეთი | 1 | - | 3 | 4 |
| გერმანია | 1 | 2 | - | 3 |
| შვეცია | - | 1 | 2 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 1 | - | 2 |
| ნიდერლანდები | - | - | 2 | 2 |
| ხორვატია | - | 1 | - | 1 |
| გაერთ. გუნდი | - | - | 1 | 1 |
| გფრ | - | - | 1 | 1 |
| სულ | 22 | 23 | 22 | 67 |

**წყალში ხტომა.** სპორტის სახეობა, რომელიც გულისხმობს კოშკიდან და ტრამპლინიდან საცურაო აუზში ხტომას. როგორც სპორტის სახეობა, არსებობდა გერმანიაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში. იქვე გაიმართა პირველი ოფიციალური საერთაშორისო ტურნირი (1890). ევროპის ჩემპიონატები ტარდება 1904-დან, მსოფლიოსი — 1973-დან. ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1904-დან. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია ამერიკელი ჯორჯ შელდონი (კოშკი). საერთაშორისო შეჯიბრებებს ატარებს ცურვის საერთაშორისო ფედერაცია, რომელშიც ცალკეა გამოყოფილი წყალში ხტომის კომიტეტი.

საქართველოს სპორტსმენები მონაწილეობდნენ წყალში მხტომელთა ექვს ოლიმპიურ ტურნირში. ბორის პოლულიახი და გიორგი ჩოგოვაძე ორ-ორი ოლიმპიადის მონაწილენი არიან. პოლულიახს ტოკიოში (1964, XVIII თამაშები) VI ადგილი ჰქონდა, მეხიკოში (1968, XIX თამაშები) კი — XX. გიორგი ჩოგოვაძე სეულში (1988, XXIV თამაშები) IV იყო, ბარსელონაში კი (1992, XXV თამაშები) — XVI. ქართველ სპორტსმენთაგან ოლიმპიადის ერთადერთი პრიზიორია ლიანა ცოტაძე: მოსკოვში (1980, XXII ოლიმპიადა) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ატლანტაში (1996, XXVI) ნანა ყაზარაშვილმა 28-ე ადგილი დაიკავა, გოჩა გახარიამ — 34-ე.



წყალში ხტომა. ძველბერძნული ფრესკა



გ. წმინდაშვილი

| ქვ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 46 | 40 | 41 | 127 |
| შვეცია | 6 | 8 | 7 | 21 |
| ჩინეთი | 9 | 6 | 4 | 19 |
| გერმანია | 3 | 7 | 5 | 15 |
| სსრკ | 4 | 4 | 6 | 14 |
| გდრ | 5 | 3 | 3 | 11 |
| იტალია | 3 | 4 | 2 | 9 |
| მექსიკა | 1 | 3 | 4 | 8 |
| დიდი ბრიტანეთი | - | 1 | 4 | 5 |
| კანადა | 1 | - | 2 | 3 |
| გაერთ. გუნდი | - | 2 | 1 | 3 |
| რუსეთი | 1 | 1 | - | 2 |
| ჩეხოსლოვაკია | 1 | 1 | - | 2 |
| დანია | 1 | - | 1 | 2 |
| ეგვიპტე | - | 1 | 1 | 2 |
| ავსტრალია | 1 | - | - | 1 |
| საფრანგეთი | - | 1 | - | 1 |
| ავსტრია | - | - | 1 | 1 |
| გფრ | - | - | 1 | 1 |
| სულ | 82 | 82 | 83 | 247 |



ჭიდაობა. ძველბერძნული ამფორა. ფლორენცია, არქეოლოგიის მუზეუმი

# ჭ

**ჭიდაობა.** სპორტის ამ სახეობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი პოპულარული იყო ძველ საბერძნეთში, რომში (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და ანტიკური ოლიმპიადების ერთ-ერთ წამყვან დისციპლინად ითვლებოდა. თანამედროვე სახეობები (ბერძნულ-რომაული ანუ

კლასიკური და თავისუფალი) ჩამოყალიბდა XIX - XX საუკუნეების მიჯნაზე. სამბო, რომელიც არ ითვლება ოლიმპიურ დისციპლინად შეიქმნა სსრკ-ში XX საუკუნის 30-იან წლებში (იხ. ბერძნულ - რომაული ჭიდაობა, გვ. 30; თავისუფალი ჭიდაობა, გვ. 56).



FILA-ს პრეზიდენტი
მ. ერცეგანი



შ. ხაბარელი

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

**ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (FILA)** შეიქმნა 1912 -ში იტალიის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და შვეციის ინიციატივით. აერთიანებს 136 ქვეყანას. ოფიციალური ენები — ფრანგული და ინგლისური. სადაო შემთხვევებში ძირითად ტექსტად მიღებულია ფრანგული. შტაბ-ბინა მდებარეობს ლოზანაში.

უმაღლესი ორგანოა კონგრესი, რომელსაც ორ წელიწადში ერთხელ იწვევენ. კონგრესებს შორის პერიოდში ფედერაციის საქმიანობას უძღვება ბიურო, პრეზიდენტს ირჩევენ 4 წლით, ფედერაცია გამოსცემს ყოველკვარტალურ ბიულეტენს, რომელშიც მოცემულია ინფორმაციები მსოფლიოსა და კონტინენტების ჩემპიონატებზე, საერთაშორისო ტურნირებზე და ა. შ.

**ჭკუასელი ავთანდილ.** 1931 — 1994. *ფეხბურთი.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1949. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1956). თბილისის „დინამოს" წევრი (1949 -57). საკავშირო ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის პრიზიორი (1951,53). II ადგილი სსრკ ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე (1956). სსრკ ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს 1951 -ში. ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები — მერვედფინალიდან გამოეთიშა ტურნირს.

# ხ

**ხაბარელი შოთა.** დ. 26. 12. 1958 სოფ. ძლევისჯვარში, ქარელის რ-ნი, *ძიუდო.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1970. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი (1982). სსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადის (1983) და ევროპის გუნდური (1979) ჩემპიონი. ევროპის ჩემპიონატების ვერცხლის (1979,80,82) და ბრინჯაოს (1981,83) პრიზიორი. მსოფლიოს 1983 ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. ოლიმპიადის მონაწილე.

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები (ქვესაშუალო წონა, 78კგ) — I ადგილი. I წრე — ქულებით (კოკა) დაამარცხა ჰარალდ ჰაინკე (გდრ), II წრე — ქულებით (კოკა) მოუგო გიორგი პეტროვს (ბულგარეთი), III წრე — ქულებით (იუკო) აჯობა მირჩა ფრეტიკეს (რუმინეთი), IV წრე — ქულებით (იუკო) დაამარცხა ხუან ფერერი (კუბა).

ამჟამად საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

**ხაბელოვი ლერი** დ. 5.7. 1964 თბილისში. *თავისუფალი ჭიდაობა.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1976. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი (1985). მსოფლიოს ხუთგზის (1985,87 90, 91, 93) და ევროპის ოთხგზის (1985,87 88, 92) ჩემპიონი. მსოფლიო თასის მრავალგზის მფლობელი. სამი ოლიმპიადის მონაწილე (1993 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა რუსეთში).

1988 სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები (ქვემძიმე წონა, 100 კგ — II ადგილი. I წრე — წმინ-



ლ. ხაბელოვი

დად (2,42) მოუგო ფრედ სოლოვს (დასავლეთ სამოა), II წრე — ქულებით დაამარცხა პაირი რეზგინი (თურქეთი), III წრე — წმინდად აჯობა ფლორიანო სპესის (ბრაზილია), IV წრე — წმინდად (1,50) დაამარცხა ბოლდ ჟავხლანტუგსი (მონღოლეთი), V წრე — ქულებით მოუგო უვე ნოიპერტს (გდრ), VI წრე — ქულებით დამარცხდა ვასილე პუშკაშუსთან (რუმინეთი).

1992 ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები (ქვემძიმე წონა, 100 კგ) — I ადგილი. I წრე — ქულებით დაამარცხა ალი ქაიალი (თურქეთი), II წრე — ქულებით მოუგო იოჰანეს როსუს (სამხრეთ



რ. ხარშილაძე

აფრიკის რესპ.), III წრე — ქულებით აჯობა მიროსლავ მაკაეეევს (ბულგარეთი), IV წრე — ქულებით დაამარცხა შანდორ კიში (უნგრეთი), V წრე — ქულებით აჯობა ანჯეი რადომსკის (პოლონეთი), VI წრე — ქულებით მოუგო პეიკო ბალცს (გერმანია).

ატლანტაში (1996, XXVI) იასპარეზა რუსეთის სახელით, დაიკავა მე- 14 ადგილი.

**ხაკულინენი ვეიკო.** დ. 4. 4. 1925 კურკიიოკიში, ფინეთი. *სათხილამურო რბოლა.* სამი ოლიმპიადის ჩემპიონი. 1952 - ში (ოსლო) მოიგო რბენა 50 კილომეტრზე, 1956 - ში (კორტინა დ'ამპეცო) 30 კილომეტრზე, 1960- ში (სკვო- ველი) ესტაფეტა 4X10კმ. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი სხვადასხვა დისტანციაზე. აქვს, აგრეთვე, მიღებული ოლიმპიური თამაშების ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები.

**ხარშილაძე რამაზ.** დ. 16. 1. 1951 სოფ. ნაცარგორაში, ხაშურის რ- ნი. *ძიუდო.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1965. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სსრკ ორგზის ჩემპიონი (1974,76). 1975 - ში მოიგო სსრკ ხალხთა სპარტაკიადა. ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი (1975,80).1975 მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ოლიმპიადის მონაწილე.

1976 მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშები (ქვემძიმე წონა, 93 კგ) — II ადგილი. I წრე — ქულებით (იუკო) დაამარცხა ჩჟა კი ჩო (სამხრეთ კორეა), II წრე — წმინდად (1,42) მოუგო აბდულა ჯიბას (სენეგალი), III წრე — ქულებით (ვაზარი) მოუგო დევიდ სტარბრუკს (დიდი ბრიტანეთი), IV წრე — ქულებით (იუკო) დამარცხდა კაცუხირო ნინომიასთან (იაპონია)

**ხახალეიშვილი დავით.** დ. 28.2. 1971 ქუთაისში. *ძიუდო.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1982. დაამთავრა ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი ევროპის სამგზის ჩემპიონი. 1991 მსოფლიოს პირველობაზე მეორე იყო , 1993- ში მოიპოვა ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი. 1995- ში — ბრინჯაოს მედალი. ოლიმპიადის მონაწილე.

1992 ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები (მძიმე წონა, +95 კგ) — I ადგილი. I წრე — წმინდად (4,37) დაამარცხა ხალიფა აბაბაქარ დიუფი (სენეგალი), II წრე — ქულებით (ვაზარი) მოუგო ფრენკ გარსია მორენოს (კუბა), III წრე — ქულებით (კოკა) აჯობა რაფაელ კუბაცკის (პოლონეთი), IV წრე — ქულებით (ვაზარი) დაამარცხა იმრე ჩოსი (უნგრეთი), V წრე — წმინდად (1,04) მოუგო ნაოია ოგავას ( იაპონია).

1996 ატლანტის XXVI ოლიმპიური თამაშები. ანონვაზე დაგვიანების გამო არ დაუშვეს შეჯიბრებაზე.

**ხელბურთი.** გუნდური თამაში. გავრცელებულია ორი სახეობა — 7X7 (შვიდი შვიდზე) და 11X11 (თერთმეტი თერთმეტზე). საერთაშორისო აღიარება პპოვა პირველმა სახეობამ, რომელიც დანიაში ჩაისახა (1898). თამაშის წესები შეიმუშავა პ. ნილსენმა. მსოფლიოს ჩემპიონატები ტარდება 1936- დან, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება — 1957- დან. ხელბურთი ოლიმპიური სახეობა გახდა 1936 -სა (11X11 ) და 1972 - ში (7X7). პირველ სახეობაში ოლიმპიური ოქროს მედლები გერმანელებმა მოიგეს, მეორეში - იუგოსლაველებმა.

ხელბურთელთა ოლიმპიურ ტურნირებში საქართველო წარმოდგენილია ერთი სპორტსმენით — ალექსანდრე ანპილოგოვით, რომელმაც



დ ხახალეიშვილი

მონრეალში (1976) ოქროს მედალი მიიღო, მოსკოვში კი (1980) — ვერცხლისა.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| სსრკ | 4 | 1 | 1 | 6 |
| იუგოსლავია | 3 | 1 | 1 | 5 |
| კორეა | 2 | 3 | - | 5 |
| რუმინეთი | - | 1 | 3 | 4 |
| გდრ | 1 | 1 | 1 | 3 |
| გაერთ. გუნდი | 1 | - | 1 | 2 |
| ნორვეგია | - | 2 | - | 2 |
| შვეცია | - | 2 | - | 2 |
| უნგრეთი | - | - | 2 | 2 |
| გერმანია | 1 | - | - | 1 |
| დანია | 1 | | - | 1 |
| ხორვატია | 1 | - | - | 1 |
| ავსტრია | - | 1 | - | 1 |
| გფრ | - | 1 | - | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | - | 1 | - | 1 |
| ესპანეთი | - | - | 1 | 1 |
| პოლონეთი | - | - | 1 | 1 |
| საფრანგეთი | - | - | 1 | 1 |
| შვეიცარია | - | - | 1 | 1 |
| ჩინეთი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 14 | 14 | 14 | 42 |

**ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია (IHF).** შეიქმნა 1946 - ში (კოპენჰაგენი) დამფუძნებელი ქვეყნები: დანია, ნიდერლანდები, ნორვე-



ა. ძაკვასელი



ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

გია, პოლონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, შვეცია. ოფიციალური ენებია: გერმანული, ფრანგული და ინგლისური.

ფედერაციის უმაღლესი ორგანოა კონგრესი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება, ფედერაციის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს საბჭო და ალმასკომი. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: პრეზიდენტი, ორი ვიცე-პრეზიდენტი, გენერალური მდივანი, ხაზინადარი და 10 წევრი. საბჭოს წევრებს ირჩევენ 4 წლით. საბჭოს შემადგენლობიდან იქმნება ალმასკომი (6 წევრი).



ველოსიპედისტები. ბრინჯაოს ქანდაკება. ავტორი გაბორ მიჰალი (უნგრეთი) ლოზანა

**ხელოვნების ოლიმპიური კონკურსი.** 1906 წელს პარიზში გამართულ სოკ-ის IV კონგრესზე („სპორტი, ლიტერატურა და ხელოვნება") გადაწყდა, რომ ანტიკური ტრადიციის შესაბამისად განეახლებინათ ხელოვნების კონკურსები. პირველი კონკურსი მოეწყო სტოკჰოლმში, 1912 წლის V ოლიმპიურ თამაშებზე. პროგრამაში იყო ხუთი დისციპლინა: არქიტექტურა, ლიტერატურა, მუსიკა, ფერწერა, ქანდაკება (საინტერესოა, რომ ლიტერატურის დარგში ოქროს მედალი მიიღო თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელმა პიერ დე კუბერტენმა. ნაწარმოები — „ოდა სპორტს"). ხელოვნების კონკურსები 1948 წლამდე იმართებოდა, ე. ი. სულ 7 ასეთი კონკურსი მოეწყო.

ხელოვნების ოლიმპიურ კონკურსებში მედლები ასე განაწილდა.

| *ქვ.* | *ო.* | *ვ.* | *ბ.* | *ჯ.* |
|---|---|---|---|---|
| გერმანია | 8 | 7 | 9 | 24 |
| იტალია | 5 | 7 | 2 | 14 |
| საფრანგეთი | 5 | 4 | 5 | 14 |
| დიდი ბრიტანეთი | 4 | 5 | 1 | 10 |
| აშშ | 4 | 5 | - | 9 |
| შვეიცარია | 4 | 4 | 1 | 9 |
| ავსტრია | 3 | 3 | 3 | 9 |
| დანია | - | 5 | 4 | 9 |
| პოლონეთი | 3 | 2 | 3 | 8 |
| ბელგია | 2 | 1 | 5 | 8 |
| ნიდერლანდები | 2 | 1 | 3 | 6 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 5 |
| შვეცია | 2 | - | 2 | 4 |
| უნგრეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| ლუქსემბურგი | 2 | 1 | - | 3 |
| ირლანდია | - | 1 | 2 | 3 |
| ჩეხოსლოვაკია | - | 1 | 2 | 3 |
| კანადა | - | 1 | 1 | 2 |
| სამხრეთ აფრიკა | - | 1 | 1 | 2 |
| იაპონია | - | - | 2 | 2 |
| საბერძნეთი | 1 | - | - | 1 |
| ნორვეგია | - | 1 | - | 1 |
| მონაკო | - | - | 1 | 1 |
| სულ | 49 | 53 | 49 | 151 |

ხელოვნების კონკურსებში 2 ოქროს მედალი მიიღო ჟან ჯეკობმა (ლუქსემბურგი), 3-3 მედლები მოიპოვეს ალექს ვალტერ დიველმანმა (შვეიცარია) და ჯოზეფ პეტერსენმა (დანია). ერთდროულად ოლიმპიური თამაშების სპორტულ შეჯიბრებაში და ხელოვნების კონკურსში ოქროს მედლები მოიპოვეს უოლტერ უაინენსმა (აშშ, 1908- ტყვიის სროლა, 1912 — სკულპტურა) და ალფრედ პაიოშმა (უნგრეთი, 1896 — ცურვა, 1924 — არქიტექტურა).




ხელოვნების ოლიმპიური კონკურსის დიპლომი ლოს-ანჯელესი, 1932 წ.

**ხმელთაშუაზღვისპირეთის თამაშები.** რეგიონური შეჯიბრება. ტარდება სოკ-ის ეგიდით (1951 - დან) მონაწილეობენ: ალბანეთი ალჟირი, ბულგარეთი, საბერძნეთი, ეგვიპტე, ესპანეთი, იტალია, ლიბანი, ლივია, მაროკო, პორტუგალია, ტუნისი, თურქეთი, საფრანგეთი, იუგოსლავია.ტრადიციულად თამაშების პროგრამაში შეაქვთ სპორტის ოლიმპიური სახეობები (კალათბურთი, კრივი, ჭიდაობა, ფრენბურთი, ველოსპორტი, წყალბურთი, ნიჩბოსნობა, წყალში ხტომა, სროლა, ძალოსნობა, ფარიკაობა, ფეხბურთი, ბალახის ჰოკეი და სხვ.). პირველ თამაშებს (1951) ალექსანდრია მასპინძლობდა.

**ხნიკინა-დვალიშვილი ნადეჟდა.** დ. 24. 6. 1933 ბაქოში, *მძლეოსნობა.* უმაღლესი განათლებით. სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1951, 53) 100 და 200 მმ. რბენაში. სტუდენტთა XI საზაფხულო სპორტული თამაშების (1951, ბერლინი) ბრინჯა-

ის პრიზიორი სიგრძეზე ხტომაში. ახალგაზრდობის I საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების (1953, ბუქარესტი) ჩემპიონი (ესტაფეტა 4X200) და ორგზის ვერცხლის პრიზიორი (100 და 200 მ). ახალგაზრდობის III საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების (1957, მოსკოვი) მეორე პრიზიორი სიგრძეზე ხტომაში. ორი ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები. 200 მ — III ადგილი (გარბენში პირველი — 24,3, ნახევარფინალში პირველი — 24,1. ფინალში მესამე — 24,2; 100 მ — ფინალში ვერ მოხვდა (გარ-



ნ. ხნიკინა-დვალიშვილი

ბენში მეორე — 12, 0, მეოთხედფინალში პირველი — 12,0, ნახევარფინალში მეოთხე — 12,1); ესტაფეტაში 4X100 — IV ადგილი

1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშები. სიგრძეზე ხტომა — III ადგილი (საუკეთესო ნახტომი — 6, 07 მ). საკვალიფიკაციო ხტომებშიც მესამე შედეგი ჰქონდა — 5,95.

**ხორვატია.** მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთით. ტერიტორია — 56 538 კვ.კმ. მოსახლეობა — 4,5 მლნ. ხორვატები — 77,8 %, სერბები — 12,2%. დედაქალაქი — ზაგრები— 716 ათასი. ოფიციალური ენა — ხორვატული. შედიოდა იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში. ამ ქვეყნის ოლიმპიელთა საუკეთესო ნაწილს სწორედ ხორვატიელები შეადგენდნენ. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 25 ივნისს.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1991 წელს, სოკ-მა აღიარა 1993 წელს. ხორვატიელთა დამოუკიდებელი დებიუტი შედგა ალბერვილის 1992 წლის ზამთრის თამაშებზე, ბარსელონაში (1992) ხორვატიელმა კალათბურთელმა ვაჟებმა ვერცხლის მედლები მიიღეს. ატლანტაში მოიგეს ხელბურთელ ვაჟთა შეჯიბრება, წყალბურთში კი მეორე ადგილი დაიკავეს.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1992 | - | 1 | 2 | 3 |
| 1996 | 1 | 1 | - | 2 |
| სულ | 1 | 2 | 2 | 5 |

**ხოხაშვილი ნოდარ.** დ. 28.9.1940 თბილისში. *თავისუფალი ჭიდაობა.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1957-ში. უმაღლესი განათლებით. სსრკ ჩემპიონი (1969). ევროპის ჩემპიონატის მეორე (1969) და მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე (1969) პრიზიორი. ოლიმპიადის მონაწილე.

1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები (ქვემსუბუქი წონა, 63 კგ ) — III ადგილი. I წრე — ქულებით დაამარცხა მუჰამედ ახტარი (პაკისტანი), II წრე — ქულებით მოუგო ხაირულა სახინკაიას (თურქეთი), III წრე — ქულებით აჯობა ტაუნო იასკარის (ფინეთი), IV წრე — ქულებით სძლია



ნ. ხოხაშვილი

რიჩარდ დუგლასს (აშშ), V წრე — ქულებით მოუგო სალაბადი საფეპურს (ირანი), VI წრე — ფრე სტანჩო კოლევთან ( ბულგარეთი), VII წრე — ქულებით დამარცხდა ოსამუ ვატანაბესთან ( იაპონია).

**ხუანტორენა ალბერტო.** დ. 3.12.1951 სანტიაგო-დე-კუბაში. *მძლეოსნობა.* 1976 მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 400 (44,26) და 800 (1.43,5 — მსოფლიო რეკორდი), მეტრზე რბე-



ა. ხუანტორენა

ნაში. 1977 -ში ამავე დისტანციებზე მსოფლიოს თასი მოიგო (45,36 და 1.44,1). აღიარებული იყო მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად (1976).

ხორვატიის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ხუბულური თემურ.** დ. 24.5.1955 სოფ. სკრაში, გორის რაიონი. *ძიუდო.* სპორტში ვარჯიში დაიწყო 1969. დაამთავრა გორის პედაგოგიური



თ. ხუბულური

ინსტიტუტი (1974). ევროპის სამგზისა (1976, 77,79) და მსოფლიოს ორგზის (1979,81) ჩემპიონი. ორჯერ იყო სსრკ ჩემპიონი (1979,82), ერთხელ სსრკ სპარტაკიადა მოიგო (1979). ოლიმპიადის მონაწილე.

1980 მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები (ქვემძიმე წონა, 95 კგ) — II ადგილი. I წრე — ქულებით (ვაზარი) დაამარცხა დარიუშ ნოვაკოვსკი (პოლონეთი), II წრე — ქულებით (ვაზარი) მოუგო დანიელ რადუს (რუმინეთი), III წრე — ქულებით (კოკა) აჯობა დიტმარ ლორენცს (გდრ), IV წრე — ქულებით სძლია ხოსე ტორნესს (კუბა), V წრე — ქულებით (კოკა) დამარცხდა რობერ ვან დე ვალესთან (ბელგია).

ჯიბუტის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

**ხურცილავა მურთაზ.** დ. 5.5.1943 ბანძაში, მარტვილის რაიონი. *ფეხბურთი.* თბილისის „დინამოს" წევრი (1961-75) და კაპიტანი (1971-75). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1976). უმაღლეს ლიგაში — 292 მატჩი, 15 გოლი სსრ კავშირის ნაკრებში — 70 (7 გოლი). კაპიტნობდა საბჭოთა ნაკრებს. მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე (1966 და 70). ევროპის ჩემპიონატის (1972) ვერცხლის პრიზიორი. ოლიმპიადის მონაწილე.

1972 მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები — III ადგილი. ჩაატარა 6 შეხვედრა, გაიტანა 1 გოლი (გდრ-თან)



მ. ხურცილავა

# ჯ

**ჯევთროუ ჩარლზ.** დ. 5.5.1900 აშშ-ში *ციგურებით რბოლა.* ზამთრის პირველი ოლიმპიური თამაშების (1924, შამონი) პირველი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი — 500 მ.



ჩ. ჯევთროუ

**ჯიბუტი.** სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ადენის ყურესა და ბაბ-ელ-მანდების სრუტის სანაპიროზე. ტერიტორია — 23,4 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 600 ათასი. ძირძველი მოსახლეობის 90 % ორი ეთნიკური ჯგუფისაგან (ისა, აფარი) შედგება. დანარჩენები — ევროპელები, არაბები და სხვ. დედაქალაქი — ჯიბუტი (250 ათასი). ოფიციალური ენები — არაბული და ფრანგული. რელიგია — ისლამი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1983 წელს, 1984 წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1988 | | | 1 | 1 |
| სულ | | | 1 | 1 |

**ჯილდოები ოლიმპიური.** ოლიმპიური ჯილდოებია მედლები, დიპლომები, პრიზები, რომლებსაც აწესებს და ანიჭებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. მედლები გადაეცემათ ოლიმპიური თამაშების პრიზიორებს. დიპლომებს იღებენ პრიზიორები და IV - VI ადგილებზე გასული სპორტსმენები (გუნდები).

ოლიმპიური ჯილდოებია: ოლიმპიური თასი, ოლიმპიური ორდენი, საპატიო დიპლომი, აგ-

რეთვე, მოჰამედ ტაჰერას, გრაფ ბონაკოსას, ტოკიოს პრიზები და ფერნლეის თასი.



ჯ. ჯოინერ-კერსი

**ჯიჯიშვილი ზურაბ.** დ. 23.9.1973 ბაკურიანში. *სამთო თხილამურები.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1985. საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი. საქართველოს ჩემპიონი სწრაფდაშვებაში. ამავე სახეობაში იყო სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. ოლიმპიადის მონაწილე.

1994 ლილეჰამერის XVII ოლიმპიური თამაშები. სწრაფდაშვება — 1. 53,27 (47-ე ადგილი). კომბინაცია. სწრაფდაშვებაში 44-ე შედეგი აჩვენა, სლალომში ვერ დაამთავრა დისტანცია და შეუფასებელი დარჩა.

**ჯოინერ-კერსი ჯეძ.** დ. 3. 4. 1962 აშშ. *მძლეოსანი.* ყველა დროის უძლიერესი შეიდჭიდელი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი. ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული აქვს 3 ოქროს (1988 — შეიდჭიდი და სიგრძეზე ხტომა, 1992 — შეიდჭიდი), 1 ვერცხლისა (1984 — შვიდჭიდი) და 1 ბრინჯაოს (1992 — სიგრძეზე ხტომა) მედალი.



მ. ჯონსონი


მ. ჯორდანი



ზ. ჯიჯიშვილი

**ჯონსონი კორნელიუს.** 21.8.1913 — 15.2.1946 ლოს-ანჯელესი, აშშ. *მძლეოსანი,* სიმაღლეზე ხტომა. 1936 ბერლინის XI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (2 მ. 03 სმ). დამყარებული აქვს მსოფლიოს რეკორდი — 2მ. 07 სმ (1936).

**ჯონსონი მაიკლ.** დ. 13. 9. 1967 დალასში (აშშ). 90-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი *მძლეოსანი.* მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი. 1992, ბარსელონა — 4X400 — I; 1996, ატლანტა — 200მ — I (19.32 — მსოფლიოს რეკორდი), 400 მ — I.

**ჯონსონი რეფერ.** დ. 18.8.1934 ჰილსბოროში, ტეხასის შტატი, აშშ. *მძლეოსანი,* ათჭიდელი. 1960 რომის XVII ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედალი მოიპოვა (7587). პანამერიკული თამაშების ჩემპიონი (1955). დამყარებული აქვს სამი მსოფლიოს რეკორდი: 7985 (1955), 8302 (1958), 8683 (1960).

**ჯორდანი მაიკლ.** დ. 17. 2. 1963 ბრუკლინში (აშშ). ყველა დროის უძლიერესი *კალათბურთელი,* უნივერსალური მოთამაშე, შესანიშნავი დრიბლიორი და სნაიპერი. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1984, 1992), 1985 წლიდან გადავიდა პროფესიონალებში, ცხრა ბრწყინვალე სეზონი



ა. პაიოში

გაატარა „ჩიკაგო ბულსში" (საშუალოდ 32,3 ქულა ერთ მატჩში), 1988, 1991 და 1992 წლებში ალიარეს ნბა-ს ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ. 1993 თავი დაანება კალათბურთს, მაგრამ ორი წლის შემდეგ ისევ დაბრუნდა „ჩიკაგო ბულსში". ხუთჯერ იყო ნბა-ს ჩემპიონი.



ნ. ჟორჟიკია

**ჟორჟიკია ნოდარ.** დ. 15.11.1921 ქუთაისში. *კალათბურთი.* სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1936. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1956). სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1944,46,50,53,54) და ორგზის თასის მფლობელი (1950,51). სტუდენტთა XI მსოფლიო თამაშების (ბერლინი, 1951) და ევროპის (1947) ჩემპიონი. ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები — II ადგილი.

**ჟულელი მედეა (მზია).** დ. 1. 8. 1925 ქუთაისში. *ტანვარჯიში.* დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი (1956). სსრკ რვაგზის ჩემპიონი ბჯენით ხტომებსა (1946,47, 52-55) და რგოლებზე (1954). სტუდენტთა XI მსოფლიო თამაშების (ბერლინი, 1951) ჩემპიონი ბჯენით ხტომაში და გუნდურ შეჯიბრება-



ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების პლაკატი



მ. ჟულელი

ში. ახალგაზრდობის I საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების (ბუქარესტი, 1954) გუნდური ჩემპიონი და მეორე პრიზიორი ხტომებში. ოლიმპიადის მონაწილე.

1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები. გუნდური — I ადგილი, ოქროს მედალი. მრავალჭიდში IX ადგილი (74,95 ქულა). ბჯენით ხტომებში — IV ადგილი (19,13 ქულა). საგნით ვარჯიშში — გუნდური II ადგილი, ვერცხლის მედალი.

ღირსების ორდენის კავალერი.

# პ

**პაზიზი ემამალი.** დ. 13.4.1931 ბაბოლში, ირანი. *თავისუფალი ჭიდაობა.* 1956 მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი პირველ ქვესაშუალო წონაში. სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1959,61,62) მეორე ქვესაშუალო წონაში.

**პაიოში ალფრედ.** 1.2.1878 — 12.11 1955. *ცურვა.* პირველი უნგრელი სპორტსმენი — ოლიმპიური ჩემპიონი. 1896-ში მოიგო თავისუფალი სტილით 100 და 200 მმ ცურვა. 1924 პარიზის ოლიმპიური თამაშების ხელოვნების კონკურსში ოქროს მედალი მიიღო არქიტექტურის დარგში.

**პაიტი.** სახელმწიფო კარიბის ზღვაში, უკავია კუნძულ ჰაიტის დასავლეთი ნაწილი და პატარა კუნძულები. ტერიტორია — 27,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 7,2 მლნ. ზანგები — 90 %, მულატები, რამდენიმე ათასი თეთრკანიანი. დედაქალაქი — პორტ-ო-პრენსი (755 ათასი). ოფიციალური ენები — ფრანგული და ადგილობრივი კრეოლური. მორწმუნეთა უმრავლესობა (85 %) ფორმალურად კათოლიკებს ეკუთვნიან, მაგრამ, ფაქტობრივად, მათი ძირითადი ნაწილი აფრიკულ კულტს — „ვუდუს" ემხრობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1914 წელს, 1924 წლიდან სოკ-ის წევრია.

**ზაფხულის ოლიმპიური თამაშები**

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1924 | | - | 1 | 1 |
| 1928 | | 1 | - | 1 |
| სულ | | 1 | 1 | 2 |

**პარი არმინ.** დ. 22.3. 1937 კვირშიდში, გფრ. *მძლეოსანი.* რომის (1960) ოლიმპიადის ჩემპიონი 100 მ (10,2) რბენასა და 4X100 ესტაფეტაში (39,5 — მსოფლიო რეკორდის გამეორება). ევროპის ჩემპიონი 100 მ (10,3) რბენასა და ესტაფეტაში 4X100 მ. 1960 დაამყარა მსოფლიო რეკორდი 100 მ რბენაში — 10,0.

**პეისინკი ანტონიუს.** დ. 6.4.1934 უტრეხტში, ნიდერლანდები. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი *ძიუდოისტი.* გამოდიოდა მეტწილად მძიმე წონასა და აბსოლუტურ კატეგორიაში. 1964 ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (აბსოლუტურ კატეგორიაში). მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1961,64,65). 10-ჯერ აქვს მოგებული ევროპის პირველობა. 1966-დან გამოდიოდა პროფესიონალებში.



ე. ა. ჰეიდენი

**ჰეიდენი ერიკ არტურ.** დ. 14. 6. 1958. ოთხმოციანი წლების უძლიერესი ამერიკელი *მოციგურავე.* მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი. ოლიმპიური თამაშების ხუთგზის გამარჯვებული. 1980, ლეიკ-პლესიდი — 500 მ — I, 1000 მ — I, 1500 მ — I, 5000 მ — I, 10000 მ — I.

**ჰელსინკი.** ფინეთის დედაქალაქი, პორტი ფინეთის ყურეში. მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი (მოსახლეობა 800 ათასი). ქვეყნის მთავარი ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

დაარსდა 1550-ში. 1812-დან ფინეთის სამთავროს დედაქალაქი (რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში),1917-დან კი — დამოუკიდებელი ფინეთის. ისტორიულ ადგილს წარმოადგენს ესტონეთის ნახევარკუნძული და სვეაბორგის ციხე-სიმაგრე. 1975-ში ჰელსინკში ხელი მოაწერეს ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტს. 1952-ში გაიმართა ზაფხულის XV ოლიმპიური თამაშები.

**ჰენი სონია.** 8.4.1912 — 12.10.1969. ნორვეგიელი *ფიგურისტი.* სამი ოლიმპიადის ჩემპიონი



ა. ჰეესინკი

(1928,32,36) ინდივიდუალურ სრიალში. მსოფლიოს 10-გზის (1927-36) და ევროპის ექვსგზის (1931-36) ჩემპიონი. სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ იყო ჰოლივუდის კინომსახიობი.

**ჰიმნი ოლიმპიური.** დამტკიცებულია 1958 წელს ტოკიოში გამართულ სოკ-ის სესიაზე. პარტიტურა ინახება სოკ-ის შტაბ-ბინაში. პირველი ჰიმნი შესრულდა სპირიდონ სამარასის დირიჟორობით (ტექსტის ავტორი კოსტის პალამასი),



ს. ჰენი

1932 ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე დაუკრეს ამერიკელი ბრედლი კოლერის მელოდია. 1933 წელს, ვენის სესიაზე გამოცხადდა კონკურსი ახალი ოლიმპიური ჰიმნის შესაქმნელად. 1936 წლის 30 ივლისს ახალ ჰიმნად აღიარეს რიჩარდ შტრაუსის კომპოზიცია, მაგრამ მოგვიანებით სოკ-მა საერთოდ გააუქმა ოლიმპიური ჰიმნი. ორმოცდაათიან წლებში ყველაფერი თავიდან დაიწყო: შეიქმნა კომისია, კვლავ გამოცხადდა კონკურსი, მოისმინეს 40 ქვეყნიდან წარმოდგენილი 387 ნაწარმოები და გამარჯვებულად პოლონელი სპივაკი გამოაცხადეს. კომპოზიტორი მისი მელოდი-




ჰაიტის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ჰონგკონგის სამოყვარულო სპორტის ფედერაციისა და ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ჰონდურასის ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

ის ყოველ შესრულებაში კოლოსალურ გასამრჯელოს ითხოვდა და სოკ-ის აღმასრულებელმა საბჭომ შეწყვიტა მასთან თანამშრომლობა. საბოლოო გადაწყვეტილება 1958 წელს მიიღეს, როცა სოკ-ის სესიის გახსნისას მოისმინეს უკვე ნახსენები სპირიდონ სამარასის ზღაპრული მელოდია. დანიის პრინცის აქსელის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და სოკ-ის ოფიციალურ ჰიმნად აღიარეს ჯერ კიდევ 1896 წელს შექმნილი ნაწარმოები. ჰიმნის საბოლოო ვარიანტი 2 წუთსა და 38 წამს გრძელდება. 1983 წელს შეიქმნა ჰიმნის მოკლე — 63-წამიანი ვარიანტი.

**ჰონგკონგი.** ქვეყანა აღმოსავლეთ აზიაში. სამხრეთ ჩინეთის ზღვის სანაპიროზე. ტერიტორია — 1.071 კვ. კმ. მოსახლეობა —6,2 მლნ. ძირითადად — ჩინელები (98 %), ადმინისტრაციული ცენტრი — სიანგანი (1,5 მლნ). ოფიციალური ენები — ინგლისური და ჩინური.

1997 წელს შევიდა ჩინეთის შემადგენლობაში.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1950 წელს, 1951 წლიდან სოკ-ის წევრია.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| ნ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1996 | 1 | | | 1 |
| სულ | 1 | | | 1 |

**ჰონდურასი.** სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ტერიტორია — 112,1 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 5,7 მლნ. მეტისები— 91 %, ინდიელები — 6 %. დედაქალაქი —ტეგუსიპალპა (720 ათასი). სახელმწიფო ენა — ესპანური. რელიგია — კათოლიკური. ჰონდურასი აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა (1502). იყო ესპანეთის დაქვემდებარებაში. 1821 წელს გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა 1956 წელს, ამავე წლიდან სოკ-ის წევრია.




ოლიმპიური ჰიმნი



ოლიმპიური

# რეკორდები

# მძლეოსნობა



ჰ. გაბრესილასიე

| დისციპლინა | რეკორდი | რეკორდსმენი | ქვეყანა | წელი |
|---|---|---|---|---|
| *კაცები* | | | | |
| 100 მ | 9,84 | დონოვან ბეილი. | კანადა | 1996 |
| 200 მ | 19,32 | მაიკლ ჯონსონი | აშშ | 1996 |
| 400 მ | 43,49 | მაიკლ ჯონსონი | აშშ | 1996 |
| 800 მ | 1.42,58 | ვებჯორნ როდალი | ნორვეგია | 1996 |
| 1500 მ | 3.32,53 | სებასტიან კოე | დიდი ბრიტანეთი | 1984 |
| 5000 მ | 13.05,59 | საიდ აუიტა | მაროკო | 1984 |
| 10000 მ | 27.07,34 | ჰაილე გაბრესილასიე | ეთიოპია | 1996 |
| 20 კმ სიარული | 1:19.57 | იოზეფ პრიბილინეცი | ჩეხოსლოვაკია | 1988 |
| 50 კმ სიარული | 3:38.29 | ვიაჩესლავ ივანენკო | სსრკ | 1988 |
| მარათონი | 2:09.21 | კარლოს ლოპესი | პორტუგალია | 1984 |
| 110 მ თარჯრბენი | 12,95 | ალენ ჯონსონი | აშშ | 1996 |
| 400 მ თარჯრბენი | 46,78 | კევინ იანგი | აშშ | 1992 |
| 3000 მ ნინალობებით | 8.05,51 | იულიუს კარიუკი | კენია | 1988 |
| 4X100 მ ამანათრბენი | 37,40 | აშშ | აშშ | 1992 |
| 4X400 მ ამანათრბენი | 2.55,74 | აშშ | აშშ | 1992 |
| სიმაღლეზე ხტომა | 2,39 | ჩარლზ ოსტინი | აშშ | 1996 |
| ჭოკით ხტომა | 5,92 | ჟან გალფიონი | საფრანგეთი | 1996 |
| სიგრძეზე ხტომა | 8,90 | რობერტ ბიმონი | აშშ | 1968 |
| სამხტომი | 18,09 | კენი ჰარისონი | აშშ | 1996 |
| ბირთვის კვრა | 22,47 | ულფ ტიმერმანი | გდრ | 1988 |
| ბადროს ტყორცნა | 69,40 | ლარს რიდელი | გერმანია | 1996 |
| უროს ტყორცნა | 84,80 | სერგეი ლიტვინოვი | სსრკ | 1988 |
| შუბის ტყორცნა | 89,66 | იან ჟელეზნი | ჩეხოსლოვაკია | 1992 |
| ათჭიდი | 8847 | დეილი ტომპსონი | დიდი ბრიტანეთი | 1984 |
| *ქალები* | | | | |
| 100 მ | 10,62 | ფ. გრიფიტ-ჯოინერი | აშშ | 988 |
| 200 მ | 21,34 | ფ. გრიფიტ-ჯოინერი | აშშ | 1988 |
| 400 მ | 48,25 | მარი-ჟოზე პერეკი | საფრანგეთი | 1996 |
| 800 მ | 1.53,43 | ნადეჟდა ოლიზარენკო | სსრკ | 1980 |
| 1500 მ | 3.53,96 | პაულა ივანი | რუმინეთი | 1988 |
| 5000 მ | 14.59,88 | იუნსია ვანგი | ჩინეთი | 1996 |
| 10 კმ სიარული | 41.49 | ელენა ნიკოლაევა | რუსეთი | 1996 |
| 100 მ თარჯრბენი | 12,38 | იორდანკა დონკოვა | ბულგარეთი | 1988 |
| 400 მ თარჯრბენი | 52,82 | დეონ ჰემინგსი | იამაიკა | 1996 |
| 4X100 მ ამანათრბენი | 41,60 | გდრ | გდრ | 1980 |
| 4X400 მ ამანათრბენი | 3.15,17 | სსრკ | სსრკ | 1988 |
| სიმაღლეზე ხტომა | 2,05 | სტეფკა კოსტადინოვა | ბულგარეთი | 1996 |
| სიგრძეზე ხტომა | 7,40 | ჯეკი ჯოინერ-კერსი | აშშ | 1988 |
| სამხტომი | 15,33 | ინესა კრავეცი | უკრაინა | 1996 |
| ბირთვის კვრა | 22,41 | ილონა სლუპიანეკი | გდრ | 1980 |
| ბადროს ტყორცნა | 72,30 | მარტინა ჰელმანი | გდრ | 1988 |

ს. კოსტადინოვა



| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შუბის ტყორცნა | 74,68 | პეტრა ფელკე | *გდრ* | 1988 |
| 10000 მ | 31.01,03 | ფერნანდა რიბეირო | *პორტუგალია* | 1996 |
| შვიდჭიდი | 7291 | ჯეკი ჯოინერ-კერსი | *აშშ* | 1988 |
| მარათონი | 2.24.52 | ჯოან ბენოი | *აშშ* | 1984 |

# ცურვა

*კაცები*

| დისციპლინა | რეკორდი | რეკორდსმენი | ქვეყანა | წელი |
|---|---|---|---|---|
| 50 მ თავისუფალი | 21,91 | ალექსანდრე პოპოვი | *გ. გ.-რუსეთი* | 1992 |
| 100 მ თავისუფალი | 48,63 | მეტ ბიონდი | *აშშ* | 1988 |
| 200 მ თავისუფალი | 1.46,70 | ევგენი სადოვი | *გ. გ.-რუსეთი* | 1992 |
| 400 მ თავისუფალი | 3.45,00 | ევგენი სადოვი | *გ. გ.-რუსეთი* | 1992 |
| 1500 მ თავისუფალი | 14.43,48 | კირენ პერკინსი | *ავსტრალია* | 1992 |
| 100 მ ზურგზე | 53,86 | ჯეფ როუზი | *აშშ* | 1992 |
| 200 მ ზურგზე | 1.58,47 | მარტინ ლოპეს-სუბერო | *ესპანეთი* | 1992 |
| 100 მ ბრასი | 1.00,60 | ფრედ დებურგრავე | *ბელგია* | 1996 |
| 200 მ ბრასი | 2.10,16 | მაიკ ბაროუმენი | *აშშ* | 1992 |
| 100 მ ბატერფლაი | 52,27 | დენის პანკრატოვი | *რუსეთი* | 1996 |
| 200 მ ბატერფლაი | 1.56,26 | მელ სტიუარტი | *აშშ* | 1992 |
| 200 მ კომპლექსური | 1.59,91 | ატილა ჩენე | *უნგრეთი* | 1996 |
| 400 მ კომპლექსური | 4.14,23 | ტომაშ დარნი | *უნგრეთი* | 1992 |
| 4X100 მ თავისუფალი | 3.15,41 | აშშ | *აშშ* | 1996 |
| 4X200 მ თავისუფალი | 7.11,95 | გაერთიანებული გუნდი | *გგ* | 1992 |
| 4X100 მ კომპლექსური | 3.34,84 | აშშ | *აშშ* | 1996 |



მ. ბაროუმენი

*ქალები*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 50 მ თავისუფალი | 24,79 | ვენი იანგი | *ჩინეთი* | 1992 |
| 100 მ თავისუფალი | 54,50 | ინი ლი | *ჩინეთი* | 1996 |
| 200 მ თავისუფალი | 1.57,65 | ჰაიკე ფრიდრიხი | *გდრ* | 1988 |
| 400 მ თავისუფალი | 4.03,85 | ჯანეთ ევანსი | *აშშ* | 1988 |
| 800 მ თავისუფალი | 8.20,20 | ჯანეთ ევანსი | *აშშ* | 1988 |
| 100 მ ზურგზე | 1.00,68 | კრისტინა ეგერსეგი | *უნგრეთი* | 1992 |
| 200 მ ზურგზე | 2.07,06 | კრისტინა ეგერსეგი | *უნგრეთი* | 1992 |
| 100 მ ბრასი | 1.07,02 | პენელოპა ჰეინსი | *სამხრეთ აფრიკა* | 1996 |
| 200 მ ბრასი | 2.25,41 | პენელოპა ჰეინსი | *სამხრეთ აფრიკა* | 1996 |
| 100 მ ბატერფლაი | 58,62 | ჰონ სიანი | *ჩინეთი* | 1992 |
| 200 მ ბატერფლაი | 2.06,90 | მერი მიჰერი | *აშშ* | 1984 |
| 200 მ კომპლექსური | 2.11,65 | ლი ლინი | *ჩინეთი* | 1992 |
| 400 მ კომპლექსური | 4.36,29 | პეტრა შნაიდერი | *გდრ* | 1980 |
| 4X100 მ თავისუფალი | 3.39,29 | აშშ | *აშშ* | 1996 |
| 4X200 მ თავისუფალი | 7.59,87 | აშშ | *აშშ* | 1996 |
| 4X100 მ კომპლექსური | 4.02,54 | აშშ | *აშშ* | 1992 |

ჯ. ევანსი



## ტყვიის სროლა

| დისციპლინა | რეკორდი | რეკორდსმენი | ქვეყანა | წელი |
|---|---|---|---|---|
| *კაცები* | | | | |
| 50 მ ნებისმიერი დამბაჩა | 664.40 | ბორის კოკორევი | რუსეთი | 1996 |
| 25 მ ჩქარონსრული დამბაჩა | 698.0 | რალფ შუმანი | გერმანია | 1996 |
| 10 მ პნევმატური დამბაჩა | 684.80 | იუფუ ვანგი | ჩინეთი | 1992 |
| 50 მ ნებისმ. შაშხ. (3 მდგ.) | 1273.90 | ჟან-პიერ ამატი | საფრანგეთი | 1996 |
| 50 მ ნებისმ. შაშხ. (წოლ.) | 704.8 | კრისტიან კლეესი | გერმანია | 1996 |
| 10 მ პნევმატური შაშხანა | 695.70 | არტიომ ხაჯიბეკოვი | რუსეთი | 1996 |
| სასანგრე სტენდი | 149.00 | მაიკლ დაიმონდი | ავსტრალია | 1996 |
| ორმხრივი სასანგრე სტენდი | 189.00 | რასელ მარკი | ავსტრალია | 1996 |
| მრგვალი სტენდი | 149.00 | ენიო ფალკო | იტალია | 1996 |
| მოძრავი სამიზნე | 685.80 | ლინ იანგი | ჩინეთი | 1996 |
| *ქალები* | | | | |
| 25 მ სპორტული დამბაჩა | 687.9 | დუიონ ლი | ჩინეთი | 1996 |
| 10 მ პნევმატური დამბაჩა | 490.10 | ოლგა კლოჩნევა | რუსეთი | 1996 |
| 50 მ სტანდარ. შაშხ. (3 მდგ.) | 686.10 | ალექსანდრა ივოსევი | იუგოსლავია | 1996 |
| 10 მ პნევმატური შაშხანა | 498.20 | კაბ სუნ იუო | კორეა | 1992 |
| ორმხრივი სასანგრე სტენდი | 141.00 | კიმ როდი | აშშ | 1996 |



ო. კლოჩნევა

## ძალოსნობა

| დისციპლინა | რეკორდი | რეკორდსმენი | ქვეყანა | წელი |
|---|---|---|---|---|
| *კაცები* | | | | |
| 54 კგ | 287.5 კგ | ჰალილ მუტლუ | თურქეთი | 1996 |
| 59 კგ | 307.5 კგ | ნინგშენგ ტანგი | ჩინეთი | 1996 |
| 64 კგ | 335.0 კგ | ნაიმ სულეიმანოღლუ | თურქეთი | 1996 |
| 70 კგ | 357.5 კგ | ხუგანგ ზანი | ჩინეთი | 1996 |
| 76 კგ | 367.5 კგ | პაბლო ლარა | კუბა | 1996 |
| 83 კგ | 392.5 კგ | პიროს დიმასი | საბერძნეთი | 1996 |
| 91 კგ | 402.0 კგ | კახი კახიაშვილი | საბერძნეთი | 1996 |
| 108 კგ | 430.0 კგ | ტიმურ ტაიმაზოვი | უკრაინა | 1996 |
| +108 კგ | 457.5 კგ | ანდრეი ჩემერკინი | რუსეთი | 1996 |



პ. ლარა

## ველოსპორტი

| დისციპლინა | რეკორდი | რეკორდსმენი | ქვეყანა | წელი |
|---|---|---|---|---|
| *კაცები* | | | | |
| 1 კმ გიტი (დროზე) | 1.02,712 | ფლორიან რუსო | საფრანგეთი | 1996 |
| სპრინტი | 10,13 | გარი ნეივანდი | ავსტრალია | 1996 |
| 4000 მ გამოდევნება | 4.19,153 | ანდრეა კოლინელი | იტალია | 1996 |
| 4000 მ გუნდ. გამოდ. | 4.08,785 | რუსეთი | რუსეთი | 1996 |
| *ქალები* | | | | |
| სპრინტი | 11,212 | მიშელ ფერისი | ავსტრალია | 1996 |
| 3000 მ გამოდევნება | 3.32,371 | ანტონელა ბელუტი | იტალია | 1996 |

ა. კოლინელი





# ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

| წელი | თარიღი | ქალაქი | რიგითი ნომერი | ქვეყნების რაოდენობა | მედლების რაოდენობა | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1896 | 6.4-15.4 | ათენი | I | 14 | 43 | 245 |
| 1900 | 14.5-28.10 | პარიზი | II | 19 | 86 | 1078 |
| 1904 | 1.7-23.11 | სენტ-ლუისი | III | 13 | 89 | 689 |
| 1908 | 27.4-31.10 | ლონდონი | IV | 22 | 107 | 2035 |
| 1912 | 5.5-27.7 | სტოკჰოლმი | V | 28 | 102 | 2437 |
| 1916 | | | VI | | | |
| 1920 | 20.4-12.9 | ანტვერპენი | VII | 29 | 152 | 2607 |
| 1924 | 4.5-27.7 | პარიზი | VIII | 44 | 126 | 2972 |
| 1928 | 17.5-12.8 | ამსტერდამი | IX | 46 | 109 | 2884 |
| 1932 | 30.7-14.8 | ლოს-ანჯელესი | X | 37 | 117 | 1333 |
| 1936 | 1.8-16.8 | ბერლინი | XI | 49 | 129 | 3936 |
| 1940 | | | XII | | | |
| 1944 | | | XIII | | | |
| 1948 | 29.7-14.8 | ლონდონი | XIV | 59 | 136 | 4092 |
| 1952 | 19.7-3.8 | ჰელსინკი | XV | 69 | 149 | 5429 |
| 1956 * | 22.11-8.12 | მელბურნი | XVI | 67 | 145 | 3178 |
| 1960 | 25.8-11.9 | რომი | XVII | 83 | 150 | 5313 |
| 1964 | 10.10-24.10 | ტოკიო | XVIII | 93 | 163 | 5133 |
| 1968 | 12.10-27.10 | მეხიკო | XIX | 112 | 172 | 5498 |
| 1972 | 26.8-11.9 | მიუნხენი | XX | 121 | 195 | 7121 |
| 1976 | 17.7-1.8 | მონრეალი | XXI | 92 | 198 | 6043 |
| 1980 | 19.7-3.8 | მოსკოვი | XXII | 80 | 203 | 5283 |
| 1984 | 28.7-12.8 | ლოს-ანჯელესი | XXIII | 140 | 221 | 6802 |
| 1988 | 17.9-2.10 | სეული | XXIV | 159 | 237 | 8473 |
| 1992 | 25.7-9.8 | ბარსელონა | XXV | 169 | 257 | 9368 |
| 1996 | 19.7-4.8 | ატლანტა | XXVI | 197 | 271 | 10332 |
| 2000 | 16.9-1.10 | სიდნეი | XXVII | | | |

* XVI ოლიმპიადის ცხენოსანთა ტურნირი მოეწყო სტოკჰოლმში (1956 წლის 10-17 ივნისი). მონაწილეობდა 29 ქვეყნის 159 მხედარი

# ზამთრის ოლიმპიური თამაშები



| წელი | თარიღი | ქალაქი | რიგითი ნომერი | ქვეყნების რაოდენობა | მედლების რაოდენობა | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1924 | 25.1-5.2 | შამონი | I | 16 | 16 | 258 |
| 1928 | 11.2-19.2 | სანკტ-მორიცი | II | 25 | 14 | 464 |
| 1932 | 4.2-15.2 | ლეიკ-პლესიდი | III | 17 | 14 | 252 |
| 1936 | 6.2-16.2 | გარმიშ-პარტენკირჰენი | IV | 28 | 17 | 668 |
| 1948 | 30.1-8.2 | სანკტ-მორიცი | V | 28 | 22 | 669 |
| 1952 | 14.2-25.2 | ოსლო | VI | 30 | 22 | 694 |
| 1956 | 26.1-5.2 | კორტინა დ'ამპეცო | VII | 32 | 24 | 820 |
| 1960 | 18.2-28.2 | სკვო-ველი | VIII | 30 | 27 | 665 |
| 1964 | 29.1-9.2 | ინსბრუკი | IX | 36 | 34 | 1091 |
| 1968 | 6.2-18.2 | გრენობლი | X | 37 | 35 | 1158 |
| 1972 | 3.2-13.2 | საპორო | XI | 35 | 35 | 1006 |
| 1976 | 4.2-15.2 | ინსბრუკი | XII | 37 | 37 | 1123 |
| 1980 | 13.2-24.2 | ლეიკ-პლესიდი | XIII | 37 | 38 | 1072 |
| 1984 | 8.2-19.2 | სარაევო | XIV | 49 | 39 | 1274 |
| 1988 | 13.2-28-2 | კალგარი | XV | 57 | 46 | 1423 |
| 1992 | 8.2-23.2 | ალბერვილი | XVI | 64 | 57 | 1801 |
| 1994 | 12.2-27.2 | ლილეჰამერი | XVII | 67 | 61 | 1739 |
| 1998 | 7.2-22.2 | ნაგანო | XVIII | 68 | | |
| 2002 | 9.2-24.2 | სოლტ-ლეიკ-სიტი | XIX | | | |

# ქართული სპორტის ოლიმპიური ისტორია

ოლიმპიური თამაშები მსოფლიო სპორტის განუყოფელი ნაწილია და მისი ძლიერების უტყუარი საზომი. ამიტომ თამაშებში მონაწილეობასა და გამარჯვებას, ყველგან და ყოველთვის, საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მაშინაც, როცა თანამედროვე ოლიმპიადების ისტორიას საფუძველი ეყრებოდა და ახლაც, როცა მისი საუკუნოვანი იუბილე აღინიშნა.

ქართული სპორტის ოლიმპიური მატიანე 1950 წლის იმ სამახსოვრო დღიდან იწყება, როცა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა სამთავრობო წერილი მიიღო ჰელსინკიდან. ფინეთის დედაქალაქი იმხანად XV ოლიმპიური თამაშების სამზადისით იყო დაკავებული და ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი თხოვდა მოსკოვს დაეჩქარებინა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის შექმნა. ჰელსინკის თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების აუცილებელი მონაწილეობის იურიდიულ უფლებას მხოლოდ ასეთი ორგანიზაციის არსებობა იძლეოდა.

1951 წელს, აპრილში, შეიქმნა სსრკ-ის ოლიმპიური კომიტეტი, რომელსაც ქვეყნად მთელი ოლიმპიური საქმიანობის წარმართვა დაევალა. იმავე წლის 7 მაისს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვენის სესიამ ოფიციალურად გააწევრიანა სოკ-ის შემადგენლობაში სსრკ-ის ოლიმპიური კომიტეტი. წინადადებას მხარი დაუჭირა ფაქტობრივად სესიის ყველა მონაწილემ (ხმა მისცა 31-მა დელეგატმა და მხოლოდ სამმა შეიკავა თავი). 15-16 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა ახლადშექმნილი ოლიმპიური კომიტეტის პირველი სესია, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა და გადაწყვიტა XV ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. დეკემბერში ჰელსინკის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა მოსკოვიდან ოფიციალური განაცხადი მიიღო თამაშებში მონაწილეობის თაობაზე.

საქართველოს სპორტსმენები მონაწილეობდნენ ზაფხულის თერთმეტ ოლიმპიურ თამაშებში. ოლიმპიელთა რაოდენობა, ცალკეულ თამაშებში, ბუნებრივია, მერყეობდა, მაგრამ ათ მონაწილეზე დაბლა არასდროს ჩამოსულა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1952* | ჰელსინკი | XV | 14 |
| 1956 | მელბურნი | XVI | 10 |
| 1960 | რომი | XVII | 16 |
| 1964 | ტოკიო | XVIII | 18 |
| 1968 | მეხიკო | XIX | 14 |
| 1972 | მიუნხენი | XX | 16 |
| 1976 | მონრეალი | XXI | 11 |
| 1980 | მოსკოვი | XXII | 16 |
| 1988 | სეული | XXIV | 16 |
| 1992 | ბარსელონა | XXV | 12 |
| 1996 | ატლანტა | XXVI | 36 |

* აღმოსავლეთ ევროპისა და იდეოლოგიურად მასთან დაკავშირებულმა ქვეყნებმა 1984 წელს ყოვლად გაუმართლებელი ბოიკოტი გამოუცხადეს ლოს-ანჯელესის XXIII ოლიმპიადას და ამის გამო, იგი ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ამოვარდნილია.

წარმოგიდგენთ საქართველოს ყველა ოლიმპიელს მათ მიერ დაკავებული ადგილების მიხედვით.

## 1952

***XV ოლიმპიადა.*** ჰელსინკი (14 მონაწილე. **3 ოქროს, 4 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი**). დავით ციმაკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — I ადგილი, რაფაელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა) — I, მედეა (მზია) ჯუღელი (ტანვარჯიში)— I და II, ოთარ ქორქია (კალათბურთი )— II, ნოდარ ჯორჯიკია (კალათბურთი) — II, ლევან სანაძე (მძლეოსნობა) — II, ნადეჟდა ხნიკინა (მძლეოსნობა) — III, ნინო დუმბაძე (მძლეოსნობა) — III, ელენე გოკიელი (მძლეოსნობა) — IV ადგილი ნახევარფინალში, ავთანდილ ღოღობერიძე (ფეხბურთი) — მერვედფინალი, ავთანდილ ჭკუასელი (ფეხბურთი) — მერვედფინალი, ოთარ დადუნაშვილი (ველოსპორტი) — მეთექვსმეტედფინალი, აკაკი მეიფარიანი (ფარიკაობა) — II წრე, ვლადიმერ ლავრინენკო (ცურვა) — XXV.

## 1956

***XVI ოლიმპიადა.*** მელბურნი (10 მონაწილე. **2 ოქროს და 6 ბრინჯაოს მედალი**). გივი კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა) — I, მირიან ცალქალამანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — I, ვახტანგ ბალავაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — III, გიორგი სხირტლაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — III, რომან ძნელაძე (კლასიკური ჭიდაობა)— III, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი (მძლეოსნობა) — III, ბორის ნიკიტინი (ცურვა) — III, ნოდარ გვახარია (წყალბურთი) — III, რევაზ ცირეკიძე (ფარიკაობა) — ნახევარფინალში V ადგილი, იური ოსიპოვი (ფარიკაობა) — VIIადგილი ნახევარფინალში.

## 1960

***XVII ოლიმპიადა.*** რომი (16 მონაწილე. **2 ოქროს, 5 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი**). რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა) — I, ავთანდილ ქორიძე (კლასიკური ჭიდაობა) —I, გიორგი სხირტლაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — II, გურამ მინაშვილი (კალათბურთი) — II, ვლადიმერ უგრეხელიძე (კალათბურთი) — II, გივი ჩიქვანაია (წყალბურთი) — II, ლერი გოგოლაძე (წყალბურთი) — II, ვლადიმერ რუბაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — III, გივი

კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა) — III, გურამ კოსტავა (ფარიკაობა) — III, ალექსანდრე შჩერბინა (მძლეოსნობა) — IV, ბორის ნიკიტინი (ცურვა) — VIII, ვახტანგ ბალავაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — XI, ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა) — მეოთხედფინალში V ადგილი. რევაზ ქვაჩაკიძე (მძლეოსნობა) — ფინალში ვერ მოხვდა, იური დიაჩკოვი (მძლეოსნობა) — შეჯიბრება არ დაუმთავრებია.

## 1964

*XVIII ოლიმპიადა*, ტოკიო (18 მონაწილე. **2 ოქროს, 4 ვერცხლის, 5 ბრინჯაოს მედალი**). ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა) — I, ვაჟა კაჭარავა (ფრენბურთი) — I, რომან რურუა (კლასიკური ჭიდაობა) — II, გურამ სალარაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — II, შოთა ქველიაშვილი (ტყვიის სროლა) — II, ლევან მოსეშვილი (კალათბურთი) — II, გურამ კოსტავა (ფარიკაობა) — III, ნოდარ ხოხაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — III, დავით გვანცელაძე (კლასიკური ჭიდაობა) — III,ანზორ კიკნაძე (ძიუდო) — III, ფარნაოზ ჩიკვილაძე (ძიუდო) — III, ალექსანდრე ტუტაკაევი (ცურვა) — IV, რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა) — V, როსტომ აბაშიძე (კლასიკური ჭიდაობა) — V, ბორის პოლულიახი (წყალში ხტომა) — VI, ზარბეგ ბერიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — VI, შოთა ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — IX, ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი) — მეოთხედფინალი.

## 1968

*XIX ოლიმპიადა*, მეხიკო (14 მონაწილე. **2 ოქროს, 2 ვერცხლის, 2 ბრინჯაოს მედალი**). რომან რურუა (კლასიკური ჭიდაობა) — I, ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა) — I, დიტო შანიძე (ძალოსნობა) — II, შოთა ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — II, ზურაბ საკანდელიძე (კალათბურთი) — III,სერგეი კოვალენკო (კალათბურთი) — III, შოთა ქველიაშვილი (ტყვიის სროლა) — IV, ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი) — IV, თინათინ ლეკვეიშვილი (ცურვა) — IV, ზარბეგ ბერიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — V, ბორის პოლულიახი (წყალში ხტომა) — XX, ლუდმილა იევლევა (მძლეოსნობა) — გარბენში IV ადგილი, გურამ გუდაშვილი (მძლეოსნობა) — ფინალში ვერ მოხვდა, იგორ დელა-როსა (მძლეოსნობა) — შეჯიბრება ვერ დაამთავრა.

## 1972

*XX ოლიმპიადა*, მიუნხენი (16 მონაწილე. **6 ოქროს, 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი**). ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა) — I, ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — I, შოთა ჩოჩიშვილი (ძიუდო) — I, ზურაბ საკანდელიძე (კალათბურთი) — I, მიხეილ ქორქია (კალათბურთი) — I, ვიქტორ კრატასიუკი (საბაიდარო ნიჩბოსნობა) — I, დიტო შანიძე (ძალოსნობა) — II, ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი) — III, გივი ონაშვილი (ძიუდო) — III, მურთაზ ხურცილავა (ფეხბურთი) — III, რევაზ ძოძუაშვილი (ფეხბურთი) — III, ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა) — IV, თინათინ ლეკვეიშვილი (ცურვა) — IV, ჯემალ მეგრელიშვილი (კლასიკური ჭიდაობა) — V, გურამ გოგოლაური (ძიუდო) — V, გიორგი ნასყიდაშვილი (სანიჩბოსნო სლალომი) — XXXI.

## 1976

*XXI ოლიმპიადა*, მონრეალი (11 მონაწილე. **3 ოქროს, 1 ვერცხლის, 2 ბრინჯაოს მედალი**). ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — I, ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა) — I, ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი) — I, რამაზ ხარშილაძე (ძიუდო) — II, შოთა ჩოჩიშვილი (ძიუდო) — III, მიხეილ ქორქია (კალათბურთი) — III, იგორ ომელჩენკო (ცურვა) — V, ვლადიმერ ისელიძე (წყალბურთი) — VIII, იგორ კუშპელიოვი (ცურვა) — X, მარლენ პაპავა (ტყვიის სროლა) — XXVI, ოლეგ ზურაბიანი (ძიუდო) — I წრე.

## 1980

*XXII ოლიმპიადა*, მოსკოვი (16 მონაწილე. **3 ოქროს, 4 ვერცხლის, 5 ბრინჯაოს მედალი**). ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა) — I, ვახტანგ ბლაგიძე (კლასიკური ჭიდაობა) — I, შოთა ხაბარელი (ძიუდო) — I, ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა) — II, საიდა გუნბა (მძლეოსნობა) — II, თეიმურაზ ხუბულური (ძიუდო) — II, ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი) — II, ლიანა ცოტაძე (წყალში ხტომა) — III, ნიკოლოზ დერიუგინი (კალათბურთი) — III, ალექსანდრე ჩივაძე (ფეხბურთი) — III, თენგიზ სულაქველიძე (ფეხბურთი) — III, რევაზ ჩელებაძე (ფეხბურთი)— III, თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა) — IX, დავით კვაჭაძე (კრივი)— II წრე, თამაზ ნამგალაური (ძიუდო) — II წრე, ირინა გერასიმოვა (ცურვა)— დისკვალიფიკაცია.

## 1988

*XXIV ოლიმპიადა*, სეული (16 მონაწილე. **5 ოქროს, 2 ვერცხლის, 5 ბრინჯაოს მედალი**). ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) — I და II, დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — I, ვლადიმერ აფციაური (ფარიკაობა) — I, ვლადიმერ გოგოლაძე (ტანვარჯიში) — I, გელა კეტაშვილი (ფეხბურთი) — I, ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა) — II, ამირან ტოტიკაშვილი (ძიუდო)— III, გიორგი თენაძე (ძიუდო) — III, ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი) — III, მიხეილ გიორგაძე (წყალბურთი) — III, მაია აზარაშვილი (მძლეოსნობა) — III, გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა) — IV, ქრისტინა ფალასანიდი (სინქრონული ცურვა) — VII, გურამ გედეხაური (კლასიკური ჭიდაობა) — VII, ლეილა მესხი (ჩოგბურთი) — II წრე, თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა)— ფინალში არ გასულა.

## 1992

*XXV ოლიმპიადა* ბარსელონა (12 მონაწილე. **3 ოქროს და 5 ბრინჯაოს მედალი**). დავით ხახალეიშვილი (ძიუდო) — I, კახი კახიაშვილი (ძალოსნობა) — I, ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა)— I, გიორგი კოღუაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — III, დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — III, ლეილა მესხი (ჩოგბურთი) — III, რამაზ ფალიანი (კრივი) — III, ხათუნა ქერივიშვილი (მშვილდოსნობა) — III, ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) — V და X, გურამ ბიგანიშვილი (აფროსნობა) — XIII, გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა)— XVI, ოლეგ სტრიჟაკოვი (მძლეოსნობა) — ფინალში ვერ გავიდა.

# 1996

*XXVI ოლიმპიადა*, ატლანტა (36 მონაწილე. 2 ბრინჯაოს მედალი). სოსო ლიპარტელიანი (ძიუდო) — III, ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — III, კობა გულიაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — IV, ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) — V და VII, გელა პაპაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — VI, გიორგი ვაზაგაშვილი (ძიუდო) — VII, გიორგი რევაზიშვილი (ძიუდო) — VII, თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა) — IX, ბიძინა მიქიაშვილი (ძალოსნობა) — IX, ვლადიმერ დგებუაძე (ძიუდო) — X, ავთანდილ გოგოლიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — X, ზაზა თურმანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — X, ზაზა ტყეშელაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — XIII, ბაკურ გოგიტიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — XIV, გურამ ბიგანიშვილი (აფროსნობა) — XVI, ვლადიმერ გრუზდევი (აფროსნობა) — XVI, მევლუდ ლობჟანიძე (ძიუდო) — XVI, კობა გოგოლაძე (კრივი) — მესამე წრე, გიორგი კანდელაკი (კრივი) — მესამე წრე, ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი) —XX, ტარიელ მელელაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — XX, აკაკი კაკაურიძე (კრივი) — მეორე წრე, ბესიკ ვარძელაშვილი (კრივი) — პირველი წრე, თენგიზ მესხაძე (კრივი) — პირველი წრე, ეკა აბრამია (მხატვრული ტანვარჯიში) — XXV, ილია გიორგაძე (სპორტული ტანვარჯიში) — XXV, მაია აზარაშვილი (მძლეოსნობა) — საკვალიფიკაციო გარბენი, ნანა ყაზარაშვილი (წყალში ხტომა) — XXVIII, ნინო უჩაძე (ტყვიის სროლა) — XXVII და XXXVI, არჩილ ლორთქიფანიძე (ფარიკაობა) — პირველი წრე, გიორგი წმინდაშვილი (ძიუდო) — XXXII, გოჩა გახარია (წყალში ხტომა) — XXXIV, ელვირა ურუსოვა (მძლეოსნობა) — საკვალიფიკაციო შეჯიბრება, ხათუნა ქერივიშვილი (მშვილდოსნობა) — ოცდამეთორმეტედფინალი, მუხრან გოგია (ძალოსნობა) — ტრავმის გამო ვერ იასპარეზა, დავით ხახალეიშვილი (ძიუდო) — ანონვაზე დააგვიანა და შეჯიბრებიდან მოიხსნა.

**საქართველოს სპორტსმენებს სულ მოპოვებული აქვთ 31 ოქროს, 23 ვერცხლისა და 41 ბრინჯაოს** მედალი, რაც თავისთავად მაღალი მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში სულ მონაწილეობდა საქართველოს 140 სპორტსმენი (ზოგიერთი მათგანი, ბუნებრივია, რამდენჯერმე გამოდიოდა თამაშებში).

გთავაზობთ ოლიმპიადების პრიზიორთა სრულ სიას:

| | | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|---|
| 1. | ე. სანეევი | 3 | 1 | - |
| 2. | ლ. თედიაშვილი | 2 | - | - |
| 3. | მ. ჯუღელი | 1 | 1 | - |
| 4. | რ. რურუა | 1 | 1 | - |
| 5. | ნ. სალუქვაძე | 1 | 1 | - |
| 6. | ა. ანპილოგოვი | 1 | 1 | - |
| 7. | ლ. ხაბელოვი | 1 | 1 | - |
| 8. | გ. კარტოზია | 1 | - | 1 |
| 9. | შ. ჩოჩიშვილი | 1 | - | 1 |
| 10. | ზ. საკანდელიძე | 1 | - | 1 |
| 11. | მ. ქორქია | 1 | - | 1 |
| 12. | დ. გობეჯიშვილი | 1 | - | 1 |
| 13. | დ. ციმაკურიძე | 1 | - | - |
| 14. | რ. ჩიმიშკიანი | 1 | - | - |
| 15. | მ. ცალქალამანიძე | 1 | - | - |
| 16. | რ. შაველაყაძე | 1 | - | - |
| 17. | ა. ქორიძე | 1 | - | - |
| 18. | ნ. ასათიანი | 1 | - | - |
| 19. | ვ. კაჭარავა | 1 | - | - |
| 20. | ვ. კრატასიუკი | 1 | - | - |
| 21. | ვ. ბლაგიძე | 1 | - | - |
| 22. | შ. ხაბარელი | 1 | - | - |
| 23. | ქ. ლოსაბერიძე | 1 | - | - |
| 24. | ვ. აფციაური | 1 | - | - |
| 25. | ვ. გოგოლაძე | 1 | - | - |
| 26. | გ. კეტაშვილი | 1 | - | - |
| 27. | დ. ხახალეიშვილი | 1 | - | - |
| 28. | კ. კახიაშვილი | 1 | - | - |
| 29. | დ. შანიძე | - | 2 | - |
| 30. | გ. სხირტლაძე | - | 1 | 1 |
| 31. | ო. ქორქია | - | 1 | - |
| 32. | ნ. ჯორჯიკია | - | 1 | - |
| 33. | ლ. სანაძე | - | 1 | - |
| 34. | გ. მინაშვილი | - | 1 | - |
| 35. | ვ. უგრეხელიძე | - | 1 | - |
| 36. | გ. ჩიქვანაია | - | 1 | - |
| 37. | ლ. გოგოლაძე | - | 1 | - |
| 38. | გ. სალარაძე | - | 1 | - |
| 39. | შ. ქველიაშვილი | - | 1 | - |
| 40. | ლ. მოსეშვილი | - | 1 | - |
| 41. | შ. ლომიძე | - | 1 | - |
| 42. | რ. ხარშილაძე | - | 1 | - |
| 43. | ს. გუნბა | - | 1 | - |
| 44. | თ. ხუბულური | - | 1 | - |
| 45. | ნ. დვალიშვილი | - | - | 2 |
| 46. | გ. კოსტავა | - | - | 2 |
| 47. | ვ. ბალავაძე | - | - | 1 |
| 48. | ნ. დუმბაძე | - | - | 1 |
| 49. | რ. ძნელაძე | - | - | 1 |
| 50. | ბ. ნიკიტინი | - | - | 1 |
| 51. | ნ. გვახარია | - | - | 1 |
| 52. | ვ. რუბაშვილი | - | - | 1 |
| 53. | ნ. ხოხაშვილი | - | - | 1 |
| 54. | დ. გვანცელაძე | - | - | 1 |
| 55. | ა. კიკნაძე | - | - | 1 |
| 56. | ფ. ჩიკვილაძე | - | - | 1 |
| 57. | ს. კოვალენკო | - | - | 1 |
| 58. | ო. ფხაკაძე | - | - | 1 |
| 59. | გ. ონაშვილი | - | - | 1 |
| 60. | მ. ხურცილავა | - | - | 1 |
| 61. | რ. ძოძუაშვილი | - | - | 1 |
| 62. | ლ. ცოტაძე | - | - | 1 |
| 63. | ნ. დერიუგინი | - | - | 1 |
| 64. | ა. ჩივაძე | - | - | 1 |
| 65. | თ. სულაქველიძე | - | - | 1 |
| 66. | რ. ჩელებაძე | - | - | 1 |
| 67. | ა. ტოტიკაშვილი | - | - | 1 |
| 68. | გ. თენაძე | - | - | 1 |
| 69. | ვ. იაგორაშვილი | - | - | 1 |
| 70. | მ. გიორგაძე | - | - | 1 |
| 71. | მ. აზარაშვილი | - | - | 1 |
| 72. | ლ. მესხი | - | - | 1 |
| 73. | რ. ფალიანი | - | - | 1 |
| 74. | გ. კოღუაშვილი | - | - | 1 |
| 75. | ხ. ქერივიშვილი | - | - | 1 |
| 76. | ს. ლიპარტელიანი | - | - | 1 |
| 77. | ე. კურტანიძე | - | - | 1 |

უფრო კომპაქტურად საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიური მედლები ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია აღნუსხული.

| წ. | ო. | ვ. | ბ. | ჯ. |
|---|---|---|---|---|
| 1952 | 3 | 4 | 2 | 9 |
| 1956 | 2 | - | 6 | 8 |
| 1960 | 2 | 5 | 3 | 10 |
| 1964 | 2 | 4 | 5 | 11 |
| 1968 | 2 | 2 | 2 | 6 |
| 1972 | 6 | 1 | 4 | 11 |
| 1976 | 3 | 1 | 2 | 6 |
| 1980 | 3 | 4 | 5 | 12 |
| 1988 | 5 | 2 | 5 | 12 |
| 1992 | 3 | - | 5 | 8 |
| 1996 | - | - | 2 | 2 |
| სულ | 31 | 23 | 41 | 95 |

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო ოლიმპიადებში 140 სპორტსმენითაა წარმოდგენილი (აქ არ იგულისხმებიან ზამთრის სპორტის წარმომადგენლები). ისიც ითქვა, რომ ზოგიერთმა რამდენიმე ოლიმპიადაში იასპარეზა:

| | |
|---|---|
| ვიქტორ სანეევი | 4 |
| ომარ ფხაკაძე | 3 |
| ნინო სალუქვაძე | 3 |
| თამაზ იმნაიშვილი | 3 |
| ალექსანდრე ანპილოგოვი | 2 |
| ნუგზარ ასათიანი | 2 |
| ვახტანგ ბალავაძე | 2 |
| ზარბეგ ბერიაშვილი | 2 |
| ნადეჟდა დვალიშვილი | 2 |
| ლევან თედიაშვილი | 2 |
| გივი კარტოზია | 2 |
| გურამ კოსტავა | 2 |
| თინათინ ლეკვეიშვილი | 2 |
| შოთა ლომიძე | 2 |
| ქეთევან ლოსაბერიძე | 2 |
| ბორის ნიკიტინი | 2 |
| ბორის პოლულიახი | 2 |
| რომან რურუა | 2 |
| ზურაბ საკანდელიძე | 2 |
| გიორგი სხირტლაძე | 2 |
| შოთა ქველიაშვილი | 2 |
| მიხეილ ქორქია | 2 |
| რობერტ შავლაყაძე | 2 |
| დიტო შანიძე | 2 |
| შოთა ჩოჩიშვილი | 2 |
| დავით გობეჯიშვილი | 2 |
| ლერი ხაბელოვი | 2 |
| ლეილა მესხი | 2 |
| დავით ხახალეიშვილი | 2 |
| გურამ ბიგანიშვილი | 2 |
| ხათუნა ქვრივიშვილი | 2 |
| მაია აზარაშვილი | 2 |
| ვახტანგ იაგორაშვილი | 2 |

დანარჩენები თითო ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ. ხაბელოვმა თავის მესამე ოლიმპიადაში (1996, ატლანტა) რუსეთის სახელით იჭიდავა.

ქართული სპორტი ოლიმპიადებში 26 სახეობით არის წარმოდგენილი. ყველაზე მეტი ოლიმპიელი ჰყავთ ჩვენში პოპულარულ საჭიდაო დისციპლინებს, მძლეოსნებს.

| | |
|---|---|
| თავისუფალი ჭიდაობა | 23 |
| მძლეოსნობა | 22 |
| ძიუდო | 21 |
| ბერძნულ-რომაული ჭიდაობა | 16 |
| კალათბურთი | 11 |
| ცურვა | 9 |
| ფარიკაობა | 9 |
| ფეხბურთი | 8 |
| კრივი | 7 |
| ტყვიის სროლა | 7 |
| წყალში ხტომა | 7 |
| ძალოსნობა | 6 |
| წყალბურთი | 5 |
| ველოსპორტი | 4 |
| მშვილდოსნობა | 4 |
| აფროსნობა | 3 |
| ტანვარჯიში | 3 |
| სასტენდო სროლა | 3 |
| ხელბურთი | 2 |
| ჩოგბურთი | 2 |
| თანამედროვე ხუთჭიდი | 2 |
| ფრენბურთი | 1 |
| საბაიდარო ნიჩბოსნობა | 1 |
| წყლის სლალომი | 1 |
| სინქრონული ცურვა | 1 |
| მხატვრული ტანვარჯიში | 1 |

*მედლები ცალკეულ სახეობებში:*

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| თავისუფალი ჭიდაობა | 6 | 4 | 6 |
| მძლეოსნობა | 4 | 3 | 4 |
| ბერძ.-რომ. ჭიდაობა | 4 | 1 | 4 |
| ძიუდო | 3 | 2 | 7 |
| კალათბურთი | 2 | 5 | 4 |
| ძალოსნობა | 2 | 2 | - |
| ფარიკაობა | 2 | - | 2 |
| ტანვარჯიში | 2 | 1 | - |
| ტყვიის სროლა | 1 | 2 | - |
| ხელბურთი | 1 | 1 | - |
| ფეხბურთი | 1 | - | 5 |
| მშვილდოსნობა | 1 | - | 1 |
| ფრენბურთი | 1 | - | - |
| ნიჩბოსნობა | 1 | - | - |
| წყალბურთი | - | 2 | 2 |
| ცურვა | - | - | 1 |
| ველოსპორტი | - | - | 1 |
| წყალში ხტომა | - | - | 1 |
| თანამედროვე ხუთჭიდი | - | - | 1 |
| კრივი | - | - | 1 |
| ჩოგბურთი | - | - | 1 |
| სულ | 31 | 23 | 41 |

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ექვსმა სპორტსმენმა იასპარეზა: **კობა წაქაძე** (ტრამპლინიდან ხტომა) — 1956, VII ოლიმპიადა — 30-ე ადგილი; 1960, VIII — მე-9 ადგილი; 1964, IX (90 მ ტრამპლინი) — 27-ე ადგილი; 1972, XI — მე-9 ადგილი (70 მ ტრამპლინი), 35-ე ადგილი (90 მ ტრამპლინი). **ზურაბ ჯიჯიშვილი**, 1994, XVII — 47-ე ადგილი (სწრაფდაშვება). **კახა ვახტანგიშვილი**, 1994, XVII — მე-17 ადგილი (ორადგილიანი ციგა). **ლევან თიბილოვი**, 1994, XVII — მე-17 ადგილი (ორადგილიანი ციგა). **კახა წაქაძე**, 1994, XVII — 50-ე ადგილი (90 მ ტრამპლინი), 55-ე ადგილი (120 მ ტრამპლინი). **ლევან აბრამიშვილი**, 1994, XVII — გამოეთიშა ასპარეზობას (სლალომი).

# საჭადრაკო ოლიმპიადა

ჭადრაკი თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად და უკანასკნელად 1924 წელს გამოჩნდა (პარიზი, VIII ოლიმპიადა). საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საასპარეზოდ მხოლოდ მოყვარული მოჭადრაკეები მიიწვია. ოლიმპიადის მიღმა დარჩნენ ა. ალიოხინი, ა. ნიმცოვიჩი, ზ. ტარაში, მ. ვიდმარი და სხვა ცნობილი დიდოსტატები. ჭადრაკის მესვეურებმა უარი განაცხადეს მომდევნო ოლიმპიადებში მონაწილეობაზე, იქვე პარიზში, ოლიმპიური საჭადრაკო ტურნირის დამთავრებისთანავე (1924 წლის 2 ივლისი) დააფუძნეს საერთაშორისო ორგანიზაცია (ფიდე) და უმთავრეს მიზნად დაისახეს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების („ერთა ტურნირი") გამართვა.

პირველი ასეთი შეჯიბრება ვაჟ მოჭადრაკეთა მონაწილეობით 1927 წელს ლონდონში გაიმართა, ბოლო XXXII ოლიმპიადას კი 1996 წელს ერევანმა უმასპინძლა. საჭადრაკო ოლიმპიადა ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა. ვაჟთა თითოეულ გუნდში ოთხი ძირითადი და ორი სათადარიგო მოთამაშეა. გამარჯვებული ნაკრები ჯილდოვდება ინგლისელი საჭადრაკო მოღვაწის ფედერიკ ჰამელტონ-რასელის სახელობის გარდამავალი თასით, გუნდის წევრები – ოქროს მედლებით.

ქალთა I ოლიმპიადა 1957 წელს ემენში (გერმანია) მოეწყო, ბოლო, XVII ოლიმპიადა კი – ერევანში (1996). თავიდან ოლიმპიელები სამ წელიწადში ერთხელ ხვდებოდნენ ერთმანეთს, 1972 წლიდან კი ოლიმპიადა ყოველ მეორე წელს იმართება. I ოლიმპიადის მონაწილე თითოეულ გუნდში ორი მოჭადრაკე იყო, II-VII ოლიმპიადებში ორ ძირითად მონაწილეს ერთი სათადარიგო დაემატა, ხოლო VIII ოლიმპიადიდან თითოეულ გუნდში უკვე სამი ძირითადი და ერთი სათადარიგოა. ოლიმპიურ ჩემპიონს აჯილდოებენ ლეგენდარული ვერა მენჩიკის სახელობის გარდამავალი თასით, გუნდის წევრებს ოქროს მედლებით, ცალკეულ დაფებზე გამარჯვებულთ კი მცირე ოქროს მედლებით.

*ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის 68-ე კონგრესის გადაწყვეტილებით (1997 წლის 8 სექტემბერი) დაწესდა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი. ეს ჯილდო გადაეცემა ქვეყანას, რომელიც ვაჟთა და ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადების ჯამში ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს.*

XX ოლიმპიადიდან მოყოლებული (1972 წ. სკოპლე) ქალთა და ვაჟთა ოლიმპიადები ერთდროულად, ერთ ჭერქვეშ მიმდინარეობს. IX ოლიმპიადიდან (1980 წ. ლა-ვალეტა) ყველა შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 14 ტურად ტარდება.

ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებში მონაწილეობა მიუღიათ: ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძეს, ნანა ალექსანდრიას, ნანა იოსელიანს, ქეთევან არახამიას და ნინო გურიელს. აგრეთვე დიდოსტატ ქეთევან კახიანი-გერშინსკას (გერმანიის ნაკრების პირველი დაფა) და პენრიეტა ლაგვილავას (ბელორუსიის ნაკრების მეორე დაფა).

ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებში საქართველოს მოჭადრაკეების შედეგები (გვარები დასახელებულია გუნდში დაფების რიგის მიხედვით, პირობითი ნიშნები: + მოგება, - წაგება, = ყაიმი):

**I ოლიმპიადა.** 2-21.IX.1957. ემენი (გერმანია). მონაწილეობდა 21 გუნდი. I. სსრ კავშირი: ფინალში 10,5 ქულა 16-დან. ოლგა რუბცოვა 9,5 ქულა, კირა ზვორიკინა 12 (თითოეული 14-დან). მცირე მედალი მიიღო ზვორიკინამ.

**II ოლიმპიადა.** 21.IX.-10.X.1963. სპლიტი (იუგოსლავია). 15 გუნდი. I. სსრ კავშირი 25 (28-დან): გაფრინდაშვილი 11,5 (+11-0=1 ), ზვორიკინა 5,5 (6-დან), სათადარიგო ტატიანა ზატულოვსკაია 8 (10-დან). თავიანთ დაფებზე პირველი იყვნენ გაფრინდაშვილი და ზვორიკინა.

**III ოლიმპიადა.** 3-15.X.1966. ობერჰაუზენი (გერმანია). 14 გუნდი. I. სსრ კავშირი 22 (26-დან): გაფრინდაშვილი 9,5 (+9-1=1 ), ზატულოვსკაია 8,5 (9-დან), ვალენტინა კოზლოვსკაია 4,5 (6-დან). მცირე ოქროს მედალი გადაეცათ გაფრინდაშვილსა და ზატულოვსკაიას.

**IV ოლიმპიადა.** 7-23.IX.1969. ლიუბლინი (პოლონეთი). 15 გუნდი. I. სსრ კავშირი 25 (28-დან): გაფრინდაშვილი 9,5 (+9-0=1 ), ალა კუშნირი 8,5 (9-დან), ნანა ალექსანდრია 8 (+8-1=0 ). მცირე ოქროს მედალი სამივეს გადაეცა.

**V ოლიმპიადა.** 18.IX.-13.X.1972. სკოპლე (მაკედონია). 23 გუნდი. I. სსრ კავშირი: ფინალში 11,5 (14-დან). გაფრინდაშვილი 6,5 (+5-0=3 ), კუშნირი 7 (8-დან), ირინა ლევიტინა 5,5 (6-დან). თავიანთ დაფებზე პირველი იყვნენ გაფრინდაშვილი და კუშნირი.

**VI ოლიმპიადა.** 16.IX.-7.X.1974. მედელინი (კოლუმბია). 25 გუნდი. I. სსრ კავშირი. ფინალში 13,5 (18-დან). გაფრინდაშვილი 10 (+8-0=4 ), ალექსანდრია 6,5 (+6-1=1 ), ლევიტინა 8,5 (10-დან). მცირე ოქროს მედლები მიიღეს გაფრინდაშვილმა და ლევიტინამ.

**VII ოლიმპიადა.** 24.X.-11.XI.1976. ხაიფა (ისრაელი). 23 გუნდი. სსრ კავშირი არ მონაწილეობდა. I. ისრაელი.

**VIII ოლიმპიადა.** 25.X.-12.XI.1978. ბუენოს-აირესი (არგენტინა). 32 გუნდი. I. სსრ კავშირი: ფინალში 16 (21-დან). ჩიბურდანიძე 9 (+7-0=4 ), გაფრინდაშვილი 9,5 (+8-0=3 ), ალექსანდრია 8 (+7-1=2 ), ელენა ახმილოვსკაია 10 (10-დან). ყველამ გაიმარჯვა თავის დაფაზე.

**IX ოლიმპიადა.** 10.XI.-8.XII.1980. ლა-ვალეტა (მალტა). 42 გუნდი. I. სსრ კავშირი 32,5 (42-დან).

ჩიბურდანიძე 11,5 (+10-0=3 ), გაფრინდაშვილი 9,5 (+8-1=3 ), ალექსანდრია 4 (+3-3=2 ), იოსელიანი 7,5 (+6-0=3 ). მცირე ოქროს მედლები მიიღეს ჩიბურდანიძემ, გაფრინდაშვილმა და იოსელიანმა.

X ოლიმპიადა. 30.X.-16.XI.1982. ლუცერნი (შვეიცარია). 45 გუნდი. I. სსრ კავშირი 33 (42-დან). ჩიბურდანიძე 9 (+6-0=6 ), ალექსანდრია 7,5 (+6-0=3 ), გაფრინდაშვილი 11,5 (+10-0=3 ), იოსელიანი 5 (+4-2=2 ). თავის დაფაზე პირველი იყო ალექსანდრია.

XI ოლიმპიადა. 19.XI.-5.XII.1984. სალონიკი (საბერძნეთი). 51 გუნდი. I. სსრ კავშირი 32 (42-დან). ჩიბურდანიძე 7,5 (+4-0=7 ), ლევიტინა 6,5 (11-დან), გაფრინდაშვილი 8,5 (+7-0=3 ), ლიდია სემიონოვა 9,5 (10-დან).

XII ოლიმპიადა. 15.XI.-1.XII.1986. დუბაი (არაბთა გაერთიანებული ემირატები). 49 გუნდი. I. სსრ კავშირი 33,5 (42-დან). ჩიბურდანიძე 8 (+6-0=4 ), ახმილოვსკაია (იგი ამ დროს საქართველოს მოჭადრაკე იყო) 8,5 (12-დან), გაფრინდაშვილი 10 (+10-0=10 ), ალექსანდრია 7 (+5-1=4 ). მცირე ოქროს მედალი მოიპოვა გაფრინდაშვილმა.

XIII ოლიმპიადა 3-29.XI.1988. სალონიკი (საბერძნეთი). 56 გუნდი. I. უნგრეთი 33 (42-დან), II. სსრ კავშირი 32,5. ჩიბურდანიძე 7 (+4-0=6 ), ახმილოვსკაია 8,5 (9-დან), ლევიტინა 7,5 (11-დან), მარტა ლიტინსკაია 9,5 (12-დან).

XIV ოლიმპიადა. 16.XI.-4.XII.1990. ნოვი-სადი (იუგოსლავია). 66 გუნდი. I. უნგრეთი 35 (42-დან), II. სსრ კავშირი 35 (უნგრელებს კოეფიციენტთა ცხრილით უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდათ). ჩიბურდანიძე 6 (+4-1=4 ), გაფრინდაშვილი 7,5 (+7-2=1 ), ალისა გალიამოვა 9,5 (11-დან), ქეთევან არახამია 12 (+12-0=0 ). მცირე ოქროს მედალი მიიღო არახამიამ. მისი შედეგი ყველაზე საუკეთესოა ოლიმპიადების ისტორიაში.

XV ოლიმპიადა. 8-25.VI.1992. მანილა (ფილიპინები). 62 გუნდი. I. საქართველო 30,5 (42-დან). ჩიბურდანიძე 11,5 (+10-0=3 ), გაფრინდაშვილი 4 (+3-4=2 ), იოსელიანი 10 (+9-1=2 ), გურიელი 5 (+5-3=0 ). მცირე ოქროს მედლები გადაეცათ ჩიბურდანიძესა და იოსელიანს.

XVI ოლიმპიადა. 1-15.XII.1994. მოსკოვი. 80 გუნდი. I. საქართველო 32 (42-დან): ჩიბურდანიძე 8,5 (+7-1=3 ), იოსელიანი 8,5 (+6-0=5 ), არახამია 8,5 (+5-0=7 ), გურიელი 7 (+5-0=4 ).

XVII ოლიმპიადა. 16.IX.-1.X.1996. ერევანი. 74 გუნდი. I. საქართველო 30 (42-დან). ჩიბურდანიძე 8,5 (+5-0=7 ), იოსელიანი 10 (+7-0=6 ), არახამია 8 (+6-0=4 ), გურიელი 3,5 (+2-2=3 ). მცირე ოქროს მედლები დაიმსახურეს იოსელიანმა და არახამიამ.

**საქართველოს ვაჟთა ნაკრები** ბოლო სამ ოლიმპიადაში მონაწილეობდა.

XXX ოლიმპიადა. 8-25.VI.1992. მანილა (ფილიპინები). 102 გუნდი. VIII. საქართველო 33 (56-დან): ზურაბ აზმაიფარაშვილი 8,5 (+6-2=5 ), ელიზბარ უბილავა 3 (+1-3=4 ), ზურაბ სტურუა 7 (+2-0=10 ), გიორგი გიორგაძე 8 (+6-2=6 ), გენადი ზაიჩიკი 4,5 (+4-1=1 ), ლაშა ჯანჯღავა 2 (+0-0=4 ).

XXXI ოლიმპიადა. 1-15.XII.1994. მოსკოვი. 124 გუნდი. VIII-X. საქართველო 33,5 (56-დან). აზმაიფარაშვილი 8 (+6-2=4 ), ჯანჯღავა 1 (+0-3=2 ), სტურუა 6,5 (+3-2=7 ), გიორგი გიორგაძე 7,5 (+5-2=5 ), ზაიჩიკი 7,5 (+6-1=3 ), ხვიჩა სუპატაშვილი 3 (+1-0=4 ).

XXXII ოლიმპიადა. 16.IX.-1.X.1996. ერევანი. 114 გუნდი. VIII. საქართველო 33 (56-დან). აზმაიფარაშვილი 7,5 (+5-2=5 ), გიორგი გიორგაძე 8,5 (+6-1=5 ), სტურუა 6,5 (+4-2=5 ), ზაიჩიკი 5 (+2-2=6 ), ჯანჯღავა 1 (+1-2=0 ), სუპატაშვილი 4,5 (+3-2=3 ).

*მსოფლიოს ვაჟთა XXXI საჭადრაკო ოლიმპიადაზე პირველად იყო წარმოდგენილი მსაჯი საქართველოდან – საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი თენგიზ გიორგაძე. იგი XXXII საჭადრაკო ოლიმპიადაზეც მსაჯობდა.*

## ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



ნონა გაფრინდაშვილი. (იხ. გვ. 37)



მაია ჩიბურდანიძე. დ. 17.I.1961 ქუთაისში. საერთაშორისო დიდოსტატი (ქალთა შორის 1977 წ. ვაჟთა შორის 1984 წ.). დაამთავრა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1978, 1981, 1984, 1986, 1988), სსრ კავშირის ჩემპიონი (1977). ოთხჯერ დაჯილდოვდა ჭადრაკის „ოსკარით" (1984, 1985, 1986, 1987). მონაწილეობდა მსოფლიოს ქალთა 10 საჭადრაკო ოლიმპიადაში (ჯამური შედეგი: +63-2=47 ), მოიპოვა 8 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი.
ღირსების ორდენის კავალერი.



ნანა ალექსანდრია. დ. 13.10.1949 ფოთში. საერთაშორისო დიდოსტატი (1976). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქალთა მსოფლიო პირველობის ორგზის (1975, 1981) ფინალისტი, სსრ კავშირის სამგზის (1966, 1968, 1969) ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი (1970). მონაწილეობდა ქალთა 6 საჭადრაკო ოლიმპიადაში (ჯამური შედეგი: +35-6=12 ), მიიღო 6 ოქროს მედალი.
ღირსების ორდენის კავალერი.



ნანა იოსელიანი. დ. 12.2.1962 თბილისში. საერთაშორისო დიდოსტატი (1979) და ვაჟთა საერთაშორისო ოსტატი (1997). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სსრ კავშირის ოთხგზის (1981, 1982, 1986, 1987) ჩემპიონი, მონაწილეობდა 5 საჭადრაკო ოლიმპიადაში (ჯამური შედეგი: +32-3=18 ), მიიღო 5 ოქროს მედალი.
ღირსების ორდენის კავალერი.

ქეთევან არახამია. დ. 19.7.1968 ოჩამჩირეში. საერთაშორისო დიდოსტატი (1987) და ვაჟთა საერთაშორისო ოსტატი (1997). დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი. ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის (1988) მონაწილე. სსრ



კავშირის ჩემპიონი (1990). მონაწილეობდა 3 საჭადრაკო ოლიმპიადაში (ჯამური შედეგი: +24-0=13 ), მიიღო 2 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი.
ღირსების ორდენის კავალერი.

ნინო გურიელი. 7.12.1961 თბილისში. საერთაშორისო დიდოსტატი (1979) და ვაჟთა



საერთაშორისო ოსტატი (1997). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქალთა მსოფლიო პირველობის ორი ციკლის (1978-1981, 1988-1990) მონაწილე. ითამაშა სსრ კავშირის 9 ჩემპიონატში (საუკეთესო შედეგი II ადგილი, 1980). მონაწილეობდა 3 საჭადრაკო ოლიმპიადაში (ჯამური შედეგი: +12-5=7 ), მიიღო 3 ოქროს მედალი.
ღირსების ორდენის კავალერი.

# In Brief on Georgian Sport and Sportsmen

The history of Georgian sport is a part of the history of the Georgian nation. It is known that Georgian tribes lived in a slave owning society 2.500 years ago where sport was considered one of the most efficient means of military exercises. Even earlier. 3.500 years ago wrestling was mentioned as a sport in the oldest literary monument "Amiraniani". It is interesting that the main character of this epic, Amirani is a Georgian variety of Shumer king Guilgamesh and Greek Promotheus. and thus is rather widespread in the epics of ancient nations of the Middle East.

The participation of Georgians in the ancient Olympic Games is not proved yet but it is known that the Georgians, like the Hellenes, held sport championships quardrenniallу. Thus it makes us think that the Olympic spirit was not alien to the Georgia of ancient times.

The works of Greek and Roman historians give us interesting information on the types of sports practised in Georgia. We learn that wrestling, fencing, horse-racing, some kind of tennis, archery, acrobatics, hunting, mountaineering, rowing, chess, backgammon, and Georgian sports, such as leloburti, issindi, qabaqi, tarchia, mrerdaoba, mushaitoba, laqtaoba, qumari etc always were popular in Georgia.

A sports theme is present in Rustaveli's poem "Knight in the Tiger's Skin", in Mose Quneli's "Amiran-Darejanianin", in poems by Georgian kingpoets Archil Bagrationi and Teimuraz II. As well in the encyclopedic dictionary by Sulkhan-Saba Orbeliani... In addition, we have an interesting information about the peculiarities of Georgian life, its close connection with sports from the foreign sources notably from the French traveller Jean Batiste Thavernier, the Italian missionaries Chrispophero Castelli, Archangello Lamberti, Dioniggio Carii who have described Georgia of the late Middle Ages. We would like to put emphasis on the activity of Italian painter and missionary Don Christophoro de Castelli's in Georgia where he came in 1628. The cycle of his drawings which he devoted to Georgia are divided into two albums. One of them was lost after his return to Ilaty and the other which consists of more than 500 drawings is preserved in the Communal Library of Palermo. Castelli's drawings and notes give us valuable information on political, economic and cultural life of Georgia in the 17th century. There are drawings on sport themes as well: "Qabaqi," "Choganburti (Tennis)," "Women playing tennis," "Shooting as a target," "Hunting" etc.

The development of Georgian sport was hampered after the conquest of Georgia by the Russian Empire in 1801. The loss of independence, the social injustice caused by it, an openly hostile attitude towards Georgian culture and imperialistic ambitions of invaders - all were suppressing national spirit in all spheres of life, including sport. And only at the end of the 19th century there was some activation in social life, caused by the development of capitalism.

At the turn of the 20th century there were many examples indicating increasing of interest towards sports in different regions of Georgia, especially in Tbilisi where some permanent sports centres, such as cycling track, racecourse, soccer grounds, gyms etc were opened.

Nevertheless, at the end of the 19th century wrestling was the most popular sport in Tbilisi. Accordingly, a number of wrestling rings there were opened. One of the first of them was at Mtatsminda, in the old part of Tbilisi. It is known that a well-famous Georgian poet Grigol Orbeliani, frequented that place to watch competitions. Wrestling rings were also operating next to the present National Stadium, near so-called Italian Gerdens, Didube Church, in Nazaladevi township, at Metekhi, Ortachala, Pikris Gora etc.

The present territory of Vake Park was occupied by gymnasts. Sports shows and gymnastic performances were shown there. In addition, there were many soccer fields in different parts of Tbilisi. This sport was also very popular not only in Tbilisi but also in the Black Sea-side towns of Poti, Batumi, Sokhumi, and also in Kutaissi. Different religious and secular festivals created an unique atmosphere of Georgian everyday life of that period and the climax of those events were always wrestling competitions and fisticuffs.

Basketball was introduced to Georgia in the 1920s by a group of enthusiasts, but as it turned out this kind of sport had been known in Tbilisi since 1901. Here we would like to mention that basketball was invented in 1891 at an American college by James Naismith. The fact is that in 1901 a trainer of the Grammar School Two of Tbilisi Mr. Scotac, a Czech by origin, published a rather original and helpful work "Gymnastic Games," a chapter of which described basketball. By the way, that was the first book on basketball in the whole Russian Empire. At any rate, there is no earlier edition known.

Mysterious mountains and summits, and difficulty of access to them has always excited Georgians. Thus, it is not surprising that Georgia is considered to be a classical mountaineers country. On 28th August of 1923 a group of Georgian mountaineers headed by professor of Tbilisi University George Nikoladze climbed Mqinvarsveri (Qazbegui), one of the highest summits of the Caucasus, and a week later a second group, which was a scientific expedition of the Georgian Geophysics Observatory headed by Professor Alexander Didebulidze repeated the feat. Those two ascents were the starting-point of Soviet mountaineering. Moreover, the first mountaineers club in the USSR was founded in Georgia back in 1924 at the Georgian Geographic Society and department of Geography at Tbilisi University.

A well-known Georgian publicist and critic Geronti Kikodze wrote back in 1915: "Georgians have paid great attention to physical exercises and sports not only in periods of their cultural renaissance. In Europe nations are borrowing kinds of sports and gymnastics from each other. We did not need to borrow. We have a treasure of national sports and games which vare forgotten now and should be revived. Their revival will add new colours to our national culture and an old beauty and health to our body..."

At the end of the 19th and the beginning of the 20th century different new kinds of sports spread to Georgia. One of them was

gymnastics. It was popularized by Czech enthusiasts headed by Antony Lukes and Jules Groumble. At that time it was usual that Russian tsar's nominees supervised gymnastics clubs, so called "Sokols" (Falcon). However, they strongly objected the opening of a Czech gymnastic club in Petersburg. This objection was caused by the fear that national-liberal ideas of Czech and Slovaks which were directed against Austria would cause the similar mood in the nations of the Russian Empire. That is why an organization founded in Georgia in 1989 was not named "Sokol". It was called just "Tbilisi Gymnastics Society." That was the first organization of gymnastics in the Russian Empire. It was renamed into "Sokol" only in 1907...

In 1907 Gaioz Beralashvili founded the gymnastic organization "Amirani" in Tbilisi. A year later George Nikoladze returned from the Ukraine. He approached the founders of "Amirani" with an interesting suggestion - to create a free, apolitical, independent organization of gymnastics. "Shevardeni" (also "Falcon," but now in Georgian) on the basis of "Amirani" and "Sokol" (coach-in-chief George Engatashvili). This idea was supported by the majority and on 25th August of 1918 "Shevardeni" was founded. Unfortunately, on 3rd November, 1922 "Shevardeni" was reorganized and actually disbanded by the new Red revolutionary government of Georgia. It was a great offence against the Nation.

Of course, the best years for the development of sport in Georgia were 1918-1921 when Georgia was independent. Physical fitness training was made a compulsory subject in primary schools and higher educational institutions of the Democratic Republic. However, this period did not last for a long. Everything came to a standstill after the unnecessary annexation of Georgia by the Soviet Union.

As we know sports organizations of the USSR joined respective international federations after the Second World War. That was the time when Georgia appeared in the international sporting in arena. In 1946 a Georgian woman, Nino Dumbadze, became one of the first European champions among the Soviets, and in 1947 Otar Korkia and Nodar Jorjikia won the gold at the European basketball championships. However, that does not mean that there were no important achievements in Georgian sport until that period.

Here is a short summary on the pre-war period: the first world record set by a Soviet sportsman belonged to Ivan Sergueiev from Tbilisi. In 1925 in Moscow he threw sports hand-grenade to 75.80m that was 88cm better than a previous world record set by an American Thompson. In 1936 in Tbilisi Dimitri Iosseliani achieved a long jump of to 3.485m that also was a world record. But both of those records were set in non-classical athletic events. In 1938 in Moscow Miss Nino Dumbadze beat Germany's Mauermeyer's world record in the classical Olympic discipline, of discus throwing. Her result was 49.11m and Meuermeyer's just 48.31m. In subsequent years Dumbadze beat her own record six tmes. Her last achievement was 57.04 m., in 1952.

The olympic history of Soviet sport started in 1952, and Georgian sportsmen played an active role in that. 31 gold, 23 silver and 41 bronze - those are achievements of our sportsmen at 11 Olympic Games since the 15th Olympics.

| | *Gold* | *Silver* | *Bronze* |
|---|---|---|---|
| Freestyle wrestling | 6 | 4 | 6 |
| Athletics | 4 | 3 | 4 |
| Greco-Roman Wrestling | 4 | 1 | 4 |
| Judo | 3 | 2 | 7 |
| Basketball | 2 | 5 | 4 |
| Weightlifting | 2 | 2 | - |
| Fencing | 2 | - | 2 |
| Gymnastics | 2 | 1 | - |
| Shooting | 1 | 2 | - |
| Handball | 1 | 1 | - |
| Football | 1 | - | 5 |
| Archery | 1 | - | 1 |
| Volleyball | 1 | - | - |
| Canoeing | 1 | - | - |
| Water polo | - | 2 | 2 |
| Swimming | - | - | 1 |
| Diving | - | - | 1 |
| Cycling | - | - | 1 |
| Pentathlon | - | - | 1 |
| Boxing | - | - | 1 |
| Tennis | - | - | 1 |
| Total | 31 | 23 | 41 |

# *Uebung macht den Meister*

Die Geschichte des georgischen Sports ist untrennbarer Bestandteil der georgischen Geschichte und entspringt demzufolge in ihrem Schosse. Bekanntlich haben kartwelische Staemme schon vor 2500 Jahren in einer Sklavenhaltergesellschaft gelebt, in der Sport als eines der wirksamsten Mittel zum koerperlichen und militaerischen Drill galt. Etwa vor 3500 Jahren wurde Ringkampft als Sportdisziplin in "Amiraniani", einem der aeltesten Denkmaeler der georgischen Volksdichtung erwaehnt. Dabei ist es zu beachten, dass der Hauptheld des Epos, Amiran, eine georgische Abwandlung des Sumererkoenigs Gilgamesch sowie des griechischen Prometheus' bildet und somit eine recht beliebte Figur in den Volksepen aus dem Nahen Osten ist.

Man verfuegt heutzutage ueber keinerlei geschichtlichen Beweise fuer die Teilnahme der Georgier an den griechischen Olympischen Spielen. Es ist aber bekannt, dass auch Georgier jede vier Jahre einmal Sportspiele oganiserten, die viel Aehnlichkeit mit den Olympischen Spielen der Hellenen aufzuweisen hatten. Eben deshalb ist man der Meinung, dass der Geist von Olympischen Spielen im antiken Georgien sich bereits gewisser Beliebtheit erfreute.

Die Schriften griechischer und roemischer Autoren enthalten aeusserst interessante Angaben ueber die in Georgien verbreiteten Sportdisziplinen. Gerade aufgrund dieser Quellen laesst es sich beweisen, dass Sportarten wie Ringkampf, Fechten, Pferderennen,

verschiedene Ballspiele, darunter auch die mit Ballschlegeln, typisch georgische Pferdesportarten wie Wettkaempfe mehrerer Mannschaften zu Pferde, Schuetzenfeste, Bogenschiessen, Luftakrobatik, Jagd, Bergsteigen, Paddelsport, eigenartige Mannschaftsspiele wie z. B. "Lachtaoba", Schach, verschiedene Brett - und Wuerfelspiele hierzulande schon immer recht beliebt gewesen sein mussten.

Sportliche Thematik hat eine Reihe von dichterischen Kunstwerken wie das Poem vor Rustaweli: "Der Recke im Tigerfell", "Amirandaredshaniani" von Mosse Choneli, Poeme der Dichterkoenige Artschil Bagrationi und Teimuraz II, sowie das enzyklopaedische Lexikon von Sulkhan-Saba Orbeliani aufzuweisen. Interessante Angaben ueber die georgische Lebensart und die Rolle des Sports im georgischen Alltag enthalten die Schriften des franzoesischen Reisenden Jean-Baptiste Thavernier sowie die der italienischen Missionare Cristoforo Castelli, Arcangelo Lamberti, Dioniggio Carli. Von ganz besonderer Bedeutung ist jedoch das Wirken des italienischen Missionars und Malers Don Cristoforo Castelli in Georgien, der 1628 das Land besuchte. Der von ihm stammende Zeichnungszyklus ist in zwei Baenden enthaltan. Der erste Band ist bereits nach Ankunft Castellis in Italien abhanden gekommen, der zweite befindet sich in der Munizipalbibliothek von Palermo und erfasst ueber 500 Zeichnungen. Die Zeichnungen von Castelli sowie die enstprechenden Aufschriften enthalten wichtige Information ueber das politische, wirtschaftliche und kulturelle Leben Georgiens im 17. Jahrhundert. Von grossem Interesse sind Zeichnungen zur sportlichen Thematik, wie "Schiessen nach der Scheibe", "Jagd", "Die Frau mit dem Ballschegel" usw.

Der Einfall imperialistischen Russlands in Georgien 1801 hatte die Entwicklung von Sport wesentlich verhindert. Der Veslust an Unabhaengigkeit und das dadurch entstandene soziale Elend, das sichtbar feindliche Verhaeltnis zur georgischen Kultur und imperiale Ambitionen des Eroberers hatten den nationalen Geist in jedem Lebensbereich, darunter auch im Sport fuer laengere Zeit ausgeloescht. Erst zu Ausgang des vergangenen Jahrhunderts, mit dem Einbruch des Kapitalismus hatte das gesellschaftliche Leben in Georgien sich wieder einigermassen aktiviert, was auch durch den Aufschwung sportlicher Aktivitaeten zum Ansdruck gekommen war.

Die Gruendung einiger ortsfesten Sportklubs in verschiedenen Regionen Georgiens, und zwar insbesondere in der Hauptstadt Tbilissi um die Wende des 19. zum 20. Jahrhundent zeugt eindeutig von dem wachsenden Intresse fuer den Sport. In erster Linie seien erwaehnt die Radrennbahn zu Tbilissi (in der ehemaligen Grossfuerstenstrasse), Hippodrom (die Rennbahn auf dem Territorium des heutigen Bahnhofs), die Freiflaechen im Bezirk Wake - beliebte Orte der Gymtastiker und Ballspieler.

Doch solle die beliebteste Sportart in Tbilissi (und nicht nur in Tbilissi) des vergangenen Jahrhunderts der Ringkampf gewesen sein. Selbstverstuendlich war die gesamte Stadt mit Kampfplaetzen (Arenen) uebersaet. Die aelteste Arena befand sich auf dem Heiligen Berg. Der Klassiker der georgischen Poesie Grigol Orbeliani zaehlte zu den regelmaessigen Besuchern, die heir gern Zweikaempfen bekannter Ringkaempfer beiwohnten. Eine weitere Arena war auf dem dicht an dem zentralen Stadion gelegenen. Territorium eingerichtet. Kampfplaetze gab es in dem ehemaligen "Italienischen Garten", hinter der Kirche in Didube, im Bezirk Nadsaladevi, auf dem Berg Machata, in Ortatschala, Pikris Gora...

Das Territoruim des heutigen Wake-Parks stand den Gymnastikern zur Verfuegung. Es solle hier oft Massenveranstaltungen, gymnastische Schauspiele gegeben haben. In verschiedenen Bezirken der Stadt gab es mehrere Fussballplaetze. Diese Sportart erfreute sich grosser Beliebtheit nicht nur in der Hauptstadt, sondern auch in den Kuestenstaedten Poti, Batumi sowie auch Kutaissi. Kirchliche und weltliche Feste bildeten im vergangen Jahrhundert ein unverwechselbares Kolorit des staedtischen Lebens, zu deren Kroenung in der Regel Turniere der Ringkaempfer oder aber Massenvorfuehrungen zaehlten.

Basketball wurde Ende der zwanziger Jahre von einer Gruppe der Sportenthusiasten hierzulande eingefuehrt. Wie es sich aber spaeter herausstellte, war diese Sportart bereits 1901 in Tbilissi bekannt (es sei daran erinnert, dass dieses Spiel 1891 in einem College in den USA von James Naismith erfunden wurde). 1901 hatte der Sportlehrer des zweiten staedtischen Gymnasiums, ein Mann tschechischer Herkunft namens A. Scotac, ein recht originelles und nuetzliches Werk veroeffentlicht, das mit dem Titel "Gymnastische Spiele" versehen war. Ein Kapitel des Buchs "Das Spiel mit dem grossen Ball" war eben Basketball gewidmet. Es sei betont, dass dieses Buch die erste Veroeffentlichung ueber Basketball im gesamten Russischen Imperium gewesen war, denn aeltere schriftliche Quellen konnten bis heute nicht entdeckt werden.

Das Geheimnis der Berge und unerreichbarer Bergspitzen hatte schon immer das Interesse, die Neugier und gar das Innerste eines jeden Giorgiers angesprochen. Kein Wunder, dass Georgien seit jeher als das klassiche Land des Alpinismus gilt. Am 28. August 1923 hatte eine Gruppe georgischer Alpinisten unter der Leitung des Professores der Universitaet Georgiens, Giorgi Nikoladse, einen der hoechsten Gipfel Europas - Kasbek bestiegen. Kaum war Kasbek bezwungen, schon hatte eine zweite Gruppe georgischer Bergsteiger - die wissenschaftliche Expedition des geophysikalischen Observatoriums Georgiens unter der Leitung von Professor Alexander Didebulidse - genau in einer Woche den Gipfel erneut erstuermt. Die beiden Aufstiege legten den Grundstein fuer die weitere Entwicklung der Geschichte des sowjetischen Alpinismus. Es sei betont, dass der erste Alpinistenverband der UdSSR gerade in Georgien, durch den Lehrstuhl fuer Geographie an der Tbilisser Universitaet und die geographische Gesellschaft Georgiens 1924 gegruendet wurde.

Der bekannte Publizist und Kritiker, ein Mann des oeffentlichen Lebens und Schriftsteller sowie eine hochgebildete Persoenlichkeit Geronti Kikodse hatte bereits 1915 folgendes geschrieben: " Nicht nur zur Zeit der kulturellen Renaissance und der politischen Staerke, sondern auch danach haben Georgier den koerperlichen Uebungen und dem staendigen Training stets grosse Aufmerksamkeit geschenkt... Die Nationen Europas uebernehmen Sport - und Gymnastikarten voneinander. Wir haben das nicht noetig. Wir verfuegen ueber einen wahren Schatz von nationalen Spielen und Uebeungen, die in Vergeseenheit geraten sind und nur darauf warten, dass man sie wieder der Vergessenheit entreisst. Deren Wiedergeburt wuerde unsere nationale Kultur mit neuen Farben beleben, unserem Koerper jedoch die fruhere Vollkommenheit und das Wohlbefinden verleihen..."

Es ist zweifellsohne ein kluger Gedanke, der auch heutzutage nichts an seiner Aktualitaet eingebuesst hat, doch wie auch ueberall, war man auch heirzulande fremden Einfluessen nicht unzugaenglich. Dies war uebrigens eine allgemeine Tendenz in der betreffenden Epoche. Um die Wende des 19. zum 20. Jahrundert zeigte sich der fremde Einfluss in Georgien vor allem in der allgemeinen Popularitaet der Gymnastik (so hatte man damals all das bezeichnet, was mit den koerperlichen Uebungen zu tun hatte), fuer die sich ganz bessonders die in den Gymnasien wirkenden tschechischen Enthusiasten unter der Leitung von Anton Lukes und Julius Grunlek einsetzten. Dies war die Bleutezeit der sog. sokolistischen Gymnastik.

In Russland haben die gymnastischen Vereine "Sokol" in der Regel koenigliche Beamte geleitet. Sie haben sich heftig gegen die Eroeffnung von tschechischen "Sokol" - Vereine in Petersburg gewehrt, da sie befuerchteten, dass die gegen Oesterreich gerichteten nationlen Befereiungsbewgungen auch unter den im russischen Imperium lebenden nationalen Minderheiten ausbrechen

oder zumindest aufruehrerische Ideen verbreiten wuerden. was letzten Endes das Hauptanliegen der Tschechen und Slovaken bildete. Eben aus diesem Grunde wurde der bereits 1889 in Georgien gegruendete Verein nicht als "Sokol" bezeichnet. Er war als "Tbilisser Gymnastischer Verein" bekannt und gehoerte zu den aeltesten Sportvereinen im russischen Imperium. Erst 1907 konnte der Verein umbenannt werden und bekam den Namen "Sokol".

1917 wurde von Gaios Berelaschwili und Data Dshawrischwili der gymnastische Verein "Amirani" in Tbilissi gegruendet. Ein Jahr spaeter kehrte Giorgi Nikoladse aus der Ukraine in die Heimat zurueck und machte Gaios Berelaschwili und Data Dshawrischwili einen interessanten Vorschlag. Durch die Verschmelzung von "Amirani" und des in Tbilissi funktionierenden "Sokol" - Vereins (Leiter Giorgi Egnataschwili) sollte ein fremden Einfluessen unzugaenglicher. apolitischer und von der Regierung unabhaengiger Sportverein "Schewardeni" entstehen. Diese Idee wurde von der Mehrheit unterstuetzt und so wurde am 25. August 1918 der georgische Sportverein "Schewardeni" gegruendet. der eine wesentliche Rolle bei der Festigung der nationalen Einheit (sowohl in geistiger als auch koerperlicher Hinsicht) gespielt hat. Leider wurde "Schevardeni" am 3. November 1922 von der revolutionaeren Regierung Georgiens aufgeloest.

Ganz besonders guenstige Bedingungen fuer die Entwicklung des georgischen Sports wurden selbstverstaendlich in den Jahren 1918-1921 geshaffen. als Georgien Unabhaengigkeit erlangte und Koerperkultur und Sport in allen Schulen und Hochschulen der demokratischen Republik. vor allem aber an der Tbilisser Universitaet fuer ein obligatorisches Fach erklaert wurden. Dies hat aber nicht lange gedauert. Durch die Annexion Georgiens von der Roten Armee wurden alle positiven Prozesse gestoppt.

Was stellt georgischer Sport dar und was macht seine Staerke aus?

Bekanntlich konnten sportiche Organisationen der Sowjetunion erst in den nachkriegsjahren zu den Mitgliedern internationaler Foederationen werden. Zu demselben Zeitpunkt wird auch der georgische Sport international benannt (Nino Dumbadse wurde 1946 eine der ersten Europameisterinnen in Leichtathletik. 1947 haben die Basketballspieler Otar Korkia und Nodar Dschordshikia die Goldmedaillen der Kontinentalmeisterschaft erhalten). Dies bedeutet aber nicht. dass der georgische Sport davor nichts geleistet hatte. Heir ein kurzer Bericht ueber die Vorkiegszeit:

Der erste Weltrekord unter den sowjetischen Spotrlern ist von dem Leichtathleten aus Tbilissi Ivan Sergejev aufgestellt worden. Am 19. August 1925 hatte er in Moskau die Handgranate 75 m und 80 cm weit gestossen und somit die Leisting des Amerikaners Thompson an 88 m uebertroffen. Am 27. Oktober 1936 ist Dimitri Iosseliani in Tbilissi 3. 48. 5 m beit gesprungen. was wiederum eine Verbesserung des Weltrekords war. Doch wurden in beiden oben angefuehrten Faellen Weltrekorde in den nicht klassischen Disziplinen der Leichtathletik verbessert. Am 18. September 1938 konnt aber Nino Dumbadse waehrend der Allunionsmeisterschaft in Moskou schon den offiziellen Weltrekord der deutschen Spotlerin Gisela Mauermeier in der klassischen (olympischen) Sportdisziplin - Diskuswerfen verbessern (ihre Leistung war 49. 11 m gegen Mauermeiers Rekord von 48. 31 m). Spaeter hatte Nino Dumbadse den Weltrekord noch sechsmal korrigiert. Ihre letzte Leistung aus dem Jahre 1952 betrug 57.04m.

In den 50-er Jahren beginnt die olympische Geschichte des georgischen Sports.

# Georgischer sport in der geschichte der olympischen spiele

Olympische Spiele sind unterennbarer Bestandteil des internationalen Sports sowie sicherer Masstab fuer dessen Staerke. also hatte man der Teilnahme an den Spielen und den dabei vollbrachten Leistungen in der ganzen Welt immer eine besondere Bedeutung beigelegt. und zwar sowohl zu dem Zeitpunkt. als die Geschichte der modernen Olympischen Spiele gerade ihren Anfang genommen hatte. als auch heutzutage. als bereits deren jahrhundertealtes Bestehen gefeirt wurde.

Die olympische Chronik des georgischen Sports beginnt an jenem unvergesslichen Tage im Jahre 1950. als das Allunionskomitee fuer Koerperkultur und Sport ein Regeirungsschreiben aus Helsinki erlalten hatte. In der Hauptstadt von Finnland war man mit den Vorbereitungen auf die XV. Olympischen Spiele beschaeftigt und der Organisationsausschuss wandte sich mit der Bitte an Moskau. die Gruendung des Nationalen Olympischen Komittees der SU zu beschleunigen. denn nur das Vorhandensein einer solchen Organisation bildete die juristische Grundlage. die den sowjetischen Sportlern das Recht gab. an den Olympischen Spielen von Helsinki teilzunehmen.

Im April 1951 wurde das Olympische Komitee der SU gegruendet. das den Auftrag erhalten hatte. die Vorbereitungen der Sportler auf die Teilnahme an den Olympischen Spielen in dem gesamten Lande zu uebernehmen. Am 7. Mai 1951 wurde das Olympische Komitee der SU auf der Wiener Tagung des Internationalen Olympischen Komitees unter allgemeiner Zustimmung aller Tagungsteilnehmer zum offiziellen Mitglied des IOK (31 Delegierten waren dafuer. und nur drei haben sich der Stimme enthalten). Am 15/16. Oktober hat in Moskau die erste Tagung des neugebildeten Olympischen Komitees stattgefunden. auf der es einstimmig beschlossen wurde. an den XV. Olympischen Spielen teilzunehmen. Im Dezember hatte der Organisationsausschuss der Olympischen Spiele in Helsinki eine offizielle Meldung aus Moskau fuer die Teilnahme an den Olympischen Spielen erhalten.

Georgische Sportler haben an elf Olympischen Sommerspielen teilgenommen. Selbstverstaendlich war die Anzahl der Olympier stets unterschiedlich. doch waren es ueberwiegend meher als zehn:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1952 | Helsinki | XV | 14 |
| 1956 | Melbourne | XVI | 10 |
| 1960 | Rom | XVII | 16 |
| 1964 | Tokio | XVIII | 18 |
| 1968 | Mexiko | XIX | 14 |
| 1972 | Muenchen | XX | 16 |
| 1976 | Montreal | XXI | 11 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1980 | Moskau | XXII | 16 |
| 1984* | Los Angeles | XXIII | |
| 1988 | Soeul | XXIV | 16 |
| 1992 | Bercelona | XXV | 12 |
| 1996 | Atlanta | XXVI | 36 |

* Bekanntlich haben 1984 die Ostblocklaender sowie deren ideologische Anhaenger voellig unbegruendet die XXIII. Olympischen Spiele in Los Angeles boykottiert. Aus diesem Grunde fehlen die entsprechenden Angaben.

Unten werden alle georgischen Olympier mitsamt ihren Leistungen aufgelistet:

## 1952

**XV. OLYMPISCHE SPIELE.** Helsinki (14 Teilnehmer: 3 Gold-, 4 Silber - und 2 Bronzemedaillen) Dawid Zimakuridse (Freistilringen) - 1. Platz. Raphael Tschimischkjan (Schwerathletik) - 1. Platz. Medea (Msia) Dshugheli (Gymnastik) - 1./2 Platz. Otar Korkia (Basketball) - 2. Platz. Nodar Dshordshikia (Basketball) - 2. Platz. Lewan Sanadse (Leichtathletik) - 2. Platz. Nadeshda Khnykina (Leichtathletik) - 3. Platz. Nino Dumbadse (Laichtathletik) - 3. Platz. Elene Gokieli (Laichtathletik). - 4. Platz. Halbfinale. Awtandil Ghoghoberidse (Fussball). Achtelfinale. Awtandil Tschkuasseli (Fussball) - Achtelfinale. Otar Dadunaschwili (Radsport) - Sechzehntelfinale. Akaki Meipariani (Fechten) - 2. Runde. Vladimir Lavrinenko (Schwimmen) - 25. Platz.

## 1956

**XVI. OLYMPISCHE SPIELE.** Melbourne (10 Teilnehmer: 2 Gold- und 6 Bronzemedaillen) Giwi Kartosia (Klassischer Ringkampf) - 1. Platz. Mirian Zalkalamanidse (Freistilringen) - 1. Platz. Wachtang Balawadse (Freistilringen) - 3. Platz. Giorgi Skhirtladse (Freistilringen) - 3. Platz. Roman Dsneladse (Klassischer Ringkampf) - 3. Platz. Nadeshda Khnykina - Dwalischwili (Leichtathletik) - 3. Platz. Boris Nikitin (Schwimean) - 3. Platz. Nodar Gwacharia (Wasserball) - 3. Platz. Rewaz Zirekidse (Fechten). Halbfinale. 5. Platz. Juri Ossipov (Fechten) - Halbfinale. 7. Platz.

## 1960

**XVII. OLYMPISCHE SPIELE.** Rom (16 Teilnehmer: 2 Gold-, 5. Silber - und 3 Bronzemedaillen). Robert Schawlakadse (Leichtathletik) - 1. Platz. Awtandil Koridse (Klassischer Ringkampf) - 1. Platz. Giorgi Skhirtladse (Freistilringen) - 2. Platz. Guram Minaschwili (Basketball) - 2. Platz. Vladimir Ugrechelidse (Basketball) - 2. Platz. Giwi Tschikwanaja (Wasserball) - 2. Platz. Leri Gogoladse (Wasserball). - 2. Platz. Vladimir Rubaschwili (Freistilringen) - 3. Platz. Giwi Kartosia (Klassischer Ringkampf) - 3. Platz. Guram Kostawa (Fechten) - 3. Platz. Alexander Stscherbina (Leichtathletik) - 4. Platz. Boris Nikitin (Schwimmen) - 8. Platz. Wachtang Balawadse (Freistilringen) - 11. Platz. Nugsar Assatiani (Fechten) - Veirtelfinale. 5. Platz. Rewas Kwatschakidse (Leichtathletik) - nicht ins Finale gekommen. Juri Djatschkov (Leichtathletik) - Wettkampf unterbrochen.

## 1964

**XVIII. OLYMPISCHE SPIELE.** Tokio (18 Teilnerhmer: 2 Gold-, 4 Silber - und 5 Bronzemediallen). Nugsar Assatiani (Fechten) - 1. Platz. Washa Katsharawa (Valleyball) - 1. Platz. Roman Rurua (Klassischer Ringkampf) - 2. Platz. Guram Sagharadse (Freistilringen) - 2. Platz. Schota Kweliaschwili (Schiessport) - 2. Platz. Lewan Mosseschwili (Basketball) - 2. Platz. Guram Kostawa (Fechten) - 3. Platz. Nodar Khokhaschwili (Freistilringen) - 3. Platz. David Gwanzeladse (Klassischer Ringkampf) - 3. Platz. Ansor Kiknadse (Judo) - 3. Platz. Parnaos Tschikwiladse (Judo) - 3. Platz. Alexander Tutakaev (Schwimmen) - 4. Platz. Robert Schawlakadse (Leichtathletik) - 5. Platz. Rostom Abaschidse (Klassischer Ringkampf) - 5. Platz. Boris Poluljach (Wasserspringen) - 6. Platz. Sarbeg Beriaschwili (Freistilringen) - 6. Platz. Schota Lomidse (Freistilringen) - 9. Platz. Omar Pchakudse (Radsport) - Viertelfinale.

## 1968

**XIX. OLYMPISCHE SPIELE.** Mexiko (14 Teilnehmer: 2 Gold-, 2 Silber -und 2 Bronzemediallen). Roman Rurua (Klassischer Ringkampf) - 1. Platz. Viktor Saneev (Leithtathletik) - 1. Platz. Dito Schanidse (Schwerathletik) - 2. Platz. Schota Lomidse (Freistilringen) - 2. Platz. Surab Sakandelidse (Basketball) - 3. Platz. Sergei Kovalenko (Basketball) - 3. Platz. Shota Kweliaschwili (Schiessport). - 4. Platz. Omar Pchakdse (Radsport)- 4. Platz. Tinatin Lekweischwili (Schwimmen) - 4. Platz. Sarbeg Beriaschwili (Freistilringen). 5. Platz. Boris Poluljach (Wasserspringen) - 20. Platz. Ludmila Jevleva (Leichtathletik). 4. Platz. Guram Gudaschwili (Leichtathletik) - nicht ins Finale gekommen. Igor Delarossa (Leichtathletik) - Wettkampf unterbrochen.

## 1972

**XX OLYMPISCHE SPIELE.** Muenchen (16 Teilnehmer: 6 Gold-, 1 Silber - und 4 Bronzemedaillen)-Viktor Saneev (Leichtathletik)- 1. Platz. Lewan Tediaschwili (Freistlringen)- 1. Platz. Schota Tschotschischwili (Judo)- 1. Platz. Surab Sakandelidse (Basketball)-1. Platz. Micheil Korkia (Basketball)- 1. Platz. Viktor Kratasjuk (Paddelsport)- 1. Platz. Dito Schanidse (Schwerathletik)- 2. Platz. Omar Pchakadse (Radsport)- 3. Platz. Giwi Onaschwili (Judo)- 3. Platz. Murtaz Khurzilawa (Fussball)- 3. Platz. Rewas Dsodsuaschwili (Fussball)- 3. Platz. Ketewan Lossaberidse (Bogenschiessen)- 4. Platz. Tinatin Lekweischwili (Schwimmen)- 4. Platz. Dshemal Megrelischwili (Klassischer Ringkampf)- 5. Platz. Guram Gogolauri (Judo)- 5. Platz. Guram Naskidaschwili (Kanuslalom)- 31. Platz.

## 1976

**XXI OLYMPISCHE SPIELE.** Montreal (11 Teilnehmer: 3 Gold-, 1 Silber - und 2 Bronzemedaillen). Lewan Tediaschwili (Freistilringen)- 1. Platz. Viktor Saneev (Leichtathletik). 1. Platz. Alexander Anpilogov (Handball)- 1. Platz. Ramas Kharschiladse (Judo)- 2. Platz. Schota Tschotschischwili (Judo)- 3. Platz. Micheil Korkia (Basketball)- 3. Platz. Igor Omeltschenko (Schwimmen)- 5. Platz. Vladimir Isselidse (Wasserball)- 8. Platz. Jgor Kuschpeljov (Schwimmen)- 10. Platz. Marlen Papawa (Schiessport)- 24. Platz. Oleg Surabjan (Judo)- 1. Runde.

## 1980

**XXII. OLYMPISCHE SPIELE.** Moskau (16 Teilnehmer: 3 Gold-, 4 Silber - und 5 Bronzemedaillen). Ketewan Lossaberidse (Bogenschiessen)- 1. Platz. Wakhtang Blagidse (Klassischer Ringkampf)- 1. Platz. Schota Khabareli (Judo)- 1. Platz. Viktor Saneev (Leichtathletik)- 2. Platz. Saida Gunba (Leichtathletik).-2. Platz. Teimuras Khubuluri (Judo)- 2. Platz. Alexander Anpilogov (Handball)- 2. Platz. Liana Tsotadse (Wasserspringen)- 3. Platz. Nikolos Derjugin (Basketball)- 3. Platz. Alexander Tschiwadse (Fussball)- 3. Platz. Tengis Sulakwelidse (Fussball)- 3. Platz. Rewas Tschelebadse (Fussball)- 3. Platz. Tamas Imnaischwili (Schiessport)- 9. Platz. Dawid Kwatschadse (Boxen)- 2. Runde. Tamas Namgalauri (Judo)- 2. Runde. Irina Gerassimova (Schwimmen) - disqualifiziert.

## 1988

XXIV. OLYMPISCHE SPIELE. Seoul (16 Teilnehmer: 5 Gold-, 3 Silber - und 5 Bronzemedaillen). Nino Salukwadse (Schiesspo-rt)- 1./2 Platz. Dawid Gobedshischwili (Freistilringen)- 1. Platz. Vladimir Abziauri (Fechten)- 1. Platz. Vladimir Gogoladse (Gymnastik)- 1. Platz. Gela Ketaschwili (Fussball)- 1. Platz. Leri Khabelov (Freistilringen)- 2. Platz. Amiran Totikaschwili (Judo)- 3. Platz. Giorgi Tenadse (Judo)- 3. Platz. Wachtang Iagoraschwili (Fuenfkampf)- 3. Platz. Micheil Giorgadse (Wasserball)- 3. Platz. Maia Asaraschwili (Leichtathletik)- 3. Platz. Giorgi Tschogowadse (Wasserspringen)- 4. Platz. Christina Palasanidi (Synchronisiertes Schwimmen)- 7. Platz. Guram Gedekhauri (Klassischer Ringkampf)- 7. Platz. Leila Meskhi (Tennis)- 2. Runde. Tamas Imnaischwili (Schiessport) - nicht ins Finale gekommen.

## 1992

XXV. OLYMPISCHE SPIELE. Barcelona (12 Teilnehmer; 3 Gold-, 5 Bronzemedaillen). Dawid Khakhaleischwili (Judo)- 1. Platz. Kachi Kachiaschwili (Schwerathletik)- 1. Platz. Leri Khabelov (Freistilringen)- 1. Platz. Giorgi Koghuaschwili (griechesch-roemischer Ringkampf)- 3. Platz. Dawid Gobedshischwili (Freistilringen)- 3. Platz. Leila Meskhi (Tennis)- 3. Platz. Ramas Paliani (Boxen)- 3.. Platz. Khatuna Kwriwischwili (Bogenschiessen)- 3. Platz. Nino Salukwadse (Scheissport)- 5./10. Platz. Oleg Strishakov (Leichtathletik)- 12. Platz. Guram Biganischwili (Segeln)- 13. Platz. Giorgi Tschogowadse (Wasserspringen)- 16. Platz.

## 1996

XXVI. OLYMPISCHE SPIELE. Atlanta (36 Teilnehmer: 2 Bronzemedaillen). Sosso Liparteliani (Judo)- 3. Platz. Eldar Kurtanidse (Freistilringen)- 3. Platz. Koba Guliaschwili (griechisch - roemischer Ringkampf)- 4. Platz. Nino Salukwadse (Schiessport)- 5./7. Platz. Gela Papaschwili (griechisch-roemischer Ringkampf)- 6. Platz. Tariel Melelaschwili (griechisch-roemischer Ringkampf)- 20. Platz. Bakur Gogitidse (griechisch-roemischer Ringkampf)- 14. Platz. Giorgi Wasagaschwili (Judo)- 7. Platz. Giorgi Rewasischwili (Judo)- 7. Platz. Vladimir Dgebuadse (Judo)- 10. Platz. Giorgi Zmindaschwili (Judo)- 32. Platz. Mewlud Lobjanidse (Judo)- 16. Platz. Nino Utschadse (Schiessport)- 27./36. Platz. Artschil Lordkipanidse (Fechten)- 1 Runde. Platz. Ilia Giorgadse (Gymnastik)- 25. Platz. Koba Gogoladse (Boxen)- 3 Runde. Platz. Bessik Wardselaschwili (Boxen)- 1 Runde. Platz. Tengiz Meskhadse (Boxen)- 1 Runde. Platz. Akaki Kakauridse (Boxen)- 2 Runde. Platz. Giorgi Kandelaki (Boxen)- 3 Runde. Platz. Tamaz Imnaischwili (Schiessport)- 9. Platz. Bidsina Mikiaschwili (Schwerathletik)- 9. Platz. Guram Biganischwili (Segeln)- 16. Platz. Vladimir Grusdjev (Segeln)- 16. Platz. Maia Asaraschwili (Leichtathletik)- 1 Runde. Platz. Elvira Urussova (Leichtathletik)- 1 Runde. Platz. Nino Kasaraschwili (Wasserspringen)- 28. Platz. Gotscha Gakharia (Wasserspringen)- 34. Platz. Awtandil Gogolischwili (Freistilringen)- 10. Platz. Zaza Tkeschelaschwili (Freistilringen)- 13. Platz. Eka Abramia (Bodengymnastik)- 25. Platz. Khatuna Kwriwischwili (Bogenschiessen)- 1 Runde. Platz. Wachtang Iagoraschwili (Fuenfkampf)- 20. Platz. Mukhran Gogia (Schwerathletik) - wegen Verletzung ausgefallen. Dawid Khakhaleischwili (Judo) - wegen Verspaetung zur Gewichtsueberpruefung nicht zugelassen.

Georgische Sportler haben insgesamt 31 Gold-, 23 Silber - und 41 Bronzemedaillen gewonnen, was ein beachtliches Ergebnis sein duerfte, zumal an den Olympischen Sommerspielen lediglich 140 Sportler aus Georgien teilgenommen haben (manche Sportler haben selbstverstaendlich an mehreren Spielen teilgenommen).

Unten wird eine komplette Liste der Olympiasieger angefuehrt:

| | | Gold | Silber | Bronze |
|---|---|---|---|---|
| 1. | V. Sancev | 3 | 1 | - |
| 2. | L. Tediaschwili | 2 | - | - |
| 3. | M. Dshugheli | 1 | 1 | - |
| 4. | R. Rurua | 1 | 1 | - |
| 5. | N. Salukwadse | 1 | 1 | - |
| 6. | A. Anpilogov | 1 | 1 | - |
| 7. | L. Khabelov | 1 | 1 | - |
| 8. | G. Kartozia | 1 | - | 1 |
| 9. | S. Tschotschischwili | 1 | - | 1 |
| 10. | S. Sakandelidse | 1 | - | 1 |
| 11. | M. Korkia | 1 | - | 1 |
| 12. | D. Gobedshischwili | 1 | | 1 |
| 13. | D. Zimakuridse | 1 | - | - |
| 14. | R. Tschimischkjan | 1 | - | - |
| 15. | M. Zalkalamanidse | 1 | - | - |
| 16. | R. Schawlakadse | 1 | - | - |
| 17. | A. Koridse | 1 | - | - |
| 18. | N. Assatiani | 1 | - | - |
| 19. | W. Katscharawa | 1 | - | - |
| 20. | V. Kratasjuk | 1 | - | - |
| 21. | W. Blagidse | 1 | - | - |
| 22. | S. Khabareli | 1 | - | - |
| 23. | K. Lossaberidse | 1 | - | - |
| 24. | W. Apziauri | 1 | - | - |
| 25. | W. Gogoladse | 1 | - | - |
| 26. | G. Ketaschwili | 1 | - | - |
| 27. | D. Khakhaleischwili | 1 | - | - |
| 28. | K. Kachiaschwili | 1 | - | - |
| 29. | D. Schanidse | - | 2 | - |
| 30. | G. Skhirtladse | - | 1 | 1 |
| 31. | O. Korkia | - | 1 | - |
| 32. | N. Dshordshikia | - | 1 | - |
| 33. | L. Sanadse | - | 1 | - |
| 34. | G. Minaschwili | - | 1 | - |
| 35. | W. Ugrechelidse | - | 1 | - |
| 36. | G. Tschikwanaia | - | 1 | - |
| 37. | L. Gogoladse | - | 1 | - |
| 38. | G. Sagharadse | - | 1 | - |
| 39. | S. Kweliaschwili | - | 1 | - |
| 40. | L. Mosseschwili | - | 1 | - |
| 41. | S. Lomidse | - | 1 | - |
| 42. | R. Kharschiladse | - | 1 | - |
| 43. | S. Gunba | - | 1 | - |
| 44. | T. Khubuluri | - | 1 | - |
| 45. | N. Dwalischwili | - | - | 2 |
| 46. | G. Kostawa | - | - | 2 |
| 47. | W. Balawadse | - | - | 1 |
| 48. | N. Dumbadse | - | - | 1 |
| 49. | R. Dsneladse | - | - | 1 |
| 50. | B. Nikitin | - | - | 1 |
| 51. | N. Gwacharia | - | - | 1 |
| 52. | L. Rubaschwili | - | - | 1 |
| 53. | N. Khokhaschwili | - | - | 1 |
| 54. | D. Gwanzeladse | - | - | 1 |
| 55. | A. Kiknadse | - | - | 1 |
| 56. | D. Tschikwiladse | - | - | 1 |
| 57. | S. Kovalenko | - | - | 1 |
| 58. | O. Pchakadse | - | - | 1 |
| 59. | G. Onaschwili | - | - | 1 |
| 60. | M. Khurzilawa | - | - | 1 |
| 61. | R. Dsodsuaschwili | - | - | 1 |
| 62. | L. Zotadse | - | - | 1 |
| 63. | N. Derjugin | - | - | 1 |
| 64. | A. Tschiwadse | - | - | 1 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 65. | A. Sulakwelidse | - | 1 |
| 66 | R. Tschelebadse | - | 1 |
| 67. | A. Totikaschwili | - | 1 |
| 68. | G Tenadse | - | 1 |
| 69. | W. Iagoraschwili | - | 1 |
| 70. | M. Giorgadse | - | 1 |
| 71. | M. Asaraschwili | - | 1 |
| 72. | L. Meskhi | - | 1 |
| 73. | R. Paliani | - | 1 |
| 74. | G. Koghuaschwili | - | 1 |
| 75. | K. Kwriwischwili | - | 1 |
| 76. | S. Liparteliani | | 1 |
| 77. | E. Kurtanidse | | 1 |

Und nun ein uebersichtlicher Ueberblick ueber die von den georgischen Sportlern errungenen olympischen Medaillen:

| | Gold | Silber | Bronze |
|---|---|---|---|
| 1952 | 3 | 4 | 2 |
| 1956 | 2 | - | 6 |
| 1960 | 2 | 5 | 3 |
| 1964 | 2 | 4 | 5 |
| 1968 | 2 | 2 | 2 |
| 1972 | 6 | 1 | 4 |
| 1976 | 3 | 1 | 2 |
| 1980 | 3 | 4 | 5 |
| 1988 | 5 | 2 | 5 |
| 1992 | 3 | - | 5 |
| 1996 | - | - | 2 |

Wie bereits erwaehnt, ist Georgian von 140 Sportlern auf den Olympischen Spielen vertreten gewesen (Teilnehmer der Olympischen Winterspiele werden im vorliegenden Artikel nicht erwaehnt). Zugleich ist es betont worden, dass einige Sportler an mehreren Spielen teilgenommen haben.

Unten folgt das Namenregister georgischer Olympier:

Viktor Saneev ................................ 4
Omar Pchakadse ................................ 3
Nino Salukwadse ................................ 3
Iamas Imnaischwili ................................ 3
Alexander Anpilogov ................................ 2
Nugzar Assatiani ................................ 2
Wachtang Balawadse ................................ 2
Sarbeg Beriaschwili ................................ 2
Nadeshda Dwalischwili ................................ 2
Lewan Tediaschwili ................................ 2
Giwi Kartozia ................................ 2
Guram Kostawa ................................ 2
Tinatin Lekweischwili ................................ 2
Schota Lomidse ................................ 2
Ketewan Lossaberidse ................................ 2
Boris Nikitin ................................ 2
Boris Poluljach ................................ 2
Roman Rurua ................................ 2
Surab Sakandelidse ................................ 2
Giorgi Skhirtladse ................................ 2
Schota Kwelaschwili ................................ 2
Micheil Korkia ................................ 2
Robert Schawlukadse ................................ 2
Dito Schanidse ................................ 2
Schota Tschotschischwili ................................ 2
Dawid Gobedshischwili ................................ 2
Leri Khabelov * ................................ 2
Leila Meskhi ................................ 2
Dawid Khakhaleischwili ................................ 2
Guram Biganischwili ................................ 2
Khatuna Kwriwischwili ................................ 2
Maia Asaraschwili ................................ 2
Wachtang Iagoraschwili ................................ 2

* Das dritte Mal hat Khabelov als Mitglied der russischen Olympiamannschaft an den XXVI Olympischen Spielen in Altanta teilgenommen.

Alle anderen Sportler haben nur einmal an den Olympischen Speilen teilgenommen.

Georgische Olympier haben auf den Olympichen Spielen 26 Sportarten repraesentiert, wobei die hierzulande meistbeliebten Sportarten, wie Ringkampf, Leichtathletik die meisten Anhaenger aufzuweisen haben:

Freistilringen ................................ 23
Leichtathletik ................................ 22
Judo ................................ 21
Griechisch-roemischer Ringkampf ................................ 16
Basketball ................................ 11
Schwimmen ................................ 9
Fechten ................................ 9
Fussball ................................ 8
Wasserspringen ................................ 7
Boxen ................................ 7
Schiessport: Gewehrschiessen ................................ 7
Schwerathletik ................................ 6
Wasserball ................................ 5
Radsport ................................ 4
Bogenschiessen ................................ 4
Segeln ................................ 3
Gymnastik ................................ 3
Schiessport: Das Pirstolenschiessen ................................ 3
Handball ................................ 2
Tennis ................................ 2
Fuenfkampf ................................ 2
Bodengymnastik ................................ 1
Synchronisiertes Schwimmen ................................ 1
Kanuslalom ................................ 1
Volleyball ................................ 1
Paddelsport ................................ 1

Abschliessend wird die Anzahl der olympischen Medaillen den einzelnen Disziplinen entsprechend angefuehrt:

| | Gold | Silber | Bronze |
|---|---|---|---|
| Freistilringen | 6 | 4 | 6 |
| Leichtathletik | 4 | 3 | 4 |
| Griechisch-roemischer Ringkampf | 4 | 1 | 4 |
| Judo | 3 | 2 | 7 |
| Basketball | 2 | 5 | 4 |
| Schwerathletik | 2 | 2 | - |
| Fechten | 2 | - | 2 |
| Gymnastik | 2 | 1 | - |
| Schiessport: Gewehrschiessen | 1 | 2 | - |
| Handball | 1 | 1 | - |
| Fussball | 1 | - | 5 |
| Bogenschissen | 1 | - | 1 |
| Valleyball | 1 | - | - |
| Paddelsport | 1 | - | - |
| Wasserball | - | 2 | 2 |
| Schwimmen | - | - | 1 |
| Radsport | - | - | 1 |
| Wasserspringen | - | - | 1 |
| Fuenfkampf | - | - | 1 |
| Boxen | - | - | 1 |
| Tennis | - | - | 1 |
| **Insgesamt:** | 31 | 23 | 41 |

შენ ხარ სპორტი და შენ ხარ მშვიდობა! შენ აახლოებ ადამიანებს, თესავ სიკეთის თესლსა და მერე თავადვე იმკი საკუთარი სიკეთის ნაყოფს. შენ შთააგონებ ახალგაზრდობას, რომ პატივი სცენ საკუთარ თავს და მშობლიურ მიწას და შენ ასწავლი ადამიანებს, რომ ერთადერთი სამართლიანი ბრძოლა, ეს არის ბრძოლა საქვეყნო მშვიდობისთვის

ოდა სპორტს. პიერ დე კუბერტენი



# ოლიმპიური

# ჩემპიონები





1952
ჰელსინკი

დავით

ციმაკურიძე





1952
ჰელსინკი

მედეა

ჯუღელი





1952
ჰელსინკი

რაფაელ

ჩიმიშკიანი





1956
მელბურნი

გივი

# კარტოზია





1956
მელბურნი

მიხეილ

ცალქალამანიძე





1960
რომი

# რობერტ
# შავლაყაძე





1960
რომი

ⴀⴅⴇⴀⴌⴃⴈⴊ

# ⴉⴍⴐⴈⴛⴄ





1964
ტოკიო

ნუგზარ

ასათიანი





1964.
ტოკიო

# ვოყა

# ქაჭარავა





1968
მეხიკო



1972
მიუნხენი



1976
მონრეალი

# ვიქტორ სანეევი





1968
მეხიკო

# რომან
# რურუა





1972
მიუნხენი



1976
მონრეალი

ლევან

# თედიაშვილი





1972
მიუნხენი

# შოთა

# ჩოჩიშვილი





1972
მიუნხენი

ზურაბ

# საკანდელიძე





1972
მიუნხენი

# მიხეილ

# ქორქია





1972
მიუნხენი

# ვიქტორ
# ქრატასიძე





1976
მონრეალი

# ალექსანდრე

# ანპილოგოვი





1980
მოსკოვი

# ქეთევან ლოსაბერიძე





1980
მოსკოვი

# ვახტანგ

# კიკაბიძე





1980
მოსკოვი

შოთა

# ხაბარელი





1988
სეული

[illegible]

# [illegible]





1988
სეული

დავით

ბოხაჯიშვილი





1988
სეული

[illegible]

# [illegible]





1988
სეული

ნილო

# კეტაშვილი





1988
სეული

[illegible]

# [illegible]





1992
ბარსელონა

[illegible]

[illegible]





1992
ბარსელონა

დავით

ხახალეიშვილი





1992
ბარსელონა

კახი

# კახიაშვილი

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და ნოდარ გუგუშვილის ოჯახი ენციკლოპედიის გამოცემის დაფინანსებისთვის მადლობას უხდიან საქართველოს პრეზიდენტს, ფინანსთა სამინისტროს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, შ.პ.ს. „ყაზბეგს“.

**Olympic Encyclopaedia**
Author - Nodar Gugushvili, Editor - Elguja Berishvili.
Publisher - Georgia Sports Writers Association. Georgian National Olympic Committee. The State Sport Department of Georgia
Printed in Georgia, typographical house "Samshoblo". Tbilisi. 1997

ტექნიკური რედაქტორი ჯემალ ქარაზანიშვილი
კორექტორი მზია შომახია

ფოტოგრაფები: მ. ზარგარიანი, ა. კოტორაშვილი, ა. გურასაშვილი, გ. ახალაძე, პ. ნაცვლიშვილი, გ. დოლენჯაშვილი, ჯ. კასრაძე, გ. კიკვაძე, ს. თევზაძე, ი. შლამოვი, შ. გოქაძე, ი. მეჩითოვი, ბ. კამენსკი, ნ. ბუდჩანინი, ე. ბერიშვილი.
ნ. გუგუშვილის ფოტოარქივი

ფორმატი 60x90 1/8. 34,5 ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი.
ტირაჟი 3000.

გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14
შეკვეთა №1268